

მეამბოხე



5-6

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი 1928

მნათობი



56

ყოველთვიური მხატვრულ ღიგერაცყური
მეცნიერულ ჰყბღიციხსცყური ჟყრნადი

ქელიწადი ჰესეთჲ

მანს-იჰინსი

სახადმტინჲთ მამთმცემდობა

ფჲიღინსი 1928

მხატვრული დიპლომატურა



საქართველოს
წიგნების კავშირი



მოსის ხლენი

მატარებელი ნიგვზის მუხლუხივით მიზოზავს ზანტი, წელმოწყვეტილი. ორ-
თქლმავალი ოხრავს და როხროხებს. დატვირთული რონოდები მძიმედ კრა-
ქუნებენ.

მემანქანე სკუპზე გამჯდარა, კიბის სახელურზე რომ არის მიჭედილი. მისი
თანაშემწე, კომკავშირელი სოლო მანქანებთან ფუსფუსებს: ცალს ხელში კანა-
ფის გაზეთილი ბურღო უჭირავს, მეორეში—ნისკარტა საზეთე. უთვალავ ნაჩ-
ვრეტს რიგობით უვლის, ჯერ ზეთს ჩააწვეთებს, მერე კანაფის ნაჩეჩით ტუჩს
მოსწმენდს, თითქოს უსუსურს რძეს ასმევდეს.

მემანქანე სკუპზე ზის გარინდებული. მკლავი კიბის კარბაში გაუყრია. სა-
კინძე გაუხსნია. კუნთებიანი მკერდი ჭვარტლისფრად ასჯაგვრია. ჯირკვსა ჰგავს,
მუხის ნამორს.

განწონილი თვალი სივრცისთვის მიუცია. არა სურს თანაშემწეს მიაკა-
როს: გამგუნებულნი არიან. დილით დაწყებული კამათი შუადღისას კინკლაო-
ბად იქცა. კინკლაობას უკმეხი სიტყვები მოჰყვა, შემდეგ დაცინვა, გაბიაბრუე-
ბა. მერე კი... სიძულვილის თავდაფისულ კოჭობს, გულის უფსკრულში რომ
იყო ჩაძირული, ვილაცამ უეცრად სარქველი აჰგლიჯა და...

ასე ხდებოდა ხოლმე ხშირად.

კომკავშირელი მანქანის ნაწილებს დასტრიალებს: ჰზეთავს, ჰფერავს. არც
მას უნდა თვისი უფროსის დანახვა, მაგრამ თვალი აცთუნებს, უნებურად მის-
კენ მიიპარება, რადგან ეს დუმილი ყველას უარესია, აუტანელია.

... სთქვას რამე ერთი! სთქვას, თუნდაც საწყენი, აუგი, რათა ამ სიმუნ-
ჯეს სადინარი მიეცეს და აუქარვოს!.. სთქვას, თორემ... აი ნერწყვის ჯირკვ-
ლებს ცრემლი ეძალება. განა იტიროს? არაოდეს! კომკავშირელია, ჯეელი: გულ-
ში მტკიცე რწმენა უზის, მკლავში—ენერგია უშრეტი. ცრემლი რას ჰქვია? ეს
ოდნავი ჩვილობა იყო, შესაძლებელია სისუსტეც, მაგრამ მაინც უფესვო და წუ-
თიერი...

მაზუთის სადინარს ყური გადაუგრიხა. ხელში კანაფის ზინზლიან ბურღოს
აგუნდავებს. თვალი კოცონად ენთება. ღრანქები დოლაბის ქვებივით ხრაშუ-
ნებენ:

რას დადუმებულა ბებერი ნაგაზი?!

მემანქანე სივრცეს გასცქერის, ლიანდაგს რომ გაუსერავს მზეზე მოლაპ-
ლაპეს.

წინ ტიალი ველი გაშლილა, აგვისტოს ხვარტით გადარუჯული — არსად
ხე, არსად ბალახი. მლაშე ქვიშნარში ცხოველთა ძვლები ჰქატიქათებს. ჩედ ყვავ-
ყორანი დაჭფარფატებს მშიერის ყრანტალით.

გადახრილი მზე ჰაერს ასქელებს. საითგანღაც უეცრად დაიძვრის მოქან-
ცული სიო. კბენია-ნარებს დაურბენს, მტვერს ააყენებს, ააბულულებს. მოდუნე-
ბულ ფრთას ორთქმავალშიც შეჰყოფს. ზეთისა და მაზუთის სუნს შეაზავებს,
ოფლიან სახეებს წებოსავით შეეზილება. მერე უეცრადვე გაჰქრება, თითქოს
ბორბლებს ქვეშ დაიმაღლაო.

ხახამშრალი რკინის-ცხენი ქშინავს და ქსუტუნებს: მუხლის ძალა აღარა
ჰყოფნის. სარქვლები მშრალად ჩურჩულებენ: აჰ, წყალი... ოჰ, წყალი!

მემანქანე კვლავ კაქკაჭივით სკუპს. უძრავია, მაგრამ მატარებელი ვით
დაეწიოს მის ფიქრთა ლტოლვას:

უუჰ, რამდენი ხანია გადაიქროლა ეს ტრამალი ადგილები. გადაირბინა
სამშობლოს ბალ-ვენახებიც, მადლიანის ნაყოფით რომ დატვირთულა. ავიონის
ფრთებით გადაეწლო მრისხანე პონტოსს. უკან მოიტოვა დაქვრივებული სტამ-
ბული, მერე კირჩხიბა-მორეა, ხრიოკი აპენინი და... ეხლა მსოფლიო ქალაქის ქუ-
ჩაბანდებში დაძვრება თვალგანიერი...

ნეტავ რა უნდა? ვის ეძებს ან რა დარჩენია იმერელ ნაგლებარს ქედმაღალ
გაღლების ქვეყანაში?!

სოლომ ხმამაღლა ჩაახველა, ისე, დუმილის გასატეხად. დააყურა. კვლავ
ჩაახველა. რალაც აახრაგუნა.

არავითარი შედეგი: თითქოს არც კი არსებობდეს მემანქანისთვის.

ფინთიხივით შეტრიალდა. საზეთეს წიხლი ჰკრა. რალაც წაიდუღუნა —
წყევა თუ გინება. მერე ხელსაწყობის ყუთი აჰხადა. ფუთა რამ ამოათრია, გულ-
დასმით შეხვეული. გახსნა. წიგნი ამოიღო, წითელ ყდას რომ მაზუთის ლაქები
აჩნდა თითებით ანაბეჭდი. სკუპი შეაბრუნა. დაჯდა და კითხვა დაიწყო გარ-
კვევით, ხმამაღლა.

კითხულობს, რაც მამებს დაუწერიათ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, შვი-
ლების გასაწვრთნელად:

...„უამისოდ მწერლობას ვერ განვაფითარებთ. ჩვენ უნდა დავეწიოთ კაპი-
ტალისტურ ქვეყნებს“...

შეხუთული ჰაერი უეცრად სარკასტულმა ხარხარმა შეარყია, თითქოს მთა-
ში ზვაფი ახრიალდაო:

— უნდა დავეწიოთ, ა? ჰა, ჰაა, ჰააა! ქართული ურმით ხომ არა?!

და იცინის, იცინის ძველი მუშა მსუყე, გულამომჯდარი სიცილით.

სოლო შეუვალია: დინჯად განაგრძობს, წიგნის სიტყვებით უპასუხებს:

...„არათუ დავეწიოთ, უნდა გავუსწროთ კიდევ. ეს არის ჩვენი უდიდესი
ამოცანა“...

ორთქმავალი ხენეშის და მოსთქვამს — თავისი გასაჭირიც ეყოფა. რონოდები კრაქუნით, ბორბლები ტაშისცემით აქეხებენ. მარცხნივ და მარჯვნივ ხრიოკი გორაკები მოსდევენ. შორს, შორს, ბულიან სერებს გადაღმა მზე მიიპარება.

გამგუნებულნი აქეთ-იქით გასკუბულან. კომკავშირელი წრეწილი უჭიდება. მემანქანე კვლავ თავის ფიქრებს ასდევნებია.

სიძულვილი ყუჩობს, სათვალთვალო სოროში განაბული.

„მომწონს ვარდი, მზიბლავს იააა“...

თითქოს ფიქრებს გაეხმაურაო, წყნარად ჩაილილინა მემანქანემ, მაგრამ რეფრენი აღარ დაასრულა და ისევ ღუმილს მიეცა.

არ დაასრულა, მაგრამ სოლოს რა გამოეპარება: თვალი შევარდენის აქვს, ყურთასმენა ხანჯალივით ნალესი. ო, კომკავშირელმა იცის, ძალიან კარგად იცის, მტრის ყოველი ქარავმა თუ ქორონიკონი! დღეს ხომ არ გაუცნია მხოლოდ თავისი ძველი ოსტატი და მასწავლებელი!

გიგო არ იყო, რომ გაკერებულ მამას თითქმის ძალით წაართვა პაწია სოლო და რკინის გზის სახელოსნოში მისცა შეგირდად? ამან არ აადგმევინა ფეხი, როგორც ხელობაში, ისე თვითშეგნებაში? ამანვე არ ასწავლა ქვეყნის გამიჯვნა ორ შეურიგებელ ბანაკად? განა გიგომ არ მისცა ხელთ კლასთა ბრძოლის ხასხასა დროშა და უანდერძა: „ამითი სძლევდეთ?!“

სოლომ ირიბული თვალი შეავლო ყრუ-მუნჯად გაქეავებულ გიგოს და უნებურად მუშტი გამოსკენა.

...ჰო, ამან... ამან მიანიჭა ყველაფერი ეს, მაგრამ... მერე ძმარი და ძიმწარე დაასხა თავისივე ხელით ნანერგსა და სიყვარულით ნაზარდს... იმ დროს, როცა მის მიერ ნალოლიავებ ოცნებას ხორცი უნდა შეესხა; სწორედ მაშინ, როცა საჭირო იყო ნაწრთობი იარაღის მარჯვედ მოქნევა და საამაყო დროშის უფრო ზეალმართვა, ძველმა მასწავლებელმა ერთბაშად უტია და გულგრილად უთხრა:

— კმარა! მახვილი ქარქაშს ჩააგე, დროშა დაჰხარეო.

გაჰქრა, ძირიან-ფესვიანად ამოიბუგა მადლიერებისა და სიყვარულის შევნიერი ყვავილი, მოწაფის სულში რომ ჰხარობდა ოდესმე ძველი მასწავლებლისადმი.

...ეხლა? ეხლა გული შხამითა და კოლინჯითაა სავსე. ამიერიდან მის წინაშე მოძღვარი კი არა, მტერი სდგას, მოსისხლე მტერი — უნდო და გამწარებული, ვით ერთს კოლოფში მოთავსებული ორი ხვალი მორიელი. ვინ ვის დაჰგესლავს?!.

მატარებელმა ხიდი განვლო, ისტორიული წითელი ხიდი. რონოდების ძიძგინმა სინამდვილეს დაუბრუნა ჭალარა მემანქანის ახალგაზრდული ოცნება. ლომის ფაფარივით აყრილი თმა თითების გაცმით შეისწორა და ეხლა გარკვევით ჩაილილინა:

მომწონს ვარდი, მზიბლავს ია,
მიყვარს ნოე ქორდანია...

სოლო გველნაკბენივით შეხტა. წიგნი ხელუკუღმა ისროლა. დოინჯი შემოიყარა და...

ორი წყვილი თვალი ერთმანეთს შეხვდა. არა. კი არ შეხვდა, დაეჯახა უზოგველი. გაუტანელი. დაეჯახა და ერთ ხანს ასე დარჩა დამიზნებული!

იბრძვიან თვალები: სინჯავენ, რბილავენ ერთმანეთს, ~~ეჭვობენ~~ და ისევ მიეტევიან უფრო მარჯვედ, მოხერხებით. ფანდი და ~~გქამანდი~~ ~~სამსკვალის~~ ეძებენ მეტოქის მომტებს—ესობიან, ექდობიან, ელურსმებიან. ვინ ხარ მამაცი!..

თითქო საცალფეხო ბოგირზე შეხვდენ ერთმანეთს: არც აქეთ, არც იქით. ერთ-ერთი უნდა იძლიოს, გადაიჩეხოს. არც დათმობა, არც გვერდის ავლა—აქ არჩევანი აღარ არის!

ყურს რომ ამ ბრძოლის ხმაურის დაქერა შესძლებოდა, ვერდენის მორტირების გრიალი თამაშობიად ეჩვენებოდა.

მემანქანე ერთბაშად შეირხა. ცქერა გაჰხარა, თითქოს შეკრთაო, მაგრამ არა. ნაცადი თვალი ორთქმავალს გარედ გააგდო: სადგური შენიშნა შორეული.

წარბი გახსნა. შუბლი მოუშვა და უფროსის მკვეთრი ხმით მიახალა თანაშემწეს:

— სიგნალი!

დოინჯშეყრილი მარჯვენა მყის თასმასავით დაეშვა. სწვდა საყვირის კარბას და ორთქმავალი კაპასად ააკივლა, გაბმით წვეტიანად, თითქო მაშველს უხმობსო.

მაგრამ ზავი უკვე ჩამოვარდა არა სრული, დროებითი.

მოვიდა ვილაც მესამე, უხილავი და ძლიერი. ბრძანების ხელი აღმართა და მოსისხლენი უსიტყვოდ დაუმორჩილა იმას, რაც ერთად-ერთილა იყო მათი საზიარო შემრიგებელი: მოვალეობა.

სოლო დისციპლინის კაცია. თუმცა არ იამა ეს კილო—უფროსულად უკმეხი, მაგრამ გულს მაინც ჩაუხმო, აჯაგრული ჟინი დაიშოშმინა.

კვლავ მანქანას მიუბრუნდა. მოარგო, განაწესრიგა. საზომს დახედა, ზედმეტი ორთქლი გაუშვა. მერე კარს მისდგა, ოდნავ გადაეკიდა.

-- სემაფორი დაკეტილია.

თავისთვის წაიდუღუნა.

მემანქანემ თვალთ ისევ საყვირი ანიშნა.

ორთქმავალი ჰკივის, თან სვლას უკლებს.

არაფერი. არავინ.

სემაფორი მაინც დაკეტილია. მატარებელი ზედ მიადგა.

— სტოპ!

სდგას და მშობიარესავით გაჰკივის.

სადგურიდან ვილაც გამოსძვრა. ლიანდაგში ჩასდგა. დაწურულს მზეზე პეშვით თვალი დაჩრდილა. მერე მწვანე ბაირალი აიქნია და მატარებლისკენ წამოვიდა.

ორთქმავალი კვლავ აბორძიკდა.

— რა ამბავია?

გავლით გადასძახა მემანქანემ.

სადგურის უფროსმა ეშმაკურად თვალი ჩაუკრა.

დაპფუქე ჩქარა ეგ შენი სტვირის გუდა!

და ბაირალიანი ხელი ენერგიულად ჩაიქნია.

მემანქანემ ჯერ თანაშემწეს გადაჰხედა, მერე ისევ სადგურის უფროსს.

— იქით აღარ წავა. ნაბრძანებია.

სთქვა უფროსმა და სადგურისკენ გაბრუნდა.

მემანქანის დაღარულ შუბლს უცნაური, იქენარევი იერი დაემთხვა: შეიკრა და შეიკოპა. აწრიალებული აზრი რალაცას მიეტია. ხსოვნა დაიძაბა. თვალი გაწვეტიანდა. ცოტაც და...

მიხვდა ბებერი ტურა!

— ნუ თუ უკვე?!

თავისთვის წაიჩურჩულა თბილად, იმედიანად.

შუბლის მიკრილი ნაოქები უეცრად დაეხსნა, თვალთა გუგაში კელაპტრები აენტო, სალხინოთ მოკიაფე. ულვაშით დაბურული ტუჩი ქიშკარივით გაიღო და ხალისიანმა ღიმილმა მაგარი, ნაფოტა კბილები გამოაჩინა. გულიც... მუდამ გაუტეხელი გული ერთბაშად ამღერდა.

— ნუ თუ?

განიმეორა და თანაშემწეს მიუბრუნდა:

— ცეცხლი ჩააქრე. ორთქლი დასწრიტე.

აფრენილივით მოსწყდა ყაფარი კიბის საფეხურებს. სადგურისკენ გაექანა.

სულ სხვა დროება წარმოუდგა თვალწინ— შორეული, მაგრამ მაინც ახლო, ხშირად განცდილი: რამდენჯერ დაუბორკავს ასე უეცრად თავისი რკინის ცხენი უჩინარ და უძლეველ ც. კ. ბრძანებით; სადმე ჩიხში თუ შუა გზაში მიუტოვებია უპატრონო, თვით კი გაფიცულ ამხანაგთა რიგებს ჩარევია მკლავდაკაპიწებული... რამდენჯერ, სწორედ ასევე, გული საგულეს აღარ დასტევია ბრძოლას მოწყურებულს. ვინ მოსთვლის ყველა იმ გარემოს თუ გარემოებას, სადაც ვაჟკაცური ბრძოლა გადაუხდია ნამდვილი, რევოლუციური...

რამდენჯერ კიდევ, პირიქით, საკუთარის ხელით ანაზღად გაუთბია გაციებული მანქანა და, რაზმელებით ქოჩრამდე დატვირთული მატარებელი, მოძრაობის ყოველივე წესის გარეშე, აღმა-ჩაღმა უქროლებია: ტყიბული, შორაპანი, წიფა...

ძველი მუშის გული გლოვის ზარით აზრიალდა: გონების ეკრანზე ეხლა, ვითომ გუშინდელიაო, სხვა სურათები აფორიაქდენ:

... ლორი-ბამბაკის ვიწრო ხეობანი, წითელი ხიდი, იალღუჯისა და კოჯრის მალღობები, სურამის უღელტეხილი... მარცხი და დამარცხება... სირცხვილი და კნინება. არა, არა! ეს აღარ იქნება. აღარ უნდა იქნეს... სირცხვილი უკვალოდ უნდა წარიხოცოს. მარცხი წინდახედულებამ, დამარცხება გამარჯვებამ უნდა დააგვირგვინოს!..

ფიქრი ფიქრს ენაცვლება მწველი, მოუთმენელი.




კანტორაში ტელეგრაფისტი ახლადმიღებულ დეპეშს უკითხავს სადგურის უფროსს.

მემანქანე კუნძივით შევარდა.

— მაშ, დაიწყო?

— გუშინ, კიათურაში.

თანამოაზრეებმა სიხარულის თვალეზი გადანასკვეს.  ქელეზი ჯერ ერთს მოეხვია, მერე მეორეს. ერთმანეთი გადაჰკოცნეს...

სოლო ორთქლმავლის კარს მიმდგარა. კანაფის სუფთა ნაჩეჩით თითებს იშვრალებს. თვალი ჰორიზონტისთვის გაუსწორებია იქ, სადაც მთვარესავით დამცხრალი მზე უსხივო ჩაესვენა. სწორედ იქ, გატუსულ სერებს გადაღმა ეგულვება გავარვარებულს ტაფობში ჩაქედილი დიდი ქალაქი, ახალი ცხოვრების მესვეური და სანუკვარი.

ბინდმა დახშული ჰაერი უფრო დაანესტიანა. ჭაობიან ლაქაშებიდან ლეგიონებად წამოიშალენ შხამიანი კოლოები და ერთხმოვანი სიმღერა გააჩაღეს სულდგმულთა გამჩანაგებელი.

უტიფარის ზუზუნით ესხმიან იგინი კომკავშირელის გარინდებულ თავს, მაგრამ სოლო ვერასა გრძნობს. მას სულ სხვაგვარი ისრები ესობიან უფრო მწვავე, უფრო მჩხვლეტავი.

წინაგრძნობა ჭირვეულად ჰბორგავს, ეჭვი არ ისვენებს: ეს დღევანდელი დღე—უხიაგი და კვიმატიანი. მოულოდნელი გაჩერება. მემანქანის საქციელი, შემპარავ ძაღლივით რომ იღრინება. სადგურის უფროსი და მისი ქარავმები... გარემოს თვალი მიმოაელო.

საკვირველია:

თითქოს ამ ქვეყნად ყველაფერი უწყვეტის ჯაჭვით იყოს გადაბმული. თითქოს არც უამი არსებობდეს, არც სივრცე, არამედ ერთი მთლიანი, დიდი და დაუსრულებელი აწმყო უსაზღვროდ განფენილი. აი ეს შიდამოები... ასე ნაცნობი, ასე ხშირად განვლილი. თითქოს ოთხ წელს კი არა, მხოლოდ ოთხ წუთს გაევილოს მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანიდან წითელ ჯარს შემოჰყვა სამშობლოდან იძულებით ლტოლვილი...

რა ნათლად ჰხედავს: აი ქარტახილივით ჰგუგუნებს ტალახისფერი ჯავშნიანი. ზანტად იძვრიან ქანცმილეული რაზმები, დაფლეთილნი, ფეხშიშველნი... თვალი ვერ სწვდება მათს აქანებულ რიგებს... თოვლქყაპი, სიციფე, სიმშილი... მაგრამ მაინც ოხუნჯობენ, მიდიან, მიიმლერიან... სოლოც მათ მისდევს. უკან—ათასი ჭრილობითა და ტკივილით განვლილი უცხო გზები. წინ—სანატრელი მშობლიური მხარე, რომლის კარებიც ძმათა შორის ჩამოვარდნილ შულს მტკიცედ გადაურაზავს, თითქო სოლო სამტროდ იყოს მოსული... მერე ვინ ჰქნა? ვინ ჩაიდინა ასეთი დანაშაული? ვინ გადაუკეტა ობოლ სოლოს თვისი ქოხის კარები თოკითა და ზარბაზნით? ვინა და... გიგომ! ძველმა მასწავლებელმა, მემანქანე გიგომ...

ნეკზე იკბინა. ტკივილმა გამოაფხიზლა.

— დიახ, გიგო დღესაც ხანჯლით სდარაჯობს სოლოს ღარიბი ქობის კარებს!

ხმამალლა წამოიძახა და კანაფის ბურღო ინსტიქტიურად შორს გზისროლა. მანქანებს მიუბრუნდა. ორთქლის გაშვება განიზრახა, მაგრამ უეცრადვე გადაიფიქრა.

— ჰაი, დედასა!

მუქარით მიიძახა ვილაცას და ორთქლმავალზე მოწყვეტ ჩამოხტა...

ტელეგრაფისტი აპარატს უზის. უფროსი და მემანქანე ყურდაცქვეტილნი ჩურჩულებენ. თითქოს აპარატისა ერიდებათ ან ეშინიანთ არაფინ გაიგონოსო.

— მთელი იმერეთი თურმე გაწმენდილია მაგ ციგნებისგან... გურიიდან 10.000 კაცი იძვრისო ტფილისისკენ.

ბათომს საფრანგეთის კრეისერები მოსდგომიან... ეხლა საქმე ტფილისია. თუ ღმერთმა ინება და...

კარები კომკავშირელის ბრგე ფიგურამ შემოარღვია. სადგურის უფროსს სიტყვა კბილებში შერჩა გაციებული, მემანქანემ რატომღაც მარცხენა ყური წაისრისა. ტელეგრაფისტმა აპარატი ააჩხაკუნა უსაქმოდ.

ღუმელი წუთის, დარცხვენილი და ღრმა.

— რაშია საქმე, ამხ. უფროსო? — ისროლა სოლომ.

სადგურის უფროსმა თვალი აღმართა. მერე ისევ დაჰხარა. ტუჩი წაუშვა, კისერი წაიგრძელა და ორივე ხელის ცერი თოფის ჩახმახვით წამოაყენა: არაფერი ვიციო.

— მაშ, რათ არ გვიშვებ?

— განკარგულებაა... ტფილისიდან.

— ვისი? რისი?

სადგურის უფროსმა მემანქანეს გადახედა, თითქოს პასუხის ნებართვას ითხოვსო. მერე გაუბედავად წარმოსთქვა:

— მე იმდენივე ვიცი, რამდენიც თქვენ.

ძველმა ოსტატმა უღვაშებში ჩაიციინა, რაც სოლოს თვალს არ გამოჰპარვია.

— რა თავს იგდებთ!

ბრაზით დაიყვილა ჭაბუკმა და ჯიქურ მიიწია.

მემანქანე ნელა წამოდგა, მოყვრულად მიუახლოვდა, მხარზე ხელი მოუცაცუნა და მამა-შვილურის ხმით, ვით ოღესმე, ტკბილად უთხრა:

— დამშვიდდი, ჩემო კარგო! ის ამბავია, რომ ხალხი... უმადური ქართველი ხალხი აჯანყდა... მუ-შუ-რი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ეს „მუშური“ რალაც განსაკუთრებულის ხაზგასმით წარმოსთქვა და იმავე წესით, როგორითაც ადგა, კვლავ თავის ადგილს დაუბრუნდა.

კომკავშირელს არაფერი ესმის. არა, ესმის, მაგრამ სასაცილოდაც არ ჰყოფნის ამ კონტრრევოლუციონერების ბროდიალი.

— რაო?! ჰა, ჰაა, ჰააა! იქნებ ეგ აჯანყება თქვენი მოწყობილია ამ ტიალს მინდორზე... ყვაგებისა და ბაყაყების წინააღმდეგ!..

ძველი რევოლუციონერი ტელეგრაფისტს მიუბრუნდა. თვალით სატელეგრაფო ლენტი ანიშნა.

— შიართვი, საკუთარის თვალით დარწმუნდეს.

წაიკითხა. ბურბუშელასავით დაჭმუჭნა...

გრიგალმა თუ გამოისროლა გარედ ამოდენა ვაჟკაცი ^{მოსისხლენი} ~~ესევე~~ მოწვევით, ასე ერთბაშად! აღარაფერი ახსოვს, კანტორიდან სიმღერა მოისმის: ^{მოსისხლენი} ~~მოსისხლენი~~ ტრეტრევილიუციური, ნიშნისმოგების.

ცალიერს ბაქანზე სდგას, მიმინოსავით აწურული. არსად ადამიანის ჭაქანება. სადღაც ლიანდაგს გადაღმა თავგამოდებით ყიყინებს ბაყაყთა ჯარი. სადგურის ფარნები საცოდავად ბეუტავენ, თითქოს ძილს ებრძვიანო. ნესტიანს წყვდიაში ვეშაპივით გაწოლილა ოდნაგმოშიშინე ორთქლმავალი.

მის დანახვაზე აზრმა იელვა: იქ, ტფილისისკენ. ამხანაგთა რიგებში!

რონოდის ქვეშ შესძვრა. ორთქლმავალი მოხსნა. ცეცხლი გააჩალა. ჩარხები გასინჯა.

— მაშ, ასე: ერთხელ კიდევ გვიწვევენ მოლალატენი, მოსისხლენი... მერე რათა? იქნებ იმიტომ, რომ ხალხის მტრებისადმი საკმაოდ სასტიკნი არ ვიყავით! ჰო და ინებონ—დე, იწვნიონ ჩვენი რისხვაც და სამართალიც!...

ვეშაპმა სული მოითქვა, აქშინდა, ახვიხვინდა. ჩარხი გადასწია, საორთქლემ შიშინით უპასუხა. ორთქლმავალი ერთბაშად დაიძრა.

... ჩქარა, ჩქარა!... თავისიანებთან.

— შენ, ჰეი, გველის წიწილო!

გაისმა უეცრად წყვდიაში და სახელურს ვილაც დაეკიდა ხრაშუნით, ქვიშაზე ფეხის ათრევით.

— ე რეებს მიჰქარავ აქა?

ჰქოშინებს მემანქანე ქეჩოაყრილი.

სოლო ხმას არ იღებს. ჩარხს უტრიალებს. მანქანა მუხლს იმართავს. რიტმიულის ძიბვინით მისრიალებს.

შენ გეუბნებიან! უფროსი ვარ თუ ვირის თავი?!

ეხლა უფროსიც მე ვარ, მბრძანებელიც.

თვალი კვლავ თვალს მოხვდა ანთებული, მგლის თვალი. ორივემ სისწორით ამოიკითხა, რაც შიგ ეწერა: ხნიერს ელდა ეცა, ახალგაზრდა უფრო აილესა.

დააყენე მეთქი!

იხავლა ოსტატმა და მკლავში სწვდა ნამოწათარს.

მაშ, აჰა, მოლალატევ!

და აღმართულმა კვერთხმა ჯერ შინის სარკმელი ჩაამსხვრია, სანამ მემანქანის თავს დაეცემოდა. მისი საშველიც ეს იყო სწორედ: ძველი ტერორისტი შვილდივით მოილუნა...

რკინის ცხენმა მიშვეებული სადავე იგრძნო: გაჰკრა, გაუტია. აღარც სწორი უჩანს, აღარც ხვეული. ფაფარი კომლის აუსხამს, ძუა კი მტვერისა, მიჰქნობს, მიჰქრია...



პოეტის გული

როცა გულს ეჯიბრება ღამე გაუთენარი,
გულის ძგერას ყურს ვუგდებ სახე-გაფითრებული.
მიმაქროლებს საღლაცა გული მოუსვენარი,
სიჩქარეს და განსაცდელს მუდამ შეყვარებული.

უფსკრულის წინ თვალები შიშით ჯერ არ დახრილა,
საშიშარი მანძილი ბევრჯერ გამიზომია.
ო, რამდენი სინათლე ჩემს თვალებში ჩაღვრილა,
და რამდენი ვარსკვლავი ფრთებზე შემომსხდომია!

სასწაული არ ვიცი უფრო შეუცნობელი:
როგორ უძლებს, — მაკვირვებს, — გრძნობას უმხურვალესსა
ეს პატარა მანქანა, ასე დაუცხრომელი,
ეს პატარა მოტორი უცნაურის ძალისა!

აღბად გულში მზე ჩადის ციდან გადმოღვარული,
მიტომ იწვის მარად-უამ გასაოცარ ანთებით
უნაპირო საწყაო უზომო სიხარულის,
საკვირველი ჭურჭელი, ამდენ ჭირთა დამტვევი!

თუმცა ბრძოლის სიმწვავეს ბევრჯერ გაულეწია, —
გული მაინც საესეა სინათლით და რიტმითა.
გული მაინც საღია, თუმც კალარა მეწვია,
თუმცა ბევრმა იმედმა ბევრი ჭირი იტვირთა.

ვინ დაჩრდილავს პოეტის გულის პატიოსნებას!
ვინ გაჰბედავს ამ გულის მზაკვრობაში ჩათრევას?
რა გამოლევს ამ გულში სიხარულს და ოცნებას
ვიდრე გული არ დაშრეტს სისხლის მზიურ შადრევანს?



გ უ ლ კ ა ნ *)

რომანი

ნაწილი პირველი

იქ, სადაც ყვირილა დაუახლოვდება რიონს, სამხრით რომ გაიხედო, დაინახავ დიდ ტყიან სერებს. ეს ერთი ერთმანეთზე გადმომდგარი ტყიანი სერები ლაქვრად არშიებათ არის გაკრული სამხრეთის ცაზე. ერთგან ამ ლაქვარდში მოჩანს ვარსკლავსავით მიკრული თეთრი ეკლესია. ასეთი შთაბეჭდილება აქვს შორიდან ამ კუთხეს, მაგრამ ახლოს რომ მიხვალ, ლაქვარდის მაგიერათ ერთი მეორეზე გადაგრეხილი ათას-ნაირი ხეობები შეგხვდება. იმათ ძირებში შფოთვენ და ქოთვენ მოვერცხლული ხევის წყლები; მათზე ჩამწკრივებულა უზარ-მზარი მუხნარი და წაბლარი; ხეებში შიგ ჩახლართულან მზიარული მწვანით შემოსილი შქერის ტოტები, დაშვენებული დიდი სოსანი ყვავილებითა.

*) გიორგი წერეთლის ეს რომანი, რომელსაც ჯერ „გ ვ რ ი ტ ი ა“-ს უწოდებდა ავტორი იბეჭდება პირველად. მეფის ცენზურამ სასტიკათ აკრძალა ამ რომანის დაბეჭდვა. ხელთნაწერის პირველ გვერდზე საცენზურო კომიტეტის შემდეგ „განაჩენს“ ვკითხულობთ:

„По журналу Цензурного Комитета 14 августа 1896 г., определено: в виду тенденциозного содержания настоящей рукописи под заглавием „Гулкани“, напечатание таковой запретить и удержать при делах Комитета.“

Председатель Комитета М. Гагер.

Секретарь Н. Меликнубаров.

1899 წელს გ. წერეთელმა რომანს სახელი გამოეცვალა. — „პირიმზე“ დაარქვა. — და უმნიშვნელო ნაწილის დაბეჭდვა კიდევაც მოახერხა „ქვალის“-ს მე-11 №-ში. ცენზურისათვის არც ეს „ხერხი“ დარჩა შეუმჩნეველი და საცენზურო კომიტეტმა ხელმეორეთ აკრძალა „გულქონ“-ის გამოქვეყნება. ხელთნაწერიც 1917 წ. რევოლიუციამდე საცენზურო კომიტეტის არქივში „განისვენებდა“.

გ. წერეთელს განზრახული ჰქონდა რომანის სამ ნაწილად შედგენა. პირველი ორი ნაწილი დაამთავრა კიდევც, ხოლო მესამე ნაწილი — ცენზურის წყალობით — დაუმთავრებელი და დაუმუშავებელი დარჩა. ჩვენ ვბეჭდავთ რომანის პირველ ორ ნაწილს ავტორის სტილის დაცვით და შემდეგი უმნიშვნელო შესწორებით: იმერეთის მაგიერ ხელთნაწერში, ცენზურის შიშით, „ხორხიანეთი“ სწერია, ქუთაისის მაგიერ — „ქვიანა“ და გუბერნატორის ნაცვლად — „ხორხიანეთის გამგე“.

ამ ხევ-ხევს ზემოთ ერთ ბევზე დაცემული ტრიალი წინდორია, შექუჩებული დიდრონი კაკლის ხეებით აფერადებული. ერთ ალაგას დღესაც არის იქ კოშკის ნანგრევი, რომელსაც ძირში ჩამოუჩქრიალებს ძველი ღრატოს წყალი, აღმასივით ანკარა და ისეთი ცივი, რომ კაცს კბილებს დააყრუვინებს. ამ ღრატოს წყალში დღესაც გამოდის ახალ გაზაფხულზე თევზი: მთის წვერა (მურწა) და ცქვიტი კალმახი. ისინი ღრატოში შედიან ზამთრის პირბრუნვით, წყალი ძალიან გაცივდება, ჰაერში ჭირხლი გადგება და მინდორზე რთვილს გააგდებს ხოლმე. მთელ ზამთარს ისინი კლდის ღრატოებში თბილათ ატარებენ, რომ გაზაფხულზე ისევ გამოინავარდონ ანკარა ხევში და მზის შუქით ისევ აიპრილონ ქეჩოები.

იყო დრო, როცა გაზაფხულის ტკბილი ჰაერით და მზის გამაცოცხლებელი სხივებით გამოწვეული თევზთა გუნდი ბოლოების ტყაბუნით ასობით ვარდებოდენ მეთევზისაგან დაგებულ ფაცრებში დიდებული ბაკურიძის სუფრის დასაშვენებლათ. დღეს ძველი კოშკი ძირამდის დარღვეულა და შიგ გაუშლია ტოტები უზარ-მაზარ ცაცხვის ხესა, რომელსაც მთელი ამ კოშკის ნანგრევი და მინდვრის მიდამო სამკვიდროთ დარჩენია. ამ ნანგრევებს ზემოთ გადმოჰყურებს თეთრი ტაძარი, რომელიც შორიდან ვარსკვლავათ გამოჰკიაფობს მთების ლაქვარდის სიერცეში. ახლა ეს არის სამრევლო ეკლესია სოფელ ბაკურიანისა. სულ არ იქნება სამოც-და-ათი წელი მას აქეთ, რაც იგი აგებულა ძველ ნანგრევ მონასტრის მიდამოზე.

თქმა არის, რომ ოდესმე ამ ალაგებში ცხოვრებდა დიდებული ბაკურიანის გვარი, ახლა კი თვით იმ მინდორზე ერთი ვერსის მანძილზე ძველი კოშკის ნანგრევიდან და იმ ღრატოს წყლიდან ქოჩორა ტყეში თავი ამოუყვია ყავრით გადახურულ ძველ ოდას, რომელსაც გარშემო აივანი აქვს შემოვლებული და ქვეშ ქვითკირის პალატი. აივნის სვეტები და რიკულები დღესაც შვენიერი გრეხილით არის მოქანდაკებული. თვით ოდას ფანჯრების მაგიერათ ხის ოთხკუთხი რვამწკრივი კუბოკრული სანათურები აქვს დატანებული უსარკმლოთ. მთელი ოდა სულ ძელქვისაგან არის ნაკეთები თათრების ხუროებისაგან. თვით ბაკურიძის პაპა, როგორც ბაკურიძე ამტკიცებდა, სოლომონ დიდის მდივნათ ყოფილა. როდესაც მეფეს თავის ცხენოსანი ჯარით ციხის ძირი გადულახავს და ბათუმში აუღია, ბაკურიძის პაპა მეფის ჯარში მედროშეთ ყოფილა. მისი შვილი შვილი ბაკურიძე ამტკიცებდა, რომ მისი ოდა იმ დროის აშენებულია თვით მეფის ხუროებისაგან, რომლებიც თურმე ახალციხის ფაშას გამოეგზავნა მეფის კარზე. ეს ხუროები ნამდვილი ახალციხელი რუხაძეები ყოფილან, მაგრამ, რაკი თათრის რჯული მიელოთ, ამიტომ თათრებს უწოდებდენ, თუმცა არც ერთს თათრული ხეირიანათ არ ცოდნია და დარბაისელ მესხურ-ქართულს ლაპარაკობდენ.

თვითონ ბაკურიძისთვის რომ გეკითხათ, მისი შთამოება ვითომც ვახტანგ გორგასლანის შვილი შვილის, მეფე ბაკურიდან ყოფილიყოს მომდინარე.

— ჩვენმა გვაროვნების სიგელმა, ტყავზე ნაწერმა, თვით პაპი ჩემის დრომდის მოაწიარ, მაგრამ როცა იმერეთი რუსმა დაიჭირა—სიგელი გადაგვე-

მალა, დღემდისაც ვეძებთ და ველარ გვიპოვნიაო!“ — იტყოდა ხოლმე ამაყი ბაკურიძე და მწუხარების ნიშნათ წარბს შეიხრიადა.

ბაკურიძე გამოჩენილ თავადათ ითვლებოდა მთელ ხორნიანეთში უფრო იმისთვის, რომ მუნდირი ჰქონდა ნიკოლოზ ხელმწიფის დროისა და დიდათ თავს ბქებდა იმითი, რომ როცა გურიას ბუნტი მოხდა, ბაკურიძე ღონგრალ პუზირვესკის თან ახლდა, როგორც გურიის მთებში გზების და ბილიყების კარგი მცოდნე.

ამას გარდა, მრავალი ნათესავეებისა და ნათელ-მირონების გამოისობით განდგომილი გურიის ჯარების ამბავი მიჰქონდა გრიგოლ წერეთელთან და ამის მოხერხებულობით რუსის ჯარები მოულოდნელათ ეცემოდენ გურულების ბანაკებს და აძარცხებდენ მათ. ბაკურიძეს ძალიან შეუყვარდა ცინცხალი ოქროები და იმის გულისთვის ცოლსაც გაჰყიდდა, რომ შეხვედროდა.

ხალხში იყო კიდევ გავარდნილი ხმა, რომ ბაკურიძის ოჯახი უშვილ-ძირით გადაშენდებოდა, რომ ერთ შემთხვევას მისთვის მემკვიდრე არ მიენიჭებიაო. მართლაც რომ საკვირველება მოხდა მის თავზე. ოც-და-ათი წელი გასულიყო, რაც მას ცოლი შეერთო, თ. ანასტასია დევდარიანის ასული, და ჯერ კიდევ მემკვიდრე არ გაჩენოდა. რაც სახელ-განთქმული მონასტრებია გურია სამეგრელოში, — თ. ბაკურიძის მეუღლეს სულ დაეველო სალოცავათ, მაგრამ მაინც არა შევლებოდა რა. ბოლოს ცაიშის მონასტერში ერჩიათ წასვლა ფეხშიშველა; ანასტასია დევდარიანის ასულს ბაკურიძისას მაისის ღამეებში ერთი კვირა გაეთია ცაიშის საყდრის გაღავანში მუდამ ლოცვა-ვედრებით და ღამის თევაში.

ხშირათ იცოდა ანასტასია ბაკურიძის მეუღლემ თავის მეზობლებში ამ ბედნიერ შემთხვევაზე საუბარი, როდესაც ცაიშის ღვთისმშობელს შეეწყნარებია მასი ვედრება და სიზმარში მიევიდნა მთავარ ანგელოზი გაბრიელ ბრწყინვალე არხისტრატილის სამკაულში იმ დროს, როცა ანასტასიას ტაძრის გაღავანში მწვანე მოლზე მიძინებოდა. „გიხაროდეს, ანასტასია! ლოცვა შენი შეისმინა ღვთის მშობელმა და შენ გეყოლება ძეო!“ — მოესმა ხმა ანგელოზისა.

— დიდება შენ საკვირველებასაო! — გამოისახავდა ანასტასია დევდარიანის ასული პირჯვარს თვალების დანაბვით ნიშნათ სასოებისა და განაგრძობდა: — ერთ საღამოს დაუჯდომელს ვკითხულობდი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, და ცრემლები ღაპა-ღუპით მოღირღილებდენ ჩემ ორთავ ღაწვებზე. დიდხანს გაგრძელდა ჩემი ლოცვა და ვატყობდი, რომ თან-და-თან უფრო ივსებოდა სასოებით ჩემი გული. ბოლოს ლოცვისაგან დავიქანცე. შუალამე გადასული იყო. აღმოსავლეთისკენ თვალი მოვკარი აღიონის ვარსკვლავს და ისე ტკბილათ ჩამეძინა საყდრის გაღავანში მწვანე მოლზე, რომ ვერც კი შევნიშნე; ძილში ვიყავ თუ ღვიძილში. ის ბრწყინვალე აღიონის ვარსკვლავი თან-და თან მომიახლოვდა და მოახლოებისათანავე სახესაც იცვლიდა, დიდდებოდა, სხივი უფრო და უფრო ემატებოდა, ბოლოს მისმა სხივებმა გაშლილი ფრთების სახე მიიღეს, რომელნიც შრიალ-შრიალით ჩემსკენ მოჰქროდენ და ბოლოს ცხადათ შევნიშნე ფრთებს შორის განსხივებული ოქროს თმა-ხუჭუჭი ახალგაზდა, რომელსაც ხელ-

ში ბრწყინვალე რტო ეჭირა და მიცინოდა. ის გაჩერდა ჩემს ახლოს და განსხივებული ფრთებით მჩრდილადა, თითქოს სიცხისაგან გაოსებულს მაგრილებდა. ენა დამება, ისეთს ბედნიერებას ვგრძნობდი, რომ ჩემს დღეში არ გამომიცდია; ბოლოს მახარა ამ ბრწყინვალე არსებამ, ძე გეყოლებათ და ნელ-ნელა ისევ გამშორდა ლაქვარდის სივრცეში. დილა ადრინათ გამომეღვიძა; ჩემ გულს მხიარული ფანცქალი ჯერ არ შეეწყვიტა; ახალ გამოღვიძებულს განსხივებულ მთავარ ანგელოზის სახე კიდევ თვალ წინ მიდგა.

მე გადმოვდგი ფეხი გალაენიდან, მინდოდა ცივ წყაროზე პირი დამებანა და თავი გამეგრებინა. მივედი თუ არა წყაროს წყალთან, იქ დამხვდა ერთი ოქროს თმიანი ახალგაზდა რუსის აფიცერი, რომელიც პირს იბანდა; ჩემს გაცეხას საზღვარი არ ჰქონდა, ის აფიცერი იმისთანავე ოქროსთმიანი იყო, როგორც სიზმარში მომეჩვენა. მაშინვე წყაროს წყლიდან გამოვტრიალდი, შემოვბრუნდი ისევ ცაიშის მონასტრის გალავანში, ისევ ლოცვით დავდექი და მოლაულულს ისევ წამეთვლიმა. როცა გამომეღვიძა, მზე კარგა მალლა წამოსულიყო, შორს ფერდობზე ოდნათ მოჩანდნ რუსის ჯარის ბამბის კარვეები და ჯარის მუზიკის ხმა ძლივს ლა მოისმოდა. წყარო ლამაზათ ჩუხჩუხებდა და მხოლოდ მისი ჩუხჩუხი გაისმოდა არე-მარეში. რაკი ლამის თევის ვადა გამითავდა, მაშინვე ჩემი ხლებელებით შინ დავბრუნდი; ჩემი გული რალაც შინაგანი მხიარულებით იყო გავსებული, სასოება ცაიშის ღვთის მშობელზე თან და თან შემატებოდა, და ისე თქვენ აგიხდათ ყოველი სიკეთე, როგორც მალე მე ამიხდა ჩემი იმედი. ექვს თვეს შემდეგ ცაიშის ყოფნისა პირველათ ვიგრძენ ჩემ მკერდ ქვეშ ტკბილი ფაჩუნი და დედა ღვთისას მხურვალე ლოცვით მადლობა შევწირე, დედათ გახდომისათვის“. ასე გაათავებდა ხოლმე ანასტასია დეედარიანის ასული მეუღლე ბაკურიძისა თავის ცხოვრების შესანიშნავ შემთხვევას. ყველას სჯეროდა გულწრფელათ ეს სასწაული და მის ერთათ-ერთ შვილს ბედნიერ ფეხზე დაბადებულს უძახოდნ.

თ. რეჭაზ ბაკურიძე დიდი სახელ-განთქმული კაცი იყო ბაკურიანის მთების კუთხეში. ყირიმის ომის დროს ის ორმოც-და-ათი წლის კაცი იქნებოდა, კარგა დასქელებული, თმა-ხუჭუჭა ჭალარა ნარევი. სქელ, განიერ ბეჭებზე პაწია მუჭის ოდენა, თავი ესკუპა, მაგრამ ამ პაწია თავიდან ვინ იცის, რამდენი ეშმაკური მოსაზრებები იბადებოდა სულ იმ ანგარიშით, რომ მეზობელი დაეჩაგრა და თვითონ ამალლებულიყო, ყველაზე დიდი გამხდარიყო, ყველაზე მეტი სარჩო-საბადებელი მოეხვეჭა. ამის გულისათვის მისი პოლიტიკა ძალიან მდაბიო მოსაზრებას მიდევდა: „მთას ზურგი მიაყრდნე, თუ გინდა მუდამ საგრილობელში იყო და მზემ არ შეგაწუხოსო. ამ სოფლის ძლიერთა მორჩილი და მოსამსახურე იყავი. მიჰყევ—მოჰყევი სოფელსა იმ უსამართლოთ მომქმედსაო, თუ გინდა რომ ქარტახილი თავიდან აიცილო და ამა სოფლის სიამით დასტკბეო“. ამ სიტკბოებისთვის ის სამშობლოსაც გაჰყიდდა, ოღონდ ცინცხალი ოქროები ხელში მოეხვეჭა. ყირიმის ომში მილიციის უფროსათ დანიშნეს და მხრებზე ჯინჯილებიც დააკერეს. როცა ომი გათავდა, ყველა შენატროდა მის სიმდიდრეს. ასე ამბობდნ, ბაჯალლოები ბაკურიძემ სულ ფოხლობით მოიტანაო.

ომიანობის განმავლობაში მისი მილიციონერები თავის ხარჯით რჩებოდნენ სოფლებს არბევდნენო. თურმე ბევრჯელ იჩივლეს მისმა ჯარის-კაცებმა უფროსთან: შიმშილით ვკვდებით, რაც ჯამაგირი გვაქვს დანიშნული, ნახევარი მაინც მოგვეცითო, მაგრამ ვერა გააწყვეს რა. ზოგი ამბობდა, ჯარის უფროსს თვითონ ხათრი აქვს ბაკურიძისაო, რადგან ომარ-ფაშა სამეგრელოში შემოსულიყო და ხალხის გული თურმე კარგი კაცობით მოენადირებინა: ზოგი ამბობდა: არა, თვითონ ჯარის უფროსს ბაკურიძესთან პირობა აქვს შეკრული, მილიციელების ჯამაგირიდან რამდენსაც მოირჩენდა, ნახევარი ჯარის უფროსის უნდა ყოფილიყო, ნახევარი თითონ ბაკურიძისაო. აი, ამის გამო ღვთის ანაბარათ დარჩენილი ბაკურიძის მილიცია იყო მოდებული სოფლებში და გავლილ საქონელს, ძროხა ყოფილიყო, ცხვარი, თუ ბატ-ინდოური—არ გადაარჩენდა. ხალხსაც ისე ქონდა გაჭირებული ცარცვა-გლეჯით საქნე, რომ ღმერთს ეხვეწებოდა: „ღმერთო მალე შემოიყვანე ომარ-ფაშა, რომ ამათ ცარცვა-გლეჯას გადავრჩეთო“. ყოველგან დავარდა ხმა, რომ ინგლის-ოსმალის ჯარი უფულოთ არას იღებდა და საყიდელ სასმელ-საჭმელში ერთი ორათ აძლევდა ფასსაო...

დიდებული შესახედავი იყო ბაკურიძე, როცა გამოეწყობოდა სამგზავროთ თავის სოფლიდან ქალაქისკენ. ის დაიბარებდა თავის ხლებულ აზნაურებს და ფარეშებს ოცამდის. ყველანი თავის ცხენ-იარაღით უნდა გამოეწყობილიყვნენ. ბაკურიძე ჩაიცვამდა წითელ საყელოიან ყურთმაჯებიან კაბას; მხრებზე მაიორის ჯინჯილები ჰქონდა დაკერებული; ყურთმაჯებში ხელებს გაუყრიდა, ასე რომ ყურთმაჯების ბოლოებზე მოვლებული ხელის დადება წითელი მაუდი სამაჯურებათ გახდომოდა, შუაში გახსნილი კაბის სახელოები ახლანდელ მოდის ქალის განიერ სახელოებს მოაგონებდა კაცს.

ოც ცხენოსანს გარდა ბაკურიძე თან გაიყოლებდა ახალ-გაზდა ფეხ-შიშველა ქვეით პირფარეშს, რომელიც ცხენოსან ხლებულებს წინ გაურბოდა და დიდებულ ბატონს შეჰცქეროდა, იქნება რამე ესაჭიროებოდესო. ქვეითათ მოციბივე პირფარეშს მხარზე ბატონის აბჯა ჰქონდა გადაგდებული, რომელშიაც ბატონის პირსახოცი, ხელის საპონი, სავარცხალი და ულვაშ-საკარი ჰქონდა შენახული. სარტყელზე ეკიდა ბატონის გრძელი თუთუნის ქისა ბითლიზის თამბაქოთი გატენილი. ამ ქისაში პირფარეშს ჰქონდა კვეს-აბედი, გძელი, წვრილ ტარიანი ყალიონი (ჩაბუხი) თავ-განიერი წითელი თიხისა.

ბაკურიძე იშვიათათ გაემართებოდა თავის ხლებულებიანა ქ. ქვიანას, და თუ წავიდოდა—უეჭველათ რამე პატივსადები მიზეზიც უნდა ყოფილიყო, ან თავად-აზნაურობის კენჭის ყრა, ან რამე უქაზი ხელმწიფის, ან კიდევ ხელმწიფის მობრძანება კავკასიაში. უაჰისოთ ის ადგილიდან არ დაიძვროდა, რადგან არ უყვარდა თავის ხლებულების ხანგრძლივით რჩენა ქალაქ ადგილს. კენჭის ყრა კი სულ სხვა იყო, მაშინ დიალაც წავიდოდა ქვიანას და დიდ ხნობითაც დაბინავდებოდა, რადგან იცოდა, რომ მაშინ თავად-აზნაურობაში ყოფნა სასიამოვნო დროს გასატარებელი რამ იყო, რადგან ბევრი მითქმა-მოთქმა, სადილები, ლხინი და მხიარულება მოხდებოდა ხოლმე. თავად-აზნაურობის არჩევანებზე წასვლას ქორწილში პატივობას ეძახდა, სხვა და სხვა სამარშლო კან-

დიდატებს სასიძოვებს უწოდებდა, მაგრამ მზითვეი კი ქალის პატრონის მაგიერათ სასიძოვებს უნდა დაემზადებიათ, რადგან უამისოთ ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაბედავდა ეფიქრა, ჩემ მიზანს მივალწევო. უზუთხოთ არც სადრლი იქნებოდა, არც ვახშამი.

ბაკურიძე თვის ხლებულებით დილა სალამოს ბულვარზე იყო გამოჯგომული რადგან იქ ჰქონდა დანიშნული დრო სხვა და სხვა სამარშლო კანდიდატების მოციქულებთან მოსალაპარაკებლათ. მას წინ-და-წინ ჰქონდა აღნიშნული ალაგი, სადაც უნდა ექამა სადლილი და სადვანშამი თავის ხლებულებიანა. ბაკურიძე მომლხენი კაციც იყო. მისი კრიმანჭული გალობები სინო კანდელაკისას ¹⁾ არ ჩამოუდგებოდა.

— „ბაკურიძის სტუმრობაო—ნუ გგონია ხუმრობაო!“—იტყოდენ მის დროს, რადგან მისი დაპატიყება და ოც-და-ათი კაციისა—ერთი იყო. მაგრამ ბაკურიძის სტუმრობა კენჭის ყრის დროს მაინც ყოველ სამარშლო კანდიდატს იამებოდა; ერთი რომ მომლხენი კაცი იყო, და მეორე—გავლენიანიც. საითაც ის გაიწევდა, ერთი თუთხმეტი, ოცი კენჭი თან არ გაჰყოლოდა, არ იქნებოდა. ახლა თქვენ თითონ იფიქრეთ ოც-და-ათი კაცის რჩენა ცხენიან კაციანა რა საგრძნობელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ „როგორც გიჭირდეს—ისე გიღირდესო“—ამბობდენ სამარშლო კანდიდატები. მართლაც, ორი ოჯახი თუ მოიძევებოდა მთელ იმერეთში, რომელთაც შეეძლოთ ასეთი მასპინძლობა და კანდიდატებათაც გამოსვლა; იმათ მეტი სხვა ვერაფერს გაჰბედავდა გამოსვლას. იყო ყოველ მესამე წელს ამ ორ ოჯახს შორის კამათობა და საარჩევნო განხეთქილება.

— „ბრალი მაგათი! ბოლოს ორივეს კუდამდის გაძვრებათ ტყავი.“—იტყოდა ბაკურიძე. „თორემ მე რა მენალვლებაო! ერთთან მივალ ჩემი ამალიანა—ის უნდა გამიმასპინძლდეს და მეორესთან მივალ—მეორეო“.

შესანიშნავი სანახავი იყო თ. რევაზ ბაკურიძე მგზავრათ მიმავალი თავის ამალიანა. წარმოვიდგინოთ პაწია თოხარკ ჯორზე მჯდომარე ვეება კაცი, რომელიც უზანგში გაყრილ ფეხებს თითქმის ძირს მიათრევდა; ქართულ შავი მაუდის კაბაზე მალალი წითელი მაუდის საყულო ყურამდის ადგა და შიგ ჩამწყვდეული ბაკურიძის მუშტუკუნა თავი, ფაფანაკით დამშვენებული ძლივსლა მოჩანდა. მხრებზე ჯინჯილებიანი ეპოლეტები ეყარა, წვერ მოპარსულს, გძელი. ინით შეღებილი ულვაში ყურებზე ჰქონდა გადახვეული. ის მიათოხარიკებდა წაბლის ფერ ჯორსა, მის გვერდით კი ფეხშიშველა ფარეში მიჩანჩალებდა, რომელსაც მუდამ განზადებული ჰქონდა გძელი ჩიბუხი.

— ბიჭო!—შეჰძახებდა ბაკურიძე.—მოიტა ჩიბუხი! მაშინვე პირ-ფარეში მიაწვდიდა ადლ-ნახევარ წვრილ ტარიან ყალიონს და იმავ წამს დაადებდა ზედ აბოლებულ აბედსა. ბაკურიძე მარცხენა ხელით აფულებს გძელ-ტარიან ყალიონს და უკან, ოც ნაბიჯზე, მოშორებით მიდევნ ოცამდის თოფ იარალით დარაზმული ცხენოსანი ამალა. ამ დროს ბაკურიძეს ნამდვილი მხედართ მთავ-

¹⁾ სინო კანდელაკი მიტროპოლიტ დავით წერეთლის საგალობელ დასში საუკეთესო მგალობლათ მიაჩნდათ.

რის ანუ უკეთ ვთქვათ, ერისთავის შეხედულება აქვს; როცა თონაროკ ჯორზე ზის, აწეულ მხრებს კიდევ უფრო აიწევს და თან მიაქანებს; ჯინჯილებიან ეპოლეტებს ზანზარი გააქვთ.

ბაკურიძის საუკეთესო დროს გატარება ზაფხულობით მწვერლობა იყო, ზამთრობით—კურდღლობა და ხობობა. მას ჰყავდა ოჯახში გამოუღვლეველათ ხუთი მწვევარი, თუთხმეტი თუ ოცი მეძებარი, ორი ნაგებნი და ერთი ფინია, რომელიც იყო საკუთრათ ანასტასია დევდარიანის ასულის, ბაკურიძის მეუღლის ოთახის მცველათ.

ბაკურიძეს კაპუეტებიც არ გამოეღვოდა; მუდამ ორი მიმინო ქანდარაზე ეჯდა და ერთი კაპუეტი ქორი გძელ ძარში ჰყავდა გამომწვევდელი. მის ოჯახში ტრიალეზდა თორთმეტი ფარეში, ერთი გამდელი, ხუთი მოახლე, ორი პირფარეში: ერთი საკუთრათ ბაკურიძის იყო და მეორე, რომელიც უფრო ახალგაზდა იყო, ანასტასია დევდარიანის ასულს, ბაკურიძის მეუღლეს ემსახურებოდა. ერთი მოჯალაბე ეზოში უდგა ცოლშვილიანა; ქმარი ხაბაზობდა, ცოლი კი ქორ-მიმინოს საყოფ ქათამს ზრდიდა წლითი წლობამდე.

ბაკურიძეს ჩვეულებათ ჰქონდა კვირაში სამჯერ საკურდღლეთ წასვლა ცისიერზე, საღამოობით კი ყოველ დღე დაიარებოდა; თვითონ ჯორზე იჯდა და საუკეთესო მწვევარი, გძელ ბაწარზე გამობმული, ხელში ეჭირა. მეკურდღლე მოწიფული ვაჟკაცი იყო და ყოველთვის ხელჯობიანი დადიოდა. მას აედევნებოდნენ მეძებრები და ძებნის დროს არც მისი ენა გაჩერდებოდა და არც მისი ხელჯობი. ყოველ მეძებარს თავის შესაფერი სახელი ერქვა: ერთს ერქვა „კვესია“ მისთვის რომ ზარსავით ყეფა იცოდა, როცა კურდღლის საბუნაგოს წააწყდებოდა; მეორეს ერქვა „ცოცია“ იმისთვის რომ ძებნის დროს კურდღელსავით იცოდა ცოცვა და მუდამ „კვესიას“ აედევნებოდა. „კვესია“ მეძებარი—გულდამჯდარი, ქრელი, ყურებ-აცქვეტილი ძალღი იყო, ცოცია კი—ტანწვრილი და კუდ-მოჭრილი.

როცა „კვესია“ კურდღლის საბუნაგოს მიაგნებდა,—მერე თვით კურდღლის გამოგდება „ცოციას“ საქმე იყო. ამის და გვარათ მეკურდღლეს ძებნის დროს „კვესიას“ მუდამ ამ სიტყვებით ასწავლიდა.

„ჰა კვესია, შემოჰყევი, ნელა, ბუჩქი არ დაგრჩეს, არ გაგეპაროს ის მუხდალი ყურგძელა, ისა! ნელა, ნელა, დაუწვრილმანდი, დაკვესე, ჰო, დაკვესე... მანდავეა, მანდავე, მოუცაცხანე... ეგ არის, ეგ! გამოვარდა!..“ და სხვა ამისთანები.

როცა კვესია რამდენჯერმე დაჰყეფდა, მეკურდღლე ზედმიწევნით დარწმუნებული იყო, რომ კვესიას ახალი კვალი ჰქონდა ნახული და დაიძახებდა,

„ჰა, ცოცია, მიეშველე, მიეშველე გაიპარა... კვესია, დაკვესე თვარა წახდა საქმე... სირცხვილი არ მაქამო, ცოცია, ჰო“ და სხვა ამისთანები.

საკვირველი დახელოვნებული იყო მეკურდღლე მეძებრების ქცევაში: მათ ხმაზე და მათ კუდის ქნევაზე ის შეატყობდა, საით წავიდა კურდღელი, ან დიდია თუ პატარა. ბაკურიძესაც ყველა საკურდღლე ადგილები ისე ჰქონდა შესწავლილი, როგორც თავისი ხუთი თითი. ის თავის საყვარელ მწვევარს „სწრაფიას“

ეძახდა და ისეთ ალაგას გაჩერდებოდა ხოლმე სადარაჯოთ, სადაც კურდღელი უნდა გამოხტარიყო, და, თუ ვინიცობაა, კურდღელი სხვა მხარეს უქცევდა გვერდს—მეკურდღლე მაშინვე შეატყობდა კვეხიას ყუფაზე და ბატონს მიამაზებდა: ამა და ამ კრიჭაში დახვედროდა თავისი წვერით, ხშირად მომხდარა, რომ კურდღელს ველარცკი მოუხერხებია ბაკურიძისკენ გახტომა, იქვე ჯაგნარში შეუკრავთ კრიჭა ნაგაზებსა და მეძებრებს და დაუჭერიათ. მეკურდღლე მაშინვე მიხვდებოდა ამას ერთნაირი ძაღლების ხორხალით ტყეში, გაეჭანებოდა და უეცრათ დაეცემოდა ზეიდან ძაღლების ხროვას, რომ კურდღელი არ დაეწიწკნათ, თუ ვინიცობაა, მწვერის მოტევებამდის დაიჭერდენ.

იმ დღიდან, რაც ბაკურიძემ შეიტყო რომ მისი მეუღლე, ანასტასია დევდარიანის ასული, თეხმძიმეთ გამხდარიყო—მეტათ გამხიარულდა და უფრო მოუხშირა ნადირობას ქორ მიმინოებით და მწვეარ-მეძებრებით, მთელი მისი გრძნობა სულ მომავალი მემკვიდრის გამოცნობაში იყო გართული.

„ქალი იქნება თუ ვაჟი?“ შეეკითხებოდა ხოლმე თავის გულს ბაკურიძე, იმას უნდოდა ვაჟი ჰყოლოდა და ამის გულისათვის დაიწყო მრავალი საწირავების გაცემა სხვა და სხვა მონასტრებში; მაგრამ ამასაც არ ჯერდებოდა. ხშირად თვითონაც დაცდიდა ხოლმე ნადირობის დროს: თუ ერთი თვის განმავლობაში იმ დღეების რიცხვი, როცა რამე ნანადირევს მოიტანდა, მეტი იქნებოდა იმ დღეებზე, როცა ხელ-ცარიელი მოვიდოდა შინ—მაშინ დარწმუნდებოდა, რომ ვაჟი უნდა ჰყოლოდა და თუ უიღბლო დღეები მეტი გამოვიდოდა—მაშინ კი ქალს მოელოდა. ამ სახით თვე თვეზე მიდიოდა და ჯერ კიდევ მტკიცეთ ვერ დარწმუნებულიყო, ქალი იქნებოდა თუ ვაჟი მისი მემკვიდრე.

ანასტასია დევდარიანის ასული ამ ხანათ თან-და-თან ივსებოდა ტანში და ბადრ მთვარესავით იშლებოდა სახეზე.

— დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი.—იტყოდა მხიარულებით ბაკურიძე, როცა თვალს გადაავლებდა გადიდგინებულს მეუღლეს; — ისე ჰყვავის ჩემი ანასტასია, როგორც გაზაფხულზე წვიმით მორწყული კორდიო!“

თავის მხრით ანასტასიაც ხშირათ იწვევდა მკითხავ დედაკაცებს და ლობიოთი მარჩიელებს, მაგრამ ვერა გააწყო რა, გული ვერ დააჯერა: ვაჟი უნდა ყოფილიყო თუ ქალი მის მკერდთან მოფართხალე უცნობი სანუკარი. გონებით ორივე ცოლ-ქმარი მოელოდენ ვაჟს, მაგრამ იღბალმა არ გაუმართლა ეს სანატრელი მოლოდინი: ანასტასიას მაინც ქალი ეყოლა, წინააღმდეგ მკითხავების წინასწარმეტყველობისა.

ბევრი გამოუჩინდნ ანასტასიას ისეთი ოჯახები გლეხობაში და აზნაური-შვილობაშიაც, რომელთაც სასიქადულოთ მიაჩნდათ ბაკურიძის ოჯახში ძიძობა, მაგრამ ანასტასია არაფრით არ დათანხმდა; თვითონ იკისრა თავის საყვარელი შვილის გაზდა. იქნება ეს პირველი მაგალითი იყო, რომ თავადის ქალი უძიძოთ გაზრდილიყო იმერეთში.

პირველი ღრუბელი უსიამოვნებისა მალე გადიწმინდა ბაკურიძის შუბლზე. იმას დაებადა არსება, რომელიც უნდა გამხდარიყო მისი ყოფა-ცხოვრების მემკვიდრეთ და ესეც საკმაო იყო იმისთვის.

— „აჰ! დიდება შენს სახელს, ღმერთო!.. რა გაგიჭირდა შე დალოცვილო! რა იქნებოდა, რომ ქალის მაგივრათ ვაჟი მოგეცაო!— გაიფიქრებდა ბაკურიძე, მაგრამ უცეფ შემკრთალი იმის შიშით, რაცა მყავს ისიც არ წამართვასო— ხმა მალლა წამოიძახებდა:

„ღმერთო, შეგცოდე და შემინდეღ ღმერთო! ვინა ღირს შენ მოწყალება-საო!“

ამის შემდეგ სახეს მოიჭმუხვნიდა, თითქოს ფიქრობდა:

— „დაუდგათ თვალი ჩემს მეზობლებს! იმათ ეგონათ, ჰა მოკვდება ბაკურიძე და ყვავებივით მივესევით იმის საცხოვრებელს, ისე დავიტაცებთ, რომ ნატამალიც არა დარჩესრა მის ნასახლკარეზუნდაო. მოკვდით, მტრებო, გაგისკდეთ გული, ველარ მოჰბედავთ ჩემი სავსე ოჯახის გასაქექათ! შეგიკრათ გზა ჩემმა პაწაწკუნა ქალმა“.

როცა სადილს უკან განისვენებდა ან ტახტზე და ან მუხის ქვეშ,— ხან და ხან ბაკურიძეს უნებურათ პირიდან ჩიბუხის ტარი გამოეცლებოდა, თვალები გაუჩერდებოდა, და მხიარულება ნათლათ გაიელვებდა ხოლმე იმის სახეზე, ამით მაშინვე მიხვდებოდით, რომ ის იმ დროს თავის პაწაწკუნაზე და იმის ბედზე ჰფიქრობდა. ბოლოს მოუთმენლათ პირს აბრუნებდა. და გულდამშვიდებით წამოიძახებდა: „დიდ არს ღმერთო, შენი სახელი, რომ კაცს არ დააგდეფ უნუ-გეშოთო!“ და ამას შემდეგ ისევ ჩაღრმავდებოდა თავის ფიქრებში.

ის ნელ-ნელა წარმოიდგენდა სასიძოებს: კარგის ჩამომავლობისას, დიდებული ოჯახისას, თვალტანადსა, მხნესა, ბრძენსა და ვინ იცის, რამდენნაირი კარგი თვისებით შეამკობდა თავის მომავალს სასიძოსა. ამ დროს მხიარულების ღიმილი გადაეფინებოდა წითელი ღვინით შეფერილს იმის სახეს, ალბათ ამ წამს თვალწინ უდგა ხოლმე თავის პაწაწკუნა გოგონა შვენიერ ვაჟთან მოაღერსე. ბაკურიძე იმ წამს მარდათ გაღმობრუნდებოდა, უკანასკნელათ დაეწათებოდა თავის ცეცხლ-მიმქრალ ყალიონს და თავმოწონებით წამოიძახებდა:

— „ეჰ, ჩვენ მხარეს აბა ვინ იქნება ჩემი გოგოს ღირსი? ჩემი სიძე ან უნდა იყოს ქართლიდან, ან კახეთიდანო“.

ბედმა გაუცინა ბაკურიძეს. ამისი აზრი და გონება ახლა სულ ბუნჩულა გოგოს წარმოდგენაში იყო გართული. ბაკურიძეს თვალ-წინ ერთი წლის ყმაწვილი კი არ უდგა, არამედ კაკობი ვარდივით პირსავსე თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ასული, რომელიც თავისი მშვენიერებით უტკობდა მამას სიბერის დღეებსა. ამასთანა ფიქრებმა ბოლოს იმდენათ შეიპყრო ბაკურიძე, რომ წარმოიდგინა, ჩემი გოგონა თითქმის მზათ არის გასათხოვრათაო. ამის გამო ის ჩააცივდა ანასტასიას, მაინცა და მაინც პაწაწკა გვრიტი სუფრაზე ჩვენთან დავსოთ ხოლმეო. ანასტასიას სწორეთ სიგიჟეთ მიაჩნდა ქმრის სურვილი, მაგრამ იმეს, აბა, სად შეეძლო, რევაზ ბაკურიძის წინააღმდეგობა! ღმერთო ჩემო! რამდენ გაწვალებას ითმენდენ ცოლი და ქმარი ამ პატარა ბოცვერისაგან!

ის იყო, იმათ ქალს ერთი წელიწადი გახდომოდა. მეტი ცოცხალი და მოძრავი ყმაწვილი გამოდგა და იშვიათათ ჰტიროდა, ერთ წამს ვერ გააჩერებდა კაცი და ამასთან ნიადაგ ტიტინობდა, თუმცა ერთ სიტყვასაც ვერავინ

მიუხვდებოდა, ცოლ-ქმარი დასხდებოდნენ ტახტზე ფეხ-მოკეცილნი და შუაში ჩაისვამდნენ თავის პაწაწა ქალს. როცა მათ წინ ჩითის სუფრას გაფენდნენ მსახურები პაწაწა მაშინვე მიხვდებოდა, რომ სადილათ სხდებიანო და თავის მხიარულებას იმითი განაცხადებდა რომ ჯერ დედას შეცინებდა და მერე მამას. ამას შემდეგ მოჰყვებოდა თავის ეშმაკობას: ხან მჭადს წააფლებდა ხელსუხანთეფშს, ხან ჭიქას. მას აქეთ, რაც პაწაწა სუფრაზე დასვეს—ანასტასიას კუთხე არ შერგებია: სულ თავის ასულის დაწყნარებაში ატარებდა დროებას და ქამა-სმა ნიადაგ დამწარებული ჰქონდა. ამდენ ცმაცურში, [რასაკვირველია, ვერც ბაკურიძის პაწაწკუნა ასული გადარჩებოდა გაუტყეპავათ. ხშირად შუა ქამაში პატარა ბიჭი გაიყვანდა ქალს აწივლებულსა. ამის გამო ცოლ-ქმარს შუა ატყდებოდა ხოლმე ჩხუბი და ბოლოს იმითი გათავდებოდა, რომ ანასტასია გაიბუტებოდა, და შვილთან ისიც უსადილო დარჩებოდა ხოლმე.

ერთხელ პაწაწამ სტაცა ხარშოთი გავსებულ საინს ხელი და პირდაღმა აქცია, ცხელმა ხარშომ დაუდუღრა ორივე ხელები, ამის გამო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წივილი გააბა. სუფრის წახდენას და სადილის დამწარებას ვინღა დაეძებდა; დედაც და მამაც მივარდნენ ყმაწვილს, ხელები ცივ წყალში ჩააყოფინეს, შემდეგ მარილი დააყარეს; აქ გამდელმა სხვა და სხვა სანელებელი მოარბებინა, მაგრამ დამწვარ ხელებს მაინც ვერა არგეს რა. ბევრი ცრემლი აფურქვია ბაკურიძის ასულმა ამ ეშმაკობისათვის, მაგრამ პატარა ბოცვერი ამითაც არ დაშინებულა.

რამდენი ჭიქა ღვინო იმას დაუღვრია სუფრაზე, ვინ იცის.

— „ხომ გითხარი, დალოცვილო, ჯერ ამისი სუფრაზე დასმა არ იქნება მეთქი!“—უსაყვედურებდა ხოლმე ანასტასია თავის მეუღლეს.

— „ერთი თუ რამე ამოიჩემე, ხომ აღარა გეშველება რა!“—მაგრამ რევანს ისე ესიამოვნებოდა ხოლმე თავისი ასულის ტიტინი და ნიადაგ ცმუტვა, რომ ღვინო თუნდა კოკებითაც დაეღვარა, მაინც არაფრათ ჩააგდებდა.

სამი წლის რომ გაჩდა პაწაწკუნა, რევანს ბაკურიძემ განიზრახა იმის მონათვლა და თავის საკადრის ღვინსაც დაემზადა. იმ მხრის თავად-აზნაურობას ერთხელ კიდევ ეღიროსათ რევანის ღვინით ყელის გასველება. როცა დარწმუნდნენ, რომ მეტ ველარას გამოარჩებოდნენ მემკვიდრის დაბადებით, თითქო განზრახ ცდილობდნენ, ღვინით და პურით გაეღარიბებინათ.

პირველი საქმე სტუმრებისა ის იყო, რომ ღვინო დაეძალეებინათ ერთმანეთისთვის და ძალიან საქებრათ მიაჩნდათ, თუ ღვინით ძალაწართმეულ თავის მეზობელს თეფშში ჩააყოფინებდნენ ცხვირ-პირსა. ისინი, რომელნიც არ იყვნენ აუარება ღვინის ყლურკვას შეჩვეულნი, მეტი რა ღონე იყო, ჩუმით უნდა ეპარებიათ მუხლებ ქვეშ ნუნუას ნაკადული. ერთი სტუმარი, რომელსაც მაღალ-ყელიანი ჩექმები ეცვა, თავს იმით იქებდა, რომ ჩემ წალის ყელებში ხუთი თუნგი ღვინო ჩაეტიეო. როცა სტუმრები სუფრიდან აღდგებოდნენ ხოლმე, ალაგ-ალაგ იხვეების საქყუმპალო ღვინის ტბები იყო დამდგარი.

მოდრი და ნუ ითვალთმაქცებ ამ გვართ, როდესაც აღმურ-ადენილი მოპირდაპირე გეძახის:

„დალიე, დალიე, თვარა კისერში ჩაგასხამო!“

რასაკვირველია, რევაზ ბაკურიძესაც ის ესახელებოდა, რაც უფრო ძალიან დააგიჟებდა სტუმრებს და რაც უფრო ბევრ პირიდან ნასაქმ დერინის ტბას დააყენებდნენ ეზოში. აბა, რას ინაღვლიდა, რომ შიოს მარანი ეზოში ედგა. იმან კარგათ იცოდა, რომ ყოველ წლობით მრავალი მუქთა მშრომელი კაცების ნაოფლარი ღმერთს მისთვის მიეცა და ბელლებ-მარნები ხელ-გაუწყველვით ევსებოდა. იმას ახსოვდა მხოლოდ რუსთაველის სიტყვები და ცდილობდა ისე მოქცეულიყო, როგორც დიდებული პოეტი არიგებდა: „უხვათ გასცემდე, ზღვითაცა შესდის და გაედინებისო“.

რევაზმა თავისი ქალი მოანათვლინა ერთ ვიღაც დიდ კაცს, რომელიც იმ ქვეყანაში პირველი გვარის კაცათ მიაჩნდათ. რასაკვირველია, ლხინიც იმის შესაფერათ დიდი და საქებური გადაიხადა. შეიქნა ჯარიანობა; მისი თვალ-გაღუწვდენელი ეზო ცხენით და კაცით აივსო. ბოლოს ღვდელიც გაჩნდა. იმას ჯერ სტუმრებისთვის თავი არ დაეკრა, ისე ჩუმად გაძვრა სამზარეულოსკენ; „რათაო?“ იკითხავს მკითხველი. უნდოდა, შინა ყმებისთვის გამოეკითხა, დღეს რამდენი ცხვარი და ძროხა დაიკლა, რომ სათფილოები არ დამაკლონო.

ღვდელი შემოსა და დაიწყო ნათვლა; პატარა ქალი გაატიტვლეს. რაღაც არ იამა ამდენ ხალხში ტანსაცმლის გახდა; უმაწვილმა იგრძნო, აქ რაღაც კარგი არა არის რაო, რომ ეს ამდენი ხალხი მოგროვილა და მატიტვლებენო; ის გაოცებით იქით-აქეთ იცქირებოდა და როცა შეხედა წყლით სავსე ემბაზს, რომელსაც შემოსილი ღვდელი თავს დადგომოდა და ლოცვებს კითხულობდა, ძალიან მოიღუშა. დაცდილი ჰქონდა, როცა ქვებით წყალს მოამზადებდნენ და იმას გაატიტვლებდნენ უთუოთ ტანი უნდა დაეხანათ იმისთვის და ეს პაწაწკუნას ჰირივით ეხარებოდა. ის შიშით უცქეროდა ღვდელს, რომელმაც ამ დროს მოავლო ხელი პატარა ქალსა და წყლით სავსე ემბაზში ჩააყურყუმელავა. პაწაწკუნამ იფიქრა, ღვდელი სწორეთ დახრჩობას მიპირებსო, ორივე ხელებით ჩააფრინდა ოლარში და იწივლა...

ბოლოს მონათვლაც გათავდა, ქალს სახელათ „გულქანი“ დაარვეს, მაგრამ დედ-მამა სასიყვარულოთ „გვრიტიას და გვრიტოს“ ეძახოდა... ამას შემდეგ გვრიტიას ღვდელი თვალთ ვერ დაენახებოდა; გძელ ანაფორიან და წვერიან კაცს თუ სადმე თვალს მოჰკრავდა, მაშინვე იწივლებდა; კარში რომ ყოფილიყო, სახლში შევარდებოდა და თუ შინ იყო, დედის კალთას მიეშურებოდა; ნათვლის შემდეგ ყოველი ანაფორიანი ალბათ რაღაც საშიშ არსებათ ეჩვენებოდა.

III

გვრიტოს უფრო ხშირათ ანასტასიას სამოცდაათი წლის გამზრდელი უვლიდა ხოლმე; ამის გამო ოჯახში იმას ყველა გადიას ეძახოდა: ეს მოხუცებული დედა კაცი ჯერ კიდევ ძალიან მხნეთ იყო ოჯახში, მაგრამ ანასტასიას ვარდა ყველა გვერდზე უცქეროდა ამ საწყალს, მოხუცებულობაში მას ხელ-მეო-

რეთ ამოუვიდა წინა კბილები; ამ ამბავმა კიდევ უფრო დააშინა იმ ოჯახის მცხოვრებლები, იმათ გამდელს კუდიანობა დასწამეს.

„სიბერეში კუდიანის მეტს სხვას ვის ამოუვა კბილებიო?“ რძახდენ გოგოები და შინაყმები.

იმის ფერმკრთალ და დაქმუჭენილ სახეს პატარა მოელვარე თვალები ბევრ სიცოცხლეს აძლევდა. როცა გააჯავრებდენ, მაშინ მაინც მუტავი უმატებდა თვალების ბრიალს, გამდელს ტანზე მუდამ შავები ეცვას, წელში მოხრილი იყო და ღამით ხშირათ დადიოდა სამზარეულოს და ოდას შუა ან გვრიტოს საქმლისათვის, ან თავის გაზდილის ბრძანებით.

გადიამ ისე ჩუმათ იცოდა სიარული, რომ გეგონებოდა, მიწაზე ფეხს არ აკარებსო. საღამოთი, როცა გამდელი ოდიდან სამზარეულოში მიდიოდა, მაშინ რომ დაგენახა, სწორეთ ასე იფიქრებდი: „ეს შავი სუდარი, ღამურასავით რომ მიფრინავს, რა უნდა იყოსო?“

ოჯახის მოახლეებს და ბიჭებს ძალიან ეშინოდათ იმისი, ნამეტნავათ, საღამოობით თუ შეხვდებოდნენ, მაშინვე თავს მოარიდებდნენ, პირჯვარს გამოი-სახავდნენ, სამჯერ მაინც გადააფურთხებდნენ მარცხნით და წაიბუტბუტებდნენ: „არული კუდიანებსა, ჯვარი აქაურობასაო!“

თუმცა ჩუმათ ბევრს ლაპარაკობდნენ იმის ავსულობაზე, მაგრამ ხმა მალლა ვერავის რა ეთქვა, რადგან ანასტასიას ძალიან უყვარდა თავისი გამზრდელი და მოხუცებულ გამდელსაც სული ელეოდა გვრიტოს სიყვარულით. პაწია ბატონიშვილს ის, რაც ძალი და ღონე შეჰწევდა, მომჭირნეთ უვლიდა. გვრიტო რომ უფრო შეჩვევოდა, გადია ჯიბეებში თავისდღეში ტკბილ რასმე არ გამოილეედა. ისე როგორ დაცარიელდებოდა გამდლის ჯიბე, რომ პატარა გვრიტოსთვის საცუცნავე არა ყოფილიყო რა შიგ. ამის გამო გვრიტოც ძალიან მიესაკუთრა თავის გამდელს, მაგრამ თუ დაავიროდებოდი, მაშინვე შენიშნავდი, რომ მას გადიაზე უფრო გადიას ჯიბე უყვარდა.

ხანდახან მოხუცებულ გამდელს ჩვეულებათ ჰქონდა მეზობლებში გასეირნება. როცა გვრიტო თვალს მოატანდა სტუმრობიდან დაბრუნებულ გადიას, მაშინვე იმისკენ გაეშურებოდა ძახილით:

„გადია მოვიდა, გადიასო!“

გამდელიც რის ყოფით და რა ამბით მიეგებებოდა თავის გაზდილს, გაჰკოცნიდა და ჰკითხავდა:

„ხომ არავის აუტირებიხარო?“ გაზდილიც დიდი ალერსით შეცქეროდა ხოლმე გადიას თვალებში და თუ იმას დაავიწყდებოდა ჯიბეში ხელის ჩაყოფა, თითონ გვრიტო გადაავლებდა თვალს იმის ჯიბეებს, გაიშვერდა ორივე ხელს იმათკენ და დაიწყებდა კრუსუნსა:

„მომე, მომე, მომე“...

ორ წლამდის გვრიტო უფრო თავისებურათ ატარებდა დროს: ის შეეჩვია ბუხარში ნაცრის ქექას.

ხელში ერთი პატარა ჯოხი ეჭირა ხოლმე და გაჯავრებით სცემდა ნაცარს, რომ იმის აზრით ნაცრის მტვერი ჰაერიდან ძირს ჩამოელავებინა, მაგრამ რაც

უფრო გამწარებით სცემდა, მით უფრო ბევრი მტვერი აღიოდა ჰაერში, ჩამოსვლით კი არ ჩამოდიოდა. ეს გარემოება გვრიტოს ძალიან გააჯავრებდა ხოლმე და ამის გამო კიდევ უფრო მოუჩქარებდა ცემას, სულ მტვერში ამოგანგლებოდა ხოლმე; პირში და ცხვირში შეყრილი ნაცარი ბოლოს მასვე შეაწებებდა და მორთავდა ტირილს. ამ დროს დედა ან გამდელი მივარდებოდა გვრიტოს და ნაცარში ამოსვრილს ბუხრიდან გამოიყვანდა.

ერთხელ გვრიტო ბუხრის წინ იჯდა და თავის ჩვეულებრივ საქმეში იყო გართული. ფეხები ნაცარში ჩაეწყო და ერთი ალაგიდან მეორეზე გადაჰქონდა ნახშირები. ყმაწვილს ქერა ხუჭუჭი თმა ამშვენებდა; დიდი და წყნარი თვალები სიამოვნებით მიეპყრო ნახშირებისთვის, რომელთაც წკეპლით როზგავდა და ისინიც ხტომით ართობდნენ გვრიტოს გონებას. პატარა ქვედა ტუჩი წინ ლამაზათ წამოსვლოდა, ცხვირის ნესტოები ხან უდიდდებოდნენ, ხან უპატარავდებოდნენ. ის ცდილობდა, ერთი პატარა ნახშირი ჯოხით გადაეგდო და ეს რომ ველარ მოახერხა, წაავლო ხელი, ჩაიდვა პირში და შექარივით კვრება დაუწყო, ვითომ დასაჯა, „გაუგონრობისათვის აგრე მოგიხდებო!“ არ ვიცი რა გემო ნახა ამ ნახშირში, მაგრამ ვერას გზით ველარ მოაშლევინეს ნახშირის ჭამა. ბოლოს დედამ ერთი ღონისძიება იხმარა: როცა გვრიტო ნაცარში იჯდა, იმან წინ დაუდვა ძალიან ცხელი ნახშირი, რომელიც ის იყო, გაეჭრო. გვრიტომ წაავლო ხელი ამ ნახშირს და პირში იტაცა, მაგრამ, ჩაიდვა თუ არა, იწივლა; ცხელმა ნახშირმა ხელიც დაწვა და ენაც; მას აქეთ, თუმცა ნაცარ-ქექიაობა სამ წლამდის მერ მოაშლევინეს, ნახშირს კი ხელს აღარ კიდებდა.

ანასტასიას გვრიტოს საამხანაგოთ ერთი პატარა, ექვსი წლის გოგო ჰყავდა, გვრიტოზე სამი წლით უფროსი. ამ გოგოს მარინე ერქვა; ქალბატონი მას ხელზე სამსახურსაც ასწავლავდა; მუდამ ფეხ-შიშველა და თმა გაბურძღნული დაიარებოდა. ტანზე დაფლეთილი კაბა შოლტებათ ჩაჰკიდებოდა. როდესაც თავის ქალბატონს პირს დააბანინებდა, ჩვეულებათ ჰქონდა, წყალს არაოდეს არ გადაღვრიდა; აიღებდა ქუჩყიანი წყლით სავსე ტაშტს და კუთხეში მიდგამდა. გვრიტო ერთხელ წაატყდა წუმპე წყლით გავსებულ ტაშტს და მაშინვე წარმოიდგინა: „დედა თუ იბანს პირს, მე რა ვარო, ვითომ რა იქნება, მეც რომ თითონ დავიბანოვო?“ მაშინვე მიუჯდა ტაშტს, ჩაპყო შიგ ხელები და დაიწყო ჭყუმპალი, მერე პირზედაც შეისხა ტაშტის ნაბანი; ბოლოს ისე გაიწკუმპლა, რომ წყალში ნაბან წიწილას დაემსგავსა.

— „აჰ, აჰ, რას შვრები, შე საძაგელო! გვრიტო! ეგ რა ამბავია?“ შესძახა მეორე ოთახიდან შემოსულმა დედამ, მივარდა და ნარეცხით გამურული პაწია ტაშტიდან ამოათრია.

— „მარინე, მარინე!“ დაუყვირა გოგოს, რომელმაც იგრძნო თუ არა, კარგი არა დამემართება რაო, მწუხარებით გააგონა „ბატონო!“

— „ჰა, შე აშარო, უკმეხო შენა! რავე დატოვე ასე ეს ტაშტი, რომ ნაბანი არ გადავიქცევია! მოდი აქ, შე მძინარა, ზარმაცო შენა!“ მიწვდა და ისეთ

ნაირათ უჩქმიტა კლაგზე გოგოს, რომ იმან უნებურათ დაიკივლა „ვაიმე დე-
ლაო“, და წუწუნნი მორთო.

ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ თავიდან ფეხებამდი ტალახში ამოვლე-
ბულ გვრიტოს გაბანდენ, გაწმენდდენ და ნახევარ საათს შემდეგ ისევ წვირის
ლეღე ჩამოდიოდა ტანისამოსზე.

ცოტა რომ წამოიზარდა, ასე, ხუთი წლის რომ შეიქნა, გვრიტოს ძალიან
დაუშეგობრდა მარინეს, რომელიც გაყვებოდა ხოლმე ეზოში სათამაშოთ და
მთელი დღე არც ერთი, არც მეორე შინ აღარ შამოიხედავდენ. თუ სადმე სა-
ქონლის ნაფეხურში წუმბე წყალს ნახავდენ, გვრიტოს თითქო აღდგომა გაუ-
თენდებოდა; ის მაშინვე უბრძანებდა მარინეს, ჩემთან ტალახი შენც მოზილეო;
მერე გვრიტო ხუროთ მოძღვრებას დაიჩემებდა და მოჰყვებოდა პატარა კენჭე-
ბით სახლის შენებას, მარინეს კი ვაგზავნიდა სხვა მასალაზე, რომ მას ახალი
აშენებული სახლის წინ ჩხირებით ეზო შამოეკავებინა და შიგ ბოსტახი გაეკე-
თებინა.

გვრიტო დიდხანს ვერ შეეჩვია ფეხსაცმელს, როგორც რომ მამა ქალაქში
წავიდოდა, არ შეიძლებოდა, თავის ქალისთვის „ფაჩიჩები“ ან სხვა რამე არ
ეყიდნა. გვრიტოს ძალიან უყვარდა ახალი წითელი ან ყვითელი „ფაჩიჩები“,
მაშინვე აუტყდებოდა დედას „დედა, ჩამაცვი, ჩამაცვიო“, მაგრამ ორი სამი
დღის მეტს ვერაოდეს ვერ ატარებდა; მალე გასვრიდა ხოლმე ტალახით და
რაკი სიწითლე ან სიყვითლე გადაუფიდოდა იმის ფეხსაცმელს, მერე ველარავინ
შეიძლებდა იმის ჩაცმევას.

ერთხელ გვრიტო და მარინე ოდის წინ პატარა ორძოს თხრიდენ. ოთა-
ხის სანათურიდან ანასტასია გამოჩერებოდა და რალაცას აკეთებდა. ორმო რომ
მოთხარეს, გვრიტომ უთხრა მარინეს, წყლით გავავსოთო, მაგრამ რითი უნდა
მოეტანათ წყალი, არ იცოდენ, ჭურჭელი არ ჰქონდათ. გვრიტომ ბევრი აღარ
იფიქრა; მაშინვე გაიხადა ცალ ფეხზე ახლათ-ახალი „ფაჩიჩი“ და იქვე და მახ-
ლობელ ქენჭოდან დაუწყო ზიდვა წყალსა. ამ დროს ანასტასიამ გადმოიხედა
და, რომ შენიშნა, გვრიტოს თავისი წითელი ფაჩიჩი წყლის ჭურჭლათ გაეხად-
ნა, წყრომა დაუწყო:

„ჰა, ჰა, შე გლაბა გომბიო!.. რას შერები მაგას, შენ ბინძურო, შე მურ-
ტალო შენა! გადააქციე წყალი ფაჩიჩიდან, თვარა მოგკალი ეს არის! გვრიტო
ნუ მომიკვდება, ცხვირ-პირს დაგანტროვ, შე მურიანო!“ შეჰძახოდა თავის
პაწაწა ქალს.

„წადი, ახლავე წაუღე გადიას ეგ გასვრილი ფაჩიჩები, თუარა გაგლახავ!“
ბავშვი ძალიან უარზე იდგა. თავის მუშაობაში ისე იყო გართული, რომ
სანამდის ორძოს არ გაავსებდა, მანამდის, რომ კიდევ ვისმე მოეკლა, თავის
დანებებას არ აპირებდა და შორიდან უძახოდა დედას:

„არა, არ წავეალ, არა, არ მინდაო!“

ბოლოს ანასტასიამ მიაძახა მარინეს: „აქ მომგვარე ეგ საძაგელიო!“ თუმ-
ცა მარინე ბევრათ უდიდესი იყო გვრიტოზე, მაგრამ რაკი ამ უკანასკნელმა
თავის მეგობარს ვერაგობა შენიშნა, მაშინვე თმაში ეცა და იმათ შუა დიდი

ცემა-ტყემა გაიმართა. ანასტასიამ ველარ მოიხმინა, გამოვარდა გარეთ, სტაცა ხელი თავის ურჩ ქალს, მიჰტყემა და შეაგდო სახლში.

IV

ზაფხული გადიოდა. სიმიდი მოეტეხათ და ეზოში მუხებ ქვეშ გაურჩეველი ტაროს ზვინები იდგა. სადილობის დრო იყო, ბაკურიძემ სიციხისკენ გარეთ ვერ გაეძლო და გაფაღარათებული ჩვეულებრივით ტახტზე გოგონას იქვე კედლებზე იყო მიკიდებული მისი თოფ-იარაღი და მათრაბი; ხელში გძელი ჩიბუხი ეჭირა და ზარმაცათ ეწეოდა. მოშორებით ანასტასიას ტახტზე მუხლები მოეკეცა და გვრიტოს კაბას ჰკერავდა. გვრიტო ამ დროს ნაფოტებით სახლის შენებაში იყო გართული; ის კარგა მოჩიჩქინებული გოგონა გამხდარიყო, ასე, რვა წლისა იქნებოდა, მაგრამ დედას ჯერ კიდევ წიგნი არ დაეწყებინებინა, ჯერ კიდევ თავისუფლათ იზრდებოდა.

ახლა ის დროსა და დროს განმავლობაში ბატონურათ შეუძახებდა თავის გოგო მარინეს, რომელიც იქვე ხელს უწყობდა, ნაფოტებს უზიდავდა თავის პატარა ქალბატონს.

— რას შობი გოგო!... მანდ კი არ უნდა ეგ ნაფოტი, აქ დადევ!—დაუყვირა გვრიტომ. ამ დროს მარინემ უნებურათ წაჰკრა ხელი აშენებულს კედლებს და ერთი საათის ნაშრომი ერთ წუთს დაანგრია.

— „უიმე!“ იწივლა გვრიტომ. — დედა, მარინე არ მაყენებს, სახლი დამინგრია! — წუწუნით შეჩივლა ანასტასიას ასულმა.

— მარინე, მარინე, მომეცა ღვთის წყალობა, მე შენ კარგათ გაგსახრო! შეხედე ახლა ამ უჯიშოს შვილს! ერთს წამს არ გაატარებს ისე, რომ ყმაწვილი არ აატროს!.. — წყრომით შეჰძახა ანასტასიამ. მარინე აიფხორა, ნაფოტები ხელიდან დაჰყარა და თავი ჩაჰკიდა.

— მარინე! მომეცი მაგ ნაფოტები! — განაგრძო გვრიტიამ, რომელიც გრძნობდა თავის დანაშაულობას და უნდოდა მალე შერიგებოდა მეგობარს.

ამ დროს ბაკურიძემ კრუსუნით ფეხი ფეხს მოარტყა, გადმოზრუნდა და დაიყვირა:

„ბიჭო!“

მეორე ოთახიდან მოისმა მთრთოლვარე ხმა „ბატონო!“ და ამასთანავე შემოვარდა თმა გაწეწილი ცამეტი წლის პატარა ბიჭი, რომელსაც გაცვეთილი ღურჯი სამოსლის პერანგი ეცვა და დაგლეჯილ პერანგის ამხანაგებში იმის მუხლებს თავი გამოეყოთ.

— „წადი, თხილის ტოტები მოამტვრიე! — უბძანა ბაკურიძემ და დაბლათ წაიდუღუნა:

— ღმერთო, ამ ბუზებმა საქმე გამიჭირვეს“.

ცოტა ხანს შემდეგ პატარა ბიჭმა შემოიტანა ერთი პატარა კონა ფოთოლიანი ტოტები, დაჯდა ბატონის ფეხთით და დაუწყო ბუზების მოგერება. ამ დროს ოთახში შამოიმართა ერთი მაღალი, გძელ-ულვაშიანი კაცი. ძველი ქუდი თავზე ეფხატა. ეს იყო პირ-ხმელი და კარგი მოსული ქალარა კაცი; პატარა

თვალეში ღრმად ჩავარდნობდა და ზედ ბოყესავით გადმოფარებოდა განიერი შუბლი სქელი შავი წარბებით. მარჯვენა ხელი უბეში ჩაიღო, ფეხი განზე გადაგა და მოწიწებით წადგა ბატონის წინ—შემდეგ მაგრათ—ჩაახველა და დაიწყო:

— ბატონო! ხაბაზს გააცხელა და გამომცხობი არაფერს გვყავს.

— როდის გააცხელა? ჰკითხა ბაკურიძემ და წამოიძარბა.

— ჯერ, ბატონო, გუშინაც აცივებდა, მაგრამ დღეს ჩხეთო! ჩხეთო! გახდა, რომ ფეხზე ვერ დგებოდა, სიცხით გათარანებული იყო. რას ვიზამდი, შინ გაუშვი. აქ რომ გამეჩერებინა, უარესი იქნებოდა, ტყუილა თქვენ შეგაწუხებდათ... დაიწყო თავის გამართლება მოურავმა, თითქო ეშინოდა, ვაი თუ ბატონი გამიწყრეს, იმის დაუკითხავათ რომ გაეუშვიო.

— ახლა მშიერი უნდა დავრჩეთ დღეს?— შეჰძახა ბაკურიძემ.

— დღეისთვის კილო გახლავთ ნამცხვარი, მარა მერე კი არ გვექნება.

— პეტრიელა სად არის?

— აქ გახლავთ, მარამ... არ შვრება, მე არ გამოვაცხობო, გამოცხობა ვალათ არ მადევსო. ჩვენ გვარს მისდღემში არ დებია და არც მე დევიდებ ბეგრათ ხაბაზობასაო.

— წადი, დაუძახე,— გაჯავრებით უბრძანა ბატონმა.

— შეხედე იმ ეშმაკის შვილს!... გაცეცხლებული თვალეებით გადმოხედა ბაკურიძემ თავის ცოლს, თითქოს უნდოდა დარწმუნებულიყო, რომ ანასტასიაც თანაუგრძნობდა. მაგრამ ანასტასიას თავი არ აუღია საკერავიდან, ეტყობოდა კი, რომ კერვას მოუჩქარა.

— ანებიერე იმისთანა გველის წიწილები, ჩააცვი, ასვი, აჭამე, ვითომ დაგისწავლიან! კი, რავა არა, იმათმა სიცოცხლემ! ის კი არა, თავზე დაგაჯდებიან!.. სულმთლათ კბილებს დავამტვრევ მაგ ეშმაკის შვილს, მაგას! მე დავასწავლი, როგორც უნდა მორჩილობა.— უცებ წამოხტა ზეზე ბაკურიძემ, ხელები დაიმუჭა და ტახტზე დაჯდა.

— ღმერთმანი, აბა თუ არ მართებს. რეიზა გამოგიცხობს?— წყნარი ხმით წამოიძახა ანასტასიამ, თავი კი არ აუღია საკერავიდან.

— შენ!.. შენ გაჩუმდი!.. მაგია შენი საქმე! საკერავზე თითი მიუღირა და გაჯავრებით შეუტია ბაკურიძემ.

ამ დროს ოთახში შამოვიდა ახალგაზდა, ოცი წლის ვაჟი, ბექებ განიერი და ჩასხმული კაცი. სახეზე თურაშაულ ვაშლივით იყო შეწითლებული, შავი კოკობი უღვაშები ამყათ აეწკიპა, ტანზე ყვითელი შალის ჩოხა ეცვა. მოურავიც თან შამოყვა.

— შენ ბძანე, არ გამოვაცხობო?— გაჯავრებით შეუტია ბაკურიძემ.

— რა ვქნა, შენი ჰირიმე, გამოცხობა ჩვენ პაპას და მამას არ მართებია.

— შენ ეს თქვი, ხაბაზობა ხომ იცი? თფილის ქალაქს რომ იყავი, თურმე კარგათ ხაბაზობდი!

— თფილის ქალაქს შენი ჰირიმე, სულ სხვაა. იქ ჩემთვის ვმუშაობდი, თავისთვის რალაცას იზამს კაცი, იმას ბატონისთვის რავა იზამს!.. რამდონიც

მმართველს ბეგარა, შენი ჭირიმე, მომთხოვე, თუ არ აგისრულოთ—რაც გინდოდესთ, ის მიქენით. რაც არ ჰმართებია, მის შეტი სხვასაც არ უქნია და არც მე გავაკეთებ.

— აბა, რომ გიბძანო, არ გამოაცხოვ? ჰკითხა ბაკურიძემ, რომელიც პირზე აინთო და თვალები ისე გადმოუჭიმა, რომ შეგეხედნა, იფიქრებდი, ეს არის საწყალი პეტრიელა უნდა ჩაყლაპოსო.

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, არ მმართებია და... რაც შეგარბის მძღვეს დიხაც კი ავასრულებ. კვირაში ორ დღეს გამოვდივართ სამსახურისთვის... თავათ მე მუდამ თქვენთანა ვარ, მიბძანეთ, რაც მმართველს, ყოველისფერს გავაკეთებ. თქვენთვის შენი ჭირიმე, ცეცხლში ჩავდგები, მარა, რაც არ მმართველს, იმის გაკეთება არ შემიძლია.

— აბა თუ არ შეგიძლია, მე შეგაძლებიებ!—წაავლო ხელი მათრახს, რომელიც კედელზე ეკიდა და ერთი თუ ორი, უელვა ზურგზე პეტრიელას და თან დასძახოდა.—მას აქეთ, რაც ქალაქს წახვედი, სულ წახდი, გაბილწდი, კაცს არ ჰგავხარ!

— აი, აი, აი!.. რევაზ მამი შენის სულს გაფიცებ, გვრიტია ნუ მოგიკვდება, თავი დაანებე!.. შეჰყვირა ანასტასიამ, ერთი ხელი თვალებზე მიიფარა და მეორე, ნემსიანი, რევაზისკენ გაიწვდინა.

— ანასტასია, გადი ახლავე მეორე ოთახში!—გაბრაზებით შეჰყვირა ბაკურიძემ;—გითხარი, შენი საქმე არ არის თქვა!.. გაიყვანე მაგ ბალანაც!

ცოლი თავბრუ დასხმული გავიდა მეორე ოთახში და თან აზუვლებული გვრიტოც გაიყვანა.

— მომკალი ბატნო, რაც გინდა, ის მიქენი, მარა არ გამოვაცხოვ! რაც არ მმართველს, არ ვიზამ, არა... არა... მომკალი, მაგიერს ხომ ვერავინ გკადრებს!..

— შიუკელა, წეიყვანე ეგ პილწი, საძაგელი და ხულაში დაამწყვდიე. ნურც ასმევ, ნურც აქმევ სანამდის ყველა არ გაგიკეთოს, რასაც დაასაქმებ!—უბძანა მოურავს ბაკურიძემ. მოურავმა სწრაფათ გაიყვანა გალახული პეტრიელა, რომელიც თითქო ჯინში ჩაუდგა ბატონსო, სულ ამას იძახდა:

— „არ გამოვაცხოვ, არა, არა და არაო“.

ბაკურიძემ გაჯავრებისაგან ქშინვა დაიწყო; პირიდან დორბლი მოჰდიოდა, ერთ ადგილს რომ ვერ გაჩერებულყო, დაიწყო ფეხტიტველა სიარული და თან იძახდა:

„მე შენ გაჩვენებ სეირს; მე შენ მოგიხერხებ, ოთხში ამოგიღებ, ცოცხლათ ტყავს გაგაძრობ!“

ამ რიგათ კარგა ხანს იარა ბაკურიძემ ოთახში; ბოლოს როცა დამშვიდდა, პირის სახე გადაეწმინდა—ის დაჯდა ტახტზე და ააბოლა თავის ჩიბუხი.

ამ დროს პატარა ბიჭი ისე კრძალვით შემოცოცდა ოთახში, რომ სათქოს კარები არც კი გაუღიაო.

— სადილი მზათ გახლავთ...

— მოიტანონ!.. თავისთვის წაილაპარაკა ბაკურიძემ, რომელსაც ჩიბუხისათვის პირი არც კი მოუშორებია, თითქოს ამითი ამტკიცებდა, აბა რა ღირსია შენისთანა მატლი ჩემი ხმის გაცემისაო.

— ანასტასია, გამოდი, სადილი ქამე.— დაუძახა ცოლს.

— არა, არ მინდა!— წამოიკრინა მეორე ოთახიდან ცოლმა იმისთანა ხმით, თითქოს გულზე ლოდი დაწოლოდეს და ხმის ამოდებას უშლიდესო.

— თუ არ გინდა, ქირი მომქამე— წაიდუღუნა ქმარმა, მერე ხმაშალა შეკყვირა:

„შენ თუ არ გინდა, ეგ ბალანა მაინც გამომიგზავნე; გვრიტო, გენაცვალე, სადილი ქამე!— დაუძახა მამამ.

პაწაწა ქალი გამოვიდა ცხვირ გაწითლებული და ცრემლებიანი თვალებით, რომელთაც ორივე ხელებით იშმუშენიდა. ის მოვიდა წყნარათ მამასთან. ამან მუხლზე დაისვა, თვალები ამოუწმინდა და ლოყაზე აკოცა. გვრიტო სრულებით დაწყნარდა და სადილს რომ შეხედა, ისეთი მზიარული სახე მიიღო, თითქოს თავის დღეში არ ატირებულყო.

სულ ყოველთვის ასე ფიცხათ არ ექცეოდა ბაკურიძე თავის ბიჭებს. როდესაც შეიხვედრებდა იმისთანა დროს, რომ შინ მთელ დღეს მოსვენებით გაატარებდა, მაშინ სადილ-ვახშამი ყოველთვის გამზიარულებული იყო. ის დაუწყებდა თავის შინაყმებს ხუმრობას და იმისთანა რასმე ეტყოდა, რომ რაც უნდა წარბშეკრული ბიჭი ყოფილიყო, მაინც გაიღიმებდა. ხანდახან მწუხარე ანასტასიაც ველარ შეიკავებდა სიცილს და მაშინ დაუწყებდა ქმარს ხვეწნას, კარგია, თავი დაანებეო, თითქოს ამით ეუბნებოდა, „აბა, მზიარულება რა ჩემი საქმეა; მწუხარების დღეს დავბადებულვარ და მწუხარებით უნდა გავატარო ეს წუთისოფელიო“.

სასაყვედურო კილოთი ეტყოდა ანასტასია, რომელიც არ იყო ქმრის უზდელი ყოფაქცევით კმაყოფილი. თვითონ ბაკურიძე არასდროს არ გაიცინებდა თავის ხუმრობაზე, თუნდა რომ სხვებს თვალებიდან კურცხლებიც წამოცვევინოდათ სიცილისაგან. მხოლოდ ხანდახან მსხვილ, ქალარა ულვაშებს გასწევდა, თვალებს დაწკურავდა და მაშინ გამოუჩნდებოდა ორი ფართო წინაკბილი. ამ დროს იმის სახეზე რომ შეგებდნა, იფიქრები, სწორეთ გაიძვერა და ეშმაკი კაცი უნდა იყოსო! როცა სადილის წინ ხელსაბან წყალს ჩამოატარებდა მსახური, ბაკურიძეს ჩვეულებათა ჰქონდა, ხელს რომ დაიბანდა, პირსაც გამოირეცხდა.

ბაკურიძე ამ დროს დაიგუბებდა პირში წყალს და მსახური თუ მისი ხუმრობის ხამი იყო, თითოთ ანიშნებდა, კისერი გამისინჯე, მკბენარი ხომ არ მაზისო.

მსახურიც მაშინვე დადებდა თუნგსა და ტაშტს, მიუახლოვდებოდა ბატონს დიდი მოწიწებით და გულში ჰვიქრობდა: ღმერთო, იგი მკბენარი მანახვინე, რომ ბატონს ვასიამოვნოვო.

ამ დროს ბატონი შიგ ცხვირ პირში შეაშხეფებდა დაგუბებულ წყალს. ატყდებოდა ხარხარი. გვრიტიას ხითხითით კურცხლები ჰცვიოდა. ამისთანა ხუმრობაზე ის ყველაზე ადრე გადიკასკასებდა. თითონ ნასხურები შინა ყმა,

იქნება გულში სულაც არ გრძნობდა კმაყოფილებას, ბატონის პირში გამონავლები წყლით რომ გაიწუწუებოდა, მაგრამ სხვების ხარხარს რომ უყურებდა, ისიც უნებურათ გაიღიმებდა. ამისთანა ხუმრობა ბაკურიძემ ახალ გამოყვანილ ფარეშთან იცოდა, რადგან იმან ჯერ ბატონის ხასიათი არ იცოდა და ადვილათ ტყუვდებოდა; ძველ მოსამსახურეებს კი იმისთანა რასმე მოუგონებდა, რომ ჯერ არ გამოეცადნათ და ადვილათ მოტყუებულყვენ. ხანდახან ბატონის ხუმრობა ისეთი სასტიკი მოქცევა იყო, რომ სიცილის მაგივრათ ცრემლებს გადმოჰყრიდა ფარეში, მაგრამ გვრიტო და სხვები მაინც მუდამ იცინოდნენ. მაგალითათ ერთხელ ბაკურიძემ, როგორც ნაკვერცხალი ისე გაახურა სამ კაპეიკიანი და დადვა ბუხრის პირზე. პატარა ბიჭს დაუძახა და უთხრა: „ბიჭო, ვგ სამ კაპეიკიანი შენთვის მიჩუქებიაო“. პატარა ბიჭმა სტაცა ხელი ფულს; ერთი ხელი რომ დაწვა, უცბათ მეორეში ჩაიგდო, მეორეც რომ დაწვა, დააგდო და სიმწარით ხელებზე სულს იბერავდა. გვრიტო ამ დროს საშინლათ ხითხითობდა და სხვანიც ძალიან გამხიარულდნენ.

V

შუა დღე იყო. მზე თანდათან უფრო აჭერდა. კიჭინობელას კრიჭინით იქაურობა აკლებული ჰქონდა. ყურძნის ტევნები რთხმელის და ვენახის ფოთლებში ლამაზათ გამოსტკვრეტდნენ. „შურრრ... შურრრ... შურრრ... იძახოდნენ შაშვები, როდესაც ერთი ხიდან მეორეზე გადაფრინდებოდნენ და ამასთანავე დაატანდნენ „ჩუპ, ჩუპ, ჰუპ“, თითქოს ერთმანეთს ეუბნებოდნენ: „ჩუმათ, თვარა ბაკურიძემ თუ გამოიღვიძა, ყურძნის ჭამას დაგვამწარებსო“. სხვა წვრილმანი ჩიტების ელივილი გაუწყვეტლათ ისმოდა...

ასი წლის მუხის ქვეშ ბაკურიძეს გაეფინა ხალიჩა და პერანგის ამარა ჰგორავდა.

ფეხთით პატარა ბიჭი უჯდა და ნეშოიანი თხილის ტოტებით ბუხებს უგერებდა, თუმცა ისინი მაინც თავისუფლათ დაცოცავდნენ ბაკურიძის ტიტველ ფეხებზე.

ის იყო ბატონს გამოღვიძებოდა და თვალეზ ჩამოშვებული შეჩერებოდა თავის ტიტველ ფეხებს. ამ დროს პატარა ბიჭმა მიწამდის დაუკრა თავი ბაკურიძეს, რომელმაც მოწყალების მაგივრათ ფეხის ცერი ჰკრა თავში. პატარა ბიჭი გაფოცებული წამოვარდა და მოჰყვა თავის ფხანვას.

— „წადი შე ძილის გუდა, წყაროს წყალი ამოიტანე!“ შეჰძახა ბაკურიძემ და პირი გააწლაკუნა. ეტყობოდა, შუა დღის ძილის შემდეგ პირი გაშრობოდა. ამ დროს, საიდგანლაც იყო, მოვიდა მოურავი და ბატონის ცხვირის წინ გამოიჭიმა.

— შიუკელა, კარგს რას იტყვი? — დაწყნარებით ჰკითხა ბაკურიძემ თავის მოურავს.

— ამისთანა უბედურობა არ ნახულა, ბატონო, რაც მე დამემართა! ხულოაში წავედი, პეტრიელა მინდოდა მენახა. ეს მეორე დღეა არ მივკარებდევარ, მარამ შენს მტერს! ბიჭი გაქცეულა! ხულას ჰერი აუყრია, ხვლიკსავით გამძვრალა და საცხა წასულა, კაცმა არ იცის!

— რას ამბობ? როდის მოხდა ეგ ამბავი?.. შეჰძახა ბაკურიძემ და სწრაფად წამოჯდა.

— წუხელის თუ მოხდა, თვარა გუშინ ხულოში იყო, მე ეს კარგათ ვიცი.

— მერე არ აფრინე ვინმე მის დასაჭერათ? — სივერაგით ჰკითხა ბატონმა.

— სად უნდა მეფრინა? ბლაგვაძის ბიჭი მოვიდა ქვიანადან და რმან თქვა, ვნახე რომ ქალაქის გზაზე მიდიოდაო.

— წადი და ჰდიე კუდში! — წამოიძახა ბაკურიძემ, რომელსაც თვალები დაუსისხლიანდა და ჯავრით არ იცოდა, რა ექნა. — ხომ გითხარით, რომ მაგ საძაგლისაგან ხეირი არ გამოვა მეთქი!.. დაიკარგა ჩემი ხელიდან და ეს არის!.. აწი ხელს ველარ მოვკიდებთ!.. არა! ეგ არ არის დანაშაული ამ საქმეში!.. მაგის შინაურობა უფრო დანაშაულია... ტუ, ტუ, ტუ! სულ ის არის, ის უნამუსო დედაკაცი, მაგის დედა! იმან ააგულიანა უფრო! მოიცადოს, მე იმას ვაჩვენებ როგორც უნდა გაგულიანება!..

მოურავმა იგრძნო, რომ გაბრაზებული ვეფხის წყრომა თან და თან პეტრიელას სახლობაზე გადადიოდა. იმან კარგათ იცოდა, რომ ბატონის ვაი-ვაგლახი სულ პეტრიელას სახლობას დააწყდებოდა თავზე.

„ბატონის ჯავრი მტრის კარსო!“ იფიქრა გულში მოურავმა. იმას შეეცადა პეტრიელას სახლობა, რომელიც შვილის გადავარდნითაც ისე გაუბედურდებოდა, რომ ბატონის რისხვა მას აღარ ეჭირვებოდა. ამის გამო მოურავი ცდილობდა სიფრთხილით აეშორებინა ბატონის წყრომა პეტრიელას სახლობაზე.

— დედა იმისი სულ თმას იწეწდა, იმ ღვთისაგან დაწყევლილმა რავეა გაბედა ბატონის ურჩობაო. ის დღე რატო არ დეიქცა, რა დღესაც მე იგი დამეზადაო. იმის ბარობით ჩვენც უნდა დაგვენდუროს ბატონიო. რატომ სულ სისხლი არ ადინა ცხვირ-პირში იმ დალოცვილმა, რატომ სულ არ მოჰკლაო... დაუწყო გამართლება მოურავმა პეტრიელას დედას.

— ნუ, ნუ, ნუ გამახსენებ იმ კუდიანს, იმას!.. შეჰძახა ბაკურიძემ გაბრაზებით. — სულ ეგ არის დანაშაული. მაგისთანა საძაგელი და უკმეხი სახლობა ჩემ ყმებში არავინ არის. ბარე ორჯელ ვისადილებ მაგათ ზურგზე! ძალიან გაუმსხვილდათ კისერი. თუ მაგრე ადვილი იქნა გადავარდნა, ან ერთი ბიჭი რალათ დადგება ჩემთან. აიკვრენ ბარგს და ყველა წავა. არა, მე მაგათ უნდა ვაჩვენო, თუ რა ძნელია გაქცევა!.. შიუკელა, გესმის!.. ხვალეე ამომიყვანე ძროხა პეტრიელას სახლიდან. ნუ გეშინია, ჩემ მეზობლებს არც ერთი ლუკმა არ გადარჩებათ იმ ძროხიდან. მოგეცა სიცოცხლე, მე ისინი დავაძლო... ტყულა ნუ ელის პეტრიელას ოჯახი, რომ მარტვა ამით გადარჩენ!..

— რა ბძანებაა, ბატონო, ისინი კი უფრო ჯავრობენ პეტრიელას გაქცევას. საწყალი დედა ამბობდა: ნეტავი ტყავიც გაეძრო ბატონს იმ საძაგლისთვისო...

— შენ ის აასრულე, რასაც გეუბნებიან. ბევრს ნუ ლაპარაკობ, გესმის! — უთხრა რევაზმა ისეთი ხმით, რომ მოურავს ტყულა ხმის ამოღების მადაც წაერთვა და აჩქარებით მიიძახა:

— „მესმის შენი ჰირიმე“.

— ძალი ძალის ტყავს არ გახვეს! წაიდუღუნა ბაკურიძემ და მიტრიალდა სიმიდის კალოსაკენ.

— ეი, ეი, ეი!—მართო უცებ ბაკურიძემ, როცა შეხედა, რომ სიმიდის ტაროებს უღლებით კისერ მოხეხილი ღორები მიჰცვივოდნენ და ჯამდნენ. — ღორებმა სიმიდი შეჭამეს! არიქა, შიუკელა, გაფრინდი, გარეკე, ძაღლები მიუსიე, ძაღლები!

— ოუ, ოუ, ოუ, სიჰ, სიჰ, სიჰ!—ისმოდა ხმა მოურავისა, რომელიც ძაღლებით უკან მიჰდევდა დაფეთებულ ღორებს.

— ჰაი, ეგ საძაგლები!.. ვინ გაალო ჭიშკარი? ჩვენი გოჭებია, განა?—მიჰძახოდა ბაკურიძე მოურავს.—სწორეთ მელორე სადმე მინდორში ეგდება, ღორები კი ასე უპატრონოთ დაუყრია!.. იმათგან ხეირს ნუ მოელი, თუ ყოველთვის ცხვირში მუჭს არ ურტყამ!.. შიუკელა, ჭიშკარი კარგა მიკეტე... სხვა ბიჭები სად არიან?—გაჯავრებით ჰყვიროდა ბაკურიძე.

— რა ამბავია, რომ ერთი არავინ ჭაჭანობს ამ ეზოში? ჭამენ, სმენ და ძილის მეტს არას აკეთებენ ეგ მამაობრები.—სწორეთ სადმე ეძინებათ ახლა!.. შიუკელა, წადი ერთი ვინმე ბიჭი მოძებნე. თუ დაძინებული ნახო სადმე, ერთი კოკა წყალი დაასხი თავზე...—გააფთრებული ბატონი უშვერი ლანძღვით წინ და უკან დადიოდა მუხის ქვეშ, სანამდის თან და თან არ დაწყნარდა. ამ დროს ბიჭმაც მიართვა ბატონს ვერცხლის სურით ცივი წყალი. ის წყალს დაეწაფა და მერე დაუძახა თავის ქალს, რომელიც ცოტა მოშორებით ეზოში რალაცას აკეთებდა მარინესთან ერთად. გვრიტია გამოიქცა მამასთან და ჩაუვარდა ხელბში.

— გვრიტო, სად იყავი?—ჰკითხა მამამ ალერსით და ლოყაზე აკოცა.

— მარინესთან ვთამაშობდი.

— დედა რას აკეთებს?

— ჰკერავს.

— სანადიროთ არ წამოხვალ გვრიტო?

— კი წამოვალ!—აჩქარებით მიუგო გვრიტიამ, რომელსაც თვალები მარინესკენ ეჭირა, ეშინოდა ნაფოტების სახლი არ დაშინგრიოსო. ბოლოს დასხლტა მამას ხელიდან და გაიქცა კვლავ თავის სათამაშოებისკენ.

მზემ გადიხარა. ტკბილმა სიომ დასავლეთით დაჰბერა და თან მინდვრის ყვავილების სუნი მოიღანა. დამავალი მზის შუქი ოქროს ქსელივით გაება მინდვრებზე და გრძელი ხის ჩრდილებით დახატა ის არე-მარე. შორს ახალციხის მთის ქედები გადმოჰყურებდნენ. შინ მიმავალმა პირუტყვმა შეჰქმნა ბლავილი; ხბოებისა და თიკნების ზმუილმა და პეტელმა მოიცვა იქაურობა.

ბაკურიძე მიტრიალდა თუ არა, შენიშნა რომ მსუნაგ ღორებს და გოჭებს ხელმეორეთ გაჰქონდათ და გამოჰქონდათ ეზოში სიმინდის ტაროები და იყვირა:

„კიდევ ღორები! ჭიშკარი ვინ გაალო?.. ერთხელ არ მითქვამს და ორჯელ, ჭიშკარს ნუ გააღებთ მეთქი!.. რომ არა ეშველათ რა ამ მამა ოხრებს, ვერ შევაგონე!.. კიკოლია, კიკოლია!.. გაჰძახა ბატონმა.

— ბატონო!—მოისმა შორიდან მენახირის ხმა.

— აქ მოდი, შე საძაგელო!

ამ დროს ეზოში გაჩნდა ხუთი ბიჭი, რომელნიც ხან იქეთ დარბოდენ და ხან აქეთ, რომ როგორმე ეზოდან გაერეკათ ლორები. ყოველ დღეს ერთი სიმიდის ტარო ეჭირა პირში და მთარბეინებდა ეზოს გარეთ. ბოლოს, როგორც იქნა, გადაარჩინეს ულლიან და კისერ გახეხილ ლორებისაგან სიმიდის ხროვები.

ბატონის წინ წადგა დაფლეთილ ტანთსაცმლით ერთი ~~გაზაფხული~~ ~~თველებ~~ გადმოკარკლული ბიჭი, რომელსაც ხელში გრძელი წნელი ეჭირა. ცარიელი, ტურტლიანი ძველი ხვირჯინი მხარზე ეკიდა და პირი დაელო.

— დღეს მთელი დღე სად ეგდე?— შეჰყვირა ბატონმა.

— ლორებს ვუდექი, ბატონო!— სწრაფათ მიუგო მენახირემ და ხელში წნელს მარდათ დაუწყო ტრიალი.

— ვიცი, როგორც უდექი ლორებს!— გაჯავრებით უთხრა რევაზმა.— სულ კბილები უნდა დაგამტვრიოს კაცმა! ის მიუახლოვდა ბიჭს და მუქი ცხვირთან მიუტანა, — იქნება მაშინ გააკეთო რამე, თვარა უამისოთ კაცის შვილს არ ჰგავხარ... წადი, უთხარი შიუკელას, — შეჰყვირა მეორე ბიჭს, რომელიც იქვე იდგა და სვირს უყურებდა.

— ცვარი ღვინო არ დააღვინოს ამ საძაგელს, თვარა ეტყობა ყოველთვის ღვინით თვრება და მინდორში ძინავს. ძალიან ჯავრი აქ მაგას ლორების!— წადი, წაეთრიე, შე ეშმაკის შვილო!— შეჰყვირა მენახირეს ბაკურიძემ და დამშვიდდა.

ბინდმა დაჰკრა. ბატონი ნელნელა ადიოდა ოდის კიბეზე. ეზოში აღარავინ ჰაჭანებდა, მხოლოდ ხან და ხან რომელიმე ბიჭი გაარბენდა ერთი სახლიდან მეორე სახლამდე ან კოკა წყლით, ან სხვა რასმესთვის. კომლი ბულქვით ავარდა სამხარეულოს თავზე. ბატონისთვის ვახშამს ამზადებდენ.

VI

როდამ კვესაური ერთი ძვალ-სხვილი შუა ქალობას გადასული დედაკაცი იყო. მისი ოჯახის სიმდიდრე მისი მოწიფული ვაჟი პეტრიელა იყო; ის პატარობისას მამას გაეპარებინა ქალაქს და ერთ სოფდაგართან ხელზე მოსამსახურეთ დაეყენებინა. რევაზ ბაკურიძე ძალიან გაბრაზებული იყო თავის გლეხზე, დათია კვესაძეზე, ამის გულისთვის.

რაც უნდა სიკეთე უყო გლეხს ის მაინც არ დამისწავლის, მაინც ტყისკენ იყურება, სულ იმას ფიქრობს, რამე გიორგულოს, დაგაკლოს. — იძახდა გულმოსული რევაზი, როცა შეიტყო, რომ დათია კვესაძემ თავის პირმშო, თოთხმეტი წლის ბიჭი ქალაქისკენ გაისტუმრა.

— მე ის ხელზე მოსამსახურეთ მინდოდა, ჩავაცმევდი, დავხურავდი, ბატონის კარზე გაიზდებოდა, მერე საჯინიბოს და მარნის კლიტეები უნდა ჩამებარებინა. თუ ერთგულებას გამოიჩენდა, მერე მოურავათ გავხდიდი, მარა გლეხი ყოველთვის ასე ღმერთ გამწყრალია, არც თავის სარგებლობა ესმის, არც ბატონის სამსახური. დაესხა თავს ლაფი, მის მაგიერათ მის მეზობლის ბიჭს გამოვიყვან და ისე გამოვკანკლავ, რომ აზნაურის შვილს დავამზგავსებ. მაშინ

კი სისხლით აეცებათ თვალები, ნანობას დეიწყებენ დათია და მისი ცოლი როდამ, მარა რალა დროს! ეს კილო არაფერი, მე ვაყურებიანებ დათიას მის სიერს! სულ ჭურების რეცხვაში ამოვართმევ სულს. თუ კაცი ვარ მართლა, ვაგრძობინებ, რაც ვიყავი მე მისთვის. აქამდის გააზატებული მყავდა, აწი კი დავადგამ კისერზე კამეჩის უღელს.—განაგრძობდა რევაზი და თან დადიოდა თავის განიერ აივანზე და ჯავრს თავის ჩიბუხით აცხრობდა, რომელსაც მეტი წვევისაგან ბუყ-ბუყი გაჰქონდა.

მართლაც იმ დღიდან დათიას ბევრი მწუხარება დაადგა ბატონისაგან. ის იყო მებეგრე გლეხი; წელიწადში ბატონისთვის უნდა მიერთმია ერთი საპანე ღვინო, ოთხი კოდი სიმინდი და ოთხი ბათმანი ღომი; ამას გარდა ყოველ საშობოთ მისი სიგძე თითო ფერდელა დაკლული ღორიც უნდა მიეტანა. ამას—საუდიერო ერქვა. უწინ ბატონი იმდენათ არაფრათ აქცევდა ყურადღებას დათიას ბეგარას; თუ შეეხვეწებოდა, ხანდახან ერთი საპანე ღვინის მაგიერათ ნახევარსაც დაჯერდებოდა; საუდიერო ღორს კი თავის დღეში არ გაუზომავდა, მაგრამ მას აქეთ, რაც შვილი ქალაქს გააპარა, საშობოთ ღორს ყოველთვის უზომავდა.

დაკლული და გაფუცქნული ღორი გლეხებს კეტზე უნდა ჩამოეკიდნათ უკანა ფეხებით, კეტს ორი შინაყმა, ერთი თავში და მეორე ბოლოში, მოკიდებდა ხელს და ისე დააზმანებდენ მდგომარე დათიას.

უკანა ფეხის ჩლინქიდან დინგამდე საუდიერო ღორი უნდა გამოსულიყო დათიას სიმაღლე, თუ არ გამოვიდოდა უკანვე გაატანდენ.

ბევრჯელ იუკადრისა დათიამ ასეთი გაზომვა, ერთხელ კიდევ დაადგო ღორი ბატონის ოჯახში და წავიდა შინ შემდეგი სიტყვებით:

„თუ არ გინდა ჭირი მომჭამეო“.

ეს ამბავი შინაყმებმა რევაზს მიუტანეს; ბატონმა ამის გულისთვის შავი დღე დააყენა დათიას, ბარე ათი მათრახი უშიშელა ზურგზე და მერე ხელგაკრული გაუგზავნა ბოქაულს, რომელმაც ერთი თვე საპრობილეში ამარხულა. ამან ისე მოხარა და დაჩაგრა დათიას გული, რომ შემდეგ ბატონისათვის აღარა უწყენინებია რა, თუმცა მას შემდეგ წარბგახსნილიც აღარავის უნახავს.

მისი ცოლი, როდამ კვესაური მზის ამოსვლისას და ჩასვლისას ყოველ დღე წყველა-კრულვით მოიხსენიებდა ხოლმე ბაკურიძის ოჯახს.

„მეტათ სიხარულის მზე ნუ ამოსვლია რევაზ ბაკურიძის ოჯახს, რაც ჩვენ მისი გამოისობით სიხარული აღარ გვაქვს; ასე საუკუნოთ ჩასულა ეს მზე მის ოჯახისთვის, რავაც დღეს აგი მზე ჩასვენდა ზღვაშიო“. დაატანდა როდამ ყოველთვის.

დათია კვესაძეს მუშაობის დროს კვირაში ორი დღე ემართა ბატონისა და ამასთანავე, თუ დაჭირდებოდა, რთველზე ჭურებიც (ქვევრები) უნდა დაერეცხა. უწინ ძვირათ თუ შეხვდებოდა მას ქვევრის რეცხვა; ბაკურიძე თითქმის კიდევ ერიდებოდა დათიას, მაგრამ მას აქეთ, რაც მან შვილი ქალაქს გაგზავნა მოჯამაგირეთ, ბაკურიძეს რთველი ისე არ გადუხდია, რომ დათიას ბატონის ორი სამი ქვევრი არ გაერეცხოს.

ერთხელ ძალიან ჭინკულიანი შემოდგომა დადგა. რთველში რომ შევიდენ, წვიმას არ გადუღია. ამ დროს დათია გატიტვლებული ბატონის ორმოციან

ქურში იდგა და სარეცხს უფხაკუნებდა. მთელი ორი დღე მას ზევით არ აუხედნია. მესამე დღეს დათიამ კიდევ გაათავა ბატონის ქვევრის რეცხვა და კიდევ დაჰკრა მას ისეთმა სიცივემ ტანში, რომ ძვალსა და რბილში გაატანა; მის კბილებს ძაგდაგი გაჰქონდა, უცებ მთელ ტანში დაიმტვრა და მუხლები წაერთვა. მოურავმა ბატონს მოახსენა და მისი ნებართვით დაეწყო შინ წაყვანა ის იყო და ის. დათია ჩავარდა ლოჯინში, საშინელი სიცხე მოეცა და მუხვიდღე დღეს სული განუტევა.

ერთ დილას შესაძრწუნებელი კვილ-ჩხვილის ხმა მოისმა შორიდან სოფლის განაპირას. ბატონს მოახსენეს: საწყალი დათია მოკვდაო. ჩიბუხი ბაკურიძემ პირიდან გამოიღო და გულცივად უბრძანა თავის მოურავს:

— წადი ალაპისთვის ერთი კოდი პური მიეციო.

ანასტასიამ შეიტყო თუ არა ეს ამბავი, მაშინვე მუხლზე ხელი დაიკრა და წამოიძახა:

„ვაი ჩემს თავს, ჩემო დათია, რა ერთგული ყმა იყავი, რაღა ეშველება შენ უბედურ როდამს! ნეტაი შენი პეტრიელა მაინც შინ გყავდეს!“ ამ სიტყვებზე ანასტასიას ორი კუკური ცრემლი ჩამოგორდა ლაწვებზე. მან იმ წამსვე უბრძანა ცხენი შეეკაზმათ, უნდოდა თავის გლეხის სატირლად წასვლა.

გვრიტიამ რომ ეს გაიგო, სიხარულით შეხტა, ახალი კაბა უნდა ჩავიცვა, სატირალში მივდივართო. მართლაც ანასტასიას თან მიჰყავდა თავისი ქალი, საცა კი წაეიდოდა; ალბათ იმისთვის, რომ ყველაფერი ენახა და ყმაწვილობიდანვე შესჩვეოდა დედის საქციელს.

როდამ კვესაური მეტად გულდაჩაგრული შეიქნა ქმრის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ გაჭირვებამ თითქო ობლების პატრონის გული ერთი-ორათ უფრო გაამხნევა; თუმცა იმის ჩვიდმეტი წლის ვაჟი პეტრიელა ცოცხალი ჰყავდა, მაგრამ რა? გინდ მკვდარი, გინდ შინ მოუსვლელიო, ვინ იცოდა პეტრიელა სად იყო და სად არა, ან რა მდგომარეობაში? დარჩა მას შინ ერთად ერთი ათი წლის ქალი, რომელიც ფიხს თუ შემოუტანდა გარედან ცეცხლის დასანთებათ, თუ არა სხვა არა შეეძლო რა. ანასტასიამ ტირილის დროს როდამ კვესაური ანუგეშა, ბეგარას აღარ გამოგართმევთ ორი წლის განმავლობაში და თუ შვილი მოგივიდა ქალაქიდან, ჩემ ქმარს იმდენათ შევაბრალე ქვრივობის თავს, რომ პეტრიელას ოჯახში დავიჭერთ და შენ მაშინ სარჩო ჩვენი ოჯახიდან გექნებაო.

თვალ-ცრემლიან როდამს ქალბატონის გულკეთილობაზე კიდევ უფრო აუყუჩდა გული და ტირილ-წუწუნით მოახსენა:

„ღმერთმა შენი და შენი ქმრის ნუგეში ნუ მომაკლოს! მე, ჩემო ღვთის გამოგზავნილო ანგელოზო, ამიერიდან წყალ-წალღებული შევიქენი, ამ უბედურობას ველარ გედევითან, მეც მალე წავყვები ჩემ უბედურ კაცს, მარტვა ამ უბედური ობლის თავს გავედრებ, შენი გვრიტიას სადღეგრძელოთ ეს გამიზარდე და გამითხოვე.“ მოჰკიდა ხელი თავის გოგოს და ანასტასიას წინ დაუყენა. თვითონ როდამი კი მუხლებზე მოეხვია ქალბატონს და ცრემლებით დაუღბო კაბა.

— ნუ გეშინია, ჩემო როდამ, გული გაიმაგრე, ოჯახს ბოუარე, მეზობლებიც შეგეწევინ და მეც შენი შემწე ვიქნები,—ანუგეშა ანასტასიამ.

სატირლათ მოსულ გლებებს ძალიან იამათ ასეთი გულკეთილობა ქალბატონისა და ერთხმათ შესძახეს:

— ღმერთმა დიდი დღე მოგცეს და თქვენი გვრეტიც გაგებდნიეროს. ჩვენ რაც შეგვიძლია, ყველაფერში შხათ ვართო.

— აბა, თქვენ იცით ქვრივ-ობოლს რანაირათ შეუწყობთ ხელს—მიიქცა ანასტასია იმათკენ, გამოემშვიდობა, შემდეგ მოითხოვა ცხენი, შეჯდა ზედ, გვრიტია კი ერთ მხლებელ აზნაურს წინ უნაგირის ტახტაზე დაუსვა და წამოვიდა შინისკენ თავის ამალით.

გზაზე აზნაური გვრიტიას უყვებოდა სხვა და სხვა ამბებს, რომ ბავშს არ მოწყენოდა, ან შეწუხება არა ეგრძნო რა წინ ტახტაზე ჯდომით; ხან და ხან გვრიტია და მის უკან ცხენზე მჯდომარე მხლებელი კიდევ ღიღინობდნ სხვა და სხვა სიმღერებს. გვრიტიას მეტათ უხაროდა ცხენით მგზავრობა, აზნაურის მარცხენა ხელზე იყო გადაწოლილი და წამის წამ იძახოდა: „აჩუ, აჩუ, აჩუო“... თან თხოვდა ცხენი გაეჩქარებინა შინისკენ.

VII

როდამ კვესაურს ნახევარი წელიწადის განმავლობაში მუდამ დღე ტირილი და გოდება არ შეუწყვეტია; დილით რომ აღგებოდა, სახლს მიალაგებდა, შინაურ ფრინველს გაძძახებდა, „რრუ, რრუ, რრუო“, საკენკს დაუყრიდა, სამ ცხვარს თავის ბატკნებით და ერთ ღორს ექვსი გოჭითა გაატანდა მოსამწყყესათ თავის გოგოს, რომელსც ნახევარ კეცის ჭადს უსაგძლებდა, შემდეგ შემოტრიალდებოდა ეზოში, დაჯდებოდა დიდ კაკლის ხეს ქვეშ და დაიწყებდა ძალაღი ხმით მოთქმით ტირილს.

მისი კრიალა ხმა შორს ისმოდა და მეზობლებს გულს უთუთქავდა სამწუხარო ამბების მოგონებით; სულ უბრალო წვრილმანი შემთხვევაც კი არ დარჩენია ქმრის სიცოცხლეში, რომ ტირილში არ გახსენებიყოს. მეტათ სამწუხარო შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლებზე, როცა კვესაური საზარელი მოთქმით, თითქო გულსაკლავათ მღერისო, მოჰყვებოდა დათიას ჭურის რეცხას, ბატონი რომ გაჯავრებოდა და სამი დღე ქვევრიდან აღარ ამოეშვა წმინდა ჰაერზე, სულის მოსაბრუნებლათ.

მისი ცოდვით მეზობლები სულ ცრემლათ იღვრებოდნ. ხშირათ გამვლელ მგზავრებს მისი საცოდავი მოთქმა რომ სმენიათ, წამოუძახნიათ:

ვინ არის ეს უბედური ასე მწუხარეთ რომ შეტირის მთა და ბარსო. მის გაჩუმებას არა ეშველებოდა რა, სანამ არ მოიღლებოდა; მერე ერთს კიდევ ჩაიკრუსუნებდა „ვაიო“ და ისევ შეუდგებოდა საქმეების კეთებას.

სსდილს უკან, სამხრობისას ხელმეორედ გაიშლიდა თმას და კვლავ მოჰყვებოდა საცოდავი ხმით გოდებას. ყოველ გამოთქმულ აზრს დასტალულათ „ვაი“, „ვაი“-ს დაატანდა. გულიდან ამოხეთქილი მისი მწუხარება მეზობლებს რაღაც უნუგეშოდ გადაქცეოდათ, ასე რომ იმ ნახევარ წელიწადს მთელი სო-

ფელი როდამის საცოდაობით გლოვის ზეწარში გახვეულიყო. აღარც სიმღერა, აღარც სიცილი არსად ისმოდა.

წლის თავზე როდამ კვესაურმა ისევ დაპატიჟა მეზობლები და საბოლოოვით გამოიჭირა თავისი მიცვალებული. მართალია, მთელმა სოფელმა გადასახურავე გაუგზავნა, ვინ ნამუშევრით შეეწია, ვინ შინაური პირუტყვით, ყველათაც შემოუვიდა სამთუმან ნახევარი, მაგრამ მიცვალებულის ხარჯი მათივე კვესაურის ოჯახს ერთი ორათ მეტი მოუვიდა. ერთათ ერთი მეწველი ძროხა დარჩენოდა თავის ხბოიანა და ესენიც ქმრის სულის საოხათ შეწირა. მოგეცა სიცოცხლე მისმა მეზობლებმა მათი გემო ნახეს!—ასე იყო სოფლის ადათი.

დათიას ქვრივი რომ ასე არ მოქცეულიყო, სიზმრებს და მოჩვენებას როგორღა გადაურჩებოდა. დათიას აჩრდილი აღარც დღე მიცემდა მოსვენებას და აღარც ღამე, სულ ყურში უწივლებდა შემდეგი სამღურავე:

„დედაკაცო, მაგას მოველოდი შენგან, რომ საიქიოს შიმშილით მომკლავდიო?“

ეს იყო მიზეზი, რომ როდამს ამას შემდეგაც ყოველ კვირა დღეს საყდარში საკურთხი მიჰქონდა: ერთი ცხრა პური, ერთი ქათამი და ერთი დოქი ღვინო. ხოლო შობას, აღდომას და მარიობას ქათმის, მაგიერათ ცხვარი უნდა დაეკლა და ღვდელს იქიდან ყოველთვის სათბილო და სამი ნეკნი უნდა რგებოდა, იმის გარდა რაკი ღვდელი საკურთხს აკურთხებდა, იქვე საყდართან ჩაუჯდებოდა და კარგა ლაზათიანად შეექცეოდა ღვინით, პურით და ხორციით, მეზობლების თან დაპატიჟებით. ამისთანა ტრაპეზზე ყველა იქ დამსწრენი საკურთხებს ერთად შეაერთებდენ და ღვდლის მეთაურობით ღვინით ჩამოლოცვასაც კი გამართავდენ.

სადილს უკან ღვდელი მიტანილი საკურთხების ნარჩენით ორ დიდ ხვირჯინს გაივსებდა, გადაკიდებდა თავის ცხენს, მერე ზედ შეჯდებოდა, სავსე ხვირჯინის თვალეზზე ანაფორის კალთებს გადააფარებდა და ისე ჩაქვირითებული მივიდოდა შინ, სადაც მისი ბავშვები თამაშობით და მღერით მიეგებებოდენ:

ბაბაია აგერ მოდის
ანაფორით, ჯვართათო,
ცხენს ხვირჯინი უკიდია
გავსებული ტაბლითათო.

წელიწად ნახევარი ისე გავიდა, რომ პეტრიელას თავის ოჯახის უბედურება არ შეუტყვია—როდამ კვესაური ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რამე ნაირათ შეეტყობინებია ეს მისთვის, მაგრამ არ იქნა, კაცი არ შეხვდა ახლო-მახლო სოფლებში, რომ თბილის-ქალაქს გამგზავრებულიყო. ბოლოს, რათაც იქნა, ორი წლის შემდეგ ერთი მეზობელი კიდევ გადავარდა ქალაქს ბაკურიძის შევიწროების გამო. ამას ენახა პეტრიელა თბილისში და ეთქვა მამა მისის სიკვდილი. ბევრი ცრემლი ღვარა პეტრიელამ მამის შეცხადებაზე, მაგრამ რალას უშველიდა. მაშინვე გადაწყვიტა შინ დაბრუნება, რომ ქვრივ დედას, ყოვლის მხრით შეწუხებულს და ხელ-აღუპრობელს, საჩქაროდ მიშველებოდა.

ის მდგარიყო თბილისს ერთ სოვდაგარის სახლში შინაურ მოსამსახურეთ; პირველში მარტო აცმევდენ და ხურავდენ. სხვა ჯამაგირს არას აძლევდენ. პეტრიელა ძალიან ცქვიტი და ცოცხალი გონების ბიჭი გამოდგა. იმ უბანში, საცა მისი ბატონი იდგა, დიდი და პატარა პეტრიელას „იმერელ ლეიტენანტის“ ეძახოდა. ამ იმერელ ბიჭს დილით ადგომას ვერავინ მოასწრებდა; გაიღვიძებდა თუ არა დილა-ადრინ, მაშინვე მტკვრიდან წყალს მოიტანდა. ხუთგუჯით, სახლებს დახვეტდა, ოთახებს მიალაგებდა, სამოვარს აადულებდა, შემდეგ ბატონებიც გამოიღვიძებდენ და ფურნეში გაგზავნიდენ ბუბლიკებისა და ხაჭაპურების საყიდლათ. უნდა გეყურებინათ მისი „ორი ნანას“ და „ორი დელას“ ხმა; ნურც გინახავთ კაი მგალობელი შაშვი, ის რომ ენას არაკრავებდა. იმ ქუჩაში მისგან ყველას დილის ძილი ჰქონდა დაფთხობილი. ბოლოს ისე მიეჩვიენ მის სიმღერას რომ სანამ პეტრიელა თავის ზარივით წკრიალა ხმით არ გამოირბენდა, იმ უბნის ხალხი არ ადგებოდა. დედა შვილს რომ გააღვიძებდა წამოსადგომათ, ეს უკანასკნელი პასუხათ ასე ეუბნებოდა:

თავი დამანებე, დედი, ჯერ იმერელ ლეიტენანტის არ ჩამოურბენია, მისი ხმა არ გაგვიგონიაო.

თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის რომ გახდა, პეტრიელა ქალბატონს მეტად შეუყვარდა და დაუწყო განებივრება. როცა მისი მეუღლე ვაჭრულ საქმეებისთვის სადმე შორს გაემგზავრებოდა, ქალბატონი პეტრიელას ზალაში აწვენდა ხოლმე, თავის საწოლი ოთახის გვერდით იმ მიზეზით, ვითომც მარტო ყოფნის ოთახში მეშინიაო.

ქალბატონის მფარველობა პეტრიელას ძალიან დაეტყო, თვით პეტრიელაც ერთი ორათ უფრო მხიარული, ხუმარა და უკმეხი ბიჭი შეიქნა; ამას შემდეგ ქალბატონი ისე არსად წავიდოდა ეტლით თუ პეტრიელას ბუზმენტნიანი ჩოხით, თეთრი ცხვრის კრაველიანი ქუდით და გაკრიალებული წაღებით ეტლით წინ საჯდომზე ქუჩრის გვერდით არ დაისვამდა.

ერთხელ სამ თვეს დააგვიანდა სოვდაგარს სხვა ქვეყანაში; შინ რომ მოვიდა, ახირებული ცვლილება ნახა ოჯახობაში; პეტრიელა მეტათ სუფთათ და მდიდრულათ ჩაცმული ლაქიათ დაუხვდა, ქალბატონიც ერთობ ხშირათ დაიარებოდა სსსეირნით ეტლით. თვითონ პეტრიელაც რაღაცა გაამაყებულყო. სოვდაგარი რომ მოვიდა, მას შემდეგ მეორე კვირას შარი აუტეხა პეტრიელას და გასალახავათ მიიწია; ბიჭი ძალიან ამაყათ შეხვდა, ამის გამო ის განაძევეს ოჯახიდან; თუმცა სოვდაგარის. მეუღლე ერთი თვე შამომწყრალი იყო ქმარზე, მაგრამ ბოლოს მათ შორის მაინც მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

სოვდაგარმა პეტრიელას შინაური ავეჯეულობის დაკარგვა მოახვია თავზე და მისაცემი ჯამაგირი გაუნახევრა; თუთხმეტ წლამდის პეტრიელას კაპეიკი ჯამაგირი არ ეძლეოდა; თუთხმეტისა რომ გახდა, მერე სოვდაგარმა დაუნიშნა წელიწადში ოთხი თუმანი, ისიც ქალბატონის მეოხებით: ორი წლის ჯამაგირი სულ შეადგენდა რვა თუმანს, მაგრამ რაკი დაკარგული ნივთების ზარალი უანგარიშა სოვდაგარმა, რვა თუმანი ოთხ თუმანზე დაუყენა, ისიც დიდი დამადლებით მისცა და გამოისტუმრა.

პეტრიელას სოვდაგრის ჯავრი ჩაყვა გულში, ნაწილ-ნაწილათ რომ აეკუწა, არ ენაღვლებოდა. მაგრამ ქალბატონი ენანებოდა და მისი სიყვარულით აღარა გაუბედნია რა; გამოშორდა ამ ოჯახს მეტათ დანანებული და გულ-ატირებული. მალე გრძნობათა დელვა აუტანელ მწუხარებათ გადაექცა.

VIII.

ეროვნული
ზიზღი

ამ დროს სოლოლაკის ზედაპირი მთაწმინდისაკენ ჯერ კიდევ დაუსახლებელი ტყიანი ალაგები იყო—აქ, შიგა და შიგ ხეებს შუა პაწაწა მინდვრიანები იყო და როცა ქალაქში ახალ-ჩამოსული მოსამსახურე, იმერელი ბიჭი გაჩნდებოდა, სანამდის ადგილზე დადგებოდა, ამ წვრილ ტყიანში აფარებდა თავს. ხშირათ აქ ერთი გუნდი ჩათუქესანი მოქეიფეთა დადიოდა და სოლოლაკის დუქანს წყალობდა. ამ დუქანში არ გამოილეოდა ლამაზი მანდილოსნები, რომელთა გულისათვის ხან-და-ხან უმაღლეს წოდებათა კოკობ უღვაშებიანი ჯეელი ახალგაზრდები და სერთუკოსნებიც კი გამოისეირნებდნენ ხოლმე „კოკობო ვარდო, არ დამაგდო“-ს და ან „ახ, მთვარე, მთვარე“-ს ხმაზე მღერით. ამ დუქანს მაშინ სოლოლაკის კანტორას ეძახდნენ.

პეტრიელამ, დაჰკარგა თუ არა ადგილი სოვდაგართან, გაეშურა სოლოლაკის ბაღებისაკენ და დაიწყო იმის ტყიან მინდვრებში ბინადრობა. ის იყო ძალიან დაღონებული და გულდადარდიანებული ქალბატონის მოშორებით. გული ვერ უძლებდა, რომ დღეში ერთხელ მაინც არ ჩამოეველო თავის უწინდელ აღის კარზე, საცა მისი ქალბატონი წინათ ასე თავისიანათ ექცეოდა და ანებივრებდა საყვარელ კამერლაქიას. როგორც საქათმოში მიჩვეული მელია, პეტრიელა ისე უთვალთვალებდა თავის უწინდელ აღას, იქნება ან მისი მთავრული ქალბატონი დაენახა, ან შეეტყო, ალა ხომ არსად წასულაო. რაც დღე გადიოდა, ისე უფრო ემატებოდა პეტრიელას თავის უწინდელი ქალბატონის ნახვის სურვილი.

ამ დროს თბილისში ჩამოსულმა მისმა მეზობელმა შეატყობინა ოჯახის უბედურება. პეტრიელამ გადაწყვიტა: ისე ღმერთმა ოჯახში ნუ მიმიყვანა ცოცხალი, თუ ერთი კიდევ ჩემი კეთილი გულის ქალბატონი არ ვნახეო. ამ დროს გარემოებამაც ხელი მოუმართა: ის შეხვდა მეყასფის დუქანთან სოვდაგრის მზარეულს, რომელმაც აცნობა, რომ ჩემი ალა ერთი კვირით გაემგზავრა აღბუღალს სამხედრო სამსახურის ჩასაბარებლათ იქ დაბაკენებულ ჯარისათვის. პეტრიელას ამ ამბის გაგონებაზე სისხლი აუფარდა თავში და გულმა ბაგა-ბუგი დაუწყო. „ძლივს არ მეღირსა ჩემი ქალბატონის დამარტოხელება!“—გაიელო გულში პეტრიელამ და გაუდგა სოლოლაკის ბეგისკენ.

დილის ათი საათი იქნებოდა, რომ პეტრიელა თავის უწინდელი აღის ეზოს მიუახლოვდა. ამ დროს ქალბატონი კოფთა ჩაცმული ფანჯარასთან მიმდგარიყო და, პეტრიელა რომ დაინახა, უნებურათ გაიღიმა და გულზე ხელი მიიდვა, თითქოს ეშინოდა, შინაგანი გულის ფანცხალი არ შეენიშნა მის კამერლაქიას. მაშინვე ფანჯარა გააღო და თავი გადმოჰყო.

„პეტრიელა, სად იყავ? მითხარ, გენაცვალე, ვისთან დგებარ ეხლა? ჩვენთან ყოფნა არ მოგაგონდება ხოლმე?“

პეტრიელამ თავი ჩაღუნა, სული ყელში მოებჯინა, ერთი ფეხი კიდევ წინ წამოდგა და ხელი კედელს მიაყრდნო, ქუნდოდა, თავი შეემაგრებინა, რომ მეტი გრძნობით იქვე არ გაშოტილიყო. ის ერთ ხანს ასე იყო სახლას კედელზე მიყრდნობილი და გარინდული. ქალბატონმა ორივე ნიდაყვი ფანჯარის ჩარჩოზე დააბჯინა და ხმა დაბლათ ჩაულაპარაკა.

„პეტრეჯან, ჩემი ქმარი შინ არ არის. ამაღამ გელეგ მადგრომეცე მოდი, რომ არავინ შეგნიშნოს. ჩემ ქმარს შინაურები დარიგებული ჰყავს. აი, ამ აკოშკას ჩაუკეტავს დავაგდებ“.

პეტრიელამ ცეცხლ ამგზნები თვალებით უცებ ამოიხედა და ქალბატონს თვალი თვალში გაუყარა. შემდეგ გატრიალდა და ისევ უჯან წავიდა. სოვდაგრის მეუღლე პეტრიელას გრძნობით სავსე თვალებმა მოჰხიბლა; ის იყო ერთ ხანს ფანჯარის ჩარჩოზე ნიდაყვ დაყრდნობილი და სიამოვნებით უცქერდა კობტა პეტრიელას, რომელიც ამ დროს თან-და-თან შორდებოდა, სანამდის ვიწრო ქუჩის მოხვეულში სულ არ მიიმალა.

პეტრიელა იმ დღეს სოლოლაკის ტყის მინდორს არ მოცილებია. ის გორავდა ერთი ხის ძირას და მოუთმენლათ ელოდა დაღამებას.

შუალამეს გადასული იყო, როცა პეტრიელა იმავე ფანჯარასთან გაჩნდა: სახლის ქვედა ბალავერზე ფეხი მოიმარჯვა, მერე შეხტა ზევით, ჰკრა ხელი ფანჯარას, რომლის კარები თავისუფლათ გაიღო და საჩქაროთ გადაეშვა ქალბატონის საწოლ ოთახში. თეთრი ტილოს ჩარსავეებით გადაფენილსა და მდიდრულათ გაწყობილ ლოგინზე იწვა ახალი მიძინებული ქალბატონი, წელ ზემოთ სრულიათ გატიტვლებული; მის მკერდზე ორ მორჩილ საზამთროს ოდენს ბურთებს ამოეყოთ თავი და ელოდენ პეტრიელას ხელებს. მიძინარემ თითქოს იგრძნო მისი ოთახში მოსვლა, გაიშმუშნა, ფეხი ფეხს გაჰკრა და გადაფარებული თეთრი ზეწარი მუხლებამდის ჩავარდა. პეტრიელა ვნების კანკალმა აიტაცა, იმან ძლივს მოასწრო ფეხსაცმლისა, ქამარხანჯლის და ჩოხის გახდა, ერთი წამი კიდევ და ლაქია-ქალბატონი ორივე ინთქებოდა ვნებით აზვირთებულ გულსთქმის მორევში.

პეტრიელამ თვე-ნახევრის მწუხარება ორი, სამი საათის სიამოვნებაში ჩაახრჩო. ქალბატონი მეტის ეშხით დამთვრალი და დაქანცული უკუბრუნდა თავის ლოგინზე და მკვდარსავით მიეძინა.

არ ეძინა მხოლოთ პეტრიელას, რომელსაც ამ დროს აღარც თუ ერთობ მიეზიდებოდა ქალბატონის საალერსოთ. ის ამ დროს გართული იყო სულ სხვა ფიქრებში.

— „ღმერთმა ნუ ქნას, ჩემი შეურაცყოფა ჩემ აღას შევარჩინოვო! თითქმის რვა წელიწადია, მას ვემსახურები და ორმოცი მახეთი ძლივს გამოიმეტა ჩემთვის. შხამათ შეერგოს ჩემი ნაოფლარი! — ამბობდა გულში პეტრიელა.

ამ დროს გადახედა ქალბატონს, რომელსაც სიმსუქნე ყელში მობჯენოდა, ხვრინი ამოეშვა და საშინლათ ახრიალებდა ყელში. პეტრიელამ ჩუმით თითქოს ზიზლით დაატანა: „ზახრუმალაო!“ იმას ამ დროს თავის ქალბატონი სულაც არ უყვარდა და მის საძროხე კისერს რომ ჰხედავდა, კიდევ დაჰცინოდა:

— დაგიშვენდა სიცოცხლე, შენ ეგ კისერი დაშვენებული გქონდეს! თითქო ქონი შიგნიდან ამოგყიჭყიჭებს. ის უცებ წამოვარდა ამ სიტყვებზე და ჩუმათ წაილაპარაკა.

— ახლა რაც მან ჯამაგირი დამაკლო, ისიც უნდა შევინსრულოოო!
 ის წამოდგა ჩუმათ, მონახა კამოდის გასაღებები, ერთმანეთზე რგოლით გადაბმული, გამოაღო კამოდი და ღამეში რამდენიც მოხვდა ქალაქის ცული მუქში, ერთიანათ დაკუმშა და ჯიბეში ჩაიდვა. ამას გარდა იქვე იყო სუფრისა და ჩაის ვერცხლეული იარაღები, სამი თუ ოთხი თავი; ისიც ამოიღო, საჩქაროთ ტანთ ჩაიცვა, ფანჯრიდან გადაძვრა და გაქრა ღამის სიბნელეში.

ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რომ ქალბატონმა თვალები გააჭყიტა და განიერ ლოგინზე დაიწყო ხელების ფათური, უნდოდა, პეტრიელა გაეღვიძებინა. რომ ველარ ნახა, მოიფიქრა: საწყალი, შეშინებული, ადრე გაქცეულაო, კარგი უქნია, თორემ ვინ იცის, რომ დაგვიანებოდა, უარესი იქნებოდა, სიფრთხილეს თავი არ სტკივოა. შემდეგ არხეინათ გადაბრუნდა მეორე გვერდზე და კვლავ ლაზათიანი ხვრინი გამართა. წირვის დრო იყო, რომ ქალბატონმა თვალები გაახილა, ცოტა არ იყოს, ტანში დათენთვა იგრძნო, დაიწყო ლოგინზე კოტრიალი, ადგომას არ ეშურებოდა. ყმაწვილები დიდი ხანია, ჩაის სასმელოთახში ისხდნენ თავის გამდლით და დედას ელოდნენ.

წამოდგა თუ არა ხეზე, ქალბატონს ელდა ეცა. სადაც ფული ჰქონდა შენახული, ის კამოდის თვალი გამოწეული იყო და ქალაქის ფულები, რომელიც ქურდს ვერ მოესწრო, თან წაეღო, აქა-იქ დაქმუჭვნილი გყარა. ამას გარდა ვერცხლის იარაღს ნაკლებობა ეტყობოდა. ქალბატონი მივარდა მაშინვე კამოდს, გადმოაქოთა იქაურობა. ფულები დათვალა და შენიშნა, რომ ოცდახუთი თუ შვიანი აკლდა. ამას გარდა ქურდს წაეღო ერთი ვერცხლის საშაქრე, ოქროში დაფერილი, ერთი ოქროს სტაქანი და ექვსი დიდი ვერცხლის კოვზი.

სოვდაგრის მეუღლემ თავში ხელი შემოიკრა, გააბა კივილ-ჩხივილი; ქურდი შემოსულა აკოშკიდანო. მაშინვე პოლიციას შეატყობინეს და შეიქნა ერთი მითქმა-მოთქმა. მეზობლებმა შეიტყვეს თუ არა ეს ამბავი, მაშინვე სთქვეს:

ეს შინაური ქურდის ბრალია; იმერელი, შინ გაზდილი ლაქია რომ ეგრე გაათამამა და მერე ჭიტლაყი ჰკრა და გაუშვა, ეგრე უზამდა, მა რა იქნებოდაო.

მანდილოსნები საიქვოთ აქნევდნენ თავს, რადგან სოვდაგრის გამდლისაგან ჰქონდათ უწმაწური რამე ამბები გაგონილი სოვდაგრის ცოლისა და მისი იმერელი ლაქიას დამოკიდებულებაზე. ზოგი ისეთებიც გამოჩნდნენ, რომ ჩუმათ ასე გაიძახოდნენ:

ვინ იცის, იქნება ქალბატონმა თითონ გაატანა ქმრის ფული და თავისი ვერცხლის იარაღი შეჩვეულ ლაქიას, ახლა კი თითონვე ბრალს ადებს გარეშე ქურდებსო.

ამასობაში გავიდა ერთი კვირა და სოვდაგარიც მოვიდა. ცოლი მეტათ მწუხარე და სახე ამღვრეული დაეხვდა. სოვდაგარს მეტათ ეწყინა სახლის გაქურდვა და რამდენისამე დღეს პოლიციაში სიარული არ გაუწყვეტია. ბოლოს, სადღაც ყური მოეკრა შინაური ქურდის ამბისათვის, თუ ექვი მიიტანა თავის

გაგდებულ ლაქიაზე, რომელიც უეცრათ გამქრალიყო თბილისიდან, ესეც შესაძლებელია, რომ თვითონ პოლიციამ აიღო აზრი პეტრიელას საიქნო მოქმედებაზე. სოვდაგარი გულდასმით შეუდგა საქმის გამოკვლევას, იგი არაფერს ზოგავდა, რომ იმერეთში იქაურ ბოქაულთან მიწერ-მოწერა აღედგინათ თბილისის პოლიციის შემწეობით, პეტრიელას სახლი გაეჩხირკათ.

ერეკლე II
გინგინიძისა

IX

ზაფხული დგებოდა. მზე მეტათ აცხუნებდა გარემოს. ჰაერში რაღაც საშინელი სიციხის ხვითქი გამდგარიყო. შუაგულ ტყეში ამწვანებული ბაკე იყო მუხის დიდრონი ხეებით დაჩრდილული. სიო არ იძროდა. სქელი ტყისაგან, სიციხე თითქოს კიდე უფრო გარგვალელებულიყო.

ბაკურიძის სოფლის ერთ ბაკის შუაგულში იდგა ჩამოკვარტლული ძელური, წინ პაწია დერეფნით. დერეფანში კედელზე გძელი ლოგინფიცარი იყო გაკეთებული, ზედ ერთი ხნიერი დედაკაცი იჯდა, შავი ძაძით მოსილი, და ლაზლის წინდას გაჩქარებით ქსოვდა. როცა თითო წყება თვლებს ამოიღებდა და წინდის ჩხირს უცვლიდა, ერთ ისეთ „ვაი“-ს ამოიკენესებდა, გეგონებოდა, თან გულის ნაფლეთიც ამოაყოლაო. მთელი ბაკე წნული ლობით იყო შამოვლებული და ერთგან ცალფა გძელი ფარღალალა ფიცრებ გაკრული კიშკარი მოქეჩილილი წნელების ყურებზე ეკიდა და რომ გააღებდი, მისი კრიალი ერთ ვერსზე ისმოდა.

ძაძით მოსილ დედაკაცს კიშკრის კრიალი შემოესმა, იმან უცბათ მიაგდო სკამ-ლოგინზე საქსოვი და საჩქაროდ გაიხედა დერეფნიდან კიშკრისკენ. დედაკაცს გულმა რაღაც ახირებულათ დაუწყო თამაში. იმან დაინახა, რომ ბაკეში ერთი კაცი შემოვიდა და თან ცხენიც შემოიყვანა. ცხენზე ქალაქური ხვირჯინი ეკიდა, კარგა გატენილი. ხვირჯინ ზემოთ უნაგირს უკან რგვლათ დახვეული შავი ნაბადი ეკრა, სტუმარმა ცხენი ლობეზე მიაბა და თვითონ გამოეშურა ძელურისკენ.

— ვინცლა უცხოა, ნეტაი ვინ უნდა იყოს? — ბატონის მოურავი შიუკელა არ არის, ეს ერთობ ახალგაზდაა მასთან შედარებით, მორთულიც სხვანაირად არის.

ძაძით შემოსილ ქალს ასეთ ტანსაცმელით ჯერ არავინ ენახა. შავი ბუზმენტებით გაწყობილი ჩოხა, თავზე თათრული ნარიჯი. კრავლიანი მაღალი წვეტიანი ქუდი ეხურა, წელზე მსხვილი ვერცხლის კობლებიანი ქამარი ერტყა, განიერი შალვარი, მაღალყელიანი და მაღალი წვეტ-ქუსლებიანი წალები, — ეს სულ დედაკაცისთვის მოჩვენება იყო.

თუ არის ვინმე თული, გავარდნილი თათარი, დღისით რაფა შემოვიდა ბაკეში ასე თავისუფლათ, თუ არა და ვინცხა შორეული კაცია, მარა რაღა მე მომაგნო, ჩემისთანა საწყალი ქვრივ-ოხერი... გაივლო გულში დედაკაცმა და გულმა თანდათან მოუხშირა ცემას და მუხლებმა კანკალი დაუწყო. რომ არ წაქცეულიყო, ის უნებურათ მიესვენა დერეფნის სვეტზე.

სტუმარი თანდათან უახლოვდებოდა სახლს. სტუმრის ჩასხმული ტანი, აჩქარებული სიარული, ამასთანავე კოკობ ულვაშებიანი სახე თითქოს სადღაც ენახა მის ყმაწვილობის დროს...

— „უიმე, გენაცვალე!—გაიფიქრა გულში ძაძით მოსილმა დედაკაცმა, — სულ ჩემი უბედური ბედშავი ქმრის ახალგაზღობა მომაგონა ამ კაცმა, უცხო ტანისამოსი რომ არ ეცვას. მოჩვენება ხომ არ არის, საიქიოდან ხომ არ გამომცხადებია ის უბედური, ვაი თუ რამე საწირავი დავაკლე და იმის გულისთვის მომეჩვენაო. — მოხუცებულს დედაკაცს უეცრათ ტუჩები ჩუქჩუქდა და გაუფითრდა, ქალაქურ კინტოურათ მორთული ახალგაზდა ქაბუჭის წინ ჩამსაეტუზა. ახალი მოსული ერთ წამს შედგა დერეფანთან, მოხუცებული დედაკაცის პირდაპირ და ხმას არ იღებდა, თითქოს ორივეს ერთმანეთის ელდა ეცაო და ენა ჩაუარდაათო; მხოლოდ თვალებით ზომავდენ ერთმანეთს. დედაკაცს უნდოდა დაკვივლება, მაგრამ ღონე აღარ მოჰდევდა, სტუმარი კი ყოყმანობდა, რა ვუთხრა, როგორ მივეგებოვო, ის თითქოს რაღაც გამოურკვეველმა ერთ სისხლხორცის მგრძნობელობამ აიტაცა, ენაზე ადგა სიტყვა „დედა“ და ვერ გამოეთქვა. ბოლოს დაადწია თავი განურკვეველ მდგომარეობას და შეეკითხა:

„დედა, ვერ მიცანი? მე შენი პეტრიელა ვარ“!

— უი!—საოცრათ ამოიკვნესა ხანში შესულმა დედაკაცმა და იქვე ჩაიკეცა.

პეტრიელამ სტაცა ხელი თავის დედას და დაასვენა სკამ-ლოგინზე, მერე შეეარდა სახლში, დაავლო დოქს ხელი და დაუწყო წყლით სხურება. როდამ კვესაურმა ამოიხვნეშა და თვალები დააქყიტა.

— დედა, რა დაგემართა?—ჰკითხა პეტრიელამ,—ჩემი მოსვლა თუ ეგრე გეწყინებოდა, არ მოვიდოდი!

როდამ კვესაურმა ამ სიტყვებზე რაღაც ახალი დედობრივი ძალი იგრძნო, წამოვარდა ლოგინიდან, მოექდო კისერზე თავის შვილს, დაუწყო კოცნა და თან ცრემლებით ულტობდა პირისახეს; როცა შვილის კოცნით და აღერსით იჯერა გული, მერე ფეხმოკეცილი დაჯდა ლოგინზე: ჩამოიშალა თეთრი თმები და ამოუშვა ხმა-მალლა ტირილი:

„შვილო, მამა შენი დათია აღარ მყავსო!“ და განავრძო გულმოსაკლავი სიტყვებით მოთქმა; ამან ყოველივე გაიხსენა, რაც კი პეტრიელას პატარობის ამბავი ახსოვდა მამასთან ერთად და ბოლოს საცოდავით დაატირა:

„შვილო, სიზმარში მაინც რატომ არ მოგეჩვენა მამაშენი, სიკვდილის ეამს როგორ წვალობდა, რათ გოუშვი საიქიოს შენი გამოუთხოვარიო“.

პეტრიელას განსაკუთრებით ამ სიტყვებზე აუჩუყდა გული და მორთო ხმა მალლა ტირილ-ზლუქუნნი. როდამ კვესაურს უცებ მოაგონდა, რომ მისი შვილი შორს ნამგზავრია, იქნება მშიერიც არის დაღალული, მოსვენება უნდაო. უცებ შეწყვიტა ტირილი, თვალები ამოიწმინდა და თქვა:

„შვილო, ახლა შენ გეშივება. დაღალულიც ხარ. მე უბედური მწუხარებამ სულ გამომატვინა, აღარაფერზე გული აღარ მაქვს. შვილო, პეტრიელა, შენ ახლა ამ სკამ-ლოგინზე მოისვენე და მე ერთ წამს ცეცხლს დავანთებ და საქმელს მოგიმზადებ“. კვესაური ისე დატრიალდა, თითქოს თექვსმეტი წლის ახალგაზდა ქალათ გადაქმნილიყოს.

— არა, დედა, მე ჯერ არ მეძინება, წავალ, ცხენს მოუვლი—უთხრა პეტრიელამ და წამოდგა სკამ-ლოგინიდან.

— აგრე შეილო, როგორც გენებოს. შენი სახლია. მე ცეცხლს დავანთებ. უპასუხა როდამმა.

მართლაც, სანამდის პეტრიელა ცხენს მოუვლიდა, იარაღს მობდიდა და ეზოში გაუშვებდა ბალახის საძოვრათ, როდამმა ცეცხლი დაანთო შუა კერაზე, კეცები დამართა მჭადის გამოსაცხობელათ და საქვაბეზე ჩამოკიდებულ კარდალში წყალი ჩაასხა ასადულებლათ.

პეტრიელამ ბარგი დერეფანში შამოალაგა, ხვირჯინი კი ცალკე მიაბარა დედას. როდამმა ძარიდან გამოიყვანა დამწყვდეული ქათამი და მისცა შვილს დასაკლავათ. ამ დროს ერთიმეორეზე მეზობლები შამოდირდენ ჭიშკარში, ულოცავდენ როდამს შვილის მოსვლას, ჰკოცნიდენ პეტრიელას და გულ-ლიათ უხაროდათ საწყალი ქვრივის ბედნიერება.

როდამის ქალმაც ცხვრები მოასხა ეზოში და სირბილით გამოექანა დერეფნისკენ. იმას საძოვარზე გაეგო პეტრიელას მოსვლა და თავდავიწყებული მორბოდა, რომ დიდი ხნის უნახავ ძმას გულში ჩაკვროდა, მაგრამ დაინახა თუ არა პეტრიელა, იუცხოვა და ველარ მიეკარა; ის დადგა მოშორებით, თავი ძირს დახარა და ისე თრთოდა, როგორც ვერხვის ფოთოლი.

„რავა უცხოთ არის ჩაცმული! იმერელი მასე არ ჩაიცვამდაო!“ ფიქრობს ალბათ გულში ცამეტი წლის გოგო, რომელიც ტალახიანი ტიტველა ფეხებით, კაბა შამოფლეთილი იდგა ძმასთან მოშორებით. „თუ ჩემი ძმაა, თითონ შოვა და გულში ჩამიკრავს!“ ამ დროს როდამმა სახლიდან გამოძახა:

„გოგუცა, მოდი შეილო, შენ ძმას, პეტრიელას, მოეხვიე, ველარ იცანი, ვანა?“

პეტრიელამ, გაიგონა თუ არა ეს სიტყვები, უცებ მივარდა თავის დას და დაუწყო კოცნა.

— შენ გოგუცა ხარ! რა პატარა დაგტოვე და ახლა კი რამხელა გაზდილხარ, გასათხოვარი შექმნილხარ! აბა, აწი ერთი კაი ქმარი უნდა გიშოვნო!“ ალერსით ეუბნებოდა პეტრიელა და თან მიჰყავდა სკამ-ლოგინზე დასაჯდომათ.

გოგუცა ხელებს იფარებდა სახეზე, რომ მღელვარება შეემაგრებინა და სიხარულის ცრემლები არ ეჩვენებინა ძმისთვის.

— გოგუცა, დედა, ცხვრები ხომ არ დაგკარგვია?— შეეკითხა როდამი.

— არა, მოვიყვანე და საცხვრებოში დავამწყვდიე!— უპასუხა ქალმა.

— ვაი თუ წყურიათ, შეილო?

— არა, დედა, შინ რომ გამოვრეკე, ჩვენ ლელეში გამოვიდენ და იქ დალიეს წყალი.

— აბა კარგი, შეილო. ადექი ახლა, გენაცვალოს დედა, პაწია ტაბაკა სუფრა მოიტანე, შენ ძმას ხელი დააბანიე და საქმელი მიართვი. ყველაფერი მზათ არის. მე ხელ-დოქით ღვინოს ამოვიღებ.

გოგუცამ დედას თქმა არ დააცალა, ისე წამოვარდა შველივით ხეზე. რა ბედნიერი იყო. დიდი ხნის დაშორებული დედა-შვილის პურის ქამა. მას აქეთ რაც საწყალმა როდამმა ამდენი უბედურება და ცხოვრების უკულმართობა გამოცადა, აჭამდის მისი სიცოცხლე ბნელ ხეწარში იყო გახვეული, მხოლოდ დღეს

გამოუბრწყინდა მზე. მას ახლა ყოველი წარსული მწუხარება და ათასნაირი გაქირვება ჩირადაც არ მიაჩნდა, რაკი ასეთ ვაჟკაც შვილს თავის გვერდით ხედავდა. იმას ამ ერთი საათის განმავლობაში მთელი ათი წლის სიცოცხლის დაკარგული ძალ-ღონე დაუბრუნდა. მისი ღრუბლით მოცული სახე პირველათ დღეს გახალისდა, მისი დამტკნარი და შეყვითლებული ლოყები უწინდულათ გაალისფრდა, მას სახეზე ბედნიერების შუქმა დაკრა და სიცოცხლე გაუნელდა.

გოგუცამ ძმას ხელი დააბანინა, მერე მოუტანა გძელი ხის სუფრა და წინ დაუდგა. როდამმა ცხელ-ცხელი კეცის მჭადები დაალაგა სუფრაზე, ზედ ორი კბილა ცხერის ყველი დადვა, ხის ჯამით ცხელ წყალში ჩახლილი ხუთი კვერცი დაუდგა და მერე შემწვარი ქათამი მოუტანა.

— აჰა, შვილო, მჭადი გატეხე, გწყალობდეს წმინდა გიორგის მადლი! — უთხრა როდამმა, პირჯვარი გამოისახა და თვალები ზეცას მიაპყრო, ღმერთს ევედრებოდა, გულისწმინდით მადლობას სწირავდა შვილის კეთილათ დაბრუნებისათვის. თვითონ პეტრიელაც პირჯვარს იწერდა, აგრეთვე მოიქცა გოგუცაც. შემდეგ დედა და მისი ქალვაჟი დასხდნენ სუფრაზე სადილის საჭმელათ.

პეტრიელა კარგა მოშივეებული იყო და ორი ცხელი მჭადი მიახვია, შემწვარი ქათამი სულ იმან შეჭამა, გოგუცას ფრთის მეტი არა რგებია რა. როდამმა ჩამოილოცა, მოიხსენია მიცვალებული ქმარი და სტაქანს თავი წაუქცია, მკვდრის კერძი ღვინო მიწაზე დაღვარა, თითქოს ოჯახის პატრონს საიქიოს კერძს უგზავნიდა. ასე მოიქცა პეტრიელაც და მისი და, გოგუცაც.

სადილის უკან პეტრიელამ დერეფნიდან ბაკეში გაიხედა, ცხენს თვალი გადაავლო. ის ხარბათ ტკვერდა სიცხით გაყვითლებულ ბალახს, ეტყობოდა, იმასაც ძალიან მოშივებოდა.

— გოგუცა! იქნება ცხენს წყალი დაალევიანო. მე დაღალული ვარ და ცოტას წავიძინებ!

— შვილო, ცხენს მე თვითონ წავიყვან წყალზე, მაგის ჯავრი ნუ გაქვს; შენ აქ მოისვენე. — უჩვენა როდამმა ქილოფზე, რომელიც სკამ-ლოგინზე იყო გაშლილი. იმან მოუტანა მუთაქა და წითელი შილის ყურბალიში. ნახევარ საათს იქით გაფაღარათებული პეტრიელა სკამ-ლოგინზე ეგდო და ღრმით ეძინა. როდამს ცხენისთვის წყალი დაელევიანებინა და ისევ გაეშვა ბალახზე. შემდეგ შემოსულიყო სახლში და ლოგინზე გაეხსნა ხვირჯინის თვლები და ის და გოგუცა აწყობდნენ იქიდან ნაირ-ნაირ ქალაქიდან მოტანილ საქონლებს. იმათ ხვირჯინიდან გადმოალაგეს აღისფერი ჩითები საკაბეები, შავი თავშალი, კასინკები და შავი შალის საკაბე.

როდამი და მისი ქალი აღტაცებაში მოდიოდნენ, არჩევდნენ მათ წილს: რაც რომ მზიარული ფერის იყო, — იმას გოგუცა იწყობდა თავისკენ. რაც რომ თალხი და შავი ფერის იყო, ის კი როდამს თავისათ მიაჩნდა. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როცა ხვირჯინიდან ოქროს სტაქანი, ვერცხლის კოვზები და ვერცხლის საშაქრე გამოჩნდა.

— დედა, დედა, რა სიმდიდრეა! — ირტყამდა მუხლებზე ხელებს როდამი. ეს სულ ჩემი გოგოს მზითევი იქნება. ვინ იქნება, აწი ჩემი გოგოს ღირსი ჩემ მუზობლებში!

გაოცებული გოგუცა სულ ტაშს უკრავდა და იძახოდა: დედაია—დედაია, ოქრომ და ვერცხლმა თვალები მომჭრა! დედაია, დედაია, რა ამბავია აგი! რა ვნახე, რას მოვესწარი! დიდხანს იყვენ დედა-შვილი ასეთ აღტაცებში. ბოლოს როდამა თავის ხის სკივრი სულ ამოცალა დაფლეთილ-დამქვართულ ჭინჭელ-ლობისაგან, ჩააწყო შიგ პეტრიელას მოტანილი საქონელი და დაადგა პაწია ყვითელი ბოქლოში. მეორე ხვირჯინის თვლიდან ამოაღა პეტრიელას ტანი-სამოსი და დერეფანზე გაამხურა.

პეტრიელას არ გაღვიძებია, სანამდის არ დაბინდდა. შემდეგ წამოდგა და დაიძახა:

— უპ! ძალიან მეძინა, რაც ამ ერთ კვირაში მგზავრობაში დამაკლდა, სულ შევისრულე. მერე შეხედა ცარიელ ხვირჯინის თვლებს და მის ტანისამოსს.

— ოპ, დედაჯან, საქონელი სულ გადმოალაგე? ვერცხლისა და ოქროს ნივთები კარგათ შეინახე. აბა, რაც მოგიტანეთ შენ და გოგუცას, სულ შეიკერეთ. ჩვენ სახტარზე თქვენისთანა მორთული არაფერ არ უნდა იყოს. ყველა მეზობლის ქალებს უნდა რჩებოდესთ თქვენზე თვალი, ყველა თქვენ უნდა შემოგნატროდესთ.

უმისოდაც შემოგვნატრებენ, ჩემო შვილო.— შენისთანა მოსწრებული და კაი მომგებელი შვილი ვისაც გამოეზღება, მაზე უფრო სანატრელი რაღა იქნება?

მეორე დღეს პეტრიელამ ჩაიცვა შინაურულათ თავის ძველი ყვითელი შალის ჩოხა, ძველი ახალუხი, შემოირტყა წელზე უბრალო, საშინაო ქამარ-ხანჯალი, დაიხურა სიძველისაგან ფერ-გადაკრული ბოხოხი და წავიდა ბატონის სანახავათ.

ბაკურიძეს ძალიან იამა პეტრიელას ნახვა, გამოკითხა თბილისის და იმ ოჯახის ამბავი, სადაც პეტრიელა შინაურულათ გაზდილიყო. ამან ძალიან უქო სოვდაგრის ოჯახობა, ცოლი მეტათ გამჯელიაო ოჯახში, ასე გაშინჯე, ხან-და-ხან თვითონ მოხელდა და თვითონ გამოაცხოვდა პურს თავის თორნეშიო.

— მერე შენ არ გასწავლიდა პურის ცხოვას?—ჰკითხა ბაკურიძემ.

— კი, ბატონო, მეც მასწავლიდა და როცა მთხოვდა, ყოველთვის ავუსრულებდი. მეც ბევრჯელ გამომიცხვია პური თორნეში.

— აგრე უნდა, შვილო, ყველაფერი უნდა იცოდე გარეთ გასულმა კაცმა, ვინ იცის, როგორ დაგჭირდება!—დაატანა ბაკურიძემ და ყალიონი ააბუყ-ბუყა.

ბატონმა დაიწყო ოთახში სიარული; ის ნელ-ნელა აპარებდა თვალებს პეტრიელასკენ და ეტყობოდა, რომ არ მოწონდა მისი თავაწეული საქციელი, მიხვრა-მოხვრა, თავისუფალი ლაპარაკი, რომელშიაც ერთხელაც არ გამოურევია „კი, შენი ჭირიმე“, „ჩემო ხელმწიფე“, „თქვენი ჭირი შემეყარა“ და სხვა ამისთანა ბატონის გულის მოსალბობი სიტყვები.

— ჰო, გამუტრუკებულია ქალაქში, ზდილობა დავიწყნია, მე უნდა ვასწავლო მაგას ჭკუა, თუ არა სხვა შინაყმებსაც გამიბრიყვებსო!—გაივლო გულში ბაკურიძემ და უბრძანა.

შენ ამალამ აქ დარჩი, შინ არ წახვიდე. ახლა წადი, მოურავს დაუძახე.

პეტრიელამ თავი დაუკრა და გამოვიდა ბატონის ოთახიდან. გაათავა თუ არა ორი დღის სამსახური, პეტრიელა დაბრუნდა შინ და იქ შეუდგა თავის ოჯახის ფეხზე წამოყენებას. იმან შენიშნა, რომ როდამს ხბოიანი ძროხა არ ჰყავდა და უძროხოთ გლეხის ოჯახი რა ოჯახი უნდა ყოფილიყო? შემთხვევით იქვე სოფელში იშოვნა ათ მანეთათ შევნიერი მეწველი ძროხა თავისი ხბოთი. მას აქეთ, რაც მარტოხელათ დაინახა თავი ოჯახში და შეიგნო თავის სახლის გაქირვება, საკვირველათ გამოიცივალა პეტრიელა; არასფერ მუშაობას აღარ ერიდებოდა და სოფდაგართან გაუზნევებულ ლაქის მაგიერათ შევნიერი სოფლის მუშის სახელი დაიგდო. რაც დღე მიდიოდა, ისე უფრო ხელს იწყობდა ეს დაცემული გლეხის ოჯახი როდამისა და პეტრიელას მეცადინეობით. გოგუცა ოჯახის მოვლაში ეუარებოდა დედას, მწყემსათ კი მეზობლის თორმეტი წლის ბიჭი აიყვანეს წელიწადში სამ მანეთათ და ორი ხელი ტანისამოსიც უნდა შეეკერათ.

ბაკურიძე და მისი მეუღლე პეტრიელას მოურაობას პირდებოდნენ, მაგრამ ამ პირველში, ბაკურიძეს უნდოდა, ცოტა არ იყოს, თავისი გარეთ გასული და თავადებული ყმა დაემორჩილებია, ბარე ორჯერ-სამჯერ ცხვირში ამოეკრა და ბატონის განუსაზღვრელ უფლების წინაშე ქედი მოეხრევინებინა. ამისთვის იმან გადაწყვიტა, პეტრიელასთვის ისეთი რამ სამსახური დაეკისრებინა, რაც პეტრიელას არ ემართა, რომ მისი ნება ამ გვარ დაკისრებაში გაეტეხა. ის ეძებდა შემთხვევას და მალეც აუსრულდა სურვილი. როცა ბატონს ხაბაზი გაუხდა ავით და ბაკურიძემაც განიზრახა პეტრიელას გაბმა ხაბაზობის უღელში, მაგრამ აქ ბატონის ხმალი ფოლადს შეხვდა. პეტრიელა ისეთი გლეხი არ იყო, რომ თავის უფლების შეუფერებელი ძალა აეტანა. მან გაარღვია ბატონის ძალ-მომრეობის კედელი დი გავარდა. თუმცა იძახდნენ, ისევ ქალაქს გადიკარგაო, მაგრამ ის თავის ოჯახს არ მოცილებია. რამოდენიმე დღით გადიშალა ქ. ქვიანას, სადაც ცხენი გაჰყიდა და თვითონ კი ისევ შინ დაბრუნდა.

მეზობლებმა პირი შეუკრეს, რომ ბატონისთვის არ გაეცხადებინათ მისი შინ ყოფნა. თვით ბატონის ოჯახში მყოფ შინაყმებს მოურავიანა პეტრიელას მხარე ეჭირათ და არას ღონისძიებით არ ატყობინებდნენ ბაკურიძეს, თუ პეტრიელა კიდევ თავის ოჯახში დატრიალებდა. როდამ და მისი ქალი, გოგუცა, ძალიან უარზე იდგნენ, როცა ჰკითხავდნენ, პეტრიელა სად არისო.

ბატონისას რომ გახდა, მას შემდეგ სახლში არ დაბრუნებულაო! მოწყენილი და მწუხარე სახით ამოიკრუნებენ ხოლმე.

როდამ კვესაურს ისევ დაუგროვდა შუბლზე მწუხარების ღრუბელი, მოჰყვა თავის ჩვეულებრივ „ვაი“-ს ამოკვნესას. გული მას კარგს არას უქადიდა.

— კიდევ რასმე აუტეხენ ჩემ შვილს და როგორც ჩემი უბედური დათია უდროვოთ მოინელეს, პეტრიელასაც იმ დღეს დააყენებენო, იტყოდა ხან-და-ხან მწუხარებით როდამი და ცრემლით დაელარებოდა ორივე ლაწვები.

X

სალამო ხანია. როდამ კვესაური სახე დაღვრემილი თაროდან ქათამს იღებს და წყლით რეცხავს, თან ამბობს:

„ჩვენი გლეხების გაჩენის დღე დეილუბა! ჩვენი პატრონი აღარავინ გაჩნდა. ჩემი პეტრიელას მოსვლა სიზმარი იყო. დაგელოცა ღმერთო სამართალი, რაზე შეგშურდა ჩემი ორი დღის ბედნიერება! არ ვიყავი უბედური და დაჩაგრული თუ? ისე დავბერდი, ორი დღის სიხარული არ მღირსებია, ხან პატრონი არ გვაყენებდა, ხან გზირი და ხან ზასედატელი, ძლივს ქვრივ-ოხერსა ეღიერსა ერთი ღაწურში, ჩემი პეტრიელა, ვენაცვალე მის გაჩენის დღეს, და პატრონმა არ დიმიყენა, საცხა გამიფრინა... რას ერჩოდა ის დალოცვილი, რა შეშურდა ჩვენი?.. ხაბაზის მეტი რა ყავდა თავის ყმებში, რომ ჩვენზე არ ეხმარა ძალა და უდები არ დეედვა, უმართებული არ მოეთხოვა... ახლა რა გვეშველება, ვინ გვიპატრონებს!.. იქნება აღარც კი დამიბრუნდეს შინ ჩემი პეტრიელა, მისი ჭირიმე, ცხენი წეიყვანა ქუთაისს გასაყიდათ, მოვალო, მარა რა ვიცი!..“

ამ წუწუნში რომ იყო, კარზე შემოდგა ფენი გოგუცამ, პეტრიელას მოტანილი ახალი წითლიანი ჩითის კაბა და თეთრი თავსაფარი თავზე შნოიანობას, ეშხს უმატებდა და უფრო დიდათაც აჩენდა,

— შვილო, რა ქენი?— შეეკითხა როდამ თავის ქალს.— ცხვრები ხომ დაამწყვდიე? ხბომ არ აიწყვიტოს და ძროხა არ გამოწოვოს.

— ძროხა აგერ მოდის.— ამ დროს მოისმა ძროხის ბლავილი.

— აბა, შვილო, აუშვი ხბო და მე გამოვწველი!— უთხრა გოგუცას როდამმა.

ხბო გასხლეტოდა ხელიდან გოგუცას და ოთხ-ამოღებული მორბოდა მხიარულათ თავის დედისკენ.

— დედაია! ველარ დევიჭირე, ხელიდან გამიშვა. როგორი ძალუმია, მე მაგას ველარ მოვერივე.— მოდევდა უკან გოგუცა, თან სიცილით ეალერსებოდა თავის ხბოს:

— ი, ჩემო კოკიტა, რავარი მოხვერი იქნება. მაგას ხარი არ ემჯობინება ერთ დროს... დედა, მაგი მე უნდა წაგართვა, მაგი ჩემი კოკიტეია, ჩემი!..

ხბო ამ დროს შეუვარდა ძროხას ჯიქანში და კუდის გრეხით დაუწყო ლოშნა. როდამმა შეუწყო ხელი და როცა ხბომ მოუღბო ძროხას ძუძუები მოსაწველათ, გადასცა გოგუცას ხელში ხბოზე მობმული ბაწარი, დამიჭირეო. ხბო და გოგუცა შეეჭიდენ ერთმანეთს, ხბო დედის ჯიქნისკენ იწევედა, გოგუცა კი ბაწრით ეხიდებოდა და არ უშვებდა. ბოლოს ხბო მოიღალა კვინტრიშისაგან და დადგა ძროხის წინ, რომელმაც დაუწყო თავის შვილს ენით სლაქვა და ამ ალერსით თითქოს გააყუჩა ის. გოგუცაც მიხვდა, თუ რა სასიამოვნო იყო ხბოსთვის დედის ალერსი და მოუჩლიქა ენა:

— რავარი ჭკუიანია, ჩემი კოკიტეი, მოეფერე ძროხა, მოეფერე შენს კოკიტას. მაგი კაი ჭკუიანია, რომ გეიზდება, კაი ხარი დადგება, ჩემი საყვარელი კოკიტა, ჩემი!..

ამ დროს ხბო უცბათ შეხტა და შეინავარდა... ალბათ შეშურდა, რძის შრიალი რომ მოესმა ქოთანში, იფიქრა საზრდოს მართმევენო და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიწია ჯიქნისკენ, უნდოდა თავი წაერთმია გოგუცასთვის, მაგრამ გოგუცაც მარჯვით დაუხვდა; „გაჩერდი, კოკიტა, გაჩერდი!“— შეუყვირა და ბაწარი მოჭიმა.

— „ცოტა კიდევ მოითმინე, დედიკო ქოთანს გაამსებს და მერე გაგიშვებს. კიდევ დარჩება, ჩემო კოკიტა, შენი საყოფი.“

ამ დროს კიშკარი აქრიალდა და ორი კაცი შემოვიდა ბაკეში. ერთი — შიუკა, ბატონის მოურავი, იყო, მას უკან მეორე შინა უბა მოდევდა.

როდამმა გაათავა წველა, აიძართა და ბატონის მოურავს რომ შეხედა, წამოიკრინა:

ესენი ალბათ კარგის არაფრისთვის მოსულანო.

შეიტანა შინ რძით სავსე ქოთანი და შიდგა კუთხეზე, გოგუცამ მიუშო ხბო, რომელიც დაეტაკა ძროხის ჯიქანს და დაუწყო თავის კამეტი რძე ჩამოსულიყო ჯიქნიდან.

გოგუცა ძროხასთან იდგა და ახალმოსულებს ელოდა.

— გოგუცა, დედა შინ არის? — კითხა შიუკამ. — ქალმა გაუწვდინა სახლისკენ.

— იქ გახლავსთ! — ამ დროს როდამ გამოვიდა გარეთ.

— როდამ აცოცხლა ღმერთმა! — მიესალმა შიუკა.

— ღმერთმა გაცოცხლოს! — მოწიწებით დაუკრა თავი კვესაურმა.

— პეტრიელა ხო არ მოსულა აქ!

— კი, ბატონო, გახლდა და ქუთაისს წავიდა.

— ძალიან ცუდი საქმე ქნა იმ კაცმა. — განაგრძო შიუკამ. — ბელელი გაგვიტეხა და გეიქცა. ბატონი ერთობ გულმოსულია იმაზე.

— ეჰ, ჩემი პეტრიელა ტყუილა არ იზამდა მაგისთანა ამბავს, რომ რამე აუტანელი უსამართლოება არ დაგეტეხათ მის თავზე.

— რა ვქნათ, ჩემო დედა, გლეხები ვართ! რაც უნდა გვიბძანოს ბატონმა — უნდა დავემორჩილოთ. ძალა აღმართს ხნავს, ხომ გაგიგონია!

— კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანს, ჩემო შიუკა! უპასუხა როდამმა გულნაკლულათ.

— ცოტა გვადგია ბატონისაგან შეწუხება, რომ კიდევ ძალადობა არ იხმაროს ჩვენზე? როდის ყოფილა ჩვენი გვარი ხაბაზათ, იმ დალოცვილს რომ უნებებია ჩემი პეტრიელას ხაბაზობა? უწინ მასე არ იყო. გლეხს რაც არ ეძართა მეტს ბატონიც ვერ მოთხოვდა, დებულება არ აძლევდა ამის ნებას. ახლა კი ჩვენმა მთავრობამ დებულებაც უკულმა აქცია და ყველაფერი. მთავრობას სულ ბატონების მხარე უჭირავს და ყველამ ჩვენზე მოიცალა. უწინ ასე არ იყო. უწინ დებულებას ვერავინ წაუვიდოდა. დღეს ზეცა და კაცი, ბატონი და მთავრობა, ყველა ჩვენ მოგვადგა. გლეხი კაცის გაჩენას სულ რომ არ გაჩენილიყო, ის სჯობდა.

შიუკა გააქვავა ამ სიტყვებმა; გულზე რალაც ნაღველი მოერია და ველარა თქვა რა. ერთ ხანს იყო ასე დადუმებული.

— რა სამართალია, ახლა, გაივლო მან გულში, — ამ უბედურს ამ ერთი ხბოიან ძროხის მეტი არა ჰყავს, ესეც ბატონს მიჰყავს, იმ ბატონს, რომელსაც ჯოგი დაუდის საქონლისა. — მაგრამ ბატონის ბრძანება მაინც უნდა აესრულებინა. იმან გადახედა ბიჭს და უთხრა.

— ბიჭო! მოაბი ამ ძროხას ბაწარი, წავიდეთ, გვაგვიანდება!

— რას შობი, შიუკა! სად მიგყავს ძროხა? — შეჰყვირა გაფოცებულმა როდამ კვესაურმა.

— შენი შვილის ურჩობას დააბრალებ, ჩემო როდამ, ეს ამბავი. იმას რომ ბატონი არ გაეჯავრებინა, შენ ამ ხბოიან ძროხას არავინ წაგართმევდა.

— უიმე, მიშველეთ, რას გვერჩით ჩვენ უბედურებს; რა დაგვიშავებია სასახურის მეტი! რიღათ უნდა ვირჩინოთ აწი თავი! — ატირდა კვესაური. — წყალში თუ გადავარდებით, თვარა მეტი საშველი აღარ გვაქვს!

ყველაზე უფრო შესაბრალებელი გოგუცა იყო. მას ორივე ხელი ხბოსთვის მოეხვია და საცოდავად ტიროდა:

— უიმე, დედა, სად მიყავთ ჩემი კოკიტეი, ჩემი ლამაზი კოკიტეი... არა... არა... მე არავის დავანებებ ჩემ კოკიტას! აბა მეც მომკალით, მეც ამასთან მომკალით...

ბიჭმა და შიუკამ გოგუცა მოაშორეს ხბოს და გადიწყვანეს ~~ხეზოდან~~. დედა-შვილი საცოდავად ატირდნენ, შევიდნენ სახლში, დასხდნენ ~~ლოჯინზე~~ და ჩამდვილ-ჭირისუფლებსავით მოთქვამდნენ. რომ ვისმე შეეხედა, იფიქრებდა, ვინმე შინაური მოკვდომიათო. კარგა რომ დაბინდდა, დედაშვილი ისევ იმ ადგილას ისხდნენ და სლოკინობდნენ.

ამ დროს შემოვიდა პეტრიელა და ცეცხლი რომ გაჩაღებული არ დახვდა ძალიან ეუცხოვა.

— რა ამბავია, რა დაგემართათ, რათ ტირით? ცეცხლი რატომ არ დაგინთიათ?

როდამმა ამოუშვა ხმა-მაღალი ტირილი და შეუცხადა პეტრიელას, შენი ნაყიდი ხბოიანი ძროხა ბატონმა წაგვართვაო.

— ჩემი კოკიტეი წეიყვანეს, წამართვეს ჩემი კოკიტეი! რა მეშველება დედა, რა დამემართა ავი!... ჩემი კარგი კოკიტეი წამართვეს, კოკიტეი დამიკლეს... ტირილით ამბობდა გოგუცა.

დედის და დის ასეთმა ეივილ-ხივილმა თავხარი დასცა პეტრიელას. უიმისოდაც გულმოსული იყო ბატონზე და ახლა კიდევ უფრო მწარე ნალველი გადაენტხა იმის გულს. ერთ ხანს ხმა-გაკმენდული იდგა, მერე ბრაზმორეულმა წამოიძახა:

— არაფერია, დედა, კიდევ გიყიდი მაგისტანა ძროხას. გოგუცა, უკეთეს ხბოიან ძროხას მოგგვრი, ნუ ტირით... ვინც გაიგონებს, ასე ეგონება, ვინმე მოკვდომიათო... გაჩუმდით, არა უშავს რა! პეტრიელა არ ვყოფილვარ, თუ ჩემ ბატონს ეგ საქმე კარგ ფასათ არ დაუსვი!— როდამმა იცოდა პეტრიელას მესისხლე გული და შეეშინდა, კიდევ უბედურობა არ ატეხოსო, გამოერკვა მწუხარებისაგან და ახლა თვითონ დაუწყო პეტრიელას დამშვიდება.

— არა, შვილო, შენ ნუ, შენ აღარაფერი მოახდინო ცუდი, თუ არ გინდამამიშენის კერა უდროვით გააცივო. რა ვუყოთ, ბატონი ძლიერია, ხან გაგვიწყრება, ხან დაგვიტკბება. ისევ სჯობია, კარგი გული აჩვენე, მორჩილათ იყავი, კიდევ შევირიგდება და თუ ერთგულათ მოაჩვენებ თავს, იმ ძროხის მაგიერის გადახდა კი არა, ერთი ორათ რომ გადაგიხადოს, ისიც არ გაუჭირდება. ნუ, გენაცვალე, ნუ იჯავრებ, ღმერთი მოწყალეა, გულში ნუ ჩაივლებ ჯავრს.

ბევრი ამისთანები უთხრა როდამმა პეტრიელას გულის მოსალბობათ, მაგრამ მისი შვილი ისეთი მშვიდობიანი არ იყო, რომ ასე ადვილათ დამცხრალიყო. მის გულში საშინელი შურის გრიგალი ტრიალებდა; ვისაც მისი სიფიცხე გამოეცაღნა ყველა მიხვდებოდა, რომ ის თავის ბატონს არ აპატივებდა ამისთანა შეურაცხყოფას. მაგრამ რადგან გულდახურული ბიჭი იყო და ტრაბახობა არ უყვარდა, არც ახლა ამოუღია ხმა, ისე რომ დედა მისი სრული დარწმუნებული იყო, ჩემმა სიტყვებმა მოალბო შვილის გული და ცუდს არას განიზრახავსო.

გოგუცამ ამ დროს ცეცხლი გააჩაღა კერაზე და კეცები შემოდგა მჭადის გამოსაცხობლათ. პეტრიელა დაჯდა ლოჯინზე და მისი შუბლი მწუხარების ღრუბელმა დაჩრდილა. როდამმა საკიდელი უყო რძეს და ჩადგა ქოთნით თბილ ღადარში, რომ მალე გაეჭრა და ახალი ყველი ამოეყვანა ვახშმისთვის.

(შემდეგი იქნება)



ის წარმოიშვა და გაიზარდა სამოქალაქო ბრძოლების რკალში ტყვისმფრქვეველის კორიანტელში და ზარბაზნების მედგარ გრიალში მოგონებანო, ხან სავსე სპაზმით, გრძნობას რომ ველარ აუთავდებით ხან აღვზნებულნო ენტუზიაზმით, გმირული რწმენით და თავდადებით. იყო შიმშილი ოცდაერთი წლის, იყო სიცივე და წყალდიდობა, ყირიმს მიწისძვრა ანადგურებდა და საქართველოს უამიდობა. ზღვისგან დაღეწილს ჰგავდა ბათუმი, ტფილისს მოაწყდა მშიერთა კვეთა, იყო კერზონის ულტიმატუმში იყო ჩინელი მუშების ქლექტა. ამ დროს, ევროპა, შენ უფრო ძლიერ სერავდი ხალხის მძიმე იარას, უფრო და უფრო და განუწყვეტლივ აქლარუნებდი მის წინ იარალს. ის მაშინ იყო კლასის, რომელმაც წყენით დასტოვა ალი ქურისა, და ერთის დაკვრით გაანადგურა შემოსეულნი ყველა ჯურისა. ვის შეუძლია უსაყვედუროს რომ მას არ ჰქონდა მშრომელთა ცნობა, დიდი შეგნება და მოხერხება და უდიდესი სიმტკიცის გრძნობა? მისი პასუხი არ იყო განა არა მშიშარა და დაბუგული ხმა საჰაერო ესკადრილის, მრავალრიცხოვან მოტორთ გუგუნში? მისი პასუხი არ იყო განა, რომ დარაზმული როგორც მზეობა იბრძოდა წითელ დროშასთან ერთად მთელი მშრომელი მოსახლეობა? რა დარჩა შემდეგ დანგრევის გარდა? შრომა მიეცა სხვა ამთოვრებას, რევოლუციამ ახადა ფარდა ამშენებლობას, ცოცხალ ცხოვრებას. და მილიონთა მძლეთა მძლეობა კილოვატებში გაეშვა ისრად, პასუხისგება, მოვალეობა მრავალთან ერთად მას დაეკისრა. არ იყოს სიტყვა „არ შეიძლება“, ჰაის და ჰოის ხმა ხომ ქვევრია და შეცდომებიც ახალი დროის, რალა თქმა უნდა, ბევრზე ბევრია. მაგრამ როდესაც შენდება მხარე, როცა კულტურის ხე-ტყე მკვრივია— ხარაჩოებში, ხეტყეში, მწარე შეცდომა მუდამ ბუნებრივია. ისე ბევრია ხეტყეში ჟვერი, ისე ბევრია იქ ნახერხები, კირი, თლილი ქვა, ცემენტი, მტვერი, ხელსაწყოები, ლოდი, ვერხვები. უხერხულია იქ სიარული, მათზე გადასვლა და მიმართება მაგრამ შენობა მაინც შენდება, შენობა შრომით მიიმართება. ხუროთმოძღვარი რკინის კონებით რომ იმორჩილებს დროის სიფიცხეს სავსე ახალით და შთაგონებით, იგი არასდროს არ დაივიწყებს

და არ ივიწყებს ეხლაც კი უფრო მოაწესრიგოს სულყველაფერი, მშენებლობას რომ არ ასცილდება ზედმეტი ქვა და ზედმეტი მტვერი. და მასზე ცაა გადასახული, შენობა მძლავრი — არა მონური, უზარმაზარი, ჯერ არ ნახული, რევოლიუციონური.

დროა კულტურის რევოლიუციის? ყოველი ლექსი ამნაირ ხმაში, ის მომენტი, როდესაც სიტყვას უნდა ჰფარავდეს მქუხარე ტაში.

სალამოხანად მთაწმინდას რომ დაჰფარავს ნისლი
 არაფერი სჩანს და არავის ახარებს ქუჩა,
 მხოლოდ ხანდახან, ბლუჯა-ბლუჯად ვით მჩქეფი სისხლი
 ავტომობილმა გაისროლა შუქების ჰქუჩა.
 რა უქამური ამიდია. თქვენ სახლში ზიხართ,
 თხვენ გაქვთ ცისფერი, ყინულივით ცივი თვალები,
 გრძელი თითები და ხელები თეთრი ვით თიხა
 ხართ მშვენიერი როგორც ყველა ჩვენი ქალები.
 ნისლიან ამინდს შვენის თბილი ნათება ბუხრის
 ღრმა სავარძელი და... კომფორტი, ასეა შიგნით,
 თქვენ მიწოლილხართ სავარძელზე და შუქი მწუხრის,
 მღერით წინანდელ პოტების საყვარელ წიგნით.
 თქვენს ცხოვრებაში ყველაფერი ისევ მშვიდია,
 თქვენ ცხოვრებაში ყველაფერი ისევ ისეა —
 წიგნის შრიალი, ლურჯი მთვარის გზებით მიდიან
 რაც კი ამქვეყნად ოცნება და სიხალისეა.
 აქვე კი გვერდით უცნაური კამათი ისმის
 საკითხს სვამს ცაკი, არა ერთხელ, ისევ-ისევ —
 რომ ამერიკის გიგანტიურ კაპიტალიზმის
 ზრდას — იარაღით სურთ შეებან ინგლისელები.
 ხვალ, შეიძლება, ჩაესვენოს ინგლისის ბედი
 და ამას მოჰყვს გართულება თავისი რიგით,
 ჯერარნახული, შეიძლება, ავარდეს სვეტი
 და ბევრი, ბევრი რამ გაისმის თქვენს ოთახს იქით.
 გამოერკვიეთ! ყველაფერი ისე როდია
 როგორც სიმშვიდის და სიზმრების ავტორს ჰგონია,
 შეხედე: იქნებ მთვარის შუქში ეხლა მოდიან
 სოციალური გამძაფრება და აგონია!

იმიტომ ხდება რევოლიუცია რომ გაიფანტოს აბრაკადაბრა,
 პოეტი ეხლა ამერიკანულ მიღწევებიდან არ მიდის დაბლა.
 იმიტომ ხდება რევოლიუცია, და დაფარფატებს მსოფლიოს თავზე
 ჯვარედინებზე მყოფი პოეტი ახალ სიცოცხლით შეიქმნეს სავსე.
 იმიტომ ხდება რევოლიუცია რომ მოიტანოს დიადი რწმენა,

გვეჯეროდეს საქმე და სიხარული, აღფრთოვანება და აღმაფრენა. იმიტომ ხდება რევოლიუცია, მისთვის გაისმის ტყვიის ზუზუნნი, რომ პოეტების არ გაისმოდეს უიმედობა კვნესა, წუწუნნი!

იმიტომ ხდება რევოლიუცია იყოს ოჯახიც ახალით სრული და არა ძველისძველი რუტინით შებორკილი და შეწუხებული. სასოწარკვეთა, უსასოობა, ძველ ხანას ჩვენთვის რომ მოუცუხუნდა ვადიწვას და აღიგავოს, ამიტომ ხდება რევოლიუცია.

იმიტომ ხდება რევოლიუცია, რომ ამიერით არ გვეფარება მწუხარე ხანა დეკადანსისა: დაცემა, გახრწნა გადაგვარება. პოეტი, ეხლა გამდგარი განზე, დროგადასული ბრმა მოხუცია, უნდა შეერთო მასიურ ტალღებს, ამიტომ ხდება რევოლიუცია.

ფიფქს რომ ააცლის გზას საბერველი და აიტაცებს ჰაერში მალლა გადაიარა სახლთა მწვერვალი, ავიატორი ცაშია ახლა. მძლავრად ზუზუნებს მისი მანქანა თავგადაკლული ელავს სხივები. თავგადაკლული ტრიალებს ფრთები—სად მხოლოდ მზეა და არწივები.

დაჰკვირვებინარ ტრიალა კარებს? იგი ჩაგითრევს როგორც ბზრიალა არავის შენთან არ მოაკარებს თუ ერთხელ მაგრად დაგატრიალა. რიგი წავიდა და მოდის რიგი, გათენებაა, კიდევ იალა იქ ერთად ერთი ბულვარის ირგვლივ, ბრუნავს ქალაქი, როგორც ბზრიალა.

გამოსაკეტი ფულის უჯრიდან არავითარი ისმის ამბავი ჰყინავს. ათასგვარ კლიტეს უჩრიდა უჯრას სერთუკი დაუბამბავი ამნაირი დღე, იცი, რას უდრის? ფეთქავდა ტვინი გამძაფრებული ვით გასალები მღელვარე ქურდის დაკეტილ განძთან, ჩასაფრებული.

დღითა და ღამით ტელეფონები გაიძახოდენ: ალლო! გარაქი! დღითა და ღამით დანამონები ატრიალებდა კარებს დარაჯი და აშვენებდენ ავტომობილებს აქეთ გუგული, იქით ოფოფი და ღრიალებდა მწარედ გაზეთი, სახელგანთქმული კატასტროფობი.

ამ ცხოვრებაში ბევრია შხამი, დაუნდობლობა, გაურკვევლობა, ჰოსპიტალების მოთეთრო დგამი, სასტუმროების მარტოხელობა შხამი წარსულის და მოგონების, უცხო ფარდები, უცხო-მდგმურები დაუცხრომლობა გრამოფონების და ვაცრეცილი გრაფიურები.

როს მტვირთველები ტვირთავენ გემებს, გემთან ირევა გამცილებელი მუშებს თავს ადგას უფროსი მათი, მაღალი, მეხის ამცილებელი. მაინა! ვირა! ვირა!! მაინა. ტვირთების მთელი დაიძრა კორდი ქალების ქუდთა, საყულოების და გლიცერინის არის იმპორტი.

დეკორატივი ამზადებს ფარდებს, სდგამს ტყეს და იქით ქობებს თოვლიანს
შენ ამ პიესის, მითხარ, რა გმართებს ან მანფრედები როსმე მოვლიან?
სცენა სუნთქვას გახშირებული, საწამლავეები იღვრება ჭიქით
რამდენი მახსოვს ატირებული ამ დერეფნებში, ამ ფარდებს იქით.

„ავაშენებო, როდისმე დოკებს!“ ეხლა? რკინისებრ მაგარ მკლავებზე
რომ გადაიდებს უმძიმეს თოკებს და მიდი მოდის სახურავებზე.
გამურულია კვარტლებით თითქო არასდროს ის არ ჰყოფილა თეთრი.

ღვიძავს რკინისგზის სახელოსნოებს: ბორბლებს, რესსორებს, რონოდებს, ღერძებს
ქურა აღვივებს და ასხივოსნებს ყველაფერს, რასაც აქ შრომა ეძებს.
აქ ძახილია ლიანდაგების, აქ ტრიალია სემაფორების
შორი ძახილი სადგურებისა, მოსვლის, შეხვედრის და განშორების.

რკინის მადანი, რკინის კარები, ლიანდაგების, ცხოვრების, ბინის
ჰაერი, სუნთქვა და ჟრიაბული ყველაფერია აქ მხოლოდ რკინის
სახურავები, ხიდი, ლურსმნები, თვითონ სიგნალი სადმე თუ არის
კვლავ ყველაფერი სუნთქვას რკინის უზარმაზარი რეზერვუარის.

ამ ფერადებში შველა არაა: გახალისდება ასე მგონია.
აღმოსავლეთის ქარის მარაო ან გეიშების იაპონია.
აქ რალაც უცხო, ახალი ვნახეთ გამოხვეული წარმტაც ბადეში
ხანდახან ქალაქს უნდა გახედო ასეთ შუშების სიფერადეში.

გადიკეცება შუაზე შუშა გახურებული ისვრის სმარაგდებს
და სარკეებში უყურებს მუშა აზურმუხტებულ ფიროსმარაგდებს.

ცისკრისას ოდეს შემოგცინოდეს აღმოსავლეთი ფერებში სხმული
იქ გადასული ოცნება სრული ვისზე იქნება გამოსახული?
ო, მახსოვს, მახსოვს! შვების ამომქსოვს ფიქრს რომ დაადე ბორკილი, ბადე-
ყველაზე ადრე გამოიჩადრე, შენს უნებურად, განთიადამდე.

დაიძინე ალვის ტანა, ნანა! ბევრია კი შენისთანა? ნანა!
მშენებლობის დიდი დროა რომ არ თქმულა იმისთანა.
იქნებ ძილში პრესსა ჩაგყვა თანა, ან რადიო დაგეზმანა?
გაქანება და მატორი... სიხარული არის განა?
წინანდელი თოხის ყანა, ნანა... დარჩა მამაპაპასთანა,
შეესია ტრაქტორები, ნანა, კვალიკვალზე გაიტანა,
ინჟინერი თუ ხარ განა, ნანა, ცოტა არის გამოცანა?
სახლი დადგა იმისთანა, ნანა, საუბრობდეს ღრუბლებთანა,
ნეტა რაა იმისთანა, ნანა, ამომავალი მზისთანა, ნანა.
შრომასთან რომ დროშებია, ნანა, გაერთიანებისთანა!

თოვლიან ღრუბლებს ლაჟვარდოვან ცის კუნძულებში
გადავაფრინეთ ჩვენ ტყვიები ქარის ფრთიანი
თავისუფალი, მონავარდე ვით არწივები
და როგორც გველი შხამიანი, განგებიანი
და ცის სივრციდან მზემაც გეტყორცნა ოქროს ტყვიები
გადმოიშორა მოხვეული სიგანთიადე
ტბაში ჩაეცა მზის სხივები და ანარეკლად
მწვანე ნაპირზე აკანკალდა ეს ოქროს ბადე.



ჰაერში იბრძვის ორი ქროლა
ტყვიები ცაში გატყორცნილი ამაყ ქვეყნიდან
და ის ტყვიები რომელთ ძალუძთ მგზნებარე ფრენით
ოქროს სიმძიმე მოიტანონ ლაჟვარდი მზიდან.
ხომ ყველაფერი შექმნილია მხოლოდ მიწისთვის
ვერც ერთს ვერ ფარავს დავიწყების მტვერი და ჟანგი,
შენმა სიმღერამ შეაერთა ორი სიმღერა
რომ ძირითადათ დარჩეს მიწის მქუხარე ჩანგი.

ახალგაზრდა ხარ, მბორგავი, არც ღვინო და არც მაჭარი
და შენც თავს იკლავ... გათავდა! ლაჩარი ხარ და ლაჩარი
შენ უთრთი, შენ გეშინია გარბიხარ მხდალი, მშიშარა
ბრძოლა ჯერ არც კი გქონია, მაგრამ გრძნობებმა გიშარა.
ო, გაქცეულო! წაშლილო! მუდამ ვიქნებით მკიცხველი
როს მოგიგონებთ და დაგვწვავს შენს მაგიერად სირცხვილი.

ის მონა არის, მონა საბრალო, თვალთმაქცი მონა და უბედური,
ამაოდ ეძებ მასში თანაბარს, ან ამაოდ გსურს იძიო შური.
დღე ღრუბლითაა გარემოცული, მიმალულია მნათობი ცისა,
ღირს მასზე ფიქრი? არა: ეძიე, მხოლოდ ჰანგები სიხარულისა.

შენს მოწოდებას, შენს სიმთაქმერას ყურს უგდებს მასსა სულგანაბული
და გრძნებებს ფარულს, როგორც სიყვარულს ის აორკეცებს გამოწაფული
ჟყვარს მას ეს ხმა, გამოშუქება, მიმავალ დღეთა დიდი დიდების
მასში განითქვა მრავალი სიტყვა ბრძოლათა მძლავრთა გაბედითების.

როცა უწყალოდ იღვრება სისხლი ახალთა დღეთა არის დამდეგი
დაეჯახება ერთმანეთს რისხვით დღეს კლასი კლასის წინააღმდეგი.
დღე, მჭექარე შენი ხმა ქუხდეს, ხმა სიმართლისა, ძლიერი, ურჩი
ესმოდეს მშრომელს მთელი ქვეყნისას რომ მტკიცე არის მომავლის ბურჯი.

შორს მოსჩანს მთები ამწვანებული და სილაჟვარდის სიმალღე მწვანე
მაგრამ ახლოა ნავთსაყუდარი და მისკენ ილტვის მეიალქანე.
სიმშვიდის გრძნობით გული ევსება, ხეტიალს უგზოს ეღება ბოლო.
ო, რა რიგ ძალგიძს, მოახლოებაე, გული იმედით ააჩოჩქოლო.

როს, უცხოეთში, იალქნიან ნავს გრიგალმა ნაპირს მიაღწევინა მიწამ აღირსა შორით ალერსი, ნავთსაყუდარმა არ მისცა ბინა, ვერარა ჰპოვა უცხო მხარეში ფილისტერების და ქუჩყის გარდა ისევ შფოთიან ზღვას დაუბრუნდა, ისევ სივრცისკენ გაინაგარდა.

ამოდის ბოლი. კვამლების რკალმა მილის ღეროსთან იწყებოდა გამოუქროლა ბორიოჭარმა და გაიტანა სახლთ აკლდამაში ნისლი ერევა სიშავისა ფენებს და ნაპერწკლებიც ერევა თვალში იყვავილებენ ეს ყვავილები წარსულში, ეხლა და მომავალში არა დამკვნარი და გაცრეცილი, როგორც რვეულში, ჩარჩება რკალი სადაც გაისმის ქარხნის გუგუნის და ეჯახება ბორბალს ბორბალი.

ზღვის ზედაპირი გარინდებული, და იყო ცეცხლი გულში ნთებული მშვიდათ სუნთქავდა ცა მოწმენდილი, იყო საღამო შებინდებული. იყო საღამო თვალუწვდენელი, ხარობდა ჩუმად სამყარო მთელი თითქო შორიდან მოვიდა გემი და გამოცოცხლდა დღე დღევანდელი.

აინთო შვება და მძლავრი ღამე აღარ ეშვება სულს სითამამე სტიქიის გრძნებით არ არის შხამი, ძლიერი ხმებით ვიმღეროთ რამე. მეზღვაურებო, ეს ოკეანე მოიბურება ქარივით მწვანე შენ ხარ სამშობლო, ნავთა სავანე, არ დაგვაობლო: იქ მიგვიყვანე.

აღმოსავლეთით და დასავლეთით სახელოსნოთა რკინით ნავები ჰკივიან, ჰგრგვინვენ სიმძიმე-დავლით გადაკვამლული ლიანდაგები ბორბლები ბორბლებს ეჩქარებიან რომ დაკარგული დრო ნაარმია აღმოსავლეთით და დასავლეთით ეს უძლეველი არის არმია.

ჩარირამას და დრანანაპუჩას გამოძახილი კი ნუ გგონია უზარმაზარი მკედლების ქუჩის ალტაცებაა და სიმფონია გრგვინვა, გრიალი, რეკვა, ტეხილი, ელვა, ქურაზე მაჯა მაგარი, ფოლადი, რკინა გადაგრეხილი გადააბრუნე, ასწი, დაჰკარი!

ქარხნის რიგების დაგადგა ლანდი, სულ შავი როგორც ეშმაკის ხარო, ბევრი გინახავს: ანაირი კი დრო არ გიგრძენია არასდროს, მტკვარო!

გზა სახიფათო. როგორ მკვიდრია ბროლის მინები, ოქროს აკვანი ფეხი გაუსხლტა... „რა სიმდიდრეა“ და უეცრად ძირს მოსძვრა ბრაგვანი. „ღმერთო! მოსტეხე ბურჟუაზიას კისერი, თავი, ძვალი ზურგისა როგორც მან უქმად გამოიგონა პარკეტი პოლკის და მაზურკისა“.

გაშლილო ველო! ტყვიებო ქოხის, რა წამებაა თქვენთან იობის? აქ საიდუმლო პატარა ქოხის საიდუმლოა კაცობრიობის!

ვინ? ამნაირი გამოძახილი არაფერს ქვეყნად ჯერ არ ჰქონია
მას ხომ თავისი არ აქვს სახელი მისი სახელი—ლეგიონია.



ტყე დაბურული პროექტორმა აანთო შორით
ეს შუქა იყო ბროლივით წმინდა და გამჭვირვალე
ის მტერს ეძებდა ჩასაფრებულს გორითიგორით
სისხლის მწყურვალე.

გაღმა ჰკივოდა ბნელი ჭოტი, გამომლმაც ჭოტი,
ეშურებოდა წყარო ჩქრიალა,
ჟეცრად ჩაჰქრა პროექტორი, ავარდა შფოთი
და ზარბაზნებმა დაიგრიალა.

ამ პლაკატების უამრავ გროვამ შარშანწინისწინ, კორიანტელზე,
გადაიქროლა საქართველოზე, როგორც სამუშმა უდაბნო ველზე.
თუ პლაკატები გაიძახოდენ სიტყვას ჯერ ახალს, სიტყვას ჯერ უთქმელს
და ყველგან, ყველგან წინ უხვდებოდენ ღიმილს დამცინველს, ღიმილს დამთუთქველს:
განა ეს სული მომაკვდავია? შეხედეთ, აი კიდევ პლაკატი—
სხვადასხვა კუთხით მუშათა გროვა შეერთვის როგორც ნაკადს ნაკადი.

ნუ გგონია რომ სიმღერას შენსას ვერვინ გაიგონებს,
ვერ გაარღვევს მწუხარებას და ვერავის დაიმონებს,
არა, მუდამ ახალია და ძლიერი შენი სიტყვა
იგი წინათ ხალხის გულში დაფარულად გამოითქვა.
ძლიერია ჩანგის ხმაზე ბევრის წრფელი ლამეთ თევა
და იღუმალ სიმღერაზე სულის ცეცხლად გადაქცევა.

რატაციონის მანქანის გრგვინვა ცხრაას ჩვიდმეტ წელს მე მომაგონებს,
ხან ალტაცებით მევსება გული ხან უცნაური ხმა დამალონებს,
ხან ისმის მარში სამგლოვიარო, თვალწინ დროშების შრიალი კრთება,
ხან გაიქროლებს ავტომობილი, რომ მოაგონოს ხალხს გამარჯვება.

ის პოეზია გაჰქრა, იგი ოქრო და ვერცხლი,
ღრომ ძველ მიდამოს გაჰქრა ცოცხალ ცხოვრების ცეცხლი;
და უბოლოოდ მიჰქრის, როგორც გაშვება ქორის
მწარე გათიშვა ფიქრთა და სინამდვილეს შორის;
მაგრამ მე მოველ! მოველ! მძლავრი გუგუნე ქნარის
ძალაუფლება ყოველ დღის ახალახალ ქარის,
რა საქროა ნანა ან მოგონება ხშირი
დღეს თანასწორად დგანან მზე, პოეტი და გმირი.

ნამდვილ ვარდების გვერდით სდგას ხელოვნური ვარდი
 თქვენც სივრცეებზე სწერდით როგორც ნამდვილი ბარდი
 ფეოდალიზმის ნანა. მიუსესესა და ვერლენს
 დღეს მოიგონებს ხანა როგორც გარდასულ მწერლებს
 რა გამოიტანს ეხლა, რაც სამუდამოდ გიზის
 ინტელიგენტის გულში შექრილ შხამიან სინდისს?



„სინამდვილეზე უფრო ძლიერი არისო ფიქრი“ — ამბობს ბალზაკი.
 მე ფიქრზე ვსწერდი და იპარავდა სინამდვილეში მას ავაზაკი.

განათებათა რიგი ეთამაშება ლანდებს
 და არ ღალატობს იგი ძველი თაობის ანდერძს
 დავიწყებული, ძველი ფელეტონების წყება
 მათით ცრემლებით სველი მხოლოდ ობობა ძლება,
 ქარი მწერვალებს ხრიდა და აფარებდა ფოთლებს
 უცებ გასული წრიდან ართმევს ყვავილებს ბოდღერს.

ო, რა თქმა უნდა! ბრძოლა, დაუნდობელი მოდის
 მოაქვს ახალი ქროლა სამოქალაქო მოტივს.
 გამოურკვევლად მიდის მოსაგონებლად მწარე
 გამოურკვეველ ბინდის და მისტიციზმის მხარე.

წუთთა შეენება თანდათან ჰქრება. მიქრიან დღენი, მიჰქრიან წლები
 და სიბერის ჟამს კვლავ მაგონებს თავს ეს ტირანიის ძველი კედლები.
 მომაგონდება მოთქმა, გოდება, მკაცრ დესპოტების შური და მტრობა
 და მოგონებით კვლავ გამახარებს ძველი ერთობა და მეგობრობა.

კვლავ მიხარია ძველი კორდიდან რიონის ზვირთა თვალის დევნება
 დაუცხრომლობა გაზაფხულისა და ფერადების აზადრევენება
 რალაც ახალის და კარგის ნახვით ამიღელდება იმედით გული
 ო, მომავალზე მიმდევნო ფიქრო, რა წარმტაცი ხარ, რა დიდებული!

ახალგაზრდობა, მომავლის ძალა, სწუხდა ჯვარედინ ფიქრში გართული
 მათ ჰქონდათ გული იმ უდროობის მწუხარებაში გამოკვართული
 მაგრამ ელოდენ რევოლიუციას, ყოველთვის ახალ გრძნობას რომ ბადებს,
 და თავგანწირვით უერთდებოდენ სიმართლისათვის მებრძოლ ნაკადებს.

სტქეი: რისთვის გერქვას ადამიანი და მომავალს გეძახდეს ვალი
 თუ დაიკარგა შენი გულიდან ნების ნაკადი თავისუფალი?
 რომ გრძნობდე ამას, მოგაშველებდა თავის მარჯვენას მთელი ქვეყანა,
 რომ მოისურვო მხოლოდ და მარტო... მაგრამ სურვილი შენ ძალგძის განა?

სიცოცხლე! დიად, სიცოცხლე გვინდა! სიცოცხლე გვინდა ასი, ათასი!
 შორი ალპების წყაროზე წმინდა, სამხრეთის მზეზე უდიადესი.
 გზას არ ასცრლდე, სულთამხუთავი რომ მოგებევა ბურუსი შემდეგ,
 ბილიკებს მოჰყევ, იარე მარცხნივ. მზეა—იარე. ხრამია—შესდეგ.



ასე, ამგვარად... ეხლა დადიხარ და შენს აღსასრულს გულმშვიდად
 არ იცი ვინ ხარ, არ იცი რა ხარ, რას მოგცემს შემდეგ ცხოვრება ძველი
 იცოდე, ერთი, აუცდენელი, ბედი თავისით კარს მოგადგება....

ნუ მინდობ, შენსა ლხენასა! მთლად მიმეც აღმაფრენასა
 შენს ხმებს ვუმონებ, გეთაყვა, მღელვარე გულის ძვერასა
 მოყვრის გულს გავახალისებთ, მტერი დაგვაკლებს ვერასა
 დაჰკარი მარჯვნივ და მარცხნივ, ჩხიკვს, შავ ყორნებს და ძერასა.

კვლავ სიჩუმეა გამეფებული, ზღვა არ ბობოქრობს, ტალღა არ იძვრის
 წყალზე ამაყად ფერს ილამაზებს ლაქვარდი სახე გაშლილი სივრცის.
 ვდგევართ ნაპირზე და იალქანი წითლად ბრჭყვიალებს, მზის სხივით სტკებდა
 ოჰ, აღელდება ნეტავი კიდევ, თუ არასოდეს არ აღელდება?

ვეგებებოდით ნაცნობ ქარიშხალს და აღტაცებით გვიძგერდა გული
 მოვა დრო, ისევ მივეგებებით, დიდიხნით იმას დაშორებული.

საბრალო ნავი! გულშემზარავი ტალღა შეასკდა იმის სუსტ ნაპირს
 ტალღას გადაჰყვა აბობოქრებულს და სხვას არაფერს
 ცხრაასჩვიდმეტის ზღვა შეხვდა მწარე, ბრძოლაში მოკვდა სიმშვიდით, წყნარად.

თუ მე არა მსურს? როცა არა მსურს ამაო არის ძალა და მცნება
 ჩემს სულს ბრძოლაში ქცეულს ფოლადათ კვლავ ასხივოსნებს ერთი ოცნება
 იგი, მოვა დრო, მწარედ იფეთქებს დიდიხნის გზნებით უხვად გამთბარი
 გაანგრევს კლდეებს და გადალეკავს ის სწრაფი ტალღა და ნიაღვარი.

ო, განთიადო! მუნჯ ბორკილებში მე გავატარე ღამე წყეული
 გამაცოცხლებელ მზისა სხივების ლოდინათ ვიყავ გადაქცეული
 ფეხისხმას მოვკარ ქუჩაზე ყური, ახლო ქვაფენილს გაეკრა ლანდი
 სწრაფად დარკინულს მივადექ სარკმელს მაგრამ მზის შუქო, შენ არსად სჩანდი.
 დაიკაკანა ტყვიის მფქვეველმა, იარაღებით გამოჩნდა ფორდი,
 და ზარბაზნების ხანდახანი ხმა, ძველი ცხოვრების იყო აკკორდი!

ჩემო მენავე, შენი ფიქრი და შენი ზრუნვა
 გაუზიარე შენს მეგობარს: მშფოთარე ზღვასა
 ნუ შეგაშინებს მისთა ტალღათ მრისხანე ბრუნვა
 გულს ჩაუკვირდი და მიზეზებს სხვასა და სხვასა.

ნუ გამაგონებ ნურასოდეს ფიქრებს მწუხარეს
 ნუ ითვალთმაქცებ ცხოვრების წინ, ნუ დაეცემი
 დიდიხანია გზა ბრძოლისკენ გადაუხარეს
 შენ მათ ფიქრიდან ისევ ლელვას გადაეცემი.

ვარსკვლავთ ციმციმი და ზღვის სუნთქვა აღარ დაგატკბობს
 არ გაგიტაცებს მყუდროება დაკარგულ ცისა
 შენი სიმღერა სხვანაირად გულებს გაათბობს
 როგორც სიმღერა განწირულის და მებრძოლისა.

მიდამოებო, ეს ოცნება თქვენი ნერვია
 საჭირო არის თუ არ არის სინათლეთ ღვარი
 მეტი სისწრაფე, მოძრაობა და ენერჯია
 თავი და თავი დღევანდელ დღეს აი რა არი.

არის ცხოვრების უსამართლობა შენთან მოსული მწარე ფიალით
 ის ეკლის გვირგვინს შუბლზე დაგადგამს და შუბლი ელავს სისხლის სიალით
 ნუ დაუმაღავ ხალხს ამ იარას, დადექ იქ, სადაც შუქი ინთება
 ეკლიან შუბლზე უფრო ძლიერი და ანთებული მზე გაბრწყინდება.

დილით მსწავლულთა გროვაში გართულს, მწუხრით ბალებში მიგქონდა ბინა
 მაინც ვერა რამ დროის ნამდვილი სიხარული ვერ გაგაგებინა.

შენ გაღიმებით მისჩერებოდი მორთულ-მოკაზმულ უცხოელ ქალებს
 მე ვნახე შენი ღია თვალები როდესაც სხვები ნაბავდენ თვალებს
 მაგრამ მათ სულაც არ ჰქონდათ გული, მოწყენილობა ფარავდათ დაღათ
 შენში კი გულმა ბუნებრივობა უცხოეთშიაც კი შეინახა.

შენზე ამბობენ: რა სიმარტივის უბადრუკ ნიშნებს ხატავსო, ბედო!
 მაგრამ ცუდ რამეს ვერავინ იტყვის, ახირებულსაც ვერ დავარქმევთო.
 რა საჭიროა ის მეშხანური და უცხო გულის კრთოლვა-ცივება,
 ამ ხელუხებელ შვენების შემდეგ შენ ყველაფერი გეპატივება.

მის წლოვანების შესაფერ ფიქრებს, ვერ შეაჩვია, ვერ დაუბრუნა
 „ჩვენს ბავშურს და ზნეუფერულ დროში“ ბავშვებზე ქარმა გადიგუგუნა.

ყმაწვილი, პირველ შეხედვით ყველას, ის უსათუოდ მოეწონება
 მაგრამ წუთს შემდეგ... რალაც სკეპციზით დამწვარი სხვაგან მიჰქრის გონება.
 ისე შრიალებს მოწყენილი დღე, როგორც ქარისგან მოტეხილი ხე.

შენის სიმღერით აღელვებული, ცისკარო, ნისლით თხემზე რომ იწვა
 გადმოექანა როგორც თეთრი ზღვა და ფანტომებათ დადნა, დაიწვა
 დაე, ისმოდეს კვლავ სიმღერაში ახალი ლელვის ელვა ტყიური
 გულს მიეც სული და დაიქუხებს იმისი ლტოლვა ტიტანიური.

მეტებს იქით ცა, აჰა, ნათლდება, მზე ეფინება მიდამო-არეს და როგორც მთელი ქვეყნის ვედრება აწყდება ბნელი ტფილისის კარებს. მისვენებისა ნაცვლად რას ელი, სამარადისო რას მოგცემს ძილი? ახალი ერის დასაწყისია ყოველმხრიდან ხმა, ყველგან ძახილი.

ულრუბლო მყინვარს დიდი ხანია ჩვენი ზრუნვები ვერ ეკარება მხოლოდ ხანდახან უცნაურ ამბად, ტურისტის მხრებში შეეპარება, ის ტფილისიდან ფიქრობდა მასზე, ახლო ენახა მთების დიდება რომელიც არღვევს საუკუნეებს და დავიწყებით არ იბინდება.

მთებში, სიმშვიდით გარემოცული, განმარტოებით შენ ისევ მღერი. ერთის მხრით ვრცელი ტყე, დაბურული, მეორე მხრით კი ძეწნა და შქერი. სალამი მთებო ტოტებგაშლილო, სალამი შორო და მწვანე მღელო ნანგრევო, დროთა ფიქრში გართულო, კლდეებო ირემჯიხვთ სამფლობელო.

სპექტრი, შუქთ გუნდი მოაწყდა კარებს, სხივთა ისარი გულზე დამასო. ისევ გაბრუნდა და მე მომესმა მისი ძახილი: იცოცხლე არსო.

ჩვენ გვასწავლიდა რაზე ვიღწოდეთ ან რაა ჩვენი დანიშნულება თავდადებულთა ძლიერი რიგის მუდამ ახალი და მძლე თქმულება. ბევრს დიად საქმეს დაუნანებლად აქ განაგებდენ მაგარი ხელით ასრულდა ბევრი რასაც ველოდით და ასრულდება ის, რასაც ველით. და ბევრ ადგილას, სადაც კი დღემდე ვერ მკვიდრდებოდა ახალი რკალი ეხლა უკვდავი გრგვინვით გაისმის დაუძლეველი ინტერნაციონალი.

სალამო მშვიდი, სალამო წყნარი დღემ ამართულ მთებს გადააფარა, დუმილს მიეცა შორი სოფლები და ყაზიბეგის თეთრი ქალარა, უკანასკნელის მზისა ალერსით აწითლებული და მოელვარე დასავლეთისკენ ჩასვენდა ალი, გაურკვეველი, ჩუმი, მთვლემარე.

ქვევით ნიაღვრით გადარეცხილი ჩაყუდებული პიტალო მთები თითქო ფიქრებად გადაქცეულან, როგორ ჰკვდებიან მზისა სხივები, პატარა ქალი სასხლავით ხელში კორდიდან კორდზე დახეტილობს საყვარელ ლექსებს იმეორებს და აყვავილებულ სალამოს ჰგალობს.

მუდმივი ბრძოლით და შურისგებით შთაგონებული, ცეცხლით გამთბარი შეურიგებელ, ნათელი გრძნობით სავსეა, როგორც ცეცხლით ლამპარი ამ დროს იმისი მთელი არსება სხვადასხვა ფრთებად ირგვლივ ვრცელდება მისი აზრები სავსეა სიტყვით, რომელიც საქმით ხორციელდება.

სცენაზე მიდის ადამიანთ შური და მტრობა ხან სიხარულის, ხან ტირილის გულღვარძლი გრძნობა სანახაობა! ყველაფერი რუტინის გარდა არ გვაშორებს მას მშვენიერი თეატრის ფარდა.

ძრწოდე სამყარო. ეს ჩვენი დროის დაუნდობელი მზე და ნისლია მის წინააღმდეგ წასვლა არ ძალგძის, მის წინ განძრევაც არ შეგიძლია ციურო სულო, დაუმორჩილდი. დედამიწაზე აიღე ხელი. შენ ცა გეკუთვნის—მას დედამიწა. შენ ძლეული ხარ—ის უძლეველი.

არარა ჰგეებს უკუნისამდე, სუყველაფერი მიდის და ჰქრება ღრუბელს ამართულს უზრუნველ ცამდე იღუმალება არ ესიზმრება. მშვენიერების უხმო სიკვდილი კარგად იციან, როდის მოვლის... შენთვის, ლაჩარო, კი უკვდავია ხმა სატანასი და სამოვლის.

უბრძანეთ არწივს მთის მწერვალთან დაეშვას დაბლა და განადგურდეს უთხარი ირემს მთაზე იმ მთიდან ნუ ხეტილობს, სიკვდილი სურდეს. უთხარი ცამდე ამართულ მუხას, მუდამ იხვიოს ნისლი გრძნეული ეხლა უბრძანე ამ ბობოქარ ზღვას იყოს პატარა და იჭვნეული.

არ შემიძლია. შენსში გულისთქმა ჯფრო მძლავრია ვინემ ზღვის ბსკერი სილამაზისა კვლავ გიტაცებს ხმა დაუშრეტელი როგორც ჩანჩქერი. ყოველთვის როცა ხედავ ან ისმენ სამარადისოდ რასმეს მიმზიდველს შენ სიხარული აგაფრთოვანებს, ვით მწუხარება უდაბნოს ტიტველს.

ესპანიოლკით, პარიზიდან დაბრუნებული ის ბრძნულად სდუმდა. ტუჩზე ღიმი სჩანდა დამცინველი ამ სახისაგან მე ვილტოდი გაფითრებული ის მაშინებდა როგორც უცხო შავი ფრინველი საით მიდიხარ!—მომჩხაოდა დაუთრგუნავი „იქ სადაც ყველა“—ვუპასუხე და გავეჩანე სად ხალხის ჰქუხდა უკამარობათ დაძრული ზეავი სადაც ვიპოვე მღელვარე ზღვა და ოკეანე.

აბა რა იყო შენი ბავშობა! მამა არ გყავდა, დედა არ გახსოვს არც სიყმაწვილე, არც თამაშობა სულ სიღარიბე გართმევდა სასოს. გყავდა გამდელად ქუჩა, ის გზრდიდა. საკუთარ სახლად მას უცქეროდი თითქო ეს ბინაც მწარედ გდევნიდა და შენ მომავალ ბრძოლებს მღეროდი.

გახსოვს? გახსოვს ის ქარბუქი რომ ფანტავდა ფოთლებს დილით ეხლა... ეხლა კი სიცილით ცის დასავლეთს როგორც ლუქი გადაეკრა ნორჩი შუქი, შემორტყმული ნაზი ღილით აფერადდა ყვავილივით სილაქვარდე მუქი... მუქი...

კლდეებს ამტვრევენ... ეხლა გაიგებთ შრომის კუნთების ძალას იღუმალს იგი მძლეველი ლომებით ანგრევს, ლოდათ ჩამოჭრილ კლდეთა სასთუმალს.

ზეცა შეშფოთდა. სული განაბეს ანგელოზებმა განცვიფრებულმა იდუმალების გაწყვეტილ სიმთან ამოიოხრა ვარსკლავთ კრებულმა რალაც უცნაურ სულისკვეთებით იბურებიან ღრუბელთა გზანი მისკენ საშინელ შურისძიებით მიეშურება ჰაეროპლანი.



გაზაფხულზე ყვავილები იმღერიან ქებათ-ქებას და ნაკადიც უზრუნველად მოიმღერის გამარჯვებას ყველაფერი, ყველაფერი მაისისას ერთვის გიმნებს ეფინება სიხარული მრავალ ვარდებს და გვირგვინებს.

მოგონებები ატოკებს ტბის ლელით მოსილ ნაპირებს ლალ-იაგუნდებს, ზურმუხტებს, თვალმარგალიტებს, საფირებს. მოგონებები ამბობენ: დასტკბი და გაიხარეო ცის კიდით კიდემდისინა, მრავალთ მრავალო მხარეო.

სხვაფრივ იაზრე კაცთა ყოფნის არარაობა იცანი ყველა საიმქვეყნო მიწა და მტვერი, იმ გრძნობის ვარდა, დღეს რომ იბრძვის ჩვენი თაობა მსოფლიოს ჰქონდეს ერთი სახე და ერთი ფერი.

ხელოვნებისთვის მთა ბუმბერაზი და ვარსკვლავებიც ამბობენ ამბავს მხოლოდ მასსისთვის სიმღერა კარგი უკვდავებისკენ გზას გაიკაფავს არსებობს ხეთა მშვიდი ჩურჩული, ისევ და ისევ მხოლოდ მასსისთვის სანატორიის მინდვრებზე ელავს განმკურნებელი მზე აღმასისა.

ვერცხლის ცივ ნათელს შუქთა დამფანტველს ფუნქულორი მიდამოს ჰტენდა სულგანაბული ავტომობილის სირენა სტვენდა როგორც აგატმა, ხალხთა ნაკადმა, კვლავ მიაშურა კინო-თეატრებს ქარად არღვევდა, შარფებს არხვედა. აჰა, გაარღვევს. აჰა, შეამტვრევს. ხმა ბობოქარი, ხმა ჯადოქარი ისმოდა ყველგან საღამო ხანად საღამო ხანად ვისმენდი ამ ხმას ხან მწარე ქარად, ხან უტკბეს ნანად. ცეცხლით აღევსებ, გავიათასებ ამ მშვენიერ ხმას ტყვემქმნელ გრძნობაში საღამო ხანად, ისევ იმ ნანად ჩემთვის სანატრელ ბობოქრობაში.

მუდამ ახალი იწყე ცხოვრება ახალი სხივი ედება არეს ნუ დაენდობი სიტყვებს უმიზნოს, არა ერთს მოგცემს ის სიმწუხარეს. წარსულისაგან კვლავ დაიბრუნე შენი მარადი თანამგრძობელი ჩემო სიმღერავ, იყავი მალლა, როგორც ცხოვრება, როგორც სოფელი. საზიზღარ საზღვარს გადააცილე შენი ამაყი სულისკვეთება მეტი მზის სხივი შემოგვხვევა, მეტი ნათელი შემომედება.

რა ზღვისფერი და კარგი დილაა ამწვანებულთა ტყეთა დაღალო სიკვდილი მწარე სინამდვილეა ღამისთვის მკაცრი და სავალალო. სურნელებათა გაირღვა კონა, ყვავილთა ეშხი გულზე დამასე ახალგაზრდული ყანის შვენება: სინათლე, გრძნება და სილამაზე.

სალამოვ, ტყეზე ააბიბინა, შენმა ნიავემა ააბიბინა
 სოფლის ყანათა გულის ნადები, სად გუგუნებენ ნადურს ნადები,
 სადაც ჩქარია სიმღერა და ხმა, სადაც ლერწამის ფოთლები დახმა,
 სადაც თვითეულ ბალახსაც ესმის, რომ შემოდგომის ისარი ესმის
 სად გაუსწორე ტყეს შენა თვალი და სიმღერები დღითე ^{შეგზიფიფილო}
 სალამოვ, მითხარ გულის ნადები. ლამდება, სწყვეტენ ~~ნადურს~~ ნადებმა

ორი ყურძენო შემოდგომისა, აღტაცებულ ქალის სიცილო
 ახალგაზრდობავ, თვალების ელვავ, რისთვის არ ძალმიძს შემოგიცილო.
 ხვავით ვიხილავ წუთსა ბედნიერს, მყუდრო სოფლისთვის უცნაურ წამებს,
 გათენებული სიციცხლის ისრებს, და შელამებულ თვალთა წამწამებს.

შენობლად კვლავ ადგიხარ გზას. ზეცა ჰქუხს, ზეცა ირღვევა
 ოთხივ მხრით გადმოხეთქილი მთელი სოდომი იღვრება
 ელვანი იკლავნიებიან არის ელვა და ქუხილი
 შორით შორს ისმის, ხეებში, გზა დაკარგულთა წუხილი
 დაბრუნდი! ერთი მეორეს ამ დროს არავენ იცოდებს
 მშველელ ხელს მხოლოდ გრიგალი და ქარი გამოგიწოდებს.

ამ წიგნში მთელი საუკუნის ვიპოვე ბინა
 უცხო წალკოტში, სადაც კალთა გადაეფინა
 მზის ელვარებას და უსაზღვრო ძებნის სურვილებს
 ძველი ელლადით, ძველი რომით გადაბურვილებს.
 აღმოჩენილი სულ შემთხვევით, ნახევრად მკვდარი
 ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი.

როგორც მნათობი მსოფლიო ცაში ისე ერთი ხარ პოეზიაში
 ქარიშხალივით მხნე, ბობოქარი.
 ნიაღვარი ხარ მღუმარე მთებში. სულს ნუ დაზოგავ მღელვარე ხმებში
 რა კი ქარის ხმას ყური მოჰკარი.

ლამის წყვილიადს ბოროტ გულში განთიადმა სტყორცნა შუბი
 წითელ წისხლით შეილება, ჰკვდება ლამე
 საუკუნეთ იდუმალი სხივი გულში დანაგუბი
 ცის ტატნობზე გაიშალა მოკამკამე.
 ხრიოკში კი მიბნედილი და სისხლისგან მოლად დაცლილი
 დაკლავილი როგორც ზოლი—ჰკვდება ლამე.
 მედგარს, მებრძოლს, ნორჩ განთიადს, მალლა ნაძვებ-ავარცხნილი
 სიხარულით ეგებება დღის სალამი.

უცქერ დიზელებს და სიხარულის ნაცვლად ვაებით გევსება მკერდი
 განაფხულია, არე მიდამოს სიმწვანე ფარავს როგორც ხავერდი
 რა მშფოთარე და ტკბილია ნანა. დაძინება ვსურს, არავის უცდი.
 ხედავ, რა მალე წაგერთო ძალა. უდაბნო, ტყეო, როგორ მოხუცდი.

წყველანი გულში ვერ დაეტია, მწარე განცდებით აივსო სურა,
ქარმა და წვიმამ ასე გაგხადა, ხანგრძლივმა ბრძოლამ დაგაუძლურა,
შენი ბორკილი იყო სიბნელე, მაგრამ ხანგრძლივი არის ის განა?
დაუგდე ყური ისევ დიზელებს, რა მშფოთარე და ტკბილია ნანა.

დასძარ. დროა. დროა. ინეენერია. და ერთბაშად ახმაურდა წაღმართი
აგრიალდა დიზელების სერია, განათებამ ღამე გაანადგურა.

ტყე და მთები საზღაპრო სურათია, გაჩირალდნდა შენობათა ბურული
ცეცხლოვანი ზოლების გზა ანთია სადაც წინად ტყე იყო დაბურული.

წყალს, გადაშვებულს ტბიდან ანაზღათ ცისარტყელათა დაადგა ზოლი
გადაფუნგულა ორომტრიალი ტურბინებიდან გადანასროლი
მალე მზე ჩავა და დასავალი ფარშავანგებათ შემოიმწყრივებს
აუწყრელად დიად ფერადებს, ჩამავალ დისკოს ჩამავალ სხივებს.

გამოსცადე ყველაფერი, რაც კი ძალუძს კაცს თუ ჯადოს
რაც კი ძალუძს მარტოობას ღამის ნისლში გამოსცადოს
იგრძენ რაც კი შეიძლება ქვეყანაზე გულმა იგრძნოს,
იცან რაც კი შეიძლება კაცმა ქვეყნად გამოიცნოს.
მხოლოდ ერთი, სამუდამოდ საიდუმლოდ დაფარული
ვერას გზით ვერ გამოიცან კაცთა მეშჩანური გული.

უცებ გაცოცხლდა ირგვლივ ყოველი ველებს აღელვებს ნიავის ბინდი
ამოიშალა ძველი სიტყვები ახალი გზებით მიდის რაინდი.

ნუ იცქირები გარეშემო ვით დასასჯელი
გახსენი გული, უთხარ მეგობარს.
უთხარ თავის თავს ყოველ წამში ათჯერ, ათასჯერ
რომ გზა გაეხსნას ქაოსს ნაგუბარს.
შენ თვით შენში ხარ, საცოდავო, დატყვევებული
მარტოობაა შენი საკანი
იყავ გულწრფელი, გაიგონე ხმა ანთებული
და სასიცოცხლო რამე საგანი.

ღელვას დაფარულს ალისფერ მტვერით სიმხურვალისგან ასე ფერმიხდილს
შენ ესალმები წრფელი სიმღერით, წრფელი სიმღერით წაართმევ სიკვდილს
ირგვლივ ფერადებს შემოიკერებ. რომ აღსდგეს მხდალი და დაცემული
დიდხანს იმღერებ, დიდხანს იმღერებ, დიდხანს იმღერებ გატაცებული.

ერთხელ, მანქანავ. არ ვიცი რაზე, ისეთი როგორც ბუნება შენი
შენი ბორბლების სიბუმბერაზე ერთად შეჰკონე და შეისვენე
მუდამ, მარადის მე მას ვატარებ, როგორც სიყვარულს, ძლიერს, გამოცდილს
უვნებ ნიავსაც არ მივაკარებ, არც მე მაკარებს ზრუნვა ღამით ძილს

გონება ირგვლივ ნისლივით უვლის, ბორბლებს სათუთად კარვებს აფარებს
გრძნობა ძმობისა და მეგობრობის შენდამი სურვილს თან დაატარებს.
ვინ არ დაფიქრდეს ან არ აღელდეს გრიალი შენი რომელმაც ნახოს
ინდუსტრიალურ აღფრთოვანებით რაც მებრძოლ გრძნობას სურს შეინახოს.

ჩვენ ყველას გვიყვარს: უზარმაზარი როცა გუგუნებს მსოფლიო, ^{სწრაფი, შედგარი}
სტებს, ანადგურებს, ჰქმნის, კერპადა ხდის დაუძლეველი, სწრაფი, შედგარი
რისხვით ჰქუხს ცივი, ტალღათ გრეხილი, სწუხს სივრცეებში ფრთაატეხილი
რად არ უგდებთ ყურს, სიხარული გვსურს, აღტაცება გვსურს გაუტეხელი.

პროექტორი გალტოლვილი, ფიქალ კლდეზე გაწოლილი,
მაღალ ღრუბელს მოეჩვენა
დროთა მრავალთ გამოვლილი, ვალმოხდილი და მოღლილი
მთვარის შუქი ცას ესვენა
ორი შუქი. ორი მძივი. შედარებამ ჩვეულებრივ
ჩემს გულს მძაფრად გაჰკრა ბრწყალი
ორმა შუქმა გაიელვა, მიწა ცას გრძნობს და ბუნებრივს
ხელოვნური ნაპერწკალი.

რადიოსა და ელექტრონის ხანაში გრძნობით
შენ ბავშობის დროს გადაჰყევი, ასე არ არის?
ტოლ-მეგობრებში ამაყობდი შენ ზე-კაცობით
მაგრამ რა არის აქ ისეთი მომსპობის დარის?
გესიზმრებოდა მუზა ქალად, ნაზი, კეთილი
ხელში რომ ქნარად უკვდავების ეჭირა ცნობა
ეხლა კი კლდე ხარ და ფოლადი შემოქედილი
აგრე აღვილად არც მუზა გრწამს, არც ზეკაცობა.

პატალოგია, ენა დაბმული! გიცქერის ღამე სულგანაბული.
კარებთან მკვლელი. სარდაფში ჩახვალ იქაც მკვლელია და ყრიამული
ამოხვალ, ქუჩით დაგედევნება, დაუცხრომელი, მრავალთ-მრავალი
და ვერსად ჰვეყნად ველარ ისვენებს მთელი თაობა გარდამავალი.

თუ ყურს უგდებდი ბარიკადის ხმას ჩასაფრებულს
თუ ყურს უგდებდი ყუმბარების სიმღერას მწარეს
იგი ჰანგები ტალღას სცემდა გულს გამძაფრებულს
იგი გვამცნევდა მისაწლომელ ჰანგების არეს.
ვერა, ბუნებავ, სუსტი ენა ვერ გამოხატავს
ცხრაას ჩვიდმეტის სიდიადეს და აღმაფრენას
არ შეუძლია მის წინ რამ სთქვას ენას მომაკვდავს
აღარ აქვს ძალა იმ ძალასთან უბრალო ენას.

თუ ყურს უგდებდი ცეცხლს და გრიგალს მრავალ შვენებით
განა ვერ ამჩნევ რომ მზის სხივი მიმოიფანტა
გავიდა ხანა. ეხლა მაინც ხარ მოსვენებით
მაგრამ იგი დრო ენამ მაინც ვერ გამოხატა.



ის ინდოეთი, საქართველო, სპარსეთი, ტომი—
რომ შეერთდება ერთი გრძნობით და ერთი მიზნით
მათი მარადი, პერალდიის ვეფხვი ან ლომი
თქვენ, აჩრდილებო წარსულისა, ველარ დაგიხსნით.
წარვლიან თქვენგნით მთელი ჯგუფები, მთელი თაობა
სადაც არავის წაეჩხუბება უკვდავებათა სხვადასხვაობა.

იქ მშვენიერი სუნთქვით სუნთქავს მზეთა მაგია
სტრიქონებია ვით ციფრები და ხანა ტოკავს.
ეხლა მე მესმის, ყველაფერი რაც კი კარგია
მომავალს რად სურს მიაკუთვნოს ჩვენსა ეპოქას.
სმენა! თვალყური! ეპოქა ისვრის ახალ ერესებს,
და იგი არის—დღეებს რომ გასცდა უძლიერესებს.

ხავსი ედება კოშკებს უძველესს, დრომ შუბლს ნაოქი გადაუხარა
ვერავენ აპყრის მტკიცე საფუძველს, ჩვენმა დრომ ახალს რომ ჩაუყარა.

აღმოსავლეთი გვეჯეროდა ჩვენ ყველაზე უფრო.
და დაქინებით გავცქეროდით ეფრატს და ნილოსს
შუა გაჭიმულს არაბეთის ნახევარ კუნძულს
რომ ლტოლვა მისი არასოდეს არ დაიჩრდილოს
თანასწორობა, მიწა საერთო, დაე, ბორკილებს მას ნუ ადებენ
მშრომელს მიეცეს რაც მას წაერთო, წყვდიადს უფრო ნუ აწყვდიადებენ.

ღრმა სიყვარული შრომისადმი, თავისუფლება,
მეგობრობაში და მტრობაში ძლიერად სრული.
თანასწორობის მწვერვალი რომ ეალუბლება
აი რა იყო, აი რაა უკვდავი სული.
კლასის სიმართლე და სამართალი ბევრის წამრთმევი, ბევრის მძლეველი
მუდამ დარჩება როგორც სარდალი დაუძლეველი.

იმ საგანძურებს, რომ არ ნდობდენ ბარბაროსები
საუკუნეთა გაქროლების მოიტანს დალი
აიშლებიან ამიღები და ტაროსები
გადარჩენილი ნანგრევების ფერადი ბალი.
გრძნობენ: ევროპა, საოცარი რამე მოხდება
სანამ მსოფლიოს არ აღმოხდება
ამდენ ცეცხლიდან მზეების თალი.

ვარსკვლავთა ფიფქით გულია სავსე, ელვარებს მთვარე
 შავი ზღვის ზვირთთა სცურავხარ ნავზე, შენ, შუქთა მხარე
 კიპარისები, დაფნები, პალმა—მოსჩანან შორით
 და ნავთსადგური ცისფერმა აღმა—დაბურა ტბორით
 როგორც ეს გული, მიეცა ჯადოს მიდამო მთელი
 სულაც არ უშლის ქარიშხალს ღრიალს—სემღერა წრფელნი



ეროვნული
 წიგნობა

ვისაც ელოდი მას აღარ ელი, სდუმს ღამის ურნა
 ქორწინების ხმა გასახარელი მიდუმდა ზურნა.
 ნუგეში მშვიდი სიბერის დღეთა, ძვირფასო სახლო
 მიიღე, როგორც თავის შვილს დედა სიცოცხლის ახლო.

მე გამახსენდა ქარი პირველი მთებში რომ მღერის
 საღამო ჩქარი და გამწირველი უბანიერის
 არ გამოითქმის გზად აღმართული ის ბილიკები
 და მდინარეზე ფიქრში გართული ტყეთა რიგები...

იმისთვის მღერას ცეცხლმოდებული, ის ცეცხლის ხმაზე
 რომ მთლად იგონებს აზვირთებულის დღის სიღამაზე
 მაგრამ თვითონვე ეს იცის განა? გული, ტიალი!
 უყვარს მთელი ზღვა, მთელი ქვეყანა და ხეტიალი.

იყო ნისლი და უარეს ხმით მორევი ბარბაცებდა
 გემზე შენს თმებს ნომღელვარეს ქარიშხალი იტაცებდა
 იგი ნისლი ამართულ მთებს ერთმანეთში გაურევდა
 აშორებდა მწვანე კალთებს და შორიშორს აშურებდა
 ქარიშხალო, მომაშუქე შენი ბრძოლის სიხალისე,
 გაგყვა ჩემი სიქაბუკე, მე მასთან ვარ ისევ ისე.

ტროპიკულ ხეებს შავიზღვის პირად, ვაზებს დახლართულს
 რომ მიყვებოდი ზურმუხტისფერად, ფიქრებში გართულს
 ჩამავალ მზეში მას მხოლოდ სხვისი ერქვა მამული.
 ხან იშუქებდა, ხან ნელდებოდა ცა მეწამული.

კავკასიონი სჩანს მიშნიდველი, განთიადის ეამს
 მის შორთა ყინულთ ფრთები ტიტველი იწყებენ კამკამს
 და სიზმარივით ცივი, მსუბუქი ნისლების კრება
 ძნად მოხვეულით შემკრთალი შუქით ირღვევა, ჰქრება.
 რომ ცისფერია ის ხელსახვევი, გულმა ვით არ სცნოს
 რალაც სარკვა იქ შორეული; მიყვარს ის ამ დროს.

უეცრად ტალღა აღშფოთებული ქუხს და გრიალებს
ზღაპრული ნგრევა აგორებული ფრთებს ატრიალებს
რისხვა ქაფს იყრის და მრისხანებით ჰაერში არხევს
ვით ცეცხლის მარცვლებს საზარელ ხმებით შიშის მთებს არყევს



გადახვეული აფრა ანძაზე მიმოფრიალებს
სტიქიის სული განგაშებს ზღვაზე ღრეობს, ღრიალებს
ვერა, ვერ ითმენს იგი მონობას, ყოფნასთან აფთრობს
ომში, გრიგალში ათავსებს გრძნობას. მკაცრია ამ დროს.

თითქო პირველად შენ დაგინახე ბრძოლის აჩრდილი
მას სტიქიური შეენოდა სახე ჩადრგადახდილი
ცეცხლის შადრევნებს გადასცქეროდენ თვალები შენი
და შენთან ერთად თითქო მღეროდენ მთანი და ტყენი.

კმარა, ნუ ფიქრობ უბედობაზე, გასწი, იარე ვით აქამომდე
ნუ დაგიმონებს მგლოვიალება, თუ ულოდნელად ასალამოვდეს
იქ უნდობლობა, კიცხვა და დევნა მუდამ ახალი ალით ინთება
სადაც კი დიდი მიზნისთვის ბრძოლის ნათელი შუქი გამობრწყინდება.

გუშინ ქარმა და გრიგალმა ტყის ნაპირები გადათელა
ეხლა ღამეა. აქ და იქ ანათებს ციციანათელა.
გიგანტიური შუქიდან კილოვატებში ცახცახებს
გათენებამდე ტურბინის ძარღვს ეს გრიალი დასძახებს
დასცქერის მტკვარის ნაგუბარს ვით ფანტასტიურ მონაჟეს
სანამდე ცისკრის ნათელი მის ძალს არ დაიმონავენს.

ზღვა არ ბობოქრობს დროგამოშვებით სირენას ისმის ხმა გაბზარული
სდგანან გემები ფერად ღროშებით და შავი კვამლით გადაფარული.
იღუმალეებით ისევ სავსეა, ზღვის ცივი გული, ნისლი სოველი
გულხელ დაკრეფით, ბიჯგადადგმული, დგებარ, არსაით ხმას არ მოელი.
კრეისერებო უცხო ქვეყნების ზღვა გადმოლახეთ მძლეთა მძლეველი
ნუ თუ იმისთვის რომ შეითვისოთ მხოლოდ სიჩუმე დაურღვეველი?

როცა დაღამდა—გადადაღავდა ტფილისის არეს ალების კალა
ფიქრებით ძველით სუნთქავდა ველი, ფინიკულიორი და ნარიყალა
როცა გათენდა, გადაადენდა შუქს ნაძალადევს მზე შემოდგომის
გაისმა ვრცელი ქარხნის გუგუნი და აიმართა სასახლე შრომის.

დღეს მებაღემ სარებს ვაზი მიაკონა, მიაკონა
მზემ მიდამოს მშვენიერი გაზაფხული მოაგონა.
ახმაურდეს ყველა ჩანგი და გამძაფრდეს გულთა ძვერა
ვერ დამაცხრობ, ვერ დამძალავ, ვერ გამისწრებ ვერა, ვერა.
მაინც ვიცი, მაინც ვიცი ვერაფერი შესცვლის შვებას
აღტაცებას იმედისას და მსოფლიო გამარჯვებას.

შენგნით იმედს შევუპყრივარ, განცდა მომდევს გაბასრული
ჩემ სიხარულს, აღტაცებას ეხლა არ აქვს დასასრული.
გრძნობ ღებება უხილავად უტეხელი იმა ხმებით
გაღვიძებულ ოცნებითა და აშკარა განახლებით.



ქართული

განთიადისა პირველი ალი ნარიყალისა ნანგრევზე წვება
ელექტრო ჰქრება და შუქი მზისა იფეთქებს როგორც ახალი შვება.
ჰყვება ტფილისი სხვა და სხვა ჰანგებს, ხმა სიშორიდან გულს ალვად ხედება
ჩემი სალამი გიგანტის ჩანგებს, ბნელს სული ჰხდება. სიბნელე ჰკვდება.

უკანასკნელად სხივები მზისა იჯგუფებოდენ გულგაბობილი
როცა მცხეთისკენ მიმავალ გზისად, შენი გამოჩნდა ავტომობილი.
მშვიდობით—მითხრა უკანასკნელად ირისისფერმა ქროლამა შარფის
გადამავიწყდა ეს განშორება ვით მწუხარება დახრილი წარბის
დალამდა, მთვარემ ამოანათა, ტყე შუქითაა გადანალაქი
ახალ იმედათ, მშვიდობით, ეხლა განათებული მოსჩანს ქალაქი.

რა ჩრდილი აეროპლანის ველებზე გადისრიალებს
გაზაფხულის დღეს დიადი ტყე საიდუმლოდ შრიალებს.
მთაკლდენი უზარმაზარნი, შესცქერენ: რა ამბავია?
მთიდან ჩანჩქერი გადმოქუხს თითქო გრგვინვა და ზვავია.
ველი, მინდორი, ქალები გადაიქცევა თვალებათ
და თითქო არაფერია—ის ჩრდილიც მიიმალება.

მოდუდუნებენ ზვირთნი მტკვარისა სანამ ტფილისი შორით იგრგვინებს
სამხედრო გზაზე ოქროსთმიანი აღფრთოვანება მაწვდის გვირგვინებს.
მე პოეტი ვარ. ვერარა ძალა, შენს ოცნებაზე ფიქრს ვერ გამიქრობს
„საით წაიღებ შენ ამ გვირგვინებს“? წარსული ამბობს, წარსული ფიქრობს.
ახალ ეპოხის ვარ მე მხედარი: დრო საკმარისი მიჩნს უკმარისად
გზად იშლებიან თმანი ქარისა, მიდუდუნებენ ზვირთნი მტკვარისა.

შენ ჩვენი დროის არ გაქვს გაგება, შენ გული გეწვის და გედაგება,
დიდი ხნისაა სიზმარი ტკბილი
შენ სასომიხდილს მოელი სიკვდილს თვითონაც მწარედ სასომიხდილი.
იყავ უგუნო, იყავ თავხედი, სხვა ფერთაკონა გჯეროდა ბედი
შენ გქონდა გული უსპეტაკესი
სანამ ზღვასავით, სინათლით მწვავით არ აელვარდა მძლავრი ზაჰესი.

შენ მიდიხარ. შენის წასვლით კიდევ უფრო დაგვალონე
რატომ წინად, რატომ ადრე, სიტყვაც კი არ გაგვაგონე?
ვაი თუ გზაში დაიღალო, თრთვილმა დაჰკრას ახალ მდელოს,
კარგი ბედის ნაცვლად ღამე კიდევ უფრო დააბნელოს.

ორთქმავალი სტვენს. შენ კითხულობ ტვენს
გადააგდე ის, გაიხედე წინ..

ბუჩქს შარფივით ბოლს, ორთქმავალი ჰვენს
და გაისმის თან: რა-რა-რა-რა, ძინ!

ას წლოვანი ხე გაუპია მეხს

ქორი მიაქვს ქარს, რალაც მიაქვს ქორს.

შეგვიძლია ჩვენ გზაზე გავყვეთ გლენს

მის ზრუნვას და ფიქრს უბოლოოდ შორს.



მშვიდი კოლხიდის მდინარეებზე კვლავ არის მთვარე
სწორედ ის მთვარე, „პოეტები“ რომ ებრძვიან მწარედ.
სადღაც მომხიბლველ საოცარ ჰანგებს სტვენდა ბულბული
სწორედ იმ ჰანგებს, რომელთ სწყევლიან სულშეგუბული
და მე მივქრვიარ მოვერცხლილ გზაზე უძლეველ რკინად
სწორედ ისეთი როგორიც ვიყავ ოცი წლის წინად.

ეს ნატვრა იყო უკანასკნელი: გაჰქრეს ცხოვრება მწარე და ბნელი
როცა ზღვა აღზდგა და მის ტალღებში შთაინთქა ბედი გაუტანელი.
ხრიალ-ღრიალმა ქარიშხალისამ სიცოცხლის ძალა იქ წარიტაცა
და მოელოდენ ახალ ცხოვრებას გარინდებული ზღვაც და მიწაცა,

ჩვენ ხომ იმისთვის გაჩენილვართ და ის გვაქვს მიზნად
მივსცეთ სიცოცხლე თუ გაჰქრება დღე შხამიანი,
შეუზღუდველად არსებობდეს ამ სოფელქვეყნად
თავისუფალი და ძლიერი ადამიანი.

მონა იყავი გარემოისა, მონა უსახო, მონა ძლეული
ვით იქნებოდი გვირგვინი ქვეყნის უსულო საგნად გადაქცეული?
მონა მტარვალი, უგულო მონა უმოქმედობის და უგნურების,
თავისუფლებამ რომ მოგაშუქა, ეხლა რალა გჯის ბედის მდურებას?

მშენიერება ეს მანქანაა დიზელის შუქით გასხივოსნება
ქარიშხლის ზუზუნს ის მომაგონებს და გამიტაცებს მისი ოცნება.

მძიმეა მეტად, დიღია მეტად ლელვათა ზვაფი
იგი ცხოვრებას დაადგა სვეტად მკაცრი და ავი,
რალაც გრძნეულად გარს ახვევია ხვეწნა-მუდარა
რა საჭიროა? სულს არ სჩვევია ნავთ საყუდარი.

მწერვალს ჩრდილი თავს წაადგა, მთა ღრუბელმა გადმოფარა
და მწერვალმა შენანების ცრემლი მშვიდათ გადმოჰყარა.
მხოლოდ როცა ღრუბლების ქვეშ მწუხარებით ის თავს ხრიდა
მინდორქალებს მზე მალლიდან უხვად სხივებს უგზავნიდა.

უზარმაზარი კლდეს მიემსხვრა მაღალი გემი
თავისუფლების, წინმსვლელობის დიდი ემბლემით
გარემოების გულდახშულ და უგრძობელ ზღვაში,
ცხრაას ჩვიდმეტში ჰპოვეს იგი. მშრომელთ ზემოთ
გამოაცურეს ნავთსადგურის მქუხარებაში.



ვისაც სიხარულს ვუზიარებდით, ის ისევეა ამალღებული
და არ ვერწმუნოთ მას ამის შემდეგ? აღარ მივანდოთ სიცოცხლეს გული?
უნდა ვიცოცხლოთ, უნდა ვიცოცხლოთ! ცხოვრების მიზნად ის დავისახოთ.
სულ იმედები უნდა ვიპოვოთ. სულ გამარჯვება უნდა ვიძახოთ.

სადღაც სადგურის მახლობლად მყუდრო დღე ეუბნება „მშვიდობით“ ივლისს.
ორკესტრმა დაჰკრა ინტერნაციონალი და ჟრუანტელი სხეულში მივლის.

მუდამ მალეღვებს ეს ჰიმნი ჩვენი, ეს ჟრუანტელი ჩვენი დროისა
ადგილს რომ მოსწყდა კაცობრიობა და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.

ამ ჰიმნმა დასძრა ძველი ტაძრები და ვარსკვლავები აჰყარა ცაზე.
მწერვალს მოსწყვიტა სასახლეები და დააქანა მოლიპულ გზაზე.

მე მომაგონდა არ ვიცი რატომ, როცა ორკესტრის ჰანგი მინელდა
გამარჯვებამდე ტერორის მომხრე მტკიცე რაზმები იაკობინელთა.

მე მომაგონდა არ ვიცი რატომ სცენა პარიზის საშინელ დღეთა.
ვერსალელების მიერ მხეცურად, კომუნარების რბევა და ჟლეტა.

მე მომაგონდა არ ვიცი რატომ ფრანკო-პრუსის მძვინვარე ომი
სადგურის იქით უკრავს ორკესტრი და ემატება ფანტომს ფანტომი.

აი პარიზის რიგები მუშის, აი გამოსვლა ტყვიის ზუზუნის,
ჯერ გამარჯვება სიხარულისა, სისხლში ჩახრჩობა შემდეგ კომუნის.

ისევ ამძაფრებს გრძობას ორკესტრი, სანახაობა აღარ ახარებს.
ლუი-რუ, მამა და კალატოზი, აგებს სახლებსა და ყავახანებს.

კისკისი ისმის უდარდელ ქალთა, მარჯნისფერ სასმელს სვამენ ფრანტები
აი ვის უგებს სახლებს ლუი-რუ, თვითონ სარდაფში განალანდები.

ლუი-რუს რვაას ორმოცდარვიდან, ახსოვს დღეები მწარე ივლისის
როცა საშინელ გამძაფრებაში დაჰხვრიტეს ბევრი და მამამისიც.

ლუი-რუ იღებს ხელში იარაღს, იგი მიიღო მუშათა რიგმა.
შაგრამ დაეცა მალე კომუნა. და სხვებთან ერთად ის მოკლულ იქნა.

შემდეგ როდესაც კვლავ ხვრეტდნენ ტყვეებს, ქალმა კისკისამ—მოსილმა შავში. მოჰკლა ლუი-რუს პატარა შვილი. ის, კომუნარი, ოთხი წლის ბავში.

მე მომაგონდა, არ ვიცი რატომ, რუსი ჟანდარმი, უბრალო გლეხი, ბუნებით ტკბილი და გულკეთილი და გულუბრყვილოდ მაინც შემიყვანა.

მეფის მთავრობა მას აიძულებს რომ სამარცხვინო იწყოს ხელობა გლეხს აიძულებს ეხლა იკისროს ჯალათობა და ციხის მცველობა.

და ალექსეი პეშკოვის მაშინ მელოდები სჩქედს გაზაფხულის ჰიმნი მომავალ რევოლუციის, ჰიმნი მასსისტეის მეტროპოლი გულის.

და ციხეები, გამოძიება, სასამართლოთა განაჩენები გადასახლება, რბევა, კატორღა, და შემუსვრილი მუშათ ფენები

თითქო მინისქვეშ ისმის გუგუნის, არალეგალურ სტამბათა ბორბლის ცხრაას ხუთი წლის მღელვარე ფონზე, საქართველოს მრავალი ორბის.

იშლება პრესნის ბარიკადები და იღვრებიან სისხლის წყარონი, ორკესტრი გრგვინავს ვით გიგანტიურ ბორკილებისა მძიმე ქლარუნის.

ორკესტრმა დაჰკრა ინტერნაციონალი, ეს ხმა არ არის მშვიდი და ნელი კოლოსალური, ძლიერი ხმაა. ეს ხმაა ცხრაას ჩეიდმეტი წელი.

დიდი კულტურის ნამდვილ სამკედლოს, ახალი გზით რომ მიიმართება შეფუწყით ხელი აღორძინებას, ვუსურვოთ წინსვლა და წარმატება.

თქვენ მარტო არ ხართ სადარაჯოზე, და თქვენთან ერთად იბრძვის ათასი ჩვენი და მთელი კაცობრიობის გაღვიძებული მუშათა კლასი.

წადით პირდაპირ ამ გზით და მუდამ მალლა გეჭიროსთ წითელი დროშა ჩვენ კი ყოველთვის თქვენთან ვიქნებით გამარჯვებისა და ბრძოლის დროსაც.

და კიდევ ბევრი ბრძოლის გადახდა ექვს გარეშეა ჩვენ წინ დაგვხვდება თუ მთელი ქვეყნის თავგასულობა, თავდასხმისათვის კვლავ ემზადება.

ხანდახან გული გექნება მშვიდი. რომ მოიხედავ—ბრწყინავს მზეები დრომ გაიარა თავისი დიდი ისტორიული ბრძოლების გზები.

გვასწავლა ბრძოლა და გამარჯვება ათასმა, ბევრმა ათიათასმა ვინაც შესძლო და მოიგერია დაუნდობელი მტრების თავდასხმა.

სად ათეული ათასი რიცხვი, რიცხვი უფრო მძლე და უფრო დიდი წინად ჯანსაღი და ღონიერი—დაერდომილია და ინვალიდი.

წყლული მორჩება. არაფერია. ნუ უმორჩილებ სულ მუდამ გრძნობებს სამოქალაქო ომის პერიოდს და ცხოვრებისა მძიმე პირობებს.

მსხვერპლს კი ამაოდ არ ჩაუვლია. ესკადრილით, ხმალით და თოფით კიდევ ბევრს ვნახავთ მტრის დამარცხებას ერთი სურვილით და ნებდისყოფით.

მუდამ მალეღვებს ინტერნაციონალი, ეს ჯრუანტელი ჩვენი დროისა. ადვილს რომ მოსწყდა ძველი ცხოვრება და უფსკრულებში მიიმსხვრ-მოიმსხვრა.

დიდი ხანია მას შემდეგ განა რაც პანსიონის ჰქუხდა კედლები? რა ფერადებით მოსჩანდა ქვეყანა, რარიგ გვეძახდა სიცოცხლის ხმები. პოეტის სული ირგვლივ უვლიდა აბობოქებულ მშრომელთა მხარეს, ყვაყვორნებს წყევლა-კრულვას უთვლიდა, მათზე სატირებს თხზავდა მქუხარეს. შენ ჩრდილოეთში გადაგასახლეს და, წერილებში, გული გწყდებოდა, გელირსებოდა ისევ ჩამოსვლა თუ არასდროს არ გელირსებოდა. მაგრამ იქუხა რევოლიუციამ, შენც გამოჰყევი ხომ მოძრაობას? მაშ სადღეგრძელო ავსწიოთ თასი: ეს გაუმარჯოს მებრძოლ თაობას.

ო, ამერიკა; როდის იქნება ოკეანეთა ნისლი—სუდარი გაიფანტება და გამოჩნდება ნიუ-იორკის ნავთსაყუდარი. ყველა ქვეყნიდან—ქვეყნად დაუთვლელ შენს სიმდიდრეებს უგზნებენ თვალებს, სიმდიდრე ზღაპრულ სიღარიბესთან, სიმდიდრე დღეს რომ ბრავალს აწვალებს. ესაა კუთხე, ედგარს, უიტმანს, უგრძნიათ ფეთქვა დიდი ხანია „ვარ უიტმანი და ვარ კოსმოსი, ჩემი სამშობლო მანგატანია“!

ქარხანა შრომობს, ბორბალი ბრუნავს, წარმოებისთვის წამი არ იცდის, საკაცობრიოდ იცვლება შრომად ძველი ბუნაგი კაპიტალისტის. დაატრიალეთ მედგრად ბორბალი. ამ მტკიცე ხმაში მკაფიოდ ისმის — პროლეტარული აღფრთოვანება მოახლოებულ სოციალიზმის!

ქალაქს აღვიძებს დილის ხალისიანი კრთომა, ქარხნის დაზგებთან ღვივის თავგანწირული შრომა. გადაიტანა დრომა, ბევრი ღელვა და წყრომა, მინდორს ედება გლეხი და ასკეცდება შრომა, აზრმაც დაიწყოს შებმა, ლექსმაც დაიწყოს ტყდომა, მთელ ქვეყანაზე ჰქუხდეს: შრომა, შრომა და შრომა!

(შემდეგი იქნება)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ რ ი ღ ა ნ

ღამემ ჩაისხა ოქროს კბილები,
გადიხსნა თვალწინ წარსულის რუქა,
მოვნახე აზრი ნათათბირევი
და მოგონებაც მიყურებს მუქათ.

იყო სურვილი ტანჩაუცმელი,
მთვარე საწყალი, როგორც ჩიორა,
იყო სიჩუმე სიკვდილზე ძნელი,
მაინც არავინ არა სჩიოდა.

მაშინ ცხოვრება — გზა დღევანდელი
ჰგვანდა ზაფხულში დაკრეფილ ვენახს,
მაგრამ სად იყო ფიქრი ამდენი,
დღეს რომ ამძიმებს რუსთაველის ენას.

მზე ეხეთქება სიცოცხლის დამბებს,
ყოფნას ჩაუდგეს სხვა საძირკველი,
ერთხელ ოქტომბრის შუადღის დამდევს
ეს გამარჯვება ახლა პირველი.

ახალ მიზნებით სიტყვა დაღურსმეს
(თუმც უპატრონოდ დარჩა მრავალი)
ომში ვედრებას არავინ უსმენს,
არც ქარს სჭირდება შუამავალი.

დროთა გრიგალი მეც გამახარებს,
როგორც თვალები მზეში ნარბენი.
დასდევს მინდორი მტევანა ხარებს
და მზით ივსება ჩვენში მარნები.



სამართალს სისხლით მოჰკაზნი

I

სვანეთის თვალწარმტაცი ბუნება სამარშინიან თოვლს ისე დაერაგვა, თითქოს უნდოდა ყოველი მიწიერი ცოდვა და მანკი ქვეშ მოიტნიოს და სამუდამოთ დაასამაროსო. სპეტაკ სამოსლით გარემოცული ბუნება, თეთრ მანტიაში ხვეულ უცოდველ, ასულივით გამოიციქირებოდა. ბუნების მთლიანობას შავი ზოლით ხაზავდა მდინარე ენგური.

ირგელივ ტყით შამორგული მთის კალთები, იარალ-აყრილ ლაშქარივით გაძარცულიყო. ძაძით-მოსილი ნაძვები ისე დაყუდებულან ვით წმინდანთა სავანეში მლოცველთა კრებული. მალლობიდან თოვლ-ყინულით ალესილი საჯიხვე სერები სადედოფლოთ გამზადებულ მშვენიერი ასულის მკერდივით კიაფობდენ.

სოფლის მაჯისცემას მხოლოდ სვანთა საზამთრო სამყოფელი მაჩუბებიდან¹⁾ სქლად გამობურღული კვამლი და ძაღლების ყავ-ყავი-ლა აჩვენებდა.

სვანი ბაღიგერი კარებიდან შენათებულ სინათლესთან, ჯირკვზედ ჩამომჯდარიყო და ქალამანს ჰკერავდა.

გარედან ძახილი მოისმა:

— მარეხ, ოოო, მარეხ!

— მარეხ, გაიხედე, მე ხელები მაქვს დასვრილი, — უთხრა ცოლს ბაღიგერმა. მარეხმა კერიაში ჩაყუდებული პურები მიატოვა და სწრაფად გაიხედა.

— ვინ იძახის?

— მე ვარ, შენი ჭირიმე, სირინოზი.

— მობრძანდი, ჩემი დღე შენ!

სიხარულით მიეგება მარეხი, გადაკოცნა და სახლში მიიპატიჟა.

— შეჩქარება და არ შემოძლია, შენი ჭირიმე.

ბაღიგერმა, „სირინოზიო“ რომ მოესმა, სადგის-ქალამანი ხელიდან გაავლო და დამფრთხალი ჯიხვივით კარებში გახტა.

— როგორი მასპინძელი ხარ, შე ქალო, რომ სტუმარი გარეთ გაგიჩერებია!

უსაყვედურა ცოლს და სტუმარი სახლში მიიპატიჟა.

¹⁾ მაჩუბი ქვის სახლის დაბლა სართულია, სადაც ზამთრობით ცხოვრობენ ერთათ ხალხი და პირუტყვები.

— მეჩქარება, არ შემიძლია. სახლიდან გამომგზავნეს და გათხოვეს ერთი საწყაეი დოქი არაყი გვასესბო და როგორც გამოვხდით ამ კვირაში, მოგართმევთო.

— კი ბატონო ადვილი საქმეა, მაგრამ სახლში შემობრძანდი, შე შარანში ჩაეალ, ამოვიღებ და მოგართმევ, ჩვენი საბლი მოწამლული კი არ არის, შე ქალო.

— აბა, დიდხანს ნუ გამაჩერებთ, თქვენი ჭირიმე, ^{ქვეყნის სირინოზმა} და შეპყვა სახლში.

— ახალი ქალამნებით სანადიროს ხომ არ მიხვალ?— შეეკითხა სირინოზი სახლში შესვლისას, ახლად დაჭრილი ქალამნები რომ შეამჩნია.

— არც მიფიქრია.

— ვაი საყვარელო, ვისაც მონადირე კაცი ჰყავს სახლში, რა ბედნიერებაა!

— რაეა, გიყვარს ნანადირევის ხორცი თუ?

— ძალიან.

— მაშ აწი ვიფიქრებ...

ეს სიტყვები ისეთი კილოთი და სახის გამომეტყველებით იყო გამოთქმული, რომ სირინოზმა რაღაც ახალი და უცნობი გრძნობა განიცადა, გაწითლდა. და რომ ეს სიწითლე ბადიგერს არ შეემჩნია, კერიისკენ მიტრიალდა, სადაც მარები პურებს ეფუსფუსებოდა.

— აბა მარებ, ცხოზა დააჩქარე და კარგი სადილი მოგვიმზადე ასეთი სანატრელი სტუმრისათვის, — უთხრა ცოლს ბადიგერმა, ოხაროს¹⁾ ხელი წამოავლო და ხელის ბანა დაიწყო.

— უი, როგორ შემიძლია მოცდა თქვენი ჭირიმე, სტუმრებს ველით და ეხლავე უხდა წავიდე.

— ვინ სტუმრებს ელით?

შეეკითხა ბადიგერი.

— მამასახლისს, მწერალს და ჩვენ ბატონს.

— ოჰო? თქვენმა ბატონმა ცუდათ გაახშირა თქვენთან სიარული და...

სირინოზმა თავი ძირს დახარა.

— ის მგელია, მგელი, და თუ არ შეგვარცხვენ მეზობლებს, შენ იცი.. ხომ იცი, ბატონი კი არ შეგიყვარებს, შეგვარცხვენს. სიყვარული მხოლოდ ტოლს და სწორს შეუძლია ერთმანეთის. ბატონს კი იმდენათ უყვართ ჩვენი ქალები, რამდენად კარგად მოხარშული მსუქანი ხზო: დაჯდება და მიაძლება. ბადიგერის გულშემატკივრობითი დარიგებამ სირინოზის ნდობა გამოიწვია.

— ღმერთმა დამიცვას! რა ჩემი საქმეა მისი სიყვარული! სიყვარულის ბედი რომ მქონოდა—სიყვარულით გათხოვებასაც მაღირსებდა ღმერთი.

სირინოზისაგან უსიყვარულობაზე სამუნათო სიტყვებმა ბადიგერს თვალეზი აუცვცხლიანა, და ბადიგერმაც, რაც შეეძლო, მკერზეტყველებას უმატა.

— დაბლა, განათლებული ქვეყნები, რომ არის: სამეგრელო, ლეჩხუმი, კახეთი და სხვა, გვეცინიან სვანებს ასეთი ჩვეულებისათვის. შარშან ზაფხულს კახეთიდან იყო ჩამოსული აქ ერთი „ხელწითისთანა“ დიდი ნასწავლი კაცი. მან მითხრა, თუ ღმერთი გწამს, მომიყუევი სვანური ქორწინების ადათით. მეც მოუყუევი ზოგიერთი და ისე გაიკვირვა, რომ მეტი არ შეიძლება.

1) ოხარო—სვანური წყლის ჭურჭელია ხის.

— როგორ მოყვები?

— როგორც ვიცით: ჩვენი ჩვეულებით ქალს იმას მივათხოვებთ, ვინც ჭირისუფალს მოგვეწონება-თქო.

— ტყვიით დანიშვნა არ უთხარი?

— როგორ არა? ხშირ შემთხვევაში ქალის პატრონს კარებიდან ტყვიას შევუგდებთ და მერე დანიშნულათ ითვლება-თქო.

„რომ გაიზრდება ქალი და არ მოუწონოს საქმაროვო?“ მკითხა.

— რა უთხარი მერე?

— იმისთანა ჩვენს მტერს, იმას დღე დაადგეს; ვინც უკეთესი ეყოლება ასაბიაში, იმას მოეუკლავთ და ამიტომ უარს ვერავენ ჰბედავს-თქო. „ცოლის გაშორება აღვილია თქვენთვის თუ ძნელიო?“ მკითხა.

— „ძალიან აღვილი მეთქი. მივსცემთ მისი მზითვეის ასანახლაურებელს და გაუშვებთ, — ვუთხარი.

— უშვილო ქალებზე არაფერი უამბე?

— როგორ არა? უშვილო ქალები არ გვიყვარს სვანებს-თქო. შეგვიძლია მეორე ცოლი მოვიყვანოთ და უშვილო ხშირად რჩება მუშად ოჯახში, თორემ და მივსცემთ განსახლვრულ მისაცემს და გადავულოცავთ მეთქი.

— რა სთქვა მერე?

— ქეც ბევრი იცინა და ქეც ბევრი გაიკვირვა. ეს მხეცობა არის, მეტი არაფერიო, სთქვა. ქალი იმას უნდა წაჰყვეს, ვინც მას უყვარსო, ჩვენში ასე ვიცითო.

— ვაი საყვარელო, ამისთანა ქვეყანაში გაჩენა უნდა უხაროდეს ქალს, თო, რემ მე საბრალოს დაღამებაც მძულს და გათენებაც. დაღამება მძულს იმიტომ, რომ მეშინია ქმარი არ მომეკაროს და გათენება კი მისთვის, რომ მთელი ჩვენი ოჯახის თვალები ყოველ ნაბიჯზე მზვერაფათ თან არ დამდევდენ. ნეტავი იმ დროს, როცა სვანებს ასეთი წესი ჰქონდათ: მეორე ქალიშვილი თუ ეყოლებოდათ, პირში ნაცარს აყრიდენ და ისე ახრჩობდენ. მე, მეორე ქალიშვილი ვარ და ჩემთვისაც რომ ასე ექნათ ჩემს მშობლებს, უფრო ცხონდებოდენ, ვინემ იმით, რომ, კარგი მოსახლეაო, ამწიეს და მიმცეს ოხერს და მახინჯს. — სთქვა და ამოიხვნეშა ბედის მომდურაფმა სირინოზმა.

კერია-ბუჯერ შორის მოფუსფუსე მარეხიც ჩაერია ორთა ლაპარაკში.

— შენი ქირიმე სირინოზ, რას ამბობ! შენი ქმარი არც ისე ცუდია, შენ რომ გგონია, ნუ გეშინია შეეჩვევი და შეგიყვარდება. ამის მაგალითები ბევრი ვიცით.

— მაძლარ ხუცესს მშიერი დიაკონიც მაძლარი ეგონაო, ისეა მარეხის საქმე. „შეეჩვევი და შეგიყვარდება“-ო. რას შეეჩვევი? მხეცს! რას შეგიყვარებ? მახინჯს და სულელს!

უპასუხა აპილპილებულმა სირინოზმა.

ბადიგერი ხუმრობით ჩაერია:

— ნუ გეშინია ქალო! ქუთაისში „ხოლერა“ გაჩენილა და ხალხს თურმე ქათმებივით ხოცავს. გავგზავნოთ შენი ქმარი მარილზე და ის მარილიც მას

ჰქონდეს საგზლათ და თითონაც გაემგზავროს საიქიოს. ხომ კარგი ხრიკი გასწავლე?

სიცილით აკასკასებული ქალები დასტოვა და თითონ მარანში არაყის მოსატანათ წავიდა.

მარეხმა პურები დაფეთქა, ბუჯერზე მიაწყო და სირინოზს მიუტანდა.

— ჩემო კარგო სირინოზ, რა კრელია ჩვენი ცხოვრება! — შენ ის გაწუხებს, რომ შენზე უარესი ქმარი გყავს და მე კი ის, — ჩემზე უკეთესი. რად მინდა უკეთესი, გენაცვალოს ჩემი თვალები, თუ ჩემი არ იქნება! ჩემ ქმარს ოჯახი ჩემი გამრჯელობით და ჩემი პატიოსნებით უშენდება და გულს კი სხვისი სიყვარული უხარებს. შენ მით მაინც ხარ ბედნიერი, რომ ქმარი, როდესაც გეფერება, იცი, რომ შენზეც ფიქრობს და ჩემი ქმარი კი მეფერება და სხვაზე ქე ფიქრობს, და ამან დაადნო ჩემი გული.

უთხრა მუდამ იჭვიანობით დატანჯულმა მარეხმა.

— უი, რას ამბობ, ჩემი დღე შენ! ვინც მიყვარს, მისგან ყველაფერს ავიტან, და ვინც არ მიყვარს, მისგან შაქარიც ძირმწარეა.

კიდევ ბევრის თქმა შეეძლოთ ქმრებზედ ამხედრებულ ქალებს, რომ ბადიგერის შამოსვლას არ შეეჩერებია ისინი.

ბადიგერმა სირინოზის გასატანი ღოჭი სოხანეში დადგა, ცოლს ბოთლით არაყი გადასცა და თითონ პატარა სუფრა სირინოზის წინ დასდგა.

— აბა მარეხ! მოიტანე არაყი, კათხა, თაფლი და სირინოზს გავასინჯოთ ჩვენი არაყი. იქნებ კი არ მოეწონოს მისი დიდებული სტუმრებისათვის.

მარეხმა სანახჩედან ჰვარტლისაგან შავათ აბზიალებული კათხა გამოიღო, თაფლით სავსე ჯამი და არაყი მიართვა და თითონაც მიუსხდა.

ბადიგერმა კათხა არაყით აავსო და სტუმარს მიაწოდა.

— შენი სტუმრები ნუ მოგიკვდება, დასცალე.

— სუყველაც მომკვდარან, რას დავეძებ.

— აბა, ვინც გიყვარს, ის ნუ მოგიკვდება.

— არაეინ არ მიყვარს.

— არც ბატონი? ვერ დაგიჯერებ.

— ეშმაკმა შეიყვაროს იმისი თავი.

— აბა ჩვენი სადღერგძელო დალიე. არც მარეხი გიყვარს? ამას ძალიან უყვარხარ!

— რა ვქნა ღმერთმანი! დამატრობს ამოდენა კათხა არაყი. ჩამოართვა კათხა, დასცალა და გააძიგძიგა.

— უჰ, რა მაგარი ყოფილა! ეს კი დაცეცხლავს ჩემი სტუმრების გულს.

— შენი სტუმრების გული მაინც დაცეცხლილია.

— რა არის ამდენი ხუმრობა? გააჭირვე საქმე!

უთხრა სიცილიანი გაჯავრებით სირინოზმა.

— საქმეს ბატონი აჭირვებს, თორემ მე რას ვაშაგებ.

მარეხმა კათხა აავსო და ქმარს გადასცა.

— აბა შენც დასცალე ვინც გიყვარს მისი დასალოცავი.

— სიყვარულით შენ მიყვარხარ ჩემო მარეხ, მაგრამ სირინოზი უცხო სტუმარია და მას დავლოცავ.

დალოცა სტუმარი და შარბათივით დალია: თითქოს სირინოზის სილამაზეს არაყიც დაუშაქრავსო. ნაყური ცეცხლში შეაქცია.

— ასე დაიწვეს ჩვენი ბატონის თვალები.

— ბეჩა, რას ჩამაცივდა ამ ბატონზე!?

— ასე იცის ახირება.

აკისკისდა მარეხი.

— ეწმაკები ხართ ქალები, ეწმაკები! მარეხ, აბა შენც დალოცე სირინოზი.

აღღერგძელა თუ არა მარეხმა, სირინოზი წამოდგა წასასვლელად.

— თქვენმა ტკბილმა ლაპარაკმა შემაქცია და სახლში კი ათასი სამარაგო მაქვს. დიდი ნადლობელი ვართ, და როგორც გამოვხდით, მოგართმევთ.

— შენ ვერ წაიღებ, საძაგელი ყინვებია, მე წამოგიღებ, სთხოვა ბადიგერმა.

— არა, რა მიშავს, მე წავიღებ.

წამოავლო სწრაფათ დოქს ხელი, გამოემშვიდობა და გაეშურა სახლისაკენ.

სირინოზის და ბადიგერის სახლებს ნახევარი ვერსი აშორებდა. სირინოზს მიჰქონდა არაყი და თანაც ფიქრობდა: ბედს რომ იტყვიან, უთუოდ ეწმაკი განაგებს მას, თორემ ღმერთი როგორ იკადრებს ასეთ უსამართლობას, რომ ბადიგერი მარეხის ქმარი იყოს და მე გინადრუყის ცოლი... ოოჰ, მართალი ნათქვამი ყოფილა, რომ „კარგი ბილი კარგ პირამდი ვერ აღწევსო“. ამ ფიქრებით გარემოცულმა სირინოზმა ისე გაიარა სახითათო მოყინული გზა, რომ არც კი შეუმჩნევია.

სვანთა ჩვეულებით ქალს თავის სურვილის წინააღმდეგ უხდება გათხოვება. ამიტომაც შემდეგში დაუსვენებელია იგი სიყვარულის ძებნით, რასაც შედეგათ სვანების ერთი-მეორის კვლა და შურისძიება დაუსრულებლად თანსდევს.

სირინოზიც ასეთ პირობებში გათხოვილთაგანია. მისცეს ისეთ ქმარს, კარგი მოსახლობის დახარბებით, კარგი მამამთილის და გვარეულობის მოწონებით, რომელიც გარეგნობითაც უშნოა და ჭკუითაც სუსტი, მუშათ კი კარგი. სირინოზს კი არც სოფლისგან პატივცემული მამამთილი აკმაყოფილებდა, არც მათი თეზური უპირატესობა და არც კარგი მოსახლობა.

სირინოზი მისდა საუბედუროთ წარმტაცი სილამაზის მქონე იყო. მის ლერწამივით ატყორცნილ შნოიან ტანს ზეციურ გვირგვინათ დასდგომოდა მიწიერთა თაყვანსაცემი თავი, და ეს გარემოება ყოველ მხრიდან სიყვარულის იერიშებს იწვევდა, მაგრამ სირინოზს თანხმობის ნაბიჯი ჯერ არ გადაედგა, არა იმიტომ, რომ ქმრისა და ოჯახის სასტიკი თვალყურის დევნების ქვეშ იყო, არამედ იმიტომ, რომ ფიქრობდა: „ჩემი ქალობის ლერწამს ჩემი ნებით უსიყვარულოდ არ შევარცხვენ, და თუ კი სიყვარულს ვნახავ, იქ არაფერს არ დავერიდებო“. ასეთი სიყვარულით კი ჯერ ოცდაერთი წლის სირინოზი ვერავის გაეგებო.



* * *

შუალამე იყო უკვე და ბადიგერის ცოლი მარეხი კიდევ ცეცხლის წინ მორთხმული მატყლსა რთავდა.

— რა ჰქნა ამ კაცმა ამდენი ხანი, არაფერი საფრთხე მოსლოდეს! სამი დღის საგზალი წაიღო და მეოთხე დღეა, არა სჩანს.

წამოილაპარაკა მარეხმა.

ბადიგერი ოთხი დღეა, რაც ჯიხვებზედ სანადიროთ წაიჭრა! წაიჭრა და ილოცა მონადირეთა სალოცავ ხის ძირას. აანთო წმინდა სანთლები, მოუწოდა როგორც ნადირთა ღმერთს „აფხზის“, აგრეთვე სიყვარულის ღმერთს „დალს“, რომ გაწბილებული არ დაბრუნებულიყო. გადაიწერა პირჯვარი და გასწია საჯიხვე სერისკენ, ორი ამხანაგი სვანით.

ბადიგერი მთელ სვანეთში განთქმული მონადირე იყო. ლამაზი თვალ-ტანად, რჩეული თემის შვილი, რასაც სვანები დიდ ყურადღებას აქცევენ, კარგი მოსახლე, საუცხოვო მომღერალი და იშვიათი მეჭიანურე. რადგან შეძლება და გემოვნება ხელს უწყობდა, სვანის პირობაზე კარგადაც იცვამდა. ბადიგერი ჩვიდმეტი წლის იყო, როდესაც მას მარეხზე ჯვარი გადასწერეს. მარეხი ულამაზო იყო, მაგრამ შეძლებულ ოჯახის დედის-ერთა შვილი, კარგ მზითვიან ქალათ ითვლებოდა, მასთან — კარგი მეოჯახე და ჰკვიანი.

ოცდა თორმეტი წლის ბადიგერს თერთმეტი წლის ვაჟი ჰყავდა, რომელიც დედ-მამის სიხარულს და იმედს შეადგენდა. შვილი მღვდელთან ჰყავდათ მიბარებული წერა-კითხვის და დიაკვნობის სასწავლებლათ და სახლში იშვიათად იყო.

სვანის პირობაზე კარგათ ცხოვრობდენ. „შენი ცოლის სიმდიდრემ გაგათავადიშვილა“-ო, ეტყოდენ ხშირად შურიანი სვანები.

სიყვარულის მხრივ ბადიგერის ოჯახიც ცალმხრივი იყო. მარეხი ტყუილად კი არა გრძნობდა: „მე შეფერება და სხვაზე კი ფიქრობსო“. ბადიგერი წამ და უწუმ აზარფეშასავით ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა.

ბადიგერს უსმინა ნადირთა და სიყვარულის ღმერთებმა: ხარ-ჯიხვი მოეკლა მაღალ რქებიანი.

მარეხი უსიამოვნო ფიქრებიდან გამოარკვია კარებზედ ძაღლის ფეხების მოფხაქუნებამ, რომელიც ბადიგერის განუყრელი მხლებელი იყო. თითისტარი გვერდზე შიავდო. კვარის ჩირაღდანს მოუკიდა. ქმარს ეზოში შეხვდა.

— მაღლობა წმინდა გიორგის, მშვიდობით მოალწიე, მიესალმა ქმარს.

— მე მშვიდობით მოვალწიე, მაგრამ სახლში როგორა ხარ? ბავშვის ამბავი ხომ კაი იცი? ან საქონელი ხომ არაფერი წამხდარა?

— ყველაფერი კარგათ არის. ოხო, ჯიხვის თავი! ღმერთმან მოგცეს ამირანის ძალა და ყურშას ჰკუა.¹⁾

მიულოცა ცოლმა აღფრთოვანებით.

თოვლ-ყინულებით შელესილმა ბადიგერმა ცეცხლს მიაშურა, შეშრა, ჯიხვის მწვადი შამფურზე აავო, ცეცხლზე დააფიცებინა და თითონ ქალამნები გაიძრო.

¹⁾ ყურშა მითიური ამირანის ძაღლია, სვანებისაგან დიდ ჰკვიანათ ცნობილი. ამირანზე და ყურშაზე სვანებს მშვენიერი ლექსი და სიმღერაც აქვსთ.

ცოტა ხნის შემდეგ ორთავენი ცეცხლის პირას სუფრას უსხდნენ და ვახშამს შეექცეოდნენ.

— ძალიან გემრიელი და მსუქანი ხორცი კი აქვს ამ დალოცვილს—სთქვა ცვრიანი მწვადით პირჩაგემრიელებულმა ბადიგერმა, დაილოცა ყრაყით და გადაკრა.

— ოჰ, არც შენი ამდენი წვალემა ნინდა და არც ამხის ხორცი. უპასუხა მზრუნველობით ცოლმა.

— წვალემა რაღა გასახსენებელია, ჩემო მარეხ, თუ ნაწვალეების გემოს ნახავ კაცი.

დილით, მხიარულ გუნებაზედ ამღვარმა ბადიგერმა მადიანათ ისაუბმა და ცოლს დაავალა:

— მარეხ, შენი ჭირიმე, თუ არ დაგეზარება, დუდარუხისას შეიარე და მის ცოლს ჯამურგანს აგერ გობზე რომ ჯიხვის ხორცია, მიუტანე.

მარეხმა ხორცს გადახედა.

— შე კაცო, რაც კარგია, იქ გზავნი და სტუმარი რომ ვინმე შემოვიდეს და კაოგი ხორცი ვერ აქამო, სირცხვილია.

— შე ქალო, რა მოგივიდა, როდის გაძუნწდი ასე, ბევრია კიდევ მარანში.

— უკაცრავათ, ძუნწობა მე არ მიყვარს, მაგრამ შენ მეტი მეტი თავადური უხეობა იცი.

— ჩემი ქონების თავადი მე ვარ. ჩაიცვი კარგათ, მალე წადი და მალე მოდი.

*
*
*

დუდარუხიდან დაბრუნებულ მარეხს მოუთმენლად მოელოდა ბადიგერი. უთუოდ სირინოზზედ იტყვის რასმეო; ბადიგერის გულის სწრაფვაც ეს იყო!

— დაავგიანდა... ალბათ უსადილოთ არ გამოუშვეს. უჰ! რა გასძლებს მანამდის.

ფიქრობდა ცეცხლის პირას მჯდომარე ბადიგერი და ყალიონს ეწეოდა. „როგორც ვატყობ ჩემს თავს, ჯერ მე ასე არაფერს მყვარებია. ამნაირად ჩემი გული თავის დღეში არ ყოფილა. როგორც ლანდი, სულ ის მეჩვენება... მისი ხმა სულ ყურებში მიწკრილობს და გულსაც მეტი აღარ შეუძლია“. ფიქრობდა ბადიგერი. ანაზღეულათ ბუჯრისკენ გაიხედა, თვალი მოჰკრა ბუჯერზე მდებარე ჯიხვის თავს, რომელიც ღიათ დარჩენილი თვალებით ისე გამოიყურებოდა, თითქოს თავის მკვლელს ესაყვედურებოდა: „რა დაგიშავე, რომ ჩემს ლალს და თავისუფალ ცხოვრებას მომწყვიტეო“. თითქოს ბადიგერმაც იგრძნო ეს და პასუხი გასცა:

— შენ არ იცი, რა ბედნიერი ხარ! შენი ხორცის ნაწილი სირინოზის კბილებს დაეტნევა და მისი ტუჩები სიამოვნებით შეგეხებიან. ამის მეტი რა გინდა.

ფიქრებში ღრმად შეცურებული მონადირე მარეხის შემოსვლამ გამოაბრუნა ნაპირზე.

— ოჰ, როგორ დაიგვიანე შე ქალო, ხომ იცი უშენოთ მოწყენა მჩვევია. მეგონა სადილათ დაგარჩინეს.

— იჰ, რა ესადილებათ საწყლებს!

— როგორ, რა დაემართათ?

— სირინოზი ჰყავთ ძლიერ ავათ.

— რითი?

— სიცხე აქვს მეტი მეტი და ცისას და ბრისას ბოდნილობს.

ბადიგერს ტანში ყინულივით ცივმა ჟრუანტელმა დაუარა.

მარეხმა საშინაო ტანისამოსი ჩაიცვა თუ არა, კერია დაადგა და ცხობას

შეუდგა.

— შენი ნახვა თუ იამა?

— ძალიან, სადილათაც მთხოვეს, მაგრამ არ ვქენი.

— თუ უვლიან კარგად?

— კი. კარგათ, დედამთილ-მამამთილი ძალიან შეწუხებული არიან.

— მისი გლახა ქმარი რას შერება?

— ქე ავღია კერიას ძირში ძალსავით.

— ეჰ, საწყალი! იმის მაყურებელი აქამდინაც უნდა მომკვდარიყო.

— მართალს ამბობ სწორეთ.

— ხორცი თუ გაეხარდა?

— ვაი ჩემი ცოდვაო, წამოიძახა საწყალმა; რაც მიყვარს ისეთ დროს

მაქვს, როცა ქამა აღარ შემიძლიაო.

— როდის გამხდარა ავად?

— მეხუთე დღეაო, მგონი.

ის დღე ბადიგერმა აღშოთებით გაატარა. იმ ღამეს სულ არ დასძინებია.

— როგორ წრიალობ კაცო. ხომ არაფერი გტკივა? რათ არ იტყვი?

ეკითხებოდა ცოლი უძილობით მბორგავ ბადიგერს.

— რა თქმა უნდა, ძვლები მტკივა და არც მეძინება.

— ღმერთმან დასწყევლოს მაგ ნადირობის მომგონი.

— ნუ იცი ასეთი უხეირო წყევლა. გაგიგონია მონადირის სახლში ნადი-

რობის წყევლა!

— აბა რა ვქნა, რომ სწუხარ! ზღაპარს გეტყვი თუ გიამება!

— არა, სიჩუმეში უფრო დამეძინება. რათ მინდა ზღაპრები და ტყუილე-

ბის მოყოლა?!

ბადიგერს ძვლები კი არ სტკივოდა, სირინოზისაგან დაისრული გული სტკიოდა, ძილი კი არ უნდოდა, სირინოზზე ფიქრი უნდოდა, მარეხის ხმა აუტანელი ხდებოდა მისთვის.

მეორე დღეს დილით, ბადიგერმა წყალზედ სარწყულებლათ პირუტყვები გარეკა. იქ სირინოზის ახლო მეზობელი ნახა, რომელმაც უთხრა, რომ სირინოზს უკვე ყვავილ ბატონები გამოაჩნდა და მძიმედ შეწუხებულია, მექიანურე მოუნატრებია, მაგრამ ყვავილ მოხდილი ისეთი ვერავინ იშოვებსო. ამ ამბით ელდა ნაკრავმა ბადიგერმა გამოარეკა სახლში პირუტყვები, ფიქრობდა: მექიანუ-



საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
საქართველოს

რე მონატრაო. იქნებ მე ვარ ამ მონატრების მიზეზი... მოდი მოვიცრო და ვსთქვა, მოხდილი მაქვს შეთქი... თუ დამემართება, რა მიშავს, მგელივით კაცი ვარ და მოვიხდი; დამახინჯება კი იცის იმ ოხერმა, მაგრამ სირინოზის მშვენიერ სახეს თუ წაახდენს, მეც წამახდინოს.

ამ ფიქრებით აფორიაქებულმა ბადიგერმა პირუტყვები შემოიღწია, ბაგეებზედ ჩამოაბა, გაყინული ხელები ცეცხლზე მოითბო და სუსტად ჩაიხამოჯდა. გარედან ძაღლის ყეფა მოისმა.

გახედვა ვერ მოასწრეს, რომ მურზაბეგი კარებში შემოვიდა.

— დილა მშვიდობისა!

— გმადლობთ! გაგიმარჯოს. მობრძანდი.

მიიწვიეს სტუმარი და ჩამოსაჯდომი ჯირკვი მიუწიეს ცეცხლისაკენ.

— უპ, გიშველა ღმერთმა, კაი დროს მოდი. დაღონებულ გულზე ვარ რალაც და სთქვი ან კაი, ან ავი.

უთხრა ბადიგერმა.

— ეპ, კაი არაფერი ვიცი და ავი ის, რომ საწყალი დუღარუხი იღუპება: მისი რძალი ჩემი დობილი, სირინოზი კვდება თურმე, ისე ავათ არის.

— ვიცი, გუშინ ვნახე საბრალო.

— როგორ! მოხდილი ხარ ყვავილს?

— ყვავილი ვის სჭირს?!

გაიოცა მარეხმა.

— სირინოზს ყვავილ ბატონები გამოაჩნდა. წუხელ ისე შეწუხებულა, რომ აღარ ჰგონებიათ, თუ გაათენებდა.

— ვაი საწყალი! გლახის პატრონს, ყველაფერი ცუდი მოუვა.

წაიდუღუნა აქამდი მდუმარე ბადიგერმა და ცეცხლის მუგუზხალს ნერვიული ჩუჩხური დაუწყო.

— ვაი ჩემი ცოდვა, თუ დამემართა, აღარც მომარჩენს.

აწუწუნდა შეშინებული მარეხი.

— რას სულელობ! მგელი კი არ არის, ასე უცებ რომ მოგახტეს უთხრა ბადიგერმა.

— არც შენ გჭირვებია ხომ?

დაეკითხა მურზაბეგი.

— კი, მე მოხდილი ვარ.

— რას ამბობ! როდის?!

გაიოცა მარეხმა.

— მე და დედაჩემს ერთად მოგვიხდია, ძუძუზედ რომ ვყოფილვარ, მაშინ. ეს რამდენჯერ უთქვამს ცხონებულ დედაჩემს ჩემთვის.

— მე კი ასე მახსოვს — ამას წინად თაფუს რომ სჭირდა, ერიდებოდი და არ გინახავს.

— ეხ! რაც არ გახსოვს, ნურც ლაპარაკობ! კი არ მეშინოდა, ვემდუროდი და მიტომ არ ვნახე.

ქმრის წყენითი კილომ მარეხი იძულებული გახდა, თავის თავი დაერწმუნებია ყალბი ცნობის სიმართლები.

— არ ვიცი, დიდი ხანია მას აქეთ და კარგათ აღარც კი მახსოვს...
სთქვა მან.

— მარეხ! შენი ჭირიმე, საქები და ყველაფერში ნაგულემა ქალა ხარ და იქნებ პატარა შაქრის ნატეხი გაქვს და ან მასესხე, ან მომყიდე ან მარეხე და სამაგიეროთ რაზედაც დამასაქმებ, თავს არ დავიზოგავ. ხომ კარგათ მოგეხსენება — სახადს ტკბილი და კაი-კაი უყვარს ყველაფერი და მინდა, როდემე ასეთი უცხო ხილი სირინოზს გავუგზავნო.

— კი, როგორ არა მაქვს! შაქარს წამლათ როგორ გამოვიღე. მოგართმევ ეხლავე.

მარეხი წამოიჭრა, ხის სკივრი გახსნა, ამოიღო ძველ ჩვარში გახვეული შაქრის ნატეხები, ამოარჩია ერთი მომცრო ნატეხი, რომელსაც სითეთრე ოდნავ თუ ეტყობოდა, და მიართვა სტუმარს.

— უჰ, შენი ჭირიმე, რა სიკეთე მიყავი! თუ მე კაცი ვყოფილვარ, ამას ისე გადაგიხდი, როგორც ეკადრება შენ კაი ქალობას და ამ დავალებას. უჰ, შენი ჭირიმე! კი იცით ძმობილი ვარ და ასეთ ავადმყოფს უბრალო რამეს ვერ შეგკადრებ, თორემ ღვთისა და თქვენი წყალობით ისე ყველაფერი მაქვს.

აღფრთოვანებულმა მურზაბეგმა ჩამოართვა საავადმყოფო საჩუქარი და ჯიბეში ჩაიდვა.

— მარეხ! მურზაბეგს არაყი მიართვი, გაათბობს ამ სიცხეში.

— ნუ სწუხდებით თქვენი ჭირიმე, ნამეტანიც დამავალეთ.

მურზაბეგმა მარწყვივით გადაკრა ერთი კათხა არაყი და ნაეური ცეცხლში შეაქცია.

— ოხოო, რა ფინთილასავით არის ეს დალოცვილი, ავაშენათ ღმერთმა. მადლობის შეწირვით განშორდა მათ და გასწია თავმომწონეთ დობილისკენ.

ქისკართან ჯამურხანს გამოუძახა. ჯამურხანი მძიმედ დალონებული გამოვიდა.

— როგორ გყავთ ავადმყოფი შენი ჭირიმე?

შეეკითხა მისალმებისთანავე მურზაბეგი.

— ისე მტერი გეყოლა: ისეთი სიცხე აქვს, რომ ჭკუაზე აღარ არის.

— პირზეც დაყრილი აქვს?

— პირზე არა და ტანზე ძალიან. წუხელი ჭიანური მოინატრა, მაგრამ ბატონებ-მოხდილი ვერაეინ ვიშოვეთ.

— შექალო, ბადიგერისთანა მეჭიანურე მთელ სუანეთში არ არის და იმას შეუთვალეთ. კარგი გულის კაცია, ასეთ ღროს არ დაგამადლით. სახლში თუ რამე დასჭირდება, მე მიუხედავ და ის კი ავადმყოფთან იყოს.

— რა იცი, რომ მოხდილია?

რავა არ ვიცი, ახლა ვიყავი მათსას.

— ბატონო, ოღონდ გვიშველოს და ქირას მივართმევთ რასაც გვთხოვს.

— შე დალოცვილო, ქირა ვის გაუგონია ასეთ ღროს!

— ნეტავი ეს გადამირჩეს ბატონო და არათერს არ დავზოგავ. ვიცით ბატონები რალაცათი გაჯავრებულია, მაგრამ ვერ მივუხვდით და ეგება ქიანურმა დაამშვიდოს ეს გზა გახარებული, და ეშველოს რამე ავითმყოფს.

მურზაბეგმა მედიდურათ ჩაიყო ახალუხის ჯიბეში ხელი, ამოიღო ჩვენი ნაცნობი შაქარი, სრულიად თუთუნის ფხვნილში მოსვრილი: შეუბერა სული, გაისვ-გამოისვა პაიჭებზე, გასწმინდა პატიოსნათ და ჯამურხანს გაუწოდა.

— ეს შაქარი გახლავს ჯამურხან შენი ჭირიმე, და ჩემ დობილს მიმირთმე ჩემს მაგივრათ; ჯერ-ჯერობით ეს იყოს და თუ ღმერთი შემიწია კიდე ვეცდები ასეთი საპატიოსნო მოვართვა რამე. ჩემი უბედურება ის არის, რომ მოუხდელი ვარ და ვერ ვნახავ, თორემ ისე თუ რამეზე დაგჭირდეთ ნუ მომერიდებით.

— ვაი შენი ჭირიმე, ამაზე უკეთეს ქე რალას გვიხამ! უჰ, ჩემი დღე შენი დიდებული დიდებულს მოიტანს. ღმერთმა ჩემს რძალსაც დააცალოს შენთვის ტკბილი სამსახური.

მადლობის გადახდით განშორებული ჯამურხანი აღტაცებული შევიდა სახლში. შაქარი ერთი ხელიდან მეორეში გადადიოდა. ათვალეერებდენ. ზოგი ამბობდა შაქარი თოვლივით თეთრია, ეს ყინულ შაქარს, რომ ამბობენ, ის უნდა იყოს; ზოგი ამბობდა კამფეტი უნდა იყოსო, ზოგი კი ამტკიცებდა, თათლიბი არისო. მაგრამ როდესაც ერთმა მოსახრებულმა კაცმა დანის პირით ჩამოფხიკა, დარწმუნდნენ, რომ შაქარი იყო.

— ოხოო, ეს ღვთის მოწყალეაა! შაქარი ძალიან უყვარს ბატონებს, წაილე და თავქვეშ დაუდევნი ავითმყოფს.

უთხრა კმაყოფილმა დუდარუხმა ცოლს, ყალიონი ააბოლა, ერთი ღრმით ამოახველა, დააფურთხა წინ და ფეხი მაგრათ გაუს-გამოუსვა.

— ჰაი, — ჰაი, რომ ღვთის მოწყალეაა.

დაუნატა ერთმა სტუმარმა.

— ილბლიანი კაცი ხარ, შენთვის ყველაფერი გამოჩნდება.

სთქვა მეორე სტუმარმა.

— ილბლიანი მაშინ ვიქნები, თუ ჩემი რძალი მორჩება.

უპასუხა დუდარუხმა.

სირინოზს დედამთილ-მამამთილის სიყვარული დამსახურებული ჰქონდა არა მარტო გარეგანი სილამაზით, არამედ სათნოებითაც, გამრჯელობით და მახვილი მიხვედრილობით. „ჩემი რძალი გაისათ რაც საჭიროა, წრეულს მიხვდებაო“, იტყოდა ხოლმე დუდარუხი.

ბადიგერი ძლიერ დაღვრემილი იყო. ღონე არ იყო, სალამოს საქმე უნდა მოეგვარებინა. ადგა, პირუტყვებს მოუარა, ბაგეები თივით ააესო, სალამიო შეშა დასჭრა, ცეცხლს შეუმატა, ცეცხლის პირს სკამ-ლოგინზე წამოწვა და ფიქრებთან საუბარი გამართა. „ეს ოხერი მურზაბეგი, როგორ არ ეტყოდათ, რომ მე მოხდილი ვარ მეთქი... ალბათ იშოვეს სხვა მეჭიანურე! ოხ რა უბედური კაცი ვარ... რომ მოკვდეს!..“

ბადიგერმა სიკვდილზე ფიქრი ველარ აიტანა, ფეხზე წამოიჭრა, ჩამოიღო იქვე ცხვენზე ჩამოკიდებული ჭიანჭური, დაჯდა ცეცხლთან, სადაც სალამოს მილაგ-მოლაგებას მორჩენილი მარეხი მატყლის სტვას ჩასჯდომოდა და დაუწყო ჭიანჭურს აწყობა. ცხენის ძლით გამართულ სიმებს ქვეშიდან ჯოჯო დაუდგა, შეილდი ფისეზე გაუს-გამოუსვა, ხმები ააწყო და დაუკრა ისეთ სანწუნარო ხმაზე, თითქო ბადიგერის განცდის მესაიდუმლე მარტო ეს ჭიანჭურს მიუტყუო.

— ოხ, შეკაცო, როგორ აატირე მაგ ოხერი! მხიარულნი რაბე დაუკარი. შენიშნა მარეხმა.

— ზამთარს მოწყენილობა შეენის.

უბასუხა ბადიგერმა და განაგრძო მელანქოლიური მუსიკა.

ჭიანჭურს თანდათანობით სწვდებოდა და იფლობდა მეჭიანჭურის სულიერი განწყობილება და ბადიგერიც გადასახლდა გოდების სამეფოში... დიახ, ბადიგერის გული გოდებდა ბრმა ბედის მოსაყვედურე. იგი განიცდიდა დიდებული მგოსნის სიტყვების შინაარსს „მით რაცა მინდა არა მაქვს, რაცა მაქვს არ მამინდების“-ო. გარედან გაცხარებული ძაღლის ყეფა მოისმა.

ბადიგერი და ჭიანჭური ერთად დადუმდნენ, თითქოს ერთი სული უდგათო.

სიჩუმე მარეხის გარედ გახედვამ დაარღვია.

— ვინა ხარ?

შეეკითხა დასახლისი.

— შე ვარ დუდარუხი, შენი ჭირივე.

მოისმა სირინოზის მამამთილის ხმა.

— მობრძანდით სახლში შენი ჭირივე. ავათმყოფი როგორ გყავს გვითხარი.

— ძალიან მეჩქარება და ვერ შემოვალ შენი ჭირივე. ავათმყოფი დიდათ შეწუხებული გყავს.

— უი ჩემი ცოდვა! ნუ შეშინდებით, ღმერთი მოწყალეა.

— ღმერთმა მისი მოწყალება ნუ მოგაკლოს, თუ ბადიგერთან მიშუამდგომლო, რომ საუკუნო ვალათ დაგვდვას და ავათმყოფთან სალამისთეოდ წამყვეს თავის ჭიანჭურით.

ბადიგერს ესმოდა ყველაფერი მაგრამ გულის გაცხარებულმა რეკამ მუხლებში მოუსხლიტა. „ძალიან შეწუხებულიაო“ ამის გაგონებამ სულთქმა მოუხუთა და ტვინის ძარღვები დაებერა. მაგრამ „სალამისთეოდ ჭიანჭურით წამოვიდესო“, აძან აღშფოთებული სული აღფრთოვანებით შეუმოსა და წყენა-სიამოვნება ერთმანეთს გადაეკვანძა.

აჩქარებით მობრუნებულმა მარეხმა, ბადიგერს დუდარუხის სიტყვები განუმეორა და დაუმატა:

ჩქარა ადექი და წადი, თუ ღმერთი გწამს!

ბადიგერი უსიტყვოთ ადგა, ჭიანჭური იღლიაში ამოიღო, მუჯურო ხელში დაიბჯინა და კარებთან რომ მივიდა, ცოლს მიუბრუნდა:

— საქონელმა არ აიშვას, ყურადღება მიაქციე, თუ მარტო გეშინია, თერთუას დაუძახე და ის დაწვება შენთან.

— არა, რათ მინდა. ნუ გეშინია არაფერს წავახდენ.

უბასუხა მარეხმა და ბადიგერიც გავიდა გარეთ, მიესალმა დუდარუხს და გასწიეს მუსაიფით ავათმყოფისაკენ.

— ღმერთი შეეწიოს მუზარბეგს, იმან გვითხრა, რომ ყვავილ / ბატონებს მოხდილი ყოფილხარ, თორემ კი არ ვიცოდით შე კაცი!

— კი, მე ძუძუს წოვების დროს მომიხდია... ასე მეტყუებით ცხონებული დედაჩემი და რა ვიცი.

— ძალიან კი მოგერიდებოდი ასეთ შეწუხებაზედ, მაგრამ ვერაფერ ვერ ვიშოვეთ მოდილი, ვერც კაცი, ვერც ქალი და რა უნდა გვექნა. კი იცი სახად ბატონებს მხიარულება და პატიოსნება უყვარს, და რაც კი შეგვიძლია, თავს არ ვიზოგავთ. რაც კი გავიგონე მოსახდენი, ჩიტის რძის მეტი ყველაფერი ვიშოვე, ასე გასინჯე, შაქარიც კი.

— შეკაცო, ნეტაი რამე შემეძლოს, თორემ ასეთ დროს მტერს არ დავერიდები, არა თუ შენისთანა კაცს. შენ და შენი ცოლი ისე მიყვარხართ, როგორც ჩემი ცხონებული დედამა. შაქარს მეც ვიშოვი, თუ საჭირო იქნება.

— არა შენი ჭირიმე, მაგაზე როგორღა დაგხარჯავ, წესათ ქე არის და მეტი რა საჭირო უნდა იყოს.

— ჩაე არის საჭირო, ჩაე! დედის რძესავით ჩაუტკობს გულ-მუცელს.

— ჩაე როგორ შენი ჭირიმე! მორჩენამდი რომ შაქარი დაგხარჯოთ, ბატონები განაწყინდებიან კიდე, და მერე არც ჩაე გვაქვს.

— მაგ არაფერია შეკაცო, ჩაეც კარგი აქვს მარეხს. ამ ხაფხულს ცაცხვის ყვავილის ჩაე გააკეთა და შიგ ჩაურია ქინძი, ძირა ოხრაბუში და ისეთი შემფრობილი გამოვიდა, რომ მის დაღევას არაფერი სჯობია.

— უჰ, რა თქმა უნდა კარგი იქნება, რაკი ამდენნაირი საკაზმავი ჩაურევია.

— ძლიერ მოუხდება ღვინოც, რომ გვაშოვნია სადმე.

— ოო, მაშინ თლად გავკეთდები კაცი, მარა სად!

— ჩვენ ღვდელს ვთხოვოთ და გვიშოვის.

— ოხ, ეს ძალიან კარგი გამახსენე შენი ჭირიმე. ერთი-ორი კათხა ღვინო რომ ეხლა იმან დალიოს, მეტი არაფერი უნდა.

— არაფერია, ღვდელი არ მეტყვის მაგის უარს, ჩემი მეგობარი კაცია.

უთხრა იმედინათ ბადიგერმა.

დიეტაზე გაცხარებული სჯა-ბაასი ძაღლების მოტყევებამ და ყეფამ შეაწყვეტინათ.

— ბადიგერ! ჭიანური ხომ არ გაგიფუჭდა მაგ ოხრების მოგერებაში?

შეეკითხა დუდარუხი ძაღლების მოგერების შემდეგ.

— ჰმ! ეს რომ გაეფუჭებიათ, ძაღლებს კი არა, მათ პატრონებსაც გავაფუჭებდი. ეს ჭიანური მთელ ქვეყანას მირჩევნია, თუ იცი! ეს ჩემი ბედის ჩანგია. ერთად ვიცინით და ერთად ვტირით.

— მართალია, ყველა მეჭიანურებს ასე უყვარს ჭიანური.

დაუმოწმა გულუბრყვილოთ დუდარუხმა.

დუდარუხი სვანეთში ერთ შეძლებულ მოსახლეთ ითვლებოდა. სახნავი მიწები ბლომად, ფართე სათიბები, სვანური ქვის დარბაზი, რვა ძროხა, ორი უღელი ხარი, ერთი ცხენი, პურით და ქერით სავსე კიდობნები, ხუთასე მანეთამდე გავალებული ფული—დუდარუხს მდიდარი მოსახლის სახელი უძღვეს.

შუა ღამე იყო. მანუბი კვამლით ისე გაბურღულიყო, ერთმანეთის ცნობა გასაქირათ ხდებოდა. სირინოზი ერთ კუთხეში ჩაფიცრულ ტახტზე იწვა, რომლის საგებ-სახურავის მატერიის ყოფილი ფერები ჭვარტლის სიუხვით დაფარულიყო; მეორე მხარეზე საქონლის ბაგა-ჭერი იყო, საიდანაც განუწყვეტლივ ისმოდა პირუტყვთაგან თივის ხმატა-ხმუტი და ნაცობხარი; მესამე მხრივ ჭირნახულით სავსე კიდობნები ჩამწკრივებულიყო, რომელთა ყოველი ხის ნაჭდობი და ხაზი საქონლის ნაგავით იყო საგანგებოთ ამოლესილი, რომ თავგები არ შემძვრალიყვნენ; მეოთხე მხრით საცხობი ბუჯერი ვარცლით და სასაფურეთი; ბუჯრის წინ საწყლე ოხარო გვერდზე იყო წამოკოტრილებული; ცოტა ბუჯრის აქეთ დუდარუხის და ჯამურხანის ლოგინი იყო, არა ეგეოდენ საგებ-სახურავით სავსე. იქვე კედელზე დუდარუხის იარაღი იყო ჩამოკიდებული, ხოლო შუაგულ სოხანეში ცეცხლის სანთები კერია იყო საგანგებოთ ამოღრმავებული და ზედ დიდი ჯირკვებით ცეცხლი საკირესავით გაზგაზებდა; ზევიდან რკინის საქვაბე კოწილობდა; ძირს, ცეცხლის ირგვლივ, ჩამოსაჯომი ჯირკვები და სკამლოგინი იდგა. ავათმყოფი უჩვეულოთ დამშვიდებული იყო.

— ვა, შენი ჭირი შემეყაროს, კარგო ბადიგერ! რითი გადაგიხადოთ ასეთი სიკეთე. შენმა ჭიანურმა ახლავე დაამშვიდა ბატონები. ასე დამშვიდებული ჩვენი ავათმყოფი ჯერ არ ყოფილა.

უთხრა დედაშვილური ალერსით ჯამურხანმა.

— სირინოზ! თუ გაგეხარება, დაუკრავს კიდევ ჭიანურს.

შეეკითხა მამამთილი.

— მაგაზე უკეთესი რა იქნება... მაგის ხმამ საიქიოდან დამაბრუნა.

ძლივს წამოიკრიტინა სირინოზმა.

— დიდება შენდა ღმერთო! სასწაული ყოფილა ჭიანური ბატონებისთვის, სასწაული! ხმა ამოაღებია.

სთქვა გახარებულმა დუდარუხმა.

ბადიგერმა ელვისებური სისწრაფით აიღო ჭიანური და დაუკრა, დაუკრა, მაგრამ ჭიანური იმ მწუხრის გოდებით კი აღარ ხმობდა, რომელმაც მარეხი შეაწუხა: ეხლა იგი განთიადის სილამაზეს და სიხარულს აქლერებდა. ბადიგერი მით უფრო გახარებული იყო, რომ სირინოზი არც ისე ავათ ეჩვენა, როგორც ამბობდენ. არც ერთი მუწუკი პირზე არ ჰქონდა და ყველაზე მეტად ეს ახარებდა.

— ერთი ქალების საეწმაკო შაირი რამე დაამღერე, თუ ღმერთი გწამს,— სთხოვა დუდარუხმა.

მემუსიკემაც თითქო დამზადებული იყო, უცებ შესცვალა შაირი და მღერის კილო:

„ისგვა გუნლა თერალს ხვიშხი¹⁾
 „ლაკირისგა ქიამშალ,
 „იმის რექვინ შიშდ ჩუ ხვიჩო,
 „უკაფ მად ხვი ისგვა შალ.
 „ღერმათ ერ ხვეს ტახტეი ჯასგვრი—
 „ხემაი გვიშგვე თამარი,
 „თელდ დეცი-გიმს სი ჯაავდი
 „ისგვავედ ლესეს ლეხმარი“ და სხ.



ლექსის შინაარსმა, დუდარუხს ყმაწვილურათ გული შეუფართხალა და სთქვა:

— ეხ, საყვარელი დრო, როდესაც მაგ სიტყვები ჩემთვისაც იყო. სირინოზის ქმარი გინადრუყი, რომელიც იქვე კერიის ძირში იჯდა, სიცილით აყლოჭინდა და ბადიგერს ჰკითხა:

— ეს შაირი შენი გამოთქმულია, თუ ჩვენი ღვდელის?

— რას სულელობ, ღვდელის შაირები ვის გაუგონია!

შეუტია მამამ.

— რატომ არა, ქალაღების კითხვა იგენმა იციან...

ისე უნდა და...

სირინოზმა აღშფოთებული კვნესით წამოიკრიტინა:

— გაჩუმდით, ნუ ლაპარაკობთ, კიანური გამაგონეთ.

— გააჩუმე მაგ სულელი ენა და ნუ გააპირვე საქმე.

შეუტია წყროშით დედამ.

— ხო, ხო, ხო, ხო, თქვენ ქალებო, რა დავაშავე ასეთი? სახლი ხომ არ დამინგრევია!

უპასუხა ნაწყენმა გინადრუყმა.

ბადიგერი ფრთებმოსილი გადადიოდა მუსიკის სამეფოში და გრძნობით ჩამოქანდაკებულ სილამაზით სხივოსნდებოდა. თანდათანობით მაყურებელთა სმენა და გრძნობაც ჯადოსნური გრძნებით ტყვევდებოდა. ბაგაზედ მიბმული პირუტყვებიც შეაჩერებდნენ ხოლმე თივის ხმატუნს, თითქო იმათაც უნდათ ყური უგღონ მთიელის საღსა და წრფელი გრძნობით ამუსიკებულ ხმასო.

¹⁾ ვთარგმნე ეს ლექსი სიტყვა სიტყვით.

„საკირეში ფერფლად გაქცევ

„შენს სამსხვერპლოდ ჩემსა თვალებს,

„რასაც მენტყვი უცებ ვიზამ

„ურჩი არა ვარ შენსაგით.

„ღმერთი რომ მქნა, ტახტზე დაგსვამ,

„როგორც ჩვენი თამარი (თამარ-მეფე).

„ცას და მიწას სულ შენ მოგცემ,

და შენი იყოს სახმარი“.

— აგაშენა ღმერთმა. — უთხრა დუდარუხმა, — ეს ავამყოფს კი არა მეც გამაყმაწვილებს მგონია, ისე შიაშა.

რამდენიმე დღის შემდეგ მომვლელების იმედიანობა ავადმყოფის გაუარესებამ აღაშუოთა. სირინოზს დიდმა სიცხემ სამი თვის მუცელი მოსწყვიტა. თითქმის სასიკვდილე სახე მიიღო, მაგრამ ახალგაზრდა ქალის ჯანსაღობამ მაინც დასძლია ყოველივე და თანდათანობით გამოკეთდა.

* * *

წვიმიანი დღე იყო. ბადაგერი და მისი ცოლშვილი სადილს უსხდენ, რომ მარების მეგობარი ქალი თეთრუა შემოვიდა.

თეთრუა სადილზე მიიწვიეს. მოყვენ აქეთურ-იქითურ ამბებს.

— დღეს დუდარუხისას ვიყავი და სირინოზის ცოლვამ გული მომიკლა, — უთხრა თეთრუამ.

— როგორ, ავით ხომ არ არის ისევ?

შეეკითხა მარები.

— ავით არ არის, მაგრამ მაგათ ხელში ცოცხალი რომ არ იყოს, ის ურჩენია.

— რა იყო შექალო, არ იტყვი?

შეეკითხა ბადაგერი.

— რა იყო და წმინდა კვირიკეს დღეობაზე წასვლა აუჩემებია საწყალს და ტანისამოსი არა აქვს. მამამთილს უთხრა: სოფელში ურია დადის. კარგი ფართლები აქვს და მიყიდეთ რამეო. მამამთილმა უარი უთხრა. სანამ ფულის სარგებელი არ შემომივა, მანამ არაფერი არ შემიძლიაო. „მაშინ რაღათ მინდა, კვირიკობა წასული იქნებაო“ — და დაიწყო ტირილი.

— ძაღლია, ძაღლი მისი მამამთილი. იმისთანა გოგო იმ გლახისათვის გასჩერებია და ტანისამოსსაც არ აცმევს და კიდობნები ნამუშევრით უსკდება. ფუი მის კაცობას, ოხრათ დარჩეს ყველაფერი!

სთქვა გაჯავრებულმა მარებმა.

— ღირსი ქე არის უბედური ყველაფრის, — დაიწყო ისევ თეთრუამ, — რას იპრანჭება ამდენს! ქვეყანას თვალი იმაზე რჩება და კაცი არ წაიკარა. აი თუნდ ჩვენი ბატონი. ის რატომ ას მანეთსაც არ მისცემდა! გაავალეზდა და ქალი იქნებოდა, არაფის ხვეწნა მუდარება არ დასჭირდებოდა.

ბატონის ხსენებამ ბადაგერს გულში სამართებელი გაუსრიალა.

— შენსავით ფულზე ვაქარი კი არ არის ყველა.

უთხრა თეთრუას.

— ოხ, წამომძახე ძალიან! ნეტავი დედაჩემს, თუ მთელი ჩემი სიცოცხლე უპერანგოთ და გაუხარებლათ გავატარე.

— შენი ქმარი პერანგს ვერ ჩაგაცმევს? მაგრამ შენ გიყვარს მაინც ამკვარები.

— რათ მინდა მისი ნამადური და ნამტირალევი პერანგი.

— ჰო, მაგნაირი ნაშოენი სჯობია, მართალია.

— დიალ! ქონებას არაფერი არ სჯობია! კაცი მაგითი ფასდება! სანამ ყმაწვილი ვარ სიყმაწვილით ვფასდები და როდესაც მოვხუცდები, მაშინ ჩემი სიმდიდრე დამაფასებს. უამისოთ არაფერ არ არის.

— პატიოსანი ქალები ასე არ ლაპარაკობენ.

— ვის რა გამოუდნა ამ ცარიელ პატიოსნებით? ან რათა ჰქვიან ამას უპატიოსნობა! უპატიოსნობა სიმძულვარეა, თორემ სიყვარულია. უპატიოსნობა იქნება! ბატონო, მართო ამ ქალებს რომ ეძახით ამ საქმეში უპატიოსნობის, რადგან თქვენ თავს არ ეტყვიან, რომ მშვიერი მგლებივით დაძრწით ქალებისთვის!..

— კაცს მეტი შენდობა აქვს.

— რისთვის?

— მისთვის, რომ კაცი ქვეყნის პატრონია და ქალებიც მისი საპატრონო.

— ტყუილი! უქალო კაცი თითონ უპატრონოა.

— ეჰ, თქვენ ნაპატრონებსაც კი რა უთხრა...

— ვაი საყვარელო, მართლა იზამდენ მთელი ქვეყნის ქალები ისეთ სასწაულს, რომ ქმრის გარდა არც ერთ კაცს ახლოს არ წაგიკარებდენ!

— ოხ! მაგ ღმერთიან ნუ ქნას.

— ჰოო, ხომ არ გინდა! მაშ, ჩვენც გვინდა სიყვარულიც და სიმდიდრეც.

— სიმდიდრე, თორემ შენმა მზემ, ათას მანეთებს მოგცემენ.

— რატომაც არა! ას მანეთამდე ეხლავე მაქვს გავალებული და ჩემ სიბერემდი დიდ ფულად გავხდი და მაშინ ვნახავ, დედოფალივით მათასებდეთ ყველა.

— რატომ სირინოზიც არ დაარიგე შენ ჭკუაზე?

— ბევრი ვუთხარი, მარა სულელია და რა ვუყო.

— რაო, რა გითხრა?

— ფულისთვის როგორ ვიზამ მაგისტანა საქმესო.

— აბა რისთვისო?

— სიყვარულისთვისო. უსიყვარულოთ კაცთან ყოფნა რა ძნელი ყოფილა, ის ჩემზე უკეთ ეხლა ბრძენმაც არ იცისო, თუ მიყვარს ვინმე, ნეტავი მეჩნეს, რომ იქით მივსცეო. მე ვუთხარი, ქეც მიტომ ხარ გაკირვებულითქო. იჰ, მეცოდება საწყალი, ძლიერ შევიწროებული ჰყავთ. ძლივს მოასწრო ამის თქმა, რომ მისმა დედამთილმა მოირბინა, ეშმაკივით ეშინიათ: სიყვარულზე არაფერი უთხრანო.

— თავის გული ეტყვის ყველაფერს...

წაიბუტბუტა ბადიგერმა, რომელსაც თეთრუას სიტყვებმა ახალი გეგმები დაუბადა.

— ხვალ რატიანებთან მიდიხარო, მართალია?

— შეეკითხა თეთრუა.

— მართალია, მივდივარ.

თეთრუამ უბიდან თბილი წინდა-პაიჭი გამოიღო და ბადიგერს სთხოვა.

— თუ ღმერთი გწამს, ცოლშვილს გაფიცებ, ესენი მახამეთს მიუტანე ჩემ მაგიერ და საყვიდური უთხარი, რომ ამდენი ხანი შენთვის არ შემახედინეთქო.

- ასე, შენ ქმარს სცივა და საყვარლებს თბილები უგზავნე.
- ჩემ ქონებას ვისაც მანდა, იმას ვუგზავნი.
- კაი დაგემართოს, კაი საქმით შენ შოულობდე.
- დიალა! სიყვარულით ნაშოვნია, თორემ სიმძულვარითა კი არა უსიყვარულოთ ღმერთმან ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს.
- გოგო, სიყვარულისთვის ქმარი არ გყოფნის?!
- ქმარის შეყვარება თავის დღეში არ შეიძლება ისე, როგორც საყვარელის.
- ღმერთმანი, იმდენს ამბობს თეთრუა, რომ მგონი მეც რაღაცა მათექრებიოს.



ქართული
საყვარელი

- წაიხუმრა მარხმა.
- ცთუნება ხართ ქალები, ცთუნება. დაგწყევლოთ ღმერთმა!
- უთხრა ბადიგერმა და თეთრუას მისი ამანათი ჩამოართვა.
- მეორე დღეს ბადიგერი რატიანებისკენ მიაქანებდა ცხენს. სოფლის შესავალში მახამეთის სახლი იყო. ბადიგერმა ცხენი ქისკართან შეაჩერა და მახამეთს გამოუძახა, რომელმაც თეთრუას მიძღვნილი ამანათი აღფრთოვანებით მიიღო.

— სახლში შემობრძანდით. მამაჩემს არ ნახავ? ძლიერ ავით არის, — მიიპატიჟა სტუმარი.

- რა დაემართა?
- რა ვიცი, ცხელდება აქვს ისეთი, რომ სულთახმაზეა. შამობრძანდი, ეგებ გიცნობს და იამოს.

მახამეთის მამა სირინოზის ნათლია იყო, და ბადიგერმაც იმ მოსაზრებით — სირინოზთან შესვლის მიზეზათ გამომადგება ეს ამბავიო, — ავითმყოფი ინახულა.

მეორე დღეს რატიანებისას ამბავი მოუვიდათ: მახამეთის მამა წუხელი გარდაიცვალაო.

სირინოზის ნათლიას სვანეთში მდიდარ კაცს ეძახდნენ. სირინოზი ძლიერ უყვარდა და სწყალობდა.

სახლისკენ დაბრუნებული ბადიგერი გზადაგზა სულ სირინოზზე ფიქრობდა, განსაკუთრებით კი თეთრუას სიტყვებზედ. „სირინოზს წმინდა კვირაობაზე წასვლა უნდა და ჯარში ჩასაცემელი ტანისამოსი არა აქვსო... ფულისთვის როგორ ვიზამ მაგისტანა საქმესო; სიყვარულისთვის კიო“. რა ვქნა, ტყვესავით ყვეთ მაგ ოხრებს ჩაკეტილი, თორემ ხელში რომ სადმე ჩამავდებია, ვეტყოდი ყველაფერს და რაც იქნება იქნეს... აჰა, ასე ვიზამ! შევივლი!

წამოიძახა რაღაც მოფიქრების შემდეგ ბადიგერმა.

ღუდარუხისას ბადიგერის სიხარულით მიღებას ყოველთვის განუშორებელი სიტრთხილვეც თან ახლდა, რომელსაც განსაკუთრებით სირინოზი გრძნობდა. რამდენადაც ბადიგერის თვალები მიზანში ამომღებ ჭოგრიტივით მიიმართებოდა ხოლმე სირინოზისკენ, იმდენათ სირინოზის გული სათუთად კრთოდა. თეთრიდნეს შუბლზე ჩამოიწვედა. თავს ძირს დახრიდა და ფიქრობდა: „როდის მოვესწრები შენს თვალებს თავისუფლად შევხედოო“.

სირინოზის ნათლის სიკვდილით ყველანი შეწუხდენ, განსაკუთრებით სირინოზი.

— გუშინწინ მითხრეს გზაში ცხონებულზე, კვდებაო, გზა მანც მათ კარზე მქონდა, შევიარე და ვნახე. ძალიან გაუხარდა ცხონებულს. მითხრა ჩემი სირინოზის მეზობლენი ჩემთვის ყველა საყვარელი ხართო. მერე სასთუმალიდან ჩუმათ ასი ძანეთი გამოიღო და მომცა. დამაფიცა, ეს სირინოზს მსუტანე ჩემს მაგივრათო. ვიცი ჩემს მაგიერობას მას ვერაფერს და ეს მანც გაავალოს თავის სახელზე და მოიხმაროს როგორც უნდოდესო. მაგრამ ჩემი სული დააფიცე ყველას მის სახლში, რომ არავის უთხრანო. ხომ იცით, ბევრი მოკეთის პატრონი ვარო და ყველა სულს შემთავინებსო—რატომ ჩვენც არ დაგვიტოვაო და მასთან სახლშიც არ იამებათ, ვიცი, და შეიძლება რაღაც უსიამოვნება აუტეხონო, უამბოთ ბადიგერმა.

სიკვდილის წყენით დაღვრემილი სახეები ანდერძის მიღებით გამოწვეულმა აღფრთოვანებამ შესცვალა.

ბადიგერმა ასი მანეთი დაუთვალა და ჩააბარა მათ.

— ჩვენ ბედს წაუყვანიხარ შენი კირიმე იქ, თორემ ისე არაფერი არ იქნებოდა.

უთხრა დუდარუხმა.

— შენმა ფეხებმა იარა ყოველთვის სასიხარულოთ.

დაუმატა ჯამურხანმა.

— სირინოზ! ხომ ნიყიდი კარგ ახალოხს?

უთხრა ყლოკინით ქმარმა.

— ახალოხი შენზე უფრო ამის მომტანს ეკადრება.

სთქვა მორცხვით სირინოზმა.

— არავის არაფერი ხელი არ აქვს ამ ფულთან, გაავალე, და მოიხმარე როგორც გინდა.

უპასუხა ბადიგერმა.

— ოჰ, ეხლა კი მოვისვენე,—ამბობდა დუდარუხიდან წამოსული ბადიგერი თავის გულში,—სირინოზს აწი არავის სახვეწნი არ ექნება—ჩამაცვი და დამახურეო. ველარც ბატონი შეუცვლის აწი ფულით გულს! უჰ რა კარგათ მოვიფიქრე!.. სულ ვერ მიხვდენ მაგ სულელები. სჯერათ, რომ მართლა ნათლის გამოგზავნილია.

* * *

სვანეთში ხმა გავრცელდა, რომ „თეთრ ხელმწიფეს“¹⁾ ისეთი საარაკო ექიმი ყოლია, რომ მთელი „გრანიცის“ ავთომყოფები მოურჩენია და ეხლა სვანების მოსარჩენათ მოსულაო. რადგან სირინოზი ავთომყოფობის შემდეგ დასუსტებული და გამხდარი იყო, დედამთილ-მამამთილის რჩევით აახლეს ქმარი და გაუშვეს ხსენებულ ექიმთან. ექიმმა სირინოზი ჯანსაღად სცნო მხოლოდ ცოტა სისხლწაკლები ხარ, კარგათ იკვებე, გასუქდები და მეტი არაფერი არ გინდაო, უთხრა სახლში დაბრუნებულ სირინოზს ეზოში დედამთილი შეეყარა.

1) თეთრ ხელმწიფეს ლენხუმ-სვანეთში ამერიკას ეძახიან.

— აბა რა ქენი, თუ მოგარჩინა დობტურმა შენი ქირიმე?

— მომარჩინა კი არა, თლათ გული გამიხეთქა, ისეთი რამეები მითხრა, უპასუხა ამოოხერით სირინოზმა.

— უიმე, რა იყო შენი ქირიმე?

შეეკითხა რეტ-დასხმული დედამთილი.

— შენო, ბატონებს იმ პირობით გადურჩენიხარ ცოცხალი, რომ სამი წელიწადი ისე წმინდათ უნდა იყო, რომ ქმარს ახლოს არ მიეკარო.

— დედავ, დედავ, რა იცოდა რომ ბატონები გქირდა! მართლა „დობტური“-ის ყოფილა!

— აბა, აბა, როგორ მიხვდა! კინაღამ გადვირიე, ისე მარჩიელივით მითხრა ყველაფერი.

— ჰო, მეტი რა გითხრა კიდევ?

— მერე მითხრა, რომ თუ შენ ამას შეასრულებ, რაც გითხარიო, მერე შეიძლება ტყის ანგელოზი დაგეუფლოს და შეილი გაყოლოსო ისეთი, რომ მთელი სვანეთის ტყისა და მთის ბატონ-პატრონი იქნესო, თორემ ისე შენი შეილის ყოლა გაძნელდებაო.

— უი დედა, უი დედა, როგორ სცოდნია მარჩიელივით ყველაფერი!

— თუ ასე არ ქენი, მერე შენი მამამთილის ოჯახი ეშმაკების წერა გახდებაო.

— უი დედავ, უი დედავ, ჩვენი ერთგულიც ყოფილა!

— მაგრამო, ეს ამბავი თქვენი ოჯახის მეტმა არავინ არ გაიგოსო, თორემ თქვენ ქონებას ცეცხლი და ნიავი წაიღებსო.

— უი! დედაშვილობას არავისთან წამოგცდეს! გინადრუყს უთხარი?

— ახ! არა! მე ვერ ვეტყვი. შენ უთხარი ორივე მამაშვილს. მოილაპარაკეთ კარგათ, გაიფიქრეთ რიგიანათ და როგორც მეტყვით, ისე მოვიქცევი.

— კი შეილო, კი შეილო! ამაზე მე მოველაპარაკები ორთავეს, მარა შენ არავისთან წამოგცდეს. ხომ იცი შეილო, ათასი მტერი და მოშურნე გყავს. გინადრუყი რა იქნა?

— ყანაში გადახტა მამასთან.

— ამაზე რომ შენმა ქმარმა უარი სთქვას, შემომაკვდება. ღმერთო დიდებულო, ნუ მოგვაკლებ შენს წყალობას.

გადიწერა პირჯვარი და გასწია სიხარულით აფუსფუსებულმა ყანაში.

ჯამურხანმა ღრმა შთაგონებით გადასცა რძლის ნაამბობი ქმარ-შვილს.

დუდარუხიც თანდათან რწმუნდებოდა: საქმე აღარც ისე სახუმრო იყო, რომ ფეხზე დგომაში და ღობის ხლართვაში მოესმინა ეს. ღობვას თავი მიანება. იქვე წკნელის კონაზე ჩამოჯდა და ცოლის ლაპარაკს გულმოდგინებით ყური დაუგდო.

— აქ მოდი ბიჭო და კარგათ დაუგდე ყური ამ საქმეს. დაუძახა დუდარუხმა შეილს.

— რა მინდა, რომ მოვიდე, თქვენ გამოარჩიეთ, როგორც სჯობდეს.

უპასუხა გინადრუყმა.

— მე ამას გეტყვი ჩემო შვილო, რომ თავის დღეში ცუდი არაფერი მიქნია, ღმერთი მიყვარდა, ფიცი არ მიტეხია, კაცი არ მომიკლავს და ალბათ ეხლა მიხდის სამაგიერო სიკეთეს ღმერთი. ხომ გაიგონე რაც სთქვა დედაშენმა?

— კი... გავიგონე.

— ხო, და თუ გაიგონე, წამოდი სახლში, დაიწერე პირჯვარი, დაიფიცე ხატზე, რომ, რაც გითხრათ, შეასრულო. ყმაწვილი კაცის ხანაში მწიძლეა უფიცრათ ვერ შეიკავო თავი.

მუშაობა მიატოვეს და წავიდნენ სახლში.

სირინოზის დიპლომატიამ გაიმარჯვა... ოჯახმა მას სამი წლის „შვებულება“ მისცა. გინადრუყი მშობლებმა ხატზე დააფიცეს—სამი წელიწადი ცოლს არ მიჰკარებოდა.

— აი შვილო, საქმე ისე გაგიწყვე, როგორც იმ კურთხეულ „დოხტურს“ უბრძანებია. შენი მამამთილი სიხარულით ცას სწვდება: ერთი ზაბუნა შვილის პატრონი ვარო და ეგებ ღმერთმა მისი წყალობით კარგი შთამომავლობა გამიჩინოსო.

უთხრა გახარებულმა დედამთილმა.

— სირინოზს პირზე სიწითლე გადაეფარა. მახრობელ დედანთილს აკოცა.

— ამიერიდან შვილო, შენი ლოგინი კარებს ქვევით გადაიტანე და იქ მოთავსდი მყუდროთ. ქმარს კი გახუმრებითაც არ გაეხუმრო აწი.

— მე არ გავეხუმრები, მან თუ მომასვენა...

— არა. ის დაფიცებულია, ველარ გაბედავს, ისე კი გებრალეობდეს დაკერვაზე, დარეცხაზე და ამგვარებზე.

— კი შენი ქირიმე, მაგაზე რა თქმა მინდა.

უპასუხა სირინოზმა და იგრძნო, თითქოს სულის და ხორცის შემხუთველი ხუნდები შეხსნეს. „მადლობა ღმერთს იმ დღეს მოვესწარი რომ დაღამების აღარ მეშინიაო“, ფიქრობდა თავის გულში სირინოზი.

— დალოცა ღმერთმა იმ დოხტურის მოსვლა, — უთხრა დუდარუხმა ცოლს — ხომ უყურებ, როგორ გამოიცვალა! ხომ გახსოვს ჯამურხან, რა უხასიათოთ იყო ყოველთვის.

— როგორ არ მახსოვს შე კაცი! ყოველ ორშაბათობით მისმა ნათვალევის ლოცვამ გული გამიხეთქა.

— ატყობდი ლოცვის დროს, რომ ნათვალევი ჰქონდა?

— ჰმ! ქე როგორ არ ვატყობდი! გამბერავდა ხოლმე რაღაც ლოცვის დროს და მთქნარებას მაწყებებდა და თან ცრემლის ყრას. ჩვენი მეზობლების თვალი და ყბა რა სიკეთეს დაგვაყრის. სიხარბით გულზე სკდებიან, გლახის პატრონმა იმისთანა გოგო იშოვაო, რომ მზესთან მზეა და მთვარესთან მთვარეო. მაგრამ აწი, მადლობა ღმერთს, აღარ მეშინია მაგათი. პირიქით, ჩვენი ეშინოდეს აწი ყველას — ტყის ანგელოზი ჩვენი მოყვარეა.

ხშირად საუბრობდნენ ამ საგანზე ცოლ-ქმარი კმაყოფილებით.

მაგრამ სამაგიეროთ ისედაც უხასიათო გინადრუყი უფრო გაავდა. მუდამ ჩხუბის გულზე იყო; ცოლს და მშობლებს რომ მიზეზს ვერ მოუპოვებდათ, პირ-

უტყვებს მისდგებოდა და სცემდა. მშობლები ძლიერ სწუხდენ და ნატრობდენ—
ნეტავი ის „დოხტორი“ ისევ მოვიდეს, რომ ამასაც მიუხვდეს და უშველოსო,
თორემ თუ ამ ხასიათზე იქნა, შეიძლება მთლად გადირიოსო.

ჩაიძინებდა თუ არა გინადრუყი, დედა მივიდოდა მასთან და დაუწყებდა
დაფრთხობილის და ნათვალევის ლოცვას, მაგრამ შვილი უფრო და უფრო ან-
ჩხლი ხდებოდა.

საშინელი მოღრუბლული სახით ცალმაგის წინ წამოწმული გინადრუყი
კალოზედ გაფენილ პურის მარცვალს უთვალყურებდა. კალოს კიდევად კრავია-
ნი ცხვარი იყო დაბმული. გინადრუყი რამდენჯერმე ააღელვა ცხვარის ხმაუ-
რობამ, მაგრამ ცხვარი კვლავ პეპელობდა. გინადრუყმა ველარ აიტანა და წა-
მოიჭრა.

— შენც აღარ მაგდებ კაცათ?! შენმა კიკინმა გული გამიხეთქა! შენ მაინც
მოგერევი, თუ სხვას ვერა!

მაგრათ მოქნეული ფეხი ცხვარს ფერდში მოხედა და მიწაზედ უსულოთ
დაეარდა.

ამ ამბით აღშფოთებული ჯამურხანი შეიღს წაეჩხუბა.

— ბიჭო, რამ შეგშალა და რამ გაგაორგულა ასე!?

— დამეთხოვე, თორემ უარესს შენ გიზამ!!

— ფუი შენს კაცობას, შე მხეცო, შენა!. რაღას მიზამ ამაზე უარესს,
შვილივით გაზრდილი ცხვარი მომიკალი!!

— კაცათ თავის დღეში არ მაგდებდით, მაგრამ იმას გაჩვენებთ, თუ მე
კაცი არა ვარ.

— ვაი დედაჩემს, რომ მართლა კაცათ ჩაგაგდეთ და ისეთი ანგელოზივით
ქალი მოგიყვანეთ და ეხლა ასე გვეკადრება.

— ქალი ქეც თქვენ ითხოვეთ და ქეც თქვენ გყავთ. მაგრამ მის წელებს,
რომ ჩემ ხანჯალზე დავახვევ, მაშინ გყავდეთ საკუთრათ შენ და შენ ქმარს. შე
მაჭანკალო შენა! მამაჩემი ყოველთვის არაწმინდა იყო, მაგრამ ახლა შენც და-
გაწყებია მაჭანკლობა და ცოლი წამართვით, არა!. მაცალეთ მე თქვენ!.

აურ-ზაურის ხმა დუღარუბს და სირინოხსაც მისწვდათ, რომლებიც ხარე-
ბით თივას „ეწიკებოდენ“. გინადრუყმა რომ ცოლი და მამა დაინახა, წამოავლო
იქვე ცულდს ხელი და მივარდა ცოლს დასაკრავათ.

— ჰეი! რა ღმერთი გიწყრება! გადირიე შე უბედურო!

მიაყვირა მამამ და ჩავარდა გასაშველებლათ. რადგან გინადრუყის შეგნე-
ბაში ცოლი და მამა თანასწორი დამნაშავენი იყვნენ, მოქნეული ცულდი მამას
დაჭრა და მკლავში დასჭრა. საშინელმა ღრიანცელმა მეზობლებამდინაც მიაღ-
წია და გასაშველებლათ მოცვენილებმა, როგორც იქნა, გამხეცებულ გინადრუყს
ცული წაართვეს.

— გამიშვით, უნდა მოვკლა მაგ შვილის მოლაღატე!.. იძახოდა გინად-
რუყი.

— აღარ დაგინახო ჩემს სახლში შე ღვთის გლახა შენა! რამ გაფიქრებია
ასეთი ცოდვა!.

უყვიროდა გონება ამღვრეული დუდარუხი.

— რამ მაფიქრებია და იმან, რომ ცოლი წამართვი შე ცოდვილიანო! მომატყუეთ ათასი ზღაპრებით, გამანაპირეთ, როგორც ნადირი და ეხლა რომ მიგიხვდით, აღარ გიამათ არა!! მე თქვენთან ყოფნა აღარ შემიძლია! მე ლეჩხუმში წავალ, მოჯამაგირეთ დაუდგები ვინმე ქრისტიანს. რა მინდა ამ ურიებთან. დაგწყევლოთ ღმერთმა!!

მეორე დღეს უკვე მთელი სოფელი იმაზე ლაპარაკობდა, რომ დუდარუხს და სირინოზს გინადრუყი წაესწრო და მამა დასქრაო.

მთელი სოფელი გინადრუყის თანამგრძობელი იყო. ამ ამბით დიდათ აღელვებულმა სირინოზის მამამ დუდარუხს მოციქული გამოუგზავნა:

„თუ ჩემი მძახალი ასე საქვეყნოთ თავს მომქრიდა და ქალიშვილი თავს ლაფს დამასხამდა, ამას არ ვიფიქრებდი. ეხლა თუ თავი ემართლება, ეს ფიცით დამიმტკიცოს, თორემ დავაჯინოთ მედიატორები და ჩემ სარცხვილს რაც ეკადრება ისინი მომიხჯიან. თუ ამასაც არ იზამს, მერმეთ ჩემის თოფით გაუსწორდები ჩემს შემრცხვენსო“.

— ვახ, ჩემ მოხუცებულობას, როგორ შემარცხვინა ჩემმა გლახა შვილმა! შამოირტყა შუბლში ხელი შეურაცყოფილმა დუდარუხმა.

— ხომ მოგეხსენება შენი მზახლის ოხერი უჯიათი გულის ამბავი, — უთხრა მოციქულმა, — ისე გაბრაზებულა, რომ თავპირს იმტვრევს. ეხლა როგორც ეკადრება შენისთანა ჭკვიან კაცს, ისე მოიქეცი, თორემ მტრის სახარელი საქმე მოგივათ. ხომ იცი, მე შენი ერთგული ვარ და პირში გეტყვი ყველაფერს.

— ამაზე მეტი რაღა მომივა! უდანაშაულოთ ჩემი ნამუსის ქუდი შემრცხვა. თემში გასარევი პირი მომესპო. ჩემი სიცოცხლე რაღათ ღირს! თუ ვინმე მომკლავს, მადლობას დავიბარებ... მედიატორეო!.. რა მაქვს სამედიატორო! მედიატორეს დამნაშავეს უსვამენ და მე რა დამნაშავე ვარ! ფიცო! კი ბატონო, ჩემ სიმართლეს მარტო მაგ გამოარკვევს. წავყვები რომელ ძლიერ საყდარზედაც უნდა, ტანისამოს გადაბრუნებული (უკულმა ჩაცმული), საყელო გახსნილი, ფეხშიშველა და საყდრის კედელს ორ კვერცხს მივატეხ და ისე შევფიცავ; რომ ამ საქმეში ისე უცოდველი ვარ, როგორც თითონ არის მის შვილთან. ამის მეტი არაფერი არ შემიძლია.

დააბარა მოციქულს დიდათ შეწუხებულმა დუდარუხმა. მოყვარემ დუდარუხის უკანასკნელი წინადადება მიიღო და გინადრუყის იქვებით გამოწვეული მოსალოდნელი სისხლის ღვრა მშვიდობიანი ფიცით დაბოლოვდა.

მაგრამ ერთხელვე აქორიკანებული სოფელი მაინც არ სცხრებოდა და სირინოზის გულს ამით სტანჯავდენ.

— ღმერთო, რათ გამაჩინე ასეთი უბედური და ჩემი პატიოსანი მოთმინება ასეთ სირცხვილათ რათ გამიხადე?

ამბობდა ხშირათ გულ ნატკენი სირინოზი.

ამიერიდან რძალ-მამამთილი, ირგვლივ იქვების გასაფანტავად, გულ გრილათ ეტყეოდენ ერთმანეთს და მამაშვილური თბილი გრძნობა ხელოვნურათ გააცივს, მაგრამ ქორები მაინც კიდითი-კიდე დაძვრებოდა.

დუდარუხი და მისი ცოლი კანაფის კონებს უხდნენ და სათოკე კანაფს ძეძავდნენ, რომ მათი მეზობელი და ბატონის ნათლი-დედა კესამხანი ესტუმრათ.

— არ გებრალეებით, რომ ამ ჩვენმა გლახამ ასე მოგვეკრა ~~თავი~~ და ამ სოფლის მითქმა-მოთქმას ვერც ფიცმა და ვერც სიმართლემ ~~ბოლო~~ ვერ მოუღო?

შესჩივლა გულ ჩათხრობილმა დუდარუხმა.

— მეცოდებით კი არა, თქვენი ცოდვით მოსვენება არა მაქვს, მარა რა უნდა ვქნა! თუმცა ახი კია თქვენზე ყველაფერი! თქვე დალოცვილებო, თქვენი პატროსნების ამბავი ყველამ კი არ იცის, ფიქრობენ: ასეთ ზაბუნ ქმარს ასეთი ანგელოზივით გოგო როგორ გაუჩერდება, რომ სხვა გვირათ არ იყოს საქმეო? თქვენ რომ ქკუა გექნათ და ჩვენი ბატონისათვის არ დაგეზოგათ რძალი, ყველაფერი ეს აგცდებოდათ და იქნებოდით ბედნიერათ. მაგრამ გაკერბდით, არ ქენით რალაცა ეშმაკის ჩაგონებით და ეხლა ასეთი საქმე მოგივიდათ. სოფელი, თქვენი ჭირიმე, მარტო გინადრუყის ბიყ-ბიყს კი არ უგდებს ყურს. პირიქით: სოფელმა უჩურჩულა გინადრუყს და გადარიეს საწყალი გლახა. ვიცი მე ყველაფერი თქვენი ჭირიმე. ეხლა კი მე რომ თქვენ აღვილზე ვიყო, პირიქით, მივალ ბატონთან, დავუჩოქებ და ისე შევეხვეწები მოჰკიდოს ხელი ქალს და დაეპატრონოს. ხომ იცით, ჩვენი ქვეყნის ამბავი, მაგისტანა დიდი კაცი რომ შეგიყვარებს, სოფელ-ქვეყანაც მოგერიდება და პატივს გცემს, ისე ვაგლახათ კაცი ველარაფერს გაგიბედავთ, თორემ ბოლომდი მაგას შეუმცდარათ მაინც არავინ დააყენებს და ჩვენ ტოლთან შეცთენას ბატონის წყალობა და ჯიშინი შთამომავლობის გაჩენა არ გირჩევნიათ! ამას ყველაფერს თქვენი ერთგულობისთვის გეუნებით, თორემ ისე რას დავეძებ. ნათლია ჩემი იცოცხლებდეს, თორემ ლამაზი გოგოების მეტი რა ეშოვება.

კესამხანს დამშვიდებით აცალა დუდარუხმა სიტყვის დამთავრება. ყალიონის წევით დინჯათ და დაკვირვებულათ ყურს უგდებდა.

— ვაი, შენი ჭირიმე, მეც ასე ვამბობდი, მაგრამ ვინ დამიჯერა! ეს მახლობდა ამის თქმისთვის.

გამოეპასუხა ჯამურხანი.

— ვაი შენი ცოდვა, რა უტკუო ხარ! დაგვაწყდა ის ბორკილი, რაც ღმერთმა დაგვადვა!!

უთხრა ცოლს გაჯავრებით დუდარუხმა.

— ამაზე მეტი ბორკილი რალა დაგვედება! სოფელ-ქვეყანაში სირცხვილის ბორკილი დაგვედვა.

— შე გამოსულელებულო დაგავიწყდა „დოხტურ“!?

„დოხტურის“ გაგონებამ ჯამურხანს მთელი მისი ნათქვამის შინაარსიც მოაგონა და საშინელი თავ-ზარი დასცა.

— იმე, იმე აბა რა ვქნათ! რომელ ხელზედაც ვიკბენ, ის ხელი მეტკინებაო, ისეა ჩვენი საქმე და რომელ წყალში ჩავარდეთ აღარ ვიცი.

აწუწუნდა ჯამურხანი.

— მე, არც დამიშლია სირინოზისათვის არაფერი და არც დაუშლი. მისი საქმეა, როგორც უნდა ისე ჰქნას.

უთხრა სხვა და სხვა მოსაზრებით დუდარუხმა.

— დილაღ რიგიანათ ბრძანებ. ქვეიანი კაცი ყველაფერს რიგიანათ იტყვის. აბა, თქვენი ჭირიშე, რაღა დავფარო თქვენთან. ალბათ თქვენც შემატყობდით, რაზე ვარ მოსული. სხვის ჩარევას ჩემისთანა ერთგული ადამიანის ჩარევა გერჩიოსთ. მე ისე მოვაწყობ თქვენ საქმეს, რომ ქვეყანა თქვენ შემოგნატროდესთ. ბატონმა მე გამოგზავნა თქვენთან მოსალაპარაკებლათ, რომ საუკუნით თქვენი ამშენებელი შვილი ვიქნები, თუ კი არ მომკლავთ მაგ გოგოს სიყვარულითო. ხომ იცით ბატონის ამბავი, — ვინც ბედნიერი შეიყვარა, მისი ოჯახიც წალმა წაიყვანა და თქვენ ხომ თლათ გაგაკეთებთ.

— მე გითხარი და ის იყო. გოგოს როგორც სურს! მე კი მაგ საქმეში არც ავით და არც კარგათ არ გავერევი. მე მაგისტვის არც ღმერთს გავიწყრომებ და არც ბატონს. ჩემ ჩაურევლათ კი, რაც უნდათ, ის ქნან.

დაასრულა თავისი პასუხი დუდარუხმა კესამხანთან.

— გოგო სად არის ეხლა?

იკითხა კესამხანმა.

— მთაშია. ჩამოვა მალე.

უპასუხა ჯამურხანმა,

კესამხანმა გამოემშვიდობა და წავიდა.

დუდარუხი საყვედურით ცოლს მიუბრუნდა:

— შე უბედურო, რომ არ იცი საქმეს რა მოუხდება. ლაპარაკსაც თავი უნდა დაანებო! „მეც ასე ვამბობდი მარა ეს მახრჩობდაო“ — რომ ბრძანე. მე გადამაბრალე ყველაფერი და გაკეთდება შენი საქმე!

— ჩემზე ვარესი შენ სთქვი, შე გამოჩერჩეტებულო! „გოგოს როგორც უნდაო ისე ქნას. მე არაფერს არ დაუშლიო“. თუ არ დაუშლი, „ნახავ მალე, შენ სახლში რა ამბები იქნეს.

უპასუხა გაანჩლებულმა ჯამურხანმა.

— ვაი შენი ქკუის ბრალი, რავა მჩუტე კაკალივით გამოფიტული გაქვს მაგ თავი. ხომ გითხარი, რაც არ იცი, ნურც ლაპარაკობთქო. ის იმიტომ ვსთქვი, რომ ბატონმა მე არ დამაბრალოს გოგოს გაურჩება, თორემ მოსახლეობის პირს აღარ მომცემს. ის რამდენათაც სხვა რამეში კარგი კაცია, იმდენათ ამ საქმეში მხეცია. იმას რომ შეეძლოს, ერთი ლამაზი ქალისათვის ცას და მიწას, ორივეს დაანგრევს. ამიტომ სხვასთანაც ასე ვამბობ ყოველთვის და მით უმეტეს მაგ ეშმაკ ქალთან. ვიცი, ბატონს მიუტიტინებს ყველაფერს. ამას გარდა, შე უბედურო, ჩვენ რომ სირინოზის სხვასთან შეცთენაში გავერიოთ, რა პასუხს აძლევ „დოხტურის“ ტყის ანგელოზს? ხომ იცი მისი რისხვა ბატონის რისხვაზედაც უარესია და „ხელმწიფისაზედაც“ შენ ამის ქკუა და მოსაზრება არა გაქვს და არც იშლი საქმეში ჩარევას. ხომ იცი, უჭკუო ქალი თავს ირცხვენს ლაპარაკით.

— ეხ, შენ, შენს მეტი ყველა სულელი გგონია. მაგრამ გამოგიჩნდა შენი ქკუაც.

— რა გამომიჩნდა შე საწყალო! ეს რაც მომდის ჩემი უჭკუობის ბრალი კი არ არის, არამედ კაცის გულის სიხარბის. მეც მინდა ჩემი ოჯახისთვის კარგი და მშვენიერი და სხვასაც უნდა თავისთვის. მორჩა და გათავდა! ~~გაქვს რაღა გაუწბილო, ხომ ხედავ, ანგელოზებიც მეხარბებიან დიდება მათ სახელს. ეჭ!~~ რაც იქნება იქნეს, რა უყოთ, ყველაფერი ბედის საქმეა.

ეროვნული
ბიზნისთვისა

* * *

ზაფხულის ცხელი მზე ისე კრძალებით უშვებდა თვის სხივებს სვანეთის გაფურჩქნულ მიდამოთა ყოველ ნაწილში, ვით შეყვარებული მზე-ქაბუკი სამიჯნურო მოკრძალებულ სიტყვებს მშვენიერ სატროფოს გულში. ამ ბუნების ერთ მშვენიერ კალთას სირინოზიც დროებით შეჰკედლებია. რომ ძროხები აძოვოს. საზამთროდ ყველი მოაგროვოს და მერმეთ ისევ დაუბრუნდეს ოჯახურ ალიანჩალიანს.

სირინოზმა დილა-ადრიან ძროხები მოსწველა, საძოვარში გარეკა, მერმეთ კარავი დაგვა, ყველი ამოიყვანა, მიაკარ-მოაკარა ყველაფერი, პატარა კალათა ეოლას საკრეთათ აიღო და გასწია ტყიანში.

ეოლამ უხვი მასპინძლობა გაუწია ლამაზ სტუმარს.

— უჭ, ნეტავი დიდი კალათა წამომელო, სთქვა სირინოზმა. მაგრამ რათ მინდა! მე ესეც მეყოფა... ოხ, რა ბედნიერი ვიქნები, რომ ეს ლამაზი მარცვლები ჩემი ხელით ჩამადებინა მის ტუჩებში... ეჭ, არც კი ვახსოვარ ეტყობა, თორემ რათ არ შეასრულა მისი სიტყვა—მალე გნახავო... ჩემი ბედი მთაში უნდა გამოიქედოსო... სად არის მერე! ასეთი თავისუფალი დრო თავის დღეში არ მქონია... არა, უბედური ვარ, უბედური! მე ვინც მიყვარს, იმას მე არ უყვარვარ, და ვისაც მე უყვარვარ, ის მე არ მიყვარს.

ფიქრობდა სირინოზი. უეცრათ სტვენა მოესმა. ქალის იჩქითი შეკრთომა აღფრთოვანებათ შესცვალა შამბნარიდან ბადიგერის სწრაფათ სირინოზის წინ დახტომამ: თითქო ჯიხვს ტოლი დაჰკარგვია, ეს არის იპოვა და მის წინ ნავარდით დახტაო.

ქალმა სიხარულით შეჰკივლა:

— ეჭ, ჩემი სიცოცხლე შენ! ¹⁾

— სირინოზ! ხომ ხედავ ცის და მიწის მეტი არავინ გვხედავს და რომ მომკლა ერთი მაინც უნდა გაკოცო.

ქალმა თავი დახარა.

— შენ არ გინდა ჩემი კოცნა?

—...ძალიან.

იყო პასუხი.

(გაგრძელება იქნება)

¹⁾ სვანურად: მიშვი ლადელ სი. ხმარობენ გენაკვალეს მაგივრად.

ლექსი ტფილისზე



მე ვფიქრობ ლექსი არ გვქონია დღემდე ტფილისზე —
 ეგ შეიძლება იყოს კიდევ სხვა რამის ბრძანება —
 მაგრამ დღეს იგი გაშხვართული მტკვარის მკლავებზე
 წევს, იშმუშნება, როგორც ვნებით დამთვრალი ქალი.

მტკვარი კი მიდის, მიდუღუნებს ზვირთთა ტევებით,
 გულ-მხურვალეებით არე-მარეს თითქო იხუტებს —
 და იქ, სადაც მას კალაპოტი ბოჭავს კლდეებით
 აქაფებული ენერგიის ხალისით უტევს.

ვის შეუქია ნარიყალა ეხლაც, რომ ჭივის,
 აქეთ დიდუბე, ჩულურეთი, ნაძალადევი,
 მტკვარი რომ მორბის გაბედული კაი ბიჭივით
 ფრთა შეკეცილი ტალღების მტვრევით?!

ვგონებ არავის, აბა ვნახოთ რა რიგ კარგია
 აქ რომ ანთია ცეცხლი უხვი აელვარებით, —
 და ქალაქს თვეზე, რომ აღგია ჯილა რკინისა
 ხან სიჩუმის და ხან მღელვარების.

აი, თუნდ დილა, დაჰკრავს საყვირი
 და ზღვა ხალხისა აიშლება ტალღების მტვრევით,
 აქ ჯერ სჩანს მხოლოდ გამურული სახე და პირი
 მოღლილ-მოქანცულ სხეულის თრევით;
 და შემდეგ, როცა მზე ამოწვერავს
 მშფოთვარ ქალაქზე გულ-მხურვალე სხივების მცვენი,
 მაშინ მე ვხედავ სხვა სახეებს დამშვენებულებს
 „ოდეკალონის“ საამო წვენით.

აგერ, რომ კინტო მღერის ლოთურად:
 ღვინო დამისხით ჯეელებო, დამისხით ღვინო,
 ცეკვავს მასხრულად და ფეხებზე ჰკიდია ყველა,
 თავისი თავიც, ოხრობს და ლხინობს, —
 მეორე მხრით მას, ფოლადის კაცი
 დაჯერებული და შემქნელი დღევანდელ დღისა
 უცქერს პირქუშად ცხოვრების ამ საბრალო ნარჩენს
 და მუშტს უღერებს ინდუსტრიისა.

აი, დიდუბე, სად თამარმა რომ იქორწილა
 და სად დაუკლავთ სამასამდე ნიკორა ხარი,
 ქვევით კი მცხეთა ივერიელთ ძველი სატახტო
 დგას დინამიტით გადანათხარი.
 მტკვარი კი აქაც ისე ღრიალებს
 თითქო ეს არის დასაკლავად მიჰყავთ ყასაბებს
 და შიგ ქვითკირით დაჯავშნული საძირეები
 ახალ კაცს აძლევს თავის გასაღებს.
 და ეს კაცი დღეს, როცა შრომის ოფლს
 პლერის მომავლისთვის მღვრიე ღვარებით,
 ჩემი გრძნობები ზედ დასტრიალებს
 და რაც ღონე მაქვს, მეც ვეხმარები.
 ვინც უნდა იყოს, სულ ერთი არის
 ამ ჩემ პატარა მშრომელი მხარის,
 როცა გაივლის ამ ადგილს მგზავრად
 იყოს თუნდ იგი აღესილი ჯავრით —
 ამ გულ დაქრილი ხმებით მქუხარე,
 თუნდაც კაეშნის ცეცხლით მწუხარე,
 როგორ იქნება, არ აღფრთოვანდეს,
 გულსაც, რომ სისხლის ღვართქაფი ჰბანდეს,
 ერთხელ ხომ მაინც უნდა სთქვა რამე,
 თავისი გულის წადილისამებრ?!
 როგორ იქნება არ გაუხარდეს,
 წამს დაჰყრის მღვრიე წარსულზე დარდებს,
 გულს გაამხნევებს, სულს დაიმშვიდებს,
 ერთხელაც ნატვრით გაჰხედავს მინდვრებს
 და ნამდვილ მტკიცე მშობელის მზგავსად —
 იგი მომავალს მიუშვერს მკლავსაც.



აგერ ხარფუხიც მოზიდულა შეილდის ტარივით
 მას მედიდურად გადმოჰყურებს ძველი ისანი;
 ქარი კი ტირის ბრმა აშულის საზანდარივით
 თითქოს თვალეზზე ცრემლი სცვივა ოქრო ისანი.
 აქ, ჩაიხნებიც, სადაც ჩაით იბერებიან,
 სხედან და სვამენ, თითქო ჭიქა სავსეა ღვინით,
 დახლში კი ცოდვად მობუზული ზის მეჩაიხნე
 წვერ შეღებული ბასმით და ინით.
 რამ დაგაღონა მეჩაიხნევე, მითხარ გაბედვით,
 რომელი ცოლი გღალატობს და ბილწავს სარეცელს,
 თუ სულ სხვა არის შენი სევდა გულისაკლავი
 და დამწვარ გულის სასალმუნო ფიქრებს დაეძებ.

დრო აღარ მოგწონს, ფეხმორთხმული ზიხარ ცბიერად
და გულის ჯავრით არის აღზად რომ სწევ ყალიონს,
მოსწიე ბლომად, იქნებ არგოს გულის იარას,
მოდო და ერთი ამ დღისათვის ჩაიცი დაველიოთ.



აგერ მთა წმინდა სდგას მდუმარებით,
რომლის კალთებში განისვენებს ჩვენი ილია ^{ეროვნული} _{საქართველო}
აქ ცა-ლავეარდი, სულ ყოველდღე მოწმენდილია
უანგარესი სიხარულის აელვარებით.

ილიას გვერდით კი აკაკი წევს გარინდებით
რალაც აწუხებს, უნდა ეხლაც კიდევ სთქვას რამე,
და გრიბოდოვს, ამ რუსეთის გიჟმაჟ გენიას
„ვაი ჭკუისგან“ არ ასვენებს დღეცა და ღამეც.

აგერ, მეტეხიც კლდის თავზე რომ ჩასაფრებულა
და გადმოჰყურებს ვით უაჩალი ფრიალო მტკვარზე,
უწინ ბესიკი იჯდა აქ და შეყვარებული
მღეროდა ლექსებს ორთაქლის ზურნების ხმაზე.
აქეთ კი ისევ საიათნოვა, ჩვენი ბოჭემა
ეგ საქართველოს მძლე აშული დაულალავი,
მღეროდა გულით, სწერდა გულით, ტანჯვაც გულითვე
იცოდა როგორც პოეტებში დღემდე არავინ.

აი, ტფილისი და ქალაქი პირ-მოციმციმე
აზიაც არის აქ და ევროპაც.
ზოგან სიფხიზლე, მაგრამ მაინც გვეჩარბობს სიმძიმით
აღმოსავლური დაუდევრობა.
აგერ, რომ ზურნა ჭიჭყინობს ბალში,
და ზედ დამღერის ვილაც ჯეელი,
მეორე მხრით მას, თითქოს აჯავრებს
მწუხარე კვნესით ვიოლონჩელი.
აგერ, რომ უვლის ჩოფურა ბუქნას
ძმა აფსონებში ნაპურღვინევი—
თავის არიფებს ძმად ეფიცება
ღრეჭით, კოცნით და დედის გინებით—
მეორე მხრით კი მშრომელთა კრება
რომლის შეძახილს კლდე დაუცია
გუგუნებს მტკიცედ და შორს გაისმის,
ძახილი: ვაშა რევოლიუციას.



ოქტომბრის ვეფხვი და ქარიშხალა

მაქსიმ გორკის.....

მიმარხევს ძლევეთ ჰაერო-გემი...
ამივსე გული, სურვილო-კენტი!
ამ წუთს ერთია განზრახვა ჩემი,
რომ ვინახულო შორი სარენტი.

იქ მე მყავს მკვიდრი! ამ გატაცებით
იგი ყველაზე მეტად იწოდა,
იწევდა ფრთების აზარმაცებით
და სივრცის ზოგვა მან არ იცოდა.

იქ მე მყავს მკვიდრი! ეს გზას მიმოკლებს,
რომ ფიქრსაც ჩემთვის ზედ ვერ გაესწრო,
ბზისა და დაფნის მივარხევ ფოთლებს,
რომ მოვრთო ვეფხვი, სიტყვის მაესტრო!

დაფნა ზომიერ ქვეყნის გულია,
ბზა—ცხელ ქვეყნების ალი და გზნება,
ვეფხვიც დღეს პალმებ-შემორგულია,
ვით საუკუნის უდრეკი ნება!

იმან მოსთელა მთელი ქვეყანა,
მოლადრა კლანჭით ურიცხვი გული,
მას კლანჭიც სხვა აქვს; თქვენ იგი, განა,
სისხლში გეგონათ ამოვლებული?!

შავი მელანი სდიოდა კალამს,
ის თეთრ ქალაღდებს წითლად ჰლადრაავდა...
ამაყად ედგა თვით ჩაგრულთ ალამს.
და ამომავალ ცისკრით ჰბადრაავდა!..

მხოლოდ შავს გულებს ხედებოდა ბასრად
ყოველი სიტყვა, მისგან ნასროლი,
არ იყო მათთვის სიმშვიდე არსად,
გარბოდენ მისგან შიშით და ძრწოლით...

და ძრწოდა ვეფხვიც კუთხიდან-კუთხე,
და ძრწოდა მისგან ქვეყანა ძველი,
კბილი და კლანჭი უჩანდა წუთხე
და ორი თვალი—ცეცხლივით მწველი!..



ქართული
ლიტერატურის
სამეცნიერო ცენტრი

მას თან მისდევდა ჯანყი და შფოთი,
მან მოსვენება თვით არ იცოდა:
მოჰქუხდა იგი, ვით ქარაშოტი,
და ქარიშხალას ცეცხლით იწოდა!..

სთხზავდა სიმღერებს ქარიშხალაზე,
ძლიერს და გამკვეთს, ვით ქარიშხალა,
აყრდნობდა იმედს იმ დიდ ძალაზე,
დღეს რომ მოსდრიკა სხვა ყველა ძალა!..

მოჰყეა ბსკერიდან ზღვის ამბოხებას,
აჰზიდა ის თვით ცის სიდიდეში,
ნახა მტრის მოსვრა და მწველს ოცნებას
აწ თვით იმშვიდებს ზღვის წყნარ კიდეში!..

მეც იქით მწევს დღეს ჰაერო-გემი...
ან აქ ფიქრს ჩემთვის როგორ გაესწრო?
იქ სურვილია და მკვიდრი ჩემი,
მოხუცი ვეფხვი, სიტყვის მანქანა.

აქვს გადაშლილი წინ ზღვის სტიქია,
როგორც ოქტომბრის უშრეტო ძალა!..
მეც, ოქტომბრის შვილს, ნისთვის მიქია
ამ ძალის ვეფხვი და ქარიშხალა!..



არტამონოვის სახე

(გაგრძელება*)

...ყველიერი იყო. ერდანსკაიამ ალექსი ქალაქიდან ურმით ჩამოიყვანა, და-
გლეჯილი, ნაცემი, გონდაკარგული. ერდანსკაია და ნიკიტა დიდხანს უზელდენ
მას ტანს არაყში გაქნილი ხარდალის ნათხეკით. ალექსი ხმას არ იღებდა,
შხოლოდ ჰკვნესოდა. არტამონოვი ნადიროვით დაქანაობდა ოთახში, წამდაუწუმ
სახელოებს იკაპიწებდა და ისევ ჩამოიშლიდა, კბილებს აკრაჭუნებდა. როცა
ალექსი გონს მოვიდა, დამუშტული ხელით მივარდა და უყვირა:

— ვინ იყო? სთქვი!

ალექსიმ საცოდავად გაახილა ავი დასივებული თვალები, სულშეხუთუ-
ლად გამოაფურთხა პირიდან სისხლი და ხრიალიანი ყვირილითვე სიტყვა შეუ-
ბრუნა:

— გამათავე ბარემ... მომკალი.

შეშინებულმა ნატალიამ ტირილი მორთო. მამამთილი უფრო გაჯავრდა.
ნატალიას ფეხები დაუბრაგუნა:

— კრინტიმეთქი! გადი აქედან!

ალექსი ისე იკიდებდა თავზე ხელებს, თითქოს მისი მოგლეჯა სურსო კენე-
სოდა ოხრავდა.

მერე ხელების გაშლით გვერდზე წამოწვა. ახრიალებული გასისხლიანებუ-
ლი პირი დაალო და ამ სახით გარინდდა. მაგიდაზე ლოგინთან სანთელი ბეუ-
ტავდა. ალექსის დასახიჩრებულ ტანზე ლანდებს მიმოისვროდა. მისგან ალექსი
უფრო გასივებული და გაშავეებული სჩანდა. ფეხებთან ძმები უდგენ სულგანაბუ-
ლად. მამა კუთხიდან კუთხამდე დადიოდა და ვილასაც ეკითხებოდა:

— ნუ თუ?.. არ გადარჩება, ვითომ?

მაგრამ რვა დღის შემდეგ ალექსი ადგა. ხოლო სისხლს მაინც ახველებდა.
დაიწყო აბანოში ხშირი სიარული და პილპილიანი არაყის სმა. თვალებში ნა-
ღვლიანი კუშტი სინათლე ჩაუდგა. ამან თვალები უფრო გაულამაზა. ის არ ამ-
ხელდა, თუ ვინ სცემა, მაგრამ ერდანსკაიას გაეგო, რომ ალექსი სტეფანე ბარ-
კის, ორ მეხანძრეს და ვოროპონოვის მორდველ შეეზოვეს ეცემნათ. როცა არ-
ტამონოვმა ჰკითხა, რამდენად მართალი იყო ეს ცნობა, მან უპასუხა:

*) იხ. „მნათობი“ № 4.

— არ ვიცი.

— სტყუი...

— არ დამინახავს. უკნიდან მოპარვით, თავზე, კაფტანი იყო მგონი, რომ გადამფარეს...

— შენ რაღაცას მალავ, — მიუხვდა არტამონოვი. ალექსიმ მას აგზნებული თვალები სახეში შეანათა და უპასუხა:

— მოვრჩები... არაფერიია...

— ჭამას მოუმატე! — ურჩია არტამონოვმა და მერე თითქოს თავისთვის წვერში ჩაილაპარაკა.

— ასეთი საქციელისათვის — ერთი კარგი მუგუზი უნდა შეუთხო მათ სახლს, რომ თათები მოსწვას...

ახლა უფრო მეტი ყურადღებით ეპყრობოდა ალექსის და თუმცა ხეპრულად, მაგრამ მაინც ეფერებოდა. განზრახ ბევრს მუშაობდა, რომ ყველას შეემჩნია და დაენახა. მიზანს არ მალავდა: უნდოდა შვილები მუშაობას შეჩვეოდნენ, და შრომის სიყვარულით აღფრთოვანებულიყვნენ.

— ყველაფერი აკეთეთ, ნუ დაიზარებთ, ნუ შეგრცხვებათ... არიგებდა შვილებს და თვითონ აძლევდა მაგალითს. ისეთ რასმე მუშაობდა, რაც მისთვის აუცილებელი არ იყო. ყველგან საკვირველ გამკრიახობას იჩენდა და მხეცივით თვალმახვილი იყო, ეს საშუალებას აძლევდა ზუსტად გამოერკვია, თუ საქმეს რა ხერხით მორეოდა, რა რიგ ძნელიც არ ყოფილიყო იგი.

რძლის ორსულობა არაბუნებრივად დიდხანს გაგრძელდა. ხოლო როდესაც ნატალიას, ორი დღის წვალების შემდეგ, მესამე დღეს ქალი შეეძინა, ნაწყენმა არტამონოვმა სთქვა:

— ჰე, ეს რა...

— ღმერთს მადლობა შესწირე — მკაცრად ურჩია მას ულიანამ — დღეს წმ. ელენეს დღეობაა...

— მართლა?

ჟამნი აიღო, შიგ ჩახედა და ბავშვივით გაიხარა:

— გამიძელ შენს ქალთან...

ღალის საყურეები და ხუთი ჩერვონეცი რძალს მკერდზე დაუწყო,

— მიიღე საჩუქარი... თუმცა ბიჭი არ შეგძენია, მაგრამ მაინც — ჩინებულია...

მერე პეტრეს მიმართა:

— გიხარია ხომ, ლოქოვ შენა?... როცა შენ დაიბადე, მეც ძალიან გახარებული ვიყავი.

პეტრე დამფრთხალი თვალებით უყურებდა ცოლის სისხლისაგან დაცლილ განაწამებ სახეს, რომელიც ახლა უცნობი ეჩვენებოდა. ქალის დაქანცული თვალები სადღაც შავ ხრამში ჩაცვივნილიყვნენ და იქიდან ადამიანებს და საგნებს ისე უცქეროდნენ, თითქოს დიდხნის დავიწყებულს რაღაცას იგონებდნო. ენა გამოეყო და დაკბენილ ტუჩებს ნელა ილოკავდა.

— რატომ არის ასე გაჩუმებული? — ჰკითხა პეტრემ დედამთილს.

— იმიტომ რომ ბევრი იკივლა...—განუმარტა ულიანამ და ოთახიდან გამოავლო.

ორი დღე-ღამე—დღითაც, ღამითაც—პეტრეს სულ ცოლის კივილი და წივილი ესმოდა. პირველად ეცოდებოდა, და ეშინოდა, არ გადაჰყვებოდა, მერე კი ისე გააყრუა ამ კივილმა და სახლში დატრიალებულმა ფორიაქმა ისე გააბრუა, რომ როგორც შეცოდების, ისე შიშის გრძნობაც დაჰჩაღწნებდა. იმას და ცდილობდა, — რომ სახლიდან სადმე შორს წასულიყო, სადაც ცოლის კივილი ვერ მიაღწევდა. მაგრამ თავი ვერსად ვერ შეეფარებინა წივილი შიგ თავში, ტვინში უღიტინებდა და არაჩვეულებრივ აზრებს უღძრავდა ყველგან სადაც კი წაეიდოდა, უთუოდ ნიკიტას გადაეყრებოდა, რომელსაც ხელში ნაჯახი ან რკინის ბარი ეჭირა. კუხიანი რალასაც სჭრიდა, სთლიდა, ან ბარავდა, თხუნელასავით უხმოდ აქეთ-იქით დარბოდა, თითქოს წრეს ავლებს და ამიტომ არის, რომ პეტრეს ყველგან ხვდებაო.

— შეიძლება ვერ დაბადოს, — უთხრა პეტრემ ძმას. კუხიანმა ბარი ქვიშაში ჩაასო დი ჰკითხა:

— ბებია ქალი რას ამბობს?

— იმედს გვაძლევს, გვპირდება... რატომ კანკალებ აგრე?

— კბილები შტკივა.

საღამოს, ცოლის მორჩენის დღეს, პეტრე ნიკიტასა და ტიხონთან ერთად აივანზე იჯდა და მათ ჩაფიქრებული სახით მოუთხრობდა:

— დედამთილმა ხელში მომცა ბალღი... სიხარულით არც კი მიგრძვნია რაიმე სინძიმე და კინალამ ჭერში ავისროლე. ძნელი გასაგებია: ასეთი პაწაწინა რამეა და ამდენ ტანჯვას კი იწვევს...

ტიხონ ვიალოვმა ლოყის ამობურთული ძვალი მოიფხანა და ჩვეულებრივი სიმშვიდით წარმოსთქვა:

— ადამიანის ტანჯვა ყოველთვის პაწაწინა რამისაგან წარმოდგება...

— ეს როგორ? — მკაცრად ჰკითხა ნიკიტამ. მეფხოვემ ჩაამთქნარა და გულვრილად უპასუხა:

— ასე ხდება, რალაცნაირად...

ვახშმის დრო იყო და აივანზე მსხდომნიც სახლში შეიწვიეს.

ბაეში ძალიან დიდი დაიბადა. მძიმე, მაგრამ ხუთი თვის შემდეგ ლუმელის ცეცხლის ბულმა დაახრჩო, დედაც კინალამ დაიხრჩო.

— რა ვუყოთ მერე, — ანუგეშებდა მამა პეტრეს სასაფლაოზე — კიდევ დაბადებს. მაშ, ახლა ჩვენ ჩვენი სასაფლაოც აქვე გვექნება: ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ღრმად არის ჩვენი ლუხა გადაგდებული. ყველაფერი რიგზეა: მიწა, რომელზედაც ვცხოვრობთ, ზევითაც ჩვენია და ქვევითაც... ეს ის არის რაც კაცს ერთ ადგილს მიაკრავს, ერთ ადგილზე განამტკიცებს ხოლმე.

პეტრემ თავი გაიქნია და ცოლისკენ გაიხედა. ნატალია წელში უხერხულად მოღუნულიყო და მის ფეხებქვეშ პაწია ბორცვად ამოწეულ საფლავს დასცქეროდა, რომლის ზედაპირზე ნიკიტა ჩაფიქრებული სახით ბარს ატლამუნებდა. დედა აკანკალებული თათებით ლაწვზე ისე სწრაფად იბერტყავდა ცრემლს,

თითქოს იმისი შიში აქვსო, დასივებულ წითელ ცხვირს ხელი რომ მივაკარო, დამწვავსო.

— ღმერთო, ღმერთო.

ალექსი სასაფლაოზე ამართულ ჯვრებ შორის დაწვრილებდა/და წარწერებს კითხულობდა. ის გამხდარიყო და თავის წლოვანებასთან შედარებით უფრო ხნიერი გამოიციქობოდა. არაგლებური სახე მუქი მწვერულის მსგავსად შემოსოდა და დამწვარის, გაქვარტლულის შთაბეჭდილებას სტოვებდა. თავხედი თვალები შავ წარბებ ქვეით ღრმად ჩასაფრებოდნენ და ყველას მტრული გამომეტყველებით უცქეროდნენ. ჩაყრუებული ხმით ლაპარაკობდა, ამპარტავნულად და განზრახ გაუგებრად. როცა შეეკითხებოდნენ, რა სთქვიო, წამოწივლებით უპასუხებდა:

— არ გესმის?

და შეიგინებოდა. ძმებს რაღაც ცუდათ ეპყრობოდა, დაცინვით. ნატალიას უყვიროდა, როგორც მოსამსახურეს. როცა ნიკიტამ უსაყვედურა:

— ტყუილა-უბრალოდ შეურაცკყოფ ნატალიას, — მან უპასუხა:

— მე ავადმყოფი კაცი ვარ.

— ნიტალია კეთილი და ჩუმიია.

— ნაშ, კვლავ მოითმინოს.

თავისი ავადმყოფობის შესახებ ალექსი ხშირად ლაპარაკობდა და თითქმის ყოველთვის ამაცობდა, თითქოს ავადმყოფობა მას ისეთ ღირსებას რასმე მატებდა, რითაც იგი სხვა ადამიანებისაგან განირჩეოდა.

სასაფლაოდან რომ წამოვიდნენ, ბიძას გვერდით მოყოლობდა. გზა-და-გზა უთხრა:

— ჩვენ ჩვენი სასაფლაო უნდა მოვაწყოთ, თორემ ამათთან დამარხვის კვდარსაც შერცხვება.

არტამონოვმა ჩაიციინა.

— მოვაწყობთ. ყველაფერი გვექნება: ეკლესია, სასაფლაო, სკოლა, საავადმყოფო...ოღონდ დაიცადე, მოთმინება იქონიე.

ვატარაკშას ხიდზე რომ გადმოდიოდნენ, ნახეს: ხიდზე იდგა ვიღაც მათხოვრის მსგავსი კაცი, რომელსაც მოაჯირზე ხელი ჩაეელო. დაწეწილი წითელი ხალათი ეცვა. ლოთობას გადაყოლილი მოხელის სანახაობა ჰქონდა. მოდუნებულ სახეს ჭადარა, განაპარსი ჯაგარი უმოსაედა; ბალნიანი ტუჩების აცმაცურების დროს პირიდან ჩაშავებული კბილების ნატებები მოუჩანდა. მისი სველი თვალები მღვრიე სინათლეს გამოსცემდნენ. არტამონოვმა მისგან პირი მიიბრუნა და გადააფურთხა. მაგრამ როცა შენიშნა, რომ ალექსიმ ამ საძაგელ არსებას თავი დაუქნია, შეეკითხა:

— ვინ არის?

— მესაათე ორლოვი.

— ეტყობა რაღა, რომ ორლოვია.

— ჭკვიანია — დაბეჯითებით სთქვა ალექსიმ, — მაგრამ აითვალისწინეს და ასე გააფუჭეს.

არტამონოვმა ირიბად გადახედა ძმისწულს და გაჩუმდა.

დადგა ცხელი, გვალვიანი ზაფხული. ოკას გაღმა ტყეს ცეცხლი ეკიდებოდა. დღით დედამიწას მსუსხავი კომლის ღრუბელი ჩამოაწვებოდა; ღამით მელოტი მთვარე რაღაც უსიამოვნოდ წითლდებოდა; ვარსკვლავების შუქი სადღაც წყვდიადში იკარგებოდა და თვითონ ვარსკვლავები ისე სჩანდნენ, როგორც სპილენძის ლურსმნის ქუდები. მღვრიე ცის ანარეკლი მდინარეს ისე აჩენდა, თითქოს იგი მიწიდან მომდინარე სქელი, და ცივი კომლიდან წოდებული ღრუბელი იყო.

დასიცხული არტამონოვები ნავახშმევს ჩაის ბაღში სვამდნენ, რგოლად დარგული ნაკერჩხალების ძირში. ხეები კარგად ხარობდნენ, გაშლილიყვნენ, მაგრამ მათი მოქარგული ფოთლების გაშლილი ქოლგა ამ ღამის წყვდიადში საგრილებელ ჩრდილს ვერ იძლეოდა. კრიჭინები კრიჭინებდნენ. ცალრქა, რკინის ბოჭოები ბზუოდნენ და შიშინებდა სამოვარი. ნატალიას კოფთის ღილები შეეხსნა მკერდზე და ჩუმად ასხამდა ჩაის. მისი გულმკერდის კანი მოთბოფერის იყო, როგორც კარაქი. კუზიანი თავდახრილი იჯდა და ჩიტის გალიასთვის წკნელებს ამზადებდა. პეტრე ყურის ბიბილოს ისრესდა და ნელი ხმით ამბობდა:

— ცუდია, როცა ხალხს აჯავრებ... მამა კი არ იშლის...

ალექსი მშრალად და ხშირად ახველებდა. კისერი წაეგრძელებინა და ასე ქალაქისკენ იცქირებოდა, თითქოს იქიდან რაღაცას მოეღისო.

ანაზღად ქალაქიდან ზარის ხმა მოისმა.

— ზარს რევენ? ხანძარია? — იკითხა მან, ხელის გული მუხლზე მიიდვა და წამოხტა.

— რას მიეღები?.. საათია.

ალექსი ადგა და წავიდა. ნიკიტამ კი მცირე ხნის სიჩუმის შემდეგ სთქვა:

— სულ ხანძარი ელანდება...

— ავი შეიქნა, — ფრთხილად შენიშნა ნატალიამაც. — წინად კი რა მხიარული იყო...

ჩამგონებელ კილოზე, როგორც ეს უფროსს შეშვენის ხოლმე, პეტრემ ცოლსაც და ძმასაც უსაყვედურა:

— თქვენ მას რაღაც სულელურად უცქერით. ალექსის თქვენი საცოდაობა აწუხებს. წამოდი, დაწოლის დროა, ნატალია.

წავიდნენ. კუზიანმა მათ თვალი გააყოლა, მერე თვითონაც წამოდგა და ფანჩატურისაკენ გაემართა, სადაც თივაზე ეძინა ჩვეულებრივად. შიგ არ შესულა, კართან დაჯდა. ფანჩატური გორაკზე იდგა. გორაკს ღობე ჰქონდა შემოყოლე ბული. აქედან ქალაქის სახლების გროვა მოსჩანდა. სამრეკლო და სახანძრო ბურჯი შენობებს ყარაულობდნენ. მოსამსახურე სუფრაზე თეფშებს ალაგებდა. ღობის გასწვრივ ფეიქრებმა გაიარეს. ერთს ბადე მიჰქონდა, მეორე რკინის ჩაფს მიაჩხარუნებდა, მესამე კაფს საკვესს ურტყამდა და აბედის ანთებას ცდილობდა, რომ ყალიონი გაებოლებინა. ძალღი აყეფდა. სიჩუმეში ტიხონ ვიალოვის წყნარი ხმაც გაისმა:

— ვინ მოდის?

სიჩუმე ისე გადაჰკროდა ღამეს, როგორც დოღს ტყავი: ფეიქრების ფეხებ ქვეშ ქვიშის გაღრატუნებაც კი გარკვევით ისმოდა. ნიკიტას ძალიან უყვარდა ასეთი ჩუმი ღამე. რამდენადაც ჩუმი იყო ღამე, მისი ოცნება იმდენად უფრო თავს დასტრიალებდა ნატალიას, და მისი საყვარელი, ყოველთვის ოდნავ შეშინებული თუ გაკვირვებული თვალები ნიკიტას გულს უფრო და უფრო წვდებოდნენ. და ასეთ წუთებში ნიკიტას ძალიან ეადვილებოდა სხვადასხვა ხელსაყრელი და ბედნიერი გარემოების წარმოდგენა: აი, მან შემთხვევით დიდი განძი იპოვნა და ეს ნაპოვნი სიმდიდრე პეტრეს მიართვა, პეტრემ სამაგიეროდ მას ნატალია აჩუქა. კიდევ წარმოიდგენდა: ყაჩაღები დაესხნენ თავს, მან კი, ნიკიტამ, ისეთი საკვირველი გმირობა გამოიჩინა, რომ მამამ და ძმამ მას ჯილდოს სახით ნატალია მისცეს. კიდევ: თითქოს საშინელი სენი გავრცელდა და ოჯახში ყველა ამოწყდა, ცოცხლები დარჩენ მხოლოდ ის და ნატალია, — აი, როდის შესძლებს იგი დაამტკიცოს, რომ ნატალიას ბედნიერება მის სულში არის დაფარული.

შუალამე გადასული იყო, როცა ნიკიტამ შენიშნა, რომ უძრავი ღრუბლებით გაწოლილი ბალებიდან სვეტად ანდგარი ბურღო რამ ნელი რხევით ჰაერს შეეკიდა და ჭალაქის სახლების თავზე გადავლებით ლურჯად განაცრისფერებული ცის მღვრიე თალისკენ აემართა. ერთი წუთი და სვეტი ძირიდან წითლად აპრიალდა. ნიკიტა მიხვდა, რომ ეს ხანძარი იყო და სახლისკენ გაიქცა. ნიახლოვებისთანავე დაინახა, რომ ალექსის ბელელზე კიბე მიედგა და სახურავზე აღიოდა.

— ხანძარია! — დაუყვირა მას ნიკიტამ. ალექსი არ შეჩერებულა ისე უბასუსხა:

— ვიცი. მერე რა გინდა?

— შენ მოელოდი კიდევაც, — მოაგონა კუზიანმა და გაკვირვებული შესდგა ეზოში.

— მოველოდი. მერე? ასეთ გვალვაში ხშირად გაჩნდება ხოლმე ცეცხლი.

— ფეიქრები უნდა გავალვიძოთ.

მაგრამ ფეიქრები უკვე ტიხონს გაეღვიძებინა. ისინიც მზიარული ყვირლით მდინარისკენ გარბოდნენ.

— ამოდი ჩემთან, — მისცა წინადადება სახურავზე გადამჯდარმა ალექსიმ ნიკიტას. კუზიანი დაემორჩილა.

— ნატა მას არ შეეშინდეს...

— არ გეშინია, რომ პეტრემ ზურგზე მეორე კუზიც ამოგიბეგვოს?

— ეს რისთვისაო? — ჩუმად ჰკითხა ნიკიტამ და იმავე წამს პასუხიც მიიღო:

— მის ცოლს თვალს ნუ უშტერებ...

კუზიანს ენა ჩაუვარდა. დიდხანს ხმა ვერ ამოიღო. ისე მოეჩვენა, თითქოს სახურავიდან ძირს ვარდება და ეს არის მიწაზე დაენარცხებაო.

— ნეტავი, თუ გესმის, რასაც ამბობ?.. რად არ დაფიქრდები... — წაიბუტბუტა მან.

— კარგია ერთი! განა არ ვხედავ... ნუ გეშინია, — უთხრა ალექსიმ მზიარულად. ასე მზიარული იგი დიდხანს არ ყოფილა. ხელის გული თვალებზე

ჩამოეთარებინა და იქითკენ იმზირებოდა, სადაც ცეცხლის დიდრონი ენები ღამის სიჩუმეში ქანაობდნენ და ყრუ ხმაურობას იწვევდნენ. ის გაცხარებით უამბობდა ნიკიტას:

— ბარსკები იწვიან... ეზოში ოცამდე კუპრით სავსე კასრები ეწყობო... მენობლებზე ცეცხლი ვერ გადავა.

— უნდა გავიქცე აქედან, — ფიქრობდა ნიკიტა და ცეცხლის ენების დაპობილ ღამის წყვილიადში იცქირებოდა. შეწითლებულ პაერში რკინის ხეები შეპართულიყვნენ, ძირს კი მიწაზე ფაცაფუცით მიდი-მოდიოდნენ სათამაშოებივით პატარა ადამიანები. ნიკიტა იმასაც კი ხედავდა, რომ ადამიანებს გრძელი წვრილი საჭეები ეჭირათ და ცეცხლში სჩრიდნენ.

— რა კარგად იწვის, — ამბობდა ალექსი.

— მონასტერში წავალ, — ფიქრობდა ნიკიტა.

ეზოში პეტრე გამოსულიყო და გამოუძინარი ჯავრობდა. მას ბანს აძლედა ტიხონ ვიალოვის ზარმაცი ხმა. ფანჯარასთან კი, როგორც სურათი ჩარჩოში, ნატალია იდგა და პირჯვარს იწერდა.

ნიკიტა მანამდე დარჩა სახურავზე, სანამ ხანძრის ადგილას ლუმელების შავი სვეტებივით ამართული მილები გარშემო ოქროსფერი ნაკვერჩხალი აბრჭყვიალდებოდა. მერე ის ძირს დაეშვა. ალაყათის კართან მამას შეხვდა. იგი სველი იყო და ქვარტლით გასვრილი, დაგლეჯილი პოდდიოვკა ეცვა.

— საით? — ჰკითხა არაჩვეულებრივად განრისხებულმა არტამონოვმა ნიკიტას და უკან ეზოში შემოაგდო. როცა ალექსის თეთრი ფიგურა სახურავზე დაინახა, მეტი განრისხებით შეუტია:

— მანდ რას აკეთებ? ძირს ჩამოდი... ჯანმრთელობაზე ზრუნვა გმართებს, შე სულელო შენ.

ნიკიტამ ბალის სიღრმეს მიაშურა და იქ სკამზე ჩამოჯდა მამის ოთახის ფანჯრის ქვემოდ. მან მალე მოჰკრა ყური, როგორ შევიდა მამამისი ოთახში, კარი მაგრად მიხურა და ალექსის ყრუდ შეეკითხა:

— თავი დაილუპე? მე კი შემარცხვინე? ა? მოგკლავ!

ალექსიმ აწივლებით უპასუხა:

— თვითონ არ ჩამაგონე?

— ხმა მეთქი!.. მაღლობა შესწირე ღმერთს, რომ ის არამზადა მუნჯია... ენა არა აქვს.

ნიკიტა იდგა და ჩუმად, მაგრამ გამალებით გაეშურა ბალის მეორე კუთხისკენ, სადაც ფანჯატური იყო.

დილის ჩაიზე მამა ამბობდა:

— ცეცხლის წამკიდებელი ის ლოთი მესაათე აღმოჩნდა... სცემეს ძალიან... აღბად არ გადაჩება. ბარსკის მიზეზით გაკოტრებულა, როგორც ამბობენ... მის ვაჟზე, სტეპკოზედაც, გამწყრალი ყოფილა... ბნელი საქმეა.

ალექსი ამ დროს რძეს სვამდა თავისთვის, ხოლო ნიკიტას ხელები ისე აკანკალებოდა, რომ არ იცოდა სად დაემალა: მუხლებზეა ჩაეჩარა და ბარძაყები მაგრად მოეჭირებინა. მამამ შენიშნა ეს და ჰკითხა:

— შენ მანდ რას იბღუნებ?

— ვერ ვარ კარგად.

— თქვენ ყველანი ვერ ხართ კარგად... მე კი, აი, ძალიან კარგად ვარ... სთქვა და ქიქა განზე გადადგა. აღვა და წავიდა.

არტამონოვის საქმის გარშემო უფრო და უფრო მეტი ხალხი იყრიდა თავს. ფაბრიკიდან ორი ვერსის მანძილზე თავფუჩით მარტო მუშაკებზე, არა ხშირს ნაძენარ შორის, პატარა დაბალი ქოხები აეშენებინათ, უფრო, რომლებიც შორიდან სკას ჰგავდნენ. მარტოხელა, უცოლშვილო მუშებისათვის, ამომშრალი ლელის კალაპოტის გაყოლებაზე, პატარა ხევზე, რომლის სახელი აღარაღის არ ახსოვდა, არტამონოვს გრძელი შენობა აეგო, ერთი მხრით დაქანებული სახურავით, რომელზედაც სამი მილი იყო ამართული; შენობას პატარა სარკმლები ჰქონდა დატანებული სითბოსათვის, რომლების წყალობით იგი თავლას წააგავდა. მუშები ამ შენობას „ულაყების სასახლეს“ უწოდებდნენ.

ილია არტამონოვი უკანასკნელ დროს ძალიან ბევრს ტრამბახობდა და ყვიროდა. მაგრამ მდიდრის ზვიადობა მაინც არ დასჩემებია. მუშებთან თავი უბრალოდ ეჭირა. მათ ქორწილს არ განმოტოვებდა, ბავშვებს უნათლავედა და უქმე დღეს მოხუცებულ ფეიქრებთან საუბრის გამართვა უყვარდა, ამათ ასწავლეს, გლეხებს ურჩიე სელის დასათესად ახო და ნაყანევი ადგილები ამოიჩიონ, — რაც მეტად, ხელსაყრელი აღმოჩნდა. ძველ ფეიქრებს მოსწონდათ, რომ არტამონოვი გლეხი იყო და უბრალო, რომელსაც ბედი სწყალობდა. ახალგაზრდებს ეუბნებოდნენ:

— თვალი გაახილეთ კარგად: აი, საქმე როგორ უნდა დაატრილოთ!

ილია არტამონოვი კი თავის შვილებს ასწავლიდა:

— ეს გლეხები, მუშები — ქალაქელებზე უფრო ჭკვიანებია. ქალაქელს ტანი დასწეულელებული აქვს, ჭკუა კი — ათასრიგად განაწეწი. იგი ხარბია, მაგრამ სითამამეს მოკლებული. სამქეს რომ აკეთებს, უსაფუძვლო რამე გამოუდის, წვრილმანი. ქალაქელმა კაცმა არაფრის ზომა არ იცის, გლეხმა კი იცის, როგორ უნდა ჩასკიდოს ხელი სიმართლეს და მის საზღვრებს არ გასცილდეს, ის არ მიედებმოედება. ჭეშმარიტებაც უბრალო სწამს. ღმერთი, მაგალითად, პური, მეფეთითონაც თავიდან ბოლომდის უბრალოა. თქვენც უფრო ამ გლეხებთან დაიკირეთ საქმე. შენ, პეტრე, მუშებს ძალიან მშრალად ესაუბრები ხოლმე, ეს კი არ ვარგა. საქიროა უბრალო რამეზედაც ესაუბრო ხანდახან, გაეხუმრო. მხიარულადანიანს უფრო მიუხვდებიან.

— ხუმრობა არ მეხერხება, — სთქვა პეტრემ და, ჩვეულებრივად ცალი ყური შეიზილა.

— უნდა ისწავლო, ხუმრობა — ერთი წამის საქმეა, ხოლო მისმა შედეგმა შეიძლება დიდხანს გასტანოს. ალექსიმაც არ იცის ხალხთან თავის დაქერა, ჰყვირის. მიზეზიანობს.

— ხალხი გაიძვერა და ზარმაცია, — ამპარტავენულად ჩაურთო ალექსიმ.

არტამონოვმა შეუყვირა:

— ვითომ ძალიან იცნობ ხალხს, შენმა მზემ! — მაგრამ თქმისთანავე წვერში ჩაიღიმა და რომ გაღიშება არ შეემჩნიათ, ზედ ხელი მიიფარა. გაახსენდა,

თუ რა ჰკვიანურად ეკამათებოდა ალექსი მოქალაქეებს სასაფლაოს შესახებ: დრემოველები წინააღმდეგი იყვნენ, რომ არტამონოვის მუშები მათ სასაფლაოზე დაემარხათ. არტამონოვიც იძულებული შეიქმნა პომიალოვისაგან თხმელის ტყის ერთი მოდიდო ნაჭერი ეყიდნა და იქ მოეწყო სასაფლაო.

ნიკიტა ამჩნევდა, რომ ტიხონ ვიალოვი ძალიან მარად და მარჯვედ მუშაობდა სასაფლაო ადგილის გასასუფთავებლად. იგი მეტ გონიერებას აჩვენებდა მუშაობაში, ვინემ ორაზროვან და ყოველთვის მოულოდნელ სიტყვებს ამტკიცებდა. როგორც ილია არტამონოვს, ისე ამასაც ხერხით გაჰქონდა და ძალის დახარჯვას კი უფროთხილდებოდა. მაგრამ მათ შორის განსხვავებაც იყო: ნიკიტას მამა ყოველ სამუშაოს დიდის მონდომებით ჰკიდებდა ხელს, ხოლო ვიალოვი ვითომ მისდაუნებურად მუშაობდა, თითქოს მოწყალეობას იღებდა. ისეთი კაცის სახე ჰქონდა, რომელიც დარწმუნებულია, რომ იგი უკეთეს საქმისათვის არის მოწოდებული. ამნაირადვე სჩეოდა ხოლმე ლაპარაკიც: მოკლე მოწყალეობით მრავალმნიშვნელობით, თითქოს დაუდევრად, ისეთი გამომეტყველებით, თითქოს მსმენელს უნდა ჩააგონოსო:

— ამას გარდა კიდევ სხვაც ბევრი ვიცი... შემძლია კიდევ ბევრის თქმა...

და მის სიტყვებში ნიკიტას ყოველთვის რაღაც სხვა, გადაკრული აზრი ელანდებოდა, ეს გარემოება მასში სინანულს იწვევდა ტიხონისადმი, დროთა შიშსაც და—დიდ ცნობისმოყვარეობასაც.

— ბევრი რამ იცი,—უთხრა მან ვიალოვს. ვიალოვმა აუჩქარებლად მიუგო:

— ამისთვის ვცხოვრობ. მე რომ ვიცი—ეს კიდევ უბედურება არ არის: მე ჩემთვის ვიცი, რაც ვიცი. ჩემი ცოდნა იმ განძს ჰგავს, რომელიც ძუნწს სკივრში აქვს დაცული. ვერაფერ ვერ გაიგებს, დარწმუნებული იყავი.

არავის არ უნახავს, რომ ტიხონი ვისმე შეკითხვებოდა—რას ფიქრობ, რა აზრისა ხარო. ის მხოლოდ აბეზარად შეაცივებდა ადამიანს ჩიტისებურ მბრუტავ თვლებს და შემდეგ, თითქოს აზრები გამოსწუწნაო, მოულოდნელად იმაზე ჩამოუგდებდა სიტყვას, რაც მას არ უნდა სცოდნოდა. ხანდახან ნიკიტას სურვილი აღედრებოდა, ნეტავი, ტიხონი ენას მოიკვნეტდეს ან მოიჭრიდეს ისე, როგორც მან თითი მოიჭრაო, თითიც ხომ ახირებულად მოიჭრა. მარჯვენაზე კი არა, მარცხენა ხელზე და ისიც უსახელო თითი.

როგორც მამა, ისე პეტრე და სხვებიც ფიქრობდნენ, რომ ვიალოვი სულელი იყო. მაგრამ ნიკიტას ვიალოვი სულელად არ მიაჩნდა მისი ცნობისმოყვარეობა ტიხონისადმი თანდათან იზრდებოდა. შიშსაც კი გრძნობდა ამ უცნაურ გლეხის წინაშე. შიშის გრძნობა განსაკუთრებით ერთი შემთხვევის შემდეგ გაუძლიერდა ნიკიტას: ერთხელ ის და ვიალოვი ტყიდან ბრუნდებოდნენ, გზადაგზა ვიალოვმა მოულოდნელად შემდეგი საუბარი ჩამოუგდო:

— შენ კი ხმები სულ, დნები... რატომ არ გაუმხელ, იქნება შეგიცოდოს კეთილი ქალი სჩანს.

კუზიანი შესდგა. შიშისაგან გულისცემა შეუჩერდა. ყეხები გაუხევედა. დაბნეულმა ძლივს წაილულულა:

— რა გაუმხილო? ვის?

ვიალოვმა ერთი შემოხედა და ესევე გზა განაგრძო. ნიკიტამ ხელი წაავლო ხელზე. ტიხონმა ცოტა არ იყოს ზიზღით მოიშორა მისი ხელი და ასე უთხრა:

— რატომ თვალთმაქცობ?

ნიკიტამ ტყეში ამოთხრილი არყის ხე მიწაზე დაავდო და მიმოიხედა. უნდოდა სილა გაეწნა ტიხონისათვის ხორკლიან ცხვირპირში. მთავრად ვიალოვმა თვალეზი დაიბატარა, შორს სივრცეში დაიწყო ცქერა და ჩვეულებრივი მშვიდი ხმით განაგრძო:

— თუ კეთილი არ არის, თავს მაინც კეთილად მოგაჩვენებს მაშინ. დედაკაცები ცნობისმოყვარენი არიან. ყოველ ქალს სურს უცხო მამაკაცის გასინჯვა, ის აინტერესებს— აბა რა სიტყბო აქვსო... მამაკაცს კი რა ბევრი უნდა: ერთი ორი და დაკმაყოფილდება, შენ კი დნები. სცადეს თხოვე, იქნება დაგყაბულდეს.

ნიკიტას ახლა ისე მოეჩვენა, თითქოს ტიხონს მეგობრული გულშემატკივრობა აღაპარაკებდა. ეს ახალი რამ აღმოჩენა იყო მისთვის, უცნობი, მოულოდნელი, რამაც მწარედ მოფხაჭხა ყელში ამავე. დროს გრძნობდა, რომ ტიხონის თვალეზი მას მთლად აშიშვლებდენ, ტანთ ხდიდენ.

სულელური აზრი დაგზადებია თავში, — უთხრა მან ვიალოვს.

ქალაქში რეკა გაისმა. წირვა იწყებოდა. ტიხონმა მხარზე გადადებული ხე შეაქან-შემოაქანა და გზას გაუდგა. რკინის ბარს მიწაზე მიაბაკუნებდა და თან წყნარად განაგრძობდა:

— შენ ჩემი ნუ გეშინია. მე შენ მეცოდები: სასიამოვნო კაცი ხარ, ცნობისმოყვარე. თქვენ, არტამონოვები, ყველანი საშინლად ცნობისმოყვარენი ხართ. ხასიათი კუზიანს არ მიგიგავს, თუმცა კუზიანი კი ხარ.

ნიკიტას შიში მწუხარებამ დაადნო, მისგან თვალეზში დაუბნელდა. ფეხი მთვრალსავით ეშლებოდა, ბორძიკობდა, უნდოდა იქვე მოლზე წამოწოლილიყო და დაესვენებინა, ჩუმად შეეხვეწა ტიხონს:

— ნურავის ეტყვი ამას,

— მე ხომ ვითხარი: თითქოს სკივრში ჩაკეტილია მეთქი.

— დაივიწყე, მასთან არ წამოგცდეს.

— მე მას არ ველაპარაკები რა მაქვს მასთან სალაპარაკო.

სახლამდის ხმა არ გაუციათ ერთმანეთისთვის. კუზიანს ლურჯი თვალეზი გაუდიდდა, — უფრო მგვრალი და მწუხარე გაუხდა. სადღაც ადამიანების მიღმა იცქირებოდა. ვერავის ვერ უსწორებდა თვალეზს ჩუმი შეიქნა და შეუმჩნეველი.

ნატალიამ ცვლილება შენიშნა:

— რად დადისარ ასე მოწყენილი? — ჰკითხა მან. ნიკიტამ უპასუხა:

— ძალიან ბევრი საქმე მაქვს, — და მყისვე განშორდა. ქალს ეს ეწყინა, ამ ბოლო დროს იგი ამჩნევდა, რომ მაზლი ძველებურად აღარ ეფერებოდა,

მოსაწყენი ცხოვრება ჰქონდა ნატალიას. ოთხი წლის განმავლობაში ორი ქალი შეეძინა და ახლაც ფეხმძიმედ იყო.

— რა ამბავია: ამდენ ქალებს რა ვუყოთ? ბუზლუნათ უთხრა მამამთილმა, როცა ნატალიას მეორედაც ქალი შეეძინა, საჩუქარი არ მისცა. მამამ მერე პეტრესაც შესჩივლა:

— მე ვაქვები მინდა და არა სიძეები... სხვებისათვის, უცხოთათვის კი არ გაძიმართავს ეს ჩემი საქმე.

მამამთილის სიტყვები ნატალიას ისე ხვდებოდა გულზე, რომ თანამდინაშავედ გრინობდა. მან იცოდა, რომ ქმარაც უკმაყოფილო იყო. ლამ-ლამობით როცა მასთან იწვა, თანჯრით ვარსკვლავებს შესცქეროდა, მუცელზე ხელს ისევამდა და ჩუმად ლოცულობდა:

— ღმერთო, ერთი ბიჭი მაჩუქე...

ხანდახან კი გულზე ჯავრი მოსდიოდა და უნდოდა ეყვირა როგორც ქმრისათვის, ისე მამამთილისათვისაც:

— განზრახ თქვენს ჯიბრზე, აი, სულ ქალებს ვიყოლებ...

უნდა ისეთი რამ კარგი ჩაედინა მოულოდნელად რომ ყველა მოფერებოდა, ან ისეთი ბოროტი რამ, რომ ყველას მისი შეშინებოდა. მაგრამ ნამდვილად ვერც კარგი და ვერც ცუდი ვერ ჩაედინა.

განთიადზე დგებოდა, ჩაირბენდა ძირს სამზარეულოში და მზარეულ ქალთან ერთად ჩაისთვის საუზმეს დაამზადებდა. მერე ისევ აირბენდა მალა სართულში და ბავშვს ძუძუს აწოვებდა. შემდეგ ჩაის დაუმზადებდა ქმარს, მამამთილს, მაზლებს და ისევ ბავშვებს მიხედავდა. მერე კერავდა, ნასადილევს ბავშვები ბაღში მიჰყავდა და იქ სალამომდოს რჩებოდა. ბაღში ქალები ბავშვება სილამაზეს უქებდენ. ნატალია მათ უღიმოდა, მაგრამ მათი ქება კი არ სჭრიდა, შვილები ულამაზონი ეჩვენებოდა.

ხანდახან ხეებს შორის ნიკიტას ლანდი გამოჩნდებოდა. ეს იყო ერთად ერთი კაცი, რომელიც მას ოდესღაც ეფერებოდა. მაგრამ ახლა როგორც კი მიიპატივებდა და სთხოვდა მასთან მცირე ხნით მაინც დამჯდარიყო, მაზლი თავს შორს დაიჭერდა და დამნაშავესავეით უპასუხებდა:

— მაპატიე, მაგრამ დრო არა მაქვს.

ქალს ძალაუნებურად ექვი აღედრა და კუზიანის წინანდელი კარგი მოპყრობა ახლა ყალბად მოეჩვენა. ფიქრობდა, რომ კუზიანი ძმა ქმარმა ყარაულად დაუყენა, რათა თვალი ედევნებია ალექსისა და მის დამოკიდებულებისათვის. ნატალიას ალექსის ეშინოდა, რადგანაც მოსწონდა იგი: ლამაზ მაზლს რომ მოესურვებია, ქალი წინააღმდეგი ვერ გაუხდებოდა, დანებდებოდა. მაგრამ ვაჟს ასეთი სურვილი არ ებადებოდა. იგი არცკი ამჩნევდა ნატალიას. ქალს ეს შეურაცხებად მიაჩნდა და თავხედ ალექსისადმი მტრულ გრძნობას უღძრავდა.

ხუთ საათზე ჩაის სევამდენ, რვაზე ვახშობდენ. შემდეგ ნატალია ბავშვებს დაბანდა. აქმევდა და დააწვენდა. მუხლმოყრილი დიდხანს ლოცულობდა ხატის წინ და მერე ქმარს გვერდით მოუწვევებოდა იმ იმედით, რომ ვაჟი ეყოლებოდა. თუ ქმარს მისი სურვილი ექნებოდა, ლოგინში ბუზლუნს დაიწყებდა:

— გეყოფა, მალე დაწექი.

ნატალია აჩქარებით მორჩებოდა ლოცვას, პირჯვარს გადაისახავდა და ქმართან დაწვებოდა მორჩილი სახით. ხანდახან, თუმცა ძალიან იშვიათად, პეტრე გაეხუმრებოდა:

— ძალიან ბევრს ლოცულობ ხოლმე. ყველაფერი შენთვის რომ გამოსთხოვო ღმერთს, სხვებს რაღა დარჩება...

როცა ღამე ბავშვის ტირილი გამოაღვიძებდა, ადგებოდა, აჭმევდა და დააძინებდა. მერე ფანჯარასთან დადგებოდა და დიდხანს გადაყურებდა ბაღს ან ცას შესცქეროდა. ფიქრობდა თავის თავზე, დედაზე მამამთილზე, ქმარზე — ყველაფერზე, რასაც კი განვლილი მძიმე დღე შეამთხვევდა. ეუცხოვებოდა, რომ არ ესმოდა ჩვეულებრივი მუშა ქალების მხიარული თუ ნაღვლიანი სიმღერა, ფაბრიკის ხმაურობა ათასნაირი, გუგუნო, სკასებური ბზუილი... მთელი დღე შეუწყვეტლად ისმოდა ეს ხმაურობა როგორც გარედ ისე სახლშიც, ოთახებში, — ხეების ფოთლებზე შრიალებდა, ფანჯრის მინებზე უკაკუნებდა. მუშაობის შრიალ-ხრიალი სმენას იტაცებდა და ფიქრს არ ანებებდა.

ამ ღამის მყუდროებაში კი, როცა ყოველ სულდგმულს ძილში სული გაენაბა, აგონდებოდა ნიკიტას ნაამბობი მოთხრობები თათრების მაგრ ტყვედ წაყვანილ ქალებზე, განდევნილ წმიდანებისა და წამებულების ცხოვრებაზე, აგონდებოდა აგრეთვე ზღაპრებიც, მაგრამ უმეტესად კი ის ახსოვდა, რაც ცხოვრებაში ადამიანს შეურაცყოფდა და სჩაგრავდა.

მამამთილი მას ისე უცქეროდა, როგორც ცალიერ რასმე ადგილს. ეს უკეთეს შემთხვევაში, ხშირად როცა დერეფანში ან ოთახში პირისპირ შეხვდებოდა, ისე შეავლებდა თვალებს, რომ ურცხვად სინჯავდა გულმკერდიდან დაყოლებული მუხლებამდე.

ქმარი კი მშრალი, ცივი კაცი იყო. ხანდახან ნატალია გრძნობდა, რომ ქმარი ისეთი თვალთ უცქეროდა მას, თითქოს მის ზურგს უკან დაფარულს ამჩნევსო, რის დანახვასაც ნატალია ვითომ უშლიდა. ხშირად დაწოლის წინ ტანზე გაიხდიდა, მაგრამ არ დაწვებოდა. ჩამოჯდებოდა ლოგინზე, ერთი ხელით ბუმბულზე დაეყრდნობოდა, მეორე ხელით ან ყურს ისრესდა, ან ლოყას იზელდა. თითქოს კბილი სტკივაო. უშნო პირისახე ხან საცოდავად ეკუმშებოდა, ხან კი ბრაზისაგან უცახცახებდა. ასეთ დროს ნატალია ვერ ბედავდა მასთან დაწოლას. ლაპარაკობდა ძალიან ცოტას, მხოლოდ შინაურ საქმეებს შეეხებოდა, და იშვიათად მოიგონებდა ყმების ან ბატონების ცხოვრების ამბებს, რაც ნატალიასათვის გაუგებარი იყო. ზამთარში, შობაზე და ყველიერზე ნატალიას ქალაქში გასასეირნებლად წაიყყვანდა, მარბილში უშველებელ შავ ულავს შეაბმეინებდა. ცხენს ყვითელი ფერის სპილენძის თვალები ჰქონდა, რომლებზედაც სისხლიანი ძარღვები გადაჰქროდა, ბრაზმორეული აქნევდა თავს და ფრუტუნობდა. ნატალიას ეშინოდა ამ მხეცის. ტიხონ ვილოვმა უფრო შეაშინა, როცა ერთხელ უთხრა:

— აზნაურის ცხენია. სჯავრობს, რომ ახლა სხვა პატრონობს.

ნატალიასთან ხშირად დადიოდა დედამისი. იგი შენატროდა დედის თავისუფალ ცხოვრებას, მის მუდამ სადღესასწაულოდ განწყობილ თვალთა ელვარე-

ბას. ეს შური უფრო ძლიერდებოდა მასში, როცა ხედავდა, რომ მამამთილს დედამისთან თავი ყმაწვილივით ეჭირა, კმაყოფილების ნიშნად წვერზე ისობდა ხელს და თავის ხასას შესტრფიალებდა. ულიანა კი დედა ფარშავანჯივით დადიოდა, თეძოებს აქნევდა და ურცხვად სცდილობდა თავისი სილამაზე გამოეაშკარაებინა. ქალაქს გაგებულნი ჰქონდა მისი დამოკიდებულება მამამთილსადმი — დაჰკმეს მისი საქციელი და მისგან თავი შორს დაიჭირეს. ბევრმა — ყურყურა და თავის ქალებს, ნატალიას მეგობრებს, სიარული ნატალიასთან, როგორც უზნეო დედის შვილთან, უცხო უსწავლელ გლეხის ხასას ქალთან და ამპარტავენობით გაბერილ უხეშ ქმრის ცოლთან. ქალწულობის დროინდელა მცირე სიამოვნებაც კი ახლა უდიდეს ბედნიერებად ეჩვენებოდა ნატალიას.

დიდად საწყენი იყო მისთვის ის გარემოება, რომ დედამისი, რომელიც წინად პირდაპირობით იყო ცნობილი ახლა ხალხს ატყუებდა და ყალბობდა, როგორც ეტყობოდა, დედამისს პეტრესი ეშინოდა, და რომ პეტრეს ეს შიში მისთვის არ შეემჩნია, ელაქუცებოდა და საქმიანობას უჭებდა. ალბად, ალექსის დამცინავი თვალების შიშიც ჰქონდა, ამიტომ იყო, რომ მოფერებით ეხუმრებოდა მას, რალაცეებზე ეჩურჩულებოდა და ხშირად ასაჩუქრებდა კიდევაც. მის დღეობაზე ფაიფურის საათი მიუძღვნა, რომელზედაც ცხვრები და ყვავილებით დამშვენებული ქალი იყო ამონაკვთული. ეს ლამაზი, ხელოვნურად გაკეთებული ნივთი ყველას მოეწონა.

— ეს საათი ვალში შემჩნა, სულ რაღაც სამ მანეთში. ძველებურია, არ მუშაობს, — განაცხადა ნატალიას დედამ. — როდესაც ალიოშა ცოლს შეირთავს, ოთახის მოსართველად გამოადგება.

— მეც გამომადგებოდა ოთახის მოსართველად — გაიფიქრა ნატალიამ.

დედა დაწვრილებით გამოკითხავდა ხოლმე ცნობას საოჯახო საქმეების შესახებ და ჰკუპახედაც დაარიგებდა:

— თუ არა უქმე დღეს, ხელსახოცს სუფრაზე ნუ გამოიტან, წვერვულაში-საგან ძალიან ძალე ისვრება ხოლმე ხელსახოცი.

ნიკიტა წინად მოსწონდა, ახლა კი ტუჩების შემუწვით შეხედავდა ხოლმე, ელაპარაკებოდა როგორც ნოქარს, რომელიც რაღაც უპატიოსნებაში იყო დაექვებული, და თავის ქალს აფრთხილებდა:

— ფრთხილად იყავი, მაინცა და მაინც ნუ დაიახლოვებ, კუხიანები ძალიან ცბიერები არიან.

ნატალიას არა ერთხელ მოსურვებია დედისთვის შეეჩვილა, რომ მას ქმარი არ ენდობოდა და კუხიანი ჰყავდა თვალყურის მდევნელად მიყენებული, მაგრამ ყოველთვის რაღაც ხელს შეუშლიდა ხოლმე და განზრახვას ვერ ანხორციელებდა.

ყველაფერზე უარესი კი ის იყო, რომ დედასაც ის გარემოება აწუხებდა, რომ ნატალიას ვაჟი არ ჰყავდა. ურცხვად გამოკითხავდა ხოლმე, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა ქმართან ლამლამობით, ყველაფერს აშკარად ლაპარაკობდა. ასეთ შემთხვევაში ნამიან თვალეზზე ღიმილი უკრთოდა და ხმა კატას ხრუტუნს მიუგავდა. მისი ცნობისმოყვარეობა ძლიერ აღელვებდა ნატალიას. ამიტომ დი-

დად გაუხარდებოდა, როცა მამამთილი სიტყვას გააწყვეტინებდა და მიმართავდა:

- ცხენი შევაბათ, მზახალო?
- ფეხით გავივლი, მირჩევნია...
- მაშ, კარგი. მე გაგაცილებ.

ასეთ შემთხვევაში პეტრე ჩაფიქრდებოდა და შენიშნავდა:

— ჭკვიანი ადამიანია დედამთილი. მამა ხელში ჰყავს ჩაქერილი. როცა მასთან არის, ჩვენც უფრო ლმობიერად გვეპყრობა... ძალიან კარგს იზამს, რომ სახლს გაყიდიდეს და საცხოვრებლად ჩვენთან გადმოსახლდებოდეს.

— ეს საჭირო არ არის, — უნდა სთქვას ნატალიამ, მაგრამ ვერ ბედავს და უფრო მეტად სჯავრობს, რომ დედამისი ყველას უყვარს და მით ბედნიერია.

როცა ბაღში გამავალ ფანჯარასთან ზის, ან თვითონ ბაღში იმყოფება და საკერავს ჰკერავს, ხშირად ესმის ტიხონსა და ნიკიტას შორის გამართული საუბარის ნაწყვეტი. თითქოს ფაბრიკის ნელი ხმაურობიდან გამოჟონავსო, ისე გაისმის მეეზოვის მშვიდი სიტყვები:

— მოწყენილობა ხალხისაგან არის... შექუჩდებიან ერთ ადგილას და იწყება მოწყენა.

— ეს მართალია, — ფიქრობს ნატალია, მაგრამ ნიკიტას საამო ხმა წინააღმდეგს ამტკიცებს:

— მართალს ვერ ამბობ: ფერხული, თამაში, მაშ რა არის? მხიარულება უხალხოდ არ იქნება...

— ესეც რომ მართალია! — გაკვირვებით ქალი ეთანხმება ნიკიტასაც.

ნატალია ამჩნევს, რომ მის გარშემო ყველას ერთი რამე მაინც სწამს, ერთი რამე კარგად იცის; ამჩნევს, რომ უბრალო მტკიცე სიტყვები, ერთმანეთს მიჯრით შეწყობილები, ადამიანს მაგარი ჭეშმარიტების ერთ ნაკვეთს უსაკუთრებენ, და რომ ადამიანები სწორედ სიტყვით განირჩევიან ერთმანეთისაგან და თავს მით იმშვენებენ, რომ სიტყვებს თავიანთი საათის ოქროსა ან ვერცხლის ძეწკვსავით აჩხარუნებენ და ათამაშებენ. მაგრამ ნატალიას ასეთი სიტყვები არ მოეპოვება; არ იცის რით და როგორ შემოსოს თავისი ფიქრები, რომლებიც შემოდგომის ამღვრეული ნისლივით ეფანტებიან და თავს აბეზრებენ. მათგან გონება უჩლუნგდება ნატალიას. ის სწუხს, ნაღვლობს და ფიქრობს:

— სულელი ვარ. არაფერი არ ვიცი და არაფერი არ მესმის.

— დათვი იმიტომ არის დათვი, რომ თაფლის მიგნება იცის — მოისმის ეოლოს ბუჩქიდან ტიხონის ხმა.

— ასეა, — ფიქრობს ნატალია. დათვის ხსენებაზე შეაკანკალებს და მოაგონდება, თუ როგორ მოჰკლა ალექსიმ მისი საყვარელი დათვი. ეს დათვი ცამეტი თვე ეზოში დარდობდა თავისუფლად, მოშინაურებული იყო და ძალღვივით უყვარდა თამაში და მოფერება. სამზარეულოში რომ შევიდოდა, უკანა ფეხებზე შესდგებოდა და ხელი ჩიფჩიფითა და სასაცილო თვალების ახანხამებით მოითხოვდა, პური მაჭამეთო. ყველას უყვარდა. ნიკიტა ძალიან ბევრს ეფერებოდა

გრუზა, დაგუნდავებულ მატყლს უვარცხნიდა და მდინარეზედაც მიჰყავდა საბანაოდ. დათესაც ისე შეუყვარდა ნიკიტა, რომ როცა ის სადმე წავიდოდა, ნადირი დინგს მალლა ასწევდა, ჰაერს სუნვას დაუწყებდა ფრუტუნით დაჩბოდა ეზოში. რომ ვერ ნახავდა, კანტორაში შესვლას დააპირებდა, ნიკიტას ოთახში. რამდენჯერმე კიდევაც ფანჯრის მინა დაამსხვრია და ჩარჩო შეამტვრია, ნატალიამას ხორბლის პურს აკმევდა წვნიით. დათვი თვითონ შეეჩვია მტკრის წვენში ჩაღობას. სიხარულისაგან ბღავილს მორთავდა, ბალნიან ფეხებს აალასლასებდა და პურს კბილებით მოჭედოდა ვარდისფერ ხახაში იტენიდა. ტკბილ თათს ილოკავდა. მისი გულკეთილად გამომზიარალი თვალები ბედნიერებისაგან აენთებოდნ და ამ სახით ნატალიას მივარდებოდა, თავს მუხლებში ჩასჩრიდა და სათამაშოდ გაიწვევდა. ამ საყვარელ მხეცთან ლაპარაკიც შეიძლებოდა. ზოგი სიტყვა ესმოდა კიდევაც.

მაგრამ ერთხელ ალექსიმ იგი არაყით დაათრო. მთვრალმა დათვმა ბევრი იცეკვა, იგორავა. მერე აბანოს საბურავზე აძერა, ზედ მიღები დაშალა და ავური ძირს გადმოყარა. მუშები შექუჩდნ და ხარხარი მორთეს. ამ დღიდან, თითქმის ყოველ უქმეს, ალექსი ხალხის გასართობად ათრობდა დათეს.—მხეცი ისე მიეჩვია სმას, რომ ხშირად აედევნებოდა მუშებს, რომლებსაც ღვინის სუნი სდიოდათ. ალექსის კი მოსვენებას არ აძლევდა. როგორც კი დაინახავდა ეზოში, მყისვე მას ეცემოდა. ჯაჭვით დააბეს, ცალკე ბინა მიუჩინეს. მაგრამ სადგომი დალეწა. ჯირკვმოკიდებული ჯაჭვით კისერზე ისევ ეზოში დაიწყო ბაჯბაჯი. დაჭერა მოუნდომეს, მაგრამ ტიხონს ფეხი დაუკაწრა, ერთი ახალგაზრდა მუშა მოროზოვი წააქცია, ხოლო ნიკიტას ისე დაჭრა თათი თეძოზე, რომ ძალიან მაგრად ატკინა. მაშინ მას ალექსი მივარდა შუბით ხელში და გაქანებულმა, რაც ძალა ჰქონდა, შიგ მუცელში შეარჭო. ნატალიამ ფანჯრიდან კარგად დაინახა, როგორ ჩაიკეცა დათვი უკანა ფეხებში და წინა თათები ისეთი სახით გაასავსავა, თითქოს მის გარშემო გაშმაგებით აყვირებულ ხალხს პატიებას სთხოვსო. ვიღამაც ალექსის ხუროს პრიალა, გაღესილი ნაჯახი მისცა ხელში. მაშინ ნატალიას მაზლი მალლა შეხტომით შეჭქანდა და ნაჯახი დათეს ჯერ ერთ თათზე დაჭკრა, მერე მეორეზე. დათვმა ერთი წამოიგმინა და დაჭრილ თათებზე დაეშვა მარცხნივ და მარჯვნივ სისხლი სდიოდა და დატკეპნილ მიწაზე წითელ ღვარად იქცეოდა. საცოდავად აყუფლებულმა მხეცმა ახლა თავი შეუყუდა ახლად მოქნეულ ნაჯახს, ალექსიმ განზე გასდგა ფეხები და ნაჯახის პირი სოლივით შიგ კეფაში ჩაარჭო. დათეს თავი ძირს დაუქანდა და ცხვირი სისხლში ჩაჭკრა. ნაჯახი ისე ღრმად ჩაჭრილიყო ძვალში, რომ ალექსიმ ძლივს ამოაძრო იგი თავის ქალადან.

გულის დამადონებელი იყო ეს სურათი, მაგრამ უფრო მეტწილად ნატალიას გულს ის გარემოება უღონებდა, რომ უშიშარი, მარდი, მხიარული მაზლი ვიღაც გოგოს ეარშიყებოდა, ხოლო მას კი ყურადღებასაც არ აქცევდა.

ალექსი ყველამ შეაქო ვაყვაცობისა და სიმარჯვესათვის. მამამთილმა მას ხელი დაჭკრა ბეჭებზე და უთხრა:

— შენ კიდევ სჩივი: ავად ვარო?... ჰეე.

ნიკიტამ ვერ მოითმინა და ეზოდან გაიქცა. ნატალიას კი ისეთი ტირილი წასკდა, რომ გაკვირვებულმა ქმარმა ნაღვლიანად ჰკითხა:

— მაშინ რას იზამ, რომ შენს თვალწინ ადამიანი მოჰკლან?

და როგორც პატარას ისე შეუყვირა:

— გეყოფა! შესწყვიტე მეთქი, სულელო.

ნატალიას ისე მოეჩვენა, თითქოს პეტრეს მისი ცემა უნდოდა. ცრემლის შეკავებით მოიგონა ქმართან გატარებული პირველი ღამე, — მაშინ რა გულითადი, მორცხვი იყო პეტრე. მაგრამ ნატალიას ახლა ისიც მოაგონდა, რომ პეტრეს მისთვის ჯერ კიდევ არ ეცემნა, როგორც ამას სხვა ქმრები საერთოდ ჩადიოდნენ ხოლმე, და ტირილი შესწყვიტა:

— მაპატიე, მაგრამ ძალიან შემეცოდა.

— გეცოდებოდე მე და არა დათვი, — უპასუხა ქმარმა ხმის დაწვევით და ახლა უკვე მოფერების კილოზე.

როცა ნატალიამ პირველად შესჩივლა დედას ქმრის მკაცრი მოპყრობის ამბავი, ასეთი პასუხი მიიღო:

— მამაკაცი — ფუტკარია, ჩვენ, ქალები კი ყვაველი ვართ. მამაკაცები ჩვენგან თაფლს აგროვებენ. ეს უნდა გესმოდეს, გენაცვალე, მოთმინება უნდა ისწავლო. მამაკაცების ხელშია ყველაფერი. მათ მეტი გარჯა აქვთ და მზრუნველობა, ვინემ ჩვენ. აი, ხომ ხედავ, ისინი არიან, რომ საყდარსა და ფაბრიკებს აშენებენ... ხომ ნახე, შენმა მამამთილმა სრულიად ცალიერ ადგილზე რა ააშენა?

რაც დრო გადიოდა, ილია არტამონოვი მით უფრო ჩქარობდა, გაეფართოვებინა და განემტკიცებინა თავისი საქმე. თითქოს იმის წინათგოდნობა აქვსო, რომ დიდხნის სიცოცხლე არ ეწერა. მაისში, ნიკოლინის დღესასწაულის თადგომამდე, ფაბრიკის მეორე კორპუსისათვის ორთქლის ქვაბი ჩამოიტანეს. ნავეებით, რომლებიც ოკას ქვაშიან ნაპირს მოაყენეს იქ, სადაც მას ჭაობიანი წყლის მდინარე ვატარაკშია ერთოდა. მძიმე სამუშაო მოელოდა ყველას: ქვაბი უნდა გადმოეღოთ და ასორმოცდაათი საენის მანძილზე უნდა გადმოეტანათ ქვიშიანი გზით. ნიკოლინის დღეს არტამონოვმა მუშებს სადღესასწაულო სადილი გაუმართა არაყით და რახით. სუფრა ცის ქვეშ გააშლევინა. დედაკაცებმა იგი ნაძვისა და არყის ხის შტოებზე მოართეს, გაალამაზეს ადრიანი გაზაფხულის ყვავილების კონებით და თვითონაც ისე ჭრელად მოირთნენ, როგორც ყვავილები. ფაბრიკის პატრონი ოჯახობით და რამდენიმე სტუმრის თანხლებით სუფრაზე იჯდა ძველ ფეიქართა შორის და ხუმრობით ართობდა თავხედურ სიტყვების მოყვარულ მუშებს.

ბევრს სვამდა, დიდი ხელოვნებით აქეზებდა სტუმრებს სალალობოდ და ქალარა წვერის შლით აგზნებული ყვიროდა:

— ჰე ყმაწვილებო... ვინა სთქვა, ცხოვრება არ ვიცითო?

ყველას მოსწონდა იგი. საქციელს უქებდნენ. გრძობდა კიდევაც ამას და სიხარულისაგან ითვრებოდა, რომ ასეთი იყო. ის ბრწყინავდა და ელვარებდა, როგორც გაზაფხულის მზიანი დღე, როგორც დედამიწა, რომელიც ქორფი

სადილს შემდეგ დედაკაცებმა სუფრა მიალაგეს და სიმღერა დაიწყეს. გლეხებმა კი შეჯიბრი გამართეს, ვინ ვის დასძლევდა, — ჭიდაობდნ ჯოხზე ლონეს ისინჯავდნ. არტამონოვი ყველგან იყო, ყველაღერს ასწრებდა, ცეკვავდა, ჭიდაობდა. ნადიმი გათენებამდე გაგრძელდა. მზის ამოსვლისას კი სამოცდა თამდე შეზარხოშებული მუშა არტამონოვის მეთაურობით, სიმღერით, ფსტვენით და დიდი ამბით ოკასკენ გაეშურნენ, თითქოს თავდასხმაზე მიდიანო. მხრებზე მუხის ოწინარები გაედვათ, საგორავებლენი და თოკები. მათ უკან ბებრუხანა ფეიქარი ქვიშაზე მილასლასებდა და ნიკიტას ჩიფჩიფით ეუბნებოდა:

--- ის თავისას გაიტანს... უთუოდ! მე ეს ვიცი.

უთავო ხარის მსგავსი, წითელი ჩლუნგი ვეშაპი ნაპირზე მარჯვედ გადმოიტანეს. გარშემო თოკი შემოაკრეს. ქვეშ დასაგორავებლად ფიცრები დაუფინეს ქვიშაზე და ყვირილით, გმინვით ფაბრიკისკენ წამოასრიალეს. ქვაბი აქეთ-იქით ქანაობდა და ასე წინ მიცურავდა. ნიკიტას ეჩვენებოდა, რომ მას მგვრალი, სულელური ხახა გაკვირვებისაგან დაეღო, რომ ამდენი მხიარული ხალხი დასეოდა. მუშებს შეზარხოშებული ილია არტამონოვიც ეხმარებოდა, იჭინებოდა და ჰყვიროდა:

— ნელა, ჰე, მანდ, ნელა შეთქი.

და ამ სიტყვებით რკინის ვეშაპს ხელის გულს გვერდებზე მიუტლაშუნებდა:

— მაშ, ასე: იარე, ქვაბო. იარე...

ასორმოცდაათ საჯეხზე ნაკლები მანძილი დარჩათ ფაბრიკამდე, როცა ქვაბი უცებ ერთი მხრით გადაიხარა, და საგორებელიდან დაცურდა და ცალი პირით ქვიშაში ჩაებჯინა. ნიკიტამ თვალი მოჰკრა: ქვაბის მრგვალმა ხახამ მამამისს ფეხებში ნაცრისფერი მტვერი შეაფრქვია. ხალხი გარშემო შემოეხვია უზარმაზარ მძორს. მოიმარჯვეს საგორებლები, რომ ქვიშიდან ამოედვათ, მაგრამ უკვე ძალა გამოლოდდათ და ქვაბი ღრმად ჩაეშვა ქვიშაში. არტამონოვს ოწინარი დაეჭირა ხელში და მუშებ შორის დატრიალებულიყო:

— აბა, ერთბაშად ბიჭებო! ერთბაშად! — ჰო ჰო!

ქვაბი თითქოს ძალაუნებურად შეჰქანდა ერთი და ისევ მძიმედ დაეშვა, ნიკიტამ თვალი შეასწრო, რომ ერთსა და იმავე დროს მამამისი მუშების წრიდან მისთვის უჩვეულო, უცნობი ფეხისდგმით გამოვიდა. სახეც უცნაური ჰქონდა. ერთი ხელი წვერის ქვეშ ყელზე მიებჯინა, ხოლო მეორე ჰაერში გაესავსაფებინა, როგორც ეს ბრძებს სჩვევიათ ხოლმე. ბებერი ფეიქარი მას ხტუნვით ადევნებოდა უკანიდან და უყვიროდა:

— მიწა ჩაჰყლაპე, მიწა...

ნიკიტამ მიიღბინა მამასთან. არტამონოვმა ერთი წამოასლოკინა, ნიკიტას ფეხთან სისხლის ნახველი დააფურთხა და ყრულ წარმოსთქვა:

— სისხლი!

სახე გაფითრებოდა. შეშინებული თვალეები უხამხამებდნ, საღრძილე უკანკალებდა და დიდი ქკვიანი ტანი შიშისაგან შეკუმშოდა.

— შევცდი. განგებაა. ბიჭებო, ნება ჩემი ასეთია: ულიანა დედის მაგიერი იქნება, გესმით? შენ კი, ულია მიეშველე მათ ქრისტეს გულისათვის. ჰეპ... გაიყვანეთ ოთახიდან უცხო ხალხი.

— რას ამბობ, გაჩუმდი მეთქი, — წუწუნებს ბაიმაკოვა და პირში ყინულის ნატებს სჩრის. — აქ უცხო არავინ არის!

არტამონოვი ყინულს გადაყლაპავს და გაუბედავად უხუტუნდება.

— ჩემს ცოდვას თქვენ მსჯავრს ვერ დადებთ, ეს ქალი კი დამნაშავე არ არის. ნატალია, სასტიკად გეპყრობოდნი, მკაცრი ვიყავი, მაგრამ არაფერია. არ დაგავიწყდეს: ვაჟები... პეტრუხა, ოლეშა, თანხმობით იცხოვრეთ. ხალხს მოეფერეთ. ხალხი, იცოდეთ, კარგია. რჩეული. შენ, ოლეშა, შეირთე ის... შენი... არაფერია.

— მამა, ნუ გვტოვებ, — ეხვეწება პეტრე და მის წინ მუხლებზე ეშვება. მაგრამ აღეჭსი ზურგს უკან ხელს ჰკრავს მას და ჩურჩულით ეუბნება:

— ნუ თუ შენ გგონია?... მე არ მჯერა...

ნატალია სამზარეულო დანით თითბერის ტაშტზე ყინულს ამტვრევს. ბროლის ნამსხვრევების თითბერზე გატკაცუნების ხმას ნატალიას სლოკინი ერთვის. ნიკიტა ხედავს, რომ ნატალიას ცრემლები ყინულზე სცვივა. ოთახში შემოსული მზის მოყვითალო სხივთა კონა სარკის ზედაპირზე ასხლექტილა და ცახცახით კედელს შეფრქვევია, — თითქოს იქ, ღამის ცის ლაგვარდის ფერ შპალერზე, გამოხატული გრძელულვაშიანი წითელი ჩინელების წაშლა სწადიაო.

ნიკიტა მამის ფეხებთან დგას და მოელის, როდის მოიგონებს მას მამა. ბაიმაკოვა კი ხან სავარცხლით გრუზა თმას უავარცხნის ილიას, ხან კი ტუჩების კუთხით შეუწყვეტლად გადმომდინარე სისხლს ხელსახოცით უწმენდს, შუბლსა და საფეთქელზე ოფლს უხოცავს, ლოცვის კილოზე რაღასაც უჩურჩულებს და მღვრიე თვალეში შესცქერის. ილიას ცალი ხელი მისთვის მხარზე ჩამოუდვია, მეორე კი მუხლზე. დამძიმებული ენას ძლივს აბრუნებს პირში და უკანასკნელ სიტყვებს ამბობს:

— ვიცი. ქრისტე იყოს შენი მფარველი. დამასაფლავეთ იქ, ჩვენს სასაფლაოზე, ქალაქში — არა. არ მინდა...

და მღუღარედ, უალრესი მწუხარებით წარმოსთქვამს:

— ჰე, შევცდი, მე, უფალო... შევცდი.

შემოვიდა მაღალი, მოხრილი მღვდელი ქრისტესებური წვერით და მოწყენილი თვალებით:

— მომითმინე, მამაო, — უთხრა მას არტამონოვმა და ისევ შვილებს მიუბრუნდა:

— შვილებო, ნუ გაიყრებით, ერთად იცხოვრეთ. საქმე შურსა და მტრობას არ ითმენს. პეტრე, შენ უფროსი ხარ... ყველაფრისთვის პასუხი შენ მოგეთხოვება, გესმის?. ახლა წადით.

— ნიკიტაა, — გაახსენა ბაიმაკოვამ.

— ნიკიტა გიყვარდეთ. სად არის? წადით, მერე... და ნატალიაც...

ილია სისხლისაგან დაიცალა და მოკვდა ნაშუადღევს, როცა მზე ცაზე ჯერ კიდევ სავსეთ ანათებდა. იგი თავწამოწყებული იწვა. სანთლის სახე ნაღ-

ლიანად შეკუმშოდა. სანახევროდ ღია თვალები თითქოს დაფიქრებულად უცქე-
როდენ მის გულმკერდზე მორჩილებით დაწყობილ ფართე ხელებს.

ნიკიტას ეჩვენებოდა, რომ იქ მყოფთ მამის სიკვდილი იმდენად კი არ
აწუხებდა და აშინებდა, რამდენადაც აკვირვებდა. ეს ჩლუნგი გაკვირვება ყვე-
ლას ეტყობოდა. ბაიშაკოვას გარდა, რომელიც მიცვალებულის წინ ქმის ამოუ-
ლებლად იჯდა, გაყინულივით, ხელები მუხლებზე დაეწყო და მთელი მთუ-
ცილებლად შესცქეროდა თოვლის წვერით დამშვენებულს გაქვავებულ სახეს.

პეტრე გაჭიმული დადიოდა. როცა ოთახში შემოდის, სადაც მამამისი
განისვენებდა და სქელი მოლოზხანი ქალი ნიკიტასთან მორიგეობით დავითნის
ფსალმუნს გალობდა, ზედმეტსა და შეუფერებლად ხმამაღლა ლაპარაკობდა. იგი
ისეთი გამომეტყველებით ჩახედავდა მიცვალებულს სახეში, თითქოს რაღაცა
უნდა ჰკითხოყო, პიჯვარს გადაიწერდა, ორი-სამი წუთით დადგებოდა და მერე
ფრთხილად მოშორდებოდა. შემდეგ მისი ჯმუხი ფიგურა ხან ბაღში გამოჩდე-
ბოდა, ხან ეზოში. ისე დადიოდა, თითქოს რაღაცას ეძებსო..

ალექსი მოუსვენარი იყო, მიცვალებულის დაკრძალვის მოწყობაზე ზრუნავდა.
ცხენით გაიქრებოდა ქალაქში, ისევ მალე დაბრუნდებოდა, შეირბენდა ოთახში,
და ულიანას გამოჰკითხავდა, თუ რანაირად უნდა მოძნდარიყო წესის აგება, და-
საფლავება.

— მოითმინე, — ეტყოდა ულიანა. ალექსიც უმაღლესე გაჭკრებოდა ოთახი-
დან ოფლიანი, დაღლილი. დედასთან ნატალია მოდიოდა, მორცხვად შესთა-
ვაზებდა ჩაის ან საკმელს. ულიანა ყურადღებით მოუსმენდა და მერე უბასუ-
ხებდა:

— დამაცადე.

სანამ მამა ცოცხალი იყო, ნიკიტამ არ იცოდა, უყვარდა მას იგი თუ
არა. ნიკიტას მხოლოდ ეშინოდა მამის, თუმცა ეს შიში მას ხელს არ უშლიდა
სიყვარულით ედევნებინა თვალყური იმ ადამიანის აღფრთოვანებულ მუშაობი-
სათვის, რომელიც მას არასოდეს არ მოჰფერებია და რომელსაც არც კი შეუმ-
ჩნევია, რომ მისი კუზიანი შვილი ქვეყნად ცხოვრობდა. ახლა კი ნიკიტას ეჩვე-
ნებოდა, რომ მას უყვარდა მამა ღრმა სიყვარულით. ისეთი გრძნობა ჰქონდა,
თითქოს უმძიმეს მწუხარებას აევესო იგი ყელამდის და ამ ძლიერი ადამიანის
მოულოდნელ სიკვდილს მისთვის დაუზოგველად უაღრესი შეურაცხება მიეყენე-
ბინა. ამ მწუხარებისა და შეურაცხებისაგან სულიც კი ეხუთებოდა. კუთხეში
ჯანდუკზე იჯდა, თავისი რიგის მოლოდინში, როცა დავითნი უნდა წაეკითხნა.
მანამდე კი ჩუმად, თავისთვის იმეორებდა ფსალმუნების დახეპირებულ სიტყვებს
და აქეთ-იქით იცქირებოდა. ოთახში თბილი ბინდი იდგა, რომელშიაც თაფლის
სანთლების მოყვითალო ცოცხალი ყვავილები მკროთომარებდენ. კედლების გას-
წერივ, შპალერზე, გრძელულვაშებიანი ჩინელები ხარიხით ჩაის პატარა ყუთებს
ეზიდებოდენ. შპალერის თითოეულ ზოლში მოქცეულიყო თვრამეტი ჩინელი,
ორ-ორ წყებაში. ერთი წყება ჰერისკენ მიიმართებოდა, მეორე — ჰერისკენ
ჩამოდიოდა. კედელზე ფანჯრით შემომავალი მთვარის შუქის კონა ეფინებოდა.
მთვარის შუქში ჩინელები თითქოს უფრო მარდად ადიოდენ და ჩამოდიოდენ
კედელზე.

ანაზღად ფსალმუნის მონტონურ სიტყვებს მდაბალი ხმა შეერია:

— ნუ თუ, მართალია? მოკვდა? ღმერთო!

ეს ულიანა იყო. მისი ხმა იმდენად ძლიერ წუხილს გამოხატავდა, რომ მოლოზანმა ძალაუნებურად კითხვა შესწყვიტა და დამნაშავესავეთ უპასუხა:

— მოკვდა, დედი, მოკვდა ნებითა ღვთისათა.

ეს აუტანელი შეიქმნა, ნიკიტა წამოდგა და ოთახიდან წაუტოვებლად გავიდა. მოლოზანის სიტყვებისაგან მან თავი შეურაცყოფილად იგრძნო.

ალაყაფის კართან, სკამზე, ტიხონი იჯდა. მას მოდიდო ნაფოტი ეჭირა ხელში და თითებით წკირებს აცლიდა. წკირებს ქვიშაში არკობდა, მერე ზედ ფეხსაც მიარტყამდა და ღრმად ჩაასობდა, რომ არ გამოჩენილიყვენ. ნიკიტა ვილოვს გვერდით მოუჯდა და მის მუშაობას ხმის ამოუღებლად ცქერა დაუწყო. ნიკიტას ამ სანახაობამ ქალაქის მაჯლაჯუნას მსგავსი სულელი ანტონუშკა მოაგონა. ეს სულელი შავი იყო და მუდამ ძონძებში დადიოდა, მუხლამოგდებული. ბუსავით მრგვალი თვალები ჰქონდა. სწორედ ამ ანტონუშკამ იცოდა ქვიშაზე ჯოხით წრის გავლება, რომლის შიგნით ნაფოტებისა და ჩხირებისაგან რალაცნაირ უჯრედებს ერთმანეთზე შეაკოწიწებდა. მერე ფეხით ზედ შესდგებოდა, დაშლიდა, ქვიშასა და მტვერს მიაყრიდა, დატკეპნიდა და ჯუჯლუნა ხმით მღეროდა:

Христос воскрес, воскрес!

Кибитка потерял колесо.

Бутырма, бай, бай, бустарма,

Баю, баю, бай христос.

— ხედავ, რა ამბავია, ა?—ჰკითხა ნიკიტას ტიხონმა. ხელის გული მოიქნია და კისერზე ტკაცუნით დაირტყა: კოლო მოჰკლა. ხელი მუხლზე გაისვამოისვა. გაიწმინდა და თვალები მთვარეს მიაპყრო, რომელიც მდინარის პირდაპირ მალლა ტირიფის ტოტებში გაჩხირულიყო. მერე ვეება ქვაბს მიაჩერდა.

— წელს ძალიან ადრე გაჩრდა კოლო, — წყნარად განაგრძო ტიხონმა — დიად, მაგალითისთვის ავიღოთ, თუ გინდ კოლო: ცხოვრობს, ცხოვრობს და... კუზიანმა რალაც შიშით სიტყვა გააწყვეტინა და გაუსწორა:

— კოლო ხომ შენ მოჰკალი...

და სწრაფად მოშორდა მეგზოვეს. მაგრამ არ იცოდა სად წასულიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მამის ოთახში დაბრუნდა, მოლოზანის ადგილას დაჯდა და სამღვთო წიგნის კითხვას შეუდგა. ფსალმუნის სიტყვებს ისე წარმოსთქვამდა, თითქოს მწუხარება გულზე სწყდებო. არც კი გაუგია, როგორ შემოვიდა ნატალია ოთახში. მის ზურგს უკან მოულოდნელად ქალის ქვითინი გაისმა. ყოველთვის, როცა ნატალია ახლოს ეგულებოდა, ნიკიტა გრძნობდა, რომ თავის დატერა უძნელდებოდა და ადვილად შეეძლო არაჩვეულებრივი რამ — იქნებ საშინელიც — წამოსცდენოდა ან მოემოქმედნა. ახლაც კი იმისი შიში ჰქონდა, რომ ძალაუნებურად უადგილო რამ არ ეთქვა მისთვის. თავი დახარა, ტუჩები წინ წამოხნიქა და ხმა დაიმდაბლა. მაშინ მეცხრე კაფიზმის სიტყვებთან დაერთო ორი აქვითინებული ხმა:

— აი, ჩამოვხსენ გულზე რომ ჯვარს ატარებდა, და ამიერიდან მე ჩამოვიკიდებ.

— დედაე, ჩემო მშობელო, მეც ხომ მარტო ვარ...

ნიკიტამ კვლავ აუმაღლა ხმა, რომ ეს ცრემლიანი ჩურონული დაუტვარა, მაგრამ ყური მაინც დაცქვიტა და უსმენდა.

— არ აპატია უფალმა ცოდვა...

— სხვის ბუდეში ვარ მარტოხელა.

— „ვიდრემე ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრემე ვილტოდი“



ქართული
საბჭოთაო

გალობდა ნიკიტა სასოწარკვეთილებისა და შიშის დაღადის, ხოლო ერთსა და იმავე დროს მეხსიერება სამწუხარო თქმის სიტყვებს აგონებდა:

— თუ არ გიყვარს— უბედურებაა, თუ შეგიყვარდა— ორნაგი უბედურებაა, და შემკრთალი გრძნობდა, რომ ნატალიას წუხილი მას ბედნიერებას უახლოვებდა.

მეორე დილას ქალაქიდან ჩამოვიდნენ ბარსკი და ქალაქის თავი იაკობ ჟიტეიკინი, კაცი ცალიერი თვალებით, მეტსახელად „შეუწვავი“, მგვრალი და, მართლაც, თითქოს ცომისაგან გაკეთებული. მიცვალებულთან მივიდნენ, თაყვანი სცეს, გაშავებულ სახეში რაღაც უნდობლად, შეშინებულად ჩახედეს. ეტყობოდათ, რომ იმათაც უკვირდათ არტამონოვის მოულოდნელი სიკვდილი. მერე ჟიტეიკინმა მკბენარი ხმით მიმართა პეტრეს:

— ამბობენ, თითქოს განზრახული გაქვთ, რომ მშობელი თქვენს სასაფლაოზე დაკრძალოთ. ნუ თუ ეს მართალია? თუ მართალია, პეტრე ილიას-ძეე, ეს იქნება შეურაცხება, როგორც ჩვენი, ისე მთელი ქალაქის. ისე გამოდის, თითქოს არ გინდათ ჩვენთან რაიმე საერთო იქონიოთ და მეგობრობას გაურბით... ნუ თუ ეს ასეა?

ალექსიმ კბილები დააკრაქუნა და პეტრეს ჩაუჩურჩულა:

— კისრის ტეხით გააგდე აქედან.

— ნათლიდედ, — არ ცხრებოდა ბარსკი და ახლა ულიანასკენ მიიწევდა — ეს როგორ იქნება? შეურაცხება!

ჟიტეიკინი პეტრეს დაკითხვას შეუდგა:

— იქნებ, ეს ხუცესმა გლებმა გირჩიათ... არა, უთუოდ უნდა გადათქვათ... მამა თქვენი ჩვენი მაზრის პირველი ფაბრიკანტია, ახალი საქმის დამწყობი, — ქალაქის დამამშვენებელი პიროვნებაა. ისპრავნიკიც გაოცდა ეს რომ გაიგო, იკითხა: მართლმადიდებლები არიან თუ არაო?

ჟიტეიკინი შეუჩერებლად ლაპარაკობდა, რათა პეტრეს მისთვის სიტყვა არ გაეწყვეტილებინა. ბოლოს როცა პეტრემ აუწყა, რომ ეს იყო მამამისის უკანასკნელი ნება, ჟიტეიკინი მყისვე დაწყნარდა.

— ასეა თუ ისე, გასვენებას ჩვენ უთუოდ დავესწრებით.

და ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ იგი იმისთვის კი არ ჩამოსულა, რაზედაც პეტრეს ესაუბრებოდა. მალე ოთახის კუთხეს მიაშურა, სადაც ბარსკის ულიანა კედელთან მიემწყვდია და ყურში რაღაცას ჩასჩურჩულებდა, მაგრამ სანამ ჟიტეიკინი მათთან მივიდოდა, ულიანამ წამოიყვირა:

— სულელი ყოფილხარ, ნათლიმამავ, თავი დამანებე.

ტუჩები და წარბი აცახცახებოდა. თავის მედიდურად მაღლა აწევით პეტრეს აცნობა:

— ეს ორი და მათთან პომიალოვი ვოროპონოვითურთ მიხრევენ დაგარწმუნოთ ოქვენ, ძმები, რომ ფაბრიკა მათ მიყიდოთ... დახმარებისათვის ფულს გპირდებიან.

— მოშორდით აქედან... ბატონებო! — იყვირა ალექსიმ და სტუმრებს კარისკენ მიუთითა. ჟიტეიკინმა ჩაახველა და გაღიმებული სახით ბარსკის მკლავში ხელი მოჰკიდა და ბიძგებით გასავლისაკენ წაიყოლია. ბაიმაკოვა კი იქვე მდგომ ზანდუკზე დაეშვა ტირილით და სთქვა:

— ისიც უნდათ, რომ ადამიანის ხსოვნაც არ იყოს...

ალექსი მიცვალებულს მიუახლოვდა, სახეში შეაცქერდა და საზეიმოდ წარმოსთქვა:

— უარესი ვიქნები, მაგრამ ისეთი, როგორაც ეს ხალხია, არასოდეს არ გავხდები. უმალ თავს მოვიკლავ!

— ნახეს რაღა სავაჭრო დრო, — ჩაიბუტბუტა პეტრემ და მამას ირიბად გადახედა,

ნატალია ნიკიტასთან მივიდა და ჩუმად შეეკითხა:

— შენ რად გაჩუმებულხარ?

კუზიანს გაუხარდა, რომ ის მოიგონეს. განსაკუთრებით გაუხარდა, რომ იგი ნატალიას გაახსენდა. ბედნიერების ღიმილი გადაეკრა სახეზე და ჩუმადვე უპასუხა:

— მე რა?.. მე და შენ ხომ...

მაგრამ ქალი ჩაფიქრებული სახით განშორდა მას.

ილია არტამონოვის დასაფლავებაზე მოქალაქეების საუკეთესო ნაწილი გამოცხადდა. ჩამოვიდა ისპრავნიკიც, მაღალი, გამხდარი კაცი, გაშიშვლებული ნიკაპიტითა და ჭალარა ქილვაშით.

პეტრესთან ერთად მიდიოდა და ქვიშაზე ოდნავ მოიკოჭლებდა დიდკაცური გამომეტყველებით. ორჯელ სიტყვა-სიტყვით გაუმეორა პეტრეს:

— მისმა ბრწყინვალეებამ თავადმა გიორგი რატსკიმ მიცვალებული დამიხასიათა როგორც ჩინებული პიროვნება და ეს რეკომენდაცია მამათქვენმა სრულიად გაამართლა.

მაგრამ მალე განუცხადა პეტრეს:

— მიცვალებულის მთაზე ატანა ძნელია.

სთქვა და ტუჩების მოკუმვით ხალხს გამოეყო. განზე გაიწია და ფიქვის ჩრდილში დადგა. როგორც აღლუმზე ჯარისკაცები, ისე გაიტარა წინ მოქალაქეებისა და მუშების ბრბო.

ნათელი დღე იყო. მზის მაღლიანი სხივები, გარშემო უხვად დანთხეულ მწვანე და ყვითელ ფერებ შორის, განსაკუთრებით აშუქებდნენ ხალხის აჭრელეზულ ბრბოს, რომელიც ორ გორაკთა შორის ნელი ნაბიჯით შესამეზე ადიოდა. ეს გორაკი უკვე დაენშვენებინა რამდენსამე ათეულს, ლურჯ ცაში შეჭრილ

ჯვარს, რომლებსაც ზემოდან ძველი მრუდე ფიქვის ხე თავის ფართე თათებს უჩრდილებდა. ქვიშა აღმასის ნამსხვრევივით აბრკვეიალებულიყო და ხალხის ფეხებ ქვეშ ღრატუნი გაჰქონდა. მღვდლების ბოხი გალობა ხალხის თავზე დელვით გადადიოდა. ყველაზე უკან ბორძიკით და ხტუნვით სულელი ანტონუშკა მოდიოდა. უწარბო მგვრალი თვალები ძირს დაეშვა და წინ მიწაზე დაეშტერებინა: იგი გზადაგზა ფიჩხს აგროვებდა, უბეში და ილლიას ქვეშ ჩრჩილს. თან გულისგამწყალელებელი ხმით მღეროდა:

Христос восикресе, восикресе

Кибитка потерял колесо...

მორწმუნე ხალხი სცემდა სულელს და სიმღერას უშლიდა. ახლა ისპრავნიკიც დაემუქრა და უყვირა:

— კრინტი, სულელო.

ქალაქში ანტონუშკა არ უყვარდათ, მორღველი იყო ან ჩუვაში და ამიტომ სალოსის სახელი არ შეეფერებოდა. მაგრამ ეშინოდათ კი მისი, რადგანაც ეგონათ, რომ ყოველი უბედურების მომასწავებელი იყო. როცა აღაპი გამართეს იგი არტამონოვების ეზოში გამოცხადდა და გაუგებარი სიტყვების ამოყვირებით სუფრას გარშემო შემოუარა.

— კუატირ, კუატირ— ეშმაკი სამრეკლოზე აძვრა. ჰაუ, წვიმა იქნება, ნესტი იქნება. კაიამასი შავად ატირებულა.

მიმხვდარი ხალხი ჩურჩულობდა:

— სჩანს, არტამონოვებს ბედი არ ჰქონებიათ.

პეტრემ ყური მოჰკრა ამ ჩურჩულს. ხოლო მცირე ხნის შემდეგ მან შენიშნა, რომ ტიხონ ვიალოვს სულელი ანტონუშკა ეზოს კუთხეში მიემწყვდია და ცდით, მაგრამ მშვიდად ეკითხებოდა:

— მითხარი, მაშ, რას ნიშნავს კაიამასი? არ იცი?... ახლავე წადი აქედან... წადი, წადი მეთქი ახლავე.

სწრაფად, როგორც მთიდან დაქანებული შემოდგომის მღვრიე ნიაღვარი, ისე გასხლტა, გავიდა წელიწადი. განსაკუთრებული არაფერი არ მომხდარა, მხოლოდ ულიანა ბაიმაკოვას ქალარა შესამჩნევად მოერია და საფეთქელთან სიბერის მწუხარე ნიშნები გამოეხატა. გამოიცვალა ალექსიც.— უფრო ღბილი შეიქნა, მაგრამ ამავე დროს არასასიამოვნო აჩქარება დაეტყო ყოველ საქმეში. ყველას ჰკბენდა მისი მახვილი სიტყვა და მოსწრებული ხუმრობა.

პეტრეს კი განსაკუთრებით ის გარემოება აწუხებდა, რომ ალექსი მეტად თავხედურად ეპყრობოდა თვითონ საქმეს, ფაბრიკას, ეჩვენებოდა, რომ ალექსი იმნაირადვე ეთამაშებოდა ფაბრიკას, როგორც დათქს, რომელიც მერე თვითონვე მოჰკლა. უცნაური იყო მისი სიყვარული ისეთ ნივთებისადმი, რომელთა დანიშნულება ბატონების გართობა იყო. ბაიმაკოვას მიერ ნაჩუქარ საათს გარდა, მის ოთახში გაჩნდნენ კიდევ სხვა ზედმეტი, მაგრამ ლამაზი საგნები, ფუფუნების ნივთები. კედელზე ეკიდა მძივებით ამოქარგული სურათი—ქალების ფერხული. ალექსი მომჭირნე იყო, მაგრამ რატომ ხარჯავდა ფულს ასეთ უსარგებლო ნივთების შესაძენად? ტანთ იცვამდა მოდის მიხედვით. დიდი მზრუნველობით უვ-

ლიდა თავის შავს წვეტიანს წვერს, ლოყებს იპარსავდა და აზნაირად თანდათან ჰკარგავდა უბრალო, გლახურ სახეს. პეტრე გრძნობდა, რომ მისი ბიძაშვილი თანდათან უფრო უცხო, გაუგებარი ხდებოდა მისთვის. ფარულად უთვალთვალებდა, ეჭვით უყურებდა, უნდობლად. ეს უნდობლობა თანდათან ჩრდილობდა მასში.

პეტრე საქმეს ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა, მსაჯულთაგან, შიშით. ფრთხილი იყო იგი ადამიანებთანაც. მიძიმედ, აუჩქარებლად დადიოდა. ხშირად მუშებს შეუმჩნეველად თავს წაადგებოდა, დათვის თვალებს დაიპატარავებდა და ისეთი სახით დაუწყებდა ცქერას, თითქოს იმისი ეშინიაო, რასაც ეპარება ხელიდან არ გაუსხტესო. ხანდახან, როცა საქმეზე ზრუნვა დაღლიდა, განსაკუთრებულ მოწყენილობის ცივ ღრუბელში გაეხვეოდა. ასეთი სულიერი განწყობილების დროს, ფაბრიკა ქვის, მაგრამ ცოცხალ მხეცად წარმოუდგებოდა. ეს მხეცი მიწაზე გართხულიყო და გარშემო ჩრდილი ფრთებივით მიმოეფინა, ხოლო ბოლო მილის სახით ცისკენ აეშვირა.—დინგი რაღაც ბლაგვი და საშინელი აქვს დღით მისი ფანჯრები ყინულის კბილებივით ბრწყინავენ, ხამთრის საღამოობით ისინი რკინად იქცევიან და ბრაზისაგან წითლად ხურდებიან. და პეტრეს ჰგონია, რომ ფაბრიკის ნამდვილი, ფარული დანიშნულება ის კი არ არის, რომ ვერსტების სიგრძე ტილო მოქსოვოს, არამედ სხვა რამ, რაც პეტრე არტამონოვის წინააღმდეგია და მტერი.

მამის გარდაცვალების წლის თავზე საფლავზე პანაშვიდი გადაიხადეს და მერე მთელმა ოჯახმა ალექსის ნათელ და ლამაზად მორთულ ოთახში თავი მოიყარა. ალელვებულმა ალექსიმ სიტყვა წარმოსთქვა:

— მამამ გვიანდერძა მეგობრულად იცხოვრეთო. ასეც უნდა მოვიქცეთ, ჩვენ აქ ისე ვცხოვრობთ, თითქოს ტყვეები ვიყოთ.

ნიკიტამ შეამჩნია, რომ მის გვერდით მჯდომი ნატალია ამ დროს შეკრთა და მაზლს გაკვირვებით გადახედა. ალექსიმ კი ლბილად განაგრძო:

— მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მეგობრობა გვაქვს, ერთმანეთს ხელი არ უნდა შევუშალოთ. საქმე ყველას გვაერთიანებს, მაგრამ ცხოვრება თითოეულს თავისი საკუთარი აქვს. მართალს ვამბობ თუ არა?

— მერე?—ფრთხილად შეეკითხა მას პეტრე და ალექსის იქით გაიხედა სადღაც.

— თქვენ ყველამ იცით, რომ მე ორლოვას ქალთან ვცხოვრობ, ახლა მინდა ჯვარიც დავიწერო. გახსოვს, ნიკიტა, ის ერთად ერთი იყო, რომელმაც შენ შევიცოდა, როცა მდინარეში ჩავარდი.

ნიკიტამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. პირველად იყო, რომ ნიკიტა ასე ახლოს იჯდა ნატალიასთან, ამის გამო ისეთ ნეტარებას განიცდიდა, რომ არ უნდოდა განძრეულიყო, ელაპარაკნა ან სხვებისთვის ყური ეგდო. როცა ნატალია შეკრთა და უცაბედად მკლავი შეახო მას, გაიღიმა, თვალი დახარა და ნატალიას მუხლებს ცქერა დაუწყო.

— ეს ქალი ჩემი ბედია, მე ასე მგონია, — ამბობდა ალექსი. — მასთან ცხოვრების მოწყობა სულ სხვანაირად შეიძლება. მაგრამ მისი სახლში შემოყვანა კი არ მინდა: მეშინია, — თქვენ მასთან ერთ კერქვეშ ვერ მოთავსდებით.

ულანა ბაიმაკოვამ მალლა ასწია მძიმე მწუხარებით დამძიმებული თვალები და ალექსის მიეშველა:

— მე მას კარგად ვიცნობ. ხელსაქმის იშვიათი მცოდნეა. ნასწავლიც არის. ლოთ მამას არჩენდა პატარობიდანვე და თავის თავსაც ინახავდა. მაგრამ ძალიან მტკიცე ხასიათი აქვს და, მგონია, რომ ნატალია ვერ შეეთვისება.

— მე ყველას ვეთვისები ხოლმე, — შეურაცყოფილად შენიშნა ნატალიამ. ქმარმა ირიბად გადმოხედა ცოლს და მერე ძმას მიმართა:

— ეს, მართლაც, შენი საქმეა.

ალექსი ახლა ბაიმაკოვას მიუბრუნდა და წინადადება მისცა მისთვის სახლი მიეყიდნა.

— შენ რად გინდა?

პეტრემ ძმას მხარი დაუჭირა:

— შენ კი ჩვენთან გადმოდის საცხოვრებლად.

— მაშ, მე წავალ და ოლგას გავახარებ, — სთქვა ალექსიმ. როცა ის გავიდა ოთახიდან, პეტრემ ნიკიტას ხელი ჰკრა და ჰკითხა:

— გძინავს, თუ რა ამბავია? რაზე დაფიქრებულხარ?

— ალექსი კარგს შვრება...

— კარგი იქნება თუ ცუდი, ამასაც დავინახავთ. დედაზე რას ფიქრობ?

— რა თქმა უნდა, კარგია, რომ ალექსი იმ ქალზე ჯვარს იწერს, მაგრამ შეეთვისებიან კი ერთმანეთს? ვინ იცის! ქალი — ძალიან ახირებულია... მოისულელებს რაღაც...

— გმადლობ ასეთი ნათესავისათვის, — გაიცინა პეტრემ.

— იქნება, მე ის ვერ ვსთქვი, რაც მინდოდა, — ამბობდა ულანა ისეთი სახით, თითქოს სადღაც ბნელში იცქირებო, სადაც ყველა საგანი შექანებულიყო და თვალს ვერაფერი ვერ გაერჩია.

— ქალი — ცბიერია. მამამის ბევრი ნივთი ჰქონდა. ჩემთან მოჰქონდა შესახად, რომ ლოთს მამას არ გაეტლანგა. ნივთები ოლეზასაც მოჰქონდა ლამაზობით, მერე კი საჩუქარის სახით უკანვე ვუბრუნებდი. აი, რასაც აქ ხედავთ სულ მაგ ქალის ნივთებია, მზითეფია. ძვირფასიანიც ბევრი ურევია. მაინცა და მაინც მე ის არ მიყვარს.

პეტრეს ზურგი შეექცია დედამთილისათვის და თანჯარაში იცქირებოდა. ბაღში შრომნები ღრუტუნობდნენ, ყოველნაირ ხმას ჰბაძავდნენ. მათ დანახვაზე პეტრეს ტიხონის სიტყვები მოაგონდა:

— არ მიყვარს შრომნები ეშმაკს ჰგვანან. სულელია ეს ტიხონი, მაგრამ იშვიათი სულელი რომ არის, სწორედ ამიტომაც ამჩნევენ.

ისევე ნელი ხვით, თავისდაუნებურად, და სულ სხვა ფიქრებით თავში, ბაიმაკოვა განაგრძობდა იმის გმობას, რომ ოლგა ორლოვას დედა მემამულე იყო, გარყვნილი ქმრის სიცოცხლეშივე დაიწყო ორლოვთან ცხოვრება და მასთან ხუთი წლის განმავლობაში იცხოვრა.

— ის — ოსტატი იყო. ავეჯს აკეთებდა. მესაათეც იყო. ხის სხვადასხვა ფიგურების გამოჭრა იცოდა. ერთი მე მაქვს შენახული — ის შიშველ ქალს წარ-

მოადგენს. ოღვა ამბობს: ეს დედაჩემი არისო. ორივე ლოთობდა. ქმარი რომ მოუკვდა, ჯვარი დაიწერეს, მაგრამ ქალი იმავე დღეს წყალში დაიხრჩო: ტანს იბანდა თურმე და მთვრალი კი იყო.

— აი, როგორ უყვარს ხალხს ერთმანეთი, — მოულოდნელად შენიშნა ნატალიამ ამ შენიშვნაზე ულიანამ მას საყვედურის გამომხატველი თვალებით გადახედა, პეტრემ კი ჩაიციხა და შენიშნა:

— სიყვარულზე კი არ ლაპარაკობდენ, საუბარი ლოთობის შესახებ იყო. ყველა გაჩუმდა. ნიკიტა ნატალიას თვალყურს ადევნებდა. ხედავდა, რომ ნატალია დედის სიტყვებს ძალზე აედღეღებინა: იგი აკანკალებული თითებით ძიძვნიდა სუფრის ფოჩს, თან კეთილი სახე ბრაზისაგან უცნაურად მოქცეოდა და გაწითლებულიყო.

ნავახშიმევს, როცა ნიკიტა ბაღში იჯდა, იასამანის ბუჩქთან, ნატალიას ოთახის ფანჯრის ქვეშ, ყური მოჰკრა პეტრეს ნაღვლიან სიტყვებს:

— მარჯვეა ალექსი. ჭკვიანი.

ამის პასუხად ნატალიამ გულის გამწყალებელ ხმით წამოიყვირა:

— ყველა თქვენ ჭკვიანები ხართ, მხოლოდ მე ერთი ვარ სულელი. მართალი სიტყვა მან: ისე ვცხოვრობთ აქ, თითქოს ტყვეები ვიყოთო. ეს მე ვარ ტყვე, თქვენი ტყვე...

ნიკიტას შიშისა და შეცოდებისაგან გულისცემა შეუწყდა. ორივე ხელით სკამს დაწვდა. უცხო, აქამდე უცნობი ძალა სადღაც მალლა ეწეოდა მას, ხოლო ზევით კი მისი საყვარელი ქალი უფრო და უფრო მალლა უწევდა ხმას და ნიკიტას იმედებს უღვიძებდა.

ნატალია თმას იწნავდა, როცა ქმრის სიტყვებმა მას ცეცხლის ალი შეუკიდეს. იგი კედელს მიყრდნობოდა და ხელები ზურგს უკან მოეტანებინა, — მზად იყო ამ ხელებით ყველაფერი დაეგლიჯა, ყველასათვის ეცემნა. სულშეხუთულად ლაპარაკობდა. მშრალად, უცრემლოდ ქვითინებდა, თვითონაც არ ესმოდა, რასაც ლაპარაკობდა. არც ის ეკარებოდა მის ყურს, რასაც გაკვირვებული ქმარი უყვიროდა. ის იმაზე ლაპარაკობდა, რომ უცხო იყო თავის საკუთარ სახლში, რომ არავის არ უყვარდა და მოსამსახურესავით ცხოვრობდა.

— შენ მე არ გიყვარვარ, აზრებს და ფიქრებს არ მინაწილებ, არაფერზე არ მელაპარაკები. მხოლოდ ის იცი, რომ ქვასავით დამაწვები და სხვა არაფერი. რატომ არ გიყვარვარ? განა მე შენი ცოლი არა ვარ? რითა ვარ ცუდი, რატომ არ მეტყვი? ის მაინც არ შეგიმჩნევია, თუ დედაჩემს მამაშენი როგორ უყვარდა, — იქამდე მშურდა ეს სიყვერული, რომ სიკვდილიც კი არ მენალვლებოდა.

— მერე რატომ შენ ისე არ გიყვარვარ, — შენიშნა პეტრემ, რომელიც კუთხეში ფანჯარაზე იყო ჩამომჯდარი და იქიდან შესცქეროდა ცოლის ბრაზისაგან მოქცეულ სახეს. ნატალიას სიტყვები მას მეტად სულელური ეჩვენებოდა, მაგრამ ამავე დროს გაკვირვებით გრძნობდა, რომ ცოლის მწუხარება კანონიერი იყო და ისიც ესმოდა, რომ ეს მწუხარება გონიერიც იყო. ყველაზე უარესი ამაში ის იყო, რომ ეს უბედურება მას ხანგრძლივ არეგდარევა უქადდა, ახალ

საზრუნავს უჩენდა, ხოლო იგი ისედაც დატვირთული იყო ათასნაირი საზრუნავით.

ნატალია ღამის პერანგის ამარა იყო. მისი თეთრი უხელო ტანს ისე ცახცახებდა და ციმციმებდა, თითქოს ეს-არის გაჰქრებო. იგი ხან ჩურჩულებდა, ხან წამოიკივლებდა, თითქოს საქანელაზე ზისო და ხან მალლა შეთრინებდა და ხან კი ძირს დაეშვებო.

— გაახილე თვალები, ვერ ხედავ, ალექსის როგორ უყვარს თავისი... ალექსის შეყვარება კი სულ ადვილია: ის ყოველთვის მხიარულია, ბატონივით იცვამს და იხურავს... შენ კი? არავის არ მოეფერები, არასოდეს არ გაიცინებ. ალექსისთან მე ბედნიერი ვიქნები, მაგრამ მე მასთან სიტყვაც არ დამილაპარაკნია შიშით, რადგანაც შენი ცბიერი, საძაგელი კუზიანი ძმა ყარაულად შემომიჩინე...

ნიკიტა აღგა, თავი ჩაღუნა და მკვდარივით წალასლასდა ბაღის სიღრმეში.

პეტრეც წამოდგა, მიუახლოვდა ცოლს, თმის ნაწნავზე ხელი წაავლო, თავი უკან გადაუწია და თვალებში ჩასცქეროდა:

— ალექსისთანო სთქვი? — ჰკითხა დაბალი, მაგრამ ბოხი ხმით. ის ისე გაეოცებინა ცოლის სიტყვებს, რომ გაჯავრების უნარი დაჰკარგოდა. ცემაც არ შეეძლო. თანდათან ნათელი ხდებოდა მისთვის, რომ ცოლი მართალს ამბობდა: მოსაწყენი იყო მასთან ცხოვრება. ეს მასაც კარგად ესმოდა. ხოლო საჭირო იყო ქალი დაემშვიდებინა, და რომ ამ მიზანს სწეოდა, მის თავს კედელს ახლიდა და ჩუმად ეკითხებოდა:

— რა სთქვი, სულელო დედაკაცო? ა? ალექსისთან?

— გამიშვი, გამიშვი თორემ ვიყვირებ...

მეორე ხელი ყელში წაავლო და მოუჭირა. ნატალიას სახეზე სისხლი წამოაწვა და წამოიხრიწინა.

— საძაგელი, — უთხრა პეტრემპოლოს, კედელზე მიაგდო და მოშორდა. ნატალია მოწყდა კედელს, პეტრეს გვერდში აუარა და თოკზე დაკიდებულ აკვანს მიაშურა: დიდი ხანი იყო, რომ ბავში სტიროდა. პეტრეს ისე მოეჩვენა, თითქოს ცოლს მასზე გადაებიჯებინოს. მის წინ ცის ლურჯი ნაქერი ქანაობდა და ზედ ვარსკვლავები დახტოდნენ. სულ ახლოს, თითქმის გვერდში, ცოლი უჯდა. შეიძლებოდა, არც კი შენძრეულიყო, ისე კარგა მოქნეული სილა გაეწნა მისთვის. ნატალიას სახე დაჩლუნგებოდა, გახევებოდა, მაგრამ ლოყაზე კი ცრემლი ჩამოსდიოდა. იგი ძუძუს აწოვებდა ბავშს და ცრემლმორეული თვალები კუთხისკენ გაეშტერებინა. ვერ შეემჩნია, რომ ბავშს უხერხულად აძლევდა ძუძუს და გამოსწვრივ გაჩხირული ძუძუსთავი წამდაუწუმ პირიდან უვარდებოდა, ძუძუს მაგიერ ბავში ჰაერს ტლოშნიდა, თავს ატრიალებდა, სტიროდა.

— გაისწორე ძუძუ, ვერ ამჩნევ, რომ უხერხულად ზიხარ?

— ბუზი ვარ ჩემს სახლში — წაიბუტბუტა ნატალიამ — ბუზი უფროთო.

— მეც ხომ ასეთი ვარ — მეც ხომ მარტო ვარ, ერთი: ორი პეტრე არტამონოვი ხომ არ ცხოვრობს ქვეყნად.

პეტრემ იგრძნო, რომ ის არ გამოუვიდა, რისი თქმაც უნდოდა. პირიქით—ტყუილი სთქვა. ცოლის დასამშვიდებლად და საფრთხის თავიდან ასაცილებლად კი საჭირო იყო უბრალო და უდავო ჭეშმარიტების თქმა, რომ ცოლი უშუალოდ მიმხდარიყო და დამორჩილებოდა მას, აღარ შეეწუხებინა სულელური დედაკაცური ჩივილით და ცრემლით, რომელიც მის ცოლს წინედ არ სჩვეოდა. პეტრემ შეამჩნია, რომ ნატალია ისე არ აწვევდა ბავშვს, როგორც საჭირო იყო და ეუბნებოდა:

— მე საქმით ვარ დატვირთული, ფაბრიკა ხომ ყანა არ არის? ფაბრიკის წარმოება და კარტოფილის დარგვა სხვა და სხვა რამეა: ეს ამოცანაა. შენ კი რა გაქვს თავში?

პირველად ის მკაცრად და ბეჯით კილოზე ლაპარაკობდა, ცდილობდა მიახლოვებოდა ამ სიტყვით გამოუთქმელ ჭეშმარიტებას, მაგრამ ჭეშმარიტება მაინც შორს რჩებოდა და პეტრეს ხმაც თანდათან საცოდავად გაისმოდა.

— ფაბრიკა—ეს უბრალო რამე როდია,—კვლავ წამოიწყო მან მაგრამ იგრძნო, რომ სიტყვა არ გააჩნდა და სალაპარაკო შემოლევოდა. ცოლი კი სდუმდა და ისე არწევდა აკვანს. მას ზურგი შეექცია ქმრისათვის. ამ უხერხულ მდგომარეობიდან პეტრე ტიხონ ვიალოვის წყნარმა დაძახილმა გამოიყვანა:

— პეტრე ილის-ძევ, ჰეი?

— რა გინდა?—ჰკითხა პეტრემ და ფანჯარას მიუახლოვდა.

— გამოდი გარეთ,—მოთხოვნის კილოზე შემოაძახა მეეზოვემ.

— ბრიყვი!—წაიბუტბუტა პეტრემ და ცოლს უსაყვედურა: ხომ ხედავ? ღამითაც კი მოსვენება არა მაქვს, შენ კიდევ...

ტიხონი უქუდოდ იყო. კიბეზე შემოხვდა პეტრეს თვალების უცნაური ბეჭუტვით. მან ჯერ სავსე მთვარით განათებულ ეზოს გადახედა და მერე ჩუმად აუწყა პეტრეს:

— ნიკიტა ილიასძე ახლახან ჩამოვხსენ... თოკზე ეკიდა.

— რაო? რას ამბობ?

თითქოს ფეხებქვეშ მიწა გამოეცალაო, ისე ჩაიკეცა პეტრე და საფეხურზე ჩამოჯდა.

— ნუ კი ჯდები... წავიდეთ მასთან. შენი ნახვა უნდა...

პეტრე ვერ წამოდგა. მხოლოდ ჩურჩულით შეეკითხა:

— რატომაო? ა?

— ახლა გონს მოსულია. წყალი შევაპკურე... წავიდეთ.

მკლავზე ამოსდვა ხელი პეტრეს და ბალში გაიყოლია.

— აბანოში მოეწყო, წინა ოთახში: ჭერიდან თოკი ჩამოუშვია, და ზედ..

პეტრე თითქოს მიწაში ჩაერჭო, ისე გარინდდა.

— რათაო? მამის სიკვდილის გამო ხომ არა?

მეეზოვეც შესდგა.

— იქამდე მივიდა, რომ მის პერანგს კოცნიდა.

— რას ამბობ: ვის პერანგსო?

პეტრე შიშველი ფეხის გულს მიწაზე ასრიალებდა და მეეზოვეს ძალს შეეყურებდა, რომელიც იქვე ბუჩქიდან გამომძვრალიყო და კუდის ქიციანით მას

შესცქეროდა. პეტრეს ეშინოდა ძმასთან მისვლა, რადგანაც არ იცოდა, რა ეთქვა მისთვის.

— ჰე, თვალი სადა გაქვთ, — წარმოსთქვა მეეზოვემ თითქოს თავისთვის. პეტრე კი სდუმდა და ელოდა, იქნება კიდევ რამე სთქვასო.

— ნატალია ევსეევნას პერანგზე ვამბობ. იგი აქ ეკიდა, შრებოდა...

— მერე რატომ... თუმცა დამაცა!

პეტრემ წარმოიდგინა, თუ როგორ უნდა ეკოცნა მის ტანში. კუხიან ძმას მისი ცოლის პერანგისათვის და ძალღს ფეხი ჰკრა. ეს სასაცილოც იყო. მან ზიზღით გამოაფურთხა, მაგრამ იმავე დროს გული საშინელში ექვმა შეუქანა. დარეტიანებულმა ტიხონს ბეჭებში ჩაავლო ხელები, შეამჯღვრია და სიტყვების კბილებში გამოცრით ჰკითხა:

— კოცნიდენ ერთმანეთს? გინახავს? სთქვი!

— მე ყველაფერს ვხედავ. ნატალია ევსეევნამ ექვიდაც არაფერი არ იცის.

— სტყუი!

— რატომ უნდა ვიტყუო? შენგან ხომ საჩუქარს არ მოველი.

და თითქოს წყვილიაღს ნაჯახი დაჰკრა და სინათლე გამოსქრაო, ტიხონმა მოკლედ უამბო თავის ბატონს მისი უბედური ძმის ამბავი. პეტრეს ესმოდა, რომ მეეზოვე მართალს ელაპარაკებოდა. ეს თვითონც ჰქონდა შენიშნული: ძმის ლურჯი თვალების გამოხედვა, მისი დაუსრულებელი ზრუნვა ნატალიასთვის და სამსახური, რომელსაც იგი მის ცოლს უწევდა, ექვს გარეშე იყო, რომ ამას მოასწავებდენ.

— ასე მაშ, — წარსთქვა მან და ხმამაღლა გაიფიქრა — არ მცალოდა, რომ ყოველივე ამისთვის ყურადღება მიმექცია.

მერე ტიხონს უბიძგა, წინ გაიგდო.

— წავიდეთ.

მას არ უნდოდა, რომ ნიკიტას პირველად მისთვის შეეხედნა, ამიტომ როცა დაბალ კერიან აბანოში შევიდა, სანამ ძმის სახეს სიზნულეში გაარჩევდა, ტიხონს ზურგს უკან ამოეფარა და ძმას აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— რა გიქნია ეს, ნიკიტა?

კუხიანმა პასუხი არ გასცა. იგი ძლივს მოსჩანდა ფანჯრის დაზგასთან. მუცელი და ფეხები მკრთალად ჰქონდა განათებული. ცოტახანს შემდეგ პეტრემ გაარჩია, რომ ნიკიტა კუხით კედელს მიყრდნობოდა და თავდახრილი იჯდა. სველი პერანგი ეცვა საყულოდან კალთამდე ჩახეული, სველი პერანგი წინაკუხზე მიჰკროდა. თმაც დასველებოდა თავზე. ლოყის ამობურთულ ძვალზე მოშავო ვარსკვლავი აჯდა და მისგან წითელი ფერი გამოჟონავდა.

— სისხლი? აგრე სად დაშავდი? — ჰკითხა პეტრემ.

— არაფერია, სიჩქარეში მცირედ ვიტკინე, — რაღაც სულელური და აწეული ხმით უპასუხა ნიკიტამ, წამოდგა და განზე გაიწია.

პეტრემ მასთან მისვლა ვერ გაბედა. ისე ესმოდა თავისივე ხმა. თითქოს სხვა ვინმე ლაპარაკობსო. ისღა მოეხერხებინა, რომ ყურებს იზელდა ჩვეულებრივად და ძმას საყვედურს ეუბნებოდა:

— სირცხვილი. ღმერთს სცოდავ, ძმაო... ჰე.

— ვიცი — ნიკიტამაც სხვისი, ჩახლენილი ხმით უპასუხა პეტრეს. — ვერ მოვიტმინე ბოლომდის... გამიშვი, მონასტერში წავალ... გესმის? გულწრფელად გთხოვ ..

ჩაფსტვენით დაახველა და გაჩუმდა.

გულაჩვილებული პეტრე ჯერ მოფერებით ჩუმად უსაყვედურებდა მას და პერე უთხრა:

— რაც შეეხება ნატალიას, რა თქმა უნდა, ალბად ეშმაკმა აგირია აზრები.

— ჰეე, ტიხონ, — ყმუილით წამოიყვირა ნიკიტამ — მე შენ ხომ გთხოვე, — ტიხონ, გაჩუმდი მეთქი. მას მაინც ნუ გააგებინებთ, ქრისტეს გულისთვის. დამცინებს. გაჯავრდება. შემიცოდეთ, რაც არ უნდა ვიყო. მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენთვის ვილოცებ! მას არ გაუზბილოთ. არასოდეს არ უთხრათ... ტიხონ, რატომ გამეცი... ეეჰ, ადამიანი... — ბუტბუტებდა ნიკიტა და თავი რაღაც არაბუნებრივად პირდაპირ ეჭირა, — და ესეც საშინელება იყო. მეეზოვემ უთხრა:

— მე კი გაეჩუმდებოდნი, თუ არა ეს შემთხვევა. ქალი კი ჩემგან ველარაფერს ვერ გაიგებს.

პეტრეს უფრო აუჩვილდა გული. ამით შემკრთალმა ძმას ბეჯითი დაპირება მისცა:

— თავლებად წმ. ჯვარი მიმიცია, რომ ის ვერაფერს ვერ გაიგებს.

— მაშ, მადლობელი ვარ. მე კი მონასტერში წავალ.

და ნიკიტა უცებ დადუმდა, თითქოს დაეძინაო.

— გტკივა? — ჰკითხა ძმამ. პასუხი რომ არ მიიღო პეტრემ კითხვა განიმეორა:

— კისერი გტკივა, თუ არა?

— არაფერია — ჩაიხრიალა ნიკიტამ, — ახლა კი წადით.

— შენ ნუ წახვალ, — წაუჩურჩულა მეეზოვეს პეტრემ და თვითონ კარისკენ დაიხია.

როცა ბაღში გამოვიდა და ღრმად ჩაითქვა ოფლიანი მიწის საამო თბილი სურნელი, ღმობიერი სულიერი განწყობილება უცებ გაჰქრა მასში, და მის წილ მწარე ფიქრებმა მოიცეს. ისე მიაბიჯებდა და მიდიოდა, რომ არ უნდოდა მის გარშემო ჰაერიც კი შენძრეულიყო, რადგანაც უალრესი სიჩუმე ესაჭიროებოდა, რომ შემოწოლილი ფიქრებისათვის თავი გაერთმია, მას იმდენი ფიქრი აღძროდა, რომ აშინებდა მათი სიმრავლე. ეჩვენებოდა, რომ ისინი მის თავში კი არ იბადებოდნენ, არამედ საიდღამაც გარედან მოდიოდნენ, ღამის წყვილადიდან, და მასში ღამურებივით დაფრინავდნენ. ფიქრები ისე სწრაფად სცვლიდნენ ერთიმეორეს, რომ პეტრე ვერ ასწრებდა სიტყვის კალაპოტში მოექცია ისინი და გონების თვალი აედევნებინა. მათი ცბიერი ხლართის ნასკვებში მოყოლილიყო თვითონ ის, ნატალიაც, ალექსიც, ნიკიტაც და ტიხონიც. არევ-დარეულ ფერხულს ჰგავდა მათი თვალშეუსწრები ტრიალი, რომლის შუაგულში

პეტრე იყო მოქცეული, მარტოდ მარტო... სიტყვებით კი ის სრულიად უბრალო რასმე ფიქრობდა:

— აუცილებლად საჭიროა, რომ დედამთილი რაც შეიძლება მალე გადმოსახლდეს ჩვენთან, ხოლო ალექსი მოგვეშორდეს. ნატალიას კი უნდა მოვეუფურო: „შეხედე, სხვებს როგორ უყვართო“. მაგრამ ნიკიტას ხომ სიყვარულით არ მოსვლია, რომ თავის ჩამოხრჩობა უნდოდა: ეს მისი სიმახინჯის ბრძანებაა კარგია, რომ ბერად მიდის: სახლში რა უნდა აკეთოს? ეს — კარგი გამოსავალია. ტიხონი კი — სულელია... რატომ არღე არ მითხრა!

მაგრამ ეს ის უსიტყვო ფიქრები როდი იყვნენ, რომლებიც მას აშინებდნენ და აფორიაქებდნენ აცქერინებდნენ ლამის ნესტიან და სქლად გაწოლილ წყვდიადში. შორს, იქ სადაც ფაბრიკა იყო გამართული, პაწია რუსავეით გაკლავნილიყო ნაღვლიანი სიმღერის წვრილი მდინარება. კოლოები ბზუოდნენ. პეტრე არტამონოვი ისეთ გუნებაზე იყო, რომ უნდოდა, რაც შეიძლება მალე განთავისუფლებულიყო სულიერი ფორიაქისაგან. არც კი შეუნიშნავს, ისე მიუახლოვდა იასამანის ბუჩქს, რომელიც მის საწოლ ოთახის ფანჯრის პირდაპირ იზრდებოდა. დიდხანს იჯდა აქ იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი და სახე ხელის გულში ჩაემალა. შავს მიწას დასცქეროდა. ისე ეჩვენებოდა, თითქოს მის ფეხებ ქვეშ მიწა ქანაობდა და იბუშტებოდა, თითქოს ეს არის გაირღვევაო.

— მაინც საკვირველია, რომ ნიკიტამ ეს ქვიშა გაანაყოფიერა. მონასტერში რომ წავა — ნებაღე იქნება. ეს მისთვის ძალიან კარგია.

არც კი შეუტყვია ცოლის მოახლოება და როცა მის წინ, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ნატალიას თეთრმა ტანმა გაილივლივა, შეშინდა და წამოხტა. მაგრამ ნაცნობმა ხმამ იგი უმაღლვე დაამშვიდა:

— მაპატიე, ღვთის გულისათვის, რომ ამას წინად ვიყვირე...

— ღმერთი თვითონ გაპატიებს. მეც ხომ ვყვიროდი. — უპასუხა გახარებულმა პეტრემ. მას გაუხარდა, რომ ცოლი თვითონ მოვიდა მასთან და ამიერიდან საჭირო აღარ იყო განსაკუთრებით მოფერებოდა მას, რომ ჩხუბის შემდეგ მათ შორის დაშთენილი ნაპრალი ამოეცო.

იგი ისევ ჩამოჯდა სკამზე. ნატალია გვერდით მოუჯდა. მაინც საჭირო იყო, რომ ცოლისთვის რაიმე სანუგეშო ეთქვა და ასე მამართა:

— მესმის, რომ შენ მოწყენილი ხარ. მხიარულობა არ არის ჩვენს ოჯახში. რა უნდა გვახარებდეს? მამაჩემი სიხარულს მუშაობაში ვპოვებდა. მას ასე ეგონა: ყველა მუშაა, გარდა მათხოვრებისა და ბატონებისა. ყველა საქმისათვის ცხოვრობს. საქმე უნდა სჩანდეს, ხალხი კი არაო.

ლაპარაკობდა ფრთხილად. ეშინოდა, ზედმეტი არაფერი არ წამოსცდებოდა. თავის სიტყვებს რომ უსმენდა, რწმუნდებოდა, რომ საუბრობდა როგორც სერიოზული, საქმიანი კაცი, როგორც ფაბრიკის ნამდვილ პატრონს შეშვენოდა. მაგრამ ამავე დროს იმასაც გრძნობდა, რომ მისი სიტყვა რაღაც გარეგნული იყო, აზრის ზედაპირზე ასხლექილი, და მის ნამდვილ ფიქრს არ გამოხატავდა. ეჩვენებოდა, თითქოს ხრამის პირად იჯდა და ვიღაცას ყოველ წუთში

შეეძლო მისი უფსკრულს გადაჩეხვა. ეს ვილაცა ყურს აღევნებდა მის სიტყვებს და წამდაუწუმ უჩურჩულებდა:

— ტყუილს ლაპარაკობ.

სწორედ დროზე მოხდა, რომ ცოლმა თავი მიაყრდნო და უთხრა:

— შენ ხომ ჩემი სიცოცხლის მთელი მანძილის თანამგებედი ხარ. ეს როგორ არ გესმის?

პეტრემ ხელი მოხვია მას, გულზე მიიკრა. ცოლი ფუჩფუჩს განაგრძობდა:

— ცოდვია, თუ ეს არ გესმის. გოგო შემირთე, შეილები შეგძინე, შენ კი თითქოს არც კი არსებობ... რაღაც უგულოდ მეპყრობი. ეს ცოდვია, პეტა, ჩემზე უფრო მახლობელი ვინა გყავს? სხვა ვინ შეგიცოდებს, როცა გაგიჭირდება.

პეტრეს მოეჩვენა, თითქოს იგი ცოლმა მალლა ასწია, ჰპერში შეატრიალა, და ასე საამოდ მოაუძღურა, დაიყოლია და დასძლია. პეტრე ლამის გამახალისებელ სიგრილეში ჩაიძირა და ცოლს თითქმის მადლობით უთხრა:

— დავპირდი, არავის არ ვეტყვი მეთქი... არ შემიძლია.

და აჩქარებით უამბო ყველაფერი, რაც მეეზოვესაგან გაიგო ნიკიტას შესახებ.

— თურმე შენს პერანგს კოცნიდა, ბაღში რომ შრებოდა; აი, რა რიგ გამოთაყვანდა. როგორ მოგივიდა, რომ ვერაფერი ვერ შეამჩნიე?

ამის გაგონებაზე მის მკლავზე მიყრდნობილ ნატალიას მხარი შეუცახცახდა.

— ეცოდება? — გაიფიქრა პეტრემ, მაგრამ ცოლმა აღშფოთებით უპასუხა:

— არასოდეს არაფერი არ შემიმჩნევია. ჰო, რა გულჩახვეული ყოფილა! მართალია, რომ კუზიანები ცბიერები არიანო.

— ეზიზღება? თუ თვალთმაქცობს? — გაიფიქრა გუნებაში არტამონოვმა. მერე ცოლს გააგონა:

— გეფერებოდა კი...

— მერე რა? — გამომწვევი ხმით უპასუხა ცოლმა. — აი, ტულუნიც კი მეფერება.

— მაინც. ტულუნი კი ძალღია.

— შენც ხომ იგი ყარაულად დამიყენე, ძალღივით, რომ ჩემთვის თვალყური ედევნებინა და აღექსისაგან დავეფარე... განა არ მესმის?... ჰო, რომ იცოდე, როგორ მეზიზღებოდა, მძაგდა.

ცხადი იყო, რომ ნატალია შეურაცხოფილად გრძნობდა თავს და აღშფოთებული იყო. ტანზე კანი უცახცახებდა და კონვულსიურად აკანკალებული თითებით პერანგს იძიძგნიდა. მაგრამ მისი აღელვება ქმარს გადაჭარბებულად ეჩვენებოდა. ეჭვი შეჰქონდა მის გულწრფელობაში და, თითქოს ერთხელ კიდევ და უკანასკნელად გამოსცადაო, უთხრა:

— თავის დახრჩობას აპირებდა, თოკზე ეკიდა და ტიხონმა ჩამოხსნა.

ნატალია უცებ მოეშვა. ქმრის მკლავ ქვეშ ჩაიკვცა და ეჭვმიუტანელი შიშით წამოიკივლა:

— ეს შეუძლებელია... რა გავიგონე? ღმერთო...

— მაშასადამე სტყუოდა, — გადასწყვიტა გულში პეტრემ, მაგრამ ცოლ-მა თავი ისე შეაქანა, თითქოს შუბლში დაჰკრესო, აენტო და ქვიტინით წარმოსთქვა:

— ახლა რა იქნება? დიდი ხანი არ არის, რაც მანის სიკვდილის გამო რას არ გვაბრალებდენ, და ახლა ისევ დაიწყება მითქმა-მოთქმა ჩვენს შუსახებ. ღმერთო ჩემო, ეს რა ამბავია: ერთი ძმა თავს იბრჩობს, მეორე საყვარელზე ჯვარს იწერს... რა უბედურებაა ეს, ნიკიტა ილიასძევ? სირცხვილი სად აქვთ? შეგვიცოდა და ეს არის, მისმა შხემ...

პეტრეს გულზე მოეშვა. ცოლს მოფერებით ხელი გადაუსვა პეტებზე.

— ნუ გეშინია, ვერაჲინ ვერ გაიგებს. ტიხონი არ იტყვის: მეგობარია მისი და ჩვენით კი კმაყოფილი არის. ისიც უნდა გითხრა, ნიკიტას გადაწყვეტილი აქვს ბერად წავიდეს.

— როდის?

— არ ვიცი.

— ნეტავი მალე წავიდეს. ახლა არც კი ვიცი, მასთან თავი როგორ დავიჭირო?

პეტრე ერთხანს გაჩუმდა, მერე უთხრა:

— მიდი ერთი, ნახე.

მაგრამ ნატალია ნაკბენივით წამოხტა და იყვირა:

— ვაიმე, არ შემძლია! ნუ მეუბნები არ მინდა, მეშინია.

— რისი გეშინია?—მყისვე შეეკითხა ქმარი.

— დამხრჩვალის. ვერ წავალ, რაც გინდა ის ჰქენი! მეშინია.

— მაშ კარგი... წამოდი, — სთქვა არტამონოვმა და მაგრად წამოდგა ფეხზე—გვეყოფა, რაც დღეს ვიწვალეთ...

პეტრე ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა გვერდში ცოლს, ისეთი შეგრძნობა ჰქონდა, რომ გასულმა დღემ ცუდთან ერთად ბევრი კარგიც მოუტანა და რომ ის, პეტრე არტამონოვი, ისეთი კაცი აღმოჩნდა, რომელსაც დღემდე არც კი იცნობდა: მეტად ჭკუიანი და თან ეშმაკიც, ძან ეს—არის ვილაც მარჯვედ მოატყუილა, ვინც ბნელ აზრებს უძრავდა თავში და სულს ფორიაქით უვსებდა.

— ყველაზე უფრო ჩემი მახლობელი შენა ხარ, რა თქმა უნდა, — ეუბნებოდა იგი ცოლს, — მაშ, სხვა ვინ იქნება? ასე იფიქრე: ჩემი ყველაზე უფრო მახლობელი ხარ. ასე რომ იფიქრებ, ყველაფერი კარგად იქნება.

ამ ლამიდან მეთორპეტე დღეს, განთიადზე, ნიკიტა არტამონოვი ჯობით ხელში და კუხზე გადაგდებული ტყავის ხურჯინით, უხვი ცვარისაგან გაშავებულ ქვიშიან ბილიკით, ისე აჩქარებული მიაბიჯებდა, თითქოს იმის მოგონებას გაურბისო, თუ როგორ გააცილეს იგი ნათესავებმა: ამათ არც კი გამოუძინიათ ისე თავი მოიყარეს სასადილო ოთახში, რომელიც სამზარეულოს გვერდით იმყოფებოდა. ყველანი მეტად სერიოზული გამომეტყველებით ისხდნენ და თავ-შეკავებულად საუბრობდნენ. ნიკიტა არავისაგან არ მოელოდა გულითად სიტყვას. ცხადი იყო, რომ მასზე გული არავის არ შესტკივოდა. პეტრე კი ეფერებოდა.

იგი ისე იყო გახარებული, როგორც ადამიანი, რომელმაც კარგი და მომგებიანი საქმე ძალიან იოლად გააკეთა. ორჯერ უთხრა:

— აი, ჩვენს ოჯახსაც ჰყავს ახლა მლოცველი... ჩვენს ცოდვებს მოინანიებს.

ნატალია გულგრილად, მაგრამ ძალიან დაკვირვებულად ასხამდა ჩაის. პატარა თაგვისებური ყურები შესამჩნევად შეწითლებოდა, ხრისკისკის კლდევით დაჭმუჭვნოდენ. სახე ეღუშებოდა და ოთახიდან ხშირად გადირიდა. დედამისი ჩაფიქრებული იყო და სდუმდა. თითს ისე ეღებდა და საფეთქელზე ჩამოშლილ ქალარა შერეულ თმას ხშირხშირად ისწორებდა. მხოლოდ ალექსი იყო, რომ არაჩვეულებრივად ღელავდა, ბეჭებს ანძრევდა და ნიკიტას ეკითხებოდა:

— როგორ მოგივიდა ეს ახრად, ნიკიტა? ასე უცბად, ა? გაუგებარია რაღაც ჩემთვის...

ალექსის გვერდით მომცრო ტანის, ცხვირწაწვენთილი ორლოვა უჯდა. შავი წარბები აეწია და ყველას უბოდიშო თვალებით ათვალთვლებდა. მისი თვალები არ მოეწონა ნიკიტას: შედარებით პირისახესთან დიდი თვალები ჰქონდა, რომლებიც არა-ქალწულური სიმშვენიერით იმზირებოდნენ და მოხშირებით უხამხამებდნენ.

ნიკიტას უძნელდებოდა ამ ხალხში ყოფნა, შიშით ფიქრობდა:

— პეტრემ რომ ამით ჩემი ამბავი უთხრას, მაშინ?... ნეტავი, მალე გამიშვებდენ!

პეტრე პირველი გამათხოვია. იგი მივიდა მასთან, გადაეხვია და აკანკალებული, მაგრამ მაღალი ხმით უთხრა:

— მაშ, ჩემო ღვიძლო ძმაო, მშვიდობით...

ბოიმაკოვამ შეაჩერა:

— ეს როგორ იქნება? ჯერ ყველანი ერთ ხანს ჩუმად უნდა დავსხდეთ, შემდეგ ვილოცოთ და გამოვეთხოვით...

ყველაფერი ეს ძალიან ჩქარა შეასრულეს. პეტრე კვლავ მიუახლოვდა ძმას და უთხრა:

— შეგვინდე ყველას. ანაბარის შესახებ მოიწერე, გადმოგიგზავნით დაუყოვნებლივ. მშვიდობით. ილოცე ჩვენთვის.

ბაიმიკოვამ ჯვარი გადასახა და სამჯერ აკოცა შუბლზე და ლოყაზე. ცრემლი მოერია, ატირდა, ალექსიმ კი ნიკიტა მაგრად ჩაიკრა და თვალებში შეაცქერდა.

— გზა დამილოცნია. ყოველ კაცს თავისი დანიშნულება აქვს... მე მაინც არ მესმის, როგორ მოხდა, რომ წასვლა ასე მოულოდნელად გადაწყვიტე?

ნატალია უკანასკნელი გამოემშვიდობა. იგი არ მიახლოვებია, ცოტა მოშორებით დადგა მის წინ, ხელები გულზე გადაიჯვარა, დაბლად დაუკრა თავი და ჩუმად უთხრა:

— მშვიდობით, ნიკიტა ილიასძე.

გულმკერდი კვლავად მაღალი ჰქონდა, ქალწულური, მიუხედავად იმისა რომ უკვე სამი ბავში გამოზარდა.

ეს იყო და ეს. მაგრამ იქ ორლოვაც იყო. მან ჩხირი, ხმელი ხელი ჩამოართვა ნიკიტას, — ახლოს მისი სახე უფრო უსიამოვნო სანახავი იყო. რაღაც სულელურად ჰკითხა:

— ნუ თუ მართლა აღიკვეცები?

ეზოში ნიკიტას ოცდაათამდე ძველი ფეიქარი დახვდა გამოსკამშვიდებლად. ყრუ, ბებერი ბორის მოროზოვი თავს აქიცილებდა და ჰყვიროდა:

— ჯარისკაცი და ბერი — ქვეყნის უპირველესი მსახურები არიან... აი.

ნიკიტამ სასაფლაოზე შეიარა, რომ მამას საფლავს გამოთხოვებოდა. მუხლები მოიყარა. ლოცვის მაგიერ დაფიქრდა: აი, როგორ შეტრიალდა ცხოვრება? როდესაც მის ზურგს უკან მზე ამოვიდა და ცვარით გადარეცხილ საფლავის ფიცარზე ფართე, უზნო ლანდი გაიფინა, რომელიც ავი ძაღლის ტულუნის აჩრდილსა ჰგავდა, ნიკიტა მუბლით დააწვდა მიწას, ღრმა თაყვანი სცა საფლავს და წარმოსთქვა:

— მშვიდობით, ნამავ.

დილის ფაქიზ სიჩუმეში მისი ხმა ყრუდ და დამქვრვავით გაისმა.

კუზიანი მცირე ხნით დაფიქრდა და მერე ხმამალა გაიმეორა:

— მშვიდობით, მამა.

და ატირდა, მწარედ, ქალურად აქვითინდა.

როცა სასაფლაოს ერთი ვერსტით დაშორდა, წინ მოულოდნელად მეეზოვე ტიხონი დაინახა. მას ბარი მხარზე გადაედვა, ნაჯახი ქამარში გაერკო და საყარაულოზე მდგარი ჯარისკაცივით გზის პირად, ბურქთან გაჩერებულიყო.

— მიდიხარ? ჰკითხა ნიკიტას.

— მივდივარ. შენ აქ რას აკეთებ?

— ცირცელი უნდა ამოვაგლო და ჩემი სადგომის ფანჯარასთან დავრგო. მთელი წუთი ხმისამოუღებლად იდგენ და ასე ერთმანეთს შესცქეროდენ.

მერე ტიხონმა დამდნარი თვალები მოაშორა ნიკიტას და უთხრა:

— იარე. მე ცოტაზე გაგაცილებ.

ჩუმად გაჰყვენ გზას. პირველმა ტიხონმა დაარღვია სიჩუმე.

— წელს ცვარი — დიდია. ასეთი ცვარი მავნეა, გვალვას მოასწავებს, მოუსაველობას.

— ღმერთმა დაგვიფაროს.

ტიხონ ვიალოვმა რაღაცა გაუგებარი ჩაილაპარაკა.

— რა სთქვი? — შეეკითხა მცირედ შემკრთალი ნიკიტა. ტიხონისაგან იგი ყოველთვის მოელოდა განსაკუთრებულ სიტყვას, რომელიც ადამიანს გულზე ნემსივით ხვდებოდა.

— შეიძლება, რომ დაგვიფაროს-მეთქი.

მაგრამ ნიკიტა დარწმუნებულიყო, რომ მიწის მთხრელმა სხვა რაღაც სთქვა და ახლა მისი განმეორება არ უნდოდა.

— რად ამბობ ასე: ღვთის წყალობა არა გწამს? — უსაყვედურა მეეზოვეს.

— რატომ?—წყნარად მიუგო ტიხონმა.—ახლა წვიმაა საჭირო. სოკოები-სათვის კი ეს ცვარი მავნებელია. კარგს მეურნეს კი ყველაფერი თავის დროზე და თავის რიგზე აქვს.

ნიკიტამ თავი დააქნია:

— შენ, ტიხონ, თავში კეთილი აზრები რაღაც არ მოგდის...

— არა, მე კარგად ვაზროვნებ, მაგრამ თვალეებით ვერ ვაჩვენებ...

მერე ჩუმად გაიარეს ასიოდე ნაბიჯი. ნიკიტა თირს, ფეხებში იცქირებოდა, საკუთარს ლანდს ადევნებდა თვალეებს. ვიალოვი ფეხ-და-ფეხ მიყვებოდა მას და ნაჯახის ტარზე თითებს არაკუნებდა.

— ერთი წლის შემდეგ გეწვევი, ნიკიტა ილიასძე... გნახავ, გინდა?

— მეწვიე... მოდი. ცნობისმოყვარე კაცი ხარ.

— ეს მართალია.

ქუდი მოიხადა. შესდგა.

— რაკი ასეა: მშვიდობით, ნიკიტა ილიასძე!—მერე ლოყა მოიფხანა და ჩაფიქრებულად სთქვა:

— მე შენ მომწონხარ... უწყინარი სულის პატრონი ხარ. მამაშენს კი ხორციელი კკუა ახასიათებდა. შენ სულიერი ხარ რაღაც, გულითადი...

ნიკიტამ ჯოხი მიწაზე დააგდო, კუზი შეაქანა, რომ ზურგზე ხურჯინი გაესწორებინა და ტიხონს გადაეხვია. ტიხონმაც მაგრად შემოხვია თავისი თათები და ხმამაღლა ბეჯითად უთხრა:

— მაშ ასე, გეწვევი.

— გმადლობ.

იქ, სადაც გზა ფიქვენარში უხვევდა, ნიკიტა შესდგა და უკან მოიხედა.— ტიხონს ქუდი ილლიაში ამოეჩარნა, ხელებით ბარის ტარს დაყრდნობოდა და ისეთი სახით დამდგარიყო შუაგზაზე, თითქოს არავის გატარებას არ აპირებსო. დილის ნელი ქარი ქროდა და მის არასასიამოვნო თავზე თმას არხევდა.

შორიდან ტიხონი სულელ ანტონუშკას დამსგავსებოდა. ნიკიტა არტამონოვმა ამ ბხელით მოცულ ადამიანზე დაიწყო ფიქრი და გზას გაუდგა ნაბიჯის აჩქარებით. ხოლო მის მესხიერებაში ჩაცივებით გაისმა:

Христос воскрес, воскрес,

Кибитка потерял колесо.

(შემდეგი იქნება)

თარგ. ლეო ქიაჩელიძე.

ტრინიტატი უნივერსიტეტი კულტურული მემკვიდრეობა



საგარეო ურთიერთობების
დეპარტამენტი



განდიდებულთა და „დაგნუბთა“ შესახებ

გულითად მადლობას ვსწირავ, ვინც მომილოცა: მუშებს, ძველ ამხანაგ ბოლშევიკებს, კომკავშირელებს, ლიტერატორებს, მეცნიერებს, მუშაკორებს, გლეხკორებს და სხვებს, „ნათესავებს“ „სულით“, მუშაობით. განსაკუთრებით და არაჩვეულებრივ სიტყვებით მინდა გადავუხადო მადლობა მოწაფეებს, მაგრამ ასეთ სიტყვებს ვერ ვპოებ. ვიტყვი უბრალოთ: გმადლობთ, ახალგაზრდებო, გმადლობთ! ვიცი, რომ თქვენგან წამოიზრდებიან ასეული ადამიანები, ჩემზე გაცილებით უკეთესნი.

ამ დღეებში ორას დებეშაზე მეტი და, ალბათ, ამოდენივე წერილიც. ეს — ბევრია, და ამას, რასაკვირველია, არ მოველოდი. ვამაყოფ იმით, რომ მუშა ხალხი, კომუნისტების პარტია და საბჭოთა ინტელიგენცია ჩემს მუშაობას სასარგებლოთ სცნობს. ეს „მაახალგაზრდავებს“. ზოგი მიმლოცველი მიწოდებს „დიდს“. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს გულწრფელადაა ნათქვამი, მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ეს ზედმეტი სიტყვაა სიმღერაში. სრულებით ნორმალური ტანადობისა ვარ და არავითარ „განდიდებას“ ჩემს ფიგურაში არ ვგრძნობ. შემიძლია მხოლოდ ვადიარო, რომ კარგი მუშაკი ვარ, რადგან მიყვარს საკუთარი და ყოველგვარი შრომა. მაგრამ აქაც მე ვარ ადამიანი, რომელთა რიცხვი არც ისე მცირეა, ბევრიც იზრდება და ასეთივე უნდა იყოს ყოველი მუშა. მუშის ჩინი მიმაჩნია მაღალ ღირსებათ და ამ ჩინზე უფრო მაღლა სდგას მხოლოდ „მეცნიერულ მუშაკის“ ჩინი.

მწერალი არ ვარ მე „დიდი“, — ვარ ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო თითოეული დამწყები ჩვენს დროში. ჯერ კიდევ ნაადრევია სიტყვის დიდ ხელოვანთა შესახებ ლაპარაკი. ისინი იყვნენ წარსულში, მათგან უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ. სრულებით დარწმუნებული ვარ, მუშურ-გლეხური მასსა შექმნის და წამოაყენებს მათ ახლო მომავალში, მანამ კი შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ კარგ და ცუდ ლიტერატორების შესახებ. მე სავსებით დამაკმაყოფილებდა კარგი ლიტერატორის სახელწოდება, „დიდი“-ს ტიტულს კი ჩვენ შეველევი.

საზოგადოთ, მშიშარა არა ვარ, მაგრამ „განდიდება“ მაშინებს. ძველმა ბედურამ — კარგათ ვიცი პურის გულის გემო და ამავე დროს ცოტა არ მინახავს და ცოტას არ ვხედავ ხალხს, განდიდებით შეპყრობილს. განდიდების მიდრეკილება მაგნეა განდიდებულისათვის და განმადიდებელისათვის და, ცხადია, დი-

დათ არა სასიამოვნოა მათთვის, ვინც მას გარს ახვევია. ვშიშობ, გადაჭარბებულმა ქებამ არ დამაავადმყოფოს მეც ამ ავადმყოფობით, ის გაიზრდება „განდიდების მანიამდე“, რის გამოც კეულიდან შეშლილთ სახლში მომათავსებენ. „კარიერის“ კარგი დასასრული იქნება!

ალბათ, ეს ბუტბუტი ვინმეს გააცინებს, და ბევრიც ექვს შეიტანს ჩემს გულწრფელობაში. დეე იცინონ და ექვებიც შეიტანონ რაშიაღსაწერო, მაგრამ მომისმინონ.

* * *

ჩემს წინაშე ორგვარი შთაბეჭდილებაა. ვლებულობ ათეულ წერილებს მუშაკორებისაგან, გლებკორებისგან. პროვინციალურ ლიტწრეებისგან, — „დამწყებ“ მწერლებისგან. ისინი ერთხმით მოითხოვენ: „გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, გვასწავლეთ მხატვრულათ წერა“. მათ აქვთ კანონიერი უფლება მოსთხოვონ ძველ მწერალს მათი გაცნობა მუშაობის ტექნიკასთან. სამწუხაროთ, სწავლება არ მეხერხება, შემძლია მხოლოდ ვსთქვა, როგორ ვსწავლობდი თითონ, რაზედაც — ახლო მომავალში — ვუამბობ ახალგაზრდობას. ახალგაზრდობის მოთხოვნის სერიოზულობა უდაოა, ამის შესახებ საუცხოვოთ ლაპარაკობს ახალგარდა ლიტერატორების მიერ თავიანთ ტექნიკურ სისუსტის აღიარება, დაწყებულ საქმის სიმძიმის და მნიშვნელობის მათ მიერ შეგნება. ამ ხალხს აქვს სათქმელი. ისინი — „ახალი გამოცდილების“ ხალხია, რომლისათვის წყეულ ძველი მეშჩანობიდან ბევრი რამ გაუგებარია, ხოლო ზოგი რამ — ორგანიულად უცხოა და მტრული. ახალგაზრდობა არ კმაყოფილდება გაზეთებში კორესპონდენციებისა და შენიშვნების წერით, ყოველდღიურ გულისამრევ წვრილმანების დატუქსეის „შავი მუშაობით“ და ინსტიტუტურად გრძნობს „მხატვრული“ სიტყვით გაშუქების დანაგვეულ ნიადაგს, რომელზედაც აღმოცენდება ხოლმე ფინთი, ცუდი ყოფაცხოვრება. რასაკვირველია, აქედან სრულებით არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ახალგაზრდები გაურბიან „შავ“, საგაზეთო მუშაობას, მათ არ აქვთ შეგნებული ამ მუშაობის სიღიადე.

„თქვენ, ამხანაგო, გვიწოდეთ ჩვენ „ასსენიზატორები“ — მწერს ერთი მუშაკორთაგანი. — თითქოს შეურაცმყოფელი სიტყვაა, ჩაფიქრდები, გაიგებ: მართალია. ჩვენ, შავი ლუშები, ახალი ცოცხი ვართ, რომლებიც ვალდებული ვართ ცხოვრებიდან ყოველივე ცუდი გავცოცხოთ. რასაკვირველია, ამ საქმეში მალე „იქანცები“, მაგრამ ეს საქმე მაინც უნდა აკეთო“.

მეორე იწერება: „ცხადია, ფრჩხილებით ტალახს ვერ მოაცილებ, აქ საჭიროა ორთქლი და აღულებული წყალი, აქ უნდა შჩედრინივით იმოქმედო. ამას წინეთ წავიკითხე მე ორი მისი წიგნი, სახელგამის მიერ გამოცემული. ახ, ვფიქრობ, აი ასე ვისწავლიდე წერას, თუმც აქ ყველაფერს ვერ გაიგებ, ენა მძიმეა, ხოლო ქალაქ გლუპოვის ისტორია და ზღაპრები შესანიშნავადაა დაწერილი“.

მესამეს ურჩიეს ისწავლოს წერა ნევეროვისაგან, და ის სრულებით მართალს ლაპარაკობს: „ჩემის აზრით, ეს მწერალი მოდუნებულია და მოსაწყენი.

მისგან ვერაფერს ისწავლი, ყველაფერი იცი—ფაქტიც და ენაც. მე უფრო მომწონს სერგეი სემიონოვი და მამინ-სიბირიაკი, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, კაპიტალიზმის მავნებელმა მან იცის საესებით, სილამაზეც საკმაო თაა.

შემეძლო ასეთი აზრების მოყვანა არა სამის, არამედ ათეულების და ყველანი ისინი ლაპარაკობენ, რომ მუშურ-გლეხური მასსა—როგორც ეს, მოსალოდნელი იყო,—თავის წრიდან აყენებს ინტელექტუალურ ძალას, რომელიც ათეულ წლის შემდეგ უნდა აილოს ხელში საბჭოთა კავშირის პრესა და ლიტერატურა.

კარგათ ვიცი, რომ „დამწყობთა“ შორის არიან ყოყოჩები. ისინი ფიქრობენ, რომ უკვე საკმაოთ სწავლული არიან, თითქმის—გენიალურიც. არიან ახალგაზრდები, რომლებიც შემცდართ ფიქრობენ, რომ მწერლობა იოლი შრომაა. უკვე არიან „გრაფომანიით“ შეპყრობილნი, არიან, დაბოლოს, ახალგაზრდები, რომლებიც სწერენ: მხოლოდ წითელი მეღვინით და ამავე დროს ასე: „თქვენ დაგზრდიეთ ჩემი ცნობილი ფორმულა: ყველა ადამიანი ღორია“. ამ „ფორმალისტის“ მდგომარეობის და წლოვანობის დროს მეც, ალბათ, ვსწერდი ასეთ რამეს.

ან და სწერენ:

„თქვენ ამბობთ, რომ მე ცუდი დამკვირვებელი ვარ. ახ, მე მეზიზღება ეს ტურგენევი. მან „ისურვა“ დროის დაკარგვა ბუნების შესასწავლად“.

ან:

„ვიცი, რომ უცოდინარი ვარ, მაგრამ მეშინია ბურჟუაზიულ კულტურით მოწამელის“.

არიან ბიჭები, რომლებიც აცხადებენ, რომ შეუძლიათ „რამდენიმეთ შეასწორონ ეინშტეინის შედარებითი თეორია“, „შეიტანონ ფიზიკურ მეცნიერებაში გამასწორებელი ხაზები“, და საზოგადოთ არა ნაკლებათ არიან სახელდახელო მეცნიერები, ფილოსოფოსები და სხვადასხვა უაზროთ მროშავნი. მათი უმრავლესობა—ნაჭუჭია „საზოგადოების“, რევოლიუციის მიერ განადგურებულის,—ადამიანი, რომელსაც ეშინია „ბურჟუაზიულ“ კულტურის,—ტყავის მექარხნის შვილი, ეინშტეინის თეორიაში შესწორების შეტანა სურს ბანკის მოხელის შვილს და სხვ., ასეთ ტიპის მახინჯნი ყოველთვის იყვნენ. მათ ძირითად თვისებას შეადგენს სურვილი რაც შეიძლება ჩქარა წამოსუბდენ წინ, იქნენ შენიშნული რაც არ უნდა მოხდეს. ესენი ჩემის აზრით, არ არიან დამახასიათებელი საერთო მასსისა იმ ახალგაზრდების, რომლებიც ერთი ძველ ფილოსოფოსის მაგალითის მიხედვით მოითხოვენ:

„სცემე, მაგრამ ასწავლე“.

ეს ხალხი უდიდეს ყურადღებას და ყოველმხრივ დახმარებას იმსახურებს, რადგან, ვიმეორებ, ის ინტელექტუალური ძალაა მშრომელი ხალხის, მომავალი „კარგი“ ჟურნალისტები, მწერლები, ხალხი რევოლიუციონურ-კულტურულ საქმის და ძალა, მიმართული ბაყაყების ხელახლა დაწყებულ ყაყანის და მეშჩანობის წინააღმდეგ.

ცემა მათი—სცემენ სიამოვნებით, მაგრამ ასწავლიან ცუდათ და თითქმის ყოველთვის—მკაცრათ.

ეს—ერთი წყებაა ჩემი შთაბეჭდილების.

* * *

მეორე ასეთია:

ლიტერატორი, არა ახალგაზრდა, ცნობილი და საკმაოდ განდიდებული, მედიდურათ სწერს მეორე ლიტერატორს:

„თქვენ გვირჩევთ ვილაც...“

ამ „ვილაცას“ წიგნი მწერალს არ წაუკითხავს და, შესაძლოა, არც იცის, რომ მის შესახებ გამოქყვენებული იყო მუშების კარგი რეცენზიები: უნდა ვიფიქროთ, ეს რეცენზიები იწერებოდა არა გამომცემლობის, რეკლამის მოსაზრებით. არ წაუკითხავს, მაგრამ თავისი დიდების სიმალლიდან შეურაცმყოფელად უწოდებს მისთვის უცნობ „დამწყებთ“ — „ვილაც“.

უშნიშვნელო ფაქტია, რომ ის გამონაკლისი იყოს. მაგრამ, სამწუხაროთ, ასეთი ფაქტი მრავალია. მათში აშკარათ სჩანს ცნობილთა და განდიდებულთა არისტოკრატიული დამოკიდებულება „დამწყებთან“. პირადათ მე ამ „არისტოკრატიზმს“ ვთვლი მეშხანობათ და აქ ვამჩნევ ლიტერატურულ სინიდიის შეცვლას პროფესიონალურ შუღლით. იგრძნობება აქ აგრეთვე აშკარა ყოყობა მეშხანინის და თითქმის, შესაძლოა მისი შიში შეუჩერებლობისა პოზიციაზე, სადაც ის დააყენეს მოუფიქრებელ და არა ფრთხილ კრიტიკოსებმა, რომლებსაც სჯერათ, რომ სწორეთ ისინი ახდენენ „გენიალურ“ და ნიჭიერ ლიტერატორების ფაბრიკაციას. რაკი ვერ ვპოვებ სხვა სიტყვას, მე ვუწოდებ „ლიტერატურულ სინიდიის“ კმაყოფილების გრძნობას, რომელიც წარმოიშვება ყოველთვის, როცა მშრომელთა მსაა შობს და წამოაყენებს კიდევ ერთ ყრმას ნიჭის ნიშნებით შრომის ამა თუ იმ დარგში.

ამ კმაყოფილებას, ამ სიხარულს იმაზე, რომ „ჩვენს რაზმს მოემატა“, მე ვერ ვამჩნევ სახელოვან მწერლებში „დამწყებ“ მწერლების მიმართ. მე ვფიქრობ, რომ როგორც ყოველგვარი შრომა საბჭოთა კავშირში, ისე ლიტერატურაც უნდა იქნეს კოლექტიური შრომა, ამხანაგური შრომა, რომლის წარმატებისათვის აუცილებელია მშრომელთა ამხანაგური დამოკიდებულება.

პატივცემული „ძმები კალმის ნიადაგზე“, ჩემის აზრით, ნამეტან ჩქარა თვრებიან სახელით და ნამეტან შავათ უსვამენ ხაზს თავის „მე“-ს განდიდებას. „დამწყებთა“ საყურადღებოთ უნდა ვსთქვა, რომ სახელი—სითხეა მღვრიე ფერის, მუავე გემოსი და ის ცუდათ მოქმედობს სუსტ თავებზე, რომელიც იწვევს მის მიმღებში მძიმე სიმთვრალეს, „ლუდის“ მსგავსათ. ამ „მიკსტურის“ მიღება უნდა ხდებოდეს ფრთხილათ, არა უმეტესი ერთი სუფრის კოვზისა წელიწადში. გაძლიერებული დოზა იწვევს გულის გასუქებას, ყოყობის სიმსიმენეს, გადაფასებულ წარმოდგენას თავის თავზე, მოუთმენლობას და საზოგადოთ, ყოველგვარ ავადმყოფურ სიმახინჯეს.



ქართული
საბჭოთაო

* * *

„ცემა-ტყეპის გარეშე ვერ იცხოვრებ“ — ამბობდა ვ. ი. ლენინი. ის ყოველთვის ლაპარაკობდა იმას, „რაც უნდა“, — მშვენიერი ჩვეულება ჰქონდა მას.

ჩვენ ვუარვყოფთ მემკვიდრეობას — სთქვა მან 35 წლის წინეთ, და მთელ თავის ცხოვრებაში, მთელი თავის მუშაობით ამტკიცებდა, რომ — მართლაც არ უარყოფს არაფერ ძვირფასს ბურჟუაზიულ კულტურაში. ვფიქრობ, რომ ყველაზე უფრო ძვირფასს ბურჟუაზიულ კულტურაში ლენინი ხედავდა ტექნიკას, „ხელობას“ შრომის ყოველ დარგში, ლიტერატურის დარგშიაც კიდევ.

დიახ, „ცემა-ტყეპის გარეშე ვერ იცხოვრებ“. ამიტომ უთანხმოება, რომელიც არსებობს ლიტერატურულ დაჯგუფებათა შორის, სრულებით ბუნებრივია. ის იქნებოდა გაცილებით უფრო სასარგებლო, რომ „აღიარებული ნიჭები“ და ლიტერატურული „მამები“ არ ამწვავებდნენ მას თავისი თავმოყვარეობით, ყოყობით და არ შექონდნენ მასში ის შიშინაობა თავის პოზიციების დაკარგვისა, რომლის შესახებ ზევით ვლაპარაკობდი. ცნობილია, რომ „ტონი ქმნის მუსიკას“. ცალკე ლიტერატურულ დაჯგუფებათა წარმომადგენლები აწარმოებენ კამათს თავიანთ შორის ისეთი ტონით, რომელიც უღირსია ამხანაგებისათვის, ხალხისათვის, რომლებიც აკეთებენ ერთ, კოლექტიურ საქმეს. ლიტერატურული დავა რომ სწარმოებდეს იდეოლოგიურათ უფრო მკაცრ, მშვიდობიან და უფრო სერიოზულ ნაკლებათ ლაშქრული და პირად ანგარიშებს მოკლებულ ტონით, — პროვინციალური ლიტერატურული წრეები ვერ დასწერდნენ ასეთ სამართლიან განცხადებას:

„ერთ-ერთ დაბრკოლებათ ჩვენ სწავლაში ითვლება ლიტერატურულ დაჯგუფებათა და მიმდინარეობათა მწვავე ბრძოლა, ძალიან ძნელია წერა, — და ისწავლო წერა, — განუწყვეტელ შფოთსა და ცემა-ტყეპაში“.

ასეთი უკმაყოფილება მე ვიცი ბევრი, და ყველა ისინი გარკვევით ლაპარაკობენ, რომ დავის ტონის წყალობით, დავის აზრი ახალგაზრდობისათვის ბუნდოვანი რჩება და ერთმანეთის „შულს“ ახალგაზრდობა კარგათ გრძნობს. და ეს ბუნებრივია, რადგან დავაში პირადი მოტივი ძალიან მკაფიოთ მოისმის და იმდენად პრიმიტიულადაც, რომ ერთი რუსკორი სწერს: „...პატიოსან პროლეტარულ სულს კარგათ ესმის ამ ხმაურში ყაფანი, ვაჭრობა“.

ამას წინეთ სამმა ლიტერატორმა: ავერბახმა, ბეზიმენსკიმ და მაიაკოვსკიმ ერთსულოვნად წაუსიეს თავიანთი თავმოყვარეობის ძალი პოეტ ივანე მოლჩანოვს, — ჩემის აზრით, კარგ პოეტს. ვიცი, რომ ბეზიმენსკი, — რომელსაც, რომ არ ჩქარობდეს, შეეძლო კარგ პოეტათ გახდომა, — ბეზიმენსკი არ დამეთანხმება. ავერბახიც მაიაკოვსკისთან ერთად არ დამეთანხმება. მაგრამ რა, დეე ნუ დამეთანხმებიან. ივანე მოლჩანოვი დამნაშავეა იმაში, რომ დასწერა ლექსი „Свидание“ და მასში განაცხადა: „Она: красивей и стройней“. ეს დანაშაული ბიოლოგიურათ გამართლებულია და იმდენათ ახასიათებს ადამიანს, რომ არასოდეს არ მიჩნეულა დანაშაულათ. მეორე პოეტი, კიდევ ძალიან ნიჭიერი და, შეიძლება ვიფიქროთ, სავსებით გამოსადეგ ნიჭის შემდეგ განვითარებისათვის,

ალექსანდრე ჯაროვი, თავის „Послание к женщине“-ში მოითხოვდა ქალისგან, რომ მას „მოეხსნა ჩემები“ და საზოგადოთ ჩაეცვა, თუმცა მას, ვინ იცის, ეგებ არც კი ქონდა რამე ჩასაცმელი. სრულებით დასაშვებია, რომ მოლჩანოვი ჩააგონა „შესაცოდავათ“ მისმა მთელმა რიგმა ასეთმა განცხადებამ. უკანასკნელ ორ-სამ წელში ქალიშვილებს და ქალებს საკმაოდ ხშირათ აჯერებდნენ ლექსებსა და პროზაში.

— ჩაიცივით!

პოეტებს და პროზაიკოსებს ლამაზსა და კარგათ ჩაცმულ ქალიშვილებზე მოთხოვნილება ეზრდებათ მეტად ჩქარა და არა იშვიათად ლებულობს ეს მოთხოვნილება მართლაც დაუშვებელ ფორმებს. არ ვამჩნევთ, რათა იდეოლოგიურათ გამძლე მწერლებს, — რომლებიც კიდევ არ სჩანან, — აელოთ თავიანთ „შემოქმედების“ გმირ ქალათ მახინჯი ქალიშვილები. ალბათ, ბეზიმენსკის, — რომელიც აგრე მკაცრია ლექსებში, რომელმაც ასეთ ალტაცებით დასწერა თავდასხმის წერილი მოლჩანოვზე, — ცხოვრებაში ძალიან უყვარს სწორეთ „ლამაზი და მოყვანილი“. მაგრამ მე არ ვიცი, პირადი განწყობილება „ლამაზსა და მოყვანილისადმი“ გამოხატა მოლჩანოვმა ლექსში, თუ იგი მოექცა „მოდურ თემის“ გავლენის ქვეშ, ე. ი. გავლენის ქვეშ იმ ნახშირმკვებისა, რომელსაც გამოყოფს ხოლმე მეშჩანოვის სუნთქვა? ნუ თუ მოლჩანოვი და მაგის მსგავსნი დამნაშავე არიან იმაში, რომ „ახალი ყოფა-ცხოვრების“ შესაქმნელად ისინი საჭიროთ სცნობენ „ლამაზისა და მოყვანილის“, ამავე დროს კარგათ ჩაცმულ ქალის მონაწილეობას. აქ მოლჩანოვებზე უსათუოდ ბრძანებლობს ბიოლოგია — ერთის მხრივ და მეორე მხრივ, — ის „მტერი“, რომელიც ზის „ჩვენს თავის ქალას ქვეშ“ და რომლის დამარცხების აუცილებლობაზე ძალიან კარგათ სთქვა ამას წინეთ ნ. ი. ბუხარინმა წერილში „О старинных традициях“ და სხ. („Революция и культура“ № 1.)

დიახ, ამ მტრის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ სასტიკათ, დაუღალავათ; მისი დამარცხება აუცილებელია, მხოლოდ არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ მოლჩანოვის მაგალითსა და სხვა მსგავს მაგალითში ბრძოლა სწარმოებს წინააღმდეგ ამხანაგისა, რომელსაც, შეიძლება „წამოსცდა“ — და არა შთამომავლობითი და დახავსებულ მეშჩანოვის წინააღმდეგ.

* * *

ი. მოლჩანოვის მაგალითში ძალიან მნიშვნელოვანია მოლჩანოვის ბიოგრაფია. ექვსი წლის ბავში მოლჩანოვი წაყვა ყრუ ბაბუას „по миру“, „по милостину“, „по кусочки“. შემდეგ ის ორი წელი იყო „ბიჭათ“ ვაჭართან, ვერ მოითმინა, დაბრუნდა სოფლად. იყო მწყემსათ, მტვირთავათ რკინის გზაზე, შავ მუშათ, დარაჯათ დეპოში. თვითნებით შევიდა წითელ ჯარში, იყო დაქრილი. სამოქალაქო ომის შემდეგ — კვლავ დარაჯი. 21 წლიდან დაიწყო სწავლა, დაიარებოდა სკოლის გარეშე განათლების კურსებზე. მეცადინეობაში ხელს უშლიდა „საზოგადოებრივ მუშაობით დიდი დატვირთვა“. გახდა მუშკორი, სწერდა შენიშვნებს „Гудок“-ში. 24 წელში შევიდა „ქურნალისტიკის სახელმწიფო ინსტიტუტში“,

გადავიდა მეორე კურსზე. მაგრამ აქ მისმა ორგანიზმმა ვერ აიტანა „დატვირთვა“: მოლჩანოვი ავად გახდა ნევრასტენიითა და ტუბერკულოზით—მწვავე ფორმებში. ეს მეტად ტიპური ბიოგრაფიაა. ასეთი ბიოგრაფია ჩვენში—ათასობით ითვლება. ვფიქრობ, რომ ჩემთვის რამოდენიმეთ იოლია, ვინემ „ზნობათა ცენზორებისთვის“, გაგება იმისა, თუ რა უჯდება ხალხს ასეთი ცხოვრების წარმოშობა. გამოვდივარ რა მოლჩანოვის დასაცავათ, დაწინაურებული ვარ, რომ ვაკეთებ საქმეს, რომელიც მოვალე ვარ გავაკეთო, როგორც რევოლუციონერი და ლიტერატორმა. მე ვეუბნები „ზნობათა ცენზორებს“: ისეთ ტიპის და „განათლების“ ხალხთან, როგორიცაა მოლჩანოვი, უნდა შემოღებულ იქნას სხვაგვარი დამოკიდებულება, ეს ხალხი უნდა დაეფასოს და მას გულმოდგინეთ ვასწავლოთ და არა ვუყვიროთ და ვუყეფოთ მათ. ვინ ყვირის? ავერბახი,—ალბათ, ადამიანი ინტელიგენტების წრიდან, მაიაკოვსკი—ინტელიგენტი—ანარქისტი, ბეზიმენსკი—ვაჭრის შვილი. სამივე—ხალხია, რომელსაც არ უყნოსია იმ თოფის წამლით, რომლითაც ყნოსავდა მოლჩანოვი. თუ ეს სახელმძღვანელო ხალხი ფიქრობს, რომ მას აქვს უნარი უმცროს ძმათა სწავლების და აღზრდის, მან უპირველესად ყოვლისა უნდა ისწავლოს თითონ. თუ როგორ ფორმებში შეიძლება ეს მოხდეს „მოწაფეთა“ შეურაცყოფის გარეშე.

ჩვენ მართლაც თუ გვსურს შევქმნათ ახალი უფრო „ადამიანური“ დამოკიდებულება ადამიანებს შორის, ჩვენ, აშკარაა, უნდა მივყოთ ხელი „ახალი კულტურის“ შექმნას საკუთარ წრეში. ახალი კულტურა იწყება მშრომელი ადამიანის პატივისცემით, შრომის პატივისცემით.

არა ყოველი შეცდომა და „წამოცდენა“ არის ერესი. მაგრამ აი ბუხარინის მიერ მოყვანილი ლექსი მაიაკოვსკიდან:

И когда мне говорят, что труд еще и еще,
 Будто хрен натирают на заржавленной терке,
 Я ласково спрашиваю, взяв за плечо:
 А вы прикупаете к пятерке?

აი სწორედ ეს არის ავი ერესი, რადგან ესაა მეშხანური ანარქიზმი. და როცა ბეზიმენსკი აფრქვევს ელვა-ქუბილს მოლჩანოვზე და ეუბნება მას:

Ты братец, грома не достоин
 И не достоин кулака.

— ეს, ჩემის აზრით ხულიგნობაა.

ავერბახის წერილი „О старой пошлости“ არაფერს ასწავლის მოლჩანოვებს, ამ წერილს შეუძლია მხოლოდ შეურაცყოს ხალხი, რომელმაც დაიმსახურა მისდამი სხვანაირი, ამხანაგური დამოკიდებულების უფლება.



პრიტიკული ჟანიშვნები

ილია ერენბურგი

Рожденный вчера, люблю я
вчерашнюю мудрость,
Был на запад мой лик обращен,
Предавши мертвого бога, я
никогда не забуду,
Его грозных и детских имен.
(„Раздумье“. Эрэнбург II.)

I

ერენბურგი სკეპტიკია. მას არ სწამს კაცობრიობის უკეთესი მომავალი. ზვალინდელი დღე — ნგრევის და საბოლოო დაღუპვის დღეა, ეხლანდელი ცხოვრება მხოლოდ ფურთხის ღირსია. — სწორედ იმ ფურთხის — რომლითაც ასე ისახელა თავი ხურენიტოს ყველაზე უფრო საინტერესო მოწაფემ — ერკოლე ბამბუჩიმ. წარსული, გუშინდელი დღე? ვითომც მიყვარსო ამბობს ენერბურგი. „Рожденный вчера люблю я вчерашнюю мудрость“. — ეს სიტყვები მას ეკუთვნის. მაგრამ რა ფასი აქვს უკვე დაღუპულს, სამარეს მიბარებულს. ეს ხომ მხოლოდ სენტიმენტალურ გრძნობების მქონის საქმეა! ერენბურგი კი ყველაზედ უფრო მკაცრი მტერია ყოველგვარ გრძნობების, არამცთუ უფესვო სენტიმენტების... „მასწავლებელი“ ხულიო ხომ ამას გვასწავლის ფეხის ყოველ გადადგმაზე. ეს კარგად იცის ერენბურგმა და ამიტომაც იქვე ამბობს, რომ ეს გუშინდელი სიბრძნე მკვდარი ღმერთია და შე უკვე უღალატე მასო. მხოლოდ მართო საბელი დარჩენილა გუშინდელი ღმერთების — საშიში (ვისთვის?) და ბავშური.

მაშ ასე: გუშინდელი დღე მხოლოდ მკვდარი ღმერთების მოგონების დღეა, მომავალი — ვინ იცის? შეიძლება ათასი წლის შემდეგ რაღაც ხეირი იქნეს, მაგრამ ათასი წლის შემდეგ ვიქნებით კი? — ტრესტ D. E. — როგორღაც არ იძლევა ამის იმედს:

დღევანდელი დღე კი — მხოლოდ ხულიო ხურენიტოს „პროვოკაციის“ ღირსია. კაპიტალიზმი — ძველი წესწყობილება — განწირულია, — მაგრამ მოსკოვიც დაინგრევა ბერლინთან და პარიზთან ერთად... — მართალია, ამბობენ, რომ

სახკომსაბქო და ცე-კა ჩიტაში გადაბარგდაო, მაგრამ რა აზრი აქვს ჩიტას არსებობას, როდესაც ევროპა უდაბნოა და ევროპიელები — გადარჩენილი ერთეულები — ტყეში ველურებად დაეხეტებიან. შეიძლება აზია იტყვის ახალ სიტყვას; კაცობრიობის — თუ გინდ უევროპოთაც — მომავალს ის გამოსკედს, უკეთეს/მომავალს. მაგრამ განა ჩვენ არ ვიცით თუ რას ამბობს აზიელების შესახებ ილია ერენბურგი — ე. ი. ხულიო ხურენიტო?

სიზღორობა

რასაკვირველია ორთქმავალი ძალიან რთული საგანია და ამ სპარსელს სად შეუძლია მისი გაკეთება, მაგრამ დამახრვევით კი!! დიდი სიამონებითაც!!

სპარსელი აქ ნიშნავს ყველა იმ ხალხებს, რომელთა წარმომადგენლებიც დაესწრენ ბაქოს „აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობას“. ყრილობაზე კი თითქმის მთელი აზია იყო.

ცხადია ერენბურგს არ ჯერა რევოლიუციის გამარჯვება — ე. ი. იმ მიზნების განხორციელება, რომლებიც დაისაბა მან. ამიტომაც არის იგი ასეთი უზომო სკეპტიციზმით გატენილი რევოლიუციის მიმართ.

არავინ გაგვიგოს ეს ისე, თითქოს ერენბურგი მტერი იყოს რევოლიუციის — არავითარ შემთხვევაში. რა აქვს სამტრო მას რევოლიუციასთან?! პირიქით. სუბიექტურად ის მზად არის ყველაფერში შეგვიწყოს ხელი, მაგრამ რა ქნას? არ ჯერა მას რევოლიუციის გამარჯვება... და მართლა, ან როგორ უნდა დაიჯეროს ეს, როდესაც თვით კაცობრიობის მომავალიც არ სწამს — ე. ი. ეს მომავალი მისთვის უდაბნოთი თავდება... ერენბურგი არ არის დაინტერესებული ახალი ქვეყნის დამარცხებაში, რადგან არ სურს ძველის გამარჯვება; არც ჯერა ამის შესაძლებლობა. ძველი მკვდარია. ვინ გააცოცხლებს მას? საჭიროც არ არის. მაშ მიწა და ქვები... — რაც შეიძლება მეტი მიწა და ქვები მივაყაროთ მის საფლავს. ასე ამბობენ ერენბურგის ყველა ნაწერები — მას შემდეგ რაც ერენბურგმა „ფეხები“ იცვალა — რეაქციის კაობიდან ამოძვრა. ამიტომ ვიმეორებთ, შემცდარი იქნება, ერენბურგი რეაქციის მომხრეთა ბანაკს მივაკუთვნოთ. ამიტომ არიან შემცდარი ისინი, რომლებიც ერენბურგის ნაწარმოებთა შესახებ ასე ამბობენ: „timeo Danaos et dona farentes“.

შემცდარია ეს აზრი: არ არის ერენბურგი დანაელი, არც არავითარი საჩუქრები მოაქვს მას ჩვენთვის. არ ვარგა მოწინააღმდეგის არ დაფასება. შეიძლება უკეთესიც იყოს გადაამეტო მისი ძალები; მაგრამ საზღვარია აქ საჭირო. რადგან არც პანიკიორობა „ვარგა“ მაინც და მაინც. მტერი დავინახოთ იქ სადაც იგი არის ნამდვილათ. ილიუზიებს მტრის არ არსებობის შესახებ ნუ შეეჭმნით. მაგრამ პუშკინის ვანიასავით ლომებს ნუ დავინახავთ იქ სადაც მხოლოდ კურდღლები თამაშობენ. ასე ლაჩრებს ემართებათ.

ერენბურგი კლასს მოწყეტილი მწერალია. იგი ეკუთვნის ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი შეიქნა იმპერიალისტური ომის შემდეგ. ომმა მოსწყვიტა ისინი ძველ ქვეყანას — ძველ კლასს იმიტომ, რომ ძლიერად შეირყა ეს ძველი ქვეყანა. დაიმსხვრენ ძველი კერპები, დაიხოცნენ ძველი ღმერთები, ძმობა-ერთობა-თავისუფლება — სისხლში და დახოცილ

ადამიანთა შიგნეულობაში დაისვარა მათთვისაც, ვისაც კიდევ ჯეროდა მათი არსებობა და ცხოველმყოფელობა ძველი ქვეყნის ბატონობის დროს. კლემანსომ და ლოიდ-ჯორჯმა—მათი სახით კი ძველი ქვეყანა მოქმედებდა—ფარდა ახადეს, საბოლოოდ გაატიტვლეს თავისი კლასის ზრახვები და მიზნები. ვილსონის გაკოტრება ხომ ხავსებით სკანდალური შეიქნა. ურწმუნო დომებიც დარწმუნდნენ, თუ საით მიგყევართ დოლარს და სტერლინგს. ურწმუნო დომები კი ბლომათ იყვნენ... განსაკუთრებით ეგრედწოდებულ „გონებრივ მომუშავეთა“ წრეებში. მაგრამ ეს დარწმუნება კიდევ არ იყო საკმაო რევოლიუციების მისაღებად. ეს იყო მხოლოდ ერთი ნაბიჯი წინ—ძველიდან ახალისაკენ, მაგრამ ეს არ იყო სრულებითაც საკმაო რევოლიუციებამდე მისასვლელად, ამისათვის საჭირო იყო კიდევ ახალი—და არა ერთი და ორი გაბედული ნაბიჯები წინ. ზოგიერთებმა—არა ბევრმა მოახერხეს ეს. ძველი დაგმეს, შუა გზაზე არ შეჩერდნენ—რევოლიუციაში დაინახეს გამოსავალი. ასე გაბედულად მოვიდნენ რევოლიუციასთან; ანატოლ ფრანსი, ანრი ბარბიუსი, პანაიტ ისტრატი, ტიმირიაზევი და კიდევ სხვები. ზოგიერთები შუა გზაზე შეჩერდნენ: ძველს მოშორდნენ—კიდევაც ებრძვიან მას—მაგრამ ზოგიერთ რამეებს რევოლიუციისათვის მიუღებელს იტოვებენ მისგან. ახალთან არიან ვითომც—მაგრამ ბევრ რამეებს ამ ახალში—ურომლებოთაც ეს ახალი აუცილებელივ დაიღუპება—არ ღებულობენ. ასე დაემართა რომენ როლანს, კიდევ უფრო ბერნარდ შოუს და სხვებს. მაგრამ არიან კიდევ ისეთები, რომლებმაც ძველი ღმერთების დაღუპვასთან ერთად დაღუპულად გამოაცხადეს მთელი კაცობრიობა. ომის კატასტროფა ისე მაგრად დაეცა მათ გონებას, რომ ამ კატასტროფაში ადამიანობის კატასტროფა დაინახეს. შპენგლერმა ტრალიკულად დაიტირა ევროპა თავის „ევროპის დაისში“, —ვიჰელმის გერმანიის დანგრევა (კაუცკების წყალობით ეს დანგრევა არც თუ ისე სრული გამოდგა!) მან მთელი ევროპის დაღუპვით გამოაცხადა. იმედ გაცრუებული გერმანელი ნაციონალისტი მსოფლიოს უბედობის დამჭირებლად იქცა. გასაკვირი აქ მაინც და მაინც არაფერი იყო; არც ახალი. ფილოსოფია, როგორც ყველა სხვა დარგები, ადამიანის გონების ნაყოფიერებისა—არსებულის გამომხატველია. ეს ძველადვე იყო ცნობილი. ილია ერენბურგის ფილოსოფიის ფესვებიც სწორედ იმ წვენიტ იკვებება, როგორც ოსვალდ შპენგლერის. ცხადია გარჩევა დიდია—ისევე დიდი—როგორც დიდია გარჩევა—მოანარქისტო წვრილბურჟუას იდეალებსა და თუ გინდ კრუპის გეგმებს შორის. შპენგლერის პესიმიზმი—ეს გერმანიის მიწაზე დანარცხებულ—ოდესლაც ძლევამოსილი—კაპიტალისტური ნაციონალიზმის ტირილია; ერენბურგის სკეპტიციზმი კი—პარიზში გადაბარგებულ რუს ლიტერატურულ ბოგემის ფეხზე-მკიდიაობაა: ყველაფერი იღუპება... Ну и чорт с ним!

გაიკვირებენ: სად შპენგლერი და სად ერენბურგი: სად დეიტჩლანდის მსოფლიო ბატონობის იმედების კრახი და სად პარიზის ლიტერატურულ კაფეების ოცნებათა გაკოტრება!! პროპორცია დავიცვათ და გასაკვირი არაფერი იქნება. ხულიო ხურენიტოს ხომ ემსახურებოდნენ ღირსეულად: გერმანელი გენერალი შმიდტი და რუსი ინტელიგენტი ალექსეი სპირიდონიჩი?

რუსი ინტელიგენტი—დევნილი ებრაულობიდან, დოსტოევსკის მოწაფე და ანდრეევის სულიერი მეგობარი, პარიზის ლიტერატურულ კაფეებში აღზრდილი, ერთ დროს ბოლშევიკი, შემდეგ ურა პატრიოტი და „ბირჟევკას“ თანამშრომელი, მონარქისტ მატერიალისტი, 1905 წელში ყოველგვარ ღმერთების „დამნაზღვრევი“,—ემიგრაციაში კი საშვალსო საუკუნეების მოტრფიალე, ეგნატე ლოიოლას მოწაფე და კანდიდატი ბენედიქტიელთა მონასტერში ბერად აღსაყვანად, ოქტომბერში რუსეთის დაღუპვა „შეიგრძნო“ და დასწერა: „ლოცვები რუსეთზე“, კიევში ოთხი მთავრობა გამოიცვალა და ოთხივეს მტერიც იყო და მოყვარეც, შემდეგ მიიღო რევოლიუცია, მაგრამ იჯდა ჩეკაში როგორც „ვრანგელის აგენტი“ (ცხადია არ ყოფილა!), ქართველ ყანწელების და ფრანგ დეკადენტების ძმა და მეგობარი,—იღია ერენბურგი ნამდვილი ტიპია ლიტერატურული ბოჰემისა. მის შემოქმედებას აკლია საფუძველი, რადგან ის ძველ კლასს მოწყვეტია და ახალი ვერ მოუნახავს, კაპიტალისტურ ქაოსში აღზრდილი,—მას არ სწამს მისი ხანგრძლიობა, მაგრამ გამოსავალი გზა არა აქვს და ამიტომ ყველაფერს დასცინის. ბერლინით და პარიზით მოსკოვს ებრძვის, მოსკოვით კი ბერლინსა და პარიზს ემუქრება, ქვეყნის ხსნა მხოლოდ... მის დაღუპვაშია. მაგრამ, რადგანაც ქვეყანა თავის თავადაც იღუპება, ამიტომ მიუშვით ყველაფერი თავის ნებაზე:—კომუნისტიც და მონარქისტიც ერთ და იმავე საქმეს აკეთებენ. —ვიქტორ ბრანდერი პატიოსნაო ემსახურებოდა ჯერ პარიზს და შემდეგ მოსკოვს... შმიდტი გონდენბერგის გენერალი იყო, მერე ერთ-ერთი მეთაური საბჭოთა ჯარების. იქაც მართალი იყო და აქაც. იქაც ქვეყნის დაღუპვას ემსახურებოდა და აქაც. ზანგი აიშა, რომელიც თავისივე ხელით გაკეთებულ კუჩალებს სცემს თაყვანს—კომინტერნის პასუხის მგებელი მომუშავეა, ერკოლე ბამბუჩი კაცობრიობას მით ემსახურება, რომ ფენომენალურ სიგრძით იფურთხება; ყველაზედ უფრო პატივსაცემი ხელობა იდეების პროვოკატორობაა, რადგან ამით ყველაზე უფრო ეწყობა ხელი ბუნებრივ პროცესებს ადამიანის წინ-სვლაში—ე. ი. საერთო დაღუპვაში. დიდი მასწავლებელი ხულიო ხურენიტო ჩექმეზისათვის კვდება. ნიკოლაი კურბოვი—სიყვარულისათვის... ხოლო ერთი და იგივეა...

ერენბურგი ყველაფერს დასცინის. პესიმიზმი მან სკეპტიციზმში ჩაკლა. სკეპტიკობაც უნდა ცინიზმით შესცვალოს... მაგრამ არ გამოდის... ერენბურგის სიცილში—ცრემლები არ მოსჩანს, მაგრამ სადღაც შორს, შორს—უიმედობის, ნწუხარების ჰანგებს მოისმენთ. ტრაგედია საფუძველს მოწყვეტილ ადამიანებისა—სიცილით ვერ ამოიწურება, რადგან ტანჯვაც ბევრია აქ...

II

ერენბურგის ნაწერებში პირველი ადგილი „ხულიო ხურენიტოს“ უნდა მივაკუთნოთ. და არა იმიტომ, რომ „ხულიო ხურენიტო“-თი დაიწყო ერენბურგმა რომანების წერა—არამედ იმიტომ, რომ ეს წიგნი ნიჭიერად არის შესრულებული. მთელი სიძლიერე ერენბურგის—სარკაზმით სავსე კალამის ამ წიგნში გამოჩნდა. ერენბურგის არც ერთ სხვა შემდეგ შესრულებული ნაწარ-

შოები არ იძლევა ისეთ იშვიათი სიძლიერის შთაბეჭდილებას, როგორც „ხულიო ხურენიტო“. საერთოდ ერენბურგი, როგორც მხატვარი არ ჩაითვლება ძლიერად. ამ მხრით ის ჩამოუვარდება ბაბელსაც და პილნიაცაც. მისი უმთავრესი ნაკლი სქემატიურობაშია. ანტისენტიმენტალისტი ბუნებრივად, იგი ნაწარმოებსაც უკარგავს აუცილებელ საჭირო გრძობიერებებს. მისი სიტყვა მშრალია, თუმცა ეფექტიანი. მას არ ეხერხება ფსიქოლოგიურ ფაქტებს და მოვლენებს საინტერესოდ ალაგებს. მას აკლია ეკონომია საერთოდ—თუმცა ცალკე წინადადებებს ეკონომიურად აშენებს, მისი სიტყვა მჭრელია, მაგრამ ხშირად მეორდება იგი. ფელეტონის ელფერი—უთუოდ აზის ერენბურგის თითქმის ყველა ნაწერებს. ერთის მხრივ ეს გარეგნულ სიცოცხლეს აძლევს ნაწარმოებს, მაგრამ ზერელედ ხდის მას. თანამედროვე ქალაქის ჩქარ მაჯისცემას შეგუებია ერენბურგის სტილი; ამიტომ ასე ადვილად და ინტერესით იკითხება ერენბურგი. ის არ ავადმყოფობს ოდნავათაც ანდრეი ბელის მისტიურობით—სტილშიაც. ამ მხრივ ერენბურგი ბაბელთან ერთად სამაგალითო მწერლად უნდა ჩაითვალოს. თანამედროვე მკითხველი სწორედ ასეთ სიტყვას და წინადადებებს მოითხოვს: ცოტა აჩქარებულს, მსუბუქს, ადვილად გასაგებს, მოკლეს. აბა ვის სცალია ბელის ქაოტიურ სიტყვებზე საათობით ჯდომა!!.

ერენბურგმა აგრეთვე იცის ის, რაიც უდიდეს ნაკლს წარმოადგენს მრავალ თანამედროვე მწერლისა. ფაქტების საინტერესოდ დალაგება, ნაწერის კვანძის და ამბების სათანადოთ გაშლა... ხშირად ის გადაჭარბებაშიც ვარდება. ეფექტიანობა ხანდისხან ავანტიურაში გადადის. ავანტიურულ რომანის ხასიათი აქვს—მაგალითად ერენბურგის ყველაზე უფრო სუსტ ნაწერს „Любовь Жанны Ней“.

ერენბურგის უდადეს დადებით მხარეს, როგორც მწერლისას წარმოადგენს ისიც, რომ ერენბურგმა ბევრი რამ იცის, ბევრი უნახავს, ბევრი თავს გადახდენია. ის არ სწერს სხვისი სიტყვებით ნასწავლს. მის ყურებს რა არ სმენია, თვალს რა არ უნახავს. ერენბურგი დიდი ჰორიზონტის პატრონია. მრავალ წლების ხეტიალს უნაყოფოდ არ ჩაუვლია მისთვის. პოლიტიკაშიც არ არის მაინც და მაინც უღონო. კარგად იცნობს ძველი ქვეყნის პოლიტიკას—ე. ი. ბატონობის სისტემას. ბოლშევიკებთან ყოფნას (ერთ დროს) ბევრი რამ შეუძენია მისთვის.

ერენბურგი უაღრესად ინტერნაციონალური მწერალია. შოვინიზმის შხამის წვეთებიც არ მოინახება მის არც ერთ ნაწარმოებში. ამ მხრივ ერენბურგი ღირსია გორკის ამოუყენოთ ქვერდით.

და სწორედ „ხულიო ხურენიტოში“ არის მკვეთრად მოცემული სარკასტიული ენით შესრულებული ინტერნაციონალური კრიტიკა ძველი ქვეყნისა. ძნელად მოიპოვება მეორე თანამედროვე ნაწარმოები, რომელშიაც ასეთი გაბედულობით, დაჯერებით გულწრფელად და დაუზოგავათ იყოს ჯვარს-ცმული ძველი ქვეყანა. ეს წიგნი სამართლიანად ჩაითვლება უსაზღვარო ზიზლის და აღშფოთების პროტესტად კაპიტალისტურ ევროპის მიმართ. ხულიო ხურენიტოს მოძღვრება, ცხადია ჩვენთვის, არ არის მისაღები თავის მიზნების მახედ-

ვით, მაგრამ როგორც კრიტიკას ევროპის დემოკრატიისა, — ჩვენ ორივე ხელს მოვაწერთ მას. რომანის კომპოზიცია ორგინალურად არის შესრულებული. ამბავი ეფექტიანად გაშლილი. მოთხრობილია საკვირველი და თავის საკვირველებაში ჩვეულებრივი თავგადასავალი მექსიკანელ ხულიო ხურენიტოსი. მახვილი ენა, პარადოქსალური, მაგრამ ცოცხალი და გესლიანი აზრები, უდიდესი ცოდნა ევროპის კულისების იქით დაფარულ „დემოკრატიულ“ ამბებზე და აზრებისა — სარკაზმით აღსავსე კრიტიკა — ძველ ქვეყანაში გამეფებულ „წესებებსა“ — აი ხურენიტოს ფილოსოფია. მაგრამ ხურენიტო არ არის მარტო, მას თან დაყვება მასი მოწაფეები: შვიდნი არიან ისინი: ალექსეი სპირიდონიჩი ტიშინი, ზანგი აიშა, მისტერ კული, ერკოლე ბამბუჩი, მუსიე დელე, გერმანელი შმიდტი და თვით ილია ერენბურგი. საკვირველი სიცოხლით და მხატვრული სიძლიერით ყავს ერენბურგს დახატული ეს მოწაფეები. დაუვიწყარი ალექსეი სპირიდონიჩი ხერხემალ გატეხილი რუსი ინტელიგენტია. სალტიკოვის სატირების გმირებს არ ჩამოუვარდება ალექსეი სპირიდონიჩი. ერთხელ ვიღაც „შემჩნეული“ რამდენიმე დღე თავს ინახავდა მასთან — შეშინებული ალექსეი სპირიდონიჩი — ევროპაში „გაიპარება“, რასაკვირველია პოლიციის ნებართვით. ევროპაში თავი ემიგრანტად მოაქვს და უნდა მიეკედლოს რომელიმე ორგანიზაციას: ბოლოს ამოირჩევს „სოციალ-რევოლუციონერთა დამხმარე ჯგუფს“ და საეკლესიო გუნდის მეგობართა საზოგადოებას“. დიდხანს ფიქრობს, რომელის წევრი გახდეს: შემდეგ ორივეში შევა. დაეძებს ყოველთვის ადამიანს, თუმცა თვითონ ყველაზე ნაკლებად წააგვს მას. ომს „აღფრთოვანებით“ ეგებება. ოცნებობს წმინდა ჯვრის აღმართვაზე აია-სოფიის თავზე. სტამბოლის და დარდანელის დაპყრობა ხომ „ქრისტეს“ გამარჯვებათ მიაჩნია; ჩაეწერება უცხოელთა ლეგიონში — აფრიკაში აწყნარებს საფრანგეთის წინააღმდეგ აჯანყებულ ზანგებს. შემთხვევით მოკლავს ერთ ზანგს და შემდეგ სასოწარკვეთილებით შესჩივლებს მასწავლებელს: მითხარით, ღვთის გულისათვის, როგორ მოხდა ეს? მე ვიბრძოდი რუსეთის გადასარჩენად, კაცობრიობის ბედნიერებისათვის; მზად ვიყავ ყოველგვარი ტანჯვა-წვალება ამეტანა ამისათვის. ქრისტეს ვიცავდი მეგონა და ამის მაგივრად მოვკალი ვიღაც ზანგი! რატომ, რისთვის? მე ხომ ადამიანი ვარ და ჩემში ხომ არის ღვთაებრივი საწყისი? როგორ დავეცი ასე უსაზღვროთ?!

ხულიო უპასუხებს:

— შენ საბრალო მონა ხარ მისტერ კულის, მისტერ კული კი მონაა თავის დოლარის, დოლარმა კი იცის თუ რატომ უნდა მოგეკლა შენ ურჩი ზანგი. დროა, დრო, ჩემო ალექსეი სპირიდონიჩ — მეტაფიზიკას თავი მიანებო და დაწყებით არითმეტიკას დაუბრუნდე. იოლიც არის და სარგებელსაც მეტს ნახავ!“

რამდენი სიმართლეა ხურენიტოს ამ მწარე სიტყვებში. დოლარი მეფობს იქ სადაც ალექსეი სპირიდონიჩი ადამიანობს, კეთილშობილობს, ქრისტეს და სიყვარულს ეძებს. დოლარმა კი კარგად იცის სად რა უნდა მოიმოქმედოს. საჭიროა და ალექსეი სპირიდონიჩს — აფრიკაში გაგზავნის და იქ ვიღაც ურჩ ზანგს მოაკვლევინებს. საჭიროა ეს მისთვის და მიტომ.

რევოლიუცია დაიწყო რუსეთში: ტიშინიც აქ არის. ტიშინი აღსავსეა ზიზლით და სიძულვილით ამ ახალ დროის ბარბაროსებისადმი—ასე, რომ განადგურეს „საყვარელი“ რუსეთი. შემდეგ... დრო გადის და ალექსეი სპირიდონიჩიც მოთვინიერდება... საბჭოთა მოსამსახურეა, კურსანტებს / ლექციებს უკითხავს ლიტერატურაზე. უკითხავს ისე, რომ კურსების ხელმძღვანელი დაითხოვენ აქედანაც. შემდეგ ჯაშუშობას დაიწყებს: წრე შესრულებულა. ქრისტე, დოსტოევსკი, კაცობრიობა, სიყვარული, საბჭოთა, უსისხლო რევოლიუცია—და... თავის ქვეყნის ჯაშუში. ახალ სამშობლოს გამყიდველი—ვიღაც ბირეაზე მოთამაშის ცოლის სამსახურში.

ალექსეი სპირიდონიჩი უკვდავი ტიპია გზა-აბნეულ, ომების და რევოლიუციების ორომტრიალში მომწყვდევულ პატარა უხერხემლო ინტელიგენტისა, რომელსაც თავი კაცობრიობის „მარილათ“ მოქონდა. რევოლიუციამ სამართლიანად და სასარგებლოდ მომავლისა ფარდა ახადა, გაატიტვლა ასეთი მუწუკებით ავადმყოფი ადგილები. ალექსეი სპირიდონიჩი დასრულებდა მრავალ ათეულ წლების ისტორიათა მქონე რუს ზედმეტ ადამიანებისა. და მერე როგორი საცოდავი, საზიზლარი და სამარცხვინო ბოლო! პეჩორინი, რუდინი, ჩეხოვის გმირები, ანდრეევის სკეპტიკები და ალექსეი სპირიდონიჩი!

საიდან სადამდე! მომავლის იდეალებს მოკლებულ-მოლიპულ გზაზე შემდგარი პეჩორინი—ტიშინად მოგვევლინა... ისტორიამ სამართლიანი მსჯავრი დასდო ზედმეტ ადამიანებს.

ალექსეი სპირიდონიჩის სრული წინააღმდეგობაა გერმანელი შმიდტი... ეს უკვე მიწას არ შორდება. ფაქტები, ციფრები,—აი რაზეა დაყრდნობილი ის. მაგრამ არ არის მასშიც ის, ურომლისათაც სიცოცხლეს აზრი ეკარგება და ბრძოლაც უმიზნო ხდება... შმიდტი მხოლოდ სქემებით ცხოვრობს. მისთვის არ არსებობს ადამიანური ცხოვრება, მთელი თავისი სირთულით, ინტერესებით, იდეალებით, გრძნობებით და ზრახვებით—ე. ი. ყოველივე იმით, რაც ცხოვრებას შინაარსს აძლევს, რაც „ცოცხალ ცხოვრებად“ ხდის მას და ადამიანს, ჭიანჭველას და ფუტკარს ანსხვავებს. მკვდარ სქემებში ჩაფლული შმიდტი—საკაცობრიო ორგანიზაციულ გეგმაზე ოცნებობს და მუშაობს. მისთვის ყველაფერი ორგანიზაციაა—ადამიანი კი არაფერი. ადამიანი შაბათისათვის და არა შაბათი ადამიანისათვის! ამიტომაც ასე ადვილად და ბუნებრივად ახერხებს შმიდტი—სამსახურს გინდებურგის ხელქვეით და შემდეგ ლენინთან: ვინაიდან გინდებურგი ისევე, როგორც ლენინი იღწვის იმისათვის, რომ ეს მოუწყობელი ქვეყანა მოაწყოს, ორგანიზაციულ გეგმაში ჩაამწყვდიოს მსოფლიო.

ნათელია და ცხადია: შმიდტი კრიტიკაა რევოლიუციის. ერენბურგი შმიდტის სახით გვეუბნება: პრინციპიალურად ახალი არაფერი მომხდარა რევოლიუციით: იგივე სისხლი, იგივე თოფიანი ჯარის-კაცები, იგივე დახვრეტა და კაცის კვლა. ჭკუიან შმიდტს შეუძლია გინდებურგის გენერალიც იყოს და ლენინის კომისარიც: თავის საქმეს ის ამით არ ღალატობს: საკაცობრიო ორგანიზაციისათვის მუშაობს. ერენბურგის ეს „ფარული“ კრიტიკაა რევოლიუციისა უღონოა და უღაზათო... ეს რამოდენიმეთ თვით ალექსეი სპირიდონიჩის კრი-

ტიკაა. რადგან სწორედ ალექსეი სპირიდონიჩს შეუძლია ასე იმსჯელოს. მეფე ხერეტავს მუშებს, თუ მუშები მეფეებს—ეს სულ ერთია, სისხლი ხომ იღვრებაო. მილიონები კი ასე არ ფიქრობენ... ერენბურგი აქ არ არის მასებთან ერთად... კაცობრიობის მომავალს ემსახურება ის ტყვია, რომლითაც განიგმობა გული, რომელიმე ძველი ქვეყნის მეთაურისა, რასაკვირველია, როდესაც საჭიროა ეს... მაგრამ განა ასევე დაფასდება ის ტყვია, რომელიც მფეკლად ლიუქსემბურგი და ლიბკნეხტი?!. შმიდტით ერენბურგმა დასცინა რევოლიუციას... მაგრამ „უმარილოა“ ეს დაცინვა, რადგან სიმართლის საფუძველს მოკლებულია იგი. შმიდტი არ არის კომუნისტი—ე. ი. რევოლიუციის მეთაური პარტიის ხაზის მქონე ადამიანი, ამიტომაც სცილდება მიზანს ერენბურგის მიერ გასროლილი ტყვია—რევოლიუციის და მისი მეთაური პარტიის გაკრიტიკებისა.

რა უნდა შმიდტს? რას ემსახურება იგი? რა აქვს მიზნათ დასახული მის მოღვაწეობას? ადამიანების ორგანიზაცია. აი პასუხი ამ კითხვებზე. მისთვის სულ ერთია რა შინაარსი ექნება ამ ორგანიზაციულად მოწყობილ კაცობრიობას. მისთვის სულ ერთია ვინ სარგებლობს კაცობრიობის ასეთი ორგანიზაციით. კარლ ლიბკნეხტი და კაიზერ ვილჰელმი—ორივე ამ ორგანიზაციას ემსახურებიან, ერთი კომუნისტის დასამყარებლად, მეორე გერმანიის კაპიტალისტური სახელმწიფოების გასამარჯვებლად. ერთი კაცობრიობის მაშტაბით ოცნებობს, მეორეც კომუნისტი და „დეიტჩლანდის ძღვევამოსილება“—შმიდტისათვის ერთი და იგივეა. ამიტომაც ხდება, რომ შმიდტი კაიზერთან არის, როდესაც ეს უკანასკნელი „კაცობრიობის ორგანიზაციულ“ საქმის მეთაურია, შემდეგ—ლენინთან, როდესაც უკვე ლენინი მეთაურობს ამ საქმეს. კაიზერმა, (თუ მისმა ლაქიებმა შეიდეგან—ნოსკეს პარტიიდან) მოკლა ლიბკნეხტი, ლენინის პარტიამ სიკვდილით დასაჯა რუსეთის კაიზერი—ნიკოლოზი. ამ ამბებში შმიდტისათვის საინტერესო შინაარსის მხრივ არაფერია. იყო ერთი—არის, მეორე,—საქმე კი იგივე დარჩა: კაცობრიობის მოწყობა წინასწარ გამომუშავებული გეგმებით, სქემებით... შმიდტი ბუზს კარგად უყურებს და სპილო კი ვერ შეუმჩნევია. ბრძოლები, რევოლიუციები, კონტრ-რევოლიუციები, პარტიები, მაშასადამე წინასწარ გამომუშავებული სქემები, ორგანიზაციული გეგმები კლასებს ემსახურება: კლასების (ამ შემთხვევაში პროლეტარიატის და ბურჟუაზიის) ინტერესები კი დიამეტრალურად საწინააღმდეგონი არიან. ვილჰელმის „ორგანიზაცია“—ემსახურება გერმანიის ბურჟუაზიის გაბატონებას მთელ მსოფლიოში. ლენინის „ორგანიზაცია“ ემსახურება მუშათა კლასის გეგმონიის განხორციელებას მთელ მსოფლიოში და შემდეგ უკლასო კომუნაში გაერთიანებულ კაცობრიობას. ეს ორი „ორგანიზაცია“—დიამეტრალურად მოწინააღმდეგე შინაარს ატარებენ. ამიტომაც არ არის ბუნებრივი შმიდტი განმახორციელებელი ვილჰელმის იდეების და შემდეგ ერთი მეთაურთაგანი ლენინის საქმის. ამიტომაც არის ასეთი ყალბი შმიდტის მოძღვრება და პრაქტიკა.

აქვე უნდა ითქვას, რომ საერთოდ—როგორც კი სცილდება ერენბურგი ძველი ქვეყნის კრიტიკას და კომუნისტის კრიტიკას კიდებს ხელს—ყოველთვის

ყალბი, სუსტი და უღონო გამოდის ეს კრიტიკა. რადგან საფუძველი არა აქვს მას სწორი—გამოსავალი წერტილი—მართალი. წვრილ ბურჟუაზიულ ანარქისტს, იმედებ-დაკარგულ სკეპტიკს—კლასს მოწყვეტილ—ნიჭიერ ლიტერატორს შეუძლია—ხშირად მშვენივრადაც—კრიტიკის ქარცეცხლში გაატაროს ძველი ქვეყანა, უდიდეს მხატვრულ ღირსებით დაჯილდოებული სურათი მოგვცეს ამ ძველი ქვეყნის, მაგრამ მას არ ძალუძს—ბუნებრივი ნიჭით ვერ უშველის ამაღლდეს ახალი ქვეყნის არა ყალბი დასურათხატებადღის; რადგან მას არ ესმის ამ ახალი ქვეყნის, ვერ გაუგია მისი სული და გული. ერენბურგი ძლიერია—ძველი ქვეყნის მესაფლავე პოეტის როლში; ერენბურგი სუსტია—ხშირად ყოველგვარ მხატვრობას მოკლებული—როგორც ახალი ქვეყნის მწერალი, რადგან არ იცნობს მას, ვერ გაუგია მისი და არცა სწამს ის.

III

ხულიო ხურენიტო—მოძღვარია, მასწავლებელი. ის უფრო თეორეტიკია, ვიდრე პრაქტიკი. მართალია მისი თეორია—ყოველთვის პრაქტიკას ეყრდნობა და მისგან გამოდის, მაგრამ—ეს პრაქტიკა უმთავრესად სხვისია, სხვისი ხელეზის და ტვინის საქმე... ამიტომაც არის, რომ ხურენიტოს არა ერთი და ორი მოწაფე ყავს. მოწაფეების საშეაღებით ხურენიტო ცხოვრებაში ანხორციელებს თავის მოძღვრებას „დიად პროვოკატორისა“. ენს ბოოტი ერთი ასეთი მოწაფეთაგანია ხურენიტოსი,—ყველა სხვა მოწაფეებზე უფრო ნიჭიერი და ნაყოფიერი თავის მუშაობით. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლის მოძღვრების მთლიანი განხორციელება სწორეთ მან მოახერხა. ენს ბოოტი ხურენიტოს განხორციელებაა პრაქტიკაში. ის რასაც ხურენიტო ქადაგებდა და რასაც ცოტათ თუ ბევრათ ცხოვრებაში ანხორციელებდენ მისი მოწაფეები წიგნიდან „ხულიო ხურენიტო“—უკვე სავსებით არის განხორციელებული წიგნში „ევროპის დაღუპვის ისტორია!“ ამ რომანის მთავარი გმირი—ენს ბოოტია. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო რომ მიხვდეთ—ეს წიგნი გაგრძელებაა „ხულიო ხურენიტოსი“. ამ წიგნში სრულდება ის საქმე, რასაც ხურენიტო გვასწავლიდა წინად. „პირველიდან იყო სიტყვა და სიტყვა იგი“ ეკუთვნოდა ხურენიტოს... სიტყვამ ხორცი შეისხა და ამ ხორცის შემსხმელი გამოდგა „უკანონო“ შეილი მონაკოელ პრინცისა და ჰოლანდიელ მოვაჭრე ქალის—ენს ბოოტი...

რას ქადაგებდა ხულიო ხურენიტო? ყველაფერი დასანგრევია, რადგან უკვე ინგრევა ყველაფერი. პატივისცემის ღირსია მხოლოდ ის ვინც ხელს უწყობს ამას ე. ი. ყველაფრის ნგრევას, განადგურებას, და სწორეთ ასე იქცევა ენს ბოოტი. ამერიკელი მილიარდერების დახმარებით იგი აწყობს ტრესტს, რომლის დანიშნულებაა ევროპის განადგურება... და კიდევაც მიახწევს მიზანს... კინემატოგრაფიული სისწრაფით ვითარდება რომანის ხვეულები. ერთი ამბავი თან სდევს მეორეს, ორი სტრიქონით ქალაქების და ქვეყნების ბედი სწყდება... „ბოოტი სულის“ მსგავსათ დასტრიალებს ენს ბოოტი განწირულ ევროპას და ხან ერთ ქვეყანაში სთესავს სიკვდილს ხან მეორეში. ერენბურგის ფანტაზიურთებ გაშლილი მუშაობს. ხურენიტოს ოცნებანი საკვირველი სისწრაფით

ხორციელდებიან. ინგრევა ქალაქები, იღუპება ქვეყნები, სიკვდილის სუდარა ეფარება მთელ ევროპას... ტრესტ D. E. სახელოვნად და ნაცოფიერათ მუშაობს. ამერიკელი მილიარდერები უსათუოდ კმაყოფილი არიან ენს ბოოტის მუშაობით. ხუმრობა ხომ არ არის, — მისტერ ტეივტს, მისტერ დემს და მისტერ ხარდელს შეუძლიათ გემოიანათ გაატარონ დღის გაზომილი საათები და ლამეც ტკბილათ დაიძინონ. ევროპის საშინელი აჩრდილი უკვე არ იხატება მათ წინ. დღესათვის საით საფრთხე არ მოელის. ევროპა კი წითელი კომუნიზმით ემუქრება მას... და კიდევ მისტერ ხერდელს საშვალება ეძლევა საქორწინო მოგზაურობა შეასრულოს საშუალო ევროპის უდაბნოში... მისტერ ხერდელ და მისს კეტი, მისი საცოლე რამდენი ხანია — ცოლ-ქმრულ სიყვარულს მოკლებული არიან — იმიტომ რომ აღთქმა აქვთ ერთმანეთისთვის მიცემული. მხოლოდ ასეთ მოგზაურობის შემდეგ იგემონ დოლარით კარგათ შენახული ურთიერთ ხორცის გემო... მართალია, მისტერ ხერდელ ვერ ეღიროსება მისს კეტის „საიდუმლოებათა“ ნექტარის შეხვრებას, რადგან (დახეთ ქალის გემოვნებას!): აქ ერენბურგს საოცარი სიმახვილით და ცოტა ზედმეტათ გაბედული სიტყვებით აწერილი აქვს სცენა კეტის ღალატისა შემდეგი „მრავლის მთქმელი“ სათაურით: „კეტი ველურის ქვეშ“. ეს ველური ევროპიელი — ბარბაროსია, ერთი იმ იშვიათთაგანი, რომლებიც გადარჩენ ენს ბოოტის სიკვდილის ბადეს... რასაკვირველია, ჩვენ კარგათ გვესმის ამერიკელ მილიარდერის სიხარული, ჩვენ იმის გაგებასაც შევსძლებთ, თუ რა „ზეკაცობრიული“ გრძნობების პატრონია მისტერ ხერდელ — როდესაც თავის დაქორწინებას მისს კეტთან უკავშირებს ევროპის უდაბნოზე გასეირნებას... ყველაფერი ეს გვესმის და არც გაგვაკვირებს — რადგან ვიცნობთ დოლარის ძლევა-მოსილებას: ის ღორათ აქცევს ადამიანს, სწორეთ იმ ღორათ — რომელზედაც ასე ფიქრობს „კონსერვების კოროლი“ მისტერ ტეივტი... ეს ღორები ერენბურგს მშვენივრადა ყავს დახატული. მისტერ ტეივტი შეუდარებელი ორფეხა ღორია. ილია ერენბურგს — დოლარების ეს პატრონი უეჭვოა ძეგლს არ დაუდგამს მისი სურათის ასეთი სისწორით დახატვისათვის. მაგრამ ეს აქ ჩვენ არ გვაინტერესებს. გვაინტერესებს სხვა რამე: სახელდობრ — ის თუ რატომ დასჭირდა ერენბურგს ევროპის დაღუპვა?.. რა მიზნებისათვის, რა იდეალების განსახორციელებლათ? მართლაც იმიტომ ხომ არა, რომ მისტერ ხარდელს ეხილა თავისი საცოლე გავლურებულ ევროპიელთან „არა სასიამოვნო პოზაში“? რომანი არ იძლევა ამაზე არაფითარ პასუხს. — გარდა იმისა, რაიც ჩვენ უკვე ვიცით — „ხულიო ხურენიტოდან“ — რომ ქვეყანა, ადამიანები მოსასპობია და გასანადგურებელი. „ევროპის დაღუპვის ისტორია“ არის — უაღრესათ პესიმისტური წიგნი, იმიტომ, რომ იგი უდაბნოების იქეთ — კაცობრიობის მომავლისათვის ვერაფერს ხედავს. იცინის ერენბურგი მაგრამ ეს სიცილია ადამიანის, რომელსაც უკან დასაბრუნნი გზა არა აქვს — ხიდეები დამწვარია „მკვდარი ღმერთები გაყიდული“ — წინ კი მხოლოდ უფსკრულია, რომელშიაც დღეს თუ არა ხვალ აუცილებლივ გადავარდები. ბევრი აქ ასეთი მდგომარეობაში იტირებდა — ერენბურგი კი იცინის: ეს „ნერვებზეა“ დამოკიდებული.

ერენბურგი მაგარი „ნერვების“ პატრონი მწერალია, თორემ სწორეთ ასეთ მდგომარეობაში მყოფი ნიჭიერი ლეონიდ ანდრეევი—შიშით შეპყრობილი ცას და მიწას შეყვიროდა საშველათ.

მაგრამ შეიძლება—ერენბურგი მხოლოდ ძველი ქვეყნის დაღუპვას გულსხმობს ევროპის განადგურებაში?! არა, რადგან ის რევოლუციების შესახებაც ლაპარაკობს და საკმაოდ დაწვრილებით თავის წინაშე ევროპის დაღუპვის ისტორია“ არის ისტორია კაპიტალისტურ ევროპის და რევოლუციების დაღუპვის ისტორია, რევოლუცია ფაქტიურათ ძველ ქვეყანაში არის მოქცეული. ენს ბოოტი ანადგურებს ძველ პარიზს და ახალ პარიზს, ძველ ბერლინს და ახალ ბერლინს... მოსკოვი განადგურებულია.

ენს ბოოტმა წმინდათ იწამა „დიად პროვოკატორის“ მოძღვრება; კიდევ მეტი, მან ვაიგო, რომ მთელი მისი ცხოვრება—მხოლოდ განხორციელებაა ხულიო ხურენიტოს ბრწყინვალე იდეებისა. ეხლა ენს ბოოტმა იცოდა თუ რატომ ანადგურებს ევროპას.

მტრედისფრად მოელვარე ფანჯრის წინ ზეფირის კალსონებში, აცახცახებული გამოუცნობ ადერსით, იმეორებდა ის გარდაცვლილი მექსიკანელის დაუფიწყარ სიტყვებს: არა, არა მტრობამ, არამედ უდიდესმა სიძულვილმა გაანადგურა ჩემი გული. მაგრამ მაინც მოვა ის—საათი თავისუფლების, სიხარულის და სამუდამო მოსვენების.

— ეხი რატომ არ მოესწარი ამ დღეებს მასწავლებლო? — ჩურჩულებდა ენს — მაგრამ იყავ კმაყოფილი: 1970 წელს ძეგლს ვერ დაუდგამენ შენს მკვლელს. 1970 წელს — ევროპაში იქნება მხოლოდ მზე, მხეცების კივილი და ფრინველთა ჰიკიკი!

ეს იყო დიადი წუთიო, —ათავეებს ავტორი. რასაკვირველია, ეს ირონიაა! მაგრამ ირონიაშიც უნდა იყოს გასამართლებელი აზრი!!

IV

ცხადია—ასეთ ჩიხში მომწყვდეული არ დაბრუნდება რადგან მკვდარია, ახალი და მომავალი ვერ გაიმარჯვებს, რადგან მოსაკვდავია.—არ შეეძლო ახალი ქვეყნის, რევოლუციის ბრძოლების, რევოლუციის ადამიანთა ფსიხიკის სწორი სურათი მოეცა. ძველი ქვეყნის შეფასებაში ის, როგორც მხატვარი სწორი და მართალი გამოდგა: ძველი არ დაბრუნდება, რადგან მკვდარია და საბოლოოდ გახრწნილი. ამ საფუძველზე აშენებული კრიტიკა მხატვრულათ გამართლებული გამოვიდა და მაგარ საფუძველზე აგებული: იმაზე რაც არის. მაგრამ, როდესაც ამავე საზომით—ახალიც მოსაკვდავია—შეეცადა ერენბურგი რევოლუციით შექმნილი ადამიანების და წესების დახატვას:—იგი დამარცხდა. ყალბი და უშნო გამოდგა მისი კალმის ნაყოფი; უფერული და უსიცოცხლო ადამიანები, რომლებიც ეპოქის საკითხების ისტორიაში ჯერ არ-ნახულ ენერჯით სჭრიან... განა ნიკოლაი კურბოვი (რომანი „ცხოვრება და დაღუპვა ნიკოლაი კურბოვისა“) — ცოცხალი ადამიანია, ცოცხალი მებრძოლი? ცხადია არა. ის მკვდარი სქემაა—ერენბურგის მიერ გამოგონილი. რევოლუცია ასეთი ადამიანების ბრძოლებით არ გამარჯვებულა... რევოლუცია მასებმა გამოიყვანეს „სამშვიდობოს“ — ზოგიერთების მეთაურობით, მაგრამ არა ისეთების, როგორიც იყო კურბოვი, და მხოლოდ მეთაურობით... ცხადია ლენინის წარმოდგენა მასებს მოწყვეტილად შეუ-

ძლებელია, მაგრამ ერთი წუთითაც რომ დაუშვათ ეს—ლენინი უმასებოთ—იგი უკვე ლენინი არ იქნება. ჩვენ პიროვნების როლის დაფასებაში ისტორიისათვის ნილილისტები არა ვართ,—მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ პიროვნებას მხოლოდ მაშინ შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ისტორიისათვის, როდესაც იგი ფესვებ გადგმულია ობიექტიურად პროგრესიულ მოთხოვნილებათა მქონე მასებში, ან კლასებში. მხოლოდ... ერენბურგი კი სულ სხვაფერია. მისი აზრით რევოლუცია ეს მხოლოდ ორასი კურბოვების საქმეა, რომელთაც ხელმძღვანელობდენ ოთხი ცეკისტები კრემლიდან. მასები აქ არაფერ შუაშია. ამიტომაც არის, რომ ერენბურგს თითქმის მთელი ბოლშევიკური პარტია თავის ძირებში სპეკულიანტურ-ბანდიტურ მასათ გამოუყვანია. ეს ის ნაწილებია, რომელთაც ასე უყვართ და უნდათ სიცოცხლე „Дыпленки тоже хотят жить“. ამიტომაც არის, რომ ასეთი სიტუაციებით გადაეშვებიან ერენბურგის ბოლშევიკები „ნეპ“-ში.

1918—20 წლებში—უტოპია იყო, ფანტაზიორთა ოცნებების ნაყოფი—დროებით ხორცშესხმული—აი „ნეპი“. იგი საფუძვლიანი მოვლენაა, მაგრამ რევოლუცია არ არის მასში. ამიტომაც არის, რომ, ასე—უხერხულათ გრძნობს თავს ნიკაი კურბოვი—ეს „იდეალური“ ბოლშევიკი—„ნეპის“ პირობებში... და კიდევაც ილუპება. ცხადია: თუ კი ნიკოლაი კურბოვები ილუპებიან, ინთქებიან „ნეპის“ კაობში, მაშ რა უნდა დაემართოს დანარჩენ მასებს ბოლშევიკურ პარტიიდან: ცხადია რომ „ნეპი“—ბოლოა „უტოპიის“ და „უტოპისტების“ ბოლშევიკების. 200 კურბოვებს შეეძლოთ რევოლუციის ცეცხლით გაეთბოთ მთელი მსოფლიო, მაგრამ—როდესაც ეს კურბოვები არ იქნებიან?—არ იქნებიან კი იმიტომ, რომ „ნეპი“ სიკვდილია მათი...—კურბოვებთან ერთათ ილუპება ის ოცნება, რომელსაც ახალი ქვეყნის, პროლეტარიატის ბატონობის, კომუნიზმის საქმის გამარჯვებას ეძახდენ—ოქტომბრის მეოცნებენი. ერენბურგი, მართალია ერთ რამეში: კურბოვები ეს უხერხემლო იდეალისტები, ასკეტები და სქემების განხორციელებანი—რევოლუციას გამარჯვებამდე ვერ მიიყვანენ. მაგრამ საქმე იმაშია, რომ კურბოვები არ არიან რევოლუციის მესაჭენი... ყოფილმა ბოლშევიკმა—ერენბურგმა—ვერ მოგვცა ნამდვილი ბოლშევიკ-მებრძოლის და მეთაურის სახე: კურბოვი არ არის ცოცხალი ბოლშევიკი, იგი ერენბურგის სკეპტიკურ ფანტაზიის ნაყოფია—ისევე, როგორც ფანტაზიის ნაყოფია რევოლუციის დაღუპვის აუცილებლობა, რაიც გამოსჭყვივის ერენბურგის თითოეულ სტრიქონიდან. ამით ჩვენ სრულებითაც არ გვინდა იმის თქმა, რომ ერენბურგის წიგნი: „ცხოვრება და დაღუპვა ნიკოლაი კურბოვისა“ რეაქციონური წიგნია. სრულებითაც არა.. ერენბურგმა ამ წიგნით ისევე როგორც სხვა ყველა თავის წიგნებით ერთხელ კიდევ „აცვა ჯვარს“ ძველი ქვეყანა, ძველი კლასების წარმომადგენელი, ობივატელობა, უხერხემლო „სოციალისტები.“—ძველ წესებისაკენ ერენბურგი არავის მოუწოდებს და ეძახის. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ მას ახალ წესების გამარჯვებაც არ სწამს. ერენბურგი—ცხადია—შეეცადა კურბოვის სახით მოეცა ტიპი იდეალურ ბოლშევიკისა—რომელიც დაჯილდოვებულია ყოველგვარ კარგი თვისებებით—მაგრამ ვერ შესძლო.. ცოცხალი ადამიანის მაგივრათ მკვდარი სქემა მივიღეთ.

ერენბურგის უბედურებაა და არა ბრალი, რომ, რევოლუციის ადამიანები მისთვის გაუგებარი რჩებიან.. და ეს იმიტომ რომ, რომ თვით რევოლუციაც გაუგებარია მისთვის..

„ნიკოლაი კურბოვი“ ნიჭიერათ დაწერილი წიგნია. ავტორის მახვილი გონება, მოსწრებული სიტყვები, ლაკონიური წინადადებები—წიგნს უთუოდ მაღალ ღირსებთანად ხდის. ჩვენი ყოფა-ცხოვრების ზოგჯერ მხოლოდ ერთი მხარეებიც სწორად და მოსწრებულად არის დაწერილი და გადმოცემული. კარგათ არიან დახატულნი სადისტი ანდერ მატოვი და რევოლუციონერი—თეორეტიკი აში.

„ნიკოლაი კურბოვი“ უკანასკნელი საინტერესო წიგნია ერენბურგის ნაწერებში. ერენბურგის შემდეგი რომანები უკვე ვერ შეედრებიან მას. „ლიუბოვ ჯანნი ნეი“, „რვაჩი“ და „в проточном переулке“—დაბალი ღირსებების ნაწერებია. არა მარტო იმიტომ რომ ერენბურგის „იდეოლოგია“ თანდათან უფრო და უფრო ობივატელების ჭაობში ვარდება, არამედ და უმთავრესად იმიტომ რომ მხატვრული აღლო აკლია მათ.

V

„გესლიან შენიშვნებში“ ბუხარინი სწერდა:

Нам нужна литература бодрых людей, в гуще жизни идущих, храбрых строителей, знающих жизнь, с омерзением относящихся к гнилу, плесени, гробователству, кабацким слезам, разгильдяйству и юродству.

ცხადია—ერენბურგის ნაწერები ოდნავათაც ვერ გამოდგებიან ასეთებათ—განსაკუთრებით მისი უკანასკნელი რომანები. სწორედ რომ გახრწნის, იუროდიუობის, სიღამპლის—ამბებზე ლაპარაკობენ ისინი—მაგრამ ლაპარაკობენ ისე, რომ ვერც მიხვდები საით მიდის თვით ავტორის გზა, ვისთან არის მხატვარი... კაპიტალიზმის მხატვრულ კრიტიკიდან ერენბურგი გადადის საბჭოთა ქვეყნების კრიტიკაზე. აქ საძრახი არაფერია: საღი კრიტიკა, სწორ საფუძველზე აშენებული, სინამდვილის მართალ შეფასებიდან გამოსული—მხატვრულათ შესრულებული—საძებნელია და მოსაწონი, არამც თუ დასაწუნი. მაგრამ არის კი ასეთი ერენბურგის კრიტიკა? საუბედუროთ არა. იმიტომ რომ, ერენბურგი თავის კრიტიკას რევოლუციის მიერ შექმნილ ახალ ყოფა-ცხოვრებისა—ობივატელის თვალთა ხედვით აწარმოებს. და შედეგათ ამისა იგი ისეთ ჭაობში ვარდება რომ მის მხატვრულ ნიჭს უკვე არ ძალუძს იქედან ამოსვლა. ასეთია მაგალითად მისი სქელ-ტანიანი „რვაჩი“. კითხულობ ამ რომანს და განცვიფრებაში მოდიხარ: ნუთუ „ტრესტის“ და „ხურენიტო“-ს ავტორი სწერს ამას? ნუთუ ისე დაძაბუნდა და დაჩიავდა ერენბურგის მახვილი კალამი, რომ „რვაჩის“ დამწერი გახდა იგი?! ჩვენი ლიტერატურა მდიდარია მდარე ღირსების მქონე ნაწერებით. „რვაჩი“ ერთი უკანასკნელთაგანია მათ შორის. მკითხველსაც ვერ იშოვიდა იგი, რომ ერენბურგის საკმაოდ ავტორიტეტიანი სახელი არ ამშვენებდეს მას. რომანის სახელწოდება აქვს „რვაჩს“, მაგრამ რომანი არ არის იგი. არარის მთლიანი, ცალკე თავების ერთი-მეორესთან დამაკავშირებელი ძაფები. ყველაფერია და არაფერი. „რვაჩი“ უფრო წააგავს სხვა და სხვა საკითხებზე, სხვა და სხვა დროს დაწერილ ფელეტონთა კრებულს, ვიდრე მხატვრულ რომანს. დიდი ენერჯია

და მოთმენა საჭირო „რეაჩის“ ბოლომდე წასაკითხავად. საკვირველია, მაგრამ ფაქტია: „ხურენიტოს“ და „ტრესტის“ ავტორი „რეაჩში“ წარმოუდგენელი მოსაწყენია; მოსაბეზრიც. სადღაც დაკარგულა ერენბურგის მოწყვეტილი, ხალისიანი, ცოცხალი, მოკლე და ფაქტიური მასალებით ავსილი სიტყვა. არავითარ მხატვრულ დაჯერებას ვერ ახდენენ ერენბურგის გრძელი და დაუთავებელი მსჯელობანი სხვა და სხვა საკითხებზე. რომანის მთავარი გმირი, თუ „სტრეზოვას“ ასე მოვნათლოთ, მიხაილ ლიკოვი—ვიღაც საძაგელი და ყოველ-მხრივ გათახსირებული ადამიანია. აუცილებელი პროტესტს იწვევს და გულისწყრომას ერენბურგის ცდა—რევოლიუციის მიერ გამოღვიძებულ ადამიანთა ტიპათ დაგვიხატოს იგი. ლიკოვები შეიძლება არიან, მაგრამ ცხადია როგორც გამონაკლისნი. რადგან ერთი წუთითაც რომ დავეთანხმეთ ერენბურგს, რომ მისი გმირი ტიპია რევოლიუციით შექმნილ მრავალ-რიცხოვან ადამიანებისა—რევოლიუცია მართლაც მოსასპობი იქნებოდა, მოისპობოდა კიდევ. და ამით ასრულდებოდა ხურენიტოს წინასწარმეტყველებანი. მაგრამ არ არის ერენბურგი მართალი. ლიკოვები რევოლიუციის მიერ გარიყული პიროვნებებია და არა მასთან მომუშავენი. სადღაც ძველი ქვეყნის ჯურღმულში ჯერ კიდევ ნახულობენ საკვებს მათი ფესვები. მაგრამ დამპალია ეს ფესვები ისევე, როგორც დამპალია ეს ძველი ქვეყანა. ერენბურგის „რეაჩი“—მლღეტავი—მიხაილ ლიკოვი—სრულიადაც არ არის რევოლიუციის შემოქმედებისათვის ტიპური მოვლენა. ახალი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას ლიკოვები არ ახასიათებენ. ერენბურგის კრიტიკის მთავარი საყუდარი ყალბია და არა სწორი. ერენბურგი სცდილობს დაამტკიცოს, რომ ნები რევოლიუციის ბოლოა: კურბოვები დაიხოცნენ—რევოლიუცია ხელში ჩაუვარდათ „რეაჩებს“, ამიტომაც არის, რომ ეს სქელ-ტანიანი წიგნი, რომანათ წოდებული—ავსილია ისეთი ამბებით და ფაქტებით, რომ იფიქრებ: საბჭოთა ქვეყნები ხელთ-ჩაუგდიათ ყოველგვარ ბოროტ-მომქმედთ, მულანგველთ, მლღეტავთ, არამზადებს და ყოველგვარ ადამიანურ პატიოსნებას მოკლებულ პიროვნებებს. ერენბურგის ვითომ ობიექტური სურათი—დღევანდელ საბჭოთა ქვეყნებისა—შხოლოდ კარიკატურა გამოდგა—ყალბი და უშნო, როგორც ყალბი და უშნოა თვით „რეაჩი“. გასაკვირი არ არის, რომ მხატვრული ალღოც დაეკარგა ავტორს, ასეთ დამპალ საყუდარზე შემდგარს. დამპალმა შინაარსმა—ყალბმა და არა მართალმა ჩაყლაპა და გასვარა ერენბურგის მახვილი ნიჭი,—ძველი ქვეყნის მესაფლავე მხატვრისა... არა ერთხელ და ორხელ გაიმეორებს თავის უღირსს წიგნში ერენბურგი, რომ ის რევოლიუციის მოყვარვა და მეგობარი... მარა „რეაჩის“ წამკითხავი მას ამაში ვერ დაეთანხმება. 1924 წელს დასწერო ასეთი სქელ-ტანიანი რომანი, გამოაცხადო იგი ობიექტურ სურათად რევოლიუციის ქვეყნისა და ნამდვილათ კი მიხაილ ლიკოვების გათახსირებაზე ააგო იგი სულ—ეს, ყველანი დაგვეთანხმება, ვერავითარი რევოლიუციონერობაა. სცდება ერენბურგი—„ნები“ არ არის ოდნავათაც—რევოლიუციის აღსასრული. პირიქით „ნები“—ახალი ეკონომიური პოლექტიკა—მტკიცე საფუძველია, რომლის საშვალებით რევოლიუციის ქვეყანა ურყევად და სულ უფრო და უფრო მედგ-

რათ აფართოვებს თავის პოზიციებს, ძირს უთხრის ძველ სამყაროს და აშენებს ახალ წესწყობილების მქონე საზოგადოებას.

ერენბურგი სწერს:

რევოლიუციურ კოშკის წვეტიან გუმბათზე ფრიალებს ამაყი დროშა: რომელსაც ჩვერც — ქუდმოხდილი ვესალმებით. მაგრამ ჩვენ არაფერს ვეძებთ ან არ ძალგვიძს ყურებზე ქუდ ჩამოფხატული დაწყნარებით გვერდით ამ დიდებულ შენობის სარდაფებს, სადაც ბინადრობენ ისტორიულ გარდატეხის აუცილებელი მსხვერპლები, არა ის ბედნიერები, რომლებიც კრემლის კედელთან „განი-სვენებენ“ — არამედ სხვები, რომლებიც მოკლებულნი არიან ყოველგვარ დიდებულებას და იწვევენ გამგლეღ-გამომგლეღთა გულში, მხოლოდ ბოროტ შეცოდებას. რომელი მეძველე შეკრებს ამ არავისათვის საჭირო დამსხვრეულ ცხოვრების დღეთა მქონე ადამიანთ? ვინ მოუთხრობს მათ უბოლოო ტანჯვების შესახებ? მათ უმრავლეს შემთხვევებში არაფერი განუცდიათ რევოლიუციის ქარტახილში, გარდა შიშის გრძნობისა, მაგრამ, სამაგიეროდ ეს განიცადეს ბოლომდის.



ადამიანის შეცოდება, ცხადია, დასაძრახი არ არის, მით უმეტეს პოეტი-სათვის. პირიქით, მწერალი ვალდებულია ყოველთვის იყოს ადამიანის ძიებაში, მაგრამ, საჭიროა, არ დავემსგავსოთ ალექსეი სპირიდონიჩს თორემ — ტრადედიის ნაცვლად — ჯარისკაცებს და ფარსს მივიღებთ. ერენბურგი პათეტიურად აცხადებს, რომ რევოლიუციის ნამსხვრევთა დამტირალის როლი უნდა ეკისროს მას.

მერმეთ რა? ეს მისი ნება და სურვილია. „მეძველეობაც“ საჭირო ხელობაა. მაგრამ როდესაც რევოლიუციის დამსხვრეულ ადამიანებს ცხოვრების „მარიალა“ გამოაცხადებენ — ამის წინააღმდეგ საჭიროა ხმის ამაღლება. მართალია, რევოლიუციამ ბევრი უდანაშაულო ადამიანები შეიწირა მსხვერპლათ, ერენბურგის ნება-სურვილია დასწეროს მათ შესახებ რომანი „В проточном переулке“), შეიცოდოს ისინი, იტიროს (ენერბურგი ცრემლებით!?) მათთან ერთად, მაგრამ თვალებს ვერავის აუხვევთ: რევოლიუციაში უმთავრესი არ არის ეს. რევოლიუციონერი იყო მაქსიმ გორკი, როდესაც „ფსკერზე“ მცხოვრებთა დახატვით ებრძოდა ძველ წყობილებას, რადგან მაშინ „ფსკერზე“ სწორედ ღირსეულებს გზავნიდნ უღირსონი. მაგრამ, ვერავითარი რევოლიუციონერობაა დღეს — რევოლიუციის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ კიდილში ძველ ქვეყანასთან — რევოლიუციის „ფსკერით“ — სახელი გაუტეხო რევოლიუციას. არც არაფერი გამოვა აქედან: ტყუილად ცდილობს ერენბურგი.

ვინ არიან ერენბურგის უკანასკნელი რომანის (в проточном переулке) გმირები? სწორედ ასეთი რევოლიუციით დამსხვრეულთ, არავისათვის საჭირო პატარა მეში საბოლოოდ მომწყვდეული — ადამიანები „პროტონჩის შესახვევიდან“. აი ვაქარი — წურბელა — პანკრატოვი, უყვარს ჩერვონცები, „ჩერვიაკები“ როგორც ის ეძახის, ისევე როგორც მის წინაპართ უყვარდათ მანეთები და თუმნები; აი — სუტენიორი, — წვეტიან ფეხსაცმელებში და მოკლე შალვარში — სახაროვი — შესახვევის ლორდი, ქალების მტანჯველი და გულის მკვლელი და აი — კიდევ მთავარი გმირი რომანისა: კუზიანი იუზიკი — სკრიპაჩი კინოდან, რომ-

მელსაც ასე უყვარს ადამიანები და რომელიც ასე სძულს ადამიანებს. რომანში არის ნათელი გვერდებიც, ეს მაშინ, როცა ერენბურგი უსახლკარო ბავშვებზე სწერს; უნდა ითქვას, ერენბურგს განსაკუთრებით უყვარს ბავშვები, ესენი არიან ერთად ერთნი, რომლებსაც არ დასცინის იგი. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ერენბურგს მასში, რომ „პროტოჩნის შესახვევში“ მწვენივლი საცოდავი ბავშვები—სწორედ ესენია რუსეთის მომავალი—„ფუტურუმი“! არ არის ეს მართალი. უსახლკარო ბავშვები უდიდესი ზრუნვისა და პატრონობის ღირსია, მაგრამ ახალი რუსეთი უმთავრესად არა მათგან მოდის—ახალი რუსეთი—იმ მილიონებისაა, რომლებიც კომუნისტური კავშირის დროშის ქვეშ შეკრებილან და იკრიბებიან.

აი მოდიან ისინი—წინ მოუძღვით შავგვრემანი ჩუბი, მას მოყვება ქურავკა, რომელსაც ბებებზე შემოჯდომია—გარდაცვლილ ოსკარ სიგიზმუნდიჩის საყვარელი—ბეტკა—„ფუტურუმი“ და ვფიქრობ მე: ეს მოდის ახალი ჩვენი რუსეთი, ისეთივე ბავშური და უპატრონო მეოცნებე და გამწარებული, უსახლკარო, უალერსო ქვეყანა—ბავში, რომელსაც უკვე ყველაფერი განუცდია და უნაბავს—მოდის „სკურატოვოდან“ „ვიპოლკოვამდე“, „ვიპოლკოვიდან“ კი ვინ იცის საით წავა, სულ შორს, შორს, გაბურებულ ცალიერ გზით, უცხოთა სიმდიდრით და თავთავებით გარშემორტყნილი. და ვინ შეხვდება მას—„სკურატოვოს“ პასაჟირები, თუ გულკეთილი ექიმის თანაშემწე? და გული მიჩერდება აქ, ღონე არა მყოფნის ვიკითხო: მიაღწევს კი, მიაღწევს?

კარგათაა ეს ნათქვამი, თუმცა არა სავსებით მართალია იგი, რადგან ახალი რუსეთი ფაბრიკა-ქარხნებში იბადება და სწორ ქუჩებით დაიარება: სარდაფებიდან და ჯურღმულებიდან იგი უკვე ამოვიდა. ამის დანახვა არც თუ ისე ძნელია. ენერბურგი ნიჭიერი მწერალია. სანამდის უნდა დარჩეს ის ასე ჩიჩში მომწველი? ვინ იცის...



ორი სტილი

ჩვენ ვლაპარაკობთ მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე... ეს ხანა საქართველოსათვის ორი კლასის ბრძოლით ამოიწურება: ძველმა საუკუნეებმა გვიანდერძა ფეხმოდგმული თავადაზნაურული წოდება, რომელსაც თავისი ეკონომიური სისტემით და იდეოლოგიით გამსჭვალული ყავდა მთელი ერი. ის მაგრად იყო ჩაქედილი ფეოდალურ კოშკში და მის ბატონობას ლოცვა-კურთხევით ასხურებდა საკურთხეველის წინ ხელებ აპყრობილი სულიერი მამა. კოშკისა და ეკლესიის ზღუდეებში იყო მომწყვდეული ქართველი მშრომელი საუკუნეთა მანძილზე... და ეს ორი საორგანიზაციო ცენტრი ყოველთვის იქით მიაქანებდა უხმო მშრომელს, სადაც ამ წოდებათა საარსებო ინტერესების ბედი წყდებოდა.

ვერავითარმა ძალამ ვერ შესცვალა ქართველი მშრომელის ბედი: ხმელთა შუაზღვის ეკონომიურ-კულტურული ცენტრის კატასტროფის შემდეგ გეოგრაფიულ პირობათა გამო საქართველო ერთიანად მოსწყდა მსოფლიო ბაზრებს, და მისი ეკონომიური ცხოვრებაც განწირული შეიქნა: კარჩაკეტილი მეურნეობა, ფეოდალი და ხუცესი! „მარადიული“ შეიქნა ყოველივე ამის ბატონობა საქართველოში...

და ძველი საქართველოც ამან დაღუპა, კრწანისის კატასტროფა ამ ისტორიის უკანასკნელი აქტი იყო.

არა აღორძინებისათვის ძალთა... არა განვრცვლებებისათვის საზღვართა... მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მმართველობისასა. ხოლო პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა, მსმენმან ვნებულთა ვედრებისა, განსადევნელად შეჭვირებათა მათთა დავაწესო საქართველოსა შინა მმართველობა, რომელსაც ვაღმოს-ცა დამყარება მართლმსაჯულებისა, ნივთისა და საქონლის უშიშროებისა და მიცეჲად თვითეულისა დაცვა სჯულისა.

ასეთი ლამაზი პირობით შემოუძღვა საქართველოს საზღვრებში რუსეთის საეპრო კაპიტალს ალექსანდრე კურთხეულის ხმლით ზეაღმართული 1801 წლის ცნობილი მანიფესტი.

ეს ახალი ხანის დასაწყისი იყო საქართველოს ისტორიაში. ჯვართა და სახარებით გულმკერდ შემკობილ ღვთისმშობსავ იმპერატორს ადლისა და ყანთრის გზის გაკაფვა სწადდა, საკუთარი ბურჟუაზიის „ნივთისა და საქონლის უშიშროება“ აწუხებდა.

ამავე დროს საქართველოში საფუძველი ეყრებოდა ახალ, ჯერ მისთვის უცნობ ეკონომიურ სისტემას, იბადებოდა ახალი საზოგადოებრივი კლასი, ჩნდებოდა ახალი ტიპის ადამიანი, იბადებოდა ახალი აზრი, ახალი იდეოლოგია, რომელიც ძირითადად უნდა დაპირისპირებოდა ძველს და ერთიანად გარდაექმნა მთელი ჩვენი ცხოვრება.

ამ კლასის სახელია ბურჟუაზია. მისი წარმოშობა და განვითარება საშინელის სიძნელით მიმდინარეობდა საქართველოს პირობებში, ხშირად არც კი სჩანდა იგი, კიდევ უფრო ხშირად არც უნდოდათ დაენახათ მისი სახე; საშინელი ძნელი შეიქნა მისთვის ფეოდალურ ქერქიდან საკუთარი ყლორტების აღმოცენება, მაგრამ მაინც იზრდებოდა, მაინც ვითარდებოდა. მსოფლიო ბაზრის ეკონომიურ ბადეში მოყოლილ ქვეყანას არ შეეძლო საქონლის მეურნეობის გარეშე დარჩენილიყო, უცხო ქვეყნებიდან სავაჭროდ მოსულ ბურჟუას არ შეიძლებოდა ადგილობრივი მოვაჭრეც არ ამოდგომოდა გვერდით. ასეთი არის კაპიტალიზმის განვითარების ისტორია.

დიდი ტანჯვისა და ვაების შემდეგ საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაშიც ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიური მოვლენა, ფეხს იდგამს ფულიანი მეურნეობა, მოდის ახალი ტიპის ადამიანი, რომელსაც თან მოაქვს ახალი ქონებრივი ურთიერთობა... და საფუძველი ეყრება ახალი ტიპის წოდებათა ბრძოლას.

ძველმა საქართველომ ყმისა და ბატონის ბრძოლა იცოდა, მის სინამდვილეში ქალაქები არ განვითარებულა, და არც მათი სიტყვა გაუგონია ჩვენს ისტორიას. დღეს კი ფეოდალს მეორე საბრძოლველი ფრონტი გაუჩნდა ბურჟუაზიის სახით. ჩაღდება ახალი ელფერის ეკონომიური ბრძოლა, რომელიც ხან ჩუმად მიმდინარეობს და ხანაც აშკარა ღია სახეს ღებულობს. იბრძვიან მიწა და ფული, იბრძვიან სოფლის მეურნეობის პროდუქტი და ქარხნის ნაწარმოები. ეს ბრძოლაა მთელი ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელი ღერძი, იგი ანახლებს და ანვითარებს მთელ ჩვენს ცხოვრებას.

იბრძვის ორი კლასი—წოდება — თავად-აზნაურობა და ბურჟუაზია ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, წვრილი ბურჟუაზია.

* * *

მაგრამ ეს ბრძოლა მარტო ეკონომიური ბრძოლით არ ამოიწურება, ამ ნიადაგზე ბრძოლა მხოლოდ იწყება და ნელნელა გადადის ადამიანთა გრძნობაში, აზროვნებაში. ორი სხვადასხვა ეკონომიური სისტემა შეუმჩნეველად ქმნის ორ გრძნობებრივ და იდეოლოგიურ სამყაროს, სადაც ისეთივე დაუნდობელი და გააფთრებული ბრძოლაა, როგორც ეკონომიურ ცხოვრებაში.

ძველ ფეოდალურ კლასებს თავის მკვიდრ ეკონომიურ ბაზასთან ერთად საკუთარი კულტურული ყოფა-ცხოვრება ჰქონდათ: თავისებური ბინები და მათი მოწყობილობა, ჩაცმა-დახურვა, სმა-ჭამა, ლაპარაკის კილო, სიტყვათა მარაგი, აზრის გაცვლის საშუალებანი, ერთმანეთთან შესახვედრი ადგილები, ლხინისა და დროის ტარების ფორმები, დატირების სახეები. მასვე ყავდა სასი-

ყვარულო ლიტერატურული ტიპები, ჰქონდა ერთგვარი ქანრის ნაწარმოებნი, თავისებური ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, ზმები, საყოფა-ცხოვრებო და საგმირო ლექსები... ამ კლასებს ჰქონდათ თავისი იდეოლოგია და თავისი სახელი. ისინი ატარებდნენ ყოველმხრივ დასრულებულ და ნიშანდობლიობის მატარებელ სახეს, მათი ცხოვრება მიმდინარეობდა ერთგვარად გამოკვეთილ კალაპოტში.

მეორე ეკონომიურ სისტემას და მასზე დაყრდნობილ კლასსაც თავისი სტილი უნდა შეექმნა, საკუთარი საყოფა-ცხოვრებო პირობები, საკუთარი გრძნობა, საკუთარი აზრი. გარეშე ამისა მისი ბრძოლა შეუძლებელი იქნებოდა და დამარცხებით დასრულდებოდა.

ახალი ეკონომიური ურთიერთობა პირდაპირ უკარნახებდა ადამიანს მწვავე ეკონომიური ბრძოლის ამ სფეროშიც გადატანას. ბურჟუას არ შეუძლია ფეოდალივით მუცელზე ეგდოს და ჭერში ბუზები ითვალოს, ის დამკლავებული უნდა მიყვებოდეს საქონელს; მას არ შეუძლია უხერხული და მძიმედ სატარებელი ფეხსაცმელი ჩაიცვას, მისი ცხოვრება მოძრავია და ტანისამოსიც ასეთი უნდა ჰქონდეს. ის მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში, ეცნობა ხალხთა ყოფა-ცხოვრებას და კულტურას; იგიც ებმის ახალ კულტურულ ცხოვრებაში: ახალი ბინა, მიმოსვლის ახალი საშუალებანი... და ყოველივე ამის ნიადაგზე იქმნება ახალი სალაპარაკო კილო, ჩნდება ახალი სიტყვები და გამოთქმანი, იბადება აზრის გასაცვლელი თავისებური საშუალებანი, იქმნება ახალი სულიერი კულტურა, ახალი ლეგენდები, შაირები, ლიტერატურული სახეები; ჩნდებიან ამ წრისათვის საყვარელი გმირები, მწერლები, მოაზროვნენი, იქმნება ახალი იდეოლოგია, ახალი სტილი...

ასე მოიმოქმედა საქართველოს წვრილმა ბურჟუაზიამაც: თავადაზნაურულ საქართველოს სტილს გვერდით ამოუდგა წვრილბურჟუაზიული სტილი. ორი იდეოლოგიური ქვეყანა ნელნელა დაუპირდაპირდა ერთმანეთს თავიანთი საკუთარი ლიტერატურული სახეებით, ენის ფორმებით, თავისებურად ფერების შერჩევით, ეროვნულ კულტურულ სალაროდან სიტყვათა მარაგის საკუთარ გემოვნებაზე ამოკრეფით, ნაგრძნობის და ნააზრევის განსაკუთრებულის ტემპითა და ხერხით წარმოთქმით...

რა არის სტილი? ვიწრო გაგებით იგი ადამიანის ენის თავისებურობას გულისხმობს: სიტყვათა მარაგს და მათ თავისებურ შესიტყვებას. მთელი ერის კულტურულ სალაროში უთვალავი სიტყვებია ძვირფას განძებევით ჩალაგებული. ხელოვანი მწერალი საკუთარის გემოვნებით უახლოვდება ამ სკივრს და ისეთ სიტყვას ირჩევს იქიდან, რომელიც მას მოსწონს, მერე თავისებურად შეფუთნის მას, თავის გემოზე დაალაგებს წინადადებაში, ხშირად ახალ სიტყვა-საც შეთხზავს ძველის მიხედვით და ისე აწვდის მკითხველს.

უფრო ფართო გაგებით სტილი გულისხმობს ყველა იმ საშუალებებს, რომელთა მეოხებით მწერალი ნათელყოფს თავის შინაგან „მე“-ს: ლიტერატურული მასალა, სახეები და მერე მათი გამოსათქმელი საშუალებანი — ენობრივი მხარე. ჩვენ ამ მეორე ნაირ გაგებას ვაძლევთ უპირატესობას. მარტო ენობრ-

რივ თავისებურობაზე დაყრდნობა განყენებული მუშაობა იქნებოდა და თანაც სახიფათო.

„სტილი თითონ ადამიანი არისო“, სთქვა ფრანგმა ბიუტონმა. ადამიანი კი უპირველეს ყოვლისა მოაზროვნე არსებაა, ნააზრევის გამოსათქმელად კი მას ენობრივი მასალა აბადია, ჯერ აზრი დაიბადება და მერე მისი საშოსელი — ენა გამოჩნდება. „პირველითგან იყო სიტყვაო“, ამბობენ ისინი, ვინც სტილის მნიშვნელობა ვიწროთ ესმისთ. არა, ჩვენ გვგონია, რომ პირველითგან აზრი იყო და მერე სიტყვა მოჰყვა მას, ასე განვითარდა ენა წარსულში და ასე ვითარდება ეხლაც. სიტყვა აზრის ფორმაა, სიტყვის განმსაზღვრავი აზრია, რომელიც ყოველთვის თავისებურ გამოსახვას მოითხოვს. წარმოთქმული სიტყვა უკვე განსაზღვრულია აზრის მიერ, შინაარსმა, აზრმა, უკვე გაანაყოფიერა იგი, და ფორმამაც, სიტყვამ, ცხადყოფის შემდეგ დაბადა იგი. აზრი და სიტყვა, შინაარსი და ფორმა ის ტყუპებია, რომელთა დაშორება შეუძლებელია: ერთის სიცოცხლე მეორეს სიცოცხლეა, ერთის სიკვდილი მეორეს გაქრობაა.

თავისი სტილი აქვს არა მარტო ცალკე პიროვნებას, არამედ მთელ წოდებას, კლასს, ერს, ებოქას. ცალკე პიროვნებას აქვს თავისი აზრი და გამოთქმის საშუალებანი, საზოგადოებრივ კლასსაც აქვს თავისი იდეოლოგია, აქვს საყვარელი სააზროვნო თუ საგრძნობი სახეები და საკუთარი ენობრივი საშუალებანიც. ესევე ითქმის მთელ ერებზე და კაცობრიობის ისტორიის საფეხურებზე.

ჩვენი მიზანია გამოვარკვიოთ ქართული ლიტერატურის სტილობრივი რაობა და თანაც ცხად ვყოთ მისი წოდებრივ-კლასიური საფუძველი.

ჩვენ ვსთქვით, რომ წარსულში ჩვენს სინამდვილეში ორი კლასი ან წოდება იბრძოდა: თავად-აზნაურობა და წვრილი ბურჟუაზიაო. თანაც დავსძინეთ, რომ თავადობა ყმებსაც ებრძოდაო. გაუგებრობის თავიდან ასაცდენად უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ ხანებში ჩვენი ბურჟუაზია უცხო ტომის — სომხის — იყო, ხოლო ქართველობა თუ ემატებოდა — ესენი ყმებიდან იყვნენ გამოსულნი. გარდა ამისა, გლეხობის მისწრაფება ბატონყმობის მოსპობისაკენ, არსებითად წვრილ-ბურჟუაზიულ ურთიერთობის შექმნისკენ იყო მიმართული — უნდა შექმნილიყო კერძო მესაკუთრე გლეხობა. ასე რომ ყმებთან ბრძოლა არსებითად ბურჟუაზიასთან ბრძოლა იყო.

მეორე გარემოება, რასაც აქედანვე უნდა მიექცეს ყურადღება, იმაში მდგომარეობს, რომ საუკუნის გასულისათვის საქართველოს სინამდვილეში წარმოიშვა კიდევ ერთი საზოგადოებრივი კლასი — პროლეტარიატი, რომელმაც თავისი იდეოლოგია წამოაყენა და საკუთარი სიტყვა სთქვა ჩვენს სინამდვილეში. ამ კლასის პირველი საჯარო სიტყვა 1905 წლის რევოლიუცია იყო, აქედან დაიწყო მისი გაბატონების ხანა საქართველოში და შემდეგი რევოლიუციების პროცესში ერთიანად დაეუფლა იგი ჩვენს სინამდვილეს.

მუშათა კლასმა მოიტანა ახალი ეკონომიური სისტემა, რომელმაც ძირიანად მოსპო ფეოდალური ნაშთები და ბურჟუაზიული ურთიერთობის პირობები. ყოველივე ეს კი გულისხმობს ახალი აზრისა და გრძნობის გამეფებას, ახალ

იდეოლოგიურ ატმოსფერას, ამ კლასის შესაფერ ლიტერატურულ სახეებს, ყოფა-ცხოვრებას, გემოვნებას, ენას და ყოველივე იმას, რასაც შეიცავს ფართოდ გაგებული სიტყვა-სტილი. დღევანდელი ჩვენი ხანა ახალი სტილის შექმნის ხანაა, ახალი ფორმების გამოშუშაების პერიოდია. რა მიღწევები ამ გზაზე და რა უნდა გაკეთდეს ამ გეზით? ჩვენ ვეცდებით ამ საკითხსაც გავსცეთ პასუხი.

მაგრამ თუ ერთი გარემოება კიდევ არ გავითვალისწინებთ, ისე ვერ გადავალთ პირდაპირ ჩვენი წერილის საგანზე.

ჩვენ ვილაპარაკეთ კლასების ბრძოლის შესახებ საქართველოს პირობებში. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ბრძოლა ყოველთვის არ ყოფილა თავისუფალი და შეუფერხებელი, კლასი ვერ უპირდაპირდებოდა მკვეთრად კლასს, წოდება ვერ იბრძოდა თავგამოდებით წოდების წინააღმდეგ. გასული საუკუნის საქართველოს სინამდვილეს ხშირად ჰქონდა ისეთი მომენტები, როცა კლასთა შორის ბრძოლის მაგიერ სოციალური ჰარმონიის ილიუზიები იქმნებოდა და საკუთარ კლასიურ ინტერესთა დაცვა თითქოს იჩრდილებოდა.

ჩვენ ვლაპარაკობთ საქართველოს დამონავებულ მდგომარეობაზე და რუსეთის იმპერიალიზმის მხრივ გაჩაღებულ ეროვნულ ჩაგვრაზე და დევნაზე. განვლილი საუკუნე საქართველოსთვის ამ ნიშნის ქვეშ მიმდინარეობდა. ინდოეთისა და ოსმალეთისკენ ნიაღვრად მიმართულმა რუსულმა სავაჭრო კაპიტალმა გადმოლახა საქართველოს ტერიტორია. მას ერთის დღითაც კი არ დაუგდია მეომრის თვისებები და ხან რომ ხმლითა და ზარბაზნით იბრძოდა საკუთარი ბურჟუაზიის საქონლისათვის ბაზრების მოსაპოვებლად, ხან საშინელ ეკონომიურ და კულტურულ ომს უმართავდა პატარა საქართველოს ხალხს. 1801 წელს იგი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრდა, 1811 წელს იარაღით შემოიერთა იმერეთი, 1867 წელს სამეგრელოს ავტონომია მოსპო, 1878 წელს ბათომი და მისი მხარე შეემოიერთა, ამავე დროს უშუალოდ აქრობდა ადგილობრივი ხასიათის აჯანყებებს და ამნაირად მკიდროდ დამკვიდრდა კავკასიის ქედის გადმოღმა, სპარსეთისა და ოსმალეთის საბოლოოდ დასასუსტებლად.

თანაც მთელი კავკასია თავისი ბურჟუაზიისათვის ნედლი მასალის გასატან კოლონიად გადააქცია და შეუბრალებელ ექსპლოატაციას მიჰყო ხელი. ადგილობრივი ეკონომიური ცხოვრების გაჩაღება მას სრულებით არ აინტერესებდა და მთელი მისი ყურადღება მხოლოდ კოლონიალური პოლიტიკის უკეთ წარმოების სურვილით განისაზღვრებოდა.

თვითმპყრობელობას არც ეს აკმაყოფილებდა, და იგი სასტიკ კულტურულ ომს აწარმოებდა ქართველი ერის წინააღმდეგ. დევნიდა ქართულ კულტურას, ენას, ისტორიას, ტრადიციას, თეატრს, მწერლობას, დევნიდა ქართველ ადამიანს, არ ამსახურებდა თავის ქვეყანაში, არუსებდა და გადაგვარებისკენ მიაქანებდა მას. ეს საშინელი პოლიტიკა შეუჩერებლივ ტარდებოდა მთელი საუკუნის მანძილზე და დიდათ აბრკოლებდა მებრძოლ კლასებს შორის შეგნების შეტანას.

მაგრამ ყველაზე უფრო უარეს პირობებში ამ მხრივ პროგრესიული კლასები იყო: თვითმპყრობელობის მთავარი დასაბჯენი ძალა საქართველოში თა-

ვად-აზნაურობა იყო. მთავრობა ამ წოდების სისხლი სისხლთავანი და ხორცი ხორცთავანი იყო. ამიტომ მისი პოლიტიკა ყოველთვის ამ წოდების ინტერესებიდან გამოდიოდა, და რუსის მთავრობას ჩვენს თავად-აზნაურობასთან, როგორც მასასთან ერთხელაც კი არ მოსვლია შეტაკება. რუსეთის დვით-მპყრობელობა და ქართველი თავად-აზნაურობა, როგორც მთლიანად წოდება, ყოველთვის ხელჩაკიდებული მიდიოდნენ. ეს კი პროგრესიული წინსვლის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული.

გაბატონებული წოდება, რომლის ხელთ იყო მთელი ეკონომიური ცხოვრება—პრესა, ლიტერატურა, თეატრი, ეკლესია—ხშირად მოხერხებულად სარგებლობდა ყოველივე ამით და შეღახულ საკუთარ ინტერესებს მთელი ერის ინტერესებად აცხადებდა. ნი წლებში მოღვაწეთა ერთი ჯგუფი ამტკიცებდა: ბატონ-ყმობა ჩვენში მამა-შვილობა იყო და ახლაც ასე არისო. როცა ბატონ-ყმობა მაინც მოისპო, მერე „ჩატეხილი ხიდი“-ს თეორია წამოაყენეს და წოდებათა ბრძოლა, რომლის უარისყოფა შეუძლებელი იყო, ქართველი ერის დამლუპველად იქნა გამოცხადებული. ქართველი მუშა, ქართველ ბურჟუას კი არა, უცხოელს უნდა დაუპირდაპირდესო, გაისმოდა ინტელიგენციის ერთ ნაწილში ცხრაასიან წლებში.

და ყოველივე ეს ხდებოდა მთლიანი ეროვნული ფრონტის შესაქმნელად რუსეთის გამარჯვებელი პოლიტიკის წინააღმდეგ, რაც კლასთა ბრძოლას ხშირად აღუწებდა და კლასობრივი ინტერესების შეგნებას აჩლუნგებდა.

ქართული ლიტერატურის მკვლევარს ამ მომენტის უგულვებელ ყოფა უდიდეს შეცდომაში გადაჩეხავდა. ეროვნული ბრძოლა აფერხებდა არა მარტო კლასთა ბრძოლას, არამედ გარკვეულ იდეოლოგიათა შექმნას და, მაშასადამე, სტილობრივ ჩამოქნას და გამოკვეთას. ეროვნული დევნის წარუხოცელი ბოროტება ქართველ ხალხს ანადგურებდა არა მარტო ეკონომიურად, არამედ კულტურულად და სულიერად.

ყოველივე ამან თავისებური დაღი დაასვა, როგორც თავად-აზნაურულ წოდებას ისე ბურჟუაზიის საუკეთესო შვილთა თუ იდეოლოგთა მიერ შექმნილ ლიტერატურას და სტილს.

* * *

მაშ ასე. მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში მომდინარეობს ორი ნაკადი: თავად-აზნაურული და წვრილ-ბურჟუაზიული. პირველ ნაკადში ვხედავთ ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს, ნიკ. ბარათაშვილს, ვახტ. ორბელიანს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ყაზბეგს, კლდიაშვილს. მეორე ნაკადში არიან გიორგი ერისთავი, ანტონოვი, ლავ. არდაზიანი, დ. ჭონჭაძე, გრ. რჩეულიშვილი, გიორგი წერეთელი, ან. ფურცელაძე, ნ. ლომაური, ს. მგალობლიშვილი, რ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა, არაგვისპირელი, ნაწილობრივ ე. ნინოშვილი და სხვები.

მოსალოდნელია შეკითხვა: თუ სტილი თითოეული ადამიანის შინაგან „მე“-ს გადმოგვიშლის, ყველა აქ ჩამოთვლილ მწერლებსაც ხომ თავისი ინდივიდუალო-

ბა ექნებათ და როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ მხოლოდ ორგვარი სტილი—თავად-აზნაურული ან წერილ-ბურჟუაზიული განსაზღვრავდეს მათ შემოქმედებას? ამ კითხვაზე გარკვეული პასუხი, რასაკვირველია, წერილის ბოლოში გვექნება მოცემული. მაგრამ წინასწარ მაინც საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო შემდეგი: არც თავად-აზნაურული და არც წერილ-ბურჟუაზიული სტილი, რომელიც შექმნილია განსაზღვრულ ეკონომიურ-იდეოლოგიურ, კულტურულ-სრულეებით არ წარმოადგენს სამუდამოდ და უცვლელ ფაქტობრივ მახასიათებლებულ რაიმეს, ორივე ეს სტილი ისეთივე ცოცხალი, მმოდრავი და მრავალ-ფეროვანია, როგორც თვით ცხოვრება; და უნდა დაუშვათ, რომ თითოეული ჩვენი მწერალი უსათუოდ ერთგვარ თავისებურობას გამოიჩინდა ამ მრავალსახიანობის გადმოცემაში. ხოლო ძირითად ხაზებში კი იგი განსაზღვრული წოდების, თუ კლასის მიერ შექმნილ სტილისტიურ მოხაზულობაში დარჩებოდა.

მე-18 საუკუნის საფრანგეთში კლასიკური ტრაგედია მეფის სასახლეში მოგროვილმა ფეოდალურმა არისტოკრატებმა შექმნა. ამ ხანის დრამატიული ხელოვნების წარმომადგენელი თავიანთ თხზულებებს არისტოკრატის გემოვნებისა და საზოგადოებრივი იდეალების მიხედვით ქმნიდნენ. ე. წოდებული „ცრემლიანი კომედია“ ანუ ბურჟუაზიული დრამა ახლად გაძლიერებულმა წერილმა ბურჟუაზიამ შექმნა თავის ყოფა-ცხოვრების და მისწრაფებათა ნათელსაყოფად. ამ მიმართულებასაც თავისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები აქვს.

ასეთ მოვლენას ვხედავთ სხვა ერთა ლიტერატურაშიც: ყოველი წოდება, თუ კლასი თავის სიტყვას ამბობს როგორც ლიტერატურაში, ისე შემოქმედების სხვა დარგებში, და ამნაირად თითოეულ საზოგადოებრივ ჯგუფს ერთგვარი წვლილი შეაქვს საერთო ეროვნულ და კაცობრიულ კულტურულ საღაროში.

ქართველი ერის შემადგენელი კლასებიც ამ გზით მიდიოდნენ. ვნახოთ, რაში გამოიხატა მათი თავისებურობა და კულტურულ-იდეოლოგიური შემოქმედება.

* * *

ალექსანდრე გარსევანის ძე კავჭავაძე (1786—1846 წ.წ.)-

ყოველ კეთილთაგან იავარ ქმნილი,
ვზი და ვსტირი ჩემს ბედსა ცრემლით თვალ-გნილი,
ზოგჯერ ვიტყვი გულ-ამოსკვნილი:
რომელთაგან მქონდა სიამე—შეება,
აწ მეცა მათ უქმენ თავ შემოვლება.

სიკვდილს ნუ მექადით, ის მიჩანს არად.
რა თავი მეკვეთა, მუნით ვარ მკვდარად.
ერთარს ლეში, საცა ვეგდო სამარად!..

ასე კვენისის არისტოკრატ პოეტის ქნარი, მას მართლაც ჰქონდა სატირალი: ერეკლე მეფის დიპლომატის გარსევან კავჭავაძის შეილმა, რომელიც ერეკლეს პირადი ადიუტანტი უნდა ყოფილიყო, ეს დიდებაც დაჰკარგა და რუსეთის თვითმპყრობელობამ ორჯელ ციხეშიც ამოაყოფია თავი, თანაც ავაზაკივით

გაკრიჭა და რუსეთში გადასახლა. პოეტს სიამეც უნახავს, შვებაც, მაგრამ დღეს ყოველივე თავს შემოუვლია და ლეშად გრძნობს თავს.

ჯერეთ ნორჩ ხანში, უცხო ხალხში ოდესა ვრბოდი, —
 არა ვარ მცირე დასამცირე, ამას ვამბობდი;
 შვენებით სრული, გაბადრული მსწრაფლ ვამაყობდი,
 ამით ვიცოცხლე, არც სიცოცხლე არ მომწყენია.



ხედავთ ამ სოფელს დაუნდობელს, ვით დამწვა გული,
 მლიქველის ენით დამონებით მიპყრა სალ-გული;
 ტყვედ მიმცა ჭირსა გასაჭირსა, მყო დაკარგული,
 აწ ცრემლით ვჩივი და ვერვისთვის შემისმენია.

ვინც რომ ვის ენდოს და მიენდოს, ჩემებრ კრულება
 იყოს, იწყველოს და ეწყველოს ბედის კრულება!
 იქ განიკითხონ და იკითხონ ეს შეკრულება,
 სად ჩემი ჩაგვრა და დაჩაგვრა დამითმენია.

აი ამაყი ამოძახილი ამაყი თავადისა, „არა ვარ მცირე დასამცირე“... და მაინც დაამცირეს. სიცოცხლე უყვარდა მთელის თავის არსებით, იყო „შვენებით სრული, გაბადრული“, მაგრამ მაშინდელმა სინამდვილემ „ტყვეთ მისცა ჭირსა გასაჭირსა“ და ჰყო დაკარგული. ასეთ ადამიანს არ შეუძლია ჩვეულებრივად აზრის გამოთქმა. მოკუმული ტუჩები, კბილთა ღრჭენა და შხამიანი სიტყვები, აი მისი ხვედრი. მაგრამ ეს იარაღის აყრის შემდეგ, მანამდე კი ხმალი უნდა ელავდეს. ამ მწარე სიტყვების ამოკვნესამდე ალ. ჭავჭავაძემ ესეც სცადა: 1804 წელს აჯანყებულ მთიულეთს შეუერთდა და რუსებთან ბრძოლაში კიდეც დაიჭრა. დამარცხების შემდეგ სპარსეთს გარბოდა ბატონიშვილთან ერთად, მაგრამ გზაში შეიპყრეს... და მის შემდეგ არის რომ ასეთნაირი გოდების გუნება-ზეა. 1832 წლის შეთქმულების ამბის ცოდნისათვისაც ციხე და გადასახლება აგემეს. ამის შემდეგ მგოსანს კიდეც უფრო უნდა აელესა თავისი ბასრი ენა.

ძველი საქართველო რუსული სავაჭრო კაპიტალის აგენტმა თვითმპყრობელმა მთავრობამ დაიპყრო, ამ მთავრობას თითონ თავის ერის მშრომელებიც ძალით ჰყავდა დაპყრობილი. ალ. ჭავჭავაძე კი ერთიანად ვარდება ნაციონალური სიძულვილის ბრწყყალებში, რუსეთის ხალხს და მთავრობას ერთმანეთში ურევს და ამბობს:

უწყით ყოველთა მახლობელთა მამულნი მათნი, (ე. ი. რუსების)
 ურიცხვინი ტყენი, ბალახ ბევრნი, მრავალ ათასნი,
 მუნა მყოფელნი, ყოველ-მშფოთველნი, სიტყვა ლაქათნი,
 ცხოვრება ცუდი, გულით მრუდი, პირბნელნი სათნი
 აქვსთ ყოველთვის ხელად სჯულად ძველად საფრთხე, საცთურნი...
 ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ არეულად,
 დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელს ჰყოფენ მგლურად,
 ბატონყმობანი, გარჩევანი არა აქვთ სრულად;
 მოყვარეთ ტკბილთა, ხან დაზმულთა გულთა სწყვილენ მტრულად,
 კაცთა მკილაენი, ლიზლნი, აენი, ეშმაკთ სადგურნი—და სრგ.

ნაციონალისტი და არისტოკრატი—ამ სიტყვებს სხვა არავინ დასწერდა. უბედურ მდგომარეობაში მყოფი მგოსანი ჰკარგავს სალი ანალიზის უნარს და

ასე სასტიკად ახასიათებს რუსის ხალხს. ბატონ-ყმობაც არა აქვთ კარგად დაცულიო, ამბობს პოეტი, რომელიც ამ სიტყვებით ერთიანად ააშკარავებს თავის წოდებრივ თვალხედვას. არც მგლურად ჭამასმა მოსწონს ჩვენს ბატონს, რომელიც ალბად ხუცესის დაუკურობებლად სუფრაზე ლექმასაც არ გასტეხდა, თუმც რამდენიმე ლექსში ხუცებს იგი მასხარადაც კი იგდებს. მაგრამ ერთი ძველი ტრადიციების დაცვის აუცილებლობა და მეორე ხუმრობითების მოფხანა.

კენეს გული, ძმანო, ხსოვნად კმანო, მომხსენე ვების,
არს ცრემლით მგონე შენაღონე თქვენთანა შვების.

კმუნვის მახვილი გულსა მსობია;
მიკვარს, თუ სული რათ არ მხდომია...

მწეა მხოლოობამ, ხელმქნა გრძნობამ, მტრულ მყო ღმობამ,
შეშიცვა გზნებამ, მოყვასთ თბობამ, უხილველობამ.

მიმუხთლა სოფელმან რისხვითა მხედმან,
აწ სმეული მშთარვარ სურვილის სძითა.

სოფელი მიჩანს სამარედ, სადგურად ოდენ მკვდრების,
ვჭრბი და მსდევენ დასები სევდის და მწუხარების.
მისვე საგანს ვეიიებ, გარნა ვერსად მხედების,
სულთქმა ჰქუხს, ჰსწვიმენ ცრემლნი, დღე შემეჩნების ბნელად...

რამდენი ასეთი მარგალიტია ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში! რომ არ მოელოთ ისეთ დროს დაგეცემათ ხელზე მისი ცხარე ცრემლი. მისი ლექსები გულის მღუღარებაშია განბანილი, ჩვენი კრიტიკოსები კი გვარწმუნებდენ—ალ. ჭავჭავაძე უდარდელი პოეტია. რა ზეზური ხალხი ვართ! მაგრამ ეს სხვათა შორის.

კმუნვის მახვილით გულ განწონილ პოეტს მთელი ქვეყანა სამარეთ ეჩვენება, ის გაურბის მომწამლველ აწმყოს, მაგრამ თან „სდევენ დასები სევდის და მწუხარების“. ამიტომ სინამდვილისაგან ოცნების გზით განთავისუფლება, მეტი გზა არ არის:

ნუ მიტევებ, ოცნებავ, მომეც ძველნი ბილვანი,
მომეც მე ძველნი ცრემლნი და ძველნიცა ოზვრანი;
წარსულისა სიცოცხლის ნიავი კვლავ დამქროლე
და მაშვრალს სულსა ჩემს სიტკბო მით განუახლე.
გვედრებ, ნულა მშორდები, განმიგრძე სიხარული,
რო მე ხსოვნითა ოდენ დავიტკბო წყლული გული.

აწმყო საშინელია და ისევ წარსული, როდესაც პოეტი და მისიანები ბედნიერად გრძნობდენ თავს. რას ხედავს წარსულში მეოცნებე პოეტი? „პალატა დიდებულთა“, „ქალაქთა ჩინებულთა“:

სად კვლავ მეფენი მოწიწებით იდრეკდენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად,
და ცისა მიმართ გრგვინვიდენ ხმანი ფსალმუნთა.
...მაშინ მათ შორის ხშირ ყოფილა ქურურთა მქონე

არა თუ ვერცხლით, ნდობითაცა ყოველად მდიდარნი.
 ... კულავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ ტაიქთა სრბოლა,
 ჩოგნის ტაცება ჭაბუკ მხედართ გამოსაცდელად,
 შუბთა ტრიალი, ჯირითით ტყორცნა და ისართ სროლა...
 ... მკუთუნელნი მათნი ბედნიერნი და კმაყოფილნი,
 ოდესმე მათნი განცხრომილან და განშვებულან.
 ... რავედნთ ბანოვანთ შვენებანი ახლად მშლილობნი
 ჭავლის სიწმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას...



სასახლეები, სიმდიდრე, ამ სასახლეთა და სიმდიდრის დასაცველად შექმნილი ჯარების ჯირითი და წვრთნა, წარმტაცი სილამაზის მანდილოსნები გოჭჩის ტბის ტალღებს სარკესავით რა ჩასცქერიან და ყოველივე ამის სილალე, ბედნიერება, — აი როგორ ცალმხრივ სანახაობას ხედავს ალ. ჭავჭავაძე წარსულში. მხოლოდ თავისი წოდება, მხოლოდ თავისი საყვარელი წრე, — აი რა ელანდება მას. ეს არის ერთი საქართველო, თავად ჭავჭავაძეების საქართველო. მშრომელთა საქართველო კი სადღაც მიმალულა, იმას ვერ ხედავს პოეტის თვალი, არც შეუძლია დაინახოს იგი, იმიტომ რომ პოეტი არ იცნობს მას, შორაა მისგან, არ იცის მისი გულის ტკივილი, ყოფა-ცხოვრება და მისწრაფებანი. თავადთა წრიდან გამოსულ პოეტს თავის საოცნებო სურათის წარმოდგენის დროს არაფერი არ დაავიწყდა: მოაგონდა ძველი დროის სიმდიდრე და მისი მულობელი, მოიგონა მისი მცველიც და ბოლოს ყოველივე ამის იდეოლოგიურად გამამართლებელი და კაცთმოყვარული იდეებით მასხურებელი — ეკლესია, მაგრამ დაავიწყდა ერთი ვინმე, ამ სიმდიდრის შემქმნელი მშრომელი ყმა.

მე არ ვფიქრობ, რომ ეს პოეტს განზრახ მოსვლოდეს, მშრომელთა სიძულვილით, ან სხვა რამე მოსაზრებით. არა, ალ. ჭავჭავაძე თავისი დროის გაბატონებული აზროვნების თვალსაზრისზე იდგა. ამ თვალსაზრისით კი ყმა ადამიანად არ იყო მიჩნეული, უკეთეს შემთხვევაში იგი მდაბალი ხარისხის ადამიანი იყო. ერში დაგროვილი კულტურა ამ ფენებისთვის თითქმის ერთნაირად მიუწოდომელი იყო, სწავლა-განათლებას თავად-აზნაურობა და სამღვდელეობა ფლობდა, ეროვნული აზროვნების აპარატსაც ეს წოდებები წარმოადგენდა. ამიტომ მშრომელი გლეხობა მხოლოდ ერთგვარი მასალა იყო ამ წოდებათა ხელში. ალ. ჭავჭავაძეც სრულიად ბუნებრივად ამ თვალსაზრისზე იდგა. ადამიანის პიროვნება მისთვის თავად-აზნაურული წოდებით განისაზღვრებოდა, მხოლოდ ამ წრის ადამიანს იცნობდა და ამჩნევდა იგი.

მართალია, ერის დაბალ ფენებსაც ყავდა თავისი გულის მესაიდუმლენი არსენა ოძელაშვილების სახით, ამ ფენებსაც ჰქონდა საკუთარი კულტურული შემოქმედება და თავისი პოეზია — სახალხო ლექსები, არსენას ლექსი და სხვა, მაგრამ ალ. ჭავჭავაძისათვის ყოველივე ეს თავისი მდგომარეობის გამო მიუწოდომელი იყო. ერის ამ ნაწილიდან მას არ შეეძლო არც მხატვრული სახეების ამოღება და არც იდეალების გადმოშლა.

აქვე გვინდოდა ენის შესახებაც გვეთქვა, მაგრამ ეს ქვევით.

ჩვენს პოეტს არა თუ წარსულში, აწმყოშიც, ეტყობა, ძალიან უყვარდა სასახლეების ხილვა. ბევრ რამეში ემდუროდა იგი რუსეთს და მის მონარქებს,

მაგრამ ნახეთ რა ალტაცებაში მოჰყავს მგოსანი „პავლე I სასახლეს პეტერბურღს“.

ჰე, პალატნო, ვინ მონარქმან, დიდებისა მოყვარემან,
საუნჯეთა დაუხოგმან, სიძნელეთა ვერცხლით მრევმან,
დიდ შემძლეთა განსაკვირვად, ქმნად საქმისა მომწადნემან,
ქვეყნით გამო აღმოგზარდა ველთა მდელთა ვითა მხემან, რქქდა სხემან.

აქაც უსათუოდ წოდებრივ შეგრძნობასთან გვაქვს საქმისა მხსნ ჭამაუბედურებელ რუსეთის ყოფილ მეფეს სასახლე შეუქო და თავის სამშობლოში ერთი გლეხის ქოხიც კი ვერ დაინახა. ასეთია წოდებრიობის თვალსაზრისი.

* * *

დიდი ნუგეშია, როდესაც აწმყოთი გულმოკლულს დიდებული წარსული განუგეშებს, მაგრამ რაც არ უნდა წარმტაცი იყოს მისი მოგონება, მაინც ის ნეტარი „დრონი, ნაგებნი მტკბარად“, საბოლოოდ ვერ დაგვიამებენ წყლულებს, რადგან ისინი „წარივლტუნენ, გაჰქრენ სიზმარებრ ჩქარად“... და ჩვენც ხორციელ ქმნილებებს უფრო რეალური სახის თავდასაფიწყებელი საშუალება გვინდა. ასეთია ადამიანის ბუნება და ალ. ჭავჭავაძემაც მალე მონახა ეს რეალური საშუალებანი.

როს საროს რხევა, მნათობო, წარმომიდგების,
ცნობა მეღვეის, ინათობო, ოხვრა ხშირდების,
ბროლის ფიქრისა, მნათობო, მახვლებს ხსოვნა,
მომკლა ძებნამან, მნათობო, და სად არს პოვნა?

ალვის ტანი მალღვანი ვერ ვიცანია,
ლერწმად აბატოს, ვინც დაბატოს მისი ტანია,
ლაშ-ლოყა ლბილი, მკლაფნი წვრილნი, შაფნი თმანია,
სადაფ მჩაგვრელად ფერი ვლიან ბროლ ფიქალია.

მშვილდისა წვერსა გადმობრილობენ, (წარბები იგულისხმება)
მელნის ტბათ გარე სხვანი გრილობენ...
ლაწვსა ფერობენ ვარდნი გაშლილნი,
ვის ყვლად ჰქმნიან ბროლ-მინა თლილნი,
ლალთ შეუზღუდავთ მარგალიტთ კბილნი.

ელვისა შტონი კვლავ ეხვევიან, (იგულისხმება მკლავები)
ნეტარ მას, ვისაც მოეხვევიან...

„ალვისა ხის ტანი“, „ლაშ-ლოყა ლბილნი“, „ბროლ-ფიქალი“ გულმკერდი, „წვრილნი მკლაფნი ნეტარ მას, ვისაც მოეხვევიან“... ან სიტყვებში მოცემულია ქალის სხეულის ხორციელი ხატება, რომლის ძებნა პოეტს კლავს და როცა მოაგონდება, ცნობა ელვეა.

ძვირფასო საყვარელო, მხოლოდ მფლობო გულისავ,
შენ გეტრფი, შენგან ვცოცხლობ, სულო ჩემის სულისავ,
შენთანა ვარ თუ სხვაგან, მახლობლად თუ შორს ქმნილად,
ლხინად, შევბად, განცხრომად შენი ოდენ მაქვს ტრფობა:
გულს შენგან აქვს სიცოცხლე, და სიცოცხლეს დატკბობა.

ალ. ჭავჭავაძეს, რომელსაც, თავს დასტრიალებდა ბესიკის მუხის აჩრდი-
ლი და შორით კიდევ რუსთაველის ქნარის ელერა იტაცებდა, მრავალი საღე-
ბავი მოეპოვება ქალის სიყვარულის ასასახავად. იგი ღრმად გრძნობს შაშველი
სხეულის ხორციელობას და ენაც გამომხატველი აქვს:

რა ვჰყო, ენა აშიკისა არ ჰგავს სხვისა გრილსა ენასო, — ემბრებს ეგვი
ქალების გარდა მეორე თავდასაფიწყებელი საშუალებაც არის ~~არის~~

ლოთებო, ნეტავი ჩვენა, არიარალი
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა, თარიალალი!
შემოდგომამა ბახუსი
საწნახელში ჩააყენა.
...ამ სოფლისა ცხოვრება
ვერცხლით არ მოიპოვება:
მდიდარნი ბევრნი ყოფილან
ოხრად რჩენიათ ქონება.
მაშ მოდით ისევ ღვინითა,
დრო გავატაროთ ლხინითა:
ქეიფი ისევ მოგვივა,
გოგრითა ვსვათ თუ ჩინითა და სხვ.

აწყმო საშინელია, მშვენიერი წარსული აქვს მოსაგონად პოეტს —

მაგრამ რა?! დროსა მსვრელის ცელით, ყოვლთა წარწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთლილა!

პოეტი კერძო მოვლენის განზოგადოებამდე მიდის, ცხოვრების ერთგვარ
ფილოსოფიას ქმნის:

ბ ე დ ს ა ვხედავ მზარადა,
რისხვას მირევს მზარადა,
ა წ ბ ე დ მ ა ნ ამა მზარეს
გადმომავდო, მით ვარ თმენად.
ცუდ არს ბრმა ბ ე დ ი...
უჩხრეკად მხედი....

ბ ე დ მ ა ნ რისხვით, შურდულითა განმტყორცა...

აღამიანი არ განაგებს თავის ცხოვრებას, მის გარეშე იმყოფება რალაც
ძალა, ბედისწერა, რომელიც იქითკენ მიმართავს მის სიცოცხლეს, საით ამ ბე-
დისწერას სურს.

ვაი სოფელსა ამას და მისთა მდგმურთა,
ბოროტებისა და სიცრუვის ჭურთა,
კეთილ მოყვარების დათრგუნვის მსურთა
უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ძლიერი ჩაგრავს სუსტს, დიდი სამეფო იმონებს პატარას:

სამეფონი ურთიერთსა მცველობენ,
შეუწყალოდ, მხეცებრ კაცთა მხეველობენ;
მდიდრდებიან, რომელნიცა მძლევლობენ,
და ყვავილოვნებენ
მდაბალთა ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

აქ უსათუოდ საქართველო და რუსეთი იგულისხმება, ამ განზოგადებულ აზრთა სათავეც საქართველოს—სუსტ სამეფოს—დაპყრობაში უნდა ვეძებოთ. ეს ადგილი და განსაკუთრებით ქვევით მოყვანილი ტაეპი, ჩვენ დაგვჭირდება ნ. ბარათაშვილის განხილვის დროს. ვნახოთ, რომ ასეთი იდეები გამჯდარი ყოფილა მაშინდელ სააზროვნო ატმოსფერაში.

ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეშურვით,
არნმოცულნი უმრავლესითა ურვით,
ფიქრ მრავლობენ განდიდებისა ურვით,
ატარებენ უამთა

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ეროვნული
ბიზნისისეა

ალ. ჭავჭავაძე ვოლტერიანელი იყო, ამბობენ. ამას მისი თარგმანებიც მოწმობენ. ექვი არ არის, რომ თავისი დროის მსოფლიოს მოვლენებიც ეცოდინებოდა. ევროპაში ამ დროს რევოლიუციის გრიგალი ტრიალებდა: ნაპოლეონი, დამხობილი გერმანიის ტახტები, დამარცხებული ნაპოლეონი, ბურბონთა რესტავრაცია, საფრანგეთის 30 წლის რევოლიუცია, აჯანყებული პოლონეთი, ჩარტიზმი... და ჩვენი პოეტიც დაამლერს:

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდდეთ მათთან თანასწორობას!

არ მარადის იშვათ

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

ალბად ფაქტებზე დამყარებული ასეთი რწმენაა, რომ ხშირად სიკვდილის მონატრე პოეტს ვაჟკაცურად აამლერებს:

არ ვსდევ უამთა სვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად.
გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი,
იმედოვნებას ვუწოდებ ფერად
მე იგივე ვარ მარად და მარად.

აწმყო და წარსული, ბედისწერის წინაშე თრთოლვა და მისი გადალახვის იმედი, უიმედობა,

„ნაცვლად იმედთა მით ჩემთა მზეო,
ჯოგრითი ჭვრეტა შელამჩხომია;

განზოგადებული დასკვნანი სიცოცხლის ამაოების შესახებ და „უამიანობის დროის“ სულიერი განწყობილება: ღვინო, ქალები, —ასეთია მე-19 საუკუნის ქართველ აზნაურთა პირველი მგოსნის სულის ხვეულები.

სასახლეები, პალატნი, ასპარეზობა და ტაიჭთა სრბოლა, ღვთის მსახურთა ღალადება, ტახტს მჯდომი მეფენი, შეყვარებულნი, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,—აი რა სურათებითაა დაყურსული მისი არსება.

ერის რომელ ფენებიდან არის ამოღებული ამ სურათთა გადმომცემი ენობრივი მასალა? თავადობისა და სამღვდელოების. ალ. ჭავჭავაძის ლექსების ენით მარტო გაბატონებული წრეები ლაპარაკობდენ, ეს იყო მათი სალიტერატურო და სააზროვნო ენა. მაღალ ფარდოვანი სიტყვები, პათეთიური გამოთქმანი, ანტონ კათალიკოსის კონსტრუქცია, არისტოკრატიული გაბგერება:

ვაი დრონი, დრონი ნაგებნი მტკბარად...

... ვინ არს ესე სრულ თავთირემ მანათი?

... ეჭვ პალატნო! ვინ მონარხმან, დედებისა მოყვარემან...

... ჰოი წარმავალნო გზასა ქალნო... და სხვ.

აშკარაა, თუ ვისი ენით ლაპარაკობს მგოსანი. წაიკითხეთ, „არსენას ლექსი“ და აშკარად დარწმუნდებით მდაბალი ხალხისა და თავადთა დღესმდევლოთა ენობრივ სხვადასხვაობაში.

მაგრამ ალ. ჭავჭავაძესაც შეუძლია უბრალოდ ლაპარაკი, ეს მაშინ, თუ ლექსის თემა შეიცვალა, მაგალითად „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“, ზოგიერთი თარგმანები და „მართას ავადმყოფობა“ შედარებით მდაბიო ენით აქვს გადმოცემული.

სამშობლო და მისი სიყვარული, ქალისადმი ტრფობა, მპყრობელის ტანჯვა, ყოველივე ეს მაღალი საგნებია და მაღლის ენითაც უნდა გამოითქვას. დვიხო და ქეიფი კი უფრო მდაბალი ხარისხის მოვლენებია და ამიტომ მდაბიოთ უნდა ვახსენოთ... მოვიგონოთ ცრუკლასიციზმის პოეტიკა და ბევრი რამ იქნება გასაგები.

* * *

გრიგოლ ორბელიანი. (1801—1883) ამ მგოსნის შემოქმედებაც ძირითად ხაზებში უსათუოდ ენათესავენ ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას: პოეტური სახეები და საზოგადოდ სტილი აშკარად დაგვარწმუნებენ ამაში, სხვა საბუთები ჩვენთვის საჭირო არ არის.

ცნენთა თქრიალი, შებთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი, ყურთმაჯთ ბრიალი,
უზანგთა ცემა, ცნენითგან ხტომა. კვალად შეხტომა, და ხმაღთ კრიალი...

ზოგი არწივსა,

ზეცას მფრინავსა,

ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა;

ჯირითი ზოგის

ზუზუნით მოჭრის

და მოხვდა ქვაზე თაას ნიშნად დგუმელსა,

ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი სიამით მარად უმზერდა შორით,

ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვინცა არღა არს, ვისთვისცა ვჰსტირით („იარაღის“).

ასეთი სურათი ამოტივტივდა 1832 წელს გრიგოლ ორბელიანის სულის სიღრმიდან. ყაბახზე (ახლანდელ ალექსანდროვის ბაღში) ჯარების წრთვნა და „ამ ვაჟკაცობრივს შექცევას“ „სიამით უმზერდა შორით“ იგი, ე. ი. ერეკლე მეფე. შეადარეთ ამ ხატებას ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბიდან“:

კვლავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა

ჩოგნის ტაცება ჰაბუკთ მხედართ გამოსაცდელად,

შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცა და ისართ სროლა...

ერთი სოციალური წრის მგოსნები ერთნაირ სახეებს იძლევიან: გრიგოლ ორბელიანის ოცნებაც იქ არის, სადაც ალ. ჭავჭავაძის იყო. თუმცა ქრონოლოგიურად გრ. ორბელიანმა ეს ლექსი ჭავჭავაძეზე ადრე დასწერა: „იარაღი“ დაწერილია 1832 წელს, „გოგჩის ტბა“ კი 1841 წ., მაგრამ ამით საგნის არსე-

ბითი მხარე უცვლელი რჩება, ამ უამათ ჩვენ არ გვინტერესებს, თუ ვინ ვისი გაიმეორა, თუმცა განმეორებაც სულთა ნათესაობას ამტკიცებს.

წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოვლი კეთილი თან წარიღეს.

აწ უცხოთა ცის ქვეშ ზოგთა ვსჭვრეტთ თხროთ და ცრუმლით ზოგის წმინდა სამარეს...

აწ ვინ აღმოჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს,
რომელ მარჯვენით
ერთისა დაკვრით

წარსულთა
გმირთა

უსულოდ ვეშაპს მიწად დასცემდეს.

ასე ოცნებობს 1832 წლის შეთქმულების გამო ნოვგოროდში გადასახლებული პოეტი, რომელიც გულ ამოსკვნილი მისტირის წარსულს და უიმედოთ ეძიებს იმ გმირს, რომელიც დასცემდეს ვეშაპს, ე. ი. რუსეთს საქართველოს ჩამყლაპველს.

წარსულთა დროთა, დიდების დროთა, ყოველნი კეთილნი თანა წარიღეს. მოვისმინოთ ალ. ჭავჭავაძის აკომპანიმენტიც:

ვაი დრონი, დრონი, ნაგები მტკბარად,
წარიღტვენენ, გაჭკრენ სიზმარებრ ჩქარად.

მრავალ მხრივ არის საინტერესო ლექსი „ჩემს დას ეფემიას“.

სიცოცხლე ჩემი, ძლიეს განშლილი სასიზარულოდ...
მეგობართ შორის უზრუნველი დავმდგრდი მარად
და სიამითა უშერდიცა დღეთ მომავალთა
ან სად წარვიდნენ ნეტარების წამნი ძვირფასნი,
რომელ აჩრდილიც არა დაჭშთათ ჩემსა ნუგეშად,
რომ ჩემსა გულსა მოხვეულნი ჰმუნვათა დასნი
ესრედა ჰგლეჯენ ულონოს მსხვერპლს, შეუბრალებლად?

ორ მწერალს მინდა დაუნათესაო ორბელიანი: ალ. ჭავჭავაძეს და ბართაშვილს, პირველთა ნათესაობა აშკარაა, ხოლო მეორესთან ქვევით დავრწმუნდებით.

უცებ გრიგალმან უბედობის დამქროლა ესრედ...
სადაც ოხვრანი, აღმოსულნი გულისა სიღრმით,
არვის ესმოდნენ და ჰქრებოდნენ ზღუდეთა შორის,
...ვიყავ უსაგნოდ, უიმედოდ...
...ვაი მას, ვის ცა სწამს ნუგეშად, ვით მე მიმაჩნის,
რომ შევეჩვიე მწუხარებას და ვაი სადგურს...

გრიგოლ ორბელიანიც ჭავჭავაძისებურად მოწამლულია აწმყოთი და იმიტომაც მიფრინავს მისი ოცნება წარსულისაკენ, ბედის წინაშე ისიც ჭავჭავაძესავით არის ქედმოხრილი.

ასე გოდებს პოეტი 1835 წელს, მაგრამ იმავე წელში თავდავიწყებულიც ქეიფობს:

სულით ერთნო, მოლზინენო, აწ შეკრბით
თასით, ჯამით, ყანწით, აზარფეშით:
ლზინის სუფრა მოჭფინეთ ყვავილებით;
აღავერდა დასვით ფართი ნაქებით,
დიმპლიპიტო დაჰკარ დაარაკუნეთ...

ნაღვლის გასაგრობად გაქლილი ეს სუფრა, დამეთანხმებით, თავადური სუფრაა. ასეთ სუფრას მენიუც შესაფერი ჰქონდა. ეს კარგად იცოდა ორბელიანმა:

ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს;
ყნოსვა დამტკბარი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს.
კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა ხელს გვეპყრას;
მოთალი, თევზი, მწვანილი
აგვიპრელებდენ წინ სუფრას.



გრ. ორბელიანი დიდი მოქეიფე კაცი იყო საზოგადოდ, მაგრამ იმ ხანებში, როდესაც მან „ჩემს დას ეფემიას“ დასწერა, მის ქეიფს უსათუოდ „უამიანობის დროის ქეიფის“ დასაწყისი აქვს, ამიტომაც რომ იგი გვასწავლის:

სიკაბუყე ვით მაისი, მწვენივრად
აღყვავდების და მისებრ ჰქრების ჩქარად
ვაი, ვისთვის ეს დრო განვლეს უგრძობლად
და ცის ალით — ეშხით არ ყოფს გულ დამწვრად?
ვისთა დღეთა მწუხრამდის ნათლად განვლეს?
ვისი მზე არ ღრუბელსა მიჰფარვიეს?
ვისი ბედის კოჭი სულ აღჩუ დაჯდეს?
არ მიენდოთ დამღუპავს, წყვეულს ხვალეს:
დღეს მოხარულთ დღესვე ისიამოვნეთ,
დიმპლიპიტო დაჰკარ-დაარაკუნეთ!

ბედნიერება წარმავალია, ეცადე ხარბად ჩაყლაპო მისი წუთები, მომავლის იმედი ნუ გექნება — აი გრ. ორბელიანის ფილოსოფია, რომელიც მან გამოიმუშავა გარეშე მოვლენების გავლენით. როგორი იყო ეს მოვლენები? უკვე ვიცით ალ. ჭავჭავაძის განხილვიდან, საჭირო არაა განმეორება.

როგორც ვსთქვით, ორბელიანი თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში ძალიან ხშირად იყო ქეიფის და ლხინის გუნებაზე. სამოციან წლებამდე მაინც ცოტას გამოკლებით მისი ლექსები დაფა-ზურნისა და დიმპლიპიტოს ხმებითაა გაყრუებული. თვით მისი ცნობილი „სადღეგრძელოც“, რომელიც პოეტმა 1870 წ. დაასრულა, ქეიფის ფონზეა გადმოშლილი.

რისთვის იყო, რომ მადიანად ლხინობდა ეს მგოსანი? აკი 1832 წელთან დაკავშირებით მანაც ბევრი ცრემლი ღვარა? ამის მიზეზიც მაშინდელ არისტოკრატიის ცხოვრებაში უნდა ვეძებოთ, ერის იმ ფენების, რომლის ღვიძლი შვილი იყო გრ. ორბელიანი.

1832 წლის ატმოსფერაში ქართველი ინტელიგენციის აზროვნებას უსათუოდ პოლიტიკური მომენტი განსაზღვრავდა: დოდაშვილის ჯგუფს საქართველოს პოლიტიკური განთავისუფლება უნდოდა, სოციალური ბაზა არც აწუხებდა ამ წრეს და ფიქრადაც არ მოსვლიათ მისი შეცვლა. გრ. ორბელიანიც მათ გავლენის ქვეშ იყო, მაგრამ, როცა დრონი იცვალნენ, თავად-აზნაურობამაც ფრონტი იცვალა. 1832 წელი ერთგვარი თავადური ფრონტი იყო რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ, ამიტომ მთავრობაც შეეცადა მომავლისთვის თავი

დაეზლო და ჩვენი თავადობაც მოემადლიერებინა. რა არ მოიმოქმედა ამ ზიზნის მისახწევად: ბატონყმობის გამაგრება, ვორანცოვის პოლიტიკა, ჩინები, ორდენები, სამსახურში დაწინაურება. 1832 წლის შეთქმულნიც საბოლოოთ შემოირიგა: ყველანი დააწინაურა, სამსახურითა და დიდებით დააჯილდოვა და მათი მუხანი თავის ტახტის სადიდებლადაც კი აამეტყველა. მოვიგონოთ ალ. ჭავჭავაძის „პავლე I სასახლისადმი“, და გრ. ორბელიანის „სახელმწიფო ჩვენო“ „სადღევრძელოდან“.

გასაკვირველია საქართველოს დესპოტს და რუსეთის ჯალათს ჩვენი მგონები ლექსებს უძღვნიან! ერთ დროს ხმალით უპირებდნენ შებმას, ახლა კი ლექსები უთაიგულეს. ეს ცოდვა ნ. ბარათაშვილსაც აქვს, მაგრამ ამაზე ქვევით.

ერთი სიტყვით, როცა ორბელიანის ბედი ისევ შემობრუნდა და კოჭიცი ალჩუხე დაჯდა: სამსახურში დაწინაურდა, ავარიის ხანი შეიქნა, გენერლობა მიიღო და ბოლოს, სამოციან წლებში, მეფის ნაცვლადაც კი იყო, ორბელიანიც ქეიფობს და ბედით მადლიერია... თავად-აზნაურობა განცხრომაშია, გლეხობა უწინდებურად დამონებულია, დიდება და ბედნიერება ისევ ამ წოდების ხელთაა. მართალია, უცხო მთავრობასთან არიან, მაგრამ ჯანი გავარდეს— „რა ქართველობა, რის ქართველი, ვითომ რას გვაწყენს უცხო ტომობა“, თუ კი ქონებრივად ბედნიერი ვიქნებით და სუფრაზე ჯეირნის წვადებიც მოდის შიშინით, თანაც „მოთალი, თევზი, მწვანილი“ არ გვაკლია... თავად-აზნაურობის დიდი ნაწილი არ გრძნობს სოციალურ საფრთხეს რუსეთის ფრთეთა ქვეშ, პოლიტიკური საკითხიც მგონი გადაჭრილად ეჩვენება და მისი პოეტიც განცხრომაშია, ორბელიანი დაუსრულებლივ ქეიფობს.

მაგრამ გაისმა ბატონყმობის გადავარდნის ხმა, იგრძნეს სოციალური მიწის ძვრა, და გრ. ორბელიანიც ისევ ამეტყველდა 1832 წლის ჰანგზე, ისევ დაბრუნდა ალ. ჭავჭავაძესებურ რკალში. იგი ხელახლა უბრუნდება 1827 წელს ზოგადად მოცემულ „სადღევრძელოს“ და 1870 წელს ხელმეორედ გადაამუშავებს. „სადღევრძელოს“ ზოგიერთი ადგილები თუმცა ერეენის ალების (1827 წ.) შემდეგ არის დაწერილი, მაგრამ უმეტესი ნაწილი კი დამატებულია და ძველიც შეცვლილია უკანასკნელად 1870 წელს, — სწერს პოეტი იმ გამოცემაში (1873 წ.) რომლის რედაქცია თითონ მას ეკუთვნის. პოემაში მოცემულია მეფეების მთელი გალერეია: ფარნაოზ, მირიან, გორგასლან, დავით აღმაშენებელი, თამარ...

მის დროშას მოსდევს დიდი ორბელი,

შოთა უკედავი, ბრძენი ქყონდიდი,

მხედართ მთავარი დიდი მხარგრძელი

და გამრეკელი, ლომებრ გულადი.

თამარის დროშა გაშალეს, შეკრბა დიდუბეს ლაშქარი,

კახი ფარ-მუბით, თუში ხმლით. ფშავხვესურს შვენის აბჯარი,

მკლავით ძლიერით ქართლელი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი,

ოსი ფეხმარდი, მთიელი ბრძოლაში შეუპოვარი.

„დრონი იცვალნენ“ და სცენაზე გამოდიან ქეთევან დედოფალი, შალვა, ელიზბარ, ბიძინა ჩოლოყაშვილები, ამილახვრები, რატიშვილები, ბებურიშვილები, ბოსტაშვილები, ერეკლე მეფე და სხვა თავადნი... ერის მარულნი და ორგანიზა-

ტორები, ხოლო თითონ მასსა—მშრომელი ხალხი პიროვნულად შეუმჩნეველია, ის საომარი მასალაა თავადთა და მეფეთა ხელში... დამეთანხმებით, რომ აქ წმინდა ჭავჭავაძისებური ხელოვანია. სადღეგრძელოს მთელი მასალი მხოლოდ ერთი წოდების წარსულიდანაა ამოღებული და თავიდან ბოლომდე იდეალიზაცია ქმნილი. თავად პოეტს, რომელსაც ღრმად სწამს, რომ „გული შეფისა ზღვა არის, უსაზღვროება წყალობით“, არც შეეძლო სხვა მასალა მოეზიდა, სინამდვილეში. ეს ჩვენ ვიცით ალ. ჭავჭავაძის მაგალითიდან.

ბატონყმობის გადავარდნის სოციალურმა მიწისძვრამ გრ. ორბელიანისათვის კიდევ უფრო საშინელი სახე მიიღო: მისი წოდება ფიზიკურად გადაშენების გზაზედაც შედგა. 1882 წელს იგი სწერს:

დავმარხეთ საბრალო დიმიტრი ვახტანგის შვილი, ორბელიანი და ამოწყდა ამის სახლიცა. ოჰ, ღმერთო, რა საშინლად ჰქრება ჩვენი ვეება ოჯახი, რომელზედაც სჩანს ცხადათ ზურგარდმო რისხვა. სარდლიანთ ოჯახიდან არის მხოლოდ უშვილო ივანე; ასლანის ოჯახი გაჰქრა, როგორცა ამოვარდა გიორგის ოჯახი. იოსების სახლიდამ დარჩით გიგო, შენ და სანდრო, სამნივე ჭანები, უშვილონი; სოსიკოს სახლში ჰსდგას პალოზოვი, სამარადიდონის სახლში საგინოვი; ალექსანდრეს ადგილს—აბონიანი, ძალი და მამაძალი; ჩვენ სამთა ძმებთაგან დაგვრჩა მხოლოდ ერთი გიორგი! არის ქაჩალი კოტე, ვალში დაღუპული და მასთან ერთად დაღუპული პაიკი საშა! ჩვენ ყაფლანიანი ვიღუპებით, მაგრამ არც სხვანი ბედნიერობენ: მოგვდევენ დედად დაჩქარებული სოლდანი, ბარათაანი, ერისთავნი, აბაშიძეანი, თარხნიანი, ჭავჭავაძიანი და სხვანიცა და სცდილობენ, რომელი მათგანი უფრო მალე დაიღუპება.

საშინელი მდგომარეობაა, თავადობა იღუპება. 60 წლებში გრ. ორბელიანმა შავი დღე დააყენა „ცისკრის“ რედაქტორს, კერესელიძეს—როგორ გაბედე „სურამის ციხის“ დაბეჭვდა და ბატონყმობის დაგმობაო. მაგრამ ბატონყმობა მაინც გადავარდა, ვერ იხსნა გრ. ორბელიანის ზრუნვამ. ოცი წლის შემდეგ გამოირკვა, რომ მთელი წოდებაც იღუპება, ახლა ვინღა დატუქსოს პოეტმა? იგი უიმედოთ მიდის ბეთანიის ეკლესიაში და გულამოსკვნით დასტირის თავის მდგომარეობას ორბელიანთა საგვარეულო ტაძარში:

...ჰე ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ უცვლელი?
დიდება ჩვენი, ცად სხივ მიმფენი,
ნუ თუ ეს ლა გვაქვს, ვხედავ რასაცა?
დაყრუებულსა,
გზა შეუვალსა
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე შეფის,
დიდის თამარის,
ჰსჩანს ძველს კედელზედ გამობატულად!

როგორც ხელოვნების ნაკვთში, ამ ფორმულაში მრავალი შინაარსი ჩაიდება, ეჭვი არ არის, რომ აქ ერთგვარ ფართო საზოგადოებასთან გვაქვს საქმე მთელი საქართველოს ბედთან დაკავშირებით, მაგრამ პოეტის სულიერი განწყობილება რომ გვაროვნული ტრაგედიის დასაწყისიდან მომდინარეობს, ეს აშკარაა.

ძალაუნებურად გაგონდებათ ალ. ჭავჭავაძის „გოგჩის ტბის“ სტრიქონები:

მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძვით მმოსველნი,
საგლოგო ნიშანი შენობათა კვლავ ეროვანთა...
...აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული დაშთნი—და სხვ..



საშინელი აწმყო: გადაშენებული თავისიანები, დანგრეული ტაძრები და სასახლენი, მომხიბლავ წარსულში დაღვინით გაქვლითილ აწმყოში სიწყობის ძიება, — ასეთია გრ. ორბელიანის მუზის ტანჯული ფარფატი. ამავე ხვეულებში იწოდა ალ. ჭავჭავაძეც.

მაგრამ „მუშა ბოქულაძე“ მაინც სხვა ხატებაა გრ. ორბელიანის სახეებში, ასეთი რამ ალ. ჭავჭავაძეს არ მოჩვენებია. აკაკი ამბობს — ეს ლექსი ორბელიანმარუსი პოეტის, მიხაილოვის ლექსიდან გადმოაკეთაო. რაც არ უნდა იყოს, მაინც საგულისხმიეროა, რომ მეფეებისა და თავადების ქანდაკებებში პოეტმა ოფლიანი ბოქულაძეც დასვა — ეს უსათუოდ ახალი დროის გავლენით შეეჭრა პოეტს ძველებურ სურნელებაში.

წოდებრივის ტრადიციებით გაქვლითილი გრ. ორბელიანი მაშინდელი საქართველოს ობიექტურმა პირობებმა იქამდე მიიყვანა, რომ ფართო დამტეობის მხატვრული სახეები მოგვცა:

შენი ივერი,
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერთ სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული.—

ეს სურვილი უსათუოდ შორდება წოდებრიობის ფარგლებს და მთელ ერს გულისხმობს. ბოქულაძის სახეც ამავე ხასიათისაა: საკუთარ წოდების ხსნაზე გულგატეხილი პოეტი, რომელსაც სიცოცხლის წყურვილი უსათუოდ დიდი აქვს, იძულებულია თავის მემკვიდრეთ ახალი ძალა — მშრომელთაგან გამოსული ბოქულაძე აღიაროს და მით ქედი მოიხაროს ახალი ხანის წინაშე. ალ. ჭავჭავაძე რომ გრ. ორბელიანისებურად მათუსალას ხანგრძლივობით ყოფილიყო დაჯილდოებული, ვინ იცის, ეგება მასაც მიელო ბოქულაძეები, ამის ნიშნები მას აქვს, აი რა სთქვა მან:

რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას
და სთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,
მოელოდეთ მათთან თანასწორობას!
არ მაზადის იშვით
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით.

რომელი წოდების ლექსიკონით ლაპარაკობს გ. ორბელიანი და ვის გემოვნებაზე აგებს თავის ლექსებს?

მეფეები, ვაჟკაცნი: შალვა, ელიზბარ, ბიძინა, ხერხეულიძენი, ჩოლოყაანნი... მებრძოლნი მხედარნი, კლასიკური საქართველოს ნაკვთები, პათეთიური

სხვა საქართველო სად არის
რომელი კუთხე ქვეყნისა?
ერი პურადი, გულადი,
მებრძოლი თავის ბედისა..
...სიცოცხლე იმად არა ჰღირს,
კაცი ნატრობდეს ქაშს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე
არარას არგებს მამულსა.

და სხვა მრავალი თვალწინ გვიყენებენ არისტოკრატიის სამეუფეოს, სახეებს და გემოვნებას.

ასეთი იყო ფანგული ტრაგედიაც მე-18 საუკუნეში: შერჩეული გმირები: შერჩეული ენა, მაღალი გრძნობები, სამშობლოსთვის თავდადება, სიყვარული, რაინდობა და... ცნობილი სამგვარი ერთიანობა ფორმაში: დროის, მოქმედების და ადგილის. ამავე ყაიდაზეა აგებული გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ც: დიდგვაროვანი პერსონაჟები, ბერძნული ხორო მხედართა სახით, მოქმედება ერთი დამის მანძილზე, ერთ ადგილას და ერთ განუკვეთელ დრამატულ ხაკვთად... ამ გარეგნულ ცრუკლასიკურ ჩარჩოებში პოეტის რომანტიულ ფანტაზიას და გრძნობელობასაც ვხედავთ—ესეც ხარჯია რომანტიულ გრძნობელობისა და ინდივიდუალიზმისადმი მიძღვნილი.

გრ. ორბელიანის გმირთა სახეები მათივე შესაფერის ენით არის მოცემული:

ხელმწიფევე ჩვენო,
ძლიერო, ბრძენო!
მხედარნი შენნი,
ერთგულნი შენნი
ვჰსევამთ შენს სადღეგრძელოს მიწიწებითა.
.. ღმერთო, გვისმინე,
მეფეს მოჰყინე
ძლევა, კურთხევა, მაღლი ზეციერ!
...ჰე, მამულო, სასურველო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს სიხარულის ალტაცებითა აღუკილი?
...ძმანო, იფიწყეთ მცირეს ჟამს მტერი, ომი და გოდება;
მოიგონეთ სიყვარული, რომლით სული გვიტკბება,
რომლის შუქი აგვანადლებს, რომლით სული გვინათლდება,
რომლით კაცი ნზვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება.

გაბერილი პოზა, გატყლარქული გაბგერება, გულზე ხელის ბრავუნო, არც ერთი უბრალო სიტყვა! მშრომელი ხალხი კი ასე გამოსთქვამს თავის აზრებს:

ჩენი ბატონი ერეკლე,
ერთი პატარა კახია,
ჯაქვის პერანგი ჩააცვეს,
გაჰკრა ხელი და გახია.
ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამულის თავის ერია,
არ შეფრთხეს, თუნდა ბუზივით ებვიოს თავზე მტერია,
არ გადიწყვიტოს იმედი, არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაჰგმობს და დასწყველის მოძმე, ერი და ბერია.

ასე სადად აღიღებდა ხალხი ერთ დროს მეფეს, ვაჟკაცობა და სიყვარულს. ერთი და იმავე ერის შემადგენელი წოდებები ასე სხვადასხვანაირობენ აზრის გამოთქმის ფორმებში. სოციალური სხვაობა იდეოლოგიურ და ენობრივ სხვაობასაც ქმნის. ეს უტყუარი დებულება არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს.

დასკვნა: იდეოლოგიურად, მხატვრული სახეებით და ენობრივის ფორმებით ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიან შორის სრული იგივეობაა. ორივე ერთი წოდების ნიადაგზე დგას და ერთნაირ სულიერ ატმოსფეროში მოქმედებენ, ხოლო გარეშე ცხოვრების გამოსახვაში თითოეულ მათგანს თავისი პიროვნული ინდივიდუალობა შეაქვს. თანაც ორთავეს ისტორიული პირობები მთელ ერის თავის მისაღებ საგრძნობ და სააზროვნო ფორმებს აქმნევენებს. მათი შემოქმედების საერთო მოხაზულობა წოდებრივ ფარგლებს შორდება.

(შემდეგი იქნება)



ეპროპოს თანადროულ ლიტერატურიდან

უელსმა გამოაქვეყნა ახალი რომანი „ჯერჯერობით“. რომანის გმირი არის ფილიპ რაილენდ. იგი მდიდარი კაცია. შემოსავალი აქვს მალაროებიდან. მას ჰყავს მშვენიერი ცოლი სინტია, რომელთან ერთად ცხოვრობს ვენტშილში. ამავე დროს „რომანი აქვს“ გვერდით ცელქ გოგონასთან, რომლის სახელია პაპი კლარეჯ. მშვენიერი სინტია გაიგებს საიდუმლოს, იმართება ჩვეული სცენა. მაგრამ სინტია ორსულადაა, დედად ემზადება — და ეს საკმაოა, რომ ცოლქმარი კინკლაობის შემდეგ შერიგდენ. ფილიპ რაილენდ, რომელიც ვითომ ცოდვას ინანიებს, მიდის ლონდონს, რომ რაიმე საქმეს მოჰკიდოს ხელი. ლონდონში იგი მოხვდება სწორედ საერთო გაფიცვის და შემდეგ მემალაროეთა გაფიცვის დროს. რანტიე რაილენდ იქცევა რევოლიუციონერად.

უელსს უყვარს გამოიყვანოს თავის რომანებში მოაზრე ვინმე, რომელიც ავტორის აზრებს ატარებს. ამ რომანში ასეთი პირი არის სწორედ ეს მისტერ სემპერ რაილენდ. იგი ხედავს „სახელმწიფო კაცებს“ — და თვალი ეხსნება. რაილენდ სწერს წერილებს თავის ცოლს და ახასიათებს სახელმწიფო მოღვაწეებს. უელსს არ ეშინია: ამ მოღვაწეებს იგი მათივე სახელებით ახასიათებს. მაგალითები. „ამ ბუშხიკსმა“ მიანდო პოლიციას — პროვოკაციაზე წამოეგო გაფიცულები. შემდეგ „უინსტონ“ კეჟუზე შეიშალა სიხარულით, რომ მართლაც გამოწვეულ იქნა პროვოკაციულ საერთო გაფიცვა. საუბედუროდ, არ იყო ექიმი, რომელსაც დაესვა დიაგნოზი შეშლილობისა, რომ უინსტონ გაეგზავნათ საგიჟეში, „ჩერჩილ“ ეხლა ისევეა ბედნიერა, როგორც იყო მაშინ, როცა იგი მუცლით მიხობავდა სიდნეი-სტრიტის სახლის მიმართ და დაეხმარა მსროლელებს გარშემოცულების ხერეტაში. კიდევ. „მინდა დაუძახო ბოლდვინს: მოიცილეთ ერთხელაც ეს ჩიბუხი! მოგვეცით შესაძლოება შევხედოთ თქვენს პირფერულ სახეს!..“ რაილენდ სწერს ცოლს: „კონსერვატიულმა პარტიამ გამოიწვია საერთო გაფიცვა იმ განზრახვით, რომ შემდეგ არჩევნებზე გამარჯვება ერგუნოთ.“ რაილენდ უკმაყოფილოა მუშათა პარტიის მეთაურებით. ისინი ყველა მშიშარაა. „მათ არ აქვთ არც გამბედაობა, რომ გაუძღვენ გაფიცულებს, არც ვაჟკაცობა, რომ მიემხრონ კონსერვატორებს“. მათ ტვინში შავი ბურუსია. ფეხები მათი კომისაგანაა. კუკ დღეში წარმოსთქვამს ოცს სიტყვას, მაგრამ მშვიდია, როგორც დაძინებული ბალდი. პარტია მუშების გაფიცვის დროს საქმის მაგიერ მეტყველებდა და პირფერობდა.

რაილენდ ამათრახებს „შტრეიკბრეხერებს“. ყველა ესენი სულელებია, გამოთაყვანებულნი, ლენჩები, არამზადები, ქვეშევეშები.

იტალიის რივიერაზე რაილენდ მუსსოლინისაც სწვდება. „კომედიატი“, „დამნგრევი“, „კაცთამჭამელი“—ასე ახასიათებს იგი ფაშისტების მეთაურს. თაშისტების პორტრეტი ამ გვარად აქვს მოხაზული: „არამზადები, საფალარათოს ბოთლებით და რკინის ჯოხებით“. უელსის რომანი წმინდა ზრცხობისაა. ბურჟუაზიულ წრეებში იგი აღშფოთებას იწვევს. უკვე ილაშქრებენ მის წინააღმდეგ.

ინგლისელ რომანისტთა შორის ეხლა თითქმის პირველი ადგილი უკავია ჯონ გალსუორტისა მან გაითქვა სახელი ეპოპებით „ფორსაიტების საგა“. ეს ეპოპეია ხუთი წიგნია. ყველაზე უფრო მაგარი და მხატვრული არის პირველი („კაცი მესაკუთრე“). აქ არის გამოყვანილი ფორსაიტების გვარი, თითქმის როგორც კლანი, როგორც თემი. გვარის ტრადიცია კანონია ოჯახის ყველა წევრისათვის. რა არის ეს ტრადიცია? პირველ ყოვლისა—საკუთრება და მასთან ოქრო. აქედან მომდინარებს დანარჩენი: ანგარიში ყველგან (სიყვარულშიაც კი), ტემპერამენტის მოდუნება (ვითომ თავშეკავება), სახის ცივი მეტყველება (მაშინაც კი, როცა გულზე სკდები), ეგოიზმი თემური („ოლონდ ჩვენ არაფერი დაგვეშაოს“), ზრდილობა განზომილი, გარეგანი სიმშვიდე და სიბედნიერე („შორს ჩვენგან სკანდალი“), ერთი სიტყვით, ინგლისური „მეშჩანობა“, ოღნავ შეკაზმული ბრიტის ყეფით და ანგლომანის მანერებით; ეს არის ცენტრო გალსუორტის ხილვის.

რომანის ფაბულა არაა რთული. სემს (ერთ ფორსაიტს) ჰყავს ლამაზი ცოლი ირენ (ღარიბ წრიდან გამოსული). ინჟენერ ბოზინნეი სემს სახლს უშენებს. ბოზინნეიც სხვა წრიდანაა. ბოზინნეი საქმაროა ფორსაიტების ერთი ასულის. მაგრამ ბოზინნეის ირენ შეუყვარდება და ირენს ბოზინნეი. ფორსაიტები ნელნელა ამჩნევენ მათ სიყვარულს. მაგრამ მათ ეს არ სჯერათ—(უფრო ადვილია ასტრონომიული აბრუნდი, ვიდრე ასეთი ქცევა ფორსაიტის ცოლის: ასე ფიქრობენ ფორსაიტები). სიყვარული კი თანდათან იზრდება, რა ჰქნას სემმა? იგი დაბნეულია. ძალა იხმაროს? ეს არ „შეჰფერის“ ფორსაიტს. გაეყაროს? ეს სკანდალია ფორსაიტების. დუელში გამოიწვიოს ბოზინნეი? არც ეს „ეკადრება“ ფორსაიტს—(„ვილაც ბოზინნეი“). სახლში ჩაჰკეტოს ირენ? ეს ხომ ჰარამხანის ადათის გადმორლება იქნება.

მხოლოდ ერთხელ მიმართავს სემ უხეშ ფიზიურ ძალას. შურვილით აყვანილს, მას უეცრად გაელვიძება ცოლისადმი სენსუალური ნდომა—და ძალას მიმართავს. ამ დღიდან მათ შორის უფსკრულია.

სემ ეხლა სხვა საშვალეებას მიმართავს. ბოზინნეიმ სახლის აშენებისას ხარჯს გადაამეტა (ამდენი უნდა დახარჯულიყო და არა მეტი). სემ უჩივის. სემს მიუსაჯეს 400 გირვანქამდე. სასამართლოში ბოზინნეი არ ცხადდება. იგი ომნიბუსის ქვეშ ნახეს გასრესილი. ფორსაიტები შეშფოთდენ: მათ არ ჰსურთ ეს ამბავი თავისმკვლელობად გამოცხადდეს (ეს ხომ სკანდალია, მათ გვართან დაკვირვებულნი), მათ უნდათ, ეს ამბავი „უბედურ შემთხვევად“ გაასაღონ (აქ

არის მთელი ესენცია ფორსაიტების პსიხიკის). სემს ჰგონია, ირენ ეხლა მაინც მოვა გონზე (ეს პატარა „გონი“ ფორსაიტების „რაციონა“), მაგრამ ირენ აღარ ბრუნდება: ვინ იცის, სად წავიდა?..

გალსუორტი ამ თემის დამუშავებაში მართლაც ძლიერია. მას აქვს ეპიური სინელე და საღებავის ეკონომია. იგი უმჩნევ იძლევა სახეებს, ვხვდებით გვარის პსიხიკის გადაშლას. რომანი სატირაში გადადის. მხოლოდ ერთს ვხვდებით მაინც ვერ აღწევს. ინგლისის გარე ეს რომანი მხოლოდ „ცნობაა“ (რომ ასეა ინგლისში) ტოლსტოი, მაგალითად, სხვა რამესაც აღწევდა („ანა კარენინა“ რომ ავიღოთ, იქაც ვნახავთ „ცნობას“, რომ რუსეთში ასეა და სწორედ რუსეთში და სხვაგან არა, მაგრამ ამავე დროს რუსეთის გარე მყოფისათვის აქ, გარდა წმინდა ეროვნულ-სოციალური ყოფის ფენომენისა, წინ იჭრება მარადი პრობლემა ვაჟისა და ქალის, ცოლისა და ქმარის, სიყვარულისა და ლალატის, და სხვა, იჭრება სწორედ ამ ეროვნულ-სოციალურ ყოფაში). მოკლედ: გალსუორტი იძლევა ყოფის ეპოპეიას და მეტს არაფერს. ტოლსტოი იძლევა ეპოპეიას ყოფისას და კიდევ „რალაცას“, რომელიც ამ შემთხვევაში ყოფაზე მეტია. გალსუორტის დიდათ აფასებენ ევროპაში. ცხადია, მაგარი რომანისტია. მაგრამ „დიდი რომანისტი“ — ეს კი გადამეტება (და მერე როგორი?).

პოლ მორან: „ცოცხალი ბუდდა. ქრონიკა მეოცე საუკუნის“.

რენო დ'ეკუან 1914 წლის შემდეგ გახდა პესსიმიტი. მან გაიგო, რომ მსოფლიო ომი იყო სისულელე (თუ სიგიჟე არა). რენო გახდა როიალისტი, იბრძვის „კამლო დე რუას“ რიგებში, შემდეგ მიემხრო კომუნისტებს, გადავიდა საბჭოთა კავშირში, აქედან ჩინეთში. კომუნიზმის მიღების უამს მან თავისი გვარი „დ'ეკუან“ გადასცვალა „კოჰენად“ (ხმოვანებით არის მსგავსება: დ'ეკუან-კოჰენ). ჩინეთში რენო უახლოვდება გოუმინტანგის ორგანიზაციებს, უხდება უთანხმოება (როგორც ჩინელებთან, ისე ევროპელებთან). ბოლოს შოფერად შედის კარასტრას სასახლეში: (კარასტრა მთავარია სამხრეთ ინდო-ჩინეთის პატარა სამეფოსი). იგი უახლოვდება პრინც ჯალის. ჯალის ჰსურს იხილოს ევროპა. რენოს დახმარებით იგი რენოსთან ერთად გაიპარა ევროპაში. ხოლო ევროპა პრინციისათვის უცხოა, „სხვაა“.

ეს „უცხოობა“ მარსელიდან იწყება. იგი მიდის ლონდონში. ბრიტანიის სატახტო ქალაქი კიდევ უფრო უცხოა მისთვის. მას ჰგონია: თეთრკანიანი ხალხი „ყოველთვის ფეხზეა“ (არ აქვს მოსვენება). ჯალი შედის კემბრიჯის უნივერსიტეტში, მაგრამ აქაც ის გაურღვეველი კედელი ხვდება სხვაობისა და უცხოობის.

ამასობაში რენო კვდება. ჯალიმ უეცრად იგრძნო თავის თავი როგორც ბუდდა, ნახულობს თავის ბიოგრაფიაში ბუდდას ნიშნებს: პატარა სამთავრო, გაქცევა, შოფერის როლი (ბუდდას ცხოვრებაში — მეეტლე კანტაკა). იგი ნახულობს: ყოფის ძირი ტანჯაა მხოლოდ და ტანჯის ფესვი სურვილი, აქედან დასკვნა: უნდა მოკლა სურვილი ყოველგვარი. ჯალი ქადაგობს: მას უსმენენ

მხოლოდ მოყვარულნი ეკზოტიკისა ტეოსოფ ქალის კრისტობალ ხენდის სა-
ლონში.

ლონდონში ცხოვრობს ვინმე პოტაშმან, საბჭოთა კავშირის აგენტი, რომ-
მელსაც აბარია საპროპაგანდოთ ბრიტანიის მხარეები. პოტაშმანს უნდა ჩაით-
რიოს ჟალი თავის მოქმედებაში, მაგრამ აქედან არა გამოდის, რადგან წარ-
მოსთქვამს სიტყვას ჰაიდპარკში, მაგრამ მაყურებელნი მოდიან მის საცქერად და
არა მის მოსასმენად.

ინგლისიდან ჟალი საფრანგეთში მიდის. იგი ცხოვრობს პარიზის ახლო,
სევრისა და სენ-კლუს ტყეებში, ცხოვრობს როგორც განდევნილი. ჟალით გატა-
ცებულია როსმერი, დაჰ მისი ამერიკელ ამხანაგისა, კემბრინჯის უნივერსიტეტში
რომ სწავლობდა ჟალისთან ერთად. როსმერი მისი მოსწავლეა: უვლის მას, უმ-
ზადებს საკმელს, სეირნობს მასთან. მალე ახალგაზდა ქალი ამერიკაში მიდის.
მხოლოდ ახლა იგრძნო ჟალიმ, რომ მას უყვარს როსმერი. ჟალი უკან გაედევ-
ნება როსმერის. მაგრამ ჟალის არ ჰკადრულობენ ამერიკელნი როგორც „სხვა
კანიანს“. როსმერიც ვერ ეგუება ჟალის ამერიკის ატმოსფერაში: მისი გრძნობა —
(პარიზის ახლო როსმერის ჩუმით და უმხელად უყვარდა ჟალი), შესუსტდა,
თითქმის გაჰქრა. ჟალი მიდის კალიფორნიაში. სან-ფრანცისკოს ჩინელთა საში-
ნელ ჯურღმულოვან უბნებში ჟალი განიცდის საშინელ დღეებს. უეცრად ამბავი
მოვა, რომ მამა მისი გარდაიცვალა. ჟალი ბრუნდება სამშობლოში. იქ ზეიმო-
ბენ მის ასვლას ტახტზე.

ასეთია რომანის ფაბულა.

არავითარი რომანი (წმინდა ლიტერატურული თვალსაზრისით) აქ არ არის.
ჟალის თავგადასავალს ლონდონში და პარიზში აკლია დამაჯერებელი ძალა: ეს
უფრო განყენებული „თუობაა“ (ავტორის მიერ განზრახული „რალაცასთვის“).
მისი შეხვედრები ევროპიელებთან ორგანიულ არ გამომდინარეობენ მთავარ
ამბავის შუაგულიდან. კარგათ არის მოხაზული რენოს ფიგურა, მხოლოდ მკი-
თხველი ელის, რომ ეს ფიგურა უკეთესად (მხატვრულად) მოგვარებულ არეში
გადავიდეს. მძაფრად არის ნახაზი რენოს სიკვდილი, თუმცა თვითონ სიკვდილი,
როგორც რომანის ერთერთი რგოლი, შემთხვევითია. წარმტაცია როსმერის ჩუმი
და უთქმელი გრძნობა ჟალისადმი, მაგრამ თვითონ „ინტრიგა სიყვარულის“ ძა-
ლად მოტანილია.

ერთი სიტყვით: „ცოცხალი ბუდდა“ რომანი არ არის. ავტორი გრძნობდა
ალბად ამას, როცა თავის ნაწარმოებს „მეოცე საუკუნის ქრონიკა“ უწოდა.

რა სწადდა ეთქვა მას ამ ქრონიკით? მოისმინეთ დიალოგი ჟალისა და რე-
ნოსი. ჟალის ჰგონია, რომ ევროპაში სიცოცხლე სისრულეა. მაგრამ რენო აქარ-
წყლებს ჟალის წინაფიქრს:

— ჩვენ დანაკლისი არა გვაქვს ცხოვრების საზრისებში. პირველი არის შური,
სურვილი დაიფუღო სხვისი, რის გამო ფასი ეძლევა ყველაფერს, რაც ვკუთვნი
სხვას. ამან წაუსია ერთხელ ბურჟუაზია კეთილშობილებას, ებლა იგი ხალხს
უსევს ბურჟუაზიას. იგია, რომ ამხედრებს ძლიერებს სუსტების მიმართ, ქალებს
ვაგების მიმართ. ჩვენში ყველაფერი შეტაკებაშია, და შესაძლოა, რომ ამას გამო
ხშირია ელვანი... რაც ითქმის ცოცხალ ადამიანზე, იგივე ითქმის სახელმწიფოებზე.

ისინი იარაღსხმულნი არიან მუდამ ჟამ. ისინი ჰკლავენ ერთმეორეს, ნთქავენ, სჭრიან. რომელიმე მათგანს უეცრად ავადობა ედება. ეს სახელმწიფოები—ხედავ— იყვენ ჯანმრთელნი, მათი ბანკები ავსილნი იყვენ ოქროთი, მათი დაშქარნი იყვენ უძლეველნი—და აი ეხლა: ისინი დაფარდნილ არიან უღონოთ, გამოსრდენ მათი ძველი ჭრილობანი და მათ მიემატენ ახალნი. მათი წამხდარი შექანიზმი მუშაობს უქმად, ან და ჰქმნის მხოლოდ შხამს. ყველაფერი ირეკება—ერთმეორეს... ამაყნი, მკაცრი თმენით დაოკილნი, ეს ქვეყნები კიდევ დატყუდდებიან თათის ძლევა-მოსილებაში, მაშინ როდესაც მათი ძალა აღარავის სწამს, აიღეთ ინგლისი.

— ნაშ, სახელმწიფოებიც ავადდებიან?—შეეკითხა პრინცი.

— ავადდებიან და ბერდებიან. მე ვნახე ხანგადასული კონსტიტუციები, ადმინისტრაციები, რომელნიც სულს დაფავენ სკლეროზით. არ არი ფული წამლები-სათვის, მაგრამ არის სიბერის გემო ფულის გროვებისათვის. წმინდა ჰაერის ზიში, მაგნეობა გესლებით, ალკოჰოლი ყოველ კუთხეში (როის მაგიერ). მალე თავს წამოყოფენ უთავბოლო რეფლექსები, ჯანმრთელნი მოინდომებენ ავადმყოფებისაგან განთავისუფლებას. უქმედობა, შანია დევნისა, სილატაკე... ყოველივე ეს ვიხილე მე ამას წინად.

— სად იხილეთ?

— საფრანგეთში, თქვენო უდიდესობავ, ჩემს სამშობლოში.

— მერე?

— მერე: დამბლა და სიკვდილი. დეე ყოველი სიცოხლე იყოს მაკვდინებელი ავადობა, მაგრამ იქ რასაც იხილავ, იგი სიკვდილია სვენების გარე, სიკვდილი, რომელიც ჯერ კიდევ ბრძოლაა, ბოლო, რომელიც იმედს ვერ ხედავს მომავალში, ბოლო, რომელსაც აღარ სწამს, რაც იყო: ლეთიანგებება, რომელიც ყელში გეჩრება, წყვეა გაწყვეტილი, და ბოლოს—საშინელი არაობა სწორად ფენილ თოვლის ქვეშ. ყველაფერი ეს ვიხილე მე, მეუფეო ჩემო, მის შემდეგ, რაც აფრთოვანებული ვიყავ ამით და მიინდოდა მეხილა იგი.

რომანს აქვს გასავალი. არც გასაკვირია: ევროპის ბურჟუაზიული კულტურის დაავადებას ეხება.

საერთოდ—დიდი კრიზისია ევროპის ლიტერატურაში. რომანი სრულიად გადაგვარდა. ტოლსტოის, დოსტოევსკის, დიკენსის, ფლობერის, ბალზაკის ტრადიციებს ვეღარავინ აგრძელებს. დაღალულ ევროპიელს გართობა ეჭირვება. ის მხოლოდ ავანტიურულ ლიტერატურას ეტანება, ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ეხლა ევროპაში დიდი გასავალი აქვს ინგლისურ და ამერიკულ რომანებს. ბერლინში გამომცემლობა „Romane der Welt“ ყოველ კვირა უშეებს გასართობ რომანებს (ტომას მან ერთი რედაქტორთაგანია). ავტორები უმეტესწილ ინგლისელები არიან ან ამერიკელები. ავანტიურულ რომანთან ერთად ვითარდება რომანი-ბიოგრაფია. რა საჭიროა მოგონილი, თუ ამაზე წავიდა საქმე, როცა სინამდვილე რთულიცაა და გულისხმიერიც? ასე ფიქრობს ევროპიელი. გერმანიაში ამ მხრით მეტად ნაყოფიერი გამოდგა ემილ ლუდვიგ. მან უკვე გამოაქვეყნა: „გოეტჰე“, „ბისმარკ“, „ნაპოლეონ“, „ვილჰელმ მეორე“ და სხვ. განსაკუთრებით ვითარდება ეს ლიტერატურული ჟანრი საფრანგეთში, საცა მას სახელიც მისცეს საგანგებო—„Biographie romane“. ოსტატად ამ დარგში ან დ რ ე მ ო რ უ ა ითვლება. ცნობილია მისი „არიელ“ (შელლი). ეხლახან გა-

მოუშვა—„დიზრაელი“. „ბოდლერ“. „რენბო, „სირანო დე ბერჟერაკ“, „სტენდალ“, „რობესპიერ“ და მრავალი სხვა—ყველა ეს ცოცხალი ტემები უკვე გადაშლილ არიან ბიოგრაფიულ რომანის ხაზებში.

უნდა ითქვას მართალი: თანადროულ ევროპულ რომანს ასეთი „რომანი“ ბევრად სჯობს. აიღეთ მაგალითად სტენდალი. არ ღირს მისი სიკოცხლე ერთ რომანად? მეტად რთული ბუნება. ერთი მხრით, სანტიმენტალური (ლამაზი ლანდშაფტის ბილვისას კრემლებს ღვრიდა). მეორის მხრით, პროზაული (თითქმის ცინიკივით ხვდებოდა სინამდვილეს). რა იყო ამ კაცისათვის სახასიათო: ნება ურყევი, თუ ნების უქონლობა ყოველდღიურ წვრილმანებში. საინტერესოა, თუ როგორ ეჭირა თავი სტენდალს ომში. იგი მოიწყენდა ხოლმე. ხანდახან დეზერტირი ხდებოდა. რუსეთში კი, როცა „დიდი ლაშქარი“ უკან იხევდა, მან გამოიჩინა დიდი სიმამაცე და გამძლეობა. ხასიათით იყო რბილი. ეშინოდა კაცის, უყვარდა „განზე“ ყოფნა, სიმშვიდე—ამისთვის აირჩია მან სწორედ საცხოვრებლად მილანი. და ამავე დროს: ავი ენა და კვიატი ქცევა, რითაც იგი ასე აფეთებდა პარიზის წრეებს.

ეხლა თვითონ შემოქმედება მისი. სტენდალ—პსევდონიმია ანრი ბეილის. გამოთვლილია უკვე, რომ სტენდალს ჰქონდა 128 პსევდონიმი (ქამელეონი „სახელის“!). იგი იყო შვილი გრენობლის ვეჟილის, რევოლუციონერი, აფიცერი ნაპოლეონის ჯარში, კონსული ჩივიტა ვეკიაში. სტენდალ არ ამხელდა, რომ იგი ლიტერატურას ეწეოდა. პირველი მისი ნაწერები ნამდვილი პლაგიატია. ამას არც ჰმალავედა. ლიტერატურულ შრომას ისე უცქერდა, როგორც მონაწილეობას ლოტერეიაში: ნაწარმოები ამბობდა იგი, ბილეთია—მოგება კი სახელი. „Chartreuse de Parme“,—ამბობენ, გამოვიდა მისი სიკვდილის წინ, როგორც მომგებიანი ბილეთი. რით ჩამოუვარდება ასეთი მასალა („ყოფილი“) ჩვეულ მასალას ჩვეულ რომანისას („მოგონილს“)?

ეს ბიოგრაფია დასწერა ეხლაზან Paul Hazard-მა. მასალები საინტერესოა. მაგრამ მორუას ოსტატობა ვერ გამოიჩინა.



მარქსიზმი და ემპირიოკრიზისი

ა. ბოგდანოვის ფილოსოფიური შეხედულებანი
(გაკვირიო)

1. საკითხის დაყენება

ა. ბოგდანოვმა თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში თავისი ინტელექტუალი შემძლეობა ფილოსოფიურ პრობლემების მოაზრებას შეაღია და სულ მოკლე ხანია მეცნიერულ ექსპერიმენტის მსხვერპლად იქცა. იქვეს გარეშეა, რომ ის ერთი დიდი მოაზროვნეთაგანი იყო რუსეთის სინამდვილეში და თუმცა გავლენისა და თავის შეხედულებათა გავრცელების თვალსაზრისით რამოდენიმეთ მაინც ანგარიშ გასაწევი კვალი ვერ დასტოვა, მაგრამ საინტერესო მოვლენას წარმოადგენს, როგორც თვით ფაქტით თავის, როგორც გარკვეული მოაზროვნის გავლენისა, ისე შეხედულებათა მიმართულებით და თავყრილობით. ფილოსოფიიდან ამოსულმა მან ფილოსოფიის, უარყოფით გაათავა თავისი სააზროვნო გზა და თითო-ორიოლა მიმდევრების სახით (სტეფანოვ-სკვორცოვი, მონინი და სხვ.) ეპიგონალურ ისტერიზმის სახით ეკვეთა ფილოსოფიას, როგორც იდეოლოგიას და როგორც სოციალ ღირებულებას. ამ ფაქტს თავისი შინაგანი აზრი აქვს, რომელიც დღეს, როდესაც ა. ბოგდანოვის გზა ცხოვრებისა და აზროვნებისა დამთავრებულია, გაშლას და ახსნა-განმარტებას საჭიროებს. მექანიკური სოფელ-გაგება, რომელიც ა. ბოგდანოვის აზრთა წყობით დამკვიდრდა, საინტერესოა თავდაპირველად როგორც ფაქტი, როგორც მოვლენა და შემდეგ, როგორც მიმართულება, როგორც პრინციპი.

რუსეთის მარქსისტულ ფილოსოფიურ მწერლობაში ვრცლად და ენერგიულად წარმოებულმა ბრძოლამ დიალექტიურ მატერიალისტებისა მექანიკური აფილოსოფიზმის წინააღმდეგ, უეჭველად, დიდ შედეგებს მიაღწია და პრინციპიულ-სისტემატიურ ბრძოლის ნიადაგზე აფილოსოფიზმი და მექანიკიკა დაამარცხა. ამ ფასიზში, მიუხედავად რეციდივებისა, ბრძოლა დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს. გაურჩეველი დარჩა მეორე საკითხი: პირობათა როგორ კონტექსტში შეიქნა შესაძლებელი ემპირიოკრიზისულ საფუძვლებზე დამყარებული ტექტოლოგიური მექანიკიკა? ასეთი საკითხი მნიშვნელოვანი და ღირებულია არა მარტო უფრო ფართო საკითხის თვალსაზრისით შესახებ მეთოდისა

და სისტემის ურთიერთობისა, არამედ სხვა მოსაზრებითაც. ა. ბოგდანოვის შეხედულებათა გარჩევა საინტერესო და ბუნებრივია სწორედ თვით მისივე მეთოდოლოგიის ასპექტში. „სოციალ-ახსნითი (социально-исследовательский) მეთოდი“, რომელიც ა. ბოგდანოვმა ჯერ კიდევ მე-XX ს. დასაწყისშივე თავის პირველ ფილოსოფიურ თხზულებებში წამოაყენა, შეიძლება პირობით მივიჩნიოთ სახელმძღვანელოთ და მისივე, ე. ი. ა. ბოგდანოვის შეხედულებათა განხილვა-შესწავლას მიუყენოთ.

თვით ზოგად საკითხს მეთოდისა და სისტემისათვის ერთგვარი სპეციფიური განხერა ესაჭიროება. უნდა გაირკვეს—რა დამოკიდებულებაშია ერთი მეორესთან თეორია განვითარებისა და განვითარებაში წამოჭრილი თეორია. ცხადია, რომ აქ რაღაც თავისებური პრობლემაა. უეჭველია, რომ არსებობს ორი სახის მოვლენა ანუ ფენომენი—თეორია ანუ სწავლა განვითარებაზე და თვით ეს განვითარება, შემდგარი სხვადასხვა ელემენტისაგან. ამ ელემენტთა შორის არის იდეოლოგიაც, როგორც ერთი შემადგენელი იმ მთლიანობისა, რომელსაც წარმოადგენს სინამდვილე ანუ რეალობა. კვლევისათვის აქ ორი იდეოლოგია ანუ შესაძლებელ იდეოლოგიათა ორი რიგია მოცემული: პირველი—თეორია განვითარების შესახებ, მეორე—განვითარების შემადგენელი თეორია. რამდენადაც აქ ორი მოვლენაა მოცემული, ბუნებრივია პრობლემა—რა დამოკიდებულებაა მათ შორის და ამდენად პირველი და ძირითადია ა. ბოგდანოვის შეხედულებათა შესახებ საკითხი მეთოდის და სისტემის სპეციალური დაყენებისათვის.

შესაძლებელია თვით საკითხი ორი ფენომენის დამოკიდებულებისათვის იმ სახით გადაწყდეს, რომ მათ შორის მიმართება არ ითხოვს ფენომენის გაორებას. დიალექტიურ მატერიალიზმის თვალსაზრისით, სადაც მონიზმი ყოველგვარ გაორების მოხსნაა, საკითხის საბოლოო გადაჭრა სწორედ რომ ასეთი იქნება, მაგრამ ამ შედეგის მიღება ნიშნავს საზოგადოდ ა. ბოგდანოვის ნაახრევის განხილვის დამთავრებას და ყველა ძირითად საკითხზე საბოლოო პასუხის მიღებას. მანამდე კი უნდა შემოწმდეს, რას ნიშნავს თვით ფაქტი ემპირიომონიზმისა და ტექტოლოგიურ მექანიზტიკის შემუშავებისა.

ა. ბოგდანოვის ფილოსოფიურ შეხედულებათა განხილვის ცენტრი მასთან დიალექტიურ მატერიალიზმის თვალსაზრისით ბრძოლის დროს გადატანილი იქნა იდეოლოგიურ-სისტემატიურ საკითხების სფეროში. რა თქმა უნდა, ეს მოვლენა შეცდომას არ წარმოადგენს: ყოველი თანმიმდევრო და სისტემატიური კრიტიკა საჭიროებს პრინციპების და სისტემატიურ საკითხების განხილვას. აქ გამოყოფილი უნდა იქნას რამოდენიმე ძირითადი პრობლემა, რომელთა მიმართ უნდა გაესინჯოს კბილი ნაახრევს, როგორც მთლიანობას. ასეთი საკითხებია:

ა) მონიზმი, როგორც დამახასიათებელი ემპირიომონიზმისათვის და იგივე მონიზმი დიალექტიურ მატერიალიზმის—მარქსიზმის—თვალსაზრისით;

ბ) წინააღმდეგობის პრობლემა, როგორც „ორგანიზაციულ მეცნიერების“ დაქვემდებარებული ელემენტი (წინააღმდეგობა, როგორც „კერძო შემთხვევა“ „противоположность как частный случай“, Фил. жив. опыта, მეორე გამოც.

გვ. 221). წინააღმდეგობა, როგორც ელემენტი დიალექტიურ მეტერიალიზმში.

გ) დიალექტიკა და ტექტოლოგია ზემოდ მოყვანილ მომენტების ფარგლებში.

დ) მიზეზობრიობის პრობლემა.

ვ) რეალობის საკითხი ემპირიომონისტულ ნიადაგზე, როგორც ტექტოლოგიის თვალსაზრისით, და მოცემულ სინამდვილეში ჩასახსნელი სინამდვილე მატერიალისტურ დიალექტიკისა.

ასეთი უნდა იყოს ის შემცირებული რიცხვი საკითხებისა, რომლებსაც იწვევს ა. ბოგდანოვის შეხედულებათა განხილვის საჭიროება. ცხადია, რომ თითოეული საკითხი რთული ბუნებისაა, მრავალ ახალ საკითხს შეიცავს, რომელზეც იგი შეიძლება დანაწევრებულ იქნას, მაგრამ ზოგადი მიმოხილვის მიზნებისათვის სრულიად საკმარისია მხოლოდ დასახელებულ საკითხებზე შეჩერება. მათ ევალებათ მსახურებითი და დამხმარე როლი: ა. ბოგდანოვის ფილოსოფიურ შეხედულებათა განხილვა და შეფასება დიალექტიურ მატერიალიზმის თვალსაზრისთან შეფარდებით. ამით მოსაზღვრულია ის არე, რომელიც, ცხადია, დამოუკიდებელ კვლევა-ძიების საგანად შეიძლება გახდეს.

ყველა დასახელებულ საკითხზე მარქსისტულ-ფილოსოფიურ ლიტერატურას აქვს თავისი პასუხი. ჯერ კიდევ იმ თავით ემპირიომონიზმმა დიდი შეკამათება გამოიწვია. მართალია, პირველ ხანებში იგი უპასუხოდა, დარჩა და 1905 წ. რევოლუციის წინა ხანაში როგორღაც თავსდებოდა მატერიალისტურ-დიალექტიურ წრეებში, მაგრამ ეს გარეგნული და შემთხვევითი პირობებით აიხსნებოდა. ყოველ შემთხვევაში ა. ბოგდანოვის ფილოსოფიური შეხედულებანი არავითარ ჯგუფურ და მით უფრო ფრაქციულ მოვლენას არ წარმოადგენდა. უნდა ითქვას აქვე, რომ ემპირიოკრიტიციკისტულ ფილოსოფიას, რომელიც ა. ბოგდანოვის აზროვნებაზე ოსტვალდის ენერგეტიკის გვერდით მიმმართველ გავლენას ახდენდა, ერთნაირი გამოხმაურება არ გამოუწვევია რუსეთის მარქსისტულ წრეებში. მაგ. ა. ლუნაჩარსკი ემპირიოკრიტიციზმის თითქმის უცვლელად გადმოღების მომხრე იყო და თავისი ფილოსოფიური მუშაობა ავენარიუსის შეხედულებათა პოპულარიზაციით დაიწყო, ღრმად დარწმუნებულმა, რომ ის ამით მარქსიზმის ფილოსოფიურ განმტკიცების საქმეს ემსახურებოდა. იუსტიციის მინისტრმა, რომელიც იმავე ემპირიოკრიტიციზმიდან ამოდიოდა, ა. ბოგდანოვის დაგვარად, დამოუკიდებელი გზით სულა მოინდომა და ცდის ანუ ემპირიის ნიადაგზე მდგარმა, ნაცვლად ემპირიომონიზმისა, ემპირიოსიმვოლიზმის შემუშავებაზე დაიწყო ლაპარაკი. ამ რიგად, მიუხედავად ამოსავალი წერტილის ერთობლივობისა, მთლიანი გზა და მიმართულება არ იქნა მიღწეული. მარქსისტულ-ფილოსოფიურ აზროვნების ისტორიკოსი გამოარკვევს ამ დაქსაქსულობის მიზეზებს. ეს უკანასკნელნი არ არიან მოკლებული ინტერესს არც სოციალური, და არც კულტურული თვალსაზრისით.

რადიკალური პოზიტივიზმი, რომელიც ლუნაჩარსკის ყოველგვარ იდეალიზმის და, მათ შორის, მაშინ ახლად მოვლენილ „პანიდეალიზმის“ წინააღმდეგ საბრძოლველად საუკეთესო იარაღად მიაჩნდა, იყო მიზეზი და საფუძველი

მისი ყურადღების ავენარიუსზე შეჩერებისა. ამ მიდგომას თავისი შედეგებში ჰქონდა და ა. ლუნაჩარსკი ემპირიოკრიტიციზმს უყურებდა, როგორც მოკავშირეს, როგორც დამხმარე ელემენტს იმ ბრძოლაში, რომელსაც მარქსისტული ე. ი. დიალექტიკური მატერიალიზმი იდეალიზმის წინააღმდეგ ეწეოდა. ასეთი გამოყენებითი და მოხმარებითი თვალსაზრისი, ცხადია, არ ითხოვდა და არც მოუთხოვია დიალექტიურ მატერიალიზმის ფილოსოფიურ კლასიციზმს, მარქსისტულ-ფილოსოფიურ აზროვნების ისტორიკოსმა რუსეთის სინამდვილეში ეს მომენტი მხედველობაში უნდა იქონიოს, როდესაც ლუნაჩარსკის ადგილის გამორკვევას შეუდგება იმ ფილოსოფიურ ძიებათა დროს, როგორც იყო მე-XX საუკ. დასაწყისი.

იუშკევიჩი და ა. ბოგდანოვი ცოტა სხვა თვალსაზრისზე იდგნენ. ისინი იმ დებულებიდან ამოდრიოდნენ, რომ თითქოს მარქსისტულ მთლიანობას ფილოსოფიური დანაკლისი გააჩნია, რომელიც შევსებას მოითხოვს და ისმებოდა საკითხი იმის შესახებ, საიდან უნდა მოდიოდეს ასეთი შევსება, თუ მისი საჭიროება და აუცილებლობა გამორკვეულია. აქ, ცხადია, ორი შესაძლებლობა ისახებოდა: შევსების წარმოება იმ პრინციპებისგან, რომლებიც ასე თუ ისე მაინც იუვნენ მოცემული მარქსისა და ენგელსის ნააზრევში, ან და გარედან მოტანილ მასალის დამატებით. ა. ბოგდანოვმა და იუშკევიჩმა, თითოეულმა თავისებურად, უკანასკნელი გზა აირჩიეს და მარქსისტულ ფილოსოფიის შევსების და დამატების გზას დაადგნენ. იუშკევიჩი უფრო „გაყოჩაღდა“ მათემატიკურ პრობლემებში, როგორც ამბობდა ერთ-ერთ საპოლემიკო წერილში ორტოდოქსი, და სიმბოლისტურ აზროვნების მომხრეთ გამოვიდა ცდისა და ემპირის ნიადაგზე — აქედან მისი ემპირიო სიმვოლიზმი. ა. ბოგდანოვი კი უფრო სოციალ-ისტორიზმის გზით წავიდა და უკვე მისი პირველი ფილოსოფიური შრომები, როგორცაა „საზოგადოების ფსიქოლოგიიდან“ და „შემეცნება ისტორიის თვალსაზრისი“, ამ ამოსავალს და შემდეგში დამახასიათებელ მომენტებს ნათელს ჰყოფენ. სოციალურობა ისტორიულად გაშლილი — ასეთია ის არე, რომელშიაც სურდა ა. ბოგდანოვს მოეთავსებია ფილოსოფიური პრობლემების დასმა-გადაჭრის გასაქანია და ამ ნიადაგზე შემუშავდა მისი „სოციალ-აბსნითი“ მეთოდი, რომელიც შეიძლება ჩამოყალიბებულად ჩაითვალოს უკვე „შემეცნებაში ისტორიულის თვალსაზრისით“. მარქსისტულ ფილოსოფიის ისტორიკოსმა რუსეთში აქედან უნდა დაიწყოს ა. ბოგდანოვის განხილვა, რადგან მთელი შემდგომი — თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში გაშლილი — მისი აზროვნება სწორედ აქ ხედავდა გარდამწყვეტ მომენტს ყველა ზემოდ ჩამოთვლილ საკითხებზე პასუხი კი მიაჩნდა დამატებითი და გამოყვანითი მომენტად.

ა. ბოგდანოვის დაძლევა მარტო იმის ჩვენებით კი არ მოხდება, რომ დამტკიცო მისი განსხვავება მარქსიზმისაგან ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ მისი დაშორება მარქსისა და ენგელსის ნათქვამ-ნააზრევისაგან. ა. ბოგდანოვი თვითონ არ უარჰყოფს ასეთს დაშორებას, ხოლო იგი მას მიაჩნია არა შეცდომად და დანაკლისად, არამედ მარქსიზმის ნიადაგზე მომხდარ და წარმოებულ განვითარების შედეგად. მართალია, ამ მომენტებზე იმ თავით ა. ბოგდანოვი ცო-

ტას ლაპარაკობს, მაგრამ როგორც კი 1905 წ. რევოლუციის შემდეგ გაიმართა პოლემიკა მისი თეზისების ირგვლივ და პლენანოვი ბელტოვმა, ვ. ილიინ—ლენინმა და ორდოქსმა შეუტიეს მას მთლიანი ფრონტით, ის თანდათანობით გარკვეულად აღნიშნავს, რომ დიალექტიური მეთოდი და დიალექტიური მატერიალიზმი განვლილი ფაზა, ანუ კერძო შემთხვევაა. თვით დიალექტიური მატერიალიზმი ექვემდებარება ა. ბოგდანოვის აზრით უფრო ვრცელს და შემცველ მეთოდს—„სოციალ—აბსნიტი“ მეთოდს რადგანაც თვით დიალექტიკა უნდა იქნას „გამოკვლეული და აბსნილი („сама диалектика обследована и абстрагирована“) ამით დასმულია და პასუხგაცემულია ემპირიომონიზმის თვალსაზრისით ის საკითხიც, რომელიც ემპირიომონიზმის და მარქსიზმის დაშორებაზე დადიან, ასეთი დაშორება არის, იტყვის ა. ბოგდანოვის მომხრე, მაგრამ იგი აუცილებელია და ბუნებრივი და ეს ბუნებრივობა კი არ არღვევს, არამედ ამტკიცებს ჩემს პოზიციასაო.

ცხადია, რომ ისეთი განხილვა ა. ბოგდანოვის შეხედულებათა, რომელიც დაემყარება მისი დაშორებას და განსხვავებას მარქსიზმისაგან, არსებითად სწორი და მისაღებია. ეს ასეა არა მარტო იმის გამო, რომ მარქსისტულად ასეთი იმმანენტური კრიტიკა სავალდებულოა, არამედ იმიტომაც, რომ ა. ბოგდანოვი მუდამ ამტკიცებდა, რომ იგი მარქსისტულ ნიადაგზე დგას და მისი ფილოსოფია სწორედ ის პროლეტარული ფილოსოფიაა, რომელზედაც უნდა ლაპარაკობდეს ყოველი მარქსისტი-ფილოსოფოსი. მაგრამ ა. ბოგდანოვის ფილოსოფიურ შეხედულებათა დაძლევა ამით ვერ იქნება მიღწეული: ამისთვის საჭიროა ემპირიომონიზმის საკუთარ პოზიციებზე დაძლევა. ამდენად დებორინის, ვაინშტეინის, კარევის და სხვ. გზა არაა სრული და არ იძლევა იმ მთლიან შედეგს, რომელსაც მიზნად ისახავდა მაგ. პლენანოვი, ილიინი და ორდოქსი. ეს ნიშნავს განხილვაში ისეთი მომენტის შეტანას, რომელიც შეუძლებელს უნდა ჰყოფდეს ამა თუ იმ დასკვნის მიღებას თვით ემპირიომონიზმის შინაგანი წყობისმიხედვით.

ყველა ნათქვამის მიხედვით თავდაპირველად უნდა დაისვას საკითხი: რა დამოკიდებულება არსებობს განვითარების თეორიასა და განვითარებაში მოყოლილ თეორიას შორის? ამით გადაწყდება საკითხი იმ საერთო ჩარჩოების შესახებ, რომლებშიც გაიშალა მთელი ემპირიომონიზმის შემდგომი განვითარება. ფილოსოფიურად ეს იქნება გასაქანი, რომლის ამოსავალი მომენტია „სოციალურად ორგანიზაციაქმნილი ცდა“ და მიზანი „მთლიანი ორგანიზაციული მეცნიერება“ ანუ ტექნოლოგია. დამოუკიდებელი იმისაგან, რამდენად გამართლებულ დებულებებს დაემყარა ა. ბოგდანოვი და რამდენად გამართლებული აღმოჩნდა მისი დასამტკიცებელი თეზისები, მთელი ნააზრევი თეორიის ორი სახის განსხვავებასა და გაგების ირგვლივ ტრიალებს.

2. უნივერსალური მეთოდის პრობლემა

შინაარსეულად აქ დასახული თემა შეიცავს იმას, რასაც ა. ბოგდანოვი „უნივერსალურ მეთოდს“ უწოდებდა. უნივერსალური მეთოდის აზრი იმაში

უნდა ყოფილიყო, რომ მას უნდა მოეცა საშუალება სხვადასხვა სოფლგაგების ახსნისა და გამოყვანისა. უნივერსალური იქნება მეთოდი ა. ბოგდანოვის მიხედვით მაშინ, თუ იგი იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმების გასწვრივ მოქმედობს. ეს გარემოება არაა აღებულნი განყენებულად, მას თავისი კონკრეტული მიზანობა გააჩნია. კერძოდ, იდეოლოგიის ფორმების სხვაობის მაჩვენებელია მიზეზობრივობის პრინციპის ესა თუ ის ფორმა. სარწმუნოებრივ სოფლგაგების მიზეზობრივობის პრინციპი ავტორიტარულ ფორმაში აქვს გახვეული, შემოგომ ფილოსოფიურ ფორმებს, მისი რეალისტურ-მატერიალისტური თუ იდელისტური განშტოების მიხედვით, იმავე მიზეზობრივობის პრინციპის ან მიზეზისა და შედეგის, ან და საფუძვლისა და დანასაკვის სახით გაგება ახასიათებს. პროლეტარულ იდეოლოგიის შემზადების ხანაში—ასეთად მიაჩნია ა. ბოგდანოვს დიალექტიურ მატერიალიზმის ხანა—მიზეზობრივობის პრინციპი ცალმხრივადაა გაგებული ანუ, უფრო სწორად, მოვლენათა ნაწილობრივ და ამდენად განსაზღვრულ გაგებას მოასწავებს, ნამდვილი იდეოლოგია მუშათა კლასისა—ჰფიქრობს ა. ბოგდანოვი შემუშავდება მხოლოდ მაშინ, როცა დიალექტიური მეთოდის ადგილი გაგებული და ახსნილი იქნებაო.

„დიალექტიური მატერიალიზმი—ამბობს ა. ბოგდანოვი—იყო პირველი ცდა ცხოვრებასა და ქვეყანაზე მუშათა კლასის თვალსაზრისის შემუშავების და ჩამოყალიბებისა“ ამ ცდაში „ჯერ კიდევ მძლავრად სჩანს ძველი, გაბატონებული კლასების მეთოდებისა და გაგების გავლენა“ („სოცხალი ცდის ფილოსოფია“ თავი IV.) აქედან ნათელია, რომ ბოგდანოვის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომა იმ რწმენიდან ამოდის, რომ დიალექტიური მატერიალიზმი და მასთან დაკავშირებული ისტორიული მატერიალიზმი, თვითონ კი არ წარმოადგენენ უნივერსალურ თვალსაზრისსა და მეთოდს, არამედ სხვა, მათზე მალლა და მათ გარეთ მდგომ „სოციალახსნითი მეთოდის“ თვალსაზრისით გაგებულ განვითარების ერთი განსაზღვრული ნაკვეთია, მოკლედ, დიალექტიური მეთოდი არაა უნივერსალური მეთოდი, იგი ვერ ახსნის განვითარებაში მოყოლილ მომენტებს, რადგან თვითონ არის ერთი ამ მომენტთაგანი და თვითონვე ახსნას საჭიროებს. ასეთია ძირითადი აზრი ა. ბოგდანოვის მსჯელობის. ის უნივერსალური მეთოდის ძებნითაა გატაცებული, რომელიც ერთსა და იმავე დროს თითოეულ კონკრეტ მოვლენასაც ხსნის იდეოლოგიურ განვითარებაში და მათზე მალლაც უნდა იდგეს.

აქედან ნათელია ა. ბოგდანოვის პრობლემატ და მასთან სადაო საკითხიც. ა. ბოგდანოვი უკვე აქარის, როგორც დაშორებული მარქსიზმს, ისე შემცდარიც. მარქსიზმისაგან დაშორება ნათელია მით, რომ ა. ბოგდანოვს არ აქვს გათვალისწინებული დიალექტიურ მეთოდის მატერიალისტური გაგება და სახეობა. რამდენადაც ა. ბოგდანოვი ცენტრალ მომენტს იდეოლოგიათა გენერაციისა მიზეზობრივობის პრობლემას უკავშირებს და, მეორეს მხრივ, ამა თუ იმ იდეოლოგიის ჩამოყალიბებას ამავე მიზეზობრივობის გაგებას უახლოვებს, ამდენად ა. ბოგდანოვის ძირითადი დშორება მარქსიზმიდან მთელის მოცულობით შეიძლება გაირკვეს მხოლოდ მიზეზობრივობის პრობლემის

განხილვის შემდეგ. ეხლა შეიძლება ითქვას, რომ სოციალური ძირის მიზეზობრიობის ქვეშ მოთავსებით სრულიადაც არაა თავისთავად მარქსისტული დებულება გამოთქმული. აქედან თვით სოციალ-ახსნითი მეთოდის თავისთავად მარქსისტულს არაფერს არ შეიცავს. ფილოსოფიაში სოციალურ თვალსაზრისით პრობლემებისადმი მიდგომა სრულიადაც არაა უცხო ამბავი, მაგრამ ეს კიდევ ცოტა რამეს ნიშნავს. თავი რომ დავანებოთ ყოველგვარ მარქსისტულ მიმართულებას ფილოსოფიაში, ან პოზიტივიზმის და სოციალური მეტანასიდეოლოგიურ მოვლენათა ახსნა-გაგებაში, თვით უსპეციალეს თეორიულ-ფილოსოფიურ ნააზრევშიაც კი მოიპოვება ამა თუ იმ სახის სოციალური მომენტის შეტანა ფილოსოფიურ საკითხების შესწავლა-განხილვაში. ასეთია მაგ. ა. რილის პოზიცია. სარწმუნოების და განსაკუთრებით ხელოვნების შესწავლაში კი განსაკუთრებით ხშირია სოციოლოგიური მეთოდის გამოყენება. ჰაშასადამე, ფილოსოფიური საკითხების სოციალურ ძირზე დაყვანა არ ნიშნავს მარქსისტულ მეთოდოლოგიის ნიადაგზე დგომას.

მაგრამ ა. ბოგდანოვის მეთოდოლოგიის ნაკლი მართლაც ის კი არაა, რომ იგი მარქსისტული არაა. იგი შემცდარია არსებითად, რადგან იმ გზით დასაშუალებით, რომლითაც იგი მიდის შეუძლებელია უნივერსალური მეთოდის დასაბუთება. ეს კი აუცილებელია ა. ბოგდანოვისათვის, რადგან თუ მან ვერ შესძლო უნივერსალური მეთოდის დასაბუთება, მაშინ ველარ მოხერხდება დიალექტიური მეთოდის ერთი ნაკვეთობრივი და კერძო მეთოდის სახით წარმოდგენა და დასახვა, და ამით კი კითხვის ქვეშ დადგება თვით ემპირიომონიზმი და ორგანიზაციული მეცნიერება. ა. ბოგდანოვი ძლიერია მანამდე, ვიდრე არ შერყეულა მისი მეთოდის უნივერსალობა. აქედანაა ის რომ მარქსიზმს ზემოდან დაჰყურებს ე. ი. მას სთვლის ერთი იმ წარმატალ მოვლენათაგანად, რომელიც ისეთივე კანონიერი მოვლენაა, როგორც სხვა რომელიმე იდეოლოგია საზოგადოებრივ შრომის ორგანიზაციის განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე მოვლენილი. ა. ბოგდანოვისათვის არ არსებობს არავითარი პრინციპიალური განსხვავება, ვსთქვათ, ბურჟუაზიულსა და პროლეტარულ იდეოლოგიის შორის. ორივე ერთნაირად მართალია და შეეფარდება „სოციალ ცდის ორგანიზაციას“ გარკვეულ საფეხურსა და ფორმას; ორივე განსაზღვრულია ამ ცდის ფარგლებით და რამდენადაც ერთი მთლიანი განვითარების ხაზის ნაკვეთებს წარმოადგენენ, იმდენად ემორჩილებიან იმ ძირითად მეთოდის მოთხოვნას და წესს, რომელიც ამ მთლიან განვითარების გაგებას წარმოადგენს; ამდენად დიალექტიური მეთოდი განსაზღვრული მეთოდია, კერძო ხასიათის და ასეთივე გამოყენების მქონე ა. ბოგდანოვის აზრით; სოციალ-ახსნითი ანუ ორგანიზაციული მეთოდი უნივერსალური მეთოდია. პირველი პროლეტარულ იდეოლოგიის ფორმაა და ამდენად კერძო მოვლენა ისტორიულ განვითარების მთლიანობაში, მეორე — საერთო ორგანიზაციული მეცნიერებაა, და ამდენად ზოგად ხასიათის მქონე — იგი არაა დაკავშირებული არც კლასის იდეოლოგიასთან კერძოდ, არამედ წარმოადგენს ყველა კლასების და იდეოლოგიის ახსნას.

რა თქმა უნდა, ა. ბოგდანოვისათვის პროლეტარული იდეოლოგია, როგორც სოციალ შრომის უფრო ორგანიზაციულ ფორმის ნიადაგზე აღმოცენებული, შედარებით პროგრესიული მოვლენაა, მაგრამ უფრო ძირითადი ხასიათის ჭეშმარიტება ვრცელია მნიშვნელობითაც და მოცულობითაც, ვიდრე პროლეტარული იდეოლოგია—მას ა. ბოგდანოვმა „ორგანიზაციული მეცნიერება“ ანუ „ტექნოლოგია“ უწოდა. პროცესები, რომლებიც „ტექნოლოგიას“ ხელშეწყობს, საორგანიზაციოთ, გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე პროლეტარიატის მოვლენა ისტორიაში ანუ სოციალიზმისათვის ბრძოლა.

ასეთია ა. ბოგდანოვის უნივერსალური მეთოდი. მისი კრიტიკა საბოლოოდ სამ მომენტს უნდა შეიცავდეს: ა) ა. ბოგდანოვი შემცდარია, როდესაც სოციალ ახსნითი ანუ ორგანიზაციული მეთოდი მარქსიზმი ჰგონია; ბ) დიალექტიკა არის ნამდვილი უნივერსალი მეთოდი; გ) ორგანიზაციული მეთოდი არ შეიძლება იყოს უნივერსალი მეთოდი. ამ სამი დებულების ირგვლივ უნდა იყრიდეს თავს კრიტიკა, რომელსაც შეეძლება ა. ბოგდანოვის შეხედულებათა ძირეული დაძლევა.

პირველი დებულება ადვილი დასამტკიცებელია. მარქსიზმი არ სცნობს არც მეთოდოლოგიურს და არც იდეოლოგიურ დუალიზმს. იგი თავიდან ბოლომდე მონისტური სისტემაა, რომელსაც არა თუ სხვა და სხვა მიდგომა მეთოდოლოგიაში ძიაჩნია დაუშვებლად, არამედ გაყოფას მეთოდსა და სისტემაზე არ სცნობს შესაძლებლად. მეთოდოლოგიური მონიზმი ნიშნავს, რომ არ შეიძლება ცალ-ცალკე შესწავლის სფეროდ გაიშალოს ერთის მხრივ განვითარების თეორია და მეორეს მხრივ ამ განვითარების ესა თუ ის ნაკვეთი. კიდევ მეტი: გაყოფა ზოგადსა და კერძოზე უფრო ფორმალური და აღმრიცხველი მომენტი უნდა იყოს და არა პრინციპიული. აქედან — არ შეიძლება ა იყოს ზოგადი მეთოდი ერთი—ორგანიზაციული და მეორე კერძო—დიალექტიკა.

შეცდომაა თუ ვინმე იფიქრებს, რომ ა. ბოგდანოვიც მეთოდოლოგიური მონიზტი იყო, რადგან დიალექტიკაც ბოლოს და ბოლოს მისთვისაც კერძო მოვლენა იყო იმავე ორგანიზაციულ მეთოდისა, როგორც ყოველის შემცველ უნივერსალ მეთოდისაო. მონიზმი იმას კი არ ნიშნავს მაგ. განსხვავებით დუალიზმისაგან, რომ ორი ერთში გააერთიანო, არამედ ორი ერთიდან გამოიყვანო. მონიზმი შეჯამების სუბარული ცნება კი არაა, არამედ გენეტიური უპირველესად ყოველისა. მონიზმი, რომელზედაც ა. ბოგდანოვი ლაპარაკობს, არის მოწესრიგების, ორგანიზაციის, ცდის გარკვეულ მთლიან და მორიგებულ ფორმაში ჩამოქნის მეთოდი, ერთი სიტყვით—ემპირიო მონიზმი. აქაა ძირი მარქსიზმის და ემპირიო მონიზმის დაშორებისა და აქვეა დასაწყისი ა. ბოგდანოვის მონიზმის, როგორც განვითარების შემსწავლელ მეთოდის, დუალიზმში გადასვლისა. ეს მომენტი აღუნიშვნელი დარჩა დღემდე მარქსისტულ ფილოსოფიურ მწერლობას ა. ბოგდანოვის შეხედულებათა გარჩევის დროს და ჩვენი მიზანია ჯერ-ჯერობით სწორედ ამას მივაქციოთ კრიტიკის ყურადღება.

მონიზმი მარქსიზმისათვის ნიშნავს მოვლენათა ახსნა-გაგებას ერთი ძირისაგან, ა. ბოგდანოვისათვის მონიზმი ნიშნავს მთლიანობას. მთლიანობის

მონიზმი შესაძლოა მიღებულ იქნას მრავალი გზით იმის და მიხედვით, თუ რა შედის მთლიანობაში. აქედან ა. ბოგდანოვის მონიზმი პირდაპირ გადადის პლიურალიზმში ანუ ეკლექტიზმში. მას ხელმძღვანელობს არაფრის შემცველი, შიშველი ცნება „ორგანიზაცია ქმნილი ცდისა“, რომელიც შეიძლება განხორციელებულ იქნას დამოუკიდებელი იმისაგან, თუ საით მიდის ეს ორგანიზაცია და როგორია მისი შემადგენლობა. აქედან — ა. ბოგდანოვის მეთოდის არაა აუცილებლობის ცნების შემცველი და ამით ის საბოლოოდ სწყდება მარქსიზმის გზას და ფილისტერულ რაგინდარობის შემთხვევითს და არეულ გზას აღგება. აქედან ნათელია, რომ ემპირიომონისტული მეთოდით შეუძლებელია ისტორიულ განვითარებას მთლიანი სახე მიეცეს და კერძოდ გამოყვანილ იქნას სოციალ რევოლუციის და სოციალისტურ საზოგადოების აუცილებლობა. თავისი თვალსაზრისით ა. ბოგდანოვი თანმიმდევნოთ მსჯელობს, როცა დიალექტიური მეთოდი და წინააღმდეგობათა გზით განვითარება ერთ კერძო მოვლენად მიაჩნია. აუცილებლობის ცნების არ შემცველ ეკლექტიურის თვალსაზრისით სხვანაირად მსჯელობა არც შეიძლება, მაგრამ ამით ერთსა და იმავე დროს მარქსიზმთან კავშირი გაწყვეტილია და ემპირიო-მონისტური მეთოდიც შიგნიდან დანგრეული.

ა. ბოგდანოვს უსაყვედურებდენ, რომ მისი მეთოდით არ შეიძლება სიახლის ე. ი. განვითარების ახალი ელემენტის გამოყვანა და გაგება. ასეთია მაგნ. კარევის შენიშვნა („Под знам. марксизма“, 1926 წ. № 4—5). რა თქმა უნდა, ეს შენიშვნა საერთოდ სწორია და მართალია აზრიც, რომ ა. ბოგდანოვს იგივე ბედი უნდა ეწიოს, რაც ყოველივე მექანიკურ თვალსაზრისს, რომელმაც იცის გადაჯგუფება და არა გარდაქმნა. ცხადია, რომ რევოლუციას ა. ბოგდანოვის მეთოდი არ გამოადგება, მაგრამ ამის მიზეზი გაცილებით უფრო ღრმადაა მოთავსებული, ვიდრე ამას ხედავენ ნ. კარევი, ვაინშტეინი და სხვ. ა. ბოგდანოვის კრიტიკოსების ახალ თაობიდან. აქ საქმე მექანიზმში კი არაა მართო, არამედ იმაში, რომ ა. ბოგდანოვმა არ იცოდა, ან არ სურდა მიეღო მხედველობაში დიალექტიკის ბუნება. მართალია მარქსმა ჰეგელის დიალექტიკა „თავდაყირა დაყენებული“ კვლავ ფეხზე წამოაყენა, მაგრამ ამით ოდნავადაც არ იყო განზრახული თვით დიალექტიკის ბუნების შეცვლა. მარქსის საქმის სიახლე, ასე ვთქვათ, დიალექტიკის მიმართულების (ე. ი. თავდაყირა უნდა ყოფილიყო თუ ფეხზე მდგარი) ანუ გამოყენების საკითხი იყო და დიალექტიკას, როგორც ასეთს, არ ეხებოდა. დიალექტიკა კი ორ ნიშანს შეიცავდა: ა) მეთოდისა და კანონის შუა რეალ იგივეობას და ბ) დიალექტიკაში, როგორც განვითარების თეორიაში, წინააღმდეგობათა შეხვედრას. ამ ნაწილში დიალექტიკა არც გადაკეთებულა, როცა იგი ნაცვლად იდეალისტურისა მატერიალისტურ დიალექტიკათ იქცა და ვერც გადაკეთდებოდა, რადგან იგი მაშინ დიალექტიკა, როგორც უნივერსალი მეთოდი, აღარ იქნებოდა. აქედან მთლიანობა, რომელზედაც ლაპარაკობს ა. ბოგდანოვის მონიზმი არის მოწესრიგება სიმრავლისა მთლიანობად, ხოლო დიალექტიკის თვალსაზრისით

მთლიანობა არის დაძლეულ წინააღმდეგობით აღდგენილი მთლიანობა ე. ი. ამოსავალ წერტილთან შედარებით ახალი მომენტის შეტანა განვითარებაში.

ამით დახმულია მეთოდოლოგიის უკანასკნელი საკითხი: ა. ბოგდანოვის მიერ დიალექტიურ მეთოდის ვერ გაგების, თუ არ გაგების შედეგია ისიც, რომ დიალექტიკა გამოცხადებულია კერძო მეთოდათ და უნივერსალური მეთოდი კი სხვანაირად არის წარმოდგენილი. ა. ბოგდანოვისათვის, რეგულაციური ემპირისტისათვის (ის პირდაპირი მოწაფეა რ. ავენარიუსის პოზიტივიზმისა და ერნსტ მახის ემპირიზმის), სინამდვილე არსებობს მხოლოდ ცდაში. უნივერსალ მეთოდის მიყენების არე უნდა იყოს „კაცობრიობის ცდა“, როგორც მთლიანი მოვლენა. აი სწორედ ეს კაცობრიობის ცდა მოითხოვს, ა. ბოგდანოვის აზრით თავის მოწესრიგებისათვის დიდ ორგანიზაციულ გამოცდილებას, რის განხორციელება შეიძლება დაევალოს მხოლოდ ისეთ მეცნიერებას, რომელიც ამიერიდან უნდა გაჩნდეს და დღეს არსებულ დაქუცმაცებას და სპეციალიზაციას დასძლევს. „აუცილებელია, ამბობს ა. ბოგდანოვი, რომ თვით ცდა კაცობრიობისა (მისი ორგანიზაციული ნაწილი შ. ნ.) ჩამოიქნეს მთლიანად და მწყობრად, წინააღმდეგ შემთხვევაში დანაწილაკებულ და განკერძოებულ ამოცანების იქით ვერ წავალთ. აუცილებელია უნივერსალი ორგანიზაციული მეცნიერება“-ო. (Тектология, 62).

აქედან ნათელია, რომ ა. ბოგდანოვის მეთოდი არის „ორგანიზაცია“ და არა წინააღმდეგობათა ჭიდილი, ან ის რასაც ლენინი ეტყოდა „განვითარებას, როგორც წინააღმდეგობათა მთლიანობას“. (Н. Ленин. К вопросу о диалектике). ჩვენ დავინახეთ, რომ ბოგდანოვის მეთოდი არის დუალისტური და ეკლექტიკური. საჭიროა გაირკვეს, არის თუ არა იგი უნივერსალი? ეს კითხვა უარყოფილად უნდა გადაწყდეს: დიალექტიკის უნივერსალობა, როგორც ითქვა, დაკავშირებულია მეთოდისა და კანონის შუა განსხვავების მოხსნასთან. შესაძლებელია ასეთივე რამ „ტექტოლოგიურ“ მონიზმის დროს? არა, რადგან მისი მიყენების არე განსაზღვრულია ცდის ფარგლებით. მართალია, ა. ბოგდანოვი აფართოებს ცდის ცნებას ჯერ სოციალურის და შემდეგში საკაცობრიო მასშტაბით, მაგრამ ასეთი გაფართოება ვერ სწყვეტს პრინციპიულ საკითხს ცდის განსაზღვრულობის შესახებ. აუცილებლობის ცნება, რომელიც აქლია ა. ბოგდანოვს, სწყვეტს საკითხს. ჰეგელის დიალექტიკიდან გამოსულ დიალექტიურ მატერიალიზმის თავისებურება და სიძლიერე იმაშია, რომ იგი აუცილებლობის ცნებას ცდის დახმარებით კი არ ამტკიცებს, არამედ დიალექტიურ აგებულობაში მოთავსებულ მომენტებით. კაპიტალისტურ საზოგადოების დანგრევის აუცილებლობას მარქსიზმი ცდის ნიადაგზე წარმოებულ განმეორებითი დაკვირვებებით კი არ აწარმოებს, არამედ კაპიტალიზმის წიაღში აღმოჩენილ ელემენტების წინააღმდეგობით. ეს „წინააღმდეგობა მთლიანობაში“ არის აუცილებლობის და მასთან უნივერსალობის მატარებელი, და არა „კაცობრიობის ორგანიზაციული ცდა“. ცდის განსაზღვრულობა საზღვრავს მეთოდს, საზღვრავს მსჯელობას. მარქსიზმი არაა ემპირისტული მეცნიერება და, მაშასადამე, არც ემპირიომონისტული, იგი დიალექტიურ-მონისტურია ანუ, ლენინის ტერმინებით,

„წინააღმდეგობათა მთლიანობა“. მაშასადამე, ტექტოლოგიური და ორგანიზაციული მონიშმი ვერ ასაბუთებს მეთოდის უნივერსალობას და ამდენად უნივერსალ მეთოდის პრობლემა ა. ბოგდანოვის დაუძლეველი რჩება. დიალექტიურ მეთოდს ის ვერ აქცევს კერძო მოვლენად, და უნივერსალი მეთოდი რჩება დიალექტიკა.

3. ზოგიერთი ფილოსოფიური პრობლემა

ცხადია, რომ ფილოსოფიური პრობლემების განხილვა ა. ბოგდანოვის ნააზრევის გასწვრივ ვრცელ გამოკვლევას საჭიროებს. აქ შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ პრობლემის მითითება, სახელდობრ ისეთის, სადაც ნათელია როგორც ა. ბოგდანოვის დაშორება მარქსიზმისაგან, ისე მისი შეცდომები არსებითად. ასეთი პრობლემები ჩვენ უკვე ჩამოეთვალეთ ზევით და ეხლა საჭიროა მათი გადაჭრის მოკლე დახასიათება და კრიტიკა.

იმ თანმიმყოლობით, როგორც ის ზევით აღინიშნა, ფილოსოფიური პრობლემები შემდეგი სახით იშლება:

ა) მონიშმი. ა. ბოგდანოვის თითქმის არავინ უსაყვედურებს, რომ ის მონისტი არაა. ეხლა ცხადი უნდა იყოს, რომ ა. ბოგდანოვი არც მარქსისტულ გაგებითაა მონისტი და ვერც საზოგადოდ ახერხებს მონისტურ პოზიციის შენარჩუნებას. მონიშმი თავისთავად არ უზრუნველყოფს, რომ აუცილებლად დიალექტიურ მატერიალიზმთან რაღაც კავშირი უნდა იყოს. მონიშმი მოვლენათა ერთი საწყისიდან გაგებას და ერთ მთლიანობად გაშლას ნიშნავს და ამდენად მონისტის პრეტენზია იდეალისტსაც, ანუ უფრო სწორად, სპირიტუალისტსაც შეიძლება ჰქონდეს, რამდენადაც გარეგნულად მაინც ისიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. მაშასადამე, როგორც დავინახეთ, არც ემპირიომონიშმი ნიშნავს მარქსიზმთან კავშირს მარტო იმის გამო, რომ იქაც და აქაც მონიშმზეა ლაპარაკი.

რა თქმა უნდა, მარქსიზმი ებრძვის დუალიზმს და ქვეყნის გაორების პრინციპს. მას ეს პოზიცია ახასიათებს არა მარტო გენეზისის, არამედ სოფლგაგების საკითხშიაც. ჰეგელის მიერ ფილოსოფიურად თქმული ფორმულა „აუცილებლობის სამფლობელოდან თავისუფლების სამფლობელოში“ გადახტომის შესახებ, მარქსიზმისათვის, ანუ უფრო სწორად, ისტორიულ მატერიალიზმისათვის „წინააღმდეგობათა სამფლობელოდან“, „წინააღმდეგობის მიღმა ქვეყნისაკენ გადასვლას ნიშნავს. კონკრეტულ-ისტორიულად ეს ნიშნავს კლასობრივ წინააღმდეგობაზე აგებულ საზოგადოებიდან კლასობრივ წინააღმდეგობის გარეშე მყოფ საზოგადოებაში გადახტომას. წინააღმდეგობის დაძლევით მიღებული მთლიანობა — ასეთია დიალექტიურ მატერიალიზმის გაგებით მონიშმი. ა. ბოგდანოვის აზრით კი შემეცნების პირველი მიზანია „ცდის მთლიანობის“ აღდგენა, რაც შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ ავტორუტარული ფორმები აზროვნებისა მოიხსნება (მისი სოციალურ ძირის მოშლასთან ერთად) და ცდის არე არ დაიქსაქსება დაპირისპირებულ მომენტებზე, როგორცაა მაგალით. სული და სხეული. არაა აქ საჭირო გაიჩინოს ა. ბოგდანოვის თეორია საერთო შენაცვლების შესა-

ხებ („теория всеобщей подстановки“), რომელიც რ. ავენარიუსის მოქმედების „ინტროექციის“ გამო შებრუნებულ გადამუშავებას წარმოადგენს, რომ ნათელი გახდეს მარქსიზმისაგან დაშორება ერთის მხრივ და მონიზმის ცენტრს ასეთა გაგების გამოუსადეგრობა მეორეს მხრივ.

მარქსიზმთან დამოკიდებულება ნათელია. დუალიზმის უარყოფა მარქსიზმისათვის არაა წონასწორობის, ორგანიზაციის და მოწესრიგებისათვის ბრძოლა. ეს განვითარების ის ფორმა იქნებოდა, რომელსაც ლენინმა თავის შენიშვნებში დიალექტიკისათვის „უსიცოცხლო და მშრალი უწოდა. ეს რაც შეეხება მარქსიზმთან დამოკიდებულებას. საზოგადოებრივი მონიზმი არ შეიძლება იყოს შემეცნების პრინციპი, ანუ წესი, თუ თვით სინამდვილე ანუ რეალობა ადამიანისათვის საწვდომ ცდის ისეთ ფარგლებითაა განსაზღვრული, რომლებიც თვით ამ შემეცნების ბუნებიდანაა გამოყვანილი. შემეცნებას ფარგლების სოციალურ ფარგლებამდე გაფართოება არ სწყვეტს ძირითადად საკითხს: სინამდვილე, ანუ რეალობა ერთნაირად დამოუკიდებელია როგორც ინდივიდუალ-სუბიექტისაგან. ისე სოციალ სუბიექტებისაგან იგი ორივესათვის სავალდებულოა და ბელტოვი-პლენხანოვის და ორტოდოქსის ბრძოლა ბოგდანოვის მსერ მიწოდებულ რეალობის გაგების წინააღმდეგ მნიშვნელოვანია როგორც თვით რეალობის, ისე მონიზმის პრობლემისათვის. მონიზმი, რომელიც სუბიექტის თავში მოქმედობს მხოლოდ—სულ ერთია როგორია ეს სუბიექტი — უმნიშვნელო და ღირებულებას მოკლებულია. იგი მაშინ აზროვნების ერთი ხელსაყრელი ფორმათაგანი არის და სუბიექტურ იდეალიზმის შემეცნებითი ფორმების დაბლაკვი სდგას. იგი რჩება აზროვნების ეკონომიის პრინციპად და რაღა საჭირო იყო ემპირიოკრიტიციზმის ემპირიომონიზმად გადაკეთება, თუ მონიზმი აზროვნების ეკონომიის იქეთ ვერ წავიდოდა. ეს „იქეთ წასვლა“ რომ შესაძლებელი გამხდარიყო საჭირო იყო რეალობასთან კავშირი, სინამდვილესთან მისვლა და აზროვნების სინამდვილისათვის შეფარდება და არა პირიქით. ა. ბოგდანოვის ნააზრევი ამ მუხლში წარმოადგენს იშვიათ ცდას ემპირიზმის და იდეალიზმის ეკლექტიკურ შეერთებისა.

საუურნალო მოკლე მიმოხილვაში შეუძლებელია მეტის თქმა აქ წამოჭრილ საკითხებზე. მათი გავლენა პირდაპირ იჩენს თავს მათი მიმდევრო საკითხებზეაც დიალექტიკის, როგორც მეთოდოლოგიური, ისე საერთო სისტემატიური მნიშვნელობა, უეჭველია, ა. ბოგდანოვის ყურადღების გარეთ დარჩა. ფილოსოფიის წინააღმდეგ განწყობილება ა. ბოგდანოვის ნააზრევის დამახასიათებელი თვისება იყო იმ თავით, რამაც შემდეგში მექანიცტურ რევიზიონიზმის შექმნა იკისრა. ორგანიზაციულ მეცნიერებას პერსპექტივაში ესახებოდა აფილოსოფიური მდგომარეობა, მაგრამ ფაქტიურად ამოსავალ წერტილშიაც ფილოსოფიის საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა და ამით მოიჭრა გზა მარქსიზმის გასაგებად. მექანიცტების ბრძოლა დიალექტიკოსების წინააღმდეგ უკვე იმ თავით იყო მიამზადებული, როდესაც ა. ბოგდანოვმა ემპირიომონიზმის შენება დაიწყო დიალექტიკის იგნორაციით. ბელტოვი და შემდეგ ლენინი მართალი იყვნენ ა. ბოგდანოვის წინაშე, როგორც დიალექტიკოსები, და მათ შორის კამათის ნაყო-

ფიერებისათვის საკმარისი იყო მარტო იმ ფაქტის დადგინება, რომ ა. ბოგდანოვმა თავისი „გადამუშავება“ და „შევსება“ მარქსიზმისა დაიწყო ისე, რომ ანგარიში არ გაუწია იმას, რომ მარქსის პირველი მეცნიერული ნაშრომი იყო ფილოსოფიური გამოკვლევა (ეპიკურეს ფილოსოფიაზე) და რომ მარქსიზმის ისტორიული წარმოშობის ნასკვი ისტორიულად ჰეგელიანიზმსა და დიალექტიურ მატერიალიზმის შუა არის მოთავსებული.

დიალექტიურ მეთოდის და დიალექტიურ მატერიალიზმის ბოლომდე არ გაგებამ შექმნა ის მდგომარეობა, რომ ა. ბოგდანოვის წარმოდგენაში საჭირო შეიქნა ემპირიზმის (ავენარიუსის) და სუბიექტიურ იდეალიზმის (კანტის) ნარევის შემზადება. აზროვნების ისტორიამ იცის მოწინააღმდეგე პრინციპების დაახლოვება და გადანასკვა. ეს ყოველთვის ეკლექტიზმი არაა. პირიქით, ასეთ შემთხვევებში, როდესაც ისინი განვითარების აუცილებელ კანონითაა ნაკარნახევი, წინააღმდეგობათა მთლიანობაში დაძლევის ნიმუშებია და მათი აუცილებლობა მათი შედეგების ნაყოფიერებაში მხილდება. ასეთი შედეგი, ხშირად მთელი სააზროვნო ეპოქის შემქმნელი, არ ახასიათებს ემპირიომონიზმსა და ტექტოლოგიას. პირიქით, მან მექანიციზმის რენესანსი მოგვცა, ხოლო იმ ეპიგონალურს ფორმაში, როდესაც მექანიციზმის რადიკალიზმის ნაცვლად, რეფორმიზმის და ლიბერალიზმის ქადაგება გაისმა. წინააღმდეგობათა შეჯახებით და დაძლევით მიღებულ თვისობრივ და რიცხვობრივ წინსვლის ნაცვლად წონასწორობის აღდგენა „კაცობრიობის ორგანიზაციულ გამოცდილების“ გამოყენებით.

გარდა იმისა, მაშასადამე, რომ ეს მარქსიზმი არაა, მიუხედავად ა. ბოგდანოვის სურვილისა და ცდისა, არსებითადაც განუხორციელებელია მისი ძირითადი ამოცანა: მეცნიერებათა, როგორც ორგანიზაციული ცდის, დაქუცმაცების დაძლევა და საერთო ორგანიზაციული მეცნიერების შემუშავება. ანტიური მდგომარეობა, როდესაც მეცნიერება ჰფარავდა ფილოსოფიას, გამოწვეული იყო ფაქტიური მდგომარეობის სიღარიბით და არა იდეალური მოსაზრებით. ა. ბოგდანოვს ასეთივე აფილოსოფიური მთლიანი მეცნიერების აღდგენა კაცობრიობის უდიდეს სიბრძნის მომავლის გამოხატულებად ნიაჩნია. ის შემცდარია მთავარში: შეუძლებელია მთლიანი მეცნიერება გარეშე მთლიანი სინამდვილისა, ანუ, უფრო სწორად, გარეშე სინამდვილეში მთლიანობის აღმოჩენისა. ჯერ სინამდვილეს, როგორც მეცნიერების საგანს უდნა აერთიანებდეს რაღაც, რომ შესაძლო გახდეს ამ მთლიანობის აზროვნებაში გადმონერგვა. ეს უბრალო და მარტივი თეზისი, მრავალგზის იქვის ქვეშ დაყენებული, მაინც აღსდგა მისი განადგურების ყოველგვარი ცდის შემდეგ და დღესაც ძალაშია. ტექტოლოგია მას ანგარიშს ვერ უწევს და ამდენად საერთო-ორგანიზაციული მეცნიერება მოჩვენებითი ხასიათისაა.

დიდი საკითხია, ცხადია, მიზეზობრივობის პრობლემა. მარქსისტულ ფილოსოფიურ მწერლობაშიც მის შესახებ ბევრი დაწერილა (იხ. ამ საკითხის მიმოხილვა მარქსისტულ ლიტერატურაში, Вестн. Ком. Акад. № 24 Тележников — «Проблема причинности с точки зрения диалектического мате-

риализма). ა. ბოგდანოვი, მიზეზობრივობის პრინციპის ასეთ თუ ისეთ გაგებას დამახასიათებლად სთვლის აზროვნების განვითარების ამა თუ იმ საფეხურისათვის. ცხადია, რომ ამით არაა გადაწყვეტილი საკითხი თვით მიზეზობრივობის გაგებისათვის. „სოციალ-ახსნითი“ მეთოდს აქ მეტად ფართოდ აქვს გამოიღო გენეტიური თვალსაზრისი, და ვერ ამჩნევს, რომ ცვლილებათა ფორმების ახსნის იქეთ საჭიროა გაირკვეს თვით ასახსნელი მოვლენა.

ამ ნაკლს ა. ბოგდანოვი ავსებს თავისი მეთოდოლოგიის დუალისტური აგებულობის საშუალებით: რა არის მიზეზობრივობა უნდა გაირკვეს იმ სოციალური ცდის ნიადაგზე, რომელიც გააჩნია პროლეტარიატს სამანქანო წარმოების ხანაში. როგორც „მშრომელი და უშუალოდ მწარმოებელი კლასი პროლეტარიატი უპირისპირდება ბუნებას, რომლის წინააღმდეგობას ის თავისი ძალით თანდათანობით სძლევს“ — ამბობს ა. ბოგდანოვი. მოვლენათა კავშირი იმდენადაა ღირებული პროლეტარიატისათვის, რამდენადაც „მათი საშუალებით შეიძლება მოპოებულ იქნას საშუალება მშრომელი კოლექტივისათვის ბუნებაში ახალი პროცესების გამოსაწვევად“, (Фил. жив. оп. 222-23). აქედან, დაასკვნის ა. ბოგდანოვი, ენერგეტიკა საუკეთესო ფორმა იქნებოდა პროლეტარულ იდეოლოგიისათვის, მაგრამ მისი, მაგ. ვ. ოსტვალდისებური ნატურფილოსოფიური და საზოგადოდ ფიზიკალური გაგება წარმოადგენს „განყენების ფეტიშიზმს“, („фетишизм отвлеченности“) და მისი გამოყენება მოითხოვს სოციალ-შრომითი პროცესში მის მოთავსებას. ამ გზით მიიღება ა. ბოგდანოვის აზრით „შრომითი მიზეზობრივობა“, რომლის გაგების გზაზე თითქოს იდგა დიალექტური მატერიალიზმი, მაგრამ „еще не пришел к этой высшей схеме причинности“-ით. და სხვ.

თავისი აზრის „სიმაღლის“ საბუთად ა. ბოგდანოვს მიაჩნია ემპირისტულ-პოზიტივისტური დებულება აზროვნების ფეტიშისტურ ფორმებიდან განთავისუფლების შესახებ. არსებითად მართალია ა. ბოგდანოვი, რამდენადაც მიზეზობრივობის (ისე, როგორც ყოველი სხვა იდეოლოგიური ფორმის) სწორი წარმოდგენის შესამუშავებლად ფეტიშიზმის დაძლევა აუცილებელი პირობაა, მაგრამ გაუგებარია, რატომ ფიქრობს ის, რომ ეს „სიმაღლე“ ემპირომონისტულ მიზეზობრივობის გაგების მიღწევაა. სწორედ ესაა შეცდომა, რადგან კ. მარქსმა აზერმიწვევითი რადიკალიზმით აღმოაჩინა და განავითარა თეორია ფეტიშიზმის იდეოლოგიური როლის შესახებ არა მარტო შრომის ან სხვა რომელიმე კერძობითი მომენტის, არამედ საქონლის ბრუნვაზე აგებული მთელი იდეოლოგიის მიმართ. მარქსიზმი არის „ანატომია“ არა მარტო ეკონომიკის, არამედ იდეოლოგიასაც და აქ ე. წ. „საქონლის ფეტიშიზმს“ თავისი გარკვეული ადგილი აქვს, რომელშიაც თავსდება ყოველგვარი ხერხი და ნაირობა საზოგადოებრივი აზროვნების და მათ შორის მიზეზობრივობის.

ამ რიგად, განსხვავებით სხვა თეზისებისგან, სადაც ა. ბოგდანოვი თავის მარქსისტობას ამტკიცებს, მიზეზობრივობის პრინციპის შესახებ ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მან მიაღწია „მაღლეს სქემას“, რომელიც მიულწეველი დარჩა მარქსიზმსაო. ჩვენ დავინახეთ, რომ განსხვავება აქ მართლაც არის, მაგ-

რამ იგი სხვა რამეში გამოიხატება: თუ პირველ შემთხვევაში ა. ბოგდანოვი თავის მარქსისტობას ვერ ამტკიცებს, ამ შემთხვევაში ის ისეთ რასმე მიიწერს, რაც მარქსიზმის მიერ იმ თავითვე გარჩეული და გათვალისწინებული იყო.

მოუხედავად ამისა, დადებით ნაწილში ა. ბოგდანოვის და დიალექტიურ მატერიალიზმის შეხედულება მიზეზობრიობაზე ერთი და იგივე რაღაცაა. აქ იგივე კარდინალი განსხვავებაა, რაც ზემოდ მოყვანილ მუხლებში მარქსიზმისათვის, როგორც მატერიალისტურ მოძღვრებისათვის, მიზეზობრივი მიმართება რეალი მიმართებაა. შემცდარია ტელეჟნიკოვი, როდესაც ფიქრობს (B. K. At. № 24, გვ. 54 შემდ.), რომ მარქსიზმისათვის მოცემულია სხვა და სხვა ვარიაციების შესაძლებლობა მიზეზობრიობის გაგებაში. მიზეზობრიობის სხვა და სხვა კონსტრუქციები საჭირო და აუცილებელია იქ, სადაც უარყოფილია ან მხედველობიდან გაშვებული მოვლენათა შორის რეალი კავშირი. სადღაც არა გაქვს რეალი, ნამდვილი კავშირი, ცხადია, უნდა ააშენო, გამოიგონო იგი. მხოლოდ სადაც, როგორც დიალექტიურ მატერიალიზმში, რეალი კავშირი მოცემულია, როგორც ამოსავალი, იქ შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ფორმულა. (არა მრვეალი-შესაძლებელი, არამედ ერთი—ნამდვილი). ლენინმა კარგად გაუგო ემპირიომონიზს ეს სისუსტე, როდესაც სთქვა, რომ მიზეზობრიობის საკითხი „იმაში კი არაა, თუ რამდენად სწორად ვსწერთ მიზეზობრივ კავშირს, ან შევსძლებთ თუ არა ამ კავშირის მათემატიკურ ფორმულით გამოსახვას, არამედ იმაში, არის თუ არა კავშირის შესწავლის წყარო ბუნების ობიექტიური კანონზომიერება, თუ ჩვენი ტვინის თვისება და უნარი. ლენინის ამ ფორმულით მოცემულია მთელი განსხვავება მარქსიზმსა და ემპირიომონიზმს შორის ამ საკითხში და შეცდომის წყარო თვით ემპირიომონისტულ გაგების.

უკანასკნელი საკითხი რეალობის პრობლემის შესახებ ერთსა და იმავე დროს მეტად ადვილიცაა და მეტად რთულიც. ადვილია იგი, რამდენადაც ყველა ნათქვამიდან თვალნათლივ გამომდინარეობს, რომ ა. ბოგდანოვი ვერ გადასწყვეტს რეალობის პრობლემას იმ მასალით, რომელსაც იძლევა ემპირიზმის და სუბიექტიურ იდეალიზმის ნარევი. რადგან ცალკე აღებულს არც ემპირიზმს და არც სუბიექტიურ იდეალიზმს არ გააჩნია პასუხი აღნიშნულ პრობლემაზე, ცხადია, რომ ასეთი ვერ მიიღება ვერც მათი შერევისაგან: ეკლექტიზმი გაუარესების და არა გაუმჯობესების გზაზე დადგომაა, და ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ემპირიომონიზმი ტიპიური ფორმაა ემპირიზმისა და სუბიექტიურ იდეალიზმის ეკლექტიკურ შერევის.

მარქსიზმის „თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლა“ (ბელტოვ-პლექხანოვი) ემპირიომონიზმის მიმართ მოხდა სწორედ რეალობის პრობლემის ირგვლივ. სინამდვილე ანუ რეალობა შეგრძნობათა ნიადაგზე მიღებული სურათია—ამბობდა და ამბობს ყველა ჯურის ემპირისტი. ამის იქეთ ემპირისტი ვერ წავა და არც არასოდეს წასულა. ლოკკით დაწყებული ახალი ემპირიზმი აჟმაზე გავლებით და მახ—ავენრიუსამდე ამოსული ამ პრობლემის ირგვლივ იმაზე მეტს ვერაფერს ამბობს, რასაც ლენინი თავის წიგნში „Материализм и эмпириокри-

ტიციზმ“ აგნოსტიკობად ახასიათებს. მართლაც საჭირო იყო სპენსერის გაბედული დასკვნა ემპირიზმის მონაცემიდან, რომ გადაჭრით თქმულიყო სიტყვა „აგნოსტიციზმი“ ე. ი. რომ შეგრძნებათა მონაცემის იქეთ, რა არის არ ვიცით. მართალია, პირველად ეს აზრი დ. იუმემ გამოსთქვა, რისთვისაც ისტორიაში ზოგიერთებისაგან სკეპტიკოსის სახელი დაიმსახურა, მაგრამ უმჯობესია მას ლენინის დაგვარად აგნოსტიკოსი ეწოდოს და მაშინ ემპირიზმის მთელი ხაზი სინამდვილის და რეალობის ვერ ცოდნაში და ვერ მიწვედომაში გასწორებული იქნება.

„თანააღამიანების“ (როგორც რ. ავენარიუსი ამბობდა) დამოწმები საქმეს ვერ შეველის და არსებითადაც გაცვეთილი საბუთია. ძველი consensus gentium-ს აზრი რომ არ ქონდა სავსებით ნათელია მას შემდეგ, რაც გალილეიმ და კოპერნიკმა ადამიანთა „ჯიშის“ ჩვეულებრივი შეხედულებანი დაამსხვრიეს და მათ ნანგრევზე წმინდა რეალისტური (და არ ხელოვნურ-კონსტრუქტიული) სოფლგაგება ააგეს. სოციალური თვალსაზრისის გნოსეოლოგიაში შეტანა ვერ აღადგენს წამხდარ საქმეს, თუ თვით ეს შეტანა რეალურ ვითარების ნიადაგზე არ ხდება, ხოლო თვით სინამდვილეს თუ კოლექტივის წევრთა შეთანხმებისაგანაა გამოსაყვანი, რეალობის საქმე წაგებულა.

ლენინის ზემოდ მოყვანილი ადგილი „ბუნების ობიექტურ კანონზომიერების შესახებ“ სრულიადაც არ ეწინააღმდეგება მარქსის „კაპიტალის“ იმ ადგილს (ტომი I, თავი I), სადაც ლაპარაკია აზროვნების ობიექტურ ფორმების შესახებ, როგორც ეს ა. ბოგდანოვის მიხედვით გამოდნს. ცხობილია, რომ მარქსი ეხება რა საქონლის გაცვლაზე აგებულ საზოგადოების იდეოლოგიას, როგორც ითქვა, აღმოაჩენს „საქონლის ფეტიშიზმს“, რომლის ისტორიულ მნიშვნელობას და შედეგს იმაში ხედავს, რომ ამ ფეტიშისტურ ნიადაგზე აგებულ წარმოდგენებს თანამედროებისათვის „ობიექტიური“ მნიშვნელობა ჰქონდაო. აქედან განა იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ობიექტივობა და მასთან რეალობის ობიექტიური გაგება მარქსს იმა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმაციის წარმოდგენის და აზროვნების ფორმად მიაჩნდა. განა ნათელი არაა, რომ ამ გზას მარქსიზმი თუნდაც იმიტომ ვერ დაადგებოდა, რომ მეთოდოლოგიური (და იმავე დროს რეალი), მონიზმი მას ავალებდა ერთი მთლიანი თვალსაზრისის ქონებას, რომლის საშუალებით შესაძლებელი გახდებოდა ეპოქების ერთი-მეორესაგან განსხვავება და მათი შედარებითი ღირებულების გაგება. განა ამით არ აღწევს მარქსიზმი იმ-ს, რომ ისტორიული ეპოქები რაგინდარად კი არ ყრია ისტორიაში, არამედ განლაგებულია ერთ მთლიან ხაზზე, რომლის დასაწყისი პირველ-ყოფილი კომუნიზმია და დასასრული დამდეგი კომუნიზმი? მაშასადამე კ. მარქსის ეს ადგილი უფრო სწორედ აქვს გაგებული ლენინს, ვიდრე ბოგდანოვს. ისტორიულ ეპოქებსაც საფუძვლად უდევს ერთი მთლიანი მეთოდი, ისე, როგორც ბუნების გაგებას—ამაშია დიალექტიური და ისტორიულ მატერიალიზმის მთლიანობა, რომელიც ნათელი და აუცილებელია მარქსიზმისათვის და ბუნდოვანი და გაუგებარი ემპირიომონიზმისათვის.

ამით ისმება დიდი საკითხი რეალობის ორმხრივობის შესახებ დიალექტიურმატერიალიზმის თვალსაზრისით, მაგრამ რადგან ემპირიომონიზმსა და ტექტოლოგიას ამის შესახებ ცოტა რამ აქვთ გარკვეული, ამიტომ შეიძლება მარქსიზმისა და ემპირიომონიზმის ურთიერთობის მოკლე მიმოხილვა ჯერ-ჯერობით დამთავრებულად ჩავთვალოთ ზემოდ აღნიშნული საკითხებითაც.



ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება

1. რკინის გზის მშენებლობა ამიერკავკასიაში

მეფის მთავრობა საბოლოოდ დამყარდა ამიერკავკასიაში მე-19 საუკუნის დასაწყისში. მან მოახერხა რუსეთთან შეერთებინა ამიერკავკასიის თითქმის ყველა ოლქები. მაგრამ ყოველივე ამის გარეთად მეფის მთავრობას ძალიან კარგად ესმოდა, რომ მისი მდგომარეობა როგორც სამხედრო, ისე ეკონომიური არ იყო მკვიდრი.

საქმე ის არის, რომ რუსეთსა და ამიერკავკასიის შორის არ იყო მაშინ რამოდენიმედ მაინც დამაკმაყოფილებელი გზები კავშირისათვის, რაიც აუცილებელი იყო, როგორც მეზობელ სახელმწიფოებთან ომის დროს (სპარსეთთან, ოსმალეთთან), ისე მუდმივ ეკონომიურ ურთიერთობისათვის. უშველებელი მანძილებით იყვნენ ერთმანეთს დაშორებულები რუსეთი და ამიერკავკასია. ამიტომ, ცარიზმის მდგომარეობა ურკინისგზოდ ამიერკავკასიაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო მკვიდრი.

მართლაც და ამიერკავკასია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის განმავლობაში, მიუხედავად რუსეთთან შეერთებისა, მაინც დამოუკიდებელ მხარეს წარმოადგენდა და მოწყვეტილი იყო ცენტრს. არ იყო მათ შორის მკვიდრო ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობა, და თვით შეერთება ამიერკავკასიისა რუსეთთან მეფის ჩინოვნიკებს რაღაც არაბუნებრივ და მეჭანაკურ მოვლენად ეჩვენებოდათ.

ამიერკავკასიის მეფის ნაცვალთა თავადი ბარიატინსკი ძალიან კარგად შეიცნობდა საქმის სირთულეს და რუსეთიდან ამიერკავკასიის მოწყვეტილობას, როდესაც 1857 წელს მეფეს მოხსენების ბარათში სწერდა:

„ამჟამად—ასე იწყება მოხსენება—ამიერკავკასიის ოლქები მხოლოდ გეოგრაფიის რუკაზე არის შეერთებული იმპერიასთან; ნამუვილად კი ესენი წარმოადგენენ მხარეს, რომელიც ყოველ მხრივ მოწყვეტილია დანარჩენ რუსეთს. მეტისმეტი საგზაო სიძნელენი და დიდი მანძილები იმ პუნქტებთან, სადაც დაგროვილია სახელმწიფოს მთავარი ძალები, სრულიად ანცალკევებს ამიერკავკასიას იმპერიისაგან, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიურის მხრივ.“ *)

*) არღუთინსკი-დოღორუკოვი. ამიერკავკასიის რკინის გზის გაყვანის ისტორია და მისი ექსპლოატაცია 25 წლის განმავლობაში (1871—1896 წ. წ.), ტფილისი, 1896 წ., 9 გვ.

იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ დაპყრობილი პოზიციები ამიერკავკასიაში და ამასთანავე შეექმნათ ბაზა აღმოსავლეთისაკენ შემდეგი ექსპანსიისათვის, საქირო იყო გაეყვანათ იქ რკინის გზები და ამით ეკონომიურად და პოლიტიკურად დაეკავშირებინათ ამიერკავკასია რუსეთისათვის. რკინის გზების გაყვანით, რომელნიც გადაჭრიდნენ თვალუწვდენ სივრცეებს ამიერკავკასიასა და რუსეთ შორის, ადვილი შეიქნებოდა ჯარების სასწრაფოდ გადაყვანა, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრების წინააღმდეგ. ამიერკავკასიაში მყოფ რუსის ჯარებს ყოველი გართულების ჟამს შეეძლოთ მიეღოთ დახმარება ცენტრალური გუბერნიებიდან დაუყოვნებლივ.

მეორეს მხრით რკინის გზების გაყვანა გამოიწვევდა მხარის ეკონომიურ ცხოვრებაში სრულს გადატრიალებას. იგი მოსპობდა დამაშორებელ მიზნებს რუსეთსა და ამიერკავკასიის შორის და მჭიდროდ დაუკავშირებდა ერთი-მეორეს. რკინის გზების გაყვანა ამიერკავკასიაში ნიშნავდა კიდევ რუსული კაპიტალის ახალ სარბიელს და ამასთანავე საქონლის მეურნეობის განვითარებას თვით ამიერკავკასიაში.

რკინის გზების ეკონომიური დიდი მნიშვნელობაც კარგად ესმოდათ მეფის მთავრობის აგენტებს. ასე მაგალითად, 1857 წელს ფოთიდან ტფილისამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ წერილში სასახლის მრჩეველი კ. ზგურსკი და სამხედრო ინჟინერი პორუჩიკი ჩერევინი მტკიცე რწმენას გამოსთქვამდნენ, რომ „რკინის გზის გაყვანა ძირიან ფესვიანად შესცვლის ამ მხარეს ყოველ მხრივ და განსაკუთრებით კომერციულ სფეროში; იგი გააკეთილშობილებს წარმოებას, დაანახვებს ადგილობრივ მცხოვრებთ განსაკუთრებულს, მათთვის ჯერ უცნობ ხერხს ფულის ტრიალისას“-ო. *)

ამიერკავკასიაში რკინის გზის გაყვანის საკითხი მოწიწებით მუშავდებოდა ადგილობრივ წრეებში. თვით კავკასიის მეფის ნაცვალიც მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ საქმეში. მან თავისი აზრი ამის შესახებ გამოსთქვა მეფესთან გაგზავნილს ერთ წერილში. მეფის მთავრობა თანაგრძნობით მოექცა ამ ადგილობრივ წრეების საქმიანობას. რუსულ თვითმპყრობელობის განმტკიცების ინტერესები ამიერკავკასიაში დატინებით მოითხოვდნენ ცხოვრების მიერ დასმულ კითხვის დადებითად გადაწყვეტას. მხოლოდ რკინის გზის გაყვანის შემდეგ შეიქნებოდა ამიერ-კავკასია რუსეთის განუყოფელ ნაწილად, როგორც სამხედრო-პოლიტიკურის, ისე მეურნეობის მხრით. რკინის გზა საგრძნობლად გაამაგრებდა თვითმპყრობელობის პოზიციებს ამიერკავკასიაში და განუყოფელად შეაკავშირებდა მას რუსეთთან. რკინის გზის გაყვანის შემდეგ აღარ იქნებოდნენ ამიერკავკასიის ოლქები „შეერთებულნი იმპერიასთან მხოლოდ გეოგრაფიულ რუქაზე“.

ზემოდნაჩვენები სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიური მოსახრებებით ხელმძღვანელობდა იმპერატორი ალექსანდრე II, როდესაც მან 1861 წელს პრინციპიალურად დაამტკიცა ამიერკავკასიაში რკინის გზების გაყვანის გეგმა.

ამიერკავკასიის გზა პირველში არ იყო სახაზინო (სახელმწიფო) გზა.

*) არლუთინსკი-დუღლორუკოვი — ნაჩვენები წიგნის 6 გვერდი.

ხაზინას იგი გადაეცა მხოლოდ 1899 წლის აგვისტოს 1-ს. აქამდე რკინის გზას აშენებდნენ კერძო პირები თავის ხარჯზე.

ამიერკავკასიის რკინის გზის მშენებლობის პროცესები შემდეგნაირი იყო. 1867 წელს კერძო პირებმა ბარონეტ პარკინსმა და მოქ. პაუპერმა განაცხადეს სურვილი რკინის გზის გაყვანისა. ამ მიზნით შესდგა „ტფილის-ფოთის რკინის გზის“ საკონცესიო საზოგადოება (ამას ქვიან „ამიერკავკასიის რკინის გზის საზოგადოება“), რომელიც იმავე წელს (1867 წ.) შეუდგა საქმეს.

ამიერკავკასიის რკინის გზის გაყვანა დაიწყო შავი ზღვის ნაპირებიდან, ქალაქ ფოთიდან. შედგენილი გეგმის მიხედვით რკინის გზა პირველად უნდა გაეყვანათ ფოთიდან ტფილისამდე და შემდეგ ტფილისიდან ბაქომდე.

ტფილის-ფოთის მთელი ხაზი დასრულებულ იქმნა და გაიხსნა 1872 წლის მეორე ნახევარში, ამასთანავე ამ ნაკვეთის ნაწილზე (ფოთი-ყვირილა) გაიხსნა გზა ჯერ კიდევ 1871 წელს, აგვისტოს 14-ს. ამის შემდეგ იქმნა დაწყებული მეორე, მთავარი ტფილის-ბაქოს ხაზის გაყვანა, რაიც დამთავრებულ იქმნა 1883 წელს. 70—80 წლებში გაყვანილ იქმნენ აგრეთვე რკინის გზები: 1877 რიონ-ქუთაისის ხაზი, 1880 წ.—ბაქო-სურახანი-საბუნჩი, 1883 წ.—სამტრედია-ბათუმი, 1887 წ.—ქუთაის-ტყვიბულის ხაზი. 1889 წელს ყველა ეს გაყვანილი რკინის გზები, და ახლად ნაშენი ხაზები კერძო პირებიდან გადავიდა ხაზინის ხელში.

ამის შემდეგ გაყვანილ იქმნენ სანხედრო თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი ხაზები, როგორც მაგალითად ტფილის-ყარსის ხაზი, რომელიც დამთავრებულ იქმნა 1899 წლის დეკემბრის 1-ს, და ალექსანდროპოლ-ერივანის ხაზი, რომელიც დამთავრდა 1902 წლის დეკემბრის 6-ს. 1890 წელს გახსნილ იქმნა ცნობილი სურამის გვირაბი, რკინის გზის შემდეგი შტოები არის აღსანიშნავი: 1894 წ. გახსნილ იქმნა შტო მიხაილოვ-ბორჯომი, 1895 წ.—შორაპან-ჭიათურა (ვიწრო შტოიანი), 1908 წ.—ულუხანლუ-ჯულფა და სხვები.

ასე, ამგვარად მთელი რკინის გზების მშენებლობა ამიერკავკასიაში შეიძლება გავყოთ ორ პერიოდად: პირველი პერიოდი იწყება 1867 წლიდან (საქმის დაწყება) და თავდება 1899 წ. (რკინის გზის ხაზინის ხელში გადასვლა) პირველ პერიოდში აშენებულ იქმნა ამიერკავკასიის მთავარი მაგისტრალი (ფოთი-ბაქო) 70 წლების დასაწყისში ნაკვეთი ფოთი-ტფილისი; და 80 წლების დასაწყისში ნაკვეთი ტფილისი-ბაქო. როგორც ვხედავთ 70 წლებში საქართველო იქმნა დაქსელილი რკინის გზებით (დასავლეთი ამიერკავკასია), ხოლო 80 წლებში—ახლანდელი აზერბეიჯანი (აღმოსავლეთი ნაწილი ამიერკავკასიისა).

მეორე პერიოდი რკინის გზის მშენებლობისა იწყება 1889 წლიდან (გზის გადასვლა ხაზინის ხელში) და თავდება 1917 წლით. ამ მეორე პერიოდში გაყვანილ იქმნენ (90 წლების ბოლოში და 900 წლების დასაწყისში) ნაკვეთები ტფილის-ყარსი და ალექსანდროპოლ-ერივანი. *) ეს სამხრეთის მაგისტრალი

*) აქვე აღნიშნულ უნდა იქმნას, რომ ბაქოდან ბათუმში ნავთის გადასატარი მილის გაყვანა დაწყებულ იქმნა 1900 წელს და დამთავრდა 1906 წელს. მილის სიგრძე უდრის 839,36 ვერსტს, რომელსაც შეეძლიან 10 მილიონი ფუთი ნავთის გადატანვა წელიწადში.

აკავშირებდა სომხეთს (სამხრეთ ამიერკავკასიას) ამიერკავკასიის დანარჩენ ნაწილებთან და რუსეთთან. იმპერიალისტური ომის დროს გაყვანილ იქმნა აგრეთვე კახეთის რკინის გზა, რომელიც აკავშირებს საქართველოს ლენინსა და ყურძნის სამშობლოს კახეთს ტფილისთან. მაშინვე იქმნა დაწყებული შავი ზღვის რკინის გზის გაყვანა.

ამიერკავკასიის რკინის გზამ მჭიდროდ დაუკავშირა ამიერკავკასიის ყველა ნაწილები რუსეთის ცენტრალურ გუბერნიებს. მან დიდწილად გასაოცარი გავლენა იქონია ამიერკავკასიის ხალხების ეკონომიურ ცხოვრებაზე. მან ძირიან-ფესვიანად შესცვალა ძველი ეკონომიური ცხოვრება და საძირკველი ჩაუყარა ახალ ეკონომიურ ცხოვრებას.

რა ცვლილებები მოხდა ამიერკავკასიის ეკონომიურ ცხოვრებაში რკინისგზის გაყვანის შემდეგ?

2. რკინისგზის გავლენა ამიერ-კავკასიის ეკონომიკაზე

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ რკინისგზის გაყვანამდე ამიერ-კავკასია ეკონომიურად მოწყვეტილი იყო რუსეთიდან, რომ არ იყო მასთან შეკავშირებული ორგანიულად. ეხლა უნდა ხაზი გაუსვათ იმასაც, რომ თვით ამიერკავკასია არ წარმოადგენდა ერთ მთლიან ორგანიზმს. რომ იგი შესდგებოდა ერთი-მეორისაგან დაშორებული პროვინციებისაგან. მხოლოდ გეოგრაფიულ რუქაზე არსებობდა ამიერკავკასიის მთლიანობა. ნამდვილად იგი დაყოფილი იყო უამრავ პატარა პირდაცულ და ჩაკეტილ ოლქებისაგან და რაიონებისაგან.

ამ მოწყვეტილობის მიზეზი და ეკონომიური კარჩაკეტილობა ამიერკავკასიის ცალკე პროვინციებისა იყო ურკინისგზობა. აღმოსავლეთი საქართველო ცოტად იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოსთან, არ იყო აგრედვე მუდმივი ურთიერთობა სომხეთთან და აზერბეიჯანთან. უფრო მეტი, ცალკე ნაწილები აქ ნაჩვენებ რაიონებისა (რუსეთთან შეერთებამდე) წარმოადგენდნენ სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს (კახეთი, იმერეთი, ქართლი და სხვა), რომელთაც განუწყვეტელი დავა ჰქონდათ ერთმანეთში.

მდგომარეობა სრულიად შეიცვალა ამიერკავკასიაში რკინისგზის გაყვანის შემდეგ. ეს ნამდვილი გადატრიალება იყო მხარის ეკონომიურ ცხოვრებაში. ძველი, წარღვნის დროინდელი ნატურალური მეურნეობა სრულიად დანგრეულ და განადგურებულ იქმნა. ამიერკავკასიის სხვადასხვა პროვინციები გადაებნენ ერთმანეთს მჭიდრო ეკონომიური რგოლებით. თავისებურობა და კარჩაკეტილობა ცალკე პროვინციებისა ნელ-ნელა დაეცა, მოკვდა, შეუმჩნევი გახდა და წარსული დროება მოგონებადღა იქცა. რკინისგზის გაყვანით (გასული საუკუნის 70 და 80-იან წლებში) ჩაყრილ იქმნა მკვიდრი საძირკველი ახალ მეურნეობის ფორმებს.

საკმარისია რამდენიმე ციფრის მოყვანა ამ მდგომარეობის საილიუსტრაციოდ. სამგზავრო მოძრაობის ციფრები შემდეგს გვიჩვენებენ:

ამიერ-კავკასიის რკინისგზაზე გადაყვანილი იყო მგზავრი: *)

*) აქ მოყვანილი ციფრები ამოღებულია „ამიერ-კავკასიის რკინისგზის მოღვაწეობის მოკლე ნიმუხილვა“-დან, აგრედვე არლუთინსკი—დოლგორუკოვის უკვე ნაჩვენებ წიგნიდან.

1874 წ.	367.798	კაცი.
1884 „	758.192	„
1895 „	1.800.909	„
1904 „	6.116.526	„
1912 „	10.044.677	„



38 წლის განმავლობაში ამიერკავკასიის რკინისგზის გაყვანიდან მგზავრების გადაყვანის რიცხვი 25-ჯერ გაიზარდა. რას ლაპარაკობენ ეს ციფრები? ეს ციფრები იმას ამბობდნენ, რომ დიდი ხანია გაიარა ამიერკავკასიის პროვინციების ერთი-მეორისაგან მოწყვეტილობის ხანამ. გასაოცარის სიჩქარით გაიბა და გაძლიერდა ამ პროვინციებს შორის დამოკიდებულების ძაფები. ამიერ-კავკასიის ყველა ხალხები ჩაებნენ ახალი ეკონომიური ცხოვრების მორევში. ნატურალურ მეურნეობის ფორმები შეიცვალნენ ახალი სასაქონლო-კაპიტალისტური ფორმებით.

ამიერ-კავკასიის მცხოვრებთ დაიწყეს პროდუქტების მასიური დამზადება გასაყიდათ, მან კავშირი დაიჭირა, როგორც ადგილობრივ, ისე, გარეშე ბაზრებთან. ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები იქცნენ მყიდველებად და გამყიდველებად. რომ ეს, მეურნეობის საქონლიზაციის პროცესი მეტის-მეტი ჩქარი ტემპით მიდიოდა წინ, ამას მოწმობენ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე გადაზიდულ-გადმოზიდულ საქონლის ციფრები.

დიდი სიჩქარით არის გადაზიდული საქონელი:

1874 წ.	6.534	ფუთი.
1884 „	9.510	„
1894 „	430.345	„
1904 „	1.903.834	„
1911 „	2.650.983	„

ნელი სიჩქარით არის გადაზიდული საქონელი:

1874 წ.	9.836.759	ფუთი.
1884 „	61.092.757	„
1894 „	149.089.318	„
1904 „	213.216.444	„
1912 „	295.641.626	„

როგორც ვხედავთ დიდი სიჩქარით საქონლის გადაზიდვა 37 წლის განმავლობაში გაიზარდა 48-ჯერ, ხოლო ნელი სიჩქარით გადაზიდვა თითქმის 27-ჯერ. ეს გასაოცარი ქარიშხალი საქონლის გადაზიდვის ზრდისა მოწმობს იმას, რომ ძველი ნატურალურ მეურნეობის ფორმების გაძევება ახალი საქონლის მეურნეობის ფორმებისგან ჩქარის ტემპით ჰხდებოდა.

ქვემოთ ჩამოთვლილი ზრდა დიდი სადგურებისა ამტკიცებენ ზემოთ ნათქვამს. „არსებული ფაქტების მიხედვით ამიერკავკასიის რკინის გზაზე იყო სად-

გურები, რომელნიც ჰგზავნიდნენ და იღებდნენ 100 ათას ფუთზე მეტ საქონელს:

1874 წ.	1882 წ.	1894 წ.	1904 წ.
15	27	74	100-ზე მეტი.
ხოლო 500 ათას ფუთზე მეტი			
1	2	18	51



სავაჭრო ცენტრების თანდათანობითი ზრდა ნიშანი იყო და ამავე დროს მიზეზი ამიერ-კავკასიის სადედულ-მამულო მეურნეობაში გადატრიალებისა.*) საერთოდ სავაჭრო სადგურების რიცხვის ზრდა და განსაკუთრებით დიდი სადგურების რიცხვის გადიდება შედეგი იყო საქონლის მეურნეობის ჩქარის ტემპით განვითარებისა. ამგვარად, აქ მოყვანილი ციფრებიც აშკარად ჰხდის განვითარების ტემპის სისწრაფეს საქონლის ურთიერთობაში.

საქონლის მეურნეობის განვითარებამ გამოიწვია ქალაქების ზრდა. რკინისგზის გაყვანამდე საქართველომ (და აგრედვე ამიერ-კავკასიამ) არ იცოდა რა იყო ქალაქური ცხოვრება. რკინის გზის გაყვანის შემდეგ კი აღმოცენდნენ მრავალი ქალაქები, რომელთაც დაიწყეს ჩქარი ზრდა. დაარსდა სავაჭრო და საწარმოო ცენტრები.

ქალაქის მოსახლეობის ზრდა **)

ქალაქები	1865 წ.	1886 წ.	1897 წ.	1917 წ.	1926 წ.
ტფილისი . . .	67.770	78.445	159.590	231.141	279.565
ბაქო	14.715	86.611	112.253	—	193.604 (1921 წ.)
განჯა	15.081	20.294	33.090	—	37.362 (1921 „)
ქუთაისი	11.807	22.643	32.492	42.448	43.379
ერევანი	14.070	14.738	29.033	—	46.642 (1922 წ.)
ლენინაკანი . .	16.814	24.230	32.018	—	44.656 (1922 წ.)
ბათომი	—	14.803	28.512	—	45.100
ფოთი	1.039	4.709	7.666	10.604	12.907
ყარსი	—	3.939	20.891	—	—

რკინისგზებმა მეტის-მეტი გავლენა მოახდინეს ამიერკავკასიის წარმოების განვითარებისათვის.

რკინისგზის გაყვანამდე ამიერ-კავკასიამ თითქმის არ იცოდა რა იყო დიდი წარმოება. მაგრამ რკინისგზის გაყვანის შემდეგ ამიერ-კავკასიაში ბევრგან

*) კავკასიის სასოფლო მეურნეობა, 1901 წ., გვ. 8. იხ. აგრედვე არლუთინსკი-დოლგორუკოვი, გვ. 456—457.

***) ცნობები ქალაქის მოსახლეობის ზრდის შესახებ ამოკრებილია სხვა და სხვა წყაროებიდან: 1) საქართველოს ცესუს სტატისტიკური კრებულებიდან 1909—1921 წ., 2) ამხ. ფ. მახარაძის სტატიიდან 1900 წ. შურ. „გვალი“ № 9, 3) 1926 წლის აღწერის წინასწარი ჯამიდან.

გაჩნდა საწარმოო კერა და მისი შესაფერისი პროლეტარიატის რიცხვიც. ამიერკავკასიის მჭიდროდ დასახლებული სოფელი მუშების საკმაო რიცხვს უგზავნიდა აღმოჩენილ შრომის ბაზრებს ბაქოში, ტფილისში, ბათუმში, ქიათურაში და სხვაგან. ნავთის წარმოება დიდის წარმატებით ვითარდებოდა. შავი ქვის მრეწველობა პირველად მხოლოდ რკინისგზის გაყვანის შემდეგ, ჩაყვანა ნავთისა და შავი ქვის ექსპორტმა საეალდებულო გახადეს შავი ზღვის სანაპირის მთელი სავაჭრო ცენტრების — ბათუმისა და ფოთის — შექმნა და ჩქარი განვითარება.

ნავთის წარმოება ბაქოში ამიერკავკასიის რკინის გზის გაყვანამდეც სწარმოებდა. ასე, მაგალითად, ნავთის ამოღება იყო:

1832 წელს	150.000 ფუთი.
1852 "	250.000 "
1872 "	1.395.114 "
1882 "	50.000.000 "

როგორც ვხედავთ ბაქოს ნავთის წარმოების განვითარების ტემპი საკმაოდ ჩქარი იყო. ამიერკავკასიის რკინისგზის გაყვანამდე ბაქოს ნავთი მხოლოდ რუსეთის ბაზრისთვის იღებოდა (გაჰქონდათ კასპიის ზღვით). ამიერკავკასიის რკინისგზამ კი ბაქოს ნავთს გზა გაუხსნა როგორც ევროპისაკენ, ისე თვით ამიერკავკასიის ბაზრისთვის. ამით ნავთის წარმოებამ დიდი შესაძლებლობა ჰპოვა განვითარებისათვის.

1884 წლამდე ბაქოს ნავთი თითქმის მთლიანად მიდიოდა რუსეთში კასპიის ზღვით. ეს გაზიდვა 1877 წ. უდრიდა 6.110 ფუთს, ხოლო 1882 წ. — 30.700 ათას ფუთს. 1884 წლის შემდეგ ნავთის გაზიდვა იწყება ამიერკავკასიის რკინისგზით ევროპის ქვეყნებისკენაც.

ნავთის გადაზიდვა ამიერკავკასიის რკინისგზით

1884 წ.	46,6 მილიონი ფუთი
1894 "	65,8 " "
1904 "	108,9 " "
1912 "	66,8 " "

ნავთის გადაზიდვა ამიერკავკასიის რკინისგზით იზრდებოდა 1904 წლამდე „ხოლო შემდეგ უეცრად ეცემა, რაიც 1905—1906 წლის რევოლიუციით კი არ აიხსნება, როგორც ფიქრობდა კავკასიის მეფისნაცვალთა გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი, არამედ ეს აიხსნება უცხოელ ნავთის მეფეების კონკურენციის ზრდით და რუსული ნავთის შედარებითი სიძვირით (ზედნადები ხარჯების დიდი პროცენტებით, ტეხნიკური ჩამორჩენილობით და სხვა).

ნავთის გადაზიდვა ამიერკავკასიის რკინისგზაზე საერთო გადაზიდვის პროცენტებში იზრდებოდა 1892 წლამდე, (12 პროც-დან—31,8 პროც-მდე), ხოლო შემდეგ ნელ-ნელა მცირდებოდა. ასე მაგალითად 1904 წელს იგი საერთო გადაზიდვის პროცენტებთან შეადგენდა 22,1%, ხოლო 1911 წელს 16,2%. ამიერკავკასიის რკინისგზაზე ნავთის გადაზიდვის პროცენტის ასე დაცემა აიხს-

ნება რუსული ბაზრის მეტად ჩქარი განვითარებით გასული საუკუნის 90 წლებში. მიუხედავად ამისა, რომ ამიერკავკასიამ საერთოდ ნავთის გადაზიდვაში დაკარგა რამოდენიმეუ მნიშვნელობა, იგი მაინც თვალსაჩინო როლს თამაშობდა (16,2% 1911 წ.).

შავიქვის მრეწველობას საქართველოში შეეძლო განვითარება მხოლოდ როგორც საექსპორტო წარმოებას. იმისათვის რომ შავიქვა საექსპორტო განხდარიყო, საჭირო იყო მისი ჩაზიდვა შავიზღვის ნაპირებამდე (ფოთამდე და ბათომამდე) საიდანაც იგი მიდიოდა განსაკუთრებით ინგლისში, ჰოლანდიაში და ბელგიაში. ურკინისგზო კი სისულელე იქნებოდა ჭიათურის შავიქვის მრეწველობის დაწყება და განვითარება.

ამიერ კავკასიის რკინის გზის გაყვანის შემდეგ (ნაკვეთი ფოთი-ყვირილა დამთავრებული იყო ჯერ კიდევ 1871 წ., ხოლო ნაკვეთი ფოთი-ტფილისი 1872 წ.) შავიქვის ამოღება და გაზიდვა გაიზარდა განსაკუთრებულის სიჩქარით.

შავიქვის გაზიდვა ფოთიდან და ბათომიდან

1880 წ.	254.000	ფუთი
1890 "	8.400.480	"
1900 "	28.698.255	"
1910 "	39.635.677	"

რკინისგზის გაყვანის შემდეგ ტყვიბულშიაც იქმნა გაჩაღებული ნახშირის მრეწველობა. ქუთაის-ტყვიბულის ნაკვეთი დასრულებული იქმნა 1887 წელს, ხოლო ტყვიბულის ნახშირის ამოღება გაიზარდა 1888 წლის 389-265 ფუთიდან 1892 წლის 949.293 ფუთამდე. ასევე შეგვიძლიან აღვნიშნოთ ამიერკავკასიის რკინისგზის გავლენა მთელ რიგ სხვა დარგების ნაწარმოებებზე.

ამიერკავკასიის რკინისგზის გაყვანამ დიდი გავლენა იქონია აგრეთვე სოფლის მეურნეობაზე. სოფლის მეურნეობაში ჩვენა ვხედავთ მრავალი დარგების ჩასახვას და განვითარებას. რკინის გზის გაყვანის გავლენა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაზე იმდენად საინტერესოა, რომ საჭიროა მას მიუძღვნა განსაკუთრებული თავი,

შევაჯამოთ. ამიერკავკასიის რკინის გზის გაყვანით ახალი ერა დაიწყო მხარის მეურნეობის განვითარებაში. რკინის გზის ხაზებმა ამიერკავკასია გაყინვის წერტილს მოაცილეს და მიმართეს იგი მეურნეობის და სოციალური პროგრესისაკენ. რკინის გზის გაყვანამ რუსულსა და ევროპის კაპიტალს კარი გაუღო ამიერკავკასიის ბაზრისკენ და ადგილობრივი პროვინციებიც ჩაითრია საერთო მორევში. რკინის გზები აჩქარებდნენ საქონლის მეურნეობის განვითარებას ამიერკავკასიაში და მოახდინეს გადატრიალება მეურნეობის ურთიერთობაში. ნატურალურ-მეურნეობის ურთიერთობამ ყურები ჩამოყარა, ქცნობა დაიწყო და ადგილი დაუთმო საქონლის მეურნეობას. გაჩნდა მეურნეობის სრულიად ახალი დარგები და უფრო ჩქარის ტემპით იწყეს განვითარება არსებულ-

მა დარგებმა. ¹⁾ ამერკავკასიის უდიდესი წარმოება, დიდი სავაჭრო ცენტრების გაჩენა, ქალაქის მოსახლეობის ზრდა და სხვა დაკავშირებულია ამიერკავკასიის რკინის გზის გაყვანასთან. უამისოდ ამიერკავკასია ამჟამად კონგლომერატი იქნებოდა ერთმანეთიდან და რუსეთიდან მოწყვეტილ პროვინციებისა, უამისოდ ამიერკავკასია აქამდე დარჩებოდა აღმოსავლეთის ჩამორჩენილ პროვინციად როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად და კულტურულად. ამის არის ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა ამიერკავკასიის რკინის გზის გაყვანას.

3. კულტურულ მცენარეთა განვითარება ამიერკავკასიაში

საქონლის მეურნეობამ და პურის კონკურენციამ ხელი ჰკრეს ამიერკავკასიის მემამულეებს, ხელი მოეკიდნათ უფრო ფასიან ინტენსიურ კულტურებისთვის. ბუნებრივი პირობები მეტის-მეტად ხელს უწყობდენ ამაში, მაგრამ მაინც იგი მეტად ძნელი იყო. ხორბლის ექსტენსიური მეურნეობა ეწყობოდა ამიერკავკასიაში საუკუნოებით. ნიადაგი მუშავდებოდა ძველი, წარღვნისდროინდელი იარაღებით.

სამეურნეო და სულიერი ცხოვრების კონსერვატიზმი და ერთ წერტილზე გაყინვა მეფობდა ყველგან.

რკინის გზის გაყვანით და ამიერკავკასიის მეურნეობის ზრდით ახალი პერიოდი იწყება ადგილობრივ ხალხთა ცხოვრებაში. დაიწყო ძირიანი შეცვლა ძველ ურთიერთობათა. განადგურებულ იქმნა ძველის-ძველი და ღრმა საძირკველი კონსერვატიზმისა და ერთ წერტილზე გაყინვისა. ჩაისახა და ჩქარის ტემპით დაიწყო განვითარება სოფლის მეურნეობის მრავალმა დარგმა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც უნდა აღვნიშნოთ უდიდესი სიძნელენი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებთა დამზადების საქმეში. მხოლოდ ამით შეიძლება იმ ფაქტის ახსნა, რომ აქამდე ამიერკავკასია წარმოადგენს ისევ ხორბლის ექსტენსიურ მეურნეობის მხარეს: თუმცა მის ინტენსიურ კულტურათა განვითარების ტემპი იყო ქარიშხლიანი.

შევჩერდეთ ფასიან კულტურათა განვითარებაზე ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის პურის ბაზარზე საშიში კონკურენტის, სამხრეთ რუსეთის პურის გამოჩენის შემდეგ აშკარა გახდა ტენდენცია ინტენსიურ კულტურათა ჩქარი განვითარებისა. ამის საილიუსტრაციოდ ჩვენ მოვიყვანთ შესაფერის მაგალითებს.

მეთამბაქოებას დიდი მიღწევები ჰქონდა ჯერ კიდევ წარსული საუკუნე-

¹⁾ არღუთინსკი-დოლგორუკოვი თავის წიგნში ამის შესახებ სწერს: „რკინის გზა მხარის წარმოების უბრალო პასიური მაცურებელი კი არ იყო, მხოლოდ უბრალო გადაზიდვის იარაღი კი არ იყო არსებული საგნებისა, არამედ იგი თვით გავლენას ახდენდა უკანასკნელის განვითარებაზე და ამასთანავე უადვილებდა გადაზიდვას და გასადებას საქონლისას. მხარეში ზოგიერთი საწარმოო დარგების გაჩენა პირდაპირ დაკავშირებულია რკინის გზის გაყვანასთან, ურომლისოდანაც, უგზოობით და გადაზიდვის სიძვირის გამო მათი არსებობა პირდაპირ წარმოუდგენელი იქნებოდა (კურსივი ჩვენია კ. თ. გვერდი 557).“

ნის 80-იან წლებში. 1887 წელს თამბაქოს პლანტაციების რიცხვი აღიარდა 13.637-მდე, ხოლო სივრცე უდრიდა 2.264 დესიატინას. შემდეგმა ორმა წელმა რამოდენიმედ ჩამოიქვეითა, როგორც პლანტაციების რიცხვის მხრივ, ისე ნათესი სივრცის მხრივაც, რამაც დასწია აგრედვე მოსავალიც. ეს გამოწვეული იქმნა 1888 და 1889 წლების მოუსავლიანობის გამო, და ამასთანავე მალალი საარენდო ფასებით. მაგრამ ამის შემდეგ იწყება მუდმივი და უწყვეტი წინსვლა მეთამბაქოობისა.

თამბაქოს მოსავალი *)

წლები	ამიერკავკას.	ქუთაისის გუბ. (სუხ. ოლქი)
1887 . . .	126.722 . . . ფუთი,	58.839 ფუთი
1888 . . .	3.247 . . . „ . . .	36.825 „
1889 . . .	75.403 . . . „ . . .	35.315 „
1890 . . .	116.923 . . . „ . . .	„
1891 . . .	148.408 . . . „ . . .	„
1892 . . .	133,336 . . . „ . . .	„
1893 . . .	153.181 . . . „ . . .	„
1894 . . .	140.867 . . . „ . . .	79.593 „

უფრო უკეთესად აგვიწერენ მეთამბაქოობის ზრდას ამიერკავკასიაში შემდეგი ციფრები:

წლები	სამრეწ. პლანტ. რიცხვი	სივრცე დესიატ.	მოსავალი ფუთებში
1895 . . .	9.280 . . .	3.038,7 . . .	184.145
1900 . . .	12.201 . . .	4.837,5 . . .	277.121
1905 . . .	14.124 . . .	7.825 . . .	462.214
1910 . . .	14.601 . . .	10.871 . . .	708.144
1914 . . .	17.894 . . .	16.610 . . .	858.223

აქ მოვიყვანეთ ამიერკავკასიის მეთამბაქოობის საერთო ცნობები. ისინი მეთამბაქოობის ჩქარ ზრდას გვიხატავენ. მაინც მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ეს ზრდა ასეთი არ იყო ამიერკავკასიის ყველა გუბერნიებში. ზოგიერთ გუბერნიებში შემჩნეული იყო არა ზრდა, დაქვეითებაც კი (მაგ. ბაქო, ერევანი, ელისავეტპოლი). ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში, ბათომისა და ზაქათალის ოლქებში მეთამბაქოობა შესამჩნევად ვითარდებოდა. მაგრამ ეს რაიონები მეთამბაქოობის რაიონები არ იყო. ამიერკავკასიის მეთამბაქოობის ცენტრი იყო სუხუმის ოლქი. მშვენიერი, კლიმატიური პირობებისა და ზღვის სიახლოვის გამო მეთამბაქოობას სუხუმის ოლქში დიდი მიხწევები ჰქონდა. ამიერკავკასიის მეთამბაქოობის $\frac{2}{3}$ იყო აქ თავმოყრილი.

რომ სუხუმის ოლქი განსაკუთრებით მეთამბაქოობის კერად იქცა, ამას მოწმობს შემდეგი.

სოხუმის ოლქის მეთამბაქოობა მთელი მხრის მეთამბაქოობასთან პროცენტებში შეადგენდა:

*) ამიერკავკასიის სააქციოზო გადასახალთა გამგის მოხსენებიდან.
 ჟურნალი „მნათობი“ № 5-6.

წელიწადში საშუალოდ.	დათესვის მოედანი.	მოსავალი.
1900-904	63	60,3
1905-909	74,4	69,4
1909-914	78,4	73,3

სოხუმის თამბაქო მშენიერი თვისებებით იყო განთქმული ამის გამო მან დაიპყრო რუსული და ევროპიული ბაზრები. თამბაქოს გაზიდვა იმპერიკავკასიიდან უფრო და უფრო მატულობდა, ძლიერდებოდა. მხოლოდ ყვითელი თამბაქოს გაზიდვა ამიერკავკასიიდან იმპერიაში და საზღვარგარედ შეადგენდა:

1902 წ.	166.360 ფუთს.
1905	„	237.853 „
1910	„	458.036 „
1914	„	545.114 „

მეთამბაქოობა ერთ მეტად სახირო და შემოსავლიან დარგად იქცა სასოფლო მეურნეობაში. თამბაქოს კულტურაზე გადასვლა ბრწყინვალე პერსპექტივებს იძლეოდა, და ამისთვის ჰქონდა მას დიდი მიღწევები 80-იან წლებიდან 1914 წლამდე.

მეორე თვალსაჩინო კულტურა, რომელსაც სეროზული ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა, იყო მებამბეობა. ცნობილია, რომ რუსეთის ბამბის მრეწველობას ამერიკიდან დიდძალი ნედლი ბამბა გამოჰქონდა. მართალია ჩქარა ვითარდებოდა თურქესტანის მებამბეობა, მაგრამ მებამბეობის მრეწველობის დაკმაყოფილება მაინც არ შეეძლო. შინაური დიდი ბაზარი სტიმულიაციას ქმნიდა სამშობლო მეთამბაქოობის განვითარებისათვის.

ამიერკავკასიის მეთამბაქოობამ 1915 წლამდე მიაღწია დიდ შედეგებს. კლიმატიური და სხვა ბუნებრივი პირობები ხელს უწყობდნენ ბამბის მოყვანას.

წლები	დათესილი არე	და ნედლი ბამბის მოსავალი ამიერკავკ.
1906—1910	47,220,6 დესიატ.	1.849 ათასი ფუთი
1911—1915	54.804 „	2.919 „

ეს ციფრები გვიჩვენებენ, როგორც დათესის არეს ზრდას, ისე ნედლი-ბამბის საერთო მოსავალს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ მებამბეობა, როგორც მეთამბაქოობა, ერთნაირად არ იყო გავრცელებული მთელს ამიერკავკასიაში. ზოგიერთ გუბერნიებში სრულიად არ მისდევდნენ მებამბეობას. ხოლო დანარჩენ გუბერნიებში მებამბეობა თანასწორად არ იყო განაწილებული. ამიერკავკასიის მებამბეობის ცენტრები იყვნენ: ბაქოს, ელიზავეტპოლის და ერევნის გუბერნიები. ეს გუბერნიები მოყვანილ ბამბის დიდ პროცენტს იძლეოდნენ ამიერკავკასიაში.

ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიებში მებამბეობა საკმაო სიჩქარით ვითარდებოდა, მაგრამ მისი როლი ჯერ კიდევ არ იყო იქ თვალსაჩინო. სოხუმისა და ყარსის ოლქები სრულიად უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ ამიერკავკასიის ბამბის მრეწველობაში. ამ ოლქებში მებამბეობა სრულიად გაქრა 1914—15 წლებში, რაც აშკარად იმის ბრალია, რომ სხვა კულტურას დაუთმო მანადგილი (თამბაქოს და სხვა). როგორცა ვხედავთ ამიერკავკასიის ბამბის მოყვანა სპეციალური

წარმატებით ჰხდებოდა ბაქოს, ელისავეტპოლის და ერევნის გუბერნიებში (ეხლანდელ აზერბეიჯანსა და სომხეთში).

ჩაის კულტურა დამყარდა განსაკუთრებით ბათუმის ოლქში და ქუთაისის გუბერნიაში. მართალია ჩაის კულტურა ქუთაისის გუბერნიაში არ თამაშობდა რაიმე მნიშვნელოვან როლს, მაგრამ ჩქარა კი ვრცელდებოდა კავკასიაში.

ჩაის საერთო მეურნეობის სურათს იძლევა შემდეგი: $\Sigma 1905-1914$

ბათუმის ოლქში:

წლები	ნერგის არე	ჩაის მოსავალი
1905	378 დესიატ. 1.900 კვ. ს.	638.605 გირ.
1910	624 „ 880 „	961.121 „
1914	809 „ 718 „	1.357.817 „

ქუთაისის გუბერნიაში

1905	8 დეს.	1.700 კვ. ს.	380 გირ.
1910	20 „	—	11.120 „
1914	29 „	2.200 „	25.500 „

ბათუმის ოლქი და ქუთაისის გუბერნია ერთად ერთი მხარე იყო მთელ რუსეთის ყოფილ იმპერიაში, სადაც მოდიოდა ჩაი.

ამიერკავკასიის ჩაით უზრუნველყოფილი იყო ბაზარი, რადგანაც ამ ჩაის კარგი თვისებები ჰქონდა.

ჩაის ხაერთო გაგზავნა ბაზარზე იყო:

1903 წ.	— 71.285 გირ.
1905 „	— 122.983 „
1910 „	— 217.446 „
1914 „	— 334.675 „

მოყვანილი ციფრები მოწმობენ იმას, თუ რა დიდი სიჩქარითა და წარმატებით ვითარდებოდა ჩაის მეურნეობა დასავლეთ ამიერ-კავკასიაში.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ამიერკავკასიის სასოფლო მეურნეობაში მელვინეობას. შესაძინევი მიღწევები ჰქონდა მელვინეობას 80-იან წლებიდან. მელვინეობის კერად იყო ცნობილი ტფილისის, ელისავეტპოლის, ბაქოს და ქუთაისის გუბერნიები. კლიმატიური პირობები დიდად ხელს უწყობდნენ აქ მელვინეობას.

წლები	უარძნის რაოდენობა	ღვინო
1895	9.901 ათასი ფუთი	4.866 ათასი ვედრა
1896	7.490 „	4.672 „
1897	13.036 „	6.913 „
1898	13.826 „	7.777 „

მაგრამ 90-იან წლების შემდეგ ამიერკავკასიის მეღვინეობა შეჩერდა ერთ ადგილას. მრავალმა მიზეზებმა შეუწყეს ხელი მეღვინეობის განვითარების დაბრკოლებას. ქართული ღვინის სამშობლო კახეთი წინანდებურად მოწყვეტილი იყო დანარჩენ ქვეყანას. იგი არ იყო დაკავშირებული რკინის გზით ამიერკავკასიის დანარჩენ კუთხეებთან და რუსეთთან. ამას გარდა ფილოქსერამ გაანადგურა დიდი ნაწილი ვენახებისა, სააქციზო და სარკინისგზო ქართულსა და სომხურს შორის. მაკ ხელოვნურად დააბრკოლეს მეღვინეობის განვითარება.

ღვინის გაზიდვა ამიერკავკასიიდან

1906 წ. — 1.399 ათასი ვედრა

1910 „ — 3.190 „

1913 „ — 4.606 „

ამიერკავკასიის ღვინის საუკეთესო თვისება მას გზას აძლევდა გავრცელებისათვის. მაგრამ მისი დამუშავების ძველის-ძველი მეთოდები აძვირებდნენ ამას. ამისათვის, მისი მცირე ნაწილი გაჰქონდათ ამიერ-კავკასიიდან, ხოლო დიდი ნაწილი რჩებოდა ისევ ადგილობრივი ბაზრისთვის, ესე იგი, წანდაწინვე იყო განზრახული შინაური ვაჭრობისათვის.

აქ არ შევჩერდებით მეაბრეშუმეობის განვითარებაზე, რომელიც დიდ როლს თამაშობდა დასავლეთ საქართველოში. არ შევჩერდებით არც ბრინჯის წარმოების განვითარებაზე და სხვებზე. რაც უფრო გადიოდა დრო მით უფრო მეტად ჰხდებოდა ამიერკავკასიის მხარის სპეციალიზაცია, მით უფრო მეტი იყო მისწრაფება ფასიან კულტურებზე გადასვლისა.

შევაჯამოთ. საქონლის მეურნეობის ზრდამ ამიერკავკასიაში გამოიწვია სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის ტენდენცია. სოფლის მეურნეობა იძულებული შეიქმნა ანგარიში გაეწია ბაზრის მოთხოვნილებათათვის. სამხრეთ-რუსეთის პურის კონკურენციამ გააძლიერა სოფლის მეურნეობის მალალ-საქონლის დარგების განვითარების ტენდენცია, და ნაწილობრივ გადასვლა ხორბლის მეურნეობიდან ფასიან კულტურებზე.

ამიერკავკასიის ხორბლის მეურნეობა დიდ კრიზისს განიცდიდა 90-იან წლებში და ცოტაოდნად გამოკეთდა 900-იან წლებში.

ხორბლის მეურნეობის ასეთ ზანტ განვითარებას ხელს უწყობდა პურის ფასების აწევა. მაგრამ ფასიან კულტურების განვითარების ტემპი ხორბლის მეურნეობის განვითარების ტემპთან შედარებით ძალიან მალალი იყო. მეთამბაქოობა, მებამბეობა, ჩაის მეურნეობა და სხვები ყველაზე უფრო გაცილებით შემოსავლიანი აღმოჩნდნენ.

კლიმატიური და სხვა ბუნებრივი პირობების სხვადასხვაობის გამო კულტურული მცენარეები ერთნაირად არა ვრცელდებოდნენ მთელს ამიერ-კავკასიაში. სხვადასხვა რაიონები სხვადასხვა სპეციალური კულტურის რაიონებად ხდებოდნენ. მაგალითად მეთამბაქოობის კულტურის ცენტრად იქცა სუხუმის ოლქი, ხოლო ჩაის კულტურის ცენტრად ბათუმის რაიონი. მებამბეობას მისდევდნენ განსაკუთრებით ბაქოს, ელისავეტპოლის და ერევნის გუბერნიებში.

მეღვინეობა გავრცელებული იყო ტფილისის, ქუთაისის, ელისავეტპოლის და ბაქოს გუბერნიებში, ხოლო მებაბრეშუმეობა ქუთაისის გუბერნიაში, საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს რძის მეურნეობის განვითარება ტფილისის გუბერნიაში, ხოლო მეხილეობის მეურნეობა ტფილისის, ბათუმის, ბაქოს, ელისავეტპოლის და სხვა გუბერნიებში. საერთოდ და მთლად ამიერკავკასიაში სწრაფად მეურნეობას, 80-იან წლებიდან დაწყებული იმპერიალისტურ ომამდე, საქონლის წარმოების და სპეციალიზაციის სფეროში დიდი მიღწევები ჰქონდა.

საქონლის მეურნეობის ბაზაზე ჩაისახენ და განვითარდნენ კაპიტალისტური მეურნეობის ელემენტები. კაპიტალიზმი ვითარდებოდა არა მხოლოდ ქალაქში, არამედ სოფელშიც, არა მხოლოდ ინდუსტრიაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიც.

ამ სტატიებში ჩვენ გვინტერესებს განსაკუთრებით კაპიტალის განვითარების საკითხი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში. მაგრამ სახამ ამ საკითხს შეუდგებოდეთ, შეფერდეთ საერთო სოციალურ-ეკონომიურ პირობებზე, რომელშიაც უხდებოდა ცხოვრება და განვითარება ამიერკავკასიის აგრარულ კაპიტალიზმს და იმ ფაქტორებზე, რომლებიც დამაბრკოლებელი იყო სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ ევოლიუციისა.

მხედველობაში გვაქვს ორი ფაქტორი 1) თვითმპყრობელობის საგადასახადო პოლიტიკა და 2) ბატონყმობის ნაშთები, რომელსაც ხელოვნურად ანვითარებდა მეფის მთავრობა ამიერკავკასიაში.

4. თვითმპყრობელობის საგადასახადო პოლიტიკა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობა

თვითმპყრობელობის საგადასახადო პოლიტიკა დიდი ეკონომიური მნიშვნელობის ფაქტორი იყო. ის ერთი მთავარ მუხრუჭთაგანი იყო კერძოდ სოფლის მეურნეობის განვითარებაში და საერთოდ სახალხო მეურნეობაში. ამის დასასაბუთებლად ჩვენ ვისარგებლებთ ოფიციალური ხასიათის მასალით.

დავიწყოთ კავკასიის მეფის ნაცვლის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ცნობილი მოხსენებითი წერილიდან. ვორონცოვ-დაშკოვი იტყობინება, რომ კავკასიის გლეხობა 1901 წლამდე საკომლო და სხვა ხასიათის გადასახადების სახით იხდიდა 2.730.000 მ. ერობის საკომლო გადასახადს—2.840.000 მ. ჯამი—5.570.000 მ. ათი მილიონი დესიატინის არეზე (დაახლოვებით). კერძო მფლობელები, რომელთაც 5 მილიონამდე დესიატინა მიწა ჰქონდათ, სრულებით არ იხდიდნენ სახაზინო გადასახადებს, გარდა თერგის ოლქისა, რომელიც იხდიდა 7.000 მან. ხოლო ერობის გადასახადი გროვდებოდა მხოლოდ 267.000 მანეთამდე. ამგვარად ორჯელ ნაკლები სივრცის მქონე გლეხები იხდიდნენ გადასახადს 20-ჯერ მეტს, ვიდრე კერძო მფლობელები (გვ. 86).

ამიერკავკასიის სასოფლომეურნეობაზე მეფობის საგადასახადო პოლიტიკის გავლენის შესახებ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვი ამბობს შემდეგს:

ამ პირობებში ამიერ-კავკასიის გლეხობისათვის ყოველად შეუძლებელი გახდა მიწის-კულტურაში რაიმე გაუმჯობესების შეტანა, რაიც დიდ ხარჯებს მოითხოვს. მ უ შ ა პ ი-

რუტყვის რიცხვის სიმცირე, მიწის პირველ-ყოფილი იარაღები, გაპოზირებისთვის არ ზრუნვა, და, როგორც ყოველივე ამის შედეგი—მიწის მოსავლის პროგრესიულად დაცემა—გამთვრეულია იმ ეკონომური პოლიტიკით, რომელიც მთელი გადასახადების სიმძიმეს ჰკიდებდა ზურგზე კავკასიის გლეხობას. გლეხობის მეურნეობის დაცემამ გავლენა იქონია კერძო მფლობელების მამულების შემოსავლიანობაზეც. როგორც უკვე ნახსენები იყო ზევით, ამიერკავკასიის კერძო მფლობელები კომპლექსურად არ მისდევნენ საკუთარ მეურნეობას, რის გამოც გავრცელებულია მამულების $\frac{1}{3}$ დალით გაცემა, ამგვარად კერძო მფლობელთა მიწებიც იმავე პირველყოფილი იარაღებით მუშავდება მეტის-მეტად ცუდათ, უსისტემოდ, დაუსვენებლად და ნაყოფიერება ამ მიწებისა ისევე ეცემა, და კლებულობს. (კურსივი ჩენია. კ. ო.)¹⁾

კავკასიის მეფის ნაცვლის ამ სიტყვებს თითქმის აღარაფერი მიემატება. იგი მსჯავრსა სდებს თვითმპყრობელობის საგადასახადო პოლიტიკას, როგორც ისეთ ფაქტორს, რომელიც აბრკოლებდა სასოფლო მეურნეობის განვითარებას. სახელმწიფო ხაზინა ართმევს გლეხებს შემოსავლის უდიდეს ნაწილს. გლეხებს არა აქვთ საშუალება შეაგროვონ შემოსავალი საწარმოო იარაღების შესაძენად და ახალ საწარმოო ფორმებთან შესაგუებლად, ამის გამო ეცემა გლეხობის მეურნეობა და მასთანვე კერძო მფლობელთა მეურნეობაც.

გრაფი ფორონცოვ-დაშკოვი, რალა თქმა უნდა, მართალი იყო. ამიერ-კავკასიის გლეხობის შემონახული თანხა სრულიად უმნიშვნელო იყო. „კავკასიის მეურნეობა“-ში მოთავსებულ ერთი სტატიის ავტორი ამბობს:

ჩვენ, სხვათა შორის, მოგვეპოვება 1906 წლის სახელმწიფო შემნახველ საღაროების ანგარიში, ამ ანგარიშის ციფრები გვიჩვენებენ, რომ ფულის შემნახველობა ამიერ-კავკასიაში ყოველწლიურად გაძლიერებული ტემპით ეცემა; რომ მთელი რუსეთისათვის საშუალოდ 1 მცხოვრებზე 7 მ. და 53 კ. შემონახულობისა ამიერკავკასიაში უდრის სულ 4 მ. 65 კ., რომ რუსეთისათვის შემონახველთა საშუალო რიცხვი უდრის 39-ს ათას მცხოვრებზე, ამიერკავკასიაში კი მხოლოდ 25-ს (ცვალებადობით 11-დან სოფლის რაიონებში, და 53-მდე ქალაქებში.²⁾

ძნელი გასაგები არ არის, რომ თუ გლეხობას სრულიად არა ჰქონდა არავითარი შემომნახველობა საღაროებში ამიერკავკასიის სასოფლო მეურნეობა უნდა ყოფილიყო მძიმე კრიზისში, შეჩერებისა და დაცემის დონეზე.

მეფის მთავრობა იძულებული იყო ამ გარემოებისათვის ყურადღება მიექცია და ზოგიერთი რაიმე ცვლილებები შეეტანა საგადასახადო პოლიტიკაში. და აი 1908 წ. სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ იქმნა ახალი კანონ-პროექტი საგადასახადო რეფორმისათვის ამიერკავკასიაში. შემცდარი არ ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ მეფის მთავრობამ თანაგრძნობის ხელი გაუწოდა ამიერკავკასიაში სასოფლო მეურნეობის ინტერესებს. ახალ კანონ-პროექტს აბასიათებს აბსოლიუტური უცოდინარობა ადგილობრივი პირობებისა და საგნებისა, რაზედაც შეწერილი იყო გადასახადი, აგრედვე ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების აბსოლიუტური უცნობობა.

1) უქვეშევრდომესი წერილი გვ. 87.

2) კავკასიის მეურ. 1902 წ. № 20, გვ. 10.

ამ კანონპროექტის დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ ნაწყვეტი სახელმწიფო სათათბიროში წარმოთქმული, კარგად ცნობილი ს. დ. დეპუტატის ნ. ჩხეიძის სიტყვიდან. იმან სთქვა:

რამდენად უსაფუძვლოა და კუროზული ეს კანონ-პროექტი აშკარად სიანს იქიდან, რომ ერთ რაიონზე არიან მითვლილნი ქუთაისის გუბერნია, სუბუმი და ართვინის ოლქები. ვინც ცოტათუნად მაინც იცნობს ადგილობრივ მდგომარეობას, იმან მშვენიერად იცის, რომ მეურნეობის მხრივ ქუთაისის გუბერნიასა და ართვინის ოლქის შორის არაფერი საერთო არ არის. თუნდაც მარტო ის, რომ ართვინის ოლქში ერთი უმთავრეს სამეურნეო დარგთაგანი არის ზეთის ხილის კულტურა, ჩვენსა კი, იმერეთში და საერთოდ ქუთაისის გუბერნიაში არის მეღვინეობა. ზეთის ხილი აქ მხოლოდ არანეერეებში წეიძლება მოვიდეს. აშკარაა, თუ რამდენად სინამდვილეს წარმოადგენენ ის საგნები, რომელთაც უნდა დაედოს ხარჯი. ესენი გასაგებია, რადგანაც ის დაწესებულებები, რომელთაც ევალება თმცხოვრებლებზე ხარჯის გაწერა, სრულიად არ იცნობენ ადგილობრივ პირობებს. თუ თქვენ გაკვრით გადახედავთ თვით კანონ-პროექტს, იმ დასკვნას გამოიტანთ, რომ არაერთი ცოტათ-თუ ბევრად სწორი ცნობები არა აქვს ადგილობრივ ადმინისტრაციას იმისთვის, რომ რამდენიმედ მაინც სწორედ გააწეროს ხარჯი მცხოვრებლებზე (კურსივი ჩვენია. კ. თ. *)

ზემოთქმულიდან აშკარაა, თუ რამდენად დამლუპველი იყო თვითპურობელობის საგადასახადო პოლიტიკა ამიერკავკასიის მიწისმფლობელთათვის და რამდენად აბრკოლებდა იგი სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

მაგრამ ამ მდგომარეობის უფრო ნათელი ილიუსტრაციისათვის ჩვენ უფრო დაწვრილებით შევჩერდებით მთავრობის სააქციზო პოლიტიკაზე, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა სოფლის მეურნეობის ერთი უდიდესი დარგის—მევენახეობის განვითარებაზე. ეს მაგალითი ნათლად დაგვანახებს თვითმპურობელობის ამ პოლიტიკის სრულ სისულელეს და დამლუპველობას.

ერთის შეხედვით, თითქო სააქციზო გადასახადებს ღვინის და არყის წარმოებაში არა აქვთ ახლო კავშირი მევენახეობასთან, თითქო მათ არ შეუძლიათ ამ დარგის განვითარების დაბრკოლება. მაგრამ ასე ფიქრი დიდ შეცდომას ნიშნავს. საარყო ნაწარმოებზე აქციზის დაწესება ყველაზე უწინ უშუალოდ და პირდაპირ შეეხებოდა მევენახეობას.

რაში გამოიხატება ეს? რა საჭიროა სპირტი მევენახეობისათვის?

ამ კითხვების პასუხს ჩვენ ვპოულობთ „1884 წლის კავკასიის სასოფლო მეურნეობის ანგარიშში“.

მეცნიერება თა მეღვინეობის პრაქტიკა—სწერს ამ ანგარიშში ჯორჯაძე—იყოფა სამ უმთავრეს ნაწილად: მევენახეობა, მეღვინეობა, და ღვინის ვაჭრობა. ყველა ამ სამ ნაწილისათვის ღვინას სპირტი წარმოადგენს აუცილებელ პირობას მათი წესიერი არსებობისათვის. მევენახისათვის იგი საჭიროა მისი ნაშრომის დასაცავად უამინდობის ჟამს, რაიც ძალიან ხშირია ზოლმე, ან ავადმყოფობის Oidium Tuckeri-ის, ან ხშირი სეტყვიანობის და სხვა მოვლენათა წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ მხარეში არის მაზრები, სადაც მთელი მოხარკე მოსახლეობა კაჭიდან და თნილიდან არყის გამოზდაში ჰხედავს ბეგრის მოზდის საშუალებას. მეღვინესათვის სპირტი აუცილებელად საჭიროა საერთოდ და განსაკუთრებით კი იმ წლებში, როცა ცუდი ღვინო მოვიდა, რადგანაც ღვინოში იმავე სპირტის ჩარევით, რომელიც ყოველ ღვინოში მოიპოვება და მის არსებით

*) მე-III-მე სახელმწიფო სათათბიროს სტენოგრაფიული ანგარიშიდან ამონაწერი.

ნაწილს წარმოადგენს, ცუდი წლის ღვინო აიყვანოს კარგი წლის ღვინოს ღირსებადღე, და მით მიადწიოს ვაჭრობის პირველ ხარისხოვან საფეხურს, ანუ პროდუქტის ერთნაირობას. და ბოლოს სპირტი ღვინოს ვაჭრობისთვის აჯცილებელია, რათა თავის ღვინოების დიდ ნაწილს, განსაკუთრებით მაშინ, როცა იაფფასიანი ღვინოები, ტრანსპორტაბელისადაცა უყოს, რაზედაც არის დამყარებული ყოველი ვაჭრობა, ამით იგი გაიფართოვებს ბაზარს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მეღვინეობის განვითარებისთვის და მევენახეობის გაფართოებისთვის. ამჟამად ამისათვის, რომ ასტორ მესტრის შემოკიდებულება მეღვინეობისა არყის გამოხდასთან აყენებს სერიოზულ საკითხს, გადასახადების დიდი გავლენის შესახებ ამ წარმოებაზე. 1).

წერილის ავტორი ჯორჯაძე საჭიროდ სთვლის, ხაზი გაუსვას არყის ნაწარმოების მჭიდრო კავშირს მევენახეობასთან. მევენახე უარყოფთ ვერ იწარმოებს. არაყი მისთვის ჯერ ერთი საჭიროა, როგორც შემოსავლის წყარო, როგორც სავაჭრო საგანი, მეორე, რომ ღვინოს სიმაგრე მისცეს და მესამე არყის წარმოება ხელს უწყობს მევენახეობის შემოსავლიანობას და თანაც აიაფებს მის პროდუქტებს.

თუ ყველაფერს ამას მივიღებთ მხედველობაში, ძნელი არ იქნება იმის გაგება, რომ სააქციზო გადასახადს სპირტზე დიდი გავლენა ჰქონდა მევენახეობაზე. ეხლა განვიხილოთ, ასე იყო სინამდვილეში თუ არა.

სანამ ამ კითხვაზე მიუგებდეთ, საჭიროა მოკლეთ დავახასიათოთ სპირტის სააქციზო გადასახადების თვით სისტემა, ფორმალბანი და ბიუროკრატიული არეულ-დარეულობანი, რაიც განუშორებლად სდევდა თან ამ სისტემას.

ჰო და რაში იხატებოდა თვითმპყრობელობის სააქციზო სისტემა?

ამიერკავკასიაში არსებული სააქციზო სისტემის მიხედვით თვითეული მევენახე შოვალე იყო შეესრულებინა შემდეგი ფორმალბანი:

1. მისი არსებული, თუ ახლად შექმნილი საარყო ქვების შესახებ უნდა ეცნობებინა წერილობით ადგილობრივ სარაიონო უფროსის თანაშემწისათვის (დებულების 167 მუხლი): ამის შემდეგ გამოხდის წინ იგი იმავე პირს აძლევს თხოვნას ქვების გასაზომად; ეს პირი დაუნიშნავს დროს ქვების ადგილზე გამოსაცხადებლად; როცა გაზომავდენ, შეადგენდნენ ოქმს ოთხპირად, რომელთაგანაც ერთს მისცნმდნენ ქვების პატრონს, რათა ეს დოკუმენტი შეენახა მიცემულ სააქციზო წიგნთან ერთად სააქციზო სამმართველოში წარსადგენად თავის დროზე აღნიშვნებისათვის (დებულების 152 მუხლი).

2. სამი დღით ადრე არყის გამოხდამდე, ქარზნის პატრონს უნდა აეღო საპატენტო ბლანკი. გადაეხადნა სააქციზო და ქვითარი ბლანკთან ერთად წარედგინა რაიონის უფროსის თანაშემწისათვის ამასთანავე უნდა მიეცა განცხადება ოთხპირად, სადაც აღნიშნული იქნებოდა კანონისაგან დაკისრებული ყველა ცნობები (172 მუხლი შენიშვნით). მოხელე, რომელიც დაუწერდა ბლანკს, დართავდა არყის გამოხდის ნებას და ამ ნებადართული მოწმობის ერთ პირს მისცემდა ქარზნის პატრონს, ამასთანავე მოახდენდა განკარგულებას, რათა დანიშნულ დროზე მოეხსნათ ბეჭედი არყის ქვებისთვის.

3. ბეჭდის მოხსნიდან ქვებს შეეძლო ემუშავნა მიცემულ ვადამდე და შემდეგ ისევ დაიბეჭდებოდა. აი ეს არის ფორმალბობის მთავარი ნაწილები. 2).

სააქციზო პოლიტიკის ასეთი სულელური სისტემა ფაქტიურად ნიშნავდა სავენახო და საარყო წარმოების სრულიად აკრძალვას და ამ შემოსავლიან მრეწველობის სრულს განადგურებას. მევენახე

1) სავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების 1884 წლის ანგარიში. გვ. 208.

2) კავკასიის სასოფლო მეურნეობის საზოგადოების 1884 წლის ანგარიში, გვ. 225-226.

გლეხების წინაშე დაისვა დილემა: ან ხელი მიეყოთ არყის ჩუმი გამოხდისათვის, ან გადაეყარათ ქაქა სრულიად უსარგებლოდ. სხვა გამოსავალი არ იყო, ვინაიდან, არყის გამოხდაზე დადებული სააქციზო ხარჯები ბევრად აღემატებოდნენ შემოსავალს—სარგებელს. არყის ჩუმად გამოხდა გლეხებს დიდ საფრთხეში აყენებდა ხელისუფლების მხრით (ჯარიმები და სხვა), ხოლო ქაქის უსარგებლოდ გადაყრას მათი მეურნეობა მიჰყავდა განადგურებისაკენ.

საინტერესოა აქ მოვიყვანოთ მაზრის უფროსების წერილებიდან ამის შესახებ ადგილები. დუშეთის მაზრის უფროსი ჩეხოვსკი აცხადებს:

ამჟამად არსებულ სააქციზო დებულების შემოღებამდე დუშეთის მაზრის მევენახეები ქაქის არაყსა ჰხდიდნენ უაქციზოდ. აღნიშნულ დებულების შემოღებიდან კი, მევენახეების უმეტესი ნაწილი ქაქას უსარგებლოდ ჰყრის. მხოლოდ სოფელ მუხრანში, კოპორტში და ახალგორში მიწისმფლობელები და გლეხები, რომელთა რიცხვიც მხოლოდ 3—5 კაცს უდრის, იღებენ არყის გამოხდის პატენტს, ამასთანავე მათი წარმოება ვერ ანაზღაურებს მათ მიერ გაწეულ შრომასა და ხარჯის ფულს. ¹⁾

გასაკვირველი არ არის, რომ სოფლის ზოკებმა (კულაკები) ისარგებლეს ამ დებულებით და თავისთვის გახსნეს მშვენიერი წყარო გამდიდრებისათვის და ექსპლოატაციისთვის. სიღნაღის მაზრის უფროსი ტიზენგაუზენი ამის შესახებ ამბობს შემდეგს:

მაზრის დაბლობ ნაწილებში, ალაზნის ხეობაზე ეგრედწოდებულ კანეთის გადასახედ მიდამოებში, სადაც მევენახეობა შეადგენს უმთავრეს სამეურნეო დარგს, ქაქისაგან უმეტეს ნაწილად ჰხდიან არაყს, მაგრამ დაწესებულ დებულებათა შემავიწროვებელ პირობების გამო წვრილი მევენახეები მოკლებულნი არიან საშუალებას თვითონ გამოჰხადონ თავიანთი ქაქიდან არაყი და იძულებულნი არიან თავიანთი ქაქა ჩალის ფასად მისცენ ვაჭრებს, ან მსხვილ მეპატრონეებს. უკანასკნელ წლებში ქაქას უმეჩეს ნაწილად ჰყიდიან გამოხდილ არყის ნაწილში, ქარხნის პატრონი ქაქის პატრონს აძლევს გამოხდილი არყის მხოლოდ მესამედს და ძალიან იშვიათად მეტს იმ შემთხვევაში თუ ბევრ ქაქას მიუტანს ²⁾

ამგვარად თვითმპყრობელობის სააქციზო პოლიტიკა ზოკების, ვაჭარ-კაპიტალისტების მყვლეფელების და სხვა პარაზიტების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამან დასცა არა მხოლოდ ყურძნისა და არყის მრეწველობა, თვით მევენახეობაც.

არა ნაკლებ საინტერესოა აზრი თიანეთის მაზრის უფროსის ჯანდიერისა, ისა სწერდა:

ვენახების დიდი ნაწილი ეკუთვნის გლეხებს, რომელნიც გარდა იმისა, რომ ვერ ასდიან ფორმლობით გართულებულ აქციზს, არა აქვთ ხოლმე შეძლება და საშუალება პატენტის შეძენის დროს იშოვონ ფული, ამისათვის იძულებულნი არიან ქაქა გაუწურავადაც კი გადაყარონ, ან ჩალის ფასად მიჰყიდონ მოხერხებულ ვაჭარს... ამგვარად, არ არის ეჭვი, რომ ეს მეტად საჭირო და თავის დროზე მეტად შემოსავლიანი სახალხო მეურნეობა აქციზის დაწესებით წამომწყობთათვის სრულიად დაიღუპა, ხოლო ექსპლოატატორთათვის მოგების წყაროდ გადაიქცა. (კურსივი ჩვენია კ. ო. ³⁾

1) იგივე ანგარიში. გვ. 35—36.

2) იქვე, გვ. 36—37.

3) იგივე ანგარიში... გვ. 37.

მრავალი ასეთი მაგალითები შეიძლება მოგვეყვანა ადგილობრივ გამოძახილებიდან ჩვენი დებულების დასამტკიცებლად და მეფის მთავრობის სააქციზო პოლიტიკის დამლუპველობის შესახებ მევენახეობისათვის. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია ადგილობრივი გამოძახილებიდან. ადგილები ჩიოდენ სააქციზო მაღალ გადასახადს, მაგრამ ყოველ მეტად ჩიოდნენ იმ ფორმალობას, რომლის ასრულებაც ვერ შეეძლოთ დასახლებებს, ისედაც თავისთავად ძვირი პატენტის მიღებისათვის გლესს უხდებოდა წასვლა სამაზრო ქალაქში ხშირად 100 ვერსტის მანძილზე, რისთვისაც ჰკარგავდა ფულსაც და დროსაც. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ზოგიერთ მაზრებში სრულიად არ იყო ქალაქები: ამ შემთხვევაში გლესს უხდებოდა მეზობელ მაზრის ქალაქში წასვლა; ასე რაქველები და შორაპნელები უნდა წავიდნენ ქუთაისში, ხოლო არეშის მაზრის მცხოვრებნი ნუხაში, ან ელისავეტპოლში¹⁾ ხაზინაში ფულის შესატანად.

მეფის მთავრობა თავისი სააქციზო პოლიტიკით ცდილობდა მოეკლა ლვინო-არყის წარმოება და ამით მოეცილებინა კონკურენცია რუსული მონოპოლიისათვის. ეს მთავრობა ცდილობდა ხელოვნური ზომებით მოესპო ქაჭის არყის წარმოება, რაიც შესრულებულ იქნა. მაგრამ მეარყეობის მოსპობა მომასწავებელი იყო მევენახეობის დაცემისა და მოსპობისა. სხვათა შორის აი სწორედ ამისთვის ვერ მიდიოდა დიდხანს მევენახეობის საქმე წინ ამიერკავკასიაში და გაყინული იყო წარმოების პირველყოფილ საფეხურზე.

სააქციზო გადასახადები არყის გამოხდაზე საბედისწერო შეიქმნა ამიერკავკასიის მევენახეობისათვის. მათ გამოიწვიეს მისი შესაფერისი მრეწველობების განადგურება სოფლად. ამის გამო ბევრი მუშა ხელი რჩებოდა უმუშევრად, ხელოვნურად ძლიერდებოდა უმუშევრობა, ლვინის რაიონების მოსახლეობისათვის იქმნებოდა აუტანელი მდგომარეობა. ამისათვის ძნელი არ არის იმის გაგება, რომ აქციზის ახსნის საკითხი არყის გამოხდაზე იქცა ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხად, იქცა ამ რაიონების აქტუალურ საკითხად. გლესები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ რევოლიუციონურ მოძრაობაში, სხვათა შორის, მოითხოვდნენ სააქციზო სისტემის რეფორმას და გადასახადის შემცირებას, ასე, მაგალითად, გურიის გლესების მოთხოვნილების მე-7 მუხლი ამბობს: „შემცირებული იქმნეს აქციზი არყის გამოხდაზე, რათა გლესებს შეძლება მიეცეთ, მიჰყვნენ ამ სახიერო მრეწველობას“²⁾.

როგორცა ვხედავთ თვითმპყრობელობის სააქციზო პოლიტიკას ჰქონდა ღრმა დამაბრკოლებელი მოვლენა ერთ უმთავრეს შემოსავლიან სოფლის მეურნეობის დარგთაგანზე—მევენახეობაზე. ეს პოლიტიკა ხელფებს უბოჭავდა, აბრკოლებდა მის განვითარებას და ამასთანავე ხელს უწყობდა გლეს-მევენახეების გაყვლევას ზოკების მხრით, გლესებს მიწაზე ხელს ალებინებდა, აკარგვინებდა და

¹⁾ ი ვ ე, გვ. 187—188.

²⁾ აგრარულ-რევოლიუციონური მოძრაობა ოზურგეთის მაზრაში (ქუთაისის გუბ.) 1902—1904 წლების პერიოდში, გვერდი 6—7. კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის არქივი.

ნადგურდებოდა მათი მეურნეობაც. არ არის იმის გაგება ძნელი, რომ ყოველივე ეს გლეხებს აღელვებდა შემდეგში, ამწვაებდა მათ, რაიც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა 1905-1906 წლების ამბოხებებში.

რომ გავათაოთ მევენახეობის შესახები საკითხი, საჭიროა კიდევ აღვნიშნოთ ღვინის მონოპოლიის მნიშვნელობა და სარკინისგზო ტარების როლი მეღვინეობის კრიზისში. ადგილობრივი კომიტეტები დაწვრილებით ჩერდებოდნენ სოფლის მეურნეობის ამ საკითხებზე.

განსაკუთრებულ ყურადღებას „კომიტეტები აქცევენ სააქციზო სისტემის გავლენას, რომელიც დიდ დაღს აჩნევს მეღვინეობის და რასაკვირველია, მევენახეობის ინტერესებსაც. სცენაზე გამოდის, უწინარეს ყოვლისა, ღვინის მონოპოლიის საკითხი. ეს უკანასკნელი პურის არაყს ებება, და, მაშასადამე, ვიფიქრებდით, რომ არა აქვს პირდაპირი კავშირი ჰაჰის არაყის წარმოებასთან. მაგრამ მონოპოლიის შემოღება დაკავშირებულია ღვინის ვაჭრობის მთელ რიგ დამბრკოლებელ საშუალებებთან, რომლებიც დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ქუთაისის (243), ერევნის (626), და განსაკუთრებით ტფილისის (503) კომიტეტების შრომებში. ამ დაბრკოლებებმა უკვე გამოიღეს თავისი ნაყოფი და ცუდი გავლენა მოახდინეს ღვინის გასაღებაზე და, მაშასადამე, მეღვინეობაზედაც ზოგიერთ ადგილებში, სადაც შემოღებულია მონოპოლია. კომიტეტები ასეთ შეესბეგდარწმუნდებით მოელიან მთელი ამიერკავკასიისთვის“¹⁾...

მეფის მთავრობა რუსი ხაზინის ინტერესების დასაცავად მზად იყო სიჭარბის პერმანენტულ კრიზისში ჩაეგდო ამიერკავკასიის მევენახეობა. ეს ასეც მოჰხდა.

მეღვინეობის კრიზისი უკანასკნელ ხანებში ხრონიკულ მოვლენად იქცა ამიერკავკასიაში, რადგანაც ვედრო ღვინის ფასი ადგილზე ერთი მანეთით დაეცა ყველგან (ვედროში რკვარტია). ეს მოხდა ადგილობრივ ბაზარზე ღვინის თავისებური სიჭარბის გამო, რაც გამოწვეული იყო ჩვენი სარკინისგზო პოლიტიკით და კიდევ იმით, რომ ღვინის შენახვა არ იცოდნენ მეღვინეებმა. სახელდობრ: რუსი შეარყების, ამ სახაზინო მონოპოლიის ინტერესების დასაცავად ყურძნის იაფფასიანი სასმელების კონკურენციისაგან, ამიერკავკასიის რკინის გზამხელ ოვნი ურად ჩაუკეტა მას რუსული ბაზრის გზა გადასახიდი ხარჯების მაღალი ტარიფით. ამიტომ ამიერკავკასიის ღვინის 12-15 მილიონი ვედ. ღვნიდან რუსის ბაზარზე მხოლოდ 10-15% მიდის, ამის შედეგად ბაზარი სავსე აღმოჩნდა, ხოლო მევენახეების „შვიდობიანი“ შრომა და ხარჯები აუნაზღაურებელი, რის გამოც ბევრგან აღარ იცოდნენ, რანაირად მოეშორებინათ თავიდან ეს „ფასიანი“ კულტურა... თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ კავკასიის მეაბრეშუმეები, მეთამბაქოები და ძირტკბილის ამომთბრელები (კურსივი ჩვენია კ. ო.)²⁾.

რკინის გზა ძლიერი იარაღი გამოდგა ეკონომიური ზემოქმედებისა თვით-

1) Свод Трудов местных комитетов по Кавказу, Области войска Данского, Сибири, Степному Краю и Туркестану, შეადგინა კაუფმანმა (III 1904 წ. გვ. 186).

2) კავკასიის მეურნეობა, 1909, № 20, თ. ს., გვ. 9. იხ. აგრედვე ამიერ. კავ. რკინის გზის სატარიფო პოლიტიკის საკითხის შესახებ — ცნობათა კრებული ვლისავეტპოლის და ტფილისის გუბერნიების, 1902 წ., გვ. 104 და შემდეგ.

მპყრობელობის ხელში. სატარიფო პოლიტიკის შესაფერისი მიმართულებით მეფის მთავრობას შეეძლო დაეცვა რუსი მეარყე სპეკულიანტების ინტერესები იაფფასიანი ღვინის კონკურენციის წინააღმდეგ, მართლაც და მან მოახერხა ამგვარად ამიერკავკასიის მეღვინეობა მოემწყვდია თავის საკუთარ ბაზარზე. ძნელი არ არის ამის გაგება, რომ ამ საშინელი პოლიტიკის განხორციელება აუცილებლად უნდა დაცემულიყო ღვინოზე და მთელი მევენახეობა აღმოჩნდა ნაწარმოების ქრონიკულ კრიზისის წინ.

მაგრამ ამით არ განისაზღვრა ცარიზმის საგადასახადო და სარკინისგზო-სატარიფო პოლიტიკა. მეთამბაქოობა, მეაბრეშუმეობა და სხვა სოფლის მეურნეობის დარგები აგრედვე შესამჩნევად გრძობდნენ ამ პოლიტიკის დამლუპველ გავლენას.

შევჩერდეთ კიდევ მეთამბაქოობაზე. მეთამბაქოობის ტექნიკის განვითარების დაბრკოლება პირდაპირი შედეგი იყო თვითმპყრობელობის კოლონიალური დამლუპველი პოლიტიკისა. საინტერესოა, რომ ამის შესახებ ლაპარაკობენ თვით იგივე ამიერკავკასიის კომიტეტები. ისინი ტექნიკის ცუდ მდგომარეობას პირდაპირ უკავშირებენ სააქციზო ხარჯთა გაწერის წესებს, რომელნიც უზრუნველყოფენ რა ხაზინის ფისკალურ ინტერესებს, არამცთუ არ იცავენ მომხმარებელთა ინტერესებს დაბალ ხარისხოვან პროდუქტებისაგან, პირიქით, უფრო ხელს უწყობენ უკანასკნელის ღირსების დაცემას: აქციზი ფხიზლად ადევნებს თვალყურს, რათა დაბალი ფასის ბანდეროლით არ იყიდებოდეს მაღალი ხარისხის თამბაქო და არაფრად იქმნას მიჩნეული ისიც, რომ მაღალი ფასის ბანდეროლით იყიდებოდეს დაბალი და საშუალო ღირსების თამბაქო, რაც მეტად უფრო სახეიროა (შავი ზღვისა, 577); თამბაქოს მრეწველობის სფეროში დაუბრკოლებლად ბატონობს აშკარა სიყალბეც; დაადეს რა ზედ შესაფერისი გადასახადი და შემოფარგლეს რა მკაცრი წესებითა და მიწერილობებით, სააქციზო უწყებამ უხერხულობა იგრძნო ჩარეულიყო თამბაქოს მრეწველობის შინაგან წესის წვრილმანებში. (კურსივი ჩვენია. კ. ო.) *).

ასე, თვითმპყრობელობის სააქციზო პოლიტიკა პირდაპირ ხელს უწყობდა თამბაქოს მრეწველობის სფეროში სიყალბეს, პროდუქციის გაუარესებას, ტექნიკის ერთ წერტილზე გაყინვას და სხვა. ამითვე ხელოვნურად ბრკოლდებოდა თამბაქოს შინაური ბაზრის განვითარება, რაც უშუალოდ დალს აჩნევდა მეთამბაქო-პლანტატორების ინტერესებს. გონიერი სააქციზო პოლიტიკის გატარებით კი მრავალი სასოფლო-სამეურნეო დარგები (მევენახეობა, მეთამბაქოობა და სხვა) მიაღწევდნენ ბრწყინვალე შედეგებს. მაგრამ სწორედ ეს გონიერება აკლდა მთელ ამ პოლიტიკას ამიერკავკასიაში.

შევაჯამოთ. გადასახადები, რომელსაც იღებდა სახელმწიფო ხაზინა ამიერ-

*) შრომათა კრებული... გვ. 187. იხ. აგრედვე მეთამბაქოობაზე სააქციზო პოლიტიკის გავლენის საკითხის შესახებ. — ცნობათა კრებული ელისავეტპოლის გუბერნიის, გვ. 68 და შემდეგ.

კავკასიის გლეხებიდან, ძალიან მძიმე იყო. ქუთაისის კომიტეტი სწორად აღნიშნავდა თავის ანგარიშში:

ნიწის საკუთრების მაღალ გადასახადის გამო, რომელიც ამასთანავე დაფუძნებულია გამოცანის მსგავს სივრცის მამულეებზე და მის შემოსავალზე, ჩვენს გლეხებს თითქმის იმდენივე ზხდებოდათ, რამდენიც აქვთ შემოსავალი და არაერთადი შესახებ ზრუნობა ალარა ჰრჩებათ, გააუმჯობესონ თავისი სამეურნეო მდგომარეობა. (კურსივი ჩვენია კ. თ.)*)

ამიერკავკასიის გლეხები მოკლებული იყვნენ ყოველგვარს აშუალებას მოეგროვებინათ თანხა, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა მრეწველობის ტენიკურ გაუმჯობესებისათვის.

სააქციზო და აგრედვე სატარიფო პოლიტიკა ამიერკავკასიის რკინის გზისა უფრო მეტად აუარესებდა სოფლის მეურნეობის მდგომარეობას და აყენებდა მას მძიმე პირობებში. ფასიან კულტურების განვითარება, რომელთაც მომავლის ბრწყინვალე პერსპექტივები ჰქონდა, ხელოვნურად ბრკოლდებოდა თვითმყრობელობის ბოროტებით. ამისათვის საკვირველი არ არის, რომ ტენიკური როგრესი ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში, თითქმის არ არსებობდა. პირიქით, ბევრი დარგები მოექცნენ სიჭარბის გრძელ კრიზისში.

ამგვარად, ჩვენ საფუძველი გვაქვს თვითპყრობელობის საგადასახადო და სააქციზო პოლიტიკა ამიერკავკასიაში განვიხილოთ, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების დამაბრკოლებელი ფაქტორი.

თარგმანი ი. მქედლიშვილის

(დასასრული იქნება)

*) შრომათა კრებული გვ. 560.

ივანე მაჩაბელი*)



ეროვნული

მასალაზი გიორგრაფიისათვის გიგლიძისთვის

ქარი პირველი

თავი VI

ერთი ფურცელი მეფური ცენზურის ისტორიიდან საქართველოში

„დროების“ გამოცემის პირობების წარმოდგენა სრული არ იქნება, თუ ჩვენ არ შევეხეთ მაშინდელ ცენზურას, რომელთან ბრძოლაში დიდი ენერჯია დახარჯა ივანე მაჩაბელმა და რომლის მსხვერპლი ბოლოს გახდა გაზეთი „დროება“.

ჩვენში სრულიად არ არის გაშუქებული მეფური ცენზურის ისტორია, არ არის გაკვლეული დაუნდობელი ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდა ქართული მწერლობა ამ ასთავიან ვეშაპთან, რომელსაც არა ერთი დიდი მწერალი ემსხვერპლა.

საუკეთესო ილიუსტრაცია მეფური ცენზურის ტირანიისა არის „დროების“ ეპოპეა..

რადგან „დროება“ ერთად ერთი ქართული გაზეთი იყო, ამიტომ ცენზურას მთელი ყურადღება მაზედ იყო მიქცეული.

იგი არ ინდობდა უმწეო გაზეთს და არ ზოგავდა სასტიკ ღონისძიებებს მის წინააღმდეგ.

მაგრამ ცენზურის იერიშებს „დროების“ რედაქციაც კონტრ-იერიშებით უპასუხებდა..

ივანე მაჩაბელის დაუნდობელი ბრძოლა ცენზურასთან, არის ბრწყინვალე ფურცელი მისი მოღვაწეობისა. საცენზურო არქივში მე წავაწყდი მთელ დიდ საქმეებს „დროების“ გარშემო.

ეს დაეწეებული და დამტვერილი დოკუმენტები საუკეთესო მათიანეა ქართული პრესის.

საცენზურო კომიტეტი სისტემატიურად ჩიოდა, რომ „მაჩაბელი იჩენს ტენდენციურს, სეპარატისტულ მიმართულებას“. რომ სანებართვოდ წარდგენილი წერილები მხოლოდ სასტიკი გამოლაშქრებაა იმ ღონისძიებების წინააღმდეგ, რასაც იღებს მთავრობა სასულიერო და სამოსწავლო უწყებათა სფეროში.

*) იხ. ჟურნალი „მნათობი“ № 4.

მიუხედავად, რომ გაზეთის ასეთი მიმართულება იდეენება ცენზურის მიერ და ამნაირი წერილები შეუბრალებლად იკრძალება, გაზეთის რედაქცია განსაკუთრებული ჯიუტობით განაგრძობს განსახილველად იმავე შინაარსის წერილების გზავნას და მთლად უყურადღებოთ სტოვებს ცენზურის შენიშვნებს. რედაქციისადმი წაყენებული კანონიერი მოთხოვნებიანი შეუსრულებელი რჩება და ხანდახან უპასუხოც. ხშირად კი კომიტეტის კანცელარიაშიც წახილდება რედაქტორი მაჩაბელი თავისი უზრდელი და თავხედი განცხადებით. 1885 წ.

ა—წ. 13 თებერვალს სამოსწავლო ოლქის მზრუნველობამ აღნიშნა ის არა სასურველი გავლენა, რომელსაც ახდენს „დროება“ მოსწავლეებზედ (სამოსწავლო უწყების განკარგულებათა არა სწორი განმარტებებით და მოწათფეთა გალიზიანებით) ამისი დასამტკიცებელი საბუთია ის შემთხვევა, რომ მზრუნველის მოთხოვნისთანავე კომიტეტი შეეკითხა რედაქციას, თუ ვისი მოთხოვნისგან იგზავნება გაზეთი ხონის სემინარიაში, როცა ასეთი მოთხოვნისგან სემინარიიდგან არ არსებობს;—ამაზე რედაქციამ უპასუხა, რომ გაზეთის გზავნა სწარმოებს საეკპრო წიგნებით, რაც რედაქციის კომერციულს საიდუმლოებას შეადგენს, და რომ ასეთი ცნობების მოთხოვნა მხოლოდ სასამართლოს შეუძლიან.

საცენზურო კომიტეტი იღებს რა მხედველობაში, რომ არც მას, არც სხვა რომელიმე ორგანოს არ შეუძლიანთ შეიტყონ ხსენებული საიდუმლო რედაქციისა, დასძენს—„სრული დაჯერებით შეგვიძლია გამოვსთქვათ აზრი, რომ ვიდრე თავადი მაჩაბელი სდგას რედაქციის სათავეში, გაზეთი არ შესცვლის არც თავის მიმართულებას, არც იმ ხერხსა და საშუალებას, რომელსაც იგი ეხლა ხმარობს“...

ამის შემდეგ, ყოველივე ღონისძიების განხილვის შემდეგ, საცენზურო კომიტეტი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქმის ერთად ერთი ხსნაა:—„დროების“ რედაქტორობიდან მაჩაბლის გადაყენება. მონახულ იქნა 89 და 90 მუხლები და სთხოვეს კავკასიის სამოქ. ნაწ. მთავარმართებელს ნებართვა, რათა კომიტეტმა მისცეს წინადადება დროების გამომცემელს ქართველიშვილს, გაზეთის რედაქტორად აირჩიოს მაჩაბელის მაგივრად სხვა საიმედო პიროვნება, დაენიშნოს ვადა შვიდი დღე და თუ ამ ხანში არ იქნა წარმოდგენილი გამომცემლის მხრივ ახალი რედაქტორის პიროვნება, გაზეთის გამოცემა დაუყოვნებლივ იქნას შეჩერებული ახალი რედაქტორის არჩევამდე, და შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ დამტკიცებამდე. 2).

საცენზურო კომიტეტის საპასუხოდ 22 აგვისტოს (1885წ.) ი. მაჩაბელმა, დროების გამომცემელმა გიორგი ქართველიშვილმა და ილია ჭავჭავაძემ ბეჭდვითი საქმეთა სამმართველოს მისცეს განცხადება, რომელშიც შუამდგომლობდნენ, რათა „დროების“ რედაქტორობა მიენდოთ ი. ჭავჭავაძისათვის, მაგრამ რაკი კავკასიის მთავარმართებელს გაცემული აქვს სასტიკი განკარგულება

1) „Делая те или друга словесныя заявления, облачают их всегда в форму крайне неприличную и дерзкую.“ იხ. საარქივო მასალები.

2) კონფიდენციალური პატაკი კავკასიის სამოქ. ნაწ. მთავარმართებლის სახელზე № 368, 21 თებერვალი, 1885 წ.

დროების სამუდამო დაკეტვის შესახებ, ამიტომ კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე ამ განცხადებას მსვლელობას აღარ აძლევს და 29 აგვისტოს ი.—წ. № 1811 საიდუმლოდ სწერს ვ. პ. როგვეს:

„საჭიროდ ვთვლი ჩემი მხრით გაცნობათ, რომ ქავჭავაძისათვის „დროების“ გადაცემა ყოველად შეუძლებელია შემდეგი მოსახრებებით: თუმცა ივერიის რედაქტორად ითვლება თ-დი ი. ჭავჭავაძე, მაგრამ როგორც ცნობილია საცენზურო კომიტეტისათვის, თ. მაჩაბელი მხურვალე მონაწილეობას იღებს ამ ჟურნალის გამოცემაში და რომ ტონი და მიმართულება „დროება“-ივერიის“ საერთოდ ანალოგიურია..

თუ ივერიას, როგორც დროებას არ გამოუწვევია არავითარი მხილება ჩვენი მხრივ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ თ-დი ჭავჭავაძე ასეთ უღირსსა და შეუწყნარებელს საქციელს არ კადრულობდა „დროებასავით“ და ყოველთვის ემორჩილებოდა ცენზურის ჩვენებას და მოთხოვნილებებს; მაგრამ არ არის საეჭვო, რომ მაჩაბელი კვლავ ითანამშრომლებს „დროებაში“ და გაზეთის გადაცემა ქავჭავაძისათვის არსებითად ფიქტიური იქნება. საქმის ბატონად კი წინანდებურად, თ. მაჩაბელი დარჩება არც რაიმე საბაბი გვაქვს იმისა, რომ თ. ჭავჭავაძე რამოდენიმედ მაინც შესცვლიდეს დროების მიმართულებას; პირიქით, მათი საერთო სამსახური სათავადაზნაურო ბანკში, სადაც ქავჭავაძე თავმჯდომარეობს, ხოლო მაჩაბელი გამგეობის წევრია.—გვიჩვენებს, რომ მათი ინტერესები ერთია არა მარტო საქურნალო საქმეში და რომ სოლიდარობას ერთმანეთში ისინი არ დაარღვევენ.“..

კ. იაკიმოვი.

—პრაქტიკამ დაგვანახვა, უპასუხებს ადგ. საცენზ. კომიტ. სამინისტროს მმართველი,—რომ ერთი პირის შეცვლა მეორით არასოდეს არ იძლევა სასურველ შედეგებს, რადგან ახალი რედაქტორი რჩება მხოლოდ ფიქტიურად, ნამდვილად კი საქმეს ისევე გადაყენებული რედაქტორი განაგებს.

— ცენზურას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა აღკრძალოს მავნე ტენდენციები და მით უმეტეს თავდასხმა მთავრობაზე, ამისთვის არ არის საჭირო განსაკუთრებული ღონისძიება, უსათუოდ საჭიროა მხოლოდ სასტიკი ყურადღება ცენზურებისა განსახილველ წერილებისადმი. ისეთს გაზეთს, როგორიც არის „დროება“ ცენზურამ მაგარი ქაზრაკები უნდა მოუჭიროს.

ასეთი ქაზრაკი ცენზურისა აიძულებს გამომცემელს დიდი ზარალის თავიდან ასაცდენად, ან სულ უარი სთქვას თავის გამომცემლობაზე, ან შესცვალოს პირადი შემადგენლობა რედაქციისა.

— უკანასკნელ ხანებში შემჩნეული ტონის დაწევა მთავრობის მოწინააღმდეგე სატახტო ქალაქების უცენზურო გაზეთებისა, გამოწვეულია არა რედაქციის შემადგენლობის შეცვლით, არამედ ცენზურის გარკვეულ მოთხოვნების გამო.

ასეთი შედეგების მიღწევა მით უფრო ადვილია ცენზურის უქვედაეს გამოცემაში, სადაც თითოეული წერილი დამოკიდებულია ცენზურისაგან. აკრძალულ

წერილების შესახებ, არც ცენზორი არც კომიტეტი არ არიან მოვალენი პირადი განმარტებანი აძლიონ რედაქციას. თუ „დროების“ რედაქტორი დაბეჭდავს ნებადაურთველ წერილს, მაშინ მას საც. წესდ. 69 მუხ. ერთმევა უფლება გამომცემლობისა.

მაშინდელი ცენზორი ლუკა ისარლოვი ატყობინებს, ¹⁾ რომ „დროება“ ყურადღებას იქცევს თავისი ტენდენციური და ხევატატიული მიმართულებით. ცენზურაში განსახილველათ წარდგენილი წერილები გაქვინთილია საშინელი სიძულვილით რუსეთის წინააღმდეგ, კრიტიკით, თავდასხმით მთავრობაზე, ადგილობრივ პოლიციაზე, სასულიერო წოდებაზე და სამოსწავლო უწყებაზე.¹⁾

შემდეგ აღნიშნავს მაჩაბლის მედგარს, გაუტეხავ ბრძოლას ცენზურასთან და იუწყება, რომ 1884 წ. ცენზურამ აღკრძალა 50 წერილი, ხოლო 1885 წ. 24 ივნისამდე—32.

ამის გარდა ნებადართულ წერილებიდანაც, თითქმის ყოველდღიურად იკრძალება მნიშვნელოვანი ადგილები, რაც ცენზურის წესით არ შეიძლება ნებადართულ იქნეს დასაბეჭდათ. (Не зависимо от сего из дозволенных для печати статей почти ежедневно вымаривались ею значительные места...)

— დროების მავნე და მტრული მთავრობის წინააღმდეგი მიმართულება, მიუხედავად ცენზურის მუდმივ თვალყურისა და ზევრვისა, შენიშნულია როგორც საქართველოს ექსარხოვისგან, ისე კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველისგან.

შინაარსი ზოგიერთი „დროებას“ წერილებისა, რომლებიც აღუკრძალა საცენზურო კომიტეტმა 1884 წელს.

1) სათაურით „რა დროს ბოდიშია?“ ეს წერილი აღიზიანებს ქართულ თავად-აზნაურობას გლეხური წოდების წინააღმდეგ (აკრძალულია 25 თებერვალს 1884 წ.).

2) მეთაური წერილი სეპარატისტულ მიმართულებისა, იგი განმარტავს, რომ მხოლოდ ეხლა დაიწყო შეგნება ხალხის ძალისა (აკრძ. 8 აგვისტოს).

3) მეთაური წერილი იმავე შინაარსის, მოუწოდებს ყველა ქართველს შეერთებისაკენ. (აკრძ. 28 თებ.)

5) ლექსი „ქალწულს N“ რომელშიც რუსეთი გამოხატულია ჩრდილოელი ცივი ქალწულის სახით, რომელსაც ურჩევენ, დაანებოს ამ მხარეს თავი (აკრძ. 18 დეკ. 1884 წ.).

¹⁾ ცენზურის და კერძოდ ლუკა ისარლოვის სისასტიკეა აღნიშნავს გრიგოლ ყიფშიძე:

...„სხვათა შორის ილიას გული იმანაც გაუტეხა გაზეთზედ, რომ ცენზურა მაშინ ყოვლად სასტიკი იყო: არა თუ ცოცხალ სიტყვას, სურათიანს, ეღვარე გამოთქმასაც გზა არ ეძლეოდა, სიტყვა „საქართველოც“-კი აღკრძალული იყო.

1888 წელს, ხელმწიფის მოსვლის ხანს, უკრიფა მიზეზი მაშინდელ ცენზორს, რომლის გადამეტებულს ერთგულებას აბრალებდა ილია ასეთ სისასტიკეს და დაათხოვინა სამსახურიდან. მასუკან ჩვენმა მწერლობამ ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა... ილია გავკავადის თხზ. გედევანიშ. გამოც. XLVIII.

1885 წ.

5) ლექსი უსათაურო, რომელშიც ქართველ ხალხს მოუწოდებენ აჯანყებისაკენ (აკრძ. 2 იანვარს).

6) მეთაური: „ყოველივე ქართულის შესწავლის შესახებ საქართველოს ეროვნების აღსადგენად“ (აკრძ. 2 იანვარს).

7) მეთაური წერილი: „შემოერთებულ ქვეყნების საქართველობის სხვადასხვა სისტემები“. წერილი ეხება საქართველოს და მართულია მთავრობის წინააღმდეგ (აკრძ. 16 იანვარს).

8) ლექსი „მწყემსი“ სადაც უზრდელათ არის მოხსენებული მეფე და მისი ამაღლა (აკრძ. 30 იანვარს).

9) წერილი „ჩვენი, მაგრამ არა ჩვენთვის“ — სახალხო განათლების წინააღმდეგ (აკრძ. 13 მარტს).

10) ლექსი, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით:

„ვინა სთქვა საქართველოზე
ეგ არი ლომი კვდებაო“.¹⁾

ლექსი მოუწოდებს ქართველ ერს შეერთებულ აჯანყებისკენ. (აკრძ. 24 აპრილს).

11) წერილი სათაურით „გორის მაზრის სატრაპები“, აღწერილია მაზრის უფროსის და მისი მოხელეების მოქმედებანი. (აკრძ. 17 ივნისს).

კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარე იაკიმოვი საიდუმლოდ სწერს კავკასიის მთავარმართებელის კანცელარიის მმართველს ა. შეპელევს.²⁾

... „საჭიროდ ვცნობ განგიმარტოთ, რომ საცენზურო კომიტეტის მიერ მოთხოვნილი ღონისძიება კანონით არ არის გათვალისწინებული როგორც ცალკე და დამოუკიდებელი სასჯელი.“

1882 წლის 27 აგვისტოს დადგენილ წესებით ბეჭდვითი სიტყვის შესახებ გაზეთის დასჯა ამოიწურება რედაქციის ანუ გამომცემლის მოხსნით. რაც შეეხება შემადგენლობას „დროების“ დაკეტვის შესახებ, კომიტეტი არ აკმაყოფილებს ვინაიდან ასეთი სერიოზული ღონისძიება სრულიადაც არ შეესაბამება ასეთ უმნიშვნელო ორგანოს, ამასთანავე ეს მოვლენა საზოგადოებაში გამოიწვევს არა სასურველ სენსაციას.

გარდა ამისა, თუმცა ტფილისში არსებობს ორი ყოველდღიური გაზეთი ქართულ ენაზე, მაგრამ ამ ეამად გამოდის მხოლოდ „დროება“ და მისი შეჩერებით ქართული მკითხველი საზოგადოება დარჩება სრულიად უგაზეთოდ. ბოლოს გაზეთის გამომცემელი ქართველი შვილი ჯერ არაფერში არ არის შემჩნეული და ეფიქრობ, რომ დროების გადაცემით სასურველი პირის ხელში, გაზეთი დადგება კანონიერ ნიადაგზე, მით უმეტეს, კომიტეტმა დაადგინა გაზეთის სხვის ხელში გადაცემისას, რედაქციას მოსთხოვოს გაზეთში მოთავსებულ წერილების ავტორთა სახელების ვინაობა; ეს ღონისძიება მთავარ მმართველობის ჩვენებით ხმარებული უნდა იქნას განსაკუთრებულ შემთხვევაში; პირველ ხანებში მაინც უეჭველად იგი ლაგამს ამოსდებს კადნიერ გაზეთს...“

1) ლექსი ეკუთვნის პოეტს ბაჩანას.

2) 22 თებერ. 1885 წ. № 382. თბილისი.

კავკასიის მთავარმართებელი, გენერალ-ადიუტანტი დონდუკოვ-კორსაკოვი სწერს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველს:¹⁾

— „ა./წ. 1 მარტის თარიღით № 163-ით ვაუწყებდი სამინისტროს თავად მაჩაბელის რედაქტორობით, გამომდინარე ქართული გაზეთი „დროების“ ტენდენციურ და სეპარატივულ მიმართულებების შესახებ. და თან უთხოვლობდი მისი რედაქტორობიდან გადაყენებას. (как лица не соответствующим видам правительства и по общему направлению своих убеждений, ни по характеру литературной деятельности) ამასთანავე, რათა გამომცემელს ქართველი შვილს მისცემოდა უფლება ამოერჩია რედაქტორად სხვა საიმედო პიროვნება.

ეს ღონისძიება მე მიმაჩნდა აუცილებლად იმაზრით, რათა ქართული მკითხველი საზოგადოებისათვის არ მომესპო ერთადერთი, ყოველდღიური ქართული გაზეთი: მაგრამ თქვენმა აღმატებულებამ (ნ აპრილის თარიღით საქმე № 1213) არ ინება შესაძლებლად მისი განხორციელება როგორც დაუდასტურებელი კანონის მიერ.

ამავე დროს გაზეთ „დროების“ რედაქტორი თავადი მაჩაბელი, როგორც მომდის ცნობები, კვლავ აგრძელებს თავის მავნე მოღვაწეობას. ცენზურაში იგი არდგენს განსახილველად ისევე მავნე შინაარსის და მთავრობისადმი მტრობით გაქედნითელ წერილებს, რომელშიც მეტად სასტიკი კილოთი ნამხილვეია განკარგულებანი ადგილობრივ ადმინისტრაციული, სასულიერო და სამოსწავლო ხელისუფლების და თუმცა ასეთი წერილები შეუბრალებლად იდევნება ცენზურის მიერ მაგრამ, მიუხედავად ამისა, გადაკრულ სიტყვის ფორმაში (...в иносказательной форме...) რედაქტორი ახერხებს მათს შეპარებას გაზეთში და ამ ხასიათის წერილები და განსახილველ წრეებსა და მოსახლეობაში ახდენენ მეტად სასურველს რედაქციისთვის მავნე და გამაღიზიანებელ შთაბეჭდილებას.

მაგალითად გაზეთ „დროების“ ერთერთ უკანასკნელ ნომერში დაიბეჭდა ფელეტონი გურიის ცხოვრებიდან, რომელშიც მეტად თავხედ და სასაცილო ფორმაში გამოყვანილია ადგილობრივი უფროსის და მისი მოხელეების მოღვაწეობა—სპარსული ჰაჯი და მოლას სახელებით.

ეს ფელეტონი მეტად უხდელად და შეურაცყოფელად ეხება მაზრის უმაღლეს თანამდებობათა პირებს, ჰგმობს რა უმაღლესი ხელისუფლების მიერ მიღებულ ღონისძიებას მავნე პირებისადმი, ადმინისტრაციულ გადასახლებას საზოგადოებათა განაჩენებს; გაზეთი ადგილობრივ მოსახლეობის მასსაში ავრცელებს ცრუ ცნობებს, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას უკარგავს ნდობას და პატივისცემას:

ფელეტონს გამოჰყავს ადგილობრივი უფროსი ყაჩაღებსა და ლაქიებში და შემდეგ დასცინის კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ჩემს მიერ გამოცხადებულ მადლობისათვის.

¹⁾ От главноначальствующ. „6 августа 1885 года, № 7892 В. г. Барсе Дело № 40, 1885 г.

ასეთი მოქმედება და მიმართულება გაზეთ „დროებისა“, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასა და ჩემდამი რწმუნებულ მხარეში სთესავს უკმაყოფილებას და უნდობლობას ხელისუფლებისადმი, მაიძულებს ვითხოვო მისი შეჩერება.

რამდენად ძლიერია „დროებაში“ მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა და მავნე მიმართულება, ამას ადასტურებს ჩემდამი საცენზურო კომიტეტისაგან წარმოდგენილი მთელი რიგი წერილებისა, რომელიც შეაჩერა ცენზურამ.

ვიღებ რა მხედველობაში რომ ეს წერილები ცხადად ადასტურებენ გაზეთ „დროების“ საწინააღმდეგო მოძრაობას მთავრობისადმი და პოლიტიკურად მეტად არა საიმედო განწყობილებას რედაქციისას, რომელსაც არა სურს თავი დაანებოს, მე იძულებული ვხდები ვთხოვო თქვენს აღმატებულებას შეუფარდოთ გაზეთ „დროებას“ უმაღლესად 1882 წ. დამტკიცებული წესდება კომიტეტისა, (ტ. XIV, საცენზ. წესდ. 1883 დამტ. 52 მუხ.) ე. ი. შევაჩეროთ გაზეთი უვადოდ და ამასთანავე აეკრძალოს გამომცემელს ქართველი შვილს და რედაქტორს თავად მაჩაბელს შემდეგშიც რაიმე პერიოდულ გამომცემის რედაქტორობა ან გამომცემლობა.

ასეთი ღონისძიების ხმარება მთავარმართებელისაგან გამოწვეულია მითი, რომ ამ ორგანოს ხელმძღვანელები ჩაუდგნენ ოპოზიციაში როგორც მთავრობას საერთოდ, ისე განსაკუთრებით ადგილობრივ ადმინისტრაციას.

არასოდეს, არც ერთ შემთხვევაში გაზეთი არ ყოფილა პატიოსანი და სინდისიერი ამხსნელი და განმმარტებელი მთავრობის ანუ ადმინისტრაციის საქმიანობისა.

პირიქით, ყოველთვის არაჩვეულებრივი ჯიუტობით განაგრძობდა იგი კრიტიკას და დაცინვას ყველაფრის, რაც კი იყო მიმართული ქართული მოსახლეობის სასარგებლოდ. სამწუხაროდ, არ არსებობს მეორე, კეთილ განწყობილი ორგანო ქართულად და მაშასადამე „დროების“ ცრუ განმარტება ანუ ტენდენციური ცნობა რჩება უკრიტიკოდ, განუმარტებლად ამავე ენაზე, ამისათვის მეტად საჭიროა, რათა ქართული გაზეთი იმყოფებოდეს მთავრობის ერთგული ადამიანის ხელში და არა მისი პირდაპირი მტრების, რომელნიც არიან „დროების“ დღევანდელი რედაქტორი და გამომცემელი.

ხელს აწერს: გენერალ-ადიუტანტი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი.

სწორია: საქმის მწარმ. მაგ. ა. სამოილენკო.

ცენზურამ თავისი მაინც გაიტანა და 1885 წლის 16 ენკენისტვეს მას შეეძლო ედღესასწაულნა „დროების“ სამუდამო დაკეტვა.

შემდეგმა ტელეგრამამ პეტერბურგიდამ სამუდამოთ ბოლო მოუღო „დროებას“:—

თ ბ ი ლ ი ს ი.

ტ ე ლ ე გ რ ა მ ა / 102822

„კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს. 52 მუხ. საცენზურო წესდების 4 მუხ. ცნობების დანატების ძალით 1883 წლის განმავლობაში გა-

ზეთ დროების გამოცემა სამუდამოთ შეჩერებულია და გთხოვთ სათანადო განკარგულების გაცემას*.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველი სტატს-სეკრეტარი დ. შ. რ. მ. გ. მ.

1885 წ. 16 ენკენისტვეს
პეტერბურგი.

„დროების“ დაკეტამ შემზარავი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ საზოგადოებაზე.

ეს როდი იყო უბრალო ფაქტი, გაზეთის უბრალოთ დაკეტისა. ეს იყო ლიკვიდაცია ერთადერთი ქართული ტრიბუნისა, რომელიც ყოველდღიურად აღვიძებდა საქართველოს.

ამიტომ გასაგებია ის დიდი გულისწყრომა ქართული საზოგადოებისა, ის მრავალი თანაგრძნობის წერილები რედაქციის სახელზედ მოსული არა მარტო საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან არამედ რუსეთის და ევროპის ქალაქებიდანაც კი...

აი საილიუსტრაციოდ მოყვანილი პროტესტი მაშინდელი სტუდენტობისა:

*14 ენკენისტვეს ტელეგრაფმა მოგვითხროს შემადრწუნებელი ამბავი. ერთადერთი საქართველოს გაზეთი დაგვიხურეს.

თავისი ოცი წლის პატიოსნურ სამსახურში ჩვენის სამშობლოსთვის, „დროებამ“ მოიპოვა იმისთანა სიყვარული და პატივისცემა საქართველოს დიდიდამ პატარამდის, რომ ჩვენ ვერც წარმოგვიდგენია მისი დაკარგვა. ჩვენ, აქ ქართველი სტუდენტები, ვუერთდებით დღეს თქვენ და საზოგადოთ საქართველოს მწუხარებას და გულწრფელად ვივსებით ზიზლით და მძულვარებით მათდამი, ვისაც ჩვენი დაჩაგვრა მიზნათ აუღია.

მაგრამ იცოდენ მტარვალეებმა, რომ რათაც უნდა უფრო მაგრათ მოგვიჭირონ ხელი, მათ აღარ შეუძლიანთ სამუდამოთ დააძინონ ჩვენი სამშობლოს ნელი აღორძინება, გაღვიძება; საქართველოს ძარღვმა დაიწყო მაგრად ცემა და მისი გაჩერება აღარ შეუძლია ჩვენი მტარვალეების უქაზებს და დადგენილებებს.

„დროებას“ დიდი შრომა, ღვაწლი მიუძღვის ჩვენი სამშობლოს აღორძინებაში, — ყველა ჩვენი პოეტები, ლიტერატორები და საზოგადო მოღვაწენი იღებდენ მასში მონაწილეობას.

დიდება თქვენ და მათ, რადგან ამ დიდს შრომაში არაფერ დაბრკოლების წინ არ დაწეულხართ და არც აწ დაიწევით.“ ხელს აწერს 29 სტუდენტი, რომელთა შორისაც არიან:

გიორგი ლასხიშვილი, ხომლელი (რ. ფანცხავა) ი. ოცხელი, ლ. ანდრონიკაშვილი, ვასილ წერეთელი, კ. მესხი, იას. ლორთქიფანიძე, ივ. ელიაშვილი და სხვები.

„დროების“ დაკეტვით აღშფოთებული პეტერბურგის სტუდენტობა მიმართავს მაჩაბელს:

„ამ მოულოდნელი ამბის გაგონებამ თავზარი დაგვცა.

„დროება“ იყო ერთად ერთი გულშემატკივარი და პატრონი მკვდარ-ცოცხალი ცხოვრებისა, მისი ინტერესების და წარმატებისათვის გულწრფელი და პატიოსანი მეზობელი. უბედური დღის სიმწარე საშინელის სამსაღრთ გვიშხამავს მთელს არსებობას. კერძოთ ჩვენ ყოველდღიური ხმა სამშობლოდამ, ჩვენი ერთგული შიკრიკი—ეს უკანასკნელი ნუგეშიც წაგვართვეს. მაღალდონის სიკვდილმა დღეს სამუდამოთ მოგვისპო „დროება“ მაგრამ ჩვენ სწავლივართ, რომ მომავლისადმი იმედის დაკარგვა—ვინუგეშებთ, რომ „დროების“ სახელის წარხოცით არ გაქრება ჩვენში ის არსი, ის მიმართულება და სანატრიონი, რომელიც „დროების პატიოსან მუშაკებს ამხნევებდა...“ ხელის მომწერთა შორის არიან: ექვთიმე თაყაიშვილი, იას. ლორთქიფანიძე, მ. მღვდლი-შვილი, ი. გუნცაძე, ივ. გურიელი და სხ.

პუბლიცისტი ა. ნანეიშვილი ქ. ომსკიდან: სწერს ი. მაჩაბელს.

„დროების“ მოსპობა ომსკში გავიგე, როცა აქეთ მოვდიოდი, და მართალი ვითხრა, სწორედ რომ თავს ზარი დამცა ამ ამბავმა. რა შეურიგებელი სიბრაზეა, რა უსამართლობაა, რა სიძულვილია ამისთანა, რომ არავითარ აზრს არ შეიწყნარებენ. ნეტავი რა გავლენა იქონია მაგ ამბავმა ჩვენს ინტელიგენციაზე: ჩემის აზრით მაგ ფაქტს დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენთვის. შენი მდგომარეობა ამის შემდეგ სწორედ რომ ძნელი წარმოსადგენია. ერთად ერთი გაზეთი გექონდა და იმის მოსპობის შემდეგ თითქო სრულიად ფეხქვეშ ნიადავი დამეკარგა; რადგანაც მის შემდეგ მომესპო საშუალება თვალყური მედევნებინა ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობისთვის...“

შემდეგი იტყება.

ბიბლიობრაფია

საქართველოს
საბჭოთაო კულტურისთვის

იპ. ვართაგავა. — მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება. (კრიტიკული განხილვა)
ტფილისი, 1928 წ.

მხატვრული კრიტიკა ჩვენში, სამწუხაროთ, საკმაოდ მოიხუსტებს. ვინმე თუ შეეცდება საერთოდ ჩვენი მხატვრული ლიტერატურის პროდუქციის გამომანგარიშებას კრიტიკულ ნაწარმოებთა გამოცემის თვალსაზრისით, შეეცდება უსათუოდ. მხატვრული ლიტერატურა ჩვენში გაცილებით ძლიერია კრიტიკულ ლიტერატურაზე. აქ თუ პროპორცია არსებობს, უსათუოდ პროპორცია არა პირდაპირი. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი კრიტიკული აზროვნების სისუსტის ნიშანია უსათუოდ. კრიტიკა ხომ აუცილებელია მხატვრულ ლიტერატურისათვის. კრიტიკა გზის მაჩვენებელი ვარსკვლავია მხატვარ-ხელოვანისათვის. და განა კრიტიკის სისუსტე უბედურება არაა მთელ მხატვრულ ლიტერატურისათვის საერთოდ და, კერძოდ, ამ ლიტერატურის მკითხველებისათვის... ფაქტი ფაქტად რჩება და ჩვენც გვიხდება მხატვრულ კრიტიკის შედარებითი სისუსტის აღნიშვნა.

რასაკვირველია, ეს გარემოება დროებითი მოვლენაა. მას არ აქვს პრინციპიალური საფუძველი. ცხადია, დღეს თუ არა ხვალ არსებული დისპროპორცია, თუ შეიძლება ითქვას — ლიტერატურული მაკრატელი — შეიცვლება და კრიტიკა არ ჩამორჩება შემოქმედებას. ამის ნიშნები საკმაოდ სიცხადით მოსჩანს.

იპ. ვართაგავას იცნობენ ჩვენში. ერთ დროს ვართაგავა კრიტიკოსთა რიგებში ითვლებოდა და, წარმოიდგინეთ, არც მაინცდამაინც დიდათ უმნიშვნელო ადგილი ეჭირა ამ რიგებში. ეს იყო მენშევიკურ ლიტერატურულ საქართველოში. იპ. ვართაგავას ტიპის კრიტიკოსები კმინდენ მაშინ მხატვრულ კრიტიკის ამინდს ჩვენში. ივ. გომართელი, ვ. ხუროშე და იპ. ვარ-

თაგავა — აი ისინი, რომლებიც სცდილობდნენ მხატვრულ კრიტიკის მესვეურობას. საინტერესოა, ვინ ჩამორჩა კრიტიკოსობას, ვის უფრო დაუჩლუნგდა კალამი დროთა ტრიალის შედეგადად? ვფიქრობთ, აქ გარჩევა ძნელია, შეიძლება არც იმდენათ დიდ განსხვავებას ქონდეს ადგილი. ძველი ტიპის კრიტიკოსებისათვის ერთნაირი გამოდგა ჩვენი ეპოქა, თანამედროვეობა. ამისი ილიუსტრაციაა სწორედ იპ. ვართაგავას „კრიტიკული განხილვა“ მიხეილ ჯავახიშვილის ლიტერატურულ შემოქმედებისა.

იპ. ვართაგავას შერჩენია წერისა და კვლევა-ძიების ძველი მანერა. აქ წინსვლას არ აქვს ადგილი. მასწავლებლური, პედაგოგიური გადახრები ვერ მოუცილებია ვართაგავას. ეს გადახრა, რასაკვირველია, უარსაყოფი არაა, მაგრამ არც ისაა კარგი, თუ ეს გადახრა უკიდურესობამდე დაყვანილი და რთული პრობლემები ელემენტარულადაა გადაჭრილი. იპ. ვართაგავას აუდიტორია უფრო მოსწავლე ახალგაზრდობაა უმეტესად, კინემ მკითხველების მომზადებული კატეგორია. არ ვამბობთ, ეს მდგომარეობა უარსაყოფია. სრულებითაც არაა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ეს მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი არაა და ავტორის „კრიტიკული განხილვა“ ღრმა, საფუძვლიან კრიტიკის მოსმენის წყურვილს ვერ გვიკლავს. აი რაში უნდა ვეძიოთ იპ. ვართაგავას ნაკლები პოპულარობა კრიტიკულ ლიტერატურის ასპარეზზე.

იპ. ვართაგავას ნაშრომი „მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება“ კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ ჩვენ ცამდე მართალი ვართ, როცა იპ. ვართაგავას, როგორც კრიტიკოსს, ასე ვახასიათებთ. თუ ვიგულისხმებთ, რომ ეს ნაწარმოები მოსწავ-

ლე-ახალგაზრდობისათვისაა დაწერილი და არა საჯარო კრებებზე წასაკითხავათ, ცხადია, საუბრის ფორმითა, სხეანაირი იქნება. მაგრამ საქმეც იმაშია, რომ ავტორი უპრეტენზიო არ არის და „კრიტიკულ განხილვის“ ბეჭედზედაც უარს არ აცხადებს. საქმეც ამაშია სწორედ. ავტორს განუზომელი სურვილი აქვს ღრმა კრიტიკის შთაბეჭდილება დასტოვოს და შეეხოს ისეთ საკითგებს, რომლებიც აქტუალურათ ითვლება ჩვენს ლიტერატორაში. უნდა ითქვას ავტორის სასარგებლოდ, ასეთი საკითხები მართლაც წამოყენებულია, თუმცა ძალიან მკრთალად და არა მთელი თავისი ძლიერებით. ეს აიხსნება, ალბათ, იმ გარემოებით, რომ ავტორს აუღია შეტად ლმობიერი ტონი, საერთოდ ისეთი კილო, რომელიც „განუჩვეულ“ კრიტიკოსს აბასიათებს: ითქვას ისე, რომ არაფერს ეწყინოს, ე. ი. არც ხორცი დაიწვას და არც შამფური. ასეთი მეთოდით დღეს ძალიან ძნელია შეიძლება შეუძლებელიც, მნატურული კრიტიკის სიმკვეთრის შენარჩუნება, კრიტიკის სათანადოთ გამაზვიანება. ერთ გარემოებას აღნიშნავს იმ. ვართაგავა. ავტორი აყენებს დებულებას:

შემჩნეულია, რომ ქართველი მწერლის დებიუტი, სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, საზოგადოთ, პირველ პერიოდის მისი მოდვაწეობა უფრო ძლიერია... ვინემ შემდეგ პერიოდის მისი შემოქმედება, ჩვენი მწერლების — პოეტების, ბელეტრისტების, კრიტიკოსების და პუბლიცისტებისაც კი — ნიჭა ერთს მაშხალასავით საამოთ, ლამაზათ, ფერადოვნათ იფეთქებს, განათებს, და შემდეგ უცბად მაშხალასავით ქრება და იფერფლება.

ავტორი ამ „დებულებას“ საერთო კანონათ აღიარებს, თუმცა იძულებულია „პატარა“ შესწორება, „პატარა გამონაკლისი“ გააკეთოს: „ძველ მწერლებში“ გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ გ. ბარნოვი და ანასტასია ზომტარია — ერისთავისა“. დღეს კი ასეთი ბედნიერი გამონაკლისია თურმე... მიხეილ ჯავახიშვილი! „გამონაკლისათ, ამ საერთო მოვლენაში, ჩვენ მიგვაჩნია მხოლოდ მ. ჯავახიშვილი“-ო, აცხადებს ავტორი. სწორია თუ არა ავტორის დებულება იმის შესახებ, რომ ქართული ლიტერატურა, ქართული მწერლობა მაიმუნის მსგავსად ვითარდება: მაიმუნის ცხოვრების პირველი „პერიოდი უფრო ძლიერია“, ვინემ შემდეგი. რაც უფრო ახალგაზრდაა მაიმუნი, მით უფრო ჭკვიანია და „შე-

მომქმედი“, რაც უფრო ხანშია შესული — მით უფრო იფიტება და ჭკუა ეკარგება მას, ნუ თუ ასეთია ჩვენი ლიტერატურა და მწერლობა? მაგრამ ამის გამორკვევა ჩვენ ხომ ვერ შეგვიყვანს. ეს სპეციალური თემაა. ავტორის დებულება საინტერესოა, როგორც საკითხის დაყენება, ახალი „პრობლემის“ წარდგენა. მაგრამ უფრო საინტერესოა მისი განხილვა, რით ხსნის იმ. ვართაგავა იმ გარემოებას, რომ „ჩვენი მწერლები ჩვეულებრივ, ბუნებრივად არ იზრდებიან, არ ვაუჯაუდებიან?“ ეს ხომ წინააღმდეგია ბუნებისა და ბიოლოგიის, ძველათ მწერლები ჩაბმული იყვნენ სხვადასხვა სამსახურში ლუკმა-პურისთვის. მღვდელი მელანია თურმე ამიტომ — მხოლოდ ამიტომ! — ყოფილა „ანათორაში გახვეული და „ძველი ალექსანდრეს ბაღის“ სამხედრო ტაძარში სლავიანურ ПОЕИ ПОЕИ-ს“ გაიძახოდა!“ (მგონი, ქათმებსაც არ ეყოფათ ეს სასაცილოთ!). საწყალი „ბნელოს“ ავტორი... ანდა აიღეთ ლალიონი. ისიც „სასწავლებლის ოთახში გაბუნებულა“ და საკვირველია, როგორ მოახერხა მან ბელეტრისტობა. ეს იყო ძველათ, მეფის რეჟიმის პირობებში. „დღეს? დღეს აღნიშნული მიზეზები რადიკალურათ შეცვლილია“. საქართველო „თავისუფლად სცოვრობს თავისუფალ მეზობელ ერების თავისუფალ კავშირში“. სხვა დრო დადგა მწერლისათვისაც. „დღეს ვინც იბეჭდება, ის აუცილებლად კარგ ჰომორარსაც ღებულობს“. მაგრამ მაინც ძალაში რჩება იმ. ვართაგავას უძველესი კანონი: „არც ერთ უზრუნველყოფილ პოეტ-მწერალსაც არ ემჩნევა ნიჭის ზრდა და განვითარება“ რას იზამთ, ადამიანი მაიმუნის მემკვიდრეა და ამ მემკვიდრეობის შედეგი მთელი სიმწვავითა და სისავესით ჩვენს მწერლობას აწევს მხარზე. თუ ძველი „მიზეზი რადიკალურათ შეცვლილია“, მაშ რათ არ შეიცვალა შედეგი?

საქმეც ამაშია! მიზეზი შეიცვალა, მაგრამ დარჩა „რალაც“ უცვლელი, რომელიც არავითარ ცვლილებას არ ემორჩილება. ეს რალაც გაბლავთ.

„ჩვენი — ქართველების — ძირითადი ტემპერამენტის თავისებურება, რომელიც საერთოდ მეღაფნდება აფექტიურ ალგხნებაში, ინტენსიური, მაგრამ ხანმოკლე, შემოქმედებითი ძალების დაკიმვანი, ჩქარ ფსიქიურ რეაქციაში... და ბოლოს გადანეტებულ, გაზვიადებულ თავმოყვარეობაში“. (კურსივი ჩვენია. 5).

წმინდა წყლის მეტაფიზიკაა ეს. უაზრო ბოდვაა და მეტი არაფერი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, არც ავტორს გაეგება ეს ფრაზები. იპ. ვართაგავა ერთ დროს „მარქსისტულ კრიტიკოსობას“ ჩემულობდა. აქ კი ასპროცენტიანი იდეალიზმია, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან, ფაქტებთან. ქართველების ტემპერამენტის—ისიც ძირითადის—თავისებურება, აფექტიური ალგზნება და სხვა „ზნეობა“—აი თურმე ქართულური თავისებურების ცინე-სიმაგრე, ნიადაგი, რომელიც „უცვლელად რჩება და იძლევა უცვლელ სახეობას“. ყველაფერი ეს უაზრობაა, თუ სხვა მაგარ, უფრო შესაფერ თერმინზე არ შევჩერდებით.

აიღეთ, მაგ., რომანის პრობლემა. იპ. ვართაგავა სიმწარით აღნიშნავს, რომ „ჩვენ გვაქვს მხოლოდ რომანის ჩანასახი, ისიც მოცუბული ძველი მწერლებისაგან“ (აქაც გამოიყენება—მ. დადიანის „უბედური რუსი“). ამას მიუმატეთ რედაქციების საკითხი. მხოლოდ ილიას გააჩნია, თავის თხზულებათა რამოდენიმე რედაქცია. დანარჩენებს სჭარბობს „აფექტიური ალგზნება“, განიცდიან „ჩქარ ფსიქიურ რეაქციას“. ამიტომაც მათ უბრალო დედანიც არ გააჩნიათ, შავათ ნაწერი, ტოლსტოი და პუშკინი! ისინი ხომ წლებების განმავლობაში სწორდნენ! მთიგონეთ „Война и Мир“, ან და „Евгений Онегин“. რამდენჯერ „გადაუთეთრებიათ“ ეს უკვდავი ნაწარმოები მათ ავტორებს; რამდენ წელიწადს იწერებოდნენ ეს ნაწარმოებნი! იპ. ვართაგავა იგონებს ყოველივე ამას და ჯაფრობს, რატომ არ არსებობს დღეს, რატომ არ არსებობს „რედაქციები“, რომანები და ესკიზებმა აგვიკლო ასე დაუზოგავათ!

რასაკვირველია, ჩვენ არ ვუარყოფთ დიდ რომანებს. არც მათ მნიშვნელობას ვამცირებთ არ ვუარყოფთ „რედაქციების“ საქიროებას, რაც გულისხმობს მეტ მუშაობას ნაწარმოებზე, მაშასადამე—ღირსების ხარისხის ამაღლებას. ამის წინააღმდეგი ჩვენ არ ვართ და არც ვიქნებით. მაგრამ ჩვენ ძალიან შორსა ვართ იპ. ვართაგავას „ისტორიოსოფიისა“ და სანტიმენტალიზმისაგან. დავსვათ საკითხი სერიოზულათ: განა შეიძლება ისე წერა დღევანდელ ეპოქაში, —რკინისა და ელექტრონის, რადიოსა და ჰაერობლანების საუკუნეში, როგორც სწორდნენ ნახევარ საუკუნის წინეთ? ლერმონტოვის „Демон“-ის

ბუთი რედაქცია აღმოჩნდა. საკვირველია, რატომ არა მეტი? „Евгений Онегин“ შვიდ წელიწადს იწერებოდა, რატომ არა ათს და მეტს? მაშინდელი იდილიური ცხოვრება და დღევანდელი რადიოსა და რადიოს ეპოქა განაგრძობს იგივეა? დღეს წუთებით იზომება ისტორია, მოსკოვიდან ტფილისამდე შვიდ თვეს მოდიოდნენ რუსი მოზღუნენი. ახლა კი სამი დღეც აუტანელად მიგვანინია და კავკასიონის ქედს ვემუქრებით ჰაერონიმოსელისათვის. ცხოვრება შეიცვალა ძირიანათ. შეიცვალა „ფსიქიური რეაქციაც“. სხვანაირია ჩვენი მოთხოვნილება. ალბათ, „Война и Мир“-ს არც ისე ხალისით წაიკითხავენ დღეს ასეთი ნაწარმოები არც ისე იოლად დაიწერება. დრო არ ითმენს ამას. მაშასადამე, მიხეზი „აფექტიური ალგზნება“ როდია, როგორც ეს იპ. ვართაგავას ჰგონია. მიხეზი სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებში მდგომარეობს ისტორიის ჩარხის ტრიალში. იპ. ვართაგავა ტყუილა ატუზულა ამ ჩარხის წინაშე. საშიშია, ცხვირი არ მოხვდეს, დაიმტვრევა უსათუოდ...

ძლიერ გვწყურია ამ თემაზე საუბარი, გარეზობა არ გვაძლევს საშუალებას. ვფიქრობთ, შეიძლება ამითაც დაკმაყოფილება. ცხადია, იპ. ვართაგავა საინტერესო კითხვებს აყენებს, მაგრამ მეტად თავისებურად, „აფექტიურ ალგზნებით“ სწყვეტს მათ. სამწუხაროთ, იპ. ვართაგავას „კრიტიკულ განხილვაში“ ჩვენ ვერ ვპოვეთ ვერც ერთი სხვა საკითხი, რომელიც შესაძლოა ყურადღების საგანს წარმოადგენდეს. თუ გინდ—საკითხის წამოყენების თვალსაზრისით მაინც მხოლოდ არის კიდევ ერთი „აქტუალური“ საკითხი, რომელსაც ავტორი აყენებს „მის. ჯავახიშვილის შემოქმედების“ „კრიტიკულ განხილვაში“. ეს არის „ზედმეტი ადამიანების“ საკითხი ქართულ ლიტერატურაში. იპ. ვართაგავა ფიქრობს, რომ „ზედმეტი ადამიანები“ წმინდა რუსული მოვლენაა და ჯავახიშვილი შეეცადა ასეთ ტიპების გადმოქართულებას, რაც ვერ გამოუვიდა და მარცხით დამთავრდაო. აქ ლაპარაკია „ჯაცოს ხიზნების“ ერთ-ერთი გმირის—თეიმურაზის შესახებ, „ობლომოვის“ ტიპი ჩვენ მოგვცა ილიამ „კაცია-ადამიანში“. „რუდინის“ ტიპს (განსხვავებით, რასაკვირველია) იძლევა მის. ჯავახიშვილი. იპ. ვართაგავა გაჭყვირის ქუდ-მოვლუჯილი: „თეიმურაზი“ სისხლისსისხლთაგანი“ და „ხორცი-ხორცთაგანი“ უცხო ტომის, რუსის ხალხის“. რუსეთის „Лышние

„აი ვინ არიან თეიმურაზის ნათესავეები და მისი ჯიშის ხალხი“. ჩვენ სხვა ვართ, ჩვენში ასეთი ხალხი არ ყოფილა, არც შეიძლება ყოფილიყო! ცხადია, ასეთი „არგუმენტაციით“ სრულებით ვერ გვარწმუნებს იპ. ვართაგავა თვის „ორიგინალურ“ მოსაზრებებში და მკითხველს სრული საშუალება ეძლევა ავტორის „საბუთები“ არა დამაკმაყოფილებლად მიიჩნიოს.

სამაგიეროთ, თურმე, „შეიძლება ჩაითვალოს საკმაოდ დიდი ჯგუფის წარმომადგენლად“, ე. ი. ტიპათ. პირიქით! აქ ავტორის მსჯელობა აშკარაა „ტუნდუნციაა“, ვინემ სალი კირიტიკა...

როგორ აფასებს იპ. ვართაგავა მიხ. ჯავახიშვილის? ამ შეფასებაში მართლაც აშკარათ სჩანს „ქართველური თვისება“—პირფერობა. „ჯაყოს ხიზნები“ ყოველგვარ ღირებულებას მოკლებულია, მაგრამ დანარჩენი ნაწარმოებნი— „სპეციფიური ნიკის პატრონს“ მიეკუთვნება. ერთი მაგალითი მხოლოდ. „ხუთის ამბავი“ ვართაგავას საუკეთესო ნაწარმოებათ მიიჩნია. რატომ? იმიტომ, რომ ეს მოთხრობა წყალს ასხამს კრიტიკოსის წისკვილზე. ვართაგავას აქ მოსწონს იდეა, აზრი. რა არის ის? მოვუსმინოთ ავტორს.

მემკვიდრეობის კანონის მეცნიერულის ცოდნით (დააკვირდით ეპიტეტებს, ქათინაურებს. S) და მხატვრულის გაშუქებით მიხ. ჯავახიშვილი ამ მოთხრობაში აგვიწერს იმას, თუ როგორის თანდათანობით იღვიძებს გადარუსებულ ქართველში ეროვნული აღლო, ნათელყოფს იმას, თუ რამდენად ძლიერია ადამიანში, მემკვიდრეობით ჩაბეჭდილ-ჩანერგული სიყვარული მიწა-წყლისა, წარსულ ცხოვრებისა და მამა-პაპათა ღვაწლისა, გაუზვიადებლად აგვიწერს ისეთი ქართველის სულიერ ტრალიზმს, რომელიც სისხლით და ხორციით ორ მესამედათ გარუსებულია, მაგრამ რომელსაც, მიუხედავად ამისა, უძლეველ სურვილად და მისწრაფებად გადაქცევია თავისი უკვე მოშლილი და მხოლოდ მიწისათვის გამოსადეგი სხეული გადავიწყებულ სამშობლოში მიიტანოს და იქ დაიმარხოს მამა-პაპათა სავანეში.

აი აქ ობიექტიურათ გადმოგვცემს იპ. ვართაგავა მიხ. ჯავახიშვილს „ხუთის ამბავის“ ძირითად იდეას. ეს იდეა იზიდავს კრიტიკოსსაც და ამიტომაც არის, რომ „რთული და იშვიათად ორიგინალურია კომპოზიცია „ხუთის ამბავისა“ რა არის „ხუთის ამბავში“

იშვიათად ორიგინალური? კომპოზიცია? არა, ეს ყალბი აზრია. გადაიკითხეთ ემაჟინიზმის მეთაურთაგანის—ქიულ რეშენის „თეთრი ღვინო ლა-ვილეტისა“ და აქვენი დინახავით, რომ „ხუთის ამბავის“ კომპოზიცია იგივეა—სავსებით იგივე.—რაც „სამის ამბავის“ კომპოზიციაა, რომენის მოთხრობაში! აქვს ჩემს განხილვას ძლნიშნავს, რომ მიხ. ჯავახიშვილი ფრანგული განათლებითაა დამძიმებული და განა ქიულ რომენის მიბაძვა გაუჭირდებოდა მას? „ხუთის ამბავში“ არაფერია ორიგინალური. ის ორიგინალურია იპ. ვართაგავასთვის, რადგან ამ მოთხრობის დედა-აზრი—მართლაც „ორიგინალურია“ იმ მხრივ, რომ ის ახასიათებს მიხ. ჯავახიშვილის მთელ შემოქმედებას. ეს გახლავთ ჯავახიშვილის შემოქმედების გასაღები, დანარჩენი „მიტმასნებულია“, როგორც იტყვიან ხოლმე.

ჩვენ ვეთანხმებით იპ. ვართაგავას, როცა ის ამბობს:

„ჯერ ჩვენ ვერ ვხედავთ მწერლის შემოქმედებაში ცდას (გარდა „თეთრი საყულო-სი“) მოგვცეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე ეპოქის, ქართველი საზოგადოების რომელიმე კლასის წოდების ობიექტიური, მთლიანი, ფართე და ღრმა დახასიათება-ანალიზი“.

სიმართლეს არაა ეს მოკლებული. „ღრმა ანალიზი“ „საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე ეპოქის“ მიხ. ჯავახიშვილის არც ერთ ნაწერში არ სჩანს. საკითხია, არის კი იმედი, ასეთი ანალიზისა მომავალში მაინც?.. იპ. ვართაგავას აქვს ამის იმედი. ჩვენ აქ გზას მივცემთ მას, არ შევეცილებით.

ნაყოფიერი მწერალია დღეს მიხ. ჯავახიშვილი. მაგრამ ნაყოფიერებაც არის ნაყოფიერებაც. იპ. ვართაგავამაც იცის, რომ „ხშირად ნაწერის რაოდენობა არ უდრის მის ღირსებას“. შეიძლება თუ არა ეს უდაო დებულება მიხ. ჯავახიშვილზე განხორციელდეს? არა, გვეუბნება ვართაგავა. მიხ. ჯავახიშვილი ყველაფერში „საბედნიერო გამონაკლისია“ ქართულ ლიტერატურაში.

„ჩვენი მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შრომის ინტენსივობა, დაწერილი გვერდების რაოდენობა უკუღმა პრობორციული არ არის მის ღირსებასთან. ვერც ერთ მის ნაწარმოებში თქვენ ვერ შეამჩნევთ აჩქარებას, სიტყვების, ფრაზების,

ბის ფონზე გაშლილი. აქ რელიეფიურად მოცემულია კაპიტალიზმის შემოქრის პირველი შედეგები. ამ პატარა მოთხრობის უმთავრესი და ერთად ერთი მომქმედი პირებია ქალაქელი ბოსიაკი ჩელკაში და სოფლიდან გადმოხვეწილი გლეხი გაბრიელი. მათი სახით ერთმანეთს დაპირდაპირებულია ქალაქი და სოფელი. ჩელკაში უფრო ნაკლები მეშინია, ვიდრე გაბრიელი. მას ამ ცხოვრებაში ბედნიერება არა სწამს. ის ასეთ ბედნიერების მაძიებელთ მწარედ დასცინის. გაბრიელს ორიოდე გროშის შოვნა გაუხდია თავის ცხოვრების მიზნად. ის თითქოს არის უახლოვდება ამ ბედნიერებას. მას ჩელკაში ერთ ქუთრობაში გაიჩვენს. საქმე წარმატებით სრულდება. ნაპარაფი ნივთები გასაღებულია. გაბრიელს ბედნიერების წუთები აკანკალებს. გლეხური სიხარბე ერევა. ნუთუ სინამდვილეა! ნუ თუ ის ფულიანია, ბედნიერია! ვერ მაღავეს თავის გაუმადლობას, გლეხური გულწრფელობით „წამოსცდება“ მას:—მოკვლა განვიზრახე შენი ქონება რომ დამრჩენოდაო. ჩელკაში მიცემულ ფულს ხელიდან მოსტაცებს. გაბრიელი ქვას ესვრის. თავდარეტიანებული ჩელკაში ფულებს მიაყრის. აქა ბოსიაკები ბოსიაკებად კვდებიან, ბოსიაკებად რჩებიან. ცხოვრების განვითარება, მაღალ საფეხურზე გადასვლა აღარ სჩანს.

„ა და მ ი ა ნ ი ს და ბ ა დ ე ბ ა“ ბოსიაკების ცხოვრების ფონზე გაშლილი ძალიან პატარა მოთხრობაა. ამ პატარა მოთხრობის ცენტრი ბუნებისადმი ტრფიალია უფრო, ვიდრე ადამიანის დაბადება. ბუნების სიმშვენიერე, მომზიბლავობა მას ავიწყებს ამ ქვეყნიერ ვაებასა და გაჭივრებას. ამ პატარა მოთხრობაში ჩაქსოვილია ავტორის უდარდელიობა, ზოგჯერ ობივატელობამდი დასულიც კი. ის არაფრად აგდებს ცხოვრების დროგამოშვებით დამძიმებას. ეს დიდხანს არ გრძელდება. ზოგჯერ მხეც კი მოწყენით შესცქერის ხალხს; დიდი შრომა გასწია, მაგრამ კაცუნები კი გამოუვიდა. ის ამ ცხოვრებაში მრავალს კარგს ხედავს. საჭირო რეცეპტსაც იძლევა, მათი შეკვთება გადაკეთების შესახებ. მომავალი აბსტრაქტიულ-განყენებულია. ყველაფერი გასწორდება, ყველაფერი გაკეთდება თავისთავად. ბრძოლის პერსპექტივები არ სჩანს. მუშათა მოძრაობამდე ვერც ეს ნაწარმოებია განვითარებული.

სახელგამის მოთხრობათა კრებული შეიცავს რამდენიმე ლექსს პროზათ. გრიგალის სიმღერა, შევარდენის სიმღერა და სხვა წვრილი

მოთხრობები ალგორიულ ფარმებში თავისუფლებისადმი სიმღერაა. აქვეა მოთავსებული გორკის ერთი ავტობიოგრაფიული მოთხრობა „პირველი სიყვარული“. ეს საერთოდ მოზრდილი მოთხრობაა. გორკისეული ნიშნულობით დაწერილი. მთავარი მხმქმები პირი ავტორია. ეს მოთხრობა ცხოვრების ხაზს ეკუთვნის. ბოლესლავსა და მის ოჯახში შეიქრება ავტობიოლესლავი ხნიერია. ქალი ახალგაზრდა. პარიზში ნაცხოვრები ხალხია. ბოლესლავი სოციალურ საკითხებში ერკვევა. ის დილექტანტია თუმცა თავი ღრმა მცოდნედ მოაქვს. იოლად მსჯელობს რუსეთის და საზღვარგარეთის რევოლიუციონურ წრეების მუშაობის საიდუმლოებაზე. მასთან მართლაც დადიოდენ საიდუმლო ადამიანები. ტრადედიის აქტიორებსაგით რომ ეჭირათ თავი. ეს იყვნენ ხალხოსნები. ცოდნას იძენდენ, რათა ფართო მასაში უანგაროდ დაენაწილებიათ შემდეგ. ბოლესლავი წარმოდგენილია თავისი ფილოსოფიით. პირველად ბავშვს უნდა ჩაუნერგოს სინამდვილესთან დამოკიდებულების პრინციპები და შექდეგ თვით სინამდვილეო. ეს სუბიექტივიზმია, იდეალიზმი. აქ უარყოფილია ცხოვრების ზეგავლენა.

მოთხრობის მსვლელობაში ბოლესლავი კვდება. ავტორი მის ქალს ირთავს. ოჯახური ცხოვრების პროზა. ერთმანეთის გაგება, მაგრამ სხვადასხვაობა. ქმარს სხვანაირად ესმის ცხოვრება, ცოლს სხვანაირად. ცოლისათვის ცხოვრება უბრალო და უხეშია. არაჩვეულებრივი აზრის ძიებით არაა საჭირო მისი გართულება. სჭირია მხოლოდ სწავლა უხეშობის შემსუბუქებისა. ცხოვრებაში ამასე მეტს ადამიანი ვერ მიახწევს. მან ინსტიტუტში შეიძინა ასეთი ნიჭილისტური აზრები ცხოვრებაზე. მოპირდაპირე ანტიპოდს წარმოადგენდა ქმარი. არც ლიტერატურულ გემოვნებაში ერთდებოდენ ისინი. ავტორი ბალზაკს და ფლობერს კითხულობს. ცოლი კი მსუბუქ რომანებს. ბოლოს ერთმანეთს გასცილდებიან. დედაკაცსა და მამაკაცს წორის ურთიერთობის საკითხში ავტორი მოთხრობის დასაწყისში რომანტიკოსობს. მის ამ რომანტიკოსობაზე ცოლი მოზდენილად უპასუხებს:—თქვენ ქალიწვილიდან უნდა დაგეწყოთ ცხოვრება და არა ჩემგანო. მოთხრობაში მრავალად არის გაბნეული ახალი მოდის ქრისტიანული აზრები. ყველა ადამიანი ავტორს ცოდვილად ყავს წარმოდგენილი უნაკლო სიმართლის და უნაკლო ღმერთის წინაშე. ის ანვითარებს ამასთანავე ფილოსოფიას ბიწიერების სათნოებასთან შეერთების შესახებ.

საერთოდ, გორკის კარგად ეხერხება ადამიანის ბუნებაში ჩაწვდენა, ადამიანის ცხოვრების მთავარ მომენტების აღება. ის კალმის ერთი მოსმით, რამდენიმე წინადადებით დაგიბატავს ადამიანს. ამ მხრივ მისი ნიჭი ვირტუოზულია. ცხადია, ამაში მას შველის ის გარემოება, რომ ის თვით კარგად იცნობს ადამიანს, მის ცხოვრებას.

ი. ვ. გომართლის „მაქსიმ გორკის ცხოვრება და შემოქმედება“ პოპულარული შრომაა. სადათ და უბრალოთ მოგვითხრობს ავტორი მაქსიმ გორკის ბიოგრაფიას და ასევე სადათ და უბრალოთ გვიხსიანთ მისი შემოქმედების მთავარ მომენტებს. გადაჭარბებულ-გადაძლიაშებულად უნდა ჩაითვალოს თბილისის გაგლეჩა მაქსიმ გორკიზე. თითქოს თბილისის და საქართველოს ბუნებამ მისცა და ასახოდა მ. გორკის შემოქმედება. შეუძლებელია ამას სერიოზულად მტკიცება. მ. გორკის ნიჭი ყველგან იჩენდა თავს, სადაც არ უნდა ყოფილიყო. რუსები ჩვენში იმ ხანებში და შემდეგ სხვებიც ბევრი მოვიდნენ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ბუნებას ისინი ყველაწი მაქსიმ გორკად არ გადაუჭყვევია. ვერც იმაში დავეთანხმებით ავტორს, რომ თითქოს გორკი ბოსნიკების ცხოვრებით მოზიბლული იყო.

ავტორს უყვარს შორეული ექსკურსიები პოლიტიკურ ეკონომიის, პედაგოგიკის და სხვათა დარგში. ეს შრომას ამძიმებს და ნაშრომის კითხვას მომაბეზრებლად ხდის.

ერთ ადგილას ავტორი სწერს: „გორკის მოთხრობები და რომანები გვიმტკიცებენ რომ მუშებში შეგნება თავისთავად კი არ მოდის, არამედ საჭირო არის ხელმძღვანელი მეთაური, გზის მაჩვენებელი.“

ეს ერთობ გაურკვეველად არის ნათქვამი. ამაში ყოველგვარი აზრი ჩაეტყვა. იდეალისტებიც სწორედ იმას ამტკიცებდნენ, რომ შეგნებას მეთა-

ურები და რჩეულები ბადებენ და ცხოვრებას ისინი ამოძრავებენო ალბათ, გომართელს ამის თქმა არ უნდოდა. ამისათვის საჭირო იყო მეთაურის როლი და მნიშვნელობა უფრო კონკრეტულად ჩამოეყალიბებია.

კარგად არის შედგენილი მაქსიმ გორკის პოლიტიკური მოღვაწეობა და მისი საქმიანობა და გორკი.

წიგნი დაწერილია უბრალო, სადა და გასაგებ ენაზე.

ლენინის წერილები გორკისადმი, აქ ლენინი უფრო სჩანს ვიდრე გორკი, ამიტომ ის ლენინის საიუბილეო დატებისათვის უფრო შესაფერისია ვიდრე გორკის. ლენინის წერილები ამჟღავნებს ლენინის რკინის ხასიათს და ნების უდრეკელებას. ის გორკის წინადადებას ბოგდანოვის ჯგუფთან შერიგების შესახებ კატეგორიულად უარყოფს, შერიგება კი არა გაცილებასაჭიროო. ღვთის მამიებელთან საერთო არაფერი მაქვს, მასთან ლაპარაკით სისძლს ვერ წავიბდენო.

ლენინის წერილებში მშვენივრად არის ასახული რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ში ბოლშევიკურ მინდინარეობის ზრდა-განვითარების პროცესი.

ლენინი უდიდესი მზრუნველობით ეკიდებოდა მაქსიმ გორკის, ის დიდათ აფასებდა მას. მაქსიმ გორკი მიიჩნდა პროლეტარული ხელოვნების უდიდეს ავტორიტეტად. ლენინი გორკის არა მარტო მეგობარი, არაუდ მასწავლებელიც იყო წარმოდგენილ წერილებში ის ხშირად ამხელს გორკის, რომ ის შემცდარია, სწორ გზაზე არ სდგას. ამავე დროს ენდობა გორკის და უკიდურეს საიდუმლოებასაც კი ანდობს მას.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი გამომცემლობანი გორკის იუბილეს ვერ გამოეხმაურენ სათანადოთ. გორკი ჩვენს გამომცემლობებში მისი შემოქმედებისათვის უმნიშვნელო ნაწარმოებებით არის წარმოდგენილი.

მკითხველი.

გაუგებრობა თუ უვიცობა?

(კ. გ.—ს რეცენზიის გამო)

„მნათობის“ მე-3 ნომერში მოთავსებული იყო ვინმე კ. გ.—ს რეცენზია „ფათუსტის“ თარგმანის შესახებ. აი როგორ ჩამოაყალიბა მან თავისი აზრი: „დ. ონიანიშვილის თარგმანში სიტყვებიც კი არა, მთელი მონოლოგები, დიალოგები, უსათუთეაი ლირიული ადგილები იღუპება. თითქმის არც ერთი გვერდი არ შემხედვრია მთელს თარგმანში, რომ პირდაპირ ბარბარულად არ იყოს“

შერყვნილი ამ მსოფლიო ლიტერატურის შედეგად... მთელი ტრაგედია ისე ულაზათოდ გადაუქართულდება, რომ ამ გვარ თარგმანს ეზოპის ზღაპრებიც ვერ აიტანდა. ჩემის დაკვირვებით აქტორა (თუ მთარგმნელს? დ. თ.) სრულიად არ ესმის ფაუსტის ენა. მას ელემენტარული მცნებები დაუმახინჯებია“ და სხვა...

გაგკადნიერდები და გაგბედავ ორიოდ სიტყვის თქმას არა ~~საკამათოდ~~ არამედ იმ გაუგებრობის გასაქარწყლებლად, რომელიც შექმნილია რეცენზიის ავტორის მიერ.

გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა პ ი რ ვ ე ლ ი. „უბედურებაა, როცა არა პრეტენზიის თარგმანს იკისრებს... გოეტეს ფაუსტის მთარგმნელი უწინარეს ყოვლისა უნდა იყოს და სხვა...“

ნაშასადამე, არაპოეტს, ან და თუ კარგი პოეტი არ იქნება, ნება არა აქვს სთარგმნოს დიდი პოეტის ნაწარმოები. მე, სავწუნაროდ, არ შემძლია დავეთანხმო რეცენზენტის აზრს. რასაკვირველია, კარგია, რომ „კარგი პოეტი“ სთარგმნის დიდი პოეტის ნაწარმოებს, მაგრამ როცა ასეთი პოეტი არ არსებობს, ან და არ მოისურვებს მის გადათარგმნას, ნუ თუ უბრალო მომაკვდავს არ აქვს უფლება სთარგმნოს ეს ნაწარმოები? საქმე ის კი არ არის, ლექსად სთარგმნის თუ პროზით დიდი პოეტის ნაწარმოებს, არამედ—თუ როგორ იცავ დედანის აზრს და მის საერთო კოლორიტს. ამიტომ, რეცენზიის ავტორს პირველად ყოვლისა უნდა დაემტკიცებინა, რომ „ფაუსტის“ თარგმანში დამაზინჯებელია მისი დედა-აზრი, არ არის დაცული საერთო კოლორიტი და სტილი. ნაცვლად ამისა მას მოჰყავს ამ თარგმნიდან ფრაზები და სიტყვები, სხვადასხვა ადგილებიდან უშნოდ ამოგლეჯილები, და ცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს ფრაზები და სიტყვები არ შეეფერება დედანს. მკითხველი დაინახავს შემდეგ, თუ რამდენად უნაყოფოა ეს ცდა.

გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა მ ე ო რ ე. „ველავ ჩემსკენ მოხვალთ თქვენ ცდომილნი, აჩრდილნი ყრმობის“.

არ მესმის, რას ნიშნავს „ცდომილნი აჩრდილნი ყრმობის“. რანაირი ქართულია ეს? რა აჩრდილები შეიძლება ყრმობას ჰქონდეს? ბოლოს სადაა იგი ტექსტში?—ასე გაკვირვებით და გულუბრყვილოდ გვეკითხება რეცენზენტი. განვმარტოთ: ამისთვის საკმარისია ვინილოთ შენიშვნა—2) წიგნის ბოლოში, სადაც წავიკითხავთ, რომ აქ ლაპარაკია „ცდომილ აჩრდილებზე“. რომელნიც თან სდევდნენ პოეტს სიყრმიდან დაწყებული სიბერემდე. ეს გაბლავთ მისი პოეტური მუხა, რომელსაც უკვე ხანში შესული პოეტი მიმართავს „ფაუსტის“ დასაწყისში და უძღვნის ამ სტრიქონებს თავის ანალოგაზრობის და სიყომის საუკეთესო მეგობრებს. „ბოლოს სადაა იგი ტექსტში?“—გადაშალეთ და წაიკითხეთ—„Schwankenden Gestalten“. მთელი ქვეყნის ლექსიკონები რომ გადავაბრუნოთ, ჩვენ ამ სიტყვებში სხვა აზრს ვერ ამოვიკითხავთ.

ცდომილი აჩრდილი ფრანგებს უთარგმნიათ „ჰაეროვან ფორმებად“—*formes aeriennes*. რუსულად ეს ადგილი ასეა თარგმნილი: „Образы туманные“ (იხ. ხოლოდკოვსკი თარგ.) „воздушные виденья“ (იხ. ფეტის თარგ.), „призраки в колеблющемся роe“ (იხ. გოლოვინის თარგ.), „колеблющиеся образы“ (იხ. სოკოლოვსკის თარგ. პროზით) და სხვა... [მაგრამ არც ერთი ეს სიტყვა არ გამოხატავს იმ ცნებას, რომელსაც შეიცავს გერმანული „Schwankenden Gestalten“.

გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა მ ე ს ა მ ე. „Geisterreich“ (იმავე მიძღვნაში) უთარგმნია როგორც „სასულიერო“ (sic!) სიტყვა „Geist“ ჩვენ არ მოგვეპოვება, მაგრამ ვთქვათ, რომ Geist სულია, მაგრამ „სასულიერო“ აქ რა მოსატანია? ამ სტრიქონს კომიკური ელფერი შეაქვს გოეტეს დრამატიულ სულიერ განწყობილებაში“.

რასაკვირველია თუ ამ სიტყვაში რეცენზენტი მხოლოდ ღედლებს და ეპისკოპოსებს გულისხმობს, დიახაც რომ ამ სტრიქონს „კომიკური ელფერი ექნება“. მაგრამ თუ ამ სიტყვას მთელ წინადადებას დაუკავშირებთ და უფრო ღრმად ჩაუკვირდებით მის აზრს, აქ კომიკური არაფერი იქნება.

...და აღმიტაცებს წარსულ დროის მძლავრი წყურვილი,
სასულიერო, მყუდრო ქვეყნის წმინდა ტრფობისა.
ფრანგულ ტექსტში ეს სიტყვები ასეა ნათარგმნი:
„Ce monde des Esprits si calme et si charmant.“*)

*) იხ. Le Faust de Goethe. ფრანგული თარგმანი M. Henri Blaze-ის.

ე. ი. სულგების შვიდი და საუცხოვო ქვეყანა. რუსულად ეს ადგილი ასეა ნათარგმნი: „Царство духов“ (იხ. სოკოლოვსკის თარგმანი პროზით). „Мир задумчивых духов“ (იხ. ფეტი) „мир строгий и немой“ (იხ. ხოლოდკოვსკი). მაშასადამე, როგორც დედანში, ისე ყველა თარგმანებში ერთი და იგივე აზრია გატარებული, მხოლოდ, სხვა და სხვა სიტყვებით.

გ ა უ გ ე ბ რ ი ბ ა მ ე ო თ ხ ე. „In Brudersphären“ — თარგმნილია „ძმურსა სფერო-ში“. რა უნდა იყოს ძმური სფერო? მაშ „მტრული სფეროებიც“ უნდა ეფუძნებოდეს მთარგმნელს, იქვე „ჯადოსნურ ჩანგად“ თარგმნილია „Wettgesaug“. ვაჭარს — ვაჭარს უნდა შემდეგ herlich — სინათლე ახლავს. რომელი ლექსიკონით? — გვეკითხება გაოცებული რეცენზენტი. ეს ადგილი ქართულად ასეა ნათარგმნი:

„მზე კვლავ აღდგრებს ძველებურ ჩანგზე
ძმურსა სფეროში ჯადოსნურ ჩანგსა
და თავის მუდმივ დანიშნულ გზაზე
ქეჩა-ქეზილით განაგრძობს სვლასა“.

იგივე ადგილი რუსულად თარგმნილია ასე: Солнце по давно установленному порядку гудит в кругу братских сфер... (იხ. სოკოლოვსკის თარგმანი) როგორც ქართული „ძმური სფერო“, ისე რუსული братских сфер პირდაპირი თარგმანია, გერმანულის — „Brudersphären. სიტყვა Wettgesaug. მე ვთარგმნე „ჯადოსნურ ჩანგად“ და იქვე, საგანგებო შენიშვნაში მოვახსენე მკითხველს, რომ ეს თარგმანი თავის უფალია. და მიკვირს რად აწვება პატივცემული რეცენზენტი ღია კარებს... რეცენზენტს უკვირს, რომ მე სიტყვა — herlich — მშვენიერი სინათლედ ვთარგმნე. მაგრამ ამ შენიშვნაში სიტყვა სინათლე სიმშვენიერის სინონიმია და სრულიად არ სცელის დედანის აზრს.

გ ა უ გ ე ბ რ ი ბ ა მ ე ხ უ თ ე. „რადგან უფალო შენ ჩვენ ასე გვიანლოვდები და კვლავ იძიებ ჩვენი ქვეყნის ყოფა-ცხოვრებას“ და სხვ...

სამწუხაროდ, ამ ადგილას კორექტურული შეცდომაა დაშვებული. სახელდობრ: აქ სწერილია „ასე“ უნდა იყოს „ისევე“ აი ამ კორექტურულ შეცდომაზე აშენებს რეცენზენტი თავის ფილიპიკას და დარბაისლურად შენიშნავს: „ასე“ კი არა, ტექსტში ნათქვამია: „კიდევ ერთხელ“ — შემდეგ რეცენზენტი გაჯავრებული გვისაყვედურებს: bei uns — არ გახლავთ „ჩვენი ქვეყანა“. როგორ შეიძლება ასეთი გადაფუჩჩება მცნებისა? ვნაზოთ ვინ „აფუჩჩებს“ მცნებებს. ეს ადგილი ფრანგულად ასეა ნათარგმნი:

„O Maître! puisque tu te rapproches une fois,
et demandes comment tout se passe chez nous“...

ე. ი. რადგანაც შენ უფალო კვლავ გვიანლოვდები და კითხულობ, თუ როგორ მიმდინარეობს ყველაფერი ჩვენში და სხვა... იგივე ადგილი რუსულად ასეა ნათარგმნი:

„Так как ты Владыко являешься вновь с вопросами о наших делах“ და სხვა.. (იხ. თარგმ. სოკოლოვსკის).

თუ ამ თარგმანებს დედანს შევადარებთ, ჩვენ დავინახავთ, რომ მიუხედავად სხვა და სხვა იუანსებისა აზრი ყველგან ერთი და იგივეა. რასაკვირველია, „bei uns“ არ ნიშნავს „ჩვენს ქვეყანას“, მაგრამ ამ თქმაში იგულისხმება „ჩვენი ქვეყანა“ ანუ „დედა-მიწა“, რომლის სახელითაც მეფისტოფელი ღმერთს ებაასება.

გ ა უ გ ე ბ რ ი ბ ა მ ე ე ქ ვ ს ე. „და ლამის მხეცებს მხეცობაში გადააქარბოს“. ერთი რომ „Tier“ მხეცს-კი არა ცხოველს ნიშნავს. მერე სად არის აქ მოცემული მეფისტოს სარკასტიული თქმა? ეს ადგილი ფრანგულად ასეა თარგმნილი:

...pour être plus bestial que la bête“.

ე. ი. რომ პირუტყვზე უფრო მხეცი იყოს. რუსულად იგივე ადგილი ასეა თარგმნილი:

...и с ним готов

звероподобное явиться всех скотов.

მაშასადამე, გერმანული სიტყვა „Tier“ ფრანგულად და რუსულად თარგმნილია „მხეცად“ და „პირუტყვად“. რეცენზენტის აზრით ჩვენ აქ უნდა გვხმარა სიტყვა „ცხოველი“ და მაშასადამე ასე გვეთარგმნა:

...და ლამის ცხოველებს ცხოველობაში გადააქარბოს“. აღბად ეს იქნებოდა მეფისტოს სარკასტული თქმა..

გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა მ ე შ ე ი დ ე. „ამავე ლექსის ბოლოს „Quark“-ს თარგმნის ტალახად. ტალახი როდია „ჭვარკ“ მაგრამ ტალახი სჭირდება მას ბალახის გასარიტმად“.

ის ადგილი, საიდანაც ეს სიტყვა ამოუგლეჯია რეცენზენტს, ქართულად ასეა თარგმნილი:

...და ნეტავ იყოს სამუდამოდ იგი ბალახში!
ვერ მოისვენებს, თუ არ ჩაჰყო ცხვირი ტალახში“.

ერენუნი
გინგინიუსეა

იგივე ადგილი ფრანგულად თარგმნილია ასე:

„Encore s'il pouvait toujours rester dans l'herbe!
mais non, il faut qu'il fourre son nez partout!

ე. ი. ტალახის ნაცვლად ფრანგი მთარგმნელი ხმარობს სიტყვას „ყველგან“.

რუსულად იგივე ადგილი ასე ითარგმნება:

А-то ведь дыни нет,
куда-б не сунул носа“.

(იხ. ფეტი)

„А-то ведь ему непременно надо
Совать свой нос во всякий вздор“.

(იხ. სოკოლოვსი).

„так, нет-же прямо в грязь
он лезет поминутно“.

(იხ. ხოლოდკოვსკი).

მაშასადამე, ამ სიტყვას—„Quark“ ზოგი სთარგმნის „ყველგან“, ზოგი „სისულელედ“ („ჩმახვად“), ზოგი „სიბინძურედ“ და „ტალახად“. მიუხედავად ამისა აზრი ყველგან ერთი და იგივეა.

რამდენიმე სტრიქონის შემდეგ რეცენზენტი დარიგებას გვაძლევს „ლექსიკონში მაინც უნდა ჩაიხედოს ასეთ დროს მთარგმნელმაო“. მაშ კარგი, ჩავიხედოთ ლექსიკონში. აი რა სწერია იქ: „Quark“—ხაკო, (творог). გადატ. მნიშვნელობით—ტალახი. (Kot) (იხ. პავლოვსკის გერმანულ-რუსული ლექსიკონი). ჩვენ ეს სიტყვა გადატანილი მნიშვნელობით ვიხმარეთ, რადგანაც ეს უფრო ეგუება დედანის აზრს. რეცენზენტი კი აღბათ ამ სიტყვის პირდაპირ თარგმანს მოითხოვს. მაშასადამე, მისი აზრით ეს ადგილი ასე უნდა ეთარგმნათ:

...ვერ მოისვენებს, თუ არ ჩაჰყო ცხვირი ხ ა ჭ ო შ ი“.

რას იზამთ, კაცია და გუნება!.. ასეთი ბედი ეწვევა ყველას ვინც „დიდ პოემებს“ ლექსიკონებით სთარგმნის.

გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა მ ე რ ვ ე „Verworren dient—„შემკრთალი მემსახურება“. Verworren—დაბნეულია და არა შემკრთალი“. დაბნეული თუ გნებავთ არის—Zerstreut“. ხოლო Verworren—სულ სხვას ნიშნავს. მაგრამ ვნახოთ, როგორ სთარგმნიან ამ სიტყვას ფრანგები:

...„S'il me sert aujourd'hui dans le trouble“.

ე. ი. თუ რომ მე იგი ბუნდოვანად მემსახურება დღეს და სხვა...

იგივე სიტყვა რუსულად ასეა თარგმნილი:

„если он точно служит мне со смущенным
духом теперь... (იხ. სოკოლოვსკი)

„Хоть смутно он мне служит.

(იხ. ფეტი).

მაშასადამე, ეს სიტყვა არც ფრანგებს და არც რუსებს არ უთარგმნიათ „დაბნეულად“ მიუხედავად იმისა, რომ ამ მნიშვნელობის სიტყვა ორივე ეროს ლექსიკონში მოიპოვება: рассеянный—distract. ამას ისინი იმიტომ სჩადიან, რომ დედანის აზრი უკეთესად გადმოიცემა სიტყვით „შემკრთალი“ ან „ბუნდოვანი“ ვიდრე—„დაბნეულით“. სიტყვების ასეთი შეცვლა თარგმანის დროს სრულიად დასაშვებია და აუცილებელიც.

გ ა უ გ ე ბ რ ი ბ ა მ ე ც ხ რ ე. „ტრაგედიის I ნაწილში ფაუსტის საუკეთესო მონოლოგი ისევე დამახინჯებულია, როგორც მიძღვნა, აქაც სრული აღრევაა მცნებისა. „Bemühen“ „წვალება“-კი არ არის, არამედ გარჯა“.

ჩემის აზრით, აქ არაერთგვაროვანი მცნების აღრევა არ არის. უნაყოფო გარჯა იგივე წვალებაა.

გ ა უ გ ე ბ რ ი ბ ა მ ე ა თ ე. „Da steh, ich armer Tor“—„და დაუბრუნე მე / საბრალო ჭკუით ღარიბი“. Tor—განა ჭკუით ღარიბია? მაგრამ ღარიბი მომდევნო სტრიქონის უკანასკნელი სიტყვის „ღარიბის“ ბოლო რითმად დასჭირდა ალბად მთარგმნელს, როგორ შეიძლება ონიაშვილის თარგმანის მართლაც ღარიბულ რითმების ხაზრით ფაუსტის მარგალიტების დამახინჯება?“

დიანაც რომ არ შეიძლება, მაგრამ ვნახოთ, ვინ ამახინჯებს ამ მარგალიტებს. ეს ფრაზა ფრანგულად ასეა თარგმნილი:

„et maintenant me voici-la pauvre fou!“

ე. ი. „და ეხლა მე ვარ საბრალო სულელი რუსულად იგივე ფრაზა თარგმნილია ასე:

„И вот я теперь бедный гаунец!“

(იხ. სოკოლოვსკის თარგ.).

მაშასადამე, როგორც ფრანგულ ტექსტში, ისე რუსულში სიტყვა „Tor“ თარგმნილია „სულელად“. ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ორივე პროზით არის თარგმნილი და მაშასადამე რეცენზენტი ვერ უსაყვედურებს მთარგმნელს, რომ მათ „ღარიბულ რითმების ხაზრით ფაუსტის მარგალიტები დამახინჯეს“.

გ ა უ გ ე ბ რ ი ბ ა მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე. „herauf, herab und quer und krumm“.

— ონიაშვილს თარგმნილი აქვს: „და აქეთ იქით ვატრიალებ“.

„სად კამეჩი და სად პანაშვიდი?“

ასე უკბოლოდ ოხუნჯობს რეცენზენტი. რასაკვირველია, თუ ამ ფრაზას ასე უაზროდ ამოჭლეჯთ კონტექსტიდან, შეიძლება კამეჩზე უარესი ცხოველიც მოგელანდოთ. მაგრამ აბა მოვიყვანოთ ამ მონოლოგიდან მთელი წინადადება და ოდნავ დაუკვირდეთ მის შინაარსს:

„მქვიან მაგისტრი, მიწოდებენ დოქტორის სახელს.

ათი წელია რაც ვატყუებ ჩემ მოწაფეებს

და აქეთ-იქით ვატრიალებ იმ საცოდავებს“.

ფრანგულად ეს ადგილი ასეა თარგმნილი:

...„depuis dix ans deçà, delà, en long, en large, je traîne mes élèves par le nez“;

ე. ი. უკვე ათი წელიწადია, რაც ჩემს მოწაფეებს ცხვირით ვატრევ ხან აქეთ, ხან იქით და სხვა. იგივე ადგილი რუსულად ასეა თარგმნილი:

„Целше десять лет вожу во все стороны, вкривь и вкось за нос моих учеников“.

მაშასადამე, ამ სიტყვების აზრი, როგორც დედანში, ისე თარგმანში ერთი და იგივეა: ფაუსტი თავის მონოლოგში ამბობს, რომ იგი ათი წელიწადია, რაც ატყუებს თავის მოწაფეებს და უძღურია გადასცეს მათ კეშმარტი ცოდნა.

გ ა უ გ ე ბ რ ი ბ ა მ ე თ ო რ მ ე ტ ე.

„Das ich erkenne was die Welt

Im Innersten zusammenhält“.

„რომ კვლავ შევიგნო სამყაროს მცნება

მის საიდუმლო ფარული ზრახვით“.

„ეს ორი სტრიქონი შეიცავს ფაუსტის ტრაგედიის კიბს“. მთარგმნელს-კი ასეთი არაფრის მთქმელი წინადადებით გადმოუჭართულებია ეს ადგილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ არც ქართულია მაინც და მაინც დალაგებული“.

მე არ ვიზიარებ რეცენზენტის აზრს, რომ ეს ადგილი ფაუსტის ტრაგედიის „კიბი“ იყოს. ამისთანა „კიბები“ ბევრია ფაუსტში და მიკვირს რად ჩაპკედა ხელი სწორედ ამ ადგილს. მაგრამ ვთქვათ რომ ეს კიბია და ვნახოთ როგორ არის იგი გადათარგმნილი ფრანგულად.

„Si je pouvais savoir ce que contient le monde dans ses entrailles“.

ე. ი. „რომ შემძლოს იმის ცოდნა, თუ რას შეიცავს ქვეყანა თავის წიაღში“. ეს ადგილი რუსულად ასეა თარგმნილი:

„Может быть, удастся мне узнать, что заключено в глубине мировоззления“.

(იხ. სოკოლოვსკის თარ.)

„Быть может духи для меня откроют тайства природы“

(იხ. ხულოდკოვსკის თარ.)

„Чтобы познал я, чем вполне мир связан в тайной глубине“.

(იხ. ფეტი).

მაშასადამე, ყველგან; როგორც დედანში, ისე თარგმანებში გატარებულია ის აზრი, რომ ქვეყანა თავის წიაღში საიდუმლოებას შეიცავს და ეს საიდუმლოება დაფარულია მოკვდავ ადამიანისთვის. სწორედ ეს აზრი გამოხატულია ქართულ თარგმანშიც. ამ საიდუმლო ანუ ფარულ ძალების შესახებ ფაუსტი ამბობს შემდეგს:

Shau' alle Wirkenskraft und Samen
Und tu nicht mehr in Worten kramen.

„მომკმედ ძალების ვიწილო კრება
და არ გავერთო სიტყვების ჩმაბეით“.

„ეს ადგილი სრულიად ვერ გაუგია მთარგმნელს. რომელ მომკმედ ძალების კრებაზეა აქ ლაპარაკი? რა უნდა იყოს ამგვარი ძალების კრება?“

რასაკვირველია, თუ რეცენზენტი ამ სიტყვაში მიტინგს გულისხმობს, მაშინ დიახაც რომ გაუგებარი იქნება აქ ყველაფერი. მაგრამ თუ შივილებთ მხედველობაში შემოდ აღნიშნულ სტრიქონებს და დაუკავშირებთ მათ ამ ადგილს, მაშინ ყველაფერი ნათელი და გასაგები იქნება. ვნახოთ, თუ როგორ უთარგმნიათ ეს ადგილი ფრანგებს, რომელნიც ამ შემთხვევაში „ძლიერ გონიერად იქცევიან“ ე. ი. პროზით სთარგმნიან და „ღარიბულ რითმების ხაზრით ფაუსტის მარგალიტებს არ ამაზინჯებენ“.

„...assister au spectacle de toute activité, de la fécondation, et ne plus faire un trafic de paroles creuses!“

ე. ი. „რომ დავესწრო სრულ აქტიობის და შემოქმედების სანახაობას (spectacle) და არ დავიწყო ფუჭი სიტყვების ჩმაზვა“. როგორც ხედავთ „ფაუსტის“ მთარგმნელს აქ კრების მაგიერ უხმარია სიტყვა „სპექტაკლი“ (სანახაობა) აქ იგულისხმება ბუნების ძალთა თავყრილობა, მათი გამოაშკარავება და ამოძრავება... აი ამ „კრებაზე“ და „სპექტაკლზე“ ლაპარაკი როგორც ქართულ ისე ფრანგულ თარგმანში.

გ ა უ გ ე ბ რ ი ბ ა მ ე ც ა მ ე ტ ე.

„მე ვარ_ის სული, ვინც უარყოფს მუდამ ყველაფერს!

და მაქვს ამისი სრული უფლება:

რადგან სუყველა, რაც ჩნდება ქვეყნად

დაუგონებლივ განადგურდება.

ამიტომ სჯობდა ამოღ ღელვას,

რომ არაფერი არ ყოფილიყო“.

ამ ადგილის შესახებ აი რას სწერს რეცენზენტი: „პირდაპირ გიკვირს ადამიანს, როდესაც ასეთ აღმასისებურ აფორიზმებს, გენიოსის კალმის ნაკვეთებს ასე უნიათოდ, უნიკოდ გადაქართულდებულს წაიკითხავ. იყო და არა იყო. რა აკლია ამ უმგვანო აღილუიას“.

ამ ლანძღვა-გინების შემდეგ რეცენზენტი შენიშნავს: „ტექსტში ნათქვამია სიტყვით სიტყვამდის: (თუ სიტყვა სიტყვით? დ. თ.) რადგან ყოველივე რაც წარმოიშვება, ღირსია რომ განადგურდეს და უკეთესი იქნებოდა, რომ არაფერი წარმოშობილიყო“. ასეთია რეცენზენტის „აღმასისებური“ თარგმანი. მაშასადამე, მთელი აურ-ზაური ნან ერთი სიტყვის („ღირსია“) გულისთვის ასტება. თუმცა ამ სიტყვის გამოტოვებით „აღმასისებური აფორიზმი“ ჰკარგავს თავის სიმძლავრეს, მაგრამ რეცენზენტის თარგმანითაც „სიტყვით სიტყვამდის“ მას არაფერი ემატება. თუ რეცენზენტის ტერმინს ვიხმართ, მისი თარგმანიც „ბლაგვია“ და არ გამოხატავს

გენიოსის კადმის „აღმასისებურ ნაკვეთებს“. აღბად იმიტომ, რომ ამ ადგილის გადმოქართუ-
ლება ერთობ შეუძლებელია, რაც უნდა დიდი ნიჭის პატრონი იყო.

აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა („ლირსია“) რუსულ თარგმანშიც (იხ. სოკოლოვის თარ-
გმანი პროზით) გამოტოვებულია, თუმცა ეს თარგმანი საუკეთესოა ითქვამს.

მეორე შესწორება, რომელიც რეცენზენტს შეაქვს ჩემს თარგმანში იმაში მდგომარეობს,
რომ „ყოფილიყო“ მაგიერ „წარმოშობილიყო“ ხმარობს. ფრანგულად ეს უნდა იქნებოდეს
„et ce serait mieux s'il n' existait rien“

„et ce serait mieux s'il n' existait rien“.

ე. ი. და უკეთესი იქნებოდა, რომ არაფერი ყოფილიყო. მაშასადამე, ფრანგულ თარგმან-
შიც სწორედ ის სიტყვაა ნახმარი, როგორც ქართულში (exister—ყოფნა, არსებობა) და ვერ
გამიგია, რას გვისაყვებურებს აღშფოთებული რეცენზენტი.

გ ა უ ზ ე ბ რ თ ბ ა მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე . „რღვევა ჩემი ელემენტიანო. ონიაშვილი თარგმნის:
ჩემი სამფლობელოა“.

აი როგორ არის ეს სიტყვა ახსნილი ლარუსის (Larousse) ლექსიკონში:

Élément—(ლათ. elementum) „მარტივი ანუ უშლადი სხეული. გადატან. მნიშვნ.
მდგომარეობა, (milieu) რომელშიაც ესა თუ ის არსი შექმნილია სასიცოცხლოდ, ანუ მისი ბუ-
ნებრივი მდგომარეობა“.

მაშასადამე, როდესაც მეუისტოფელი ამბობს, რომ „რღვევა ჩემი ელემენტიანო, ეს იმას
ნიშნავს, რომ რღვევა მისი ბუნებრივი მდგომარეობაა, ანუ უკეთ სტიქია, ე. ი. სამფლობელო.
ეს ისეთივე თქმა არის, როგორც მაგალ. „ჭაერი ფრინველის სამფლობელოა ანუ სტიქია“, წყა-
ლი—თევზის და სხვა... აი ამიტომ მე ვთარგმნე სიტყვა ელემენტი სამფლობელოდ. რუსულად
ეს სიტყვა თარგმნილია „სტიქიად“, ფრანგულ ტექსტში ელემენტი ისევ ელემენტად (élément)
რჩება. რეცენზენტს ასეთი თარგმანი არ აკმაყოფილებს და გვასწავლის, რომ ელემენტი ქართუ-
ლად კ ა ვ შ ი რ ი ა. მაშასადამე, მისი აზრით ეს ადგილი მეუისტოფელის მონოლოგიდან ასე
უნდა ვთარგმნოთ:

„რასაც თქვენ უხმობთ სიკვდილს და რღვევას
მე მიმაჩნია ჩემ კავშირად“.

რაც სრული უაზრობა იქნებოდა.

გ ა უ ზ ე ბ რ თ ბ ა მ ე თ ო თ ხ მ ე ტ ე . „რომ უბრალო სიტყვაა: Fräulein?.. ეს სიტყვა
თურმე ქართული „ქალბატონის“ ექვივალენტი როდია, არამედ იგი შეიცავს სილამაზის და
სიტუარფის მცნებას“. კომენტარიები ზედმეტია. როგორ შეიძლება ამგვარი ცოდნის პატრონმა
ისეთი გოლიათური ტყუილების თარგმნა იკისროს, როგორიცაა გოეტეს ფაუსტი? (გოეტეს რა-
ტომლაც „გიოტეს“ ემახის მთარგმნელი კ. გ.)

კომენტარიები ზედმეტია... მორჩა და გათავდა! ჩემის აზრით-კი სწორედ ამ სიტყვას ესა-
ჭიროება კომენტარიები. აი რას ამბობს ამის შესახებ ერთი მწერალი, გიოტეს „ფაუსტის“ საუ-
კეთესო მთარგმნელი (პროზით) და კომენტატორი: „ეს სცენა მუდამ დამაბრკოლებელი იყო
და იქნება ყველა მთარგმნელისათვის. რუსული სიტყვა „барышня“, „сударыня“ სრულიად
არ გამოხატავს მის მნიშვნელობას... სიტყვა „Fräulein“ კეთილშობილობის გარდა, შეიცავს
სიტუარფის და სინაზის ცნებას, რაც ზემოდ აღნიშნულ რუსულ სიტყვებში არ მოიპოვება“. (იხ.
სოკოლოვის თარგმანი. „ფაუსტის“ კომენტარიები). მით უმეტეს ეს ცნება არ მოიპოვება
ქართულ სიტყვაში „ქალბატონი“, რომელიც უფრო ოფიციალურია, ვიდრე რუსული „барышня“
ან „сударыня“. აი ამ მოსაზრებით გაუკეთე მე სათანადო შენიშვნა ამ სიტყვას („Fräulein“)
ხოლო რას გულისხმობს რეცენზენტი ამ სიტყვაში, ეს აღლაპმა უწყის...

რეცენზენტს უყვირს, რომ „გოეტეს რატომლაც „გიოტეს“ ემახის მთარგმნელი“. ჩემის
აზრით აქ არაფერია გასაკვირი, რადგანაც ყველა ადამიანს თავის ნამდვილი სახელი უნდა
დაუბახო და არა მოგონილი, ან დამაჩინებელი. საქმე ის კი არ არის, დასწერ გოეტეს, გოე-
ტეს თუ გიოტეს, არამედ—თუ როგორ წარმოსთქვამ ამ დაწერილს. გადამწყვეტი მნიშვნელობა
აქვს არა ასოებს, არამედ იმ ბგერას, რომელიც გამოიხატება ასოებით. მე შემიძლია დავარწ-
მუნო რეცენზენტი, რომ თუ იგი გერმანულ საზოგადოებაში წარმოსთქვამს „გოეტეს“ ან „გოე-

თეს“, ვერც ერთი გერმანელი ვერ გაიგებს, თუ რომელ მწერალზეა აქ ლაპარაკი. მართლწერა „გოეტე“ არბილებს ოდნავ ამ ბევრას და უახლოვებს მას გერმანულ „Goethe“-ს; თუმცა არც ეს მართლწერაა აბსოლუტურად სწორი, მაგრამ გოეთეს“ და „გოეტეს“ მინც სჯობია, ამ გვარად, ერთად ერთი „დამსახურება“, რომელიც მიუძღვის რეცენზენტს კ. გ.-ს „გოლიათურ ქმნილების“ ავტორის წინაშე ჯერ-ჯერობით იმაში მდგომარეობს, რომ მან დაამახინჯა მისი სახელი, ფაზათ შემდეგ რა იქნება,..

მე შემოდლო კიდევ მრავალი მაგალითი მომეყვანა კ. გ.-ს რეცენზირებაში, მაგრამ ესეც საკმარისია. საქმე ის კი არ არის, რომ თარგმანი დაიწუნო, ამ დაწუნებასაც თავის გასამართლებელი საბუთი ანუ „raison d'être“ — უნდა ჰქონდეს. რეცენზენტის მსჯელობა ასეთია: ეს „ბლაგვია“, ის „უნიჭია და უნიათო“ ეს „მეტია“, ის „ნაკლები“ და სხვა... ამგვარად ყოველი თარგმანის „გაბითურება“ შეიძლება! საერთოდ „მეტ-ნაკლებობა“ ყოველ თარგმანში შესაძლებელია და, თუ გნებავთ აუცილებელიც. საქმე ის კი არ არის, რომ სთარგმნო სიტყვა-სიტყვით, არამედ — რომ ეს თარგმანი სწორე გამოაჩაუდეს ავტორის აზრს. შეიძლება ამ თარგმანის დროს „დაიღუპოს“ რომელიმე სიტყვა, მაგრამ სიტყვის გულისთვის რომ აზრი დამახინჯდეს ეს უფრო უარესი იქნება. რასაკვირველია, თუ ეს მხატვრული ნაწარმოებია აზრის გარდა, უნდა დაცული იქნეს ამ ნაწარმოების საერთო კოლორიტი და ფორმა. ეს კი შეუძლებელია, თუ მთარგმნელი შებოჭილი იქნება სიტყვებით და ლექსიკონებით. მთარგმნელი არ არის უბრალო „ასლის“ გადამღები. იგი რამდენადმე შემოქმედიც არის. თუ ამა თუ იმ სურათის გადმოსაცემად საჭირო იქნება რითმა, მთარგმნელი არ უნდა იყოს შესუდული პროზით. ამ მხრივ მართალია პოეტი, რომელიც ამბობს:

Переводчик в прозе раб,

А в поэзии соперник.

რასაკვირველია, აქ იგულისხმება კარგი მთარგმნელი და „კარგი“ პოეტი...

საკმარისი არ არის, რომ თარგმანი სიტყვა-სიტყვით უახლოვდებოდეს თავის დედანს, არამედ იგი უნდა ეგუებოდეს იმ ფინ ბუნებას, რომელზედაც ითარგმნება ესა თუ ის ნაწარმოები. „ფაუსტი“, ამბობს პატივცემული რეცენზენტი თავის რეცენზიაში, „საოცარი გოტიური ძეგლია; რომელშიაც გერმანული ენა გასაოცარ სტილისტიურ, სინტაქსიურ და დინამიურ სალტომორტალებს აკეთება“. შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ თუ თქვენ ქართულად ამ „გოტიურ ძეგლს“ „დინამიურ სალტომორტალებით“ სთარგმნით, აუცილებლად კისერს მოიტეხთ, რანაირი სიფრთხილეც არ უნდა დაიცვათ..

აი ამ საზომით უნდა მისდგომოდა რეცენზენტი კ. გ. „ფაუსტის“ თარგმანს და არა ისე, როგორც ეს მან ინება.

მე ამით, რასაკვირველია იმის თქმა არ მინდა, რომ ჩემი თარგმანი უნაკლო იყოს. პირიქით, იქ ბევრი ნაკლი და დეფექტებია მაგრამ ის განაჩენი, რომელიც გამოუტანა ამ თარგმანს „სასტიკმა“ რეცენზენტმა არ არის ფაქტებზე დამყარებული, და თავიდან ბოლომდე გაუგებრობის წყდეგია.

რასაკვირველია, „ყველა ბარონს თავის ფანტაზია აქვს“, როგორც ერთი ფრანგული ანდაზა ამბობს. კ. გ.-ს შეუძლია მოიწონოს ან დაიწუნოს ესა თუ ის თარგმანი. ეს მისი ფანტაზიის და გემოვნების საქმეა... მაგრამ როდესაც რეცენზენტი საჯაროდ ჰგმობს თარგმანს, მან ეს აზრი უნდა დაასაბუთოს. სამწუხაროდ მე ვერ ვნახე ასეთი დასაბუთება მის რეცენზიაში. მე გულწრფელად ვურჩევ რეცენზენტს ხელი აიღოს ამგვარ უსაბუთო რეცენზიების წერაზე და თუ მას მართლა ქართულ ლიტერატურისთვის გული შესტკივა და შესწევს ძალა, მოჰკიდოს ხელი სხვა საქმეს, თუნდაც იმავე გოეტეს „ფაუსტის“ „ალმასისებურ“ თარგმანს. ამით ის უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს ქართულ ლიტერატურას.

დ. ონიაშვილი.

ბიბლიოთეკა: { მის. კასიანი
ს. მამულაია
გ. ბოშაშვილი
ს. ყელი

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა



გვერდი

1. არისტო ჭუმბაძე—მოსისხლენი	ერეკლესი	7
2. ალ. აბაშელი—პოეტის გული	გინგულიძე	15
3. გიორგი წერეთელი—გულქან		16
4. გალაკტიონ ტაბიძე—ეპოქა		55
5. ნინო თარიშვილი—შორიდან		79
6. ბანოვანი—სამართალს სისხლით მოვძებნი		80
7. იონა ვაკელი—ლექსი ტფილისზე		106
8. ნ. ზომლეთელი—ოქტომბრის ვეფხვი და ქარიშხალა		109
9. მ. გორკი—არტამონოვების საქმე (გაგრძელება), თარგმ. ლეო ქიაჩელის		111

კრიტიკა—მეცნიერება—კუბლიცისტიკა

10. მ. გორკი—განდიდებულთა და „დამწყებთა“ შესახებ (თარგმანი)		151
11. ვ. ბახტაძე—კრიტიკული შენიშვნები		148
12. ვ. ხუროძე—ორი სტილი		174
13. გრიგოლ რობაქიძე—ვეროპის თანადროულ ლიტერატურიდან		194
14. შ. ნუცუბიძე—მარქსიზმი და ემპირიომონიზმი		200
15. კ. ორაგველიძე—ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება—თარგ. ი. მჭედლიშვილის		216
16. გიორგი ლეონიძე—ივანე მაჩაბელი (გაგრძელება)		238

ბიბლიოგრაფია

17. Stein—იპ. ვართაგავა: მიხ. ჯავახიშვილის შემოქმედება		147
18. მკითხველი—მაქსიმ გორკი: გამ. „შრომა“ და სახელგამის გამოცემანი		251
19. დ. ონიაშვილი—გაუგებრობა თუ უვიცობა? (კ. გ—ს რეცენზიის გამო)		253



Handwritten signature

